




კონსტანტინე კორკელია (რედ.)

ადამიანის უფლებათა დაცვა:
უნივერსალური, რეგიონული და
ეროვნული მექანიზმები

სტატიათა კრებული

საიუბილეო გამოცემა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კონსტანტინე კორკელია (რედ.)

ადამიანის უფლებათა დაცვა:
უნივერსალური, რეგიონული და
ეროვნული მექანიზმები

სტატიათა კრებული

საიუბილეო გამოცემა



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

კონსტანტინე კორკელია (რედ.)

Konstantin Korkelia (ed.)

Protection of Human Rights: Universal, Regional and National Mechanisms
Tbilisi, 2025

გამომცემლობის რედაქტორი **თამარ გაბელაია**
გარეკანის დიზაინერი **მარიამ ებრალიძე**
დამკაბადონებელი **ლალი კურდღელაშვილი**

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა, 2025

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128
Tel: +995 (32) 2250484, 6284; 6278
www.press.tsu.edu.ge

ISBN 978-9941-36-433-4

სარჩევი

კონსტანტინე კორკელია

წინასიტყვაობა 5

ანა ფირცხალაშვილი, ირაკლი სამხარაძე

ადამიანის უფლება ჯანსაღ გარემოზე საერთაშორისო და ეროვნული
სამართლის კონტექსტში: სახელმწიფოთა გლობალური პასუხისმგებლობა 7

ირაკლი პაპავა

ევროპის კავშირის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან
შერთების საკითხის შესახებ: არსებული მდგომარეობა,
გამოწვევები, პერსპექტივა 28

თამარ ონიანი

სუბსიდიარობისა და ერთობლივი (საზიარო) პასუხისმგებლობის
პრინციპები ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემაში:
ინტერლაკენის სამოქმედო გეგმისა და შემდგომი დეკლარაციების მიხედვით 64

მარიამ ონიანი

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა საქართველოში: CEDAW კომიტეტის,
GREVIO-სა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს
პრაქტიკის შედარებითი ანალიზი 86

მაკა კარტოზია, სანდრო ალაფიშვილი

მომხმარებლის უფლებების დაცვის სტანდარტები და პრაქტიკა –
ევროპული და ქართული გამოცდილება 111

ანა ნაცვლიშვილი

როგორ განმარტა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ
სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები ოჯახში ძალადობის
საქმეებზე საქართველოს მიმართ მიღებული გადანყვეტილებებით 129

გოგა ხატიაშვილი

კონსტიტუციური ნორმის სასამართლოსეული განმარტება ოჯახში
ძალადობასთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებში
ირიბი მტკიცებულების გამოყენებისას 154

ნატი გელოვანი

სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და გამოქვეყნების პრაქტიკა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე – საქართველოში არსებული რეალობა და გამოწვევები 178

მარიამ ბალავაძე

ჟურნალისტიკა უფლებების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად 202

ზურაბ ლებანიძე

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და ძალადობის ზოგადი სიტუაციის ცნების ფარგლები ლტოლვილთა დაცვაში: გაკვეთილები საქართველოსთვის 218

ლაშა გულუაშვილი

სკოლის მოსწავლეთა უფლება საკვებზე: საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველო 242

ალექსანდრე გრძელიძე

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტი რელიგიის თავისუფლებასთან მიმართებით და საქართველო 257

კონსტანტინე კორკელია

თავისუფლებააღკვეთილი პირების სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში და მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან 284

ნატალია ანესაშვილი

სახის ამომცნობი ტექნოლოგიები, როგორც შესაძლო საფრთხე ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების მიმართ 336

ანანო ნიაური

მენტალური ჯანმრთელობის უფლების ძიებაში: სამართლებრივი გამოწვევები და პერსპექტივები 360

ავტორთა შესახებ 382

წინასიტყვაობა

ადამიანის უფლებათა დაცვა მუდმივი გამოწვევების წინაშეა. ეს გამოწვევები თვალსაჩინოა მთელ მსოფლიოში და განპირობებულია როგორც ტრადიციული მიზეზებით, მათ შორის: შეიარაღებული კონფლიქტებით, არადემოკრატიული მმართველობით, ეკონომიკური სიდუხჭირით, სოციალური უთანასწორობით, დემოკრატიული ინსტიტუტების მიუწვდომლობით, ისე შედარებით ახალი მიზეზებით, როგორებიცაა: გარემოს დაცვის გავლენა ადამიანის, მათ შორის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, უფლებაზე, თანამედროვე ტექნოლოგიები, მასობრივი თვალთვალი და სხვ. ბოლო პერიოდში საქართველოშიც იყო არაერთი გამოწვევა ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ საქართველოში არსებული ადამიანის უფლებათა მდგომარეობა არაერთხელ გახდა განსჯის საგანი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე უცხოეთში. მრავალ სხვა უფლებასთან ერთად, საქართველოში გამოწვევად მიიჩნევა ისეთი ძირითადი უფლებების დაცვა, როგორებიცაა: გამოხატვის თავისუფლება, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება და არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

წინამდებარე სტატიათა კრებულის მიზანია ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით ქვეყანაში არსებულ გამოწვევებთან გამკლავების ხელშეწყობა და ამ მიზნის მისაღწევად როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო/ევროპული ორგანოების გამოცდილების, ისე სხვა სახელმწიფოთა საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. ამ გზით შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის განვითარება და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო/ევროპულ სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკასთან მათი შესაბამისობაში მოყვანა.

სტატიათა კრებული საზოგადოებას აცნობს არა მხოლოდ გამოცდილი იურისტების მოსაზრებებს სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე, არამედ ასევე ახალგაზრდა, დამწყები იურისტების შეხედულებებს. ამიტომ წელს კრებულში თავმოყრილია თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის რამდენიმე სტუდენტის – ნატალია ანესაშვილის, ალექსანდრე გრძელიძის, ლაშა გულუაშვილის, ზურაბ ლებანიძის – სტატიები.

წინამდებარე კრებული გამოიცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან არსებული საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ.

საყურადღებოა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეგიდით ადამიანის უფლებათა საკითხებზე ეს კრებული რიგით მეოცეა, საიუბილეოა.

კრებულის გამოცემის საქმეში განეული დახმარებისათვის გულწრფელი მადლობა მინდა გადავუხადო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანს, თამარ ზარანდიასა და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის დირექტორს, ირინე ქურდაძეს. უდიდესი მადლიერება მინდა გამოვხატო

თამარ გაბელაიას მიმართ, რომელმაც უზრუნველყო სტატიების ენობრივი გამართულობა.

კრებული განკუთვნილია როგორც იურიდიული პროფესიების წარმომადგენლებისათვის, მათ შორის: მოსამართლეებისათვის, ადვოკატებისათვის, პროკურორებისა და ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომელთათვის, ისე ადამიანის უფლებათა საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

ავტორთა მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს იმ ორგანიზაციების პოზიციებს, რომლებშიც ისინი მოღვაწეობენ.

წინამდებარე კრებული, როგორც აქამდე გამოცემული კრებულები, ვრცელდება უფასოდ.

კონსტანტინე კორკელია

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო
სამართლის პროფესორი

2025 წლის 17 ნოემბერი

ადამიანის უფლება ჯანსაღ გარემოზე საერთაშორისო და ეროვნული სამართლის კონტექსტში: სახელმწიფოთა გლობალური პასუხისმგებლობა

ანა ფირცხალაშვილი
ირაკლი სამხარაძე

1. შესავალი

კლიმატის ცვლილება, უკვე მრავალი წელია, აღარ არის მხოლოდ სამომავლო საფრთხე. იგი დღევანდელი დღის მწვავე და გადაუდებელი გლობალური პრობლემაა. მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (WMO) მონაცემებით, 2023 წელი ერთ-ერთი ყველაზე ცხელი იყო, რაც ტემპერატურის სისტემური დაკვირვებების დანყების შემდეგ იქნა განცდილი.¹ ამ ფონზე სათბური აირების ემისიებმა, განსაკუთრებით კი ნახშირორჟანგის (CO_2), 2022 წელს რეკორდულ ნიშნულს – 37 მილიარდ ტონას მიაღწია.² ასეთი მასშტაბის გაფრქვევა მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს გლობალური დათბობის პროცესს, რაც იწვევს ექსტრემალურ კლიმატურ მოვლენებს და საფრთხეს უქმნის მილიონობით ადამიანის ჯანმრთელობას, საცხოვრებელ გარემოსა და ეკონომიკურ სტაბილურობას.

აღსანიშნავია ისიც, რომ გლობალური ენერგომოხმარება 1970 წლიდან თითქმის გაორმაგდა, და თუ გავითვალისწინებთ პროგნოზებს, 2035 წლისთვის მსოფლიო ენერგეტიკულ მოთხოვნას ოთხჯერადი ზრდა ელის. ეს ტენდენცია მოითხოვს ენერგეტიკული სისტემების ტრანსფორმაციას: შემცირდება დამოკიდებულება ქვანახშირსა და ნავთობზე, ხოლო ელექტროენერგიის მოხმარება, განსაკუთრებით დაბალი ნახშირბადის საფუძვლებიდან, თითქმის გაორმაგდება.³ განახლებადი ენერგიის წყაროები, როგორებიცაა, მაგალითად, ქარის, მზის, წყლის და გეოთერმული რესურსები, უფრო მნიშვნელოვანი გახდება ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და კლიმატის მდგრადობის უზრუნველსაყოფად. ამავდროულად, მოსალოდნელია, რომ ატომური ენერგიის როლი, გარკვეულწილად, შემცირდება, თუმცა ტექნოლოგიური ინოვაციები ამ მიმართულებით კვლავ მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს.

1 იხ. <https://wmo.int/media/news/wmo-confirms-2023-smashes-global-temperature-record?utm_source=chatgpt.com> (უკანასკნელად გადამოწმდა: 01.08.2025).

2 იხ. <https://www.climate.gov/news-features/understanding-climate/climate-change-atmospheric-carbon-dioxide?utm_source=chatgpt.com> (უკანასკნელად გადამოწმდა: 01.08.2025).

3 ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო, World Energy Outlook 2010, <<https://www.iea.org/newsroom/news/2010/november/world-energy-outlook-2010.html#77-101>>, უკანასკნელად გადამოწმდა: 01.08.2025.

კლიმატის ამგვარი ცვლილება და მისი მზარდი მასშტაბები მხოლოდ გარემოსთან დაკავშირებული პრობლემა აღარ არის. ის პირდაპირი საფრთხეა ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისთვისაც. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლება გარემოს დაცვაზე ჯერ არ თავსდება კლასიკურად აღიარებულ და გარანტირებულ უფლებათა კატალოგში, გარემოსგან მომდინარე რისკები დიდ საფრთხეს უქმნის ადამიანის როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე უზრუნველყოფილ უფლებებს, მაგალითად: სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლებას, საკუთრების უფლებას. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გარემოს ცვლილებები მეტად უარყოფით ზეგავლენას ახდენს საზოგადოების ისეთ მონყვლად ფენებზე, როგორებიცაა: მოხუცები, ბავშვები ან ქრონიკული დაავადების მქონე პირები, ასევე სოციალურად შეჭირვებული ადამიანები. ენერგიის მიწოდების უნივერსალურობა შორსაა რეალობისგან. მსოფლიო მოსახლეობის მესამედს ჯერ კიდევ არ აქვს წვდომა თანამედროვე ენერგეტიკულ რესურსებზე. შემაშფოთებელია, რომ, გაეროს სტატისტიკით, ორ მილიარდამდე ადამიანს არ აქვს წვდომა არსებულ ენერგეტიკულ სერვისებთან და მაღალია მაჩვენებელი ისეთი ადამიანებისა, რომლებიც ენერგეტიკულ „სიღარიბეში“ ცხოვრობენ.⁴ სწორედ ამიტომ გარემო პირობების გაუარესება ბუნებრივად წარმოქმნის დისკრიმინაციას ასეთი მონყვლადი ჯგუფების მიმართ.

სტატიაში პასუხი უნდა გაეცეს კითხვას – არის თუ არა უფლება ჯანსაღ გარემოზე ადამიანის ახალი უფლება, რა სიკეთეებს მოუტანს მისი ასეთად აღიარება ინდივიდებს, სახელმწიფოებს, საერთაშორისო საზოგადოებას და, რაც მთავარია, რამდენად შესაძლებელია გარემოს დაცვის პოლიტიკის მიღმა ადამიანის სუბიექტური უფლების რეალიზება. ამ კითხვების გასაანალიზებლად, სტატიის ფარგლებში, შედარებითი სამართლებრივი მეთოდით, ანალიტიკურ მსჯელობაზე დაყრდნობით, საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის გამოყენებით, სასამართლო პრაქტიკის განზოგადებით აიგება ამ უფლების ევოლუციის ნათელი სურათი. შედეგად, პასუხი გაეცემა იმ სამომავლო პერსპექტივას, რომელიც აქვს ადამიანის უფლებას ჯანსაღ გარემოზე.

ის თეორიული და პრაქტიკული სირთულეები, რომლებიც მოჰყვება ჯანსაღ გარემოში ადამიანის უფლების გააზრებას და მის იმპლემენტაციას, შეიძლება, შემდეგ ძირითად საკითხებად ჩამოყალიბდეს: ა) ბუნდოვანი განმარტების პრობლემა. რადგან აღქმა და ზოგადი მოთხოვნები განსხვავებულია „ჯანსაღი გარემოს“ მიმართ, ერთიანი და ყოვლისმომცველი, საერთაშორისოდ აღიარებული განმარტება ძნელი მისაღწევია; ბ) სირთულე აღსრულებასა და პასუხისმგებლობის დაკისრებაში. გარემოზე ზემოქმედების გამოვლენა და პასუხისმგებელი პირების

4 ამ საკითხზე დამატებით იხ.: თ. კვარაცხელია, მ. მარგველაშვილი, ნ. შათირიშვილი, ენერგეტიკული სიღარიბე და მონყვლადი მომხმარებლები საქართველოში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის, თბ., 2018.

იდენტიფიცირება რთულია, რადგან გარემოსდაცვით პრობლემებს ხშირად აქვთ კოლექტიური მიზეზები, რომლებიც ადვილად არ მიენერება ერთ რომელიმე მოთამაშეს. შესაბამისად, ხშირად რთულია გაირკვეს, პასუხისმგებელი არის სახელმწიფო, იურიდიული პირი თუ კონკრეტული ინდივიდი; გ) საკუთრების უფლებასთან ხშირი კონფლიქტი. ზოგჯერ საკუთრების უფლება შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ჯანსაღი გარემოს უფლებას. მართალია, ინდუსტრიალიზაცია და ეკონომიკური ზრდა აუცილებელია სახელმწიფოს განვითარებისათვის, თუმცა ზოგიერთი ბიზნესი იწვევს გარემოზე მომეტებულ საფრთხეს და ხშირად დიდ ინვესტიციებს საჭიროებს; დ) საერთაშორისო განზომილება და პოლიტიკური წინააღმდეგობა. გარემოსდაცვით პრობლემებს, როგორებიცაა, მაგალითად, კლიმატის ცვლილება, არ აქვს საზღვრები და ის მოითხოვს გლობალურ, სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობას, ამიტომ მსგავსი ინიციატივები ხშირად აწყდება წინააღმდეგობას მთავრობების ან ისეთი სპეციალური ჯგუფების მხრიდან, რომელთა ეკონომიკური ინტერესი საფრთხეშია; ე) გრძელვადიანი ეფექტი. ჯანსაღი გარემოს დაცვის უფლების დარღვევას აქვს გრძელვადიანი და უხილავი ეფექტი. გარემოს დაზიანების შედეგები ხშირად მხოლოდ წლების შემდეგ იჩენს თავს. ეს კი ართულებს პასუხისმგებლობის დაკისრებას და კანონიერ აღსრულებას, რადგან გრძელვადიანი ზიანის შეფასება რთულია.

ამ, ერთი შეხედვით, კომპლექსურ და რთულად გადასაწყვეტ პრობლემებს სამართალმა შეიძლება გასცეს პასუხი, თუმცა არა ერთი რომელიმე განცალკევებული სახელმწიფო იურისდიქციის ფარგლებში, არამედ ეფექტიანი, მრავალმხრივი რეგულირებით, რაც მხოლოდ საერთაშორისო ძალისხმევითაა შესაძლებელი. პასუხები რამდენიმე პერსპექტივიდან უნდა შემუშავდეს. სწორედ აქედან გამომდინარე, სტატიის პირველ ნაწილში განხილული იქნება ის კონცეპტუალური საკითხები, რომლებიც ადამიანის უფლებათა თეორიულ დასაბუთებას უდევს საფუძვლად. შემდეგ ეტაპზე კი საკითხი გაანალიზდება საერთაშორისო სამართლისა და ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე, რასაც ნაციონალური და ტრანსნაციონალური სასამართლო პრაქტიკის ანალიზი მოჰყვება. დაბოლოს, ნაშრომის ძირითადი მიგნებები დასკვნით ნაწილში შეჯამდება.

2. ადამიანის უფლებათა დაცვიდან მათი უზრუნველყოფისკენ: სახელმწიფოს როლის ტრანსფორმაცია და გარემოს უფლება

ადამიანის უფლებათა პირველადი, ისტორიული ფუნქცია თავდაცვითია. ეს გულისხმობს უფლებას, დაიცვას ადამიანი სახელმწიფოს ჩარევისაგან. მიუხედავად ამისა, წლების განმავლობაში, განსაკუთრებით კი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან, მან ახალი და მნიშვნელოვანი დანამატი შეიტავსა. უფლებათა ეს ფუნქცია სახელმწიფოს, როგორც ძირითად უფლებათა „მცველის“ ან, ასევე, „გარანტორის“

ფუნქციას გულისხმობს.⁵ მისი დანიშნულებიდან გამომდინარე, იგი იმ თავისუფლებებსაც კი მოიცავს, რომელთაც სახელმწიფოს მიმართ თავდაცვითი ხასიათი აქვთ და სახელმწიფოს განუყოფელი „დაცვის ვალდებულება“ ეკისრება. გერმანულ თეორიაში მას „დაცვის ვალდებულებას“ (*Staatliche Schutzpflicht*) უწოდებენ. თეორიის თანამედროვე ფუძემდებელი, მართალია, არის რობერტ ალექსი⁶, თუმცა სამართალწარმოებაში ის წარმატებით განავითარა გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ.⁷ არანაკლებ საინტერესოა „დაცვის ვალდებულების“ იდეური ისტორია, რომელიც ძირითად უფლებათა „თავდაცვით“, იმავე ნეგატიურ, ფუნქციაზე უფრო ადრე სახელმწიფოს მიერ ადამიანის მიმართ „დაცვის ვალდებულების“ ფუნქციას ხედავდა. ამ მხრივ საყურადღებოა, მაგალითად, თომას ჰობსის ლევიათანი.

ჰობსის აზრით, „ადამიანები მუდმივად სიკვდილის შიშში არიან, რადგან არ აქვთ მყარი გარანტიები უსაფრთხოებისთვის“. მისი აზრით, ეს გარანტია სახელმწიფო უნდა იყოს.⁸ მართალია, ის ამით ამართლებს „ძლიერი“ (მათ შორის ტოტალიტარული) სახელმწიფოს არსს, თუმცა ამგვარი სახელმწიფოს მთავარ ფუნქციად სწორედ ადამიანის (და არა მონარქიის ან ეკლესიის) ინტერესიდან გამომდინარე ხედავს, რაშიც უპირველესად საკუთარი მოქალაქის დაცვა იგულისხმება. ჯონ ლოკმაც თავის „სახელმწიფოს იდეაში“ განავითარა ადამიანის სახელმწიფოს მიერ დაცვის ვალდებულების თეორია,⁹ თუმცა, ჰობსისგან განსხვავებით, ის არ ამართლებს ლევიათან-სახელმწიფოს ძალადობას. სახელმწიფოს მიერ უფლებათა „დაცვის ვალდებულების“ იდეას ასევე ავითარებდნენ იმანუელ კანტი და ჯორჯ ვილჰელმ ჰეგელი.¹⁰ თეორიის მიხედვით, სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება ვრცელდება მესამე პირთაგან მომავალ საფრთხეებზე,¹¹ ხოლო კიდევ უფრო მოგვიანებით ამ თეორიით სახელმწიფოს მიერ ძირითად თავისუფლებათა „დაცვის ვალდებულება“ ვრცელდება არა მხოლოდ მესამე პირები-

5 F.O. Kopp, Grundrechtliche Schutz- und Förderungspflichten der öffentlichen Hand, in: NJW 1994, 1753 ff.; P. Preu, Freiheitsgefährdung durch die Lehre von den Grundrechtlichen Schutzpflichten, in: JZ 1991, 265 ff.

6 R. Alexy, Theorie der Grundrechte, 2. Auflage, Frankfurt am Main, 1994.

7 BVerfGE 7, 198, 205 ff. (Lüth, 1958); BVerfGE 39, 1 (1. Urteil zum Schwangerschaftsabbruch, 1975, BVerfGE 49, 89, 141 f. (Kalkar, 1978); BVerfGE 53, 30, 57 (Mühlheim-Kärlich 1979); BVerfGE 56, 54, 73 (Fluglärm, 1981); BVerfGE 77, 170, 214 (C-Waffen, 1987); EuGRZ 1998, 172, 173, (Nichttraucherschutz).

8 Th. Hobbes, Leviathan, Form und Gewalt eines kirchlichen und bürgerlichen Staates (1651), Frankfurt am Main 1884, 131.

9 J. Locke, Two Treatises of Government, deutsche Ausgabe: Zwei Abhandlungen über die Regierung, 7. Auflage, Frankfurt am Main 1998 II, 138.

10 G.W.F. Hegel, Grundlinien der Philosophie des Rechts, Stuttgart 1970, § 261; I. Kant, Rechtslehre, Schriften zur Rechtsphilosophie, Berlin 1988; I. Kant, Die Metaphysik der Sitten, Der Rechtslehre, 2. Teil, Berlin 1902.

11 J. Isensee, in: Isensee / Kirchhof, HdStR V§ 111; K. Stern, Staatsrecht III, München 1988, 945 ff.; R. Alexy, Theorie der Grundrechte, 2. Auflage, Frankfurt am Main 1994, 410.

დან მომავალ, არამედ ასევე ისეთ საფრთხეებზე, რომლებიც მომდინარეობენ სხვა სახელმწიფოებიდან ან, ასევე, ბუნებრივი კატასტროფებიდან, გარემოს ცვლილებებით გამოწვეული პრობლემებიდან.¹² იმ არგუმენტით, რომ თავისუფლებების უფლებებს საფრთხე შეიძლება თანაბრად შეუქმნან არა მხოლოდ მესამე პირებმა, არამედ, ასევე, სხვა ისეთმა მოვლენებმა, რომლებიც არ მომდინარეობენ სახელმწიფოს მოქმედებებიდან. ასეთი შეიძლება იყოს, მაგ., ბუნებრივი მოვლენები. შესაბამისად, ყველა იმ უფლებაზე, რომლებიც ძირითად უფლებათა კატალოგითაა გათვალისწინებული და მას კონკრეტულ საქმეში არღვევს სახელმწიფო, ამ უკანასკნელს ეკისრება მისი „დაცვის ვალდებულება“. ასეთი საფრთხეები, ნათელია, ცვალებად გარემოში შეიძლება ცვალებადიც იყოს. სწორედ ძირითად უფლებათა იდეის განვითარება იწვევს ახალი საფრთხეების მიმართ ძირითად უფლებათა მოქმედების არეალის გაფართოებას.

დღეს მეცნიერები თანხმდებიან იმაზე, რომ ძირითად უფლებებს, ვერტიკალურთან (სახელმწიფო – ფიზიკური/იურიდიული პირი) ერთად, აქვს ჰორიზონტალური (ფიზიკური/იურიდიულ პირებს შორის) მოქმედების ძალა,¹³ რადგან უდავოა, რომ ძირითადი უფლების დარღვევის საფრთხე იმავე ინტენსივობით მოდის არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ მესამე პირების, უცხო სახელმწიფოების, ან ბუნებრივი მოვლენების (კატასტროფების) მხრიდანაც. უფლებათა გარანტიების ეფექტურად მისაღწევად სახელმწიფო ადამიანის ძირითადი უფლებით აღიარებულ სიკეთეს ყოველგვარი ჩარევისაგან უნდა იცავდეს.¹⁴

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, გადაიხედოს ადამიანის უფლებათა ისტორიული კონტექსტიც. ადამიანის ყველა ის უფლება, რომლებიც დღეს აღიარებული და დაცულია, არის ბრძოლით მოპოვებული,¹⁵ მაგალითად: თანასწორობა, ქალთა უფლებები, შრომითი უფლებები და კიდევ სხვ. შესაბამისად, ის, რომ რომელიმე უფლების აღიარება ან მისი გარანტიები ეროვნულ ან საერთაშორისო სამართალ-

12 L. Jaeckel, Schutzpflichten im deutschen und europäischen Recht: Eine Untersuchung der deutschen Grundrechte, der Menschenrechte und Grundfreiheiten der EMRK sowie Grundrechte und Grundfreiheiten der Europäischen Gemeinschaft, Baden-Baden 2001, 63; J. Dietlein, Die Lehre von den grundrechtlichen Schutzpflichten, Berlin 1992, 120-122; M. Sachs, Die Grundrechte als objektives Recht und als subjektive Rechte, in: Stern (Hrsg.), Staatsrecht III/1, München 1988, 477; A. Robbers, *Alexy, Robert*, Grundrechte als subjektive Rechte und als objektive Normen, in: Der Staat, Band 29, 1990, 124; Klein H.-H., DVB1 1994, 489, 490; A. Phirtskhalashvili, Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung. Georgiens vom 24. August 1995, Potsdam, 2010, 80.

13 I. v. Münch, Staatsrecht, 5. Auflage, Hamburg 2001, 181; H. G. Nipperdey, Freie Entfaltung der Persönlichkeit, in: Bettermann/Nipperdey (Hrsg.), Die Grundrechte: Handbuch der Theorie und Praxis der Grundrechte, Band IV, 2. Halbband, Berlin, 1962, 747; K. Stern, das Staatsrecht der BRD, Bd. III/ 1, 1560, 1572; A. Phirtskhalashvili, Schutzpflichten und die horizontale Wirkung von Grundrechten in der Verfassung. Georgiens vom 24. August 1995, Potsdam, 2010, 24.

14 ბ. ლოლაძე, ა. ფირცხალაშვილი, ძირითადი უფლებები, კომენტარი, თბ., 2023, 51.

15 იხ.: რ. ფ. იერიנגი, ბრძოლა უფლებისათვის, გერმანულიდან თარგმნა იაზონ ბაქრაძემ, თბ., საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2000.

ში ნაკლებად არის განხორციელებული, არ იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ ეს ასე უნდა დარჩეს. პირიქით, როგორც კი აუცილებლობა ჩნდება, სამართალი სწორედ მაშინ რეაგირებს საზოგადოებრივ საჭიროებებზე, და იწყება ბრძოლა ამ უფლებათა ინდივიდუალურ-სუბიექტურ აღიარებასა და შესაბამისი ინსტიტუციური გარანტიების შექმნაზე.

ადამიანის უფლებათა თეორია ძირითად უფლებებს ორი მნიშვნელობით წარმოაჩენს: პირველი, თითოეული ადამიანის სუბიექტურ უფლებად (მოთხოვნად), მიიღოს ამ უფლებით დაცული გარანტიები და, მეორე, ძირითად უფლებად, როგორც ობიექტურ ღირებულებად. ეს უკანასკნელი ავალდებულებს სახელმწიფოს ცალკეული წესებისა და ინსტიტუციების შექმნას. ამ პრინციპით უნდა იქნეს განხილული გარემოს დაცვის უფლება – სუბიექტურად გამოხატული, რომ პირს ჰქონდეს კონკრეტული მოთხოვნის საფუძველი, და, ასევე, ობიექტური მხარე, რომლითაც ხელისუფლება ვალდებული ხდება, შექმნას წესები და რეგულაციები და ზოგიერთ შემთხვევაში ინსტიტუციები, რათა გარანტირებული იყოს კონკრეტული ძირითადი უფლება.

სწორედ ამ პერსპექტივიდან გამომდინარე, ჯანსაღი გარემოს დაცვის უფლებასთან დაკავშირებით განხილული უნდა იყოს, ერთი მხრივ, უფლების ობიექტური მხარე, რაც გამოხატულია სახელმწიფოს მიერ შექმნილ კანონმდებლობაში, მის სისტემურ მიდგომასა და პოლიტიკაში, და, მეორე მხრივ, უფლების სუბიექტური მხარე, რაც განისაზღვრება სასამართლო უფლების რეალიზებით. აქ იგულისხმება ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა.

3. ჯანსაღ გარემოზე ადამიანის უფლების გარანტიები საერთაშორისო, ევროპის კავშირისა და ეროვნულ სამართალში

3.1. საერთაშორისო სამართალი

არსებობს რამდენიმე საერთაშორისო დოკუმენტი, რომელთაგან ნაწილი პირდაპირ და ზოგიერთი არაპირდაპირ აღიარებს ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებას. ყველაზე მნიშვნელოვანი მათგან არის გაეროს რეზოლუციები, რომლებშიც მკაფიო მითითებაა გარემოს დაცვაზე, როგორც ადამიანის ძირითად უფლებაზე. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 2021 წლის რეზოლუციით¹⁶ ოფიციალურად აღიარებულია უფლება სუფთა, ჯანსაღ და მდგრად გარემოზე, როგორც ადამიანის უფლება. გაეროს გენერალური ასამბლეის 2022 წლის რეზოლუციით¹⁷ კიდევ ერთხელ დასტურდება უფლება ჯანსაღ გარემოზე, როგორც ადამიანის საყოველთაო უფლება და კეთდება მონოდება სახელმწიფოების აქტიური თანამშრომლობისკენ. პარალელის გავლების მიზნით, ადამიანის უფლებათა დაცვის

¹⁶ რეზოლუცია 48/13, Resolution adopted by the Human Rights Council, 8 October 2022.

¹⁷ რეზოლუცია A/76/L.75, General Assembly, 26 July 2022.

სამართლებრივი ინსტრუმენტები ენერგიის უფლებაზე პირდაპირ არ ამახვილებს ყურადღებას.¹⁸ კვლავ დისკუსიის საგანია, არსებობს თუ არა და რას მოიცავს ამგვარი უფლება. ეს დებატი ათასწლეულებს ითვლის და სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებულია ხედვაც, რასაც საფუძვლად განსხვავებული საერთაშორისო მექანიზმები უდევს. ერთ-ერთი პირველი არის გაეროს გენერალური ასამბლეის 1962 წლის რეზოლუცია, რომელშიც ხაზგასმულია სახელმწიფოების „ეროვნული სიმდიდრისა და რესურსების ექსპლუატაციის სუვერენული უფლება“ მათ ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების წარმოებისა და გამოყენების მიმართ.¹⁹

დამატებით, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და დეკლარაციებში გარანტირებულია ადამიანის სუბიექტური უფლებები, თუმცა ამ შემთხვევაში არა პირდაპირ ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება, არამედ ის უფლებები, რომლებიც კავშირშია ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებასთან. მაგალითად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (UDHR, 1948 წ.), რომლის 25-ე მუხლიც უზრუნველყოფს ცხოვრების ადეკვატური სტანდარტის უფლებას, ჯანმრთელობის ჩათვლით. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს აშკარა მითითება გარემოს დაცვის შესახებ, ცხოვრების ჯანსაღი სტანდარტი მოითხოვს ჯანსაღ გარემოს. ამ მუხლის უშუალო ყურადღების მიღმა რჩება მითითება ენერგიის უფლებაზეც, რომელიც ასევე ცხოვრების ჯანსაღი გარემოს შესაქმნელადაა მნიშვნელოვანი.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR, 1950 წ.) მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება) ევროპული სასამართლოების მიერ იქნა განმარტებული ისე, რომ ასევე მოიცავს გარემოსდაცვითი ასპექტები, თუ ისინი გავლენას ახდენენ სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე. ორპუსის კონვენცია (1998 წ.) აძლიერებს გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას, საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას გარემოს დაცვის საკითხებში.

ასევე, საყურადღებოა საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (ICESCR, 1966 წ.), რომლის მე-12 მუხლით აღიარებულია სახელმწიფოს ვალდებულება ყოველი ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მაღალი სტანდარტის მიღწევაში. ეს, თავის მხრივ, მოიცავს ღონისძიებებს გარემო პირობების გასაუმჯობესებლად და სივრცეს ტოვებს იმ ოპტიმისტურად განწყობილი იურისტებისთვის, რომელთაც სჯერათ საერთაშორისო ხელშეკრულებების უფრო ფართო ინტერპრეტაციისა. აქვე, ICESCR-ის მე-11 მუხლი განსაზღვრავს რამდენიმე უფლებას, რომლებიც საჭიროებენ ენერგოსერვისებისადმი ადეკვატურ წვდომას. გარდა ამისა, ICESCR-ის მე-6 და მე-7 მუხლები, რომლებიც მუშაობის უფლებას ადგენენ, ვერ განხორციელდება თანამედროვე ენერგორესურსებზე წვდომის გარეშე.

18 იხ. Kvantavala A., Samkharadze I., Kinzel F., The Right to Energy: Lessons from the Development of the Right to Water, *Journal of Human Rights and Environmental Protection*, 14 (01), Edward Elgar Publishing, 2023, pp. 49-66.

19 რეზოლუცია N 1803, United Nations General Assembly resolution # 1803 (XVII) (1962).

ასევე მნიშვნელოვანია სტოკჰოლმის დეკლარაცია (1972 წ.),²⁰ რომლის პირველი პრინციპის მიხედვით, ადამიანებს აქვთ თავისუფლების, თანასწორობის და ადეკვატური ცხოვრების პირობების ფუნდამენტური უფლება ისეთ გარემოში, რომელიც იძლევა ღირსეული არსებობის საშუალებას. დეკლარაციის მეორე პრინციპი აკავშირებს გარემოსა და განვითარებას ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების აუცილებლობასთან.

უაღრესად საგულისხმოა 1979 წლის ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) კონვენცია, რომელიც ენერგიის უფლების ერთგვარი პიონერული აღიარებაა საერთაშორისო სამართალში და მიუთითებს (მე-14 მუხლი) ენერგეტიკული მომსახურების თაობაზე, კერძოდ კი ელექტროენერგიაზე, როგორც ცხოვრების ადეკვატური დონის უზრუნველყოფის უმთავრეს საშუალებაზე.

3.2. ევროპის კავშირის სამართალი

საინტერესო და დამოუკიდებელ შეფასებას იმსახურებს „ჯანსაღ გარემოზე“ უფლების ევროპული მიდგომა. კერძოდ, ევროპის კავშირის პირველადი სამართლის სფეროს მიკუთვნებულ სადამფუძნებლო შეთანხმებებში არ არსებობს ისეთი ჩანაწერი, რომელიც ცალსახად ჩამოაყალიბებდა „ჯანსაღ გარემოზე“ საყოველთაო უფლებას, როგორც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას, თუმცა ეს უფლება არაპირდაპირ სხვადასხვა დონეზე გარანტირებულია ევროპის სხვადასხვა ხელშეკრულებით და მეორეული კანონმდებლობით – რეგულაციებითა და დირექტივებით. მაგალითად, ევროპის კავშირის პირველადი სამართლის ძირითადი უფლებების ქარტიის (2000 წ.) 37-ე მუხლის (გარემოს დაცვა)²¹ მიხედვით, „გარემოს დაცვის მაღალი დონე და გარემოს ხარისხის გაუმჯობესება ინტეგრირებული და უზრუნველყოფილი უნდა იყოს კავშირის პოლიტიკაში“. ეს ჩანაწერი, მართალია, არ აღიარებს ჯანსაღ გარემოში ცხოვრებას ადამიანის სუბიექტურ უფლებად, თუმცა იგი ავალდებულებს ევროპის კავშირს და მის წევრ ქვეყნებს, გაითვალისწინონ გარემოს დაცვის ღონისძიებები თავიანთ გადანაცვლებებში.

იმავის მტკიცება შეიძლება ხელშეკრულებაზე ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ (TFEU), რომლის 191-ე-192-ე მუხლების მიხედვით დადგენილია ევროპის კავშირის გარემოსდაცვითი პოლიტიკა,²² ხოლო ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების (TEU) მე-3 მუხლით კი უზრუნველყოფილია გარემოს დაცვის მაღალ სტანდარტზე დაფუძნებით ევროპის კავშირის მდგრადი განვითარება.

20 United Nations, Declaration of the United Nations Conference on the Human Environment. United Nations Conference on the Human Environment, Stockholm, Sweden, 1972.

21 “A high level of environmental protection and the improvement of the quality of the environment must be integrated into the definition and implementation of the Union's policies and activities, in particular to promote sustainable development.”

22 TFEU, 191-193.

რება.²³ საგულისხმოა TFEU-ს 194-ე მუხლიც, რომელიც უშუალოდ ენერგეტიკის რეგულირებას ეხება და დარგის მატერიალურ-სამართლებრივ ბაზისს ქმნის. ის არ აცხადებს უფლებას ენერგიაზე, თუმცა ახდენს იმ ღონისძიებების რეგულირებას, რომლებიც ევროპის კავშირის ძირითადი ენერგეტიკული სამი ძირითადი მიზნის შესრულებას ემსახურება: კონკურენცია-ლიბერალიზაცია, მიწოდების უსაფრთხოება და მდგრადი განვითარება.²⁴

ევროპის კავშირის გარემოსდაცვითი პოლიტიკა მხოლოდ პირველადი და მეორეული კანონმდებლობის მთავარ აქტებს როდი ეყრდნობა. წლების განმავლობაში ევროპის კავშირმა კლიმატისა და ენერგეტიკის დიპლომატიის და სათანადო რბილი ძალის გამოყენებით სფეროში გლობალური ლიდერის ფუნქცია იკისრა, რადროსაც, ევროინტეგრაციის „საშინაო დავალებასთან“ ერთად, აქტიურად განავითარა ენერგეტიკისა და კლიმატის პანევროპული პორტფელიც. ამ პოლიტიკის ერთ-ერთი უკანასკნელი თვალსაჩინო გამოვლინება არის 2019 წელს ევროპის კომისიის მიერ „ევროპის მწვანე შეთანხმების“ კომუნიკაციის მიღება.²⁵ მისი შინაარსი ისაა, რომ მომდევნო სამი ათწლეულის მიწურულს ევროპა ბოლომდე იტყვის უარს ნახშირბადზე და ტრადიციულ ენერგორესურსებს გარემოზე მხოლოდ მინიმალური ზემოქმედებით განახლებადი, ალტერნატიული წყაროებით ჩაანაცვლებს. სხვა სიტყვებით, საკითხი ეხება უახლეს დეკარბონიზაციის გეგმას, – „ნახშირბადნიტრალურობის“ ამბიციას, – რომელიც მიზნად ისახავს ევროპის კონტინენტის გარდაქმნას სამართლიან, თანამედროვე, რესურსების მიმართ ეფექტურ და კონკურენტული ეკონომიკის მქონე საზოგადოებად.

3.3. ევროპის კლიმატის კანონი და „Fit for 55“-ის საკანონმდებლო პაკეტი

საყურადღებოა, რომ ზემოაღნიშნული ევროპის მწვანე შეთანხმების ფარგლებში დასახული ამბიციური მიზნების იურიდიული იმპლემენტაციის მიზნით, 2021 წელს ევროპის კავშირმა მიიღო ევროპის კლიმატის კანონი, რომელმაც ახალ ეტაპზე გადაიყვანა კლიმატის პოლიტიკა გაერთიანების სამართლებრივ სისტემაში.²⁶ ამ აქტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურება ის არის, რომ იგი რეგულაციის ფორმით იქნა მიღებული და, შესაბამისად, პირდაპირი მოქმედების უნარით გა-

23 TEU, (1), (2): “The Union’s aim is to promote peace, its values and the well-being of its peoples.” The Union shall work for the sustainable development of Europe based on balanced economic growth and price stability, a highly competitive social market economy, aiming at full employment and social progress, and a high level of protection and improvement of the quality of the environment.”

24 TFEU, 194 (1).

25 Communication from The Commission to the European Parliament, the European Council, The Council, the European Economic and Social Committee and The Committee of the Regions the European Green Deal COM/2019/640 final.

26 Regulation (EU) 2021/1119 of the European Parliament and of The Council of 30 June 2021 establishing the framework for achieving climate neutrality and amending Regulations (EC) No 401/2009 and (EU) 2018/1999 (European Climate Law).

მოიჩენა ყველა წევრი სახელმწიფოს მიმართ, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს მის ფორმალურ ტრანსპარენციას ეროვნულ კანონმდებლობაში და ქმნის ერთიან, სავალდებულო სამართლებრივ ჩარჩოს.

კლიმატის კანონის მე-2 მუხლით პირველად განისაზღვრა კლიმატენიტრალურობის მიღწევა როგორც ევროპის კავშირის სტრატეგიული და სამართლებრივი მიზანი, რომელიც უნდა შესრულდეს 2050 წლისთვის.²⁷ აღსანიშნავია, რომ კანონში აქცენტი კეთდება არა მხოლოდ ნახშირბადის ნეიტრალურობაზე, არამედ, ფართო გაგებით, კლიმატენიტრალურობაზე, რაც გულისხმობს ყველა სათბური აირის მთლიანად ანაზღაურებად ან შემცირებულ დონეზე დაყვანას, ნარჩენების შემნახველი ტექნოლოგიებისა და ბუნებრივი შთანთქმის პროცესების ჩართვით.

მნიშვნელოვანია, რომ კლიმატის კანონი არ განსაზღვრავს მხოლოდ ინდივიდუალურ ვალდებულებებს, არამედ მას სოლიდარული ფუნქციაც აქვს: მასში მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ კლიმატენიტრალიტეტი ერთობლივად უნდა იქნეს მიღწეული მთელი ევროპის კავშირის მასშტაბით, თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპით. ამით კანონი უსვამს ხაზს ინტეგრირებასა და გამჭვირვალე ძალისხმევის საჭიროებას ყველა წევრი სახელმწიფოს მხრიდან, რაც აძლიერებს საერთო პოლიტიკურ ერთობას.

გარდა კლიმატის შერბილების ღონისძიებებისა, კანონის მე-5 მუხლი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს კლიმატურ ადაპტაციას და ავალდებულებს როგორც ევროპის კავშირს, ისე მის წევრ სახელმწიფოებს, შეიმუშაონ და განახორციელონ ეროვნული ადაპტაციის სტრატეგიები და გეგმები, აგრეთვე გააძლიერონ კლიმატურ რისკებთან შებრძოლების მდგრადობა.²⁸

ევროპის კლიმატის კანონი ასევე ადგენს შუალედურ ვალდებულებებს. კერძოდ, მისი მე-4 მუხლის თანახმად, ევროკავშირმა 2030 წლისთვის სათბური აირების მთლიანი ემისიები მინიმუმ 55%-ით უნდა შეამციროს 1990 წელთან შედარებით.²⁹ სწორედ აქედან მომდინარეობს სახელწოდება „Fit for 55“, რომელიც არის ფართო საკანონმდებლო პაკეტი, შემუშავებული კლიმატის კანონის იმპლემენტაციის გასაძლიერებლად და კონკრეტულ სექტორებზე გასავრცელებლად.

მიუხედავად იმისა, რომ კლიმატის კანონში არ არის განსაზღვრული აღსრულების მკაცრი მექანიზმები ინდივიდუალური წევრი სახელმწიფოებისთვის (მაგალითად, სანქციების ან გადაცდომების დეტალური სამართლებრივი შედეგების სახით), მისი ქმედითობა არ დგება ეჭვქვეშ, ვინაიდან „Fit for 55“-ის პაკეტი მნიშვნელოვნად ამყარებს და აკონკრეტებს კანონის მიზნების განხორციელებას.³⁰

მეტი სიზუსტისთვის, პაკეტი არის ევროპის კავშირის ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბური და ინტეგრირებული საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც შემუშავდა იმის

27 Art 2, European Climate Law.

28 Art. 5, European Climate Law.

29 Art. 4, European Climate Law.

30 S. Schlacke, H. Wentzien, E. Thierjung, M. Köster, Implementing the EU Climate Law via the “Fit for 55” Package, Oxford Open Energy, 2022, 2.

უზრუნველსაყოფად, რომ გაერთიანებამ რეალურად მიაღწიოს კლიმატის კანონის ფარგლებში დადგენილ შუალედურ სამიზნე მაჩვენებლებს. ეს პაკეტი ითვალისწინებს როგორც მოქმედი სამართლებრივი აქტების გადახედვას, ისე ახალი რეგულაციების შემოღებას და მოიცავს 13 ინსტრუმენტს, აქედან 8-ის მოდიფიკაციას და 5-ის ახალ დამტკიცებას, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებულად უზრუნველყოფენ კლიმატური და ენერგეტიკული პოლიტიკის ყველა ძირითადი მიმართულების რეფორმირებას.

პაკეტის ფარგლებში ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მიზანია განახლებადი ენერგიის წილის 40%-ამდე გაზრდა საერთო ენერგომოხმარებაში, რაც ასახულია განახლებადი ენერგიის შესახებ განახლებული დირექტივის (RED II) გადახედვაში.³¹ ეს მიზანი გულისხმობს არა მხოლოდ ელექტროენერგიის გენერაციაში მზისა და ქარის წილის გაზრდას, არამედ ბიოენერგეტიკის, წყალბადისა და გეოთერმული რესურსების უფრო ინტენსიურ ჩართვას ტრანსპორტის, გათბობისა და ინდუსტრიის სექტორებში.

გარდა ამისა, ენერგოეფექტურობის საერთო მიზნები საგრძნობლად გამკაცრდა, სადაც 2030 წლისთვის განსაზღვრულია 36%-იდან 39%-ამდე საერთო ენერგომოხმარების შემცირება.³² ეს მოიცავს ეროვნული სავალდებულო წვლილების განსაზღვრას და მინიმალურ წლიურ დაზოგვის ვალდებულებას ნეფრი ქვეყნების მხრიდან.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სატბური აირების ემისიებით ვაჭრობის სისტემის (EU ETS) რეფორმას, რომელიც გაძლიერდა და გაფართოვდა.³³ ამ კონტექსტში არსებითია ნახშირბადის საზღვრის კორექტირების მექანიზმის (CBAM) შექმნა, რომელიც მიზნად ისახავს შიდა ბაზრის ნახშირბადზე დამოკიდებულებისგან დაცვას და სატბური აირებით მდიდარი იმპორტირებული საქონლის დაბეგვრას, რაც უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებასა და „ნახშირბადით გაჟონვის“ პრევენციას.³⁴

მიუხედავად ამისა, შეფასებულია, რომ აღსრულების მექანიზმები ზოგიერთ შემთხვევაში რჩება შედარებით სუსტი, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება ეროვნული პოლიტიკის გადახედვას ან შეუსრულებლობის კონკრეტულ სამართლებრივ შედეგებს. ნებისმიერ შემთხვევაში, უდავოა, რომ კლიმატენერგეტიკული პოლიტიკის ამგვარი განვითარება, ევროპის მწვანე შეთანხმება და მასთან დაკავშირებული კანონები, განსაკუთრებით ევროპის კლიმატის კანონი და „Fit for

31 Directive (EU) 2018/2001 of the European Parliament and of the Council of 11 December 2018 on the promotion of the use of energy from renewable sources (recast).

32 Directive (EU) 2023/1791 of the European Parliament and of the Council of 13 September 2023 on energy efficiency and amending Regulation (EU) 2023/955 (recast).

33 იხ. <<https://www.bruegel.org/policy-brief/new-governance-framework-safeguard-european-green-deal>>(უკანასკნელად გადამოწმდა: 01.08.2025).

34 Regulation (EU) 2023/956 establishing a carbon border adjustment mechanism, Official Journal of the European Union, L 130, 52–104.

55“-ის პაკეტი, მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების განვითარებაზე. დეკარბონიზაცია და ენერგოეფექტურობის ზრდა შეამცირებს ჰაერის დაბინძურებას, რითაც გაუმჯობესდება მოსახლეობის ჯანმრთელობა. ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება ხელს შეუწყობს ეკოსისტემების დაცვას და კლიმატური ცვლილებების შემსუბუქებას. ამრიგად, ევროპის მწვანე შეთანხმებისა და მასთან დაკავშირებული რეგულაციების იმპლემენტაცია ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებას არა მხოლოდ საკანონმდებლო გარანტიას მიანიჭებს, არამედ პრაქტიკულად რეალურ პირობებს შექმნის, რათა თითოეულმა მოქალაქემ ისარგებლოს სუფთა ჰაერით, ეკოლოგიურად მდგრადი ენერგიით და დაბინძურებისგან თავისუფალი საცხოვრებელი გარემოთი.

3.4. ეროვნული სამართალი

გლობალური ტენდენციის მიხედვით, ქვეყნების რაოდენობა, რომლებიც აერთიანებენ გარემოსდაცვით უფლებებს თავიანთ კონსტიტუციებში, მუდმივად იზრდება. 90-იანი წლებიდან საგრძნობლად იმატა კანონმდებლობებში, ე.წ. მესამე თაობის კონსტიტუციებში, ჩანანერმა გარემოსდაცვითი უფლებების შესახებ. ზოგიერთ მათგანში ჯანსაღ გარემოზე პირდაპირ აღსრულებად, სუბიექტურ უფლებად არის ფორმულირებული,³⁵ ხოლო დანარჩენებში გარემოს დაცვა, როგორც სახელმწიფო მიზანი,³⁶ არის განმტკიცებული და გარემოს დაცვის სუბიექტური უფლების არაპირდაპირი აღიარება სხვა უფლებების მეშვეობით ხდება. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გარემოს დაცვა, ძირითადი კანონის მე-20-ა მუხლის თანახმად, არის სახელმწიფოს ვალდებულება და მიზანი, და იგი პირდაპირ სუბიექტური, აღსრულებადი უფლება არ არის. მიუხედავად ამისა, მის სუბიექტურ აღსრულებას ფარავს სხვა უფლებები, როგორებიცაა: სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება (მე-2 მუხლის მე-2 აბზ.)³⁷, ასევე საკუთრების უფლება (მე-14 მუხლი)³⁸ და, ზოგიერთ შემთხვევაში, ღირსება (1-ელი მუხლი).³⁹

1995 წელს მიღებულმა საქართველოს კონსტიტუციამ, საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და დემოკრატიული კონსტიტუციების მსგავსად, გარემოს დაცვის უფლება ადამიანის ძირითად უფლებად აღიარა. კონსტიტუციის 29-ე მუხლი ორი პუნქტისგან შედგება. პირველი პუნქტით დაცულია ჯანმრთელობისთვის

35 საქართველო, ნორვეგია, პორტუგალია, კოლუმბია, სამხრეთ აფრიკა, ეკვადორი, ფილიპინები, არგენტინა, კენია.

36 გერმანია (მუხლი 20a GG), ინდოეთი (მუხლი 48A), შვედეთი (მე-2 მუხლი).

37 Klimaschutz-Beschluss vom 24. März 2021 (1 BvR 2656/18 u.a.) 2. Beschluss vom 27. April 2021 (2 BvR 206/14).

38 "Brokdorf-Beschluss" (BVerfGE 53, 30 – 1980), Klimaschutz-Beschluss (1 BvR 2656/18 u.a. – 2021) "Garzweiler-Urteil" (BVerfGE 134, 242 – 2014).

39 Klimaschutz-Beschluss vom 24. März 2021 (1 BvR 2656/18 u.a.).

უვნებელი გარემოთი და საჯარო სივრცით სარგებლობის უფლება, ასევე გარემოს მდგომარეობის შესახებ დროული და სრული ინფორმაციის მიღების უფლება. გარდა ამისა, კონსტიტუცია ადგენს ყველას უფლებას, ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე და მონაწილეობდეს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

კონსტიტუციის 29-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა ობიექტური ღირებულება და სახელმწიფოს ვალდებულების დამდგენი ძირითადი ნორმაა, რათა მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინება უზრუნველყოს კანონით (ე.წ. „თაობებს შორის თანასწორობის“ პრინციპი).⁴⁰ ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა⁴¹ მოწმობს, რომ ამ შინაარსის ჩანაწერთან მიმართებით სასამართლომ ფიზიკური პირის სარჩელი მიიღო, იმსჯელა როგორც პირის სუბიექტურ უფლებაზე და სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად გამოაცხადა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, გარემო პირობების მზარდმა დეგრადაციამ და მასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა გარდაუვალი გახადა ჯანმრთელობისთვის უვნებელი გარემოს კონსტიტუციური დაცვის საჭიროება.⁴²

კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულია ადამიანის რამდენიმე უფლება: 1) ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში; 2) სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი; 3) სარგებლობდეს საჯარო სივრცით; 4) დროულად იღებდეს სრულ ინფორმაციას გარემოს მდგომარეობის შესახებ; (5) ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე; და 6) მონაწილეობდეს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი სახელმწიფოს მიმართ ადგენს როგორც ნეგატიურ, ისე პოზიტიურ ვალდებულებას, ამ უკანასკნელს სასამართლო ამგვარად განმარტავს: „სახელმწიფომ გარემო უნდა დაიცვას კერძო პირების მიერ დაზიანებისაგან“.⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ აკისრებს სახელმწიფოს შესაბამისი დადებითი მოქმედების ვალდებულებას. მისი აზრით,⁴⁴ კონსტიტუციის 29-ე მუხლი „განამტკიცებს ადამიანის

40 სამეცნიერო ლიტერატურაში იგი თაობებს შორის თანასწორობის პრინციპითაც არის ცნობილი (intra-generational equity). პრინციპის თანახმად, მომავალი თაობების უფლება ენერგიაზე მცირდება, რამდენადაც ახლახან ხდება ნავთობრესურსების მაქსიმალური გამოყენება. შესაბამისად, სამართლიანობა მოითხოვს, რომ განვითარდეს ალტერნატიული, განახლებადი ენერგია.

41 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება №2/1/524 საქმეზე – საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

42 იქვე, გადაწყვეტილება №2/1/524 II-2.

43 იქვე, II-6.

44 იქვე, II-7.

უფლებას ბუნებრივ გარემოზე, კერძოდ, იმ გარემოზე, რომელიც თავისთავად, ადამიანის ზემოქმედების გარეშე, არსებობს და ადგენს ყველას ვალდებულებას, გაუფრთხილდეს მას“. ამასთანავე, იმავედროულად, სასამართლო ამტკიცებს, რომ, კონსტიტუციის 29-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფომ „საზოგადოებასთან კონსულტაციის შედეგად ან სხვა ფორმით უნდა განსაზღვროს, რა არის ადამიანის ცხოვრებისათვის საუკეთესო გარემო და შემდგომში შეეცადოს, შექმნას იგი აქტიური ჩარევის გზით“.⁴⁵ ამით სასამართლო სახელმწიფოს არ თვლის ვალდებულად, მაგალითად, „გაამწვანოს“ საჯარო სივრცე, ან მოუაროს ტყეს, რომელიც შეიძლება ადამიანის მავნე ზეგავლენას არ განიცდის, თუმცა, კლიმატის ცვლილების გამო, სახელმწიფო ზრუნვას საჭიროებს. ასეთი მიდგომა არ არის საქართველოს კონსტიტუციის სულისკვეთება, რადგან ადამიანის უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, არ შეიძლება მხოლოდ მესამე პირების მიერ იქნეს დარღვეული, მის შენარჩუნებას აუცილებლად სჭირდება „მზრუნველი“ და ეს „მზრუნველი“ ცალსახად არის სახელმწიფო, რადგან ძირითადი უფლებების ადრესატი სწორედ სახელმწიფოა.⁴⁶

4. სასამართლო პრაქტიკა ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებასთან დაკავშირებით საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე

4.1. საერთაშორისო პრაქტიკა

მიუხედავად იმისა, რომ კლიმატის ცვლილების სამართალი შედარებით ახალი სფეროა, რომელიც ატმოსფერულ ჰაერში სათბურის აირების კონცენტრაციის დონის შემცირებას უკავშირდება,⁴⁷ და ამ კუთხით ჯერჯერობით მწირია სასამართლო პრაქტიკა, უკვე არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომლებშიც სასამართლოებმა დაადგინეს სახელმწიფოების მხრიდან კლიმატის ცვლილების სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა, სადაც, სწორედ ადამიანის უფლებების სამართალზე დაყრდნობით, დააკისრეს პასუხისმგებლობა.⁴⁸ ასეთ შემთხვევებში სასამართლო, ძირითადად, აპელირებს პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლებასა⁴⁹ და ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უფლებაზე.⁵⁰

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ იხ. დეტალურად: ბ.ლოლაძე, ა. ფირცხალაშვილი, ძირითადი უფლებები, კომენტარი, თბ., 2023, 750.

⁴⁷ იხ. I. Samkharadze, *Advancing National Climate Law: Is there Room for Mainstreaming EU Climate Action in Georgia?* European Studies in the Caucasus, Vol. 2, 2021, Ibidem-Verlag, pp. 253-278.

⁴⁸ ბ. ლოლაძე, ა. ფირცხალაშვილი, ადამიანის უფლებები, კომენტარი, თბ., 2023, 755.

⁴⁹ *ბასილა რუმინეთის წინააღმდეგ (Băcilă v. Romania)*, 2010 წლის 30 მარტი.

⁵⁰ UNEP, "Factsheet on Human Rights and the Environment: Linkages between Human Rights and the Environment."

საინტერესოა, რომ ახლახან, 2025 წლის 23 ივლისს, საერთაშორისო სასამართლოს მიერ კლიმატის ცვლილების საკითხზე გაიცა საკონსულტაციო დასკვნა (Advisory Opinion), რაც არის მნიშვნელოვანი პროგრესი საერთაშორისო კლიმატის სამართლის განვითარებაში. ამ დასკვნით, სასამართლო არსებითად აფართოებს სამართლებრივ საფუძვლებს, რომელთაგანაც კლიმატური ვალდებულებები მომდინარეობს არა მხოლოდ სახელმეკრულებო სამართლიდან, არამედ საერთაშორისო ჩვეულებითი და ადამიანის უფლებათა სამართლიდან. ისტორიაში პირველად სასამართლომ დაადასტურა, რომ კლიმატის სისტემის დაცვასთან დაკავშირებით სახელმწიფოთა ვალდებულებებს *erga omnes* ხასიათი აქვთ, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს ვალდებულებები საერთაშორისო საზოგადოების მთლიანობის წინაშე არსებობს და, შესაბამისად, მათ დარღვევაზე პასუხისმგებლობის დაკისრება გლობალური სამართლებრივი ინტერესის ფარგლებში ხორციელდება.⁵¹

გარდა ამისა, სასამართლომ ხაზი გაუსვა სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს კერძო სექტორის ქმედებების კონტროლის მიმართულებით და განმარტა, რომ, თუ სახელმწიფო არ იღებს სათანადო ღონისძიებებს თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ეკონომიკური აგენტების სათბური აირების ემისიების რეგულირებისა და პრევენციის მიზნით, ასეთი უმოქმედობა შეიძლება საერთაშორისო სამართლის დონეზე შეფასდეს როგორც დარღვევა. აღნიშნული პოზიცია არსებითად ამკაცრებს სათანადო გულმოდგინების (*due diligence*) სტანდარტს და მნიშვნელოვნად აფართოებს სახელმწიფო პასუხისმგებლობის არეალს, რაც ეხება არა მხოლოდ უშუალოდ სახელმწიფო ქმედებებს, არამედ სახელმწიფოს მიერ კერძო პირების ეფექტიანი კონტროლის ნაკლებობასაც.

საგულისხმოა ასევე, რომ ევროპულ სასამართლოებში სულ უფრო და უფრო იმატებს გარემოს დაცვის, როგორც ადამიანის სუბიექტური უფლების, შესახებ მიმართვიანობა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ საგულისხმო გადაწყვეტილებები მიიღო ჯანსაღ გარემოში ცხოვრებასთან დაკავშირებით,⁵² განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი უახლესი გადაწყვეტილება საქმეზე – *შვეიცარიის კლიმატ-სენიორების ასოციაცია და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland)*.⁵³ ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ

51 International Court of Justice (ICJ), Advisory Opinion on the Obligations of States in respect of Climate Change, 23 July 2025, General List No. 187.

52 *ლოპეს ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ (López Ostra v. Spain)*, 1994 წლის 9 დეკემბერი; *გუერა და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Guerra and Others v. Italy)*, 1998 წლის 19 თებერვალი; *ფადეევა რუსეთის წინააღმდეგ (Fadeyeva v. Russia)*, 2005 წლის 9 ივნისი; *თათარი რუმინეთის წინააღმდეგ (Tătar v. Romania)*, 2009 წლის 27 იანვარი; *დუარტე აგოსტინიო და სხვები პორტუგალიის წინააღმდეგ და 32 სხვა (Duarte Agostinho and Others v. Portugal and 32 Others)*, 2024 წლის 9 აპრილი; *კარემი საფრანგეთის წინააღმდეგ (Carême v. France)*, 2024 წლის 9 აპრილი.

53 *შვეიცარიის კლიმატ-სენიორების ასოციაცია და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland)*, 2024 წლის 9 აპრილი.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო ხედავს პირდაპირ კავშირს გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილებისა და ადამიანის უფლებებს შორის, და ავალდებულებს სახელმწიფოს, გადადგას კონკრეტული ნაბიჯები ამ მიმართულებით. „KlimaSeniorinnen Schweiz“ არის ასაკოვანი ქალების ორგანიზაცია, რომელთა ინტერესების სფერო მოიცავს საქმიანობას კლიმატის ცვლილებისა და გარემოს დაცვით საკითხებზე, რადგან ეს ზეგავლენას ახდენს მათ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. მათ, სხვა პირებთან ერთად, შეიტანეს საჩივარი შვეიცარიის წინააღმდეგ, სადაც აცხადებდნენ, რომ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ღონისძიებების არმილებით შვეიცარიამ დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებები. მათი აზრით, კლიმატის ცვლილების შედეგები, განსაკუთრებით კი ჰაერის ტემპერატურის ზრდა, გავლენას ახდენს მათ სიცოცხლის უფლებასა (მუხლი 2) და პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებაზე (მუხლი 8). მომჩივნები აღნიშნავდნენ, რომ ასაკოვანი ქალები და, ზოგადად, მოხუცები განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან ექსტრემალური სიცხის მიმართ. მომჩივნებმა ითხოვეს, რომ შვეიცარიამ გლობალური დათბობის 1.5C°-ამდე შეზღუდვის მიზნით გაატაროს უფრო მკაცრი ღონისძიებები ტემპერატურის მატების შესამცირებლად. ეს მოთხოვნა კი, ცხადია, პირდაპირ კავშირშია გაეროს კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) პარიზის ხელშეკრულების⁵⁴ მიზნებთან, რომლის ხელშეკრული მხარეცაა შვეიცარია.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ შვეიცარიამ დაარღვია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი. სასამართლომ აღნიშნა, რომ შვეიცარიის მიერ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებები არ იყო საკმარისი, რათა დაცული ყოფილიყო მომჩივნების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა. ამასთან, ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფოებს აქვთ პოზიტიური ვალდებულება, დაიცვან თავიანთი მოსახლეობა გარემოს მიერ გაზრდილი საფრთხეებისგან.

ამ გადანყვეტილებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კლიმატის ცვლილებისა და ადამიანის უფლებების სფეროში. იგი ხაზს უსვამს, რომ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლა არ არის მხოლოდ პოლიტიკური გადანყვეტილება, არამედ ის არის სამართლებრივი ვალდებულებები. ეს საქმე ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოების პასუხისმგებლობაზე კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში, მათ ვალდებულებაზე, დაიცვან მოქალაქეთა ძირითადი უფლებები, განსაკუთრებულად კი მოწყვლადი ჯგუფები.

გარდა ამისა, ამ საქმემ შექმნა ძალიან კარგი პრეცედენტი კლიმატის ცვლილებასა და ადამიანის უფლებათა დაცვას შორის კავშირის დადგენასთან მიმართებით, რაც ამ ტიპის მომდევნო დავებისათვის რთულად შესარყევ ფუნდამენტს ქმნის.

54 United Nations Framework Convention on Climate Change (UNFCCC).

4.2. ეროვნული პრაქტიკა

როგორც აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციისა და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ჯანსაღ გარემოზე ადამიანის უფლების დაცვა არის როგორც სახელმწიფოს ვალდებულება, ისე სუბიექტური აღსრულებადი უფლება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ მიმართულებით ორი მნიშვნელოვანი საქმე აქვს განხილული. ერთ-ერთ საქმეში⁵⁵ მოსარჩელე დავობდა „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის პირველი და მესამე პუნქტების კონსტიტუციურობას. სადავო ნორმების მიხედვით, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და დაინტერესებულ პირს შორის შესაძლებელი იყო, დადებულიყო შეთანხმება, რომლის თანახმადაც, შეთანხმებით გათვალისწინებულ პერიოდში დაინტერესებული პირი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ჩადენილ/განხორციელებულ ქმედებაზე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმართ თავისუფლდებოდა სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან. შეთანხმებით გათვალისწინებულ პერიოდში პირი თავისუფლდებოდა ჯარიმის გადახდის, ზიანის ანაზღაურების, რაიმე სახის ვალდებულების შესრულების ან მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან, შეთანხმების პირობების (გარკვეული თანხის გადახდა ან/და სხვა ვალდებულების შესრულება) შესრულების სანაცვლოდ. მოსარჩელე მხარე მიიჩნევდა, რომ აღნიშნული დანაწესი ეწინააღმდეგებოდა მის კონსტიტუციურ უფლებას, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, რადგან პირს ეძლეოდა საშუალება, განუსაზღვრელი ოდენობის ზიანი მიეყენებინა გარემოსთვის, რაც კანონიერ ქმედებად ჩაითვლებოდა, ეს კი შეიძლებოდა, გარემოსთვის კატასტროფული შედეგების მომტანი აღმოჩენილიყო. აღსანიშნავია, რომ მოპასუხე მხარემ – საქართველოს პარლამენტმა ცნო სარჩელი და დაეთანხმა სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნას.

სასამართლომ საქმე განიხილა კონსტიტუციის 29-ე მუხლით (ძველი რედაქციით 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტი) დაცულ ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლებასთან მიმართებით. მან დაცული სფეროდან გამოორიცხა „პირის უფლება, იცხოვროს მისთვის კომფორტულ ან/და ესთეტიკურად მისაღებ გარემოში და სახელმწიფოსგან მოითხოვოს აღნიშნულის უზრუნველყოფა“.⁵⁶ ასევე განაცხადა, რომ სახელმწიფოს განვითარება, ეკონომიკური და ტექნოლოგიური პროგრესი, ხშირ შემთხვევაში, თავისთავად იწვევს გარემოზე მავნე ზემოქმედების ზრდას. ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა სახელმწიფო ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. შესაბამისად, სახელმწიფოს ხშირად უწევს ეკონომიკური და ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება და დაბალან-

55 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება №2/1/524 საქმეზე – საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

56 იქვე, II-2.

სება. მიუხედავად ამისა, სასამართლოს აზრით, აღნიშნულ საქმეში ეკონომიკური ფაქტორების გამოც კი, შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ დაცულია გონივრული ბალანსი ადამიანის ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების შეზღუდვასა და ეკონომიკურ-სამრეწველო საქმიანობების ხელშეწყობის პოზიტიურ ეფექტებს შორის, რადგან ჯანსაღი გარემოსათვის მიყენებული ზიანი, შესაძლებელია, განუზომლად დიდი იყოს.⁵⁷ სასამართლომ ამ საქმეში ჩათვალა, რომ დარღვეული იყო გონივრული ბალანსი სადავო ნორმით დადგენილი უფლების შეზღუდვასა და მისი მიღებით მიღწეულ პოზიტიურ შედეგებს შორის. სადავო ნორმების მიღებით სახელმწიფო არღვევდა ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის უზრუნველყოფის კონსტიტუციით განსაზღვრულ ვალდებულებებს.

გარემოს დაცვის უფლების ეროვნული პრაქტიკიდან ასევე საგულისხმოა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი პრაქტიკა.⁵⁸ ამ საქმეში რამდენიმე განმცხადებელმა, მათ შორის ახალგაზრდებმა და გარემოს დაცვითმა ორგანიზაციებმა, კონსტიტუციური სარჩელით მიმართეს გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის კლიმატის დაცვის კანონის (KSG) წინააღმდეგ. მათ მიიჩნიეს, რომ, კანონის მიხედვით, 2030 წლამდე სათბურის გაზების გამოყოფის შემცირების მიზნები და ღონისძიებები საკმარისი არ იყო, რათა პარიზის კლიმატის შეთანხმების ვალდებულებები შესრულებულიყო. განმცხადებლები აღნიშნავდნენ, რომ ეს არღვევდა მათ კონსტიტუციურ უფლებებს, კერძოდ გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველ პუნქტს (საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება), მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის პირველ წინადადებას, (სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება) და მე-14 მუხლს (საკუთრების უფლება).

განმცხადებლების აზრით, გარემოს/კლიმატის არასაკმარისი დაცვითი ღონისძიებები მომავალი თაობების თავისუფლებების შეზღუდვის შანსს გააორმაგებდა, რის გამოც მათი თავისუფლების უფლებები მნიშვნელოვნად შემცირდებოდა. ამიტომ სახელმწიფო ვალდებული იყო, გარემოს/კლიმატის დაცვის მიზნები შეესრულებინა.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით კონსტიტუციური სარჩელის მოთხოვნები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოქმედი კლიმატის დაცვის კანონი (KSG) არასაკმარისი იყო ძირითადი უფლებების დასაცავად. სასამართლომ მიუთითა გერმანიის კონსტიტუციის 20-ე მუხლზე, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოს, დაიცვას ფლორა და ფაუნა „მომავალი თაობებისადმი პასუხისმგებლობის გათვალისწინებით“. სასამართლომ დაადგინა,

57 იქვე, II-15.

58 Klimaschutz-Beschluss vom 24. März 2021 (1 BvR 2656/18 u.a.).

რომ KSG-ის რეგულაციები არასაკმარისი იყო ამ მიზნის შესასრულებლად. კლიმატის დაცვის პრობლემები არათანაბარი ტვირთი იქნებოდა მომავალი თაობებისთვის, რაც არასამართლიანი იყო. სასამართლოს გადაწყვეტილებით იკვეთებოდა გერმანიის კონსტიტუციის რამდენიმე ძირითადი უფლების დარღვევა, მათ შორის: სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების, საკუთრების უფლებისა და საქმიანობის საყოველთაო თავისუფლების.

სასამართლომ კანონმდებლებს დაავალა, რომ 2030 წლის შემდგომ კლიმატური მიზნები უფრო კონკრეტულად და სავალდებულოდ განესაზღვრათ, რათა უზრუნველყოფილი იყოს თაობათაშორისი სამართლიანობა და ძირითადი უფლებების დაცვა. ეს უკანასკნელი პირდაპირ კავშირშია მდგრადი განვითარების პრინციპის სამართლებრივ უზრუნველყოფასთან, რაც, თავის მხრივ, 1987 წლის „ჩვენი საერთო მომავლის“ მოხსენებიდან („ბრუნტლადის ანგარიში“) გამომდინარეობს.⁵⁹ ეს საქმე ნათლად აჩვენებს, თუ როგორ უკავშირდება გარემოს დაცვა გერმანიის ძირითად კანონში ძირითადი უფლებების დაცვას და ამყარებს მომავალი თაობების პოზიციას კლიმატის დაცვის საქმეში.

5. დასკვნა

ჯანსაღი გარემოს უფლების შესახებ სამართლებრივი დისკუსიიდან გამომდინარეობს რამდენიმე ძირითადი მიგნება. უპირველესი და მნიშვნელოვანი: გარემოსდაცვითი სამართლის დაკავშირება ადამიანის ძირითად უფლებებთან აქტუალური და აუცილებელია. ჯანსაღი გარემოს უფლება სულ უფრო მეტად აღიარებულია ადამიანის ფუნდამენტური უფლებების ნაწილად, განსაკუთრებით სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების კონტექსტში. ეს უფლებები, რომლებიც გათვალისწინებულია საერთაშორისო შეთანხმებებში, როგორებიცაა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ეროვნული კონსტიტუციები, კიდევ უფრო გაძლიერდა სასამართლოების – ევროპული სასამართლო და ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო – მიერ. ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, გარემოს დაცვა დაცულია, როგორც ფუნდამენტური კონსტიტუციური უფლება.

ასევე საჭიროა, კლიმატის ცვლილება დანახულ იქნეს როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხი, რადგან იგი სულ უფრო მეტად განიხილება საფრთხედ ადამიანის ძირითადი უფლებებისათვის. ეს განსაკუთრებით ეხება სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და სუფთა, ჯანსაღ გარემოზე ხელმისაწვდომობის უფლებებს. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – *შვეიცარიის კლიმატ-სენიორების ასოციაცია და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (Verein KlimaSeniorinnen*

59 “Sustainable development seeks to meet the needs and aspirations of the present without compromising the ability to meet those of the future,” World Commission on Environment and Development, *Our Common Future*, Oxford University Press, New York 1987, 43.

Schweiz and Others v. Switzerland), ისევე როგორც ეროვნული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, აჩვენებს, რომ ხელისუფლება ვალდებულია, გაატაროს კლიმატის დაცვის ღონისძიებები, რომლებიც შეესაბამება მათი მოქალაქეების ფუნდამენტურ უფლებებს. ამ ყოველივეს ასევე აძლიერებს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს უკანასკნელი საკონსულტაციო დასკვნა (ივლისი, 2025), რომელმაც დაადგინა, რომ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ვალდებულებები საერთაშორისო სამართლის დონეზე *erga omnes* ხასიათს ატარებს და სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური პასუხისმგებლობა კერძო სექტორის მოქმედებების პრევენციისა და კონტროლის მიმართულებით.

სტატიაში განხილული დისკუსიიდან იკვეთება სახელმწიფოს ვალდებულება გარემოს დაცვის კანონმდებლობის მიმართ. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს აქვს მკაფიო პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს გარემოს დაცვა საკანონმდებლო ღონისძიებებით, ისე, რომ იგი შეეხოს კონკრეტულ ინდივიდებს, განსაკუთრებით მონყვლად პირთა ჯგუფებს, როგორებიცაა მოხუცები, თუმცა საგულისხმოა, რომ ამ კონტექსტში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მომავალი თაობების ჯანსაღი გარემოთი უზრუნველყოფის ვალდებულების ნაწილიც (ე.წ. „მდგრადი განვითარების პრინციპი“). მაგალითად, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები აჩვენებს, რომ სახელმწიფო კლიმატის დაცვის პოლიტიკა რეგულარულად უნდა გადაიხედოს და, საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფომ კორექტირება მოახდინოს კლიმატის მიზნებისა და სამოქალაქო უფლებების დაცვის მიზნით.

მიღწევად უნდა ჩაითვალოს, რომ ბოლო რამდენიმე წელია, ინდივიდები ითვლებიან გარემოსდაცვითი უფლებების მატარებლებად. ჯანსაღი გარემოს უფლება განიხილება არა მხოლოდ როგორც კოლექტიური, არამედ როგორც ინდივიდუალური უფლება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს თითოეული ადამიანის მიერ. ეს გრძელვადიან პერსპექტივაში საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს გარემოსდაცვით პოლიტიკაზე. აღნიშნული კი ყალიბდება იმ გარემოსდამცველი აქტივისტებისა და აქტიური მოქალაქეების მიერ, რომლებიც მიმართავენ ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლოებს მათი და ასევე თანამოქალაქეების გარემოსდაცვითი უფლებების მოთხოვნით. გარემოს დაცვა კი მხოლოდ ცალკეულ ადამიანებზე არ ახდენს დადებით ზეგავლენას, არამედ ამით სარგებლობს ზოგადად საზოგადოება.

სტატიიდან ირკვევა, რომ გარემოს დაცვის გაძლიერებაში უდიდესი მნიშვნელობის აქვს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების პრაქტიკას. საერთაშორისო შეთანხმებები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და ცენტრალურ ადგილს იკავებს ჯანსაღ გარემოზე უფლების სამართლებრივ დიზაინში. ისინი საფუძველს უყრიან ეროვნულ კანონმდებლობას და სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომლებიც აღიარებენ ჯანსაღ გარემოზე ადამიანის უფლების დაცვას, როგორც ადამიანის აღსრულებად უფლებას. ამასთანა-

ვე, სასამართლოები, როგორცაა, მაგალითად, ევროპული სასამართლო, თავიანთი გადაწყვეტილებებით ადგენენ არსებით და მყარ სამართლებრივ სტანდარტებს გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების ადამიანის უფლებათა საკითხად განხილვისათვის.

ცალკე აღნიშვნის ღირსია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა ტრანსნაციონალური აქტორების, როგორც საერთაშორისო გარემოსდაცვითი სტანდარტების დამდგენებისა და მისი აღსრულებისთვის საჭირო ინსტრუმენტების შემმუშავებლების, როლი. სტატიაში განსაკუთრებით გამოიკვეთა ევროპის კავშირის კლიმატისა და ენერგეტიკის პოლიტიკა, რომელიც „ევროპის მწვანე შეთანხმების“ მიღების შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა. კერძოდ, ევროპის კავშირის ინიციატივები, როგორებიცაა ევროპის კლიმატის კანონი და „Fit for 55“-ის პაკეტი, ქმნის მყარ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც ნევრ ქვეყნებს ავალდებულებს, შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული გარემოსდაცვითი ღონისძიებები. ეს მიდგომა არა მხოლოდ რეგიონულ დონეზე უწყობს ხელს გარემოს დაცვის გაძლიერებას, არამედ საერთაშორისო პრაქტიკასაც ავითარებს, რადგან ევროპის კავშირის სამართლებრივი ნორმები ხშირად ხდება მაგალითი სხვა მესამე სახელმწიფოებისა და რეგიონებისთვის.

გარდა ამისა, გაერო და მისი სპეციალიზებული სააგენტოები, როგორცაა მაგალითად, UNFCCC, ასრულებენ საკვანძო ფუნქციას გლობალური გარემოსდაცვითი სტანდარტების ჩამოყალიბებასა და მათი აღსრულების მონიტორინგში. აღნიშნული საერთაშორისო ჩარჩოები აძლიერებს ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებას, რადგან ისინი სახელმწიფოებს კონკრეტული ვალდებულებების წინაშე აყენებენ და უზრუნველყოფენ, რომ გარემოსდაცვითი პოლიტიკა ინდივიდუალური უფლებების დაცვის კონტექსტში განიხილებოდეს. საბოლოო ჯამში, ეს პროცესი ქმნის სამართლებრივ გარემოს, სადაც ჯანსაღი გარემოს უფლება აღიარებულია როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლება და მისი დაცვა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ინსტიტუციების ერთობლივ ვალდებულებად განიხილება.

ევროპის კავშირის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შეერთების საკითხის შესახებ: არსებული მდგომარეობა, გამოწვევები, პერსპექტივა

ირაკლი პაპავა

1. შესავალი

ევროპის კავშირის (შემდგომში – „EU“, „ევროკავშირი“, „კავშირი“) ყოველთვის სურდა, დემოკრატიულ გაერთიანებად წარმოჩენილიყო, სადაც ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს განუხრელად იცავენ და პატივს სცემენ, თუმცა ფაქტია, რომ არსებობის პირველ წლებში იგი შეგნებულად გაემიჯნა ადამიანის უფლებებს, ვინაიდან თავს საერთო ბაზრის შექმნის ინსტრუმენტად განიხილავდა. მიუხედავად ამისა, EU მალევე დარწმუნდა, რომ ასეთი ვიწრო მიდგომით ძალიან გაუჭირდებოდა და ვერ შეძლებდა ეროვნულ ინტერესებზე საერთო ინტერესების დომინირების, ასევე ეროვნული სამართლის ნორმის მიმართ სწრაფად ფორმირებადი სუპრანაციონალური სამართლებრივი ნესრიგის პრიორიტეტის უზრუნველყოფას.¹

როგორც კი ეს ცხადი გახდა, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (შემდგომში – „CJEU“, „ლუქსემბურგის სასამართლო“) და მის კვალდაკვალ კავშირის დანარჩენმა ინსტიტუტებმაც 180 გრადუსით დაიწყეს შემობრუნება. მათ განაცხადეს, რომ მტკიცედ დაცავდნენ ადამიანის უფლებებს. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა პატივისცემის პრინციპი EU-ის მართლწესრიგის უმაღლეს პრინციპთან რანგში აიყვანეს და დაადგინეს, რომ ადამიანის უფლებათა სფეროში ევროკავშირის სამართლებრივი განვითარება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის ევროპულ კონვენციასა (შემდგომში – „ECHR“, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია“, „ევროპული კონვენცია“, „კონვენცია“) და წევრი სახელმწიფოების კონსტიტუციურ ტრადიციებთან სრულ თანხვედრაში უნდა მიმდინარეობდეს. მოგვიანებით ევროპის კავშირმა კონვენცია არა მარტო თავისი შიდა სამართლის ნაწილად აქცია (მასთან ფორმალური შეერთების გარეშე), არამედ უფრო შორსაც წავიდა: მან ჯერ ადამიანის უფლებათა საკუთარი რეესტრი – ძირითადი უფლებების ქარტია შეიმუშავა (2000 წლის დეკემბერში),² ხოლო მოგვიანებით კი კონსტიტუციური ხასიათი მიანიჭა მას (ე.წ.

1 იხ. ი. პაპავა, ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ურთიერთქმედების ასპექტები N2/13 დასკვნის შემდეგ, სამართალი და მსოფლიო, 14, 2020, 98.

2 იხ. Charter of Fundamental Rights of the European Union. Official Journal of the European Union C 326/391, 26.10.2012. ევროპის კავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის სრული

„რეფორმის შესახებ“ ლისაბონის 2007 წლის ხელშეკრულების³ ძალაში შესვლის მომენტიდან).

საგულისხმოა, რომ ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტია, ევროპული კონვენციისგან განსხვავებით, უფლებათა უფრო ფართო ჩამონათვალს ადგენს (მაგალითად, უფლება პიროვნების მთლიანობაზე, ხელოვნებისა და მეცნიერების თავისუფლება, თავშესაფრის უფლება...), მათ შორის კავშირის მოქალაქეობით მინიჭებულ უფლებათა კატეგორიის ჩათვლით. ამასთან, ქარტიის 52(3)-ე მუხლის თანახმად, ქარტიაში მოცემულ იმ უფლებებს, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებულ უფლებებს შეესაბამება, იგივე მნიშვნელობა და ფარგლები აქვთ, როგორც ეს აღნიშნული კონვენციით არის გათვალისწინებული.

ამის მიუხედავად, ნევრ ქვეყნებს კარგად ესმოდათ, რომ, ადამიანის უფლებათა სფეროში ლუქსემბურგის სასამართლოს მზარდი აქტიურობის პირობებში, ამ დებულებას ნაკლებად ხელენიფებოდა, თავიდან აეცილებინა შეუსაბამოებები CJEU-ისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში – „ECtHR“, „სტრასბურგის სასამართლო“) პრაქტიკაში. ამიტომ, ქარტიისთვის იურიდიულად სავალდებულო ძალის მინიჭების პარალელურად, ლისაბონის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ იქნა დებულება კონვენციასთან, კოლექტიური წევრის რანგში, EU-ის შეერთების თაობაზე: ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების „ლისაბონისეული“ რედაქციის მე-6(2) მუხლის თანახმად, „კავშირი უერთდება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას“.

ევროკავშირის კონვენციასთან შეერთებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ისეთი საერთოევროპული ღირებულებების განსამტკიცებლად, როგორებიცაა: ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა, ვინაიდან იგი ხელს შეუწყობს ევროპაში ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის შემდგომ განვითარებას. კერძოდ, EU-ის მონაწილეობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში: 1) გაზრდის ადამიანის უფლებათა დაცვის დონესა და ეფექტიანობას ევროპაში, კავშირის სამართლებრივ სისტემაზე დამოუკიდებელი გარე კონტროლის განხორციელების ხარჯზე; 2) შესაძლებლობას მისცემს ნებისმიერ პირს, EU-ის

ტექსტის არაოფიციალური ქართულენოვანი თარგმანის სანახავად იხ. ი. პაპავა, ევროპის კავშირის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები: საბაზისო აქტები და კომენტარები, თბ., 2017, 280-287.

- 3 სრული სახელწოდება: „ლისაბონის ხელშეკრულება ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულებისა და ევროპის გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების შეცვლის თაობაზე“, მოკლედ კი – „ლისაბონის ხელშეკრულება“. არაოფიციალურად (სამეცნიერო ლიტერატურასა და მასმედიის საშუალებებში) მას ხშირად უწოდებენ „ხელშეკრულებას რეფორმის შესახებ“. ხელმოწერილ იქნა 2007 წლის 13 დეკემბერს, ძალაშია 2009 წლის 1 დეკემბრიდან. მის საფუძველზე ევროკავშირის სამართლებრივი სანაწილების ძირეული რეფორმა განხორციელდა. მისი ოფიციალური სრული ტექსტის სანახავად იხ. Treaty of Lisbon amending the Treaty on European Union and the Treaty establishing the European Community. Official Journal of the European Union, C 306, 17 December 2007.

კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი საშუალებების ამონაწერის შემთხვევაში, საჩივარი შეიტანოს სტრასბურგის სასამართლოში, ევროკავშირის აქტების შედეგად, ECHR-ით გარანტირებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის, ასევე კავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ EU-ის სამართლის გამოყენების ან განხორციელების ეროვნულ დონის დონეებთან დაკავშირებული დარღვევების თაობაზე; 3) ხელს შეუწყობს CJEU-ისა და ECtHR-ის სამართლებრივი პოზიციების ჰარმონიზაციას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ფარგლებისა და შინაარსის კუთხით.

გარდა ამისა, ამგვარი შეერთება ევროპის კავშირთან მიმართებით აღმოფხვრის ორმაგი სტანდარტის პრაქტიკას, როდესაც იგი წევრობის მსურველ კანდიდატ ქვეყნებს EU-ში გაწევრების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად კონვენციაში სავალდებულო მონაწილეობას უყენებს და ამ დროს თვითონ ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის ფარგლებს მიღმა რჩება. სხვა თუ არაფერი, ევროკავშირის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სისტემის მიღმა ყოფნა არაერთ უხერხულობას ქმნის როგორც თავად EU-ის, ისე მისი წევრი სახელმწიფოებისთვის. მათ შორისაა დღეს არსებული მოცემულობაც, როდესაც წევრი ქვეყნებიცა და კავშირიც ვალდებული არიან, დაიცვან ადამიანის უფლებათა სამართალი, როგორც ამას მათგან EU-ის შიდა კანონმდებლობა და, საკუთრივ, ECHR მოითხოვს; მაგრამ მონაწილე სახელმწიფოები, ევროკავშირისგან განსხვავებით, დამატებით პასუხისმგებელი არიან კერძო პირებისა და ერთმანეთის წინაშე. შესაბამისად, შესაძლო ან სავარაუდო დარღვევათა შემთხვევებში მათი ქმედებები შეიძლება სტრასბურგის სასამართლოში გასაჩივრდეს; ხოლო თუ დარღვევები კავშირის ინსტიტუტების მიერაა ჩადენილი, მაშინ კერძო პირები და წევრი ქვეყნები ასეთ შესაძლებლობას მოკლებულნი არიან.

ამ კონტექსტში საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ევროკავშირის დონეზე მიღებული ნორმები მუდმივად მზარდ ხვედრით ნილს იკავებს წევრი ქვეყნების ეროვნულ სამართალში და აღნიშნულ სახელმწიფოებს სულ უფრო ნაკლებად აქვთ თავიანთი შიდა სამართლის კონტროლის შესაძლებლობა. ამასთან, ასეთ ნორმებს პრიორიტეტი ენიჭება EU-ის ქვეყნების შიდა კანონმდებლობაში. მათი დამოუკიდებლად შეცვლა სახელმწიფოებს არ შეუძლიათ, ისინი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად, განუხრელად და სრულად გამოიყენონ ეს ნორმები.

შესაბამისად, აღნიშნული სტატუს კვოს პირობებში ყოველთვის არსებობს პოტენციური საფრთხე და რისკი იმისა, რომ წევრი ქვეყნები აღმოჩნდნენ სიტუაციაში, როდესაც მათ შეიძლება მოუწიოთ არჩევანის გაკეთება ევროკავშირის ან ევროპის საბჭოს ფარგლებში ნაკისრი თავიანთი ვალდებულებების დარღვევებს შორის. მსგავსი „უხერხულობების“ თავიდან არიდება კი სწორედ კონვენციასთან EU-ის შეერთების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, რამეთუ ეს უკანასკნელი ვეღარ ისარგებლებს პრივილეგირებული მდგომარეობით და მისი ქმედებებიც ისეთივე მკაცრ საგარეო კონტროლს დაექვემდებარება, როგორც სხვა სახელმწიფო-

თა ქმედებები. ამგვარად, ECHR-თან შეერთება ხელს შეუწყობს EU-ისთვის უფრო მეტი ლეგიტიმურობის მინიჭებას, სხვა ქვეყნებთან ერთად, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხების განხილვისას; ეს კი საშუალებას მისცემს ევროკავშირს, ნამდვილი „სამართლებრივი კავშირი“ გახდეს, რაც კიდევ უფრო მეტად განამტკიცებს მის დემოკრატიულ ხასიათს.⁴

თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, წინამდებარე სტატიაში ქრონოლოგიურადაა მიმოხილული ევროპის კავშირის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შეერთების პროცესის დინამიკა და შეფასებულია ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობა, გამოწვევები და მიღწევები. შესაბამისად, მასში გამოკვლეული და გაანალიზებულია ის ძირითადი ხელშემშლელი გარემოებები, რომლებმაც, ფაქტობრივად, ორჯერ (1996 და 2014 წლებში) განაპირობეს ევროკავშირის ევროპულ კონვენციასთან შეერთების მცდელობის წარუმატებლობა. ასევე განხილულია, შეერთების შესახებ მხარეთა მიერ 2019 წელს განახლებული მოლაპარაკებების ფარგლებში, *ad hoc* ჯგუფის (46+1) საქმიანობის ძირითადი ეტაპები და მიღწევები, ის სიახლეები, რომლებიც შეერთების შესახებ შეთანხმების გადასინჯულ პროექტში იქნა ასახული.

2. ევროკავშირის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შეერთების იდეის განვითარება ლისაბონის 2007 წლის ხელშეკრულებამდე: შეერთების პირველი წარუმატებელი მცდელობა

ევროპის კავშირის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შეერთება, XX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, აქტიურად განიხილება ევროპის პოლიტიკურ და იურიდიულ წრეებში. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 1951 წელს, ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების შექმნის შემდეგ, პრაქტიკულად მალევე დაიწყო მცდელობები, რათა მომხდარიყო ეკონომიკური ინტეგრაციის, უდავოდ, წარმატებული პროექტის დაახლოება მეორე ევროპულ პროექტთან, რომელიც ევროპის საბჭოს ფარგლებში ხორციელდებოდა. დღეს, ალბათ, ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ ევროპის პოლიტიკური გაერთიანების შექმნის თაობაზე 1950-იანი წლების დასაწყისში შემუშავებული დოკუმენტების პროექტები შეიცავდნენ დეტალურ დებულებებს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის შესახებ. ამ ინიციატივის უშუალო ავტორებს დიდი გამომგონებლობა არ დაუწყიათ და ევროპის პოლიტიკური გაერთიანების დამფუძნებელი დოკუმენტების ტექსტში პირდაპირ ჩართეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ტექსტი, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი, – ევროპული ინტეგრაციის ერთ-ერთი ლიდერთაგანი, –

4 იხ. Л. А. Воскресенская, Проблемы присоединения Европейского Союза к Европейской конвенции по защите прав человека и основных свобод, Международное публичное и частное право, 3 (60), 2011, 4.

იმ მომენტისთვის არც კი ფიქრობდა კონვენციის რატიფიცირებას და ეს მხოლოდ 1974 წელს გააკეთა.⁵

რაც შეეხება პირველ წინადადებებს კონვენციასთან ევროპის კავშირის (მაშინ – ევროპის გაერთიანებების) შეერთების თაობაზე, იგი ევროკომისიის მიერ მხოლოდ 1970-იანი წლების ბოლოს იქნა გაკეთებული, მას შემდეგ, რაც საფრანგეთმა EU-ის წევრი სახელმწიფოებიდან, ფაქტობრივად, უკანასკნელმა მოახდინა ჯერ ECHR-ის რატიფიკაცია, შემდეგ კი აღიარა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სავალდებულო იურისდიქცია.

ამ იდეის პრაქტიკაში რეალიზაციის პირველი მცდელობა ევროკომისიის მიერ იქნა განხორციელებული. მართალია, კონვენციასთან ევროპის გაერთიანებების შეერთების აუცილებლობაზე პირდაპირი აქცენტი არ გაუკეთებია, მაგრამ კომისიამ თავის 1976 წლის ანგარიშში – „ძირითადი უფლებების დაცვა გაერთიანებათა სამართლის შექმნისა და განვითარების ჩრილში“ – ნათლად განაცხადა, რომ ადამიანის ძირითადი უფლებები გაერთიანებების სამართლებრივი წესრიგის განუყოფელი ნაწილია.⁶ კომისია ამტკიცებდა, რომ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა და პატივისცემა ნებისმიერი დემოკრატიული სისტემის მნიშვნელოვან ელემენტს შეადგენს, ვინაიდან იგი ნებისმიერ ინდივიდს აძლევს საშუალებას, განვითარდეს როგორც პიროვნება. კომისიის აზრით, დემოკრატიის წარმოდგენა შეუძლებელია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებისა და დაცვის გარეშე და ეს სრულად უნდა შეეხოს გაერთიანებებსაც.⁷

კომისიამ ხაზი გაუსვა ლუქსემბურგის სასამართლოს განსაკუთრებულ როლს, რომელმაც იმ მომენტისთვის „შეძლო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის საკითხების თაობაზე“. ამგვარი საქმეების ერთ-ერთ მაგალითად ანგარიშში მოყვანილია ნოლდის 1974 წლის საქმე,⁸ რომელთან დაკავშირებითაც მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ პირველად ახსენა არა მხოლოდ წევრი სახელმწიფოების კონსტიტუციური ტრადიციები, როგორც ადამიანის ძირითადი უფლებების შესაძლო „წყარო“, არამედ, ასევე, ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებებიც, რომელთა

5 აღნიშნულთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. G. de. Burca, *The Road Not Taken: The EU as a Global Human Rights Actor*, *American Journal of International law*, Vol. 105, №4, 2011, 649-693.

6 იხ. *The protection of fundamental rights as Community law is created and developed. Report of the Commission submitted to the European Parliament and the Council. 4 February 1976. Bulletin of the European Community, Supplement 5/76, 1-17.*

7 იხ. იქვე, მე-8 პუნქტი.

8 იხ. ჯ. ნოლდი, *ქვანახშირისა და სამშენებლო მასალების საბითუმო მოვაჭრე ევროპის გაერთიანებების კომისიის წინააღმდეგ (J. Nold, Kohlen- und Baustoffgroßhandlung v. Commission of the European Communities)*, 1974 წლის 14 მაისი.

მხარეები არიან წევრი ქვეყნები.⁹ ანგარიშის 28-ე პუნქტის თანახმად, ასეთი საერთაშორისო ხელშეკრულებები შეიცავენ ფუძემდებლურ პრინციპებს, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნეს დაცული, მათ შორის, ევროპის გაერთიანების მართლწესრიგშიც. ამასთან, ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ხელშეკრულება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციაა, რომელშიც „ადამიანის ძირითადი უფლებების კატალოგია“ წარმოდგენილი.

1979 წელს ევროპის კომისიამ მოამზადა მემორანდუმი „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან ევროპის გაერთიანების შეერთების შესახებ“,¹⁰ რომლითაც უკვე ოფიციალურ დონეზე შესთავაზა საბჭოს კონვენციასთან შეერთება. მემორანდუმი პირდაპირ აღიარებდა ECHR-ის, როგორც ევროპაში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედი ფუნდამენტური აქტის, მაღალ ღირებულებას და ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ამგვარი შეერთება ხელს შეუწყობდა თავისუფლებისა და დემოკრატიის სივრცეში ევროპის გაერთიანების რეპუტაციის გაუმჯობესებას, მის ფარგლებში ადამიანის უფლებების დაცვას, ასევე მისი ინსტიტუტების გაძლიერებას.¹¹

1990 წლის 19 ნოემბერს კომისიამ განმეორებით მიმართა საბჭოს წინადადებით კონვენციასთან შეერთების თაობაზე და განაცხადა, რომ ევროპის გაერთიანების სამართალში არსებობს ხარვეზი, რომლის შევსებაც ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შეერთებას შეუძლია.¹²

1994 წელს ევროკავშირის საბჭომ გადაწყვიტა, EU-ის კონვენციასთან შეერთების შესაძლებლობის თაობაზე საკონსულტაციო დასკვნის მისაღებად ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის მიემართა. 1996 წელს CJEU-მა ერთგვარად შეაჯამა კონვენციასთან ევროკავშირის შეერთების თემაზე მიმდინარე დისკუსიათა პირველი რაუნდი, როდესაც თავის 1996 წლის 28 მარტის №2/94 დასკვნაში¹³ პირდაპირ განაცხადა, რომ იმ მომენტისთვის მოქმედი დამფუძნებელი ხელშეკრულებები არ ანიჭებდა კავშირს საკმარის კომპეტენციას ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შესაერთებლად (ამ ხელშეკრულებებში შე-

9 იხ. The protection of fundamental rights as Community law is created and developed. Report of the Commission submitted to the European Parliament and the Council. 4 February 1976. Bulletin of the European Community, Supplement 5/76, მე-9(iii) პუნქტი.

10 იხ. Memorandum on the accession of the European Communities to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms (adopted by the Commission on 4 April 1979). Bulletin of the European Communities, Supplement 2/79, 2 May 1979.

11 იხ. იქვე, 11-12.

12 იხ. Commission Communication on Community accession to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms and some of its Protocols. Brussels, 19 November 1990 [EU Commission – SEC(90) 2087 final]. <<http://aei.pitt.edu/3680/1/3680.pdf>> [15.08.2025].

13 იხ. Opinion 2/94 of the Court of Justice of 28 March 1996 on the Accession by the Communities to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms. European Court Reports 1996 I-01759.

საბამისი დებულებების არარსებობის გამო).¹⁴ სასამართლოს აზრით, ECHR-თან შეერთება გულისხმობს, ერთი მხრივ, ევროკავშირის შესვლას სხვა საერთაშორისო სამართლებრივ წესრიგში და, მეორე მხრივ, ევროპული კონვენციით დაცული უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების EU-ის სამართალში ინტეგრაციას, რაც აუცილებლად საჭიროებს მის დამფუძნებელ ხელშეკრულებაში სათანადო ცვლილებების შეტანას.¹⁵

ამგვარად, ლუქსემბურგის სასამართლოს 1996 წლის გადაწყვეტილებით კონვენციასთან კავშირის შეერთების პროცესი შეწყდა. შესაბამისად, ამ მიმართულებით ევროკავშირის პირველი მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა.

3. ევროკავშირის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შეერთების მეორე წარუმატებელი მცდელობა: CJEU-ს N2/13 დასკვნა

მეორე მცდელობა უფრო საფუძვლიანად იქნა მომზადებული. ევროკავშირმა, ლისაბონის 2007 წლის ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული EU-ის სამართლებრივი საწყისების ძირეული რეფორმის შედეგად, შეძლო და მოახერხა დამფუძნებელ დოკუმენტში საჭირო ცვლილების შეტანა: კერძოდ, ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების „ლისაბონისეული“ რედაქციის მე-6(2) მუხლი პირდაპირ ადგენს, რომ „კავშირი უერთდება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას“. ამგვარი შეერთების პირობები კი განისაზღვრა დამფუძნებელი ხელშეკრულებებისადმი თანდართულ N8 ოქმში¹⁶ და მათ შორის მთავარი EU-ისა და მისი მართლწესრიგის განსაკუთრებული მახასიათებლების შენარჩუნების მოთხოვნაა.

საპასუხოდ, ევროპის საბჭომაც გადადგა შემხვედრი ნაბიჯები – მან ჯერ კიდევ 2004 წლის 13 მაისს მიიღო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის N14 ოქმი¹⁷ (ძალაშია 2010 წლის 1 ივნისიდან), რომლის მე-17(1) მუხლის საფუძველზე, ECHR-ის 59-ე მუხლს (რომელიც თავდაპირველად მხოლოდ სახელმწიფოთა მონაწილეობაზე იყო გათვლილი) დაემატა ახალი შინაარსის მქონე მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც, „ევროპის კავშირს შეუძლია შეუერთდეს ამ კონვენციას“. ამით, ფაქტობრივად, შეიქმნა (მომზადდა) აუცილებელი ნორმატიული ბაზა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან ევროკავშირის შესაერთებლად.

14 იხ. იქვე, 27-ე პუნქტი.

15 იხ. იქვე, 34-ე და 35-ე პუნქტები.

16 იხ. Protocol No. 8 relating to Article 6(2) of the Treaty on European Union on the accession of the Union to the European Convention on the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms. Official Journal of the European Union C 326/273, 26.10.2012.

17 იხ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ოქმი N14 „კონვენციის საზედამხედველო სისტემაში შესწორებების შეტანის შესახებ“ (მიღებულია სტრასბურგში, 2004 წლის 13 მაისს).

შეერთებისთვის საჭირო ნორმატიული ბაზის მომზადების პარალელურად, აუცილებელი იყო ასევე შეერთების პროცესის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება. ამასთან დაკავშირებით 2013 წლის 5 აპრილს ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს წარმომადგენლებისგან შემდგარმა სამუშაო ჯგუფმა მოამზადა ევროპულ კონვენციასთან EU-ის შეერთების შესახებ შეთანხმების პროექტი.¹⁸

ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში – „TFEU“) 218(11)-ე მუხლის საფუძველზე¹⁹ 2013 წლის 4 ივლისს კომისიამ CJEU-ს მიმართა თხოვნით, გაეცა დასკვნა იმასთან დაკავშირებით, შეესაბამებოდა თუ არა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან კავშირის შეერთების შესახებ შეთანხმება EU-ის სამართალს. 2014 წლის მაისში ლუქსემბურგის სასამართლომ ორდღიანი ღია მოსმენა გამართა, რომლის დროსაც წარდგენილ იქნა ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტის პოზიციები, რომლებიც პროექტის მხარდაჭერებად გამოვიდნენ, ასევე EU-ის 24 ქვეყნის შეხედულებები, რომლებმაც, ამა თუ იმ ფორმით, მხარი დაუჭირეს პროექტს. სასამართლოში კომისიის მოთხოვნის განხილვისას პროექტს მხარი დაუჭირა ქალბატონმა ჯულიან კოკოტმა, ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ძალზე ავტორიტეტულმა გენერალურმა ადვოკატმა. 2014 წლის ივნისში მან თავისი დეტალური დასკვნა²⁰ წარუდგინა CJEU-ს.

შესაბამისად, ლუქსემბურგის სასამართლოს მიერ საკუთარი დასკვნის მიღების ზღურბლზე ბევრს ეგონა, რომ ECHR-თან კავშირის შეერთების პროცესი, როგორც იქნა, დასრულების ეტაპზე გადავიდა, პრაქტიკულად გადანეყვითილი იყო და მას მხოლოდ გარკვეული სამართლებრივი გაფორმება ჰქონდა.

18 იხ. Council of Europe, meeting report 47+1(2013)008. Fifth negotiation meeting between the CDDH and the European commission on the accession of the European union to the European Convention on Human Rights. Final report to the CDDH. Strasbourg, 5 April 2013. შეერთების შესახებ შეთანხმების პროექტი, მიუხედავად არცთუ მარტივი მოლაპარაკებებისა, მხარეთა მიერ შემჭიდროებულ ვადებში იქნა შეთანხმებული. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ პროექტის შემუშავების სტადიაზე EU-ის ქვეყნებს შორის სერიოზული უთანხმოებები წარმოიშვა მის ზოგიერთ დებულებასთან დაკავშირებით. თავისი სერიოზული შენიშვნებით გამოვიდა დიდი ბრიტანეთი. გარკვეული დროის განმავლობაში პროექტზე მუშაობის პროცესი, ფაქტობრივად, ევროპის კავშირის დონეზე იქნა შეჩერებული. მოგვიანებით, პროექტში ცვლილებების შეტანის შემდეგ, მასზე მუშაობა განახლდა და 2013 წლის აპრილში დასრულდა (იხ. ი. პაპავა, ევროპის კავშირის შეერთება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან: ობიექტური აუცილებლობა თუ შეუთავსებელის შეთავსების მცდელობა? ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2/13 დასკვნის ანალიზი, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, 12, 2018, 104).

19 ეს ნორმა შესაძლებლობას აძლევს კავშირის ინსტიტუტებს ან წევრ ქვეყნებს, EU-ის სამართალთან შესაბამისობაზე შეამოწმონ საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის დადგენასაც ევროკავშირი გეგმავს.

20 იხ. View of Advocate general Kokott delivered on 13 June 2014. Opinion procedure 2/13 initiated following a request made by the European Commission. ECLI:EU:C:2014:2475.

თუმცა ეს ეიფორია აშკარა და დაუფარავი იმედგაცრუებით შეიცვალა, როდესაც EU-ის მართლმსაჯულების სასამართლომ თავის 2014 წლის 18 დეკემბრის N2/13 დასკვნაში²¹ დაადგინა, რომ შეერთების შესახებ შეთანხმების პროექტი არ შეესაბამება ევროკავშირის სამართალს, ვინაიდან მის არსსა და ფუნდამენტურ პრინციპებს ეწინააღმდეგება.

საგულისხმოა, რომ CJEU-მა ზემოაღნიშნულ დასკვნაში ანალიზი ევროპის კავშირისა და მისი სამართლებრივი სისტემის არსის განმარტებით დაიწყო. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ „EU, საერთაშორისო სამართლის თანახმად და საკუთარი არსიდან გამომდინარე, არ შეიძლება სახელმწიფოდ ჩაითვალოს“.²² შემდეგ სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დამფუძნებელმა ხელშეკრულებებმა საკუთარი ინსტიტუტების მქონე „ახალი მართლწესრიგი“ შექმნეს, რისთვისაც წევრმა სახელმწიფოებმა თავიანთი სუვერენული უფლებები შეიზღუდეს უპრეცედენტოდ ფართო სფეროში და რომ იგი არა მხოლოდ ამ სახელმწიფოებს, არამედ მათ მოქალაქეებსაც ეხება.²³ ლუქსემბურგის სასამართლომ ასევე დასძინა, რომ ევროკავშირის აქვს „კონსტიტუციური ჩარჩოები და დამფუძნებელი პრინციპები, სპეციფიკური, რთული ინსტიტუციური სტრუქტურა და სამართლებრივ ნორმათა სრული კომპლექტი, რომელიც მის საქმიანობას უზრუნველყოფს“.²⁴ სპეციალურად იქნა ხაზგასმული, რომ ევროპის კავშირი ავტონომიით სარგებლობს არა მარტო წევრი ქვეყნების კანონებთან, არამედ საერთაშორისო სამართალთან მიმართებითაც და რომ ასეთი ავტონომია მოითხოვს, ძირითადი უფლებების უზრუნველყოფა EU-ის სტრუქტურისა და მიზნების ფარგლებში ხდებოდეს.²⁵ საკუთრივ, ევროკავშირის არსი (*raison d'être*) კი ინტეგრაციის პროცესის უზრუნველყოფაა.²⁶

ამგვარი დეტალური პროკლამაციის შემდეგ გასაკვირი არაა, რომ შეთანხმების პროექტი TFEU-ის დებულებათა მთელ რიგთან შეუსაბამოდ იქნა მიჩნეული; კერძოდ, დადგინდა, რომ ამ პროექტს შეუძლია, უარყოფითად იმოქმედოს EU-ის სამართლის სპეციფიკურ მახასიათებლებსა და ავტონომიაზე²⁷ და რომ თავად წევრი სახელმწიფოს შესაძლებლობა, საჩივრით მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს სხვა წევრი სახელმწიფოს ან ევროკავშირის მიერ EU-ის სამართალთან დაკავშირებით ECHR-ის დებულებების დარღვევის თაობაზე, ძირს

21 იხ. CJEU. Opinion 2/13 of the Court (Full Court) of 18 December 2014. Opinion pursuant to Article 218(11) TFEU – Draft international agreement – Accession of the European Union to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms – Compatibility of the draft agreement with the EU and FEU Treaties.

22 იქვე, 156-ე პუნქტი.

23 იხ. იქვე, 157-ე პუნქტი.

24 იქვე, 158-ე პუნქტი.

25 იხ. იქვე, 170-ე პუნქტი.

26 იხ. იქვე, 172-ე პუნქტი.

27 იხ. იქვე, მე-200 პუნქტი, ასევე 258-ე პუნქტი (პირველი აბზაცი).

უთხრის TFEU-ის 344-ე მუხლით გათვალისწინებულ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ექსკლუზიურ იურისდიქციას, განიხილოს დამფუძნებელი ხელშეკრულებების ახსნა-განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები.²⁸ შედეგად, სასამართლომ უაღრესად მნიშვნელოვანი დასკვნა ჩამოაყალიბა, რომლის თანახმადაც, „...თავად EU-ის სამართლის არსი... მოითხოვს, რომ ურთიერთობები წევრ სახელმწიფოებს შორის რეგულირდებოდეს EU-ის სამართლით [და], თუ EU-ის სამართალი ამას ითხოვს, ნებისმიერი სხვა სამართლის გამორიცხვით“.²⁹ უფრო კონკრეტულად კი N2/13 დასკვნაში ლუქსემბურგის სასამართლოს მიერ გამოყენებული მთავარი არგუმენტები შემდეგნაირად გამოიყურება:

პირველი, ევროკავშირის მართლწესრიგის ავტონომიური ხასიათი მოითხოვს, რომ ადამიანის ძირითადი უფლებების ახსნა-განმარტება ექსკლუზიურად კავშირის ინსტიტუციური სტრუქტურის ფარგლებში ხორციელდებოდეს. კონვენციასთან EU-ის შეერთების შემთხვევაში ECHR ევროპის კავშირის მართლწესრიგის ნაწილი გახდება, სადაც დამფუძნებელ ხელშეკრულებებს აბსოლუტური პრიორიტეტი აქვს ყველა სხვა საერთაშორისო ხელშეკრულების წინაშე, თავად ევროპული კონვენცია კი, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელშიც ევროკავშირი მონაწილეობს, EU-ის სამართლის წყაროთა იერარქიაში უფრო დაბლა აღმოჩნდება, ვიდრე კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებები და ძირითადი უფლებების ქარტია. მეტიც, ამ შემთხვევაში ევროკავშირის მართლწესრიგში ჩართული კონვენციის ინტერპრეტაციის შესაძლებლობა EU-ის სამართლის საკითხებზე მხოლოდ ლუქსემბურგის სასამართლოს უნდა ჰქონდეს და არამც და არამც სტრასბურგის სასამართლოს;

მეორე, CJEU-მა ჩათვალა, რომ კონვენციასთან შეერთება საფრთხეს შეუქმნის ურთიერთდობის პრინციპს, რომელიც ევროპის კავშირის სამართლის ერთ-ერთი ზოგადი პრინციპია და, ფაქტობრივად, მისი მართლწესრიგის ჩარჩოს ქმნის. ყველაზე აქტიურად ეს პრინციპი თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის ფარგლებში გამოიყენება, კერძოდ, ესენია: სისხლისსამართლებრივ სფეროში პოლიციისა და სასამართლო ორგანოების თანამშრომლობის, სასაზღვრო კონტროლის, საგზაო პოლიტიკის, იმიგრაციისა და თავშესაფრის მინიჭების საკითხები, ასევე სამოქალაქოსამართლებრივ სფეროში სასამართლოთა თანამშრომლობის საკითხები სასამართლო გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულების ნაწილში. ეს პრინციპი გულისხმობს, რომ EU-ის ქვეყნების ეროვნული სასამართლოები, სხვა წევრი სახელმწიფოების სასამართლოთა ან სხვა უფლებამოსილ ორგანოთა მიერ მიღებული განკარგულებების, ბრძანებების, ორდერებისა და გადაწყვეტილებების აღსრულებისას იმ პრეზუმფციიდან უნდა ამოვიდნენ, რომ სხვა წევრი ქვეყანა სათანადოდ იცავს ადამიანის უფლებებს. სწორედ ეს

28 იხ. იქვე, 207-ე, 208-ე პუნქტები, ასევე 258-ე პუნქტი (მეორე აბზაცი).

29 იხ. იქვე, 212-ე პუნქტი.

პრინციპია უკანონო მიგრანტების გაძევებისა და თავშესაფრის მინიჭების შესახებ ევროკავშირის ნორმათა საფუძველი, ასევე დაპატიმრების ევროპული ორდერის აღსრულების პროცედურების ქვაკუთხედი.³⁰ ასეთი მიდგომა კი ძირეულად ეწინააღმდეგება სტრასბურგის სასამართლოს ცნობილ პოზიციას იმის თაობაზე, რომ ექსტრადიციის განმახორციელებელი ქვეყანა ვალდებულია, დამოუკიდებლად შეამოწმოს ადამიანის უფლებათა დაცვის პრაქტიკა სხვა სახელმწიფოში და მხოლოდ მას შემდეგ გადასცეს (გააძეგოს) დაკავებული, როცა დარწმუნდება, რომ გადასაცემი პირის უფლებები არ დაირღვევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ECtHR ამას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად შეაფასებს;

მესამე, ლუქსემბურგის სასამართლოსთვის ერთგვარ შებრკოლების ლოდად საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში მიღებულ EU-ის აქტებზე სასამართლო კონტროლის საკითხი იქცა. კავშირის დამფუძნებელი აქტების თანახმად, CJEU-ის კომპეტენცია ამ სფეროში მიღებულ აქტებზე არ ვრცელდება. ამასთან, კონვენციასთან ევროკავშირის შეერთება იმას გამოიწვევს, რომ ამ აქტების სტრასბურგის სასამართლოში გასაჩივრება გახდება შესაძლებელი, რაც ცალსახად ეწინააღმდეგება თავად შეთანხმების პროექტის ერთ-ერთ საკვანძო იდეას იმის თაობაზე, რომ გამოირიცხოს ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის გვერდის ავლისა და კონვენციასთან EU-ის აქტის შესაბამისობის შეფასების მოთხოვნით პირდაპირ (აღნიშნულთან დაკავშირებით ლუქსემბურგის სასამართლოს წინასწარი გადანყევტილების გარეშე) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის მიმართვის ნებისმიერი შესაძლებლობა;

მეოთხე, პროექტის მხრიდან მომავალ კიდეც ერთ საფრთხეს CJEU ევროკავშირში არსებული პრეიუდიციული დასკვნების მექანიზმისთვის ხედავს, რომლის ფარგლებშიც ნებისმიერ ეროვნულ სასამართლოს უფლება აქვს, დავის განხილვისას გამოსაყენებელი EU-ის სამართლის ნორმების ახსნა-განმარტების თაობაზე წინასწარ მიმართოს ლუქსემბურგის სასამართლოს. თუმცა, ECHR-ის N16 ოქმის³¹ შესაბამისად, ევროპის საბჭოს მონაწილე სახელმწიფოების უმაღლეს სასამართლოებს შესაძლებლობა ექნებათ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსაგან მოითხოვონ საკონსულტაციო დასკვნების მიღება კონვენციით (რომელიც, როგორც აღინიშნა, EU-ის ავტონომიური მართლწესრიგის შემადგენელ ნაწილად იქცევა) და მისი ოქმებით გარანტირებული უფლებების განმარტებისა და გამოყენების საკითხებზე, ამ სასამართლოების მიერ ეროვნულ დონეზე განსახილველი საკმეების კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ოქ-

30 იხ. Council Framework Decision 2002/584/JHA of 13 June 2002 on the European arrest warrant and the surrender procedures between Member States. OJ L 190, 18.07.2002, 1–20.

31 იხ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის N16 ოქმი. მიღებულია სტრასბურგში, 2013 წლის 2 ოქტომბერს.

მი იმ მომენტისთვის ჯერ კიდევ არ იყო შესული ძალაში,³² ეს საკმარისი აღმოჩნდა ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის, რომ ამ საკითხში ECtHR-ის მხრიდან წმინდა ჰიპოთეზური (იმ მომენტისთვის) კონკურენციის არსებობა დაეშვა. CJEU-ის ძალიან კატეგორიული აზრით, ეროვნული სასამართლოების ამგვარი მოთხოვნების ადრესატი, ევროკავშირის კონვენციასთან შეერთების შემთხვევაშიც, მხოლოდ თვითონ იგი შეიძლება (და უნდა) იყოს და არა სტრასბურგის სასამართლო;

მეხუთე, შეთანხმების პროექტი საფრთხეს უქმნის ლუქსემბურგის სასამართლოს ექსკლუზიურ იურისდიქციას კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის დავებთან დაკავშირებით. დამფუძნებელი ხელშეკრულებები წევრი ქვეყნების მიმართ შეიცავს მოთხოვნას, რომ ევროკავშირის სამართლის გამოყენებასთან დაკავშირებული დავები არ გადასცენ სხვა საერთაშორისო სასამართლოებს. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ, შეერთების შედეგად, ECHR კავშირის მართლმსაჯულების ნაწილი გახდება, მხოლოდ CJEU-ს უნდა ჰქონდეს წევრ ქვეყნებს შორის მის გამოყენებასთან დაკავშირებით ნამოჭრილი დავების განხილვის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ თავად კონვენცია მსგავსი სახელმწიფოთაშორისი დავების ECtHR-ის მეშვეობით მოგვარების შესაძლებლობას ითვალისწინებს. ეს პოზიცია საგანგებოდაა ხაზგასმული N2/13 დასკვნაში: „EU-ის სამართლის სფეროში ECHR-ის გამოყენებასთან დაკავშირებით, წევრ სახელმწიფოებს შორის ან წევრ სახელმწიფოებსა და EU-ს შორის დავების მიმართ მხოლოდ ECtHR-ის იურისდიქციის აშკარა გამორიცხვა... იქნება TFEU-ის 344-ე მუხლის [ე.ი. ლუქსემბურგის სასამართლოს ექსკლუზიური იურისდიქციის მოთხოვნის] შესაბამისი“.³³

ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს N2/13 დასკვნაში ასახულმა ზემოაღნიშნულმა მიზეზებმა, ფაქტობრივად, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან EU-ის შეერთების პროცესის შეჩერება განაპირობა. ლუქსემბურგის სასამართლოს პოზიციამ ევროკავშირის სამართლის ავტონომიის შელახვის დაუშვებლობასთან დაკავშირებით პოზიტიური შედეგის დადგომის არანაირი შესაძლებლობა აღარ დატოვა.³⁴

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იმჟამინდელმა თავმჯდომარემ, დ. შპილმანმა 2015 წლის იანვრის ბოლოს წარდგენილ 2014 წლის ანგარიშში ლუქსემბურგის სასამართლოს N2/13 დასკვნას „დიდი იმედგაცრუება“ უწოდა და აღნიშნა, რომ ახლა სწორედ ECtHR-ს ეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებ-

32 ეს ოქმი ძალაში 2018 წლის 1 აგვისტოდან შევიდა.

33 იხ. CJEU. Opinion 2/13 of the Court (Full Court) of 18 December 2014. Opinion pursuant to Article 218(11) TFEU – Draft international agreement – Accession of the European Union to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms – Compatibility of the draft agreement with the EU and FEU Treaties, 213-ე პუნქტი.

34 იხ. A. Lazowski, A. Ramses, When Caveats Turn into Locks: Opinion 2/13 on Accession of the European Union to the ECHR, German Law Journal, 7, 2018, 49.

ლობა, რათა ყველაფერი გააკეთოს CJEU-ის ამ ნაბიჯის უარყოფითი შედეგებისგან ევროპელი მოქალაქეების დასაცავად.³⁵

თუმცა ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს უარყოფითი დასკვნა სრულებითაც არ ნიშნავდა, რომ შეერთების საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა. 5 წლის თავზე ევროკავშირმა და ევროპის საბჭომ მოახერხეს, კვლავ მოეკრიბათ თავიანთი „პოლიტიკური ნება“ და 2019 წელს განაახლეს მოლაპარაკებები EU-ის ევროპულ კონვენციასთან შეერთების თაობაზე.

4. მოლაპარაკებების განახლება ევროკავშირის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შეერთების თაობაზე, *ad hoc* ჯგუფი (46+1)

2019 წელს ევროკავშირმა და ევროპის საბჭომ განაცხადეს კონვენციასთან ევროპის კავშირის შეერთების თაობაზე მოლაპარაკებების განახლების შესახებ. შედეგად, შეიქმნა *ad hoc* ჯგუფი (47+1) ნორვეგიის წარმომადგენლის, ტონი მეინიჩის თავმჯდომარეობით. *Ad hoc* ჯგუფში შედიოდა ევროპის საბჭოს 47 წარმომადგენელი (თითო წარმომადგენელი ევროსაბჭოს თითოეული წევრი ქვეყნიდან) და დელეგაცია, რომელიც EU-ის ყველა ინსტიტუტის წარმომადგენლებისგან შედგებოდა. ამასთან, 2022 წლის 16 მარტიდან მოყოლებული, ევროპის საბჭოდან რუსეთის ფედერაციის გარიცხვის გამო, *ad hoc* ჯგუფი 46+1 შემადგენლობით მოქმედებს.

Ad hoc ჯგუფის (47+1) პირველი შეხვედრა 2020 წლის 22 ივნისს გაიმართა ვიდეოკონფერენციის ფორმატში. ამ შეხვედრაზე მიღებულ იქნა სამოქმედო გეგმა, ე.წ. განსახორციელებელი საქმიანობის დღის წესრიგი. ოფიციალური წარმომადგენლების გარდა, პირველ შეხვედრაში ასევე მონაწილეობდა მოლაპარაკებების ორივე მხარის მიერ მოწვეული 70 დამკვირვებელი. ეს დამკვირვებლები, როგორც წესი, არ არიან უფლებამოსილნი, ჩაერიონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ან წარადგინონ თავიანთი პოზიციები მოსმენების დროს. ბუნებრივია, ეს მომენ-

35 იხ. European Court of Human Rights. Annual Report, 2014. Strasbourg, 2015, 6. ნიშანდობლივია ისიც, რომ აკადემიური წრეების მხრიდან CJEU-ს N2/13 დასკვნის თავდაპირველ შეფასებებსაც მკვეთრად გამოხატული ემოციების ელფერი დაჰყარავს; კერძოდ, სასამართლოს ღიადა „დასდეს ბრალი“, პირველ რიგში, საკუთარ უფლებამოსილებათა დაცვის სურვილით გამოწვეულ ზედმეტად ფორმალისტურ მიდგომაში (იხ. Editorial Comments, The EU's Accession to the ECHR – a “NO” from the ECJ!, Common Market Law Review, 52 (1), 2015, 1-16), ხოლო თავად დასკვნას კი ახასიათებდნენ როგორც „უკან გადადგმულ გიგანტურ ნაბიჯს“ (იხ. J. Odermatt, A Giant Step Backwards? Opinion 2/13 on the EU's Accession to the European Convention on Human Rights (February 24, 2015). <<http://dx.doi.org/10.2139/ssrn.2654633>> [15.08.2025]), „ფუნდამენტურად მცდარს“ (იხ. S. Peers, The EU's Accession to the ECHR: The Dream Becomes a Nightmare, German Law Journal, 16(1), 2016) და, მეტიც, როგორც „აშკარა და თვალხილულ საფრთხეს ადამიანის უფლებებისთვის“ (იხ. S. Peers, The CJEU and the EU's Accession to the ECHR: A Clear and Present Danger to Human Rights Protection (18 December 2014). <<https://bit.ly/4oCRiY3>> [15.08.2025]).

ტი მაქსიმალურად გამჭვირვალესა და ღიას ხდის, საკუთრივ, მოლაპარაკების პროცესს.

ევროპის საბჭოს დელეგაციის ხელმძღვანელმა მელენა კუნევამ შთამაგონებელი სიტყვა წარმოთქვა, რომელიც აღსავსე იყო ევროკავშირის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შეერთების მისწრაფებებით.³⁶ კერძოდ, მან განაცხადა, რომ კონვენციასთან EU-ის შეერთება მთელი ევროპისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება და ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებათა დაცვის პანევროპული სისტემის გაძლიერების მიზნის მიღწევას. გარდა ამისა, მ. კუნევამ აღნიშნა, რომ კავშირის ევროპულ კონვენციასთან შეერთება ევროპის საბჭოს წინაშე მდგარი უმთავრესი პრიორიტეტული ამოცანაა და იმედი გამოთქვა, რომ ორივე ორგანიზაციას საკმარისი პოლიტიკური ნება ექნება ევროკავშირის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შეერთების პროცესის დასასრულებლად. მისი აზრით, ეს ნაბიჯი არა მხოლოდ ხელს შეუწყობს ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შორის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საკითხებზე გადწყვეტილების მიღებისას არსებული უთანხმოებების მოგვარებას, არამედ გააძლიერებს ყველა ევროპელი მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის დონეს.

პირველ სხდომაზე კავშირის დელეგაციამ წაიკითხა ევროპის კომისიის პოზიცია,³⁷ რომელიც ერთგვარ მემორანდუმს ჰგავს. კომისიის განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ ნევრმა სახელმწიფოებმა და ევროკომისიამ შეხვედრის დაწყებამდე ჩაატარეს გარკვეული სამუშაო ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს N2/13 დასკვნის გადახედვის კუთხით და განსაზღვრეს ის ძირითადი ორიენტირები, რომლებიც ფუნდამენტურია ევროკავშირისთვის, რადგან ისინი ხაზს უსვამენ მისი სამართლის სპეციფიკურ მახასიათებლებს. კომისია ასევე აცხადებდა, რომ დასახული მიზნის მისაღწევად კავშირი მზადაა, 2/13 დასკვნაში მითითებული ლუქსემბურგის სასამართლოს შენიშვნები დააბალანსოს შეერთების შესახებ განახლებული ხელშეკრულების დებულებებთან. ევროკომისიის ერთადერთი მოთხოვნა იყო, მოლაპარაკებების მსვლელობისას არცერთ მხარეს არ დაევიწყებინა ევროკავშირის სამართლის სპეციფიკური მახასიათებლები.

ევროპის კომისიის აზრით, შეერთების შესახებ შეთანხმების პროექტში შესწორებები შეტანილ უნდა იქნეს ოთხი ძირითადი მიმართულებით, ესენია: 1) ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში EU-ის მონაწილეობის პროცედურის საბოლოოდ დამუშავება; 2) ევროკავშირის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 33-ე მუხლისა და N16 ოქმის გამოყენება; 3) ევროკავშირისა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთდობის პრინციპის დარღვევის თავი-

36 იხ. Council of Europe, 47+1(2020)Rinf, 22 June 2020. Virtual informal meeting of the CDDH ad hoc negotiation group (47+1) on the accession of the European union to the European convention on human rights. Meeting report, 22 June 2020, 19-20.

37 იხ. იქვე, 24-27.

დან აცილების მექანიზმის შემუშავება; და 4) EU-ის მიერ საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში (შემდგომში – „CFSP“) მიღებული აქტების ამორიცხვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქციიდან. აღსანიშნავია, რომ სტრასბურგის სასამართლო, ჯერ კიდევ CJEU-ის N2/13 დასკვნის ანალიზის კონტექსტში, კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა მისი იურისდიქციიდან CFSP-ის ამორიცხვას. დაბოლოს, კომისიის მემორანდუმში საუბარი იყო EU-ის ევროპულ კონვენციასთან შეერთების შესახებ მკაფიო და დაბალანსებულ გადანყვეტილებაზე.

COVID-19-ის პანდემიის გავრცელების გამო, სხდომათა უმეტესობა ვიდეო-კონფერენციის რეჟიმში წარიმართა, თუმცა ამას არანაირად უმოქმედია მიღებული გადანყვეტილებებისა და წარდგენილი წინადადებების ხარისხზე. ჯერ კიდევ პირველსავე სხდომაზე ნათელი გახდა, თუ რა მიმართულებით წარიმართებოდა შეერთების პროცესი. ევროკომისიის მემორანდუმზე დაყრდნობით, *ad hoc* ჯგუფმა (47+1) გადანყვიტა, აღარ შეემუშავებინა შეერთების შესახებ შეთანხმების ახალი პროექტი. ამის ნაცვლად, მიღებულ იქნა გადანყვეტილება, გადაესინჯათ და სათანადო ცვლილებები და დამატებები შეეტანათ შეერთების შესახებ შეთანხმების ძველ პროექტში, ლუქსემბურგის სასამართლოს N2/13 დასკვნაში მითითებული ხარვეზების გათვალისწინების საფუძველზე.

შესაბამისად, ყველა პრობლემური საკითხი *ad hoc* ჯგუფის მიერ ოთხ ძირითად ჯგუფად (სექციად) იქნა დაყოფილი. ამასთან, ამა თუ იმ პრობლემური საკითხის ერთ სექციაში გაერთიანების მთავარი მაკლასიფიცირებელი ნიშანი პრობლემის მსგავსება და საერთო რისკების არსებობა იყო.³⁸ საბოლოო ჯამში, ეს 4 სექცია შემდეგნაირად დაჯგუფდა: 1) პირველი სექცია – ევროკავშირის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მონაწილეობის პროცედურის დახვეწა (თანამოპასუხის მექანიზმი, პასუხისმგებლობის გადანაწილება); 2) მეორე სექცია – ECHR-ის 33-ე მუხლისა და N16 ოქმის გამოყენება ევროპის კავშირის მიმართ; 3) მესამე სექცია – ევროკავშირისა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთნდობის პრინციპი; 4) მეოთხე სექცია – EU-ის აქტები საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში.

აღნიშნული სექციები სრულად შეესაბამებოდა ევროპის კომისიის მიერ თავის მემორანდუმში განსაზღვრულ პრობლემურ ასპექტებს. კომისიის წინადადებებისადმი *ad hoc* ჯგუფის მსგავსი პატივისცემა პირდაპირ მიანიშნებდა, რომ ჯგუფის მუშაობისას ყველა მოსაზრება იქნებოდა მოსმენილი, განსაკუთრებით კი – EU-ის მოსაზრება.

2019 წელს კონვენციასთან ევროკავშირის შეერთების შესახებ მოლაპარაკებების განახლების შემდეგ დროებითმა სამუშაო ჯგუფმა შეხვედრების 18 რაუნდი

38 იხ. Council of Europe, 47+1(2020)R6, 22 October 2020. 6-th meeting of the CDDH ad hoc negotiation group (47+1) on the accession of the European union to the European convention on human rights. Meeting report, 29 September - 1 October 2020.

გამართა. ბოლო რაუნდი 2023 წლის 14-17 მარტს გაიმართა, რომლის შედეგადაც *ad hoc* ჯგუფის (46+1) თავმჯდომარემ, ტონი მეინიჩმა გამოაქვეყნა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან ევროპის კავშირის შეერთების შესახებ შეთანხმების შესწორებული (კონსოლიდირებული) პროექტი.³⁹

გადასინჯული პროექტის ანალიზი პირდაპირ მონიშნავს, რომ *ad hoc* ჯგუფმა (46+1) სრულად გაითვალისწინა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს N2/13 დასკვნაში დაფიქსირებული ყველა მოთხოვნა და შენიშვნა, აგრეთვე შეიმუშავა ქმედითი მექანიზმები, რომლებიც მიმართულია CJEU-სა და ECtHR-ს შორის იურისდიქციის კონფლიქტის მოგვარებაზე ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქმეების განხილვისას.

4.1. ევროკავშირის მონაწილეობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმის განხილვის პროცესში: სიახლეები თანამოპასუხის მექანიზმის გამოყენებაში

სტრასბურგის სასამართლოში შეტანილი საჩივრის განხილვაში კავშირის ან მისი წევრი ქვეყნის მონაწილეობისთვის, შეერთების შესახებ 2013 წლის შეთანხმების პროექტის შესაბამისად, გათვალისწინებულია თანამოპასუხის მექანიზმის შემოღება. კერძოდ, შეთანხმების მე-3 მუხლი ითვალისწინებდა კონვენციის 36-ე მუხლში („მესამე მხარის ჩართვა“) ცვლილების შეტანას და მისთვის მე-4 პუნქტის დამატებას, რომლის თანახმადაც, EU ან მისი წევრი სახელმწიფო შეიძლება გახდეს თანამოპასუხე საქმეში, ECtHR-ის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ამასთან, თანამოპასუხის მექანიზმის აღრევა არ უნდა მოხდეს კონვენციის 36-ე მუხლით უკვე გათვალისწინებულ მესამე მხარის მონაწილეობის მექანიზმთან, რომლის მიხედვითაც, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მაღალ ხელშემკვერელ მხარეს (მონაწილე ქვეყანას), რომლის მოქალაქეც არის განმცხადებელი, უფლება აქვს, წარუდგინოს სასამართლოს წერილობითი განმარტება და მონაწილეობა მიიღოს საქმის მოსმენაში. საქმის მოსმენაში ასეთი მონაწილეობა სახელმწიფოს არ აქცევს დავის მხარედ და, შესაბამისად, არ აკისრებს მას ECtHR-ის მიერ მიღებული დადგენილებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებას. თავის მხრივ, თანამოპასუხე დავის სრულუფლებიანი მხარეა და, არასასურველი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მას აუცილებლად მოუწევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილებაში მითითებული მოთხოვნების შესრულება.⁴⁰

39 იხ. Council of Europe, 46+1(2023)36, 17 March 2023. 18th meeting of the CDDH ad hoc negotiation Group on the accession of the European Union to the European Convention on Human Rights. Final consolidated version of the draft accession instruments. Strasbourg, 14-17 March 2023. <bit.ly/3VN1KPf> [15.08.2025].

40 იხ. А. С. Исполинов, В поисках новой парадигмы: Суд ЕС и ЕСПЧ спустя три года после заключения N2/13, Международное правосудие, 2(26), 2018, 17.

ასე, მაგალითად, ევროკავშირის შეეძლო საქმეში თანამოპასუხედ ჩართვა, თუ საჩივარი შეტანილი იყო ერთი ან რამდენიმე წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ, ხოლო ECHR-ისა და მისი ოქმების დარღვევა გამოწვეული იყო EU-ის სამართლის გამოყენების გამო. ანალოგიური პირობების არსებობის შემთხვევაში, წევრ ქვეყანას ასევე შეეძლო თანამოპასუხედ გამოსვლა, თუ საჩივარი შეტანილი იყო კავშირის წინააღმდეგ. როგორც წესი, საქმეები, რომლებშიც საჩივარი პირდაპირ ევროკავშირის მიმართაა წარდგენილი, დაკავშირებულია EU-ის ინსტიტუტებისა და ორგანოების ქმედებებსა და უმოქმედობასთან, რადგანაც მათ მიერ მიღებული ესა თუ ის გადაწყვეტილება არღვევს კონვენციითა და მისი ოქმებით განმტკიცებულ ადამიანის უფლებებს. ევროკავშირის უფლებამოსილებების გაფართოებასთან ერთად, მსგავსი დარღვევების რისკი სერიოზულად გაიზარდა. თანამოპასუხის სტატუსი შეიძლება შეცვლილიყო უშუალოდ საქმის განხილვის პროცესში, თუკი სამართალწარმოების დროს გამოვლინდებოდა, რომ საჩივარი, მეტწილად, წევრი სახელმწიფოს (და არა EU-ის) მიმართ იყო წარდგენილი, და პირიქით.

შეერთების შესახებ 2013 წლის შეთანხმების პროექტის მე-3(5) მუხლი ითვალისწინებდა, რომ ევროკავშირის ან წევრ სახელმწიფოს თანამოპასუხედ გამოსვლა შეეძლო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოწვევაზე თანხმობის გამოხატვის გზით, ან, EU-ის ან წევრი სახელმწიფოს თხოვნის საფუძველზე, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით. მეორე შემთხვევაში, კავშირის ან წევრი ქვეყნის მხრიდან სამართალწარმოების პროცესში თანამოპასუხის სახით ჩართვის მოთხოვნის მიღებისას ECtHR-ს შეეძლო, საკუთარი შეხედულებისამებრ გადაეწყვიტა, აუცილებელი იყო თუ არა საქმეში თანამოპასუხის ჩართვა. მსგავსი სიტუაციის შექმნის შემთხვევაში, ევროკავშირი და მისი წევრი ქვეყნები, შეიძლება, არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩენილიყვნენ, ვინაიდან თავიდან ბოლომდე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არგუმენტებზე ხდებოდნენ დამოკიდებულნი, რასაც, საერთო ჯამში, შეეძლო, უარყოფითი გავლენა მოეხდინა საქმის საბოლოო შედეგზე.⁴¹

გარდა ამისა, შეერთების შესახებ შეთანხმების მე-3(7) მუხლი შეიცავდა დებულებას, რომლის შესაბამისადაც განისაზღვრებოდა პასუხისმგებლობის ხარისხი მოპასუხესა და თანამოპასუხეს შორის. კერძოდ, საქმეზე არასასურველი შედეგის დადგომის შემთხვევაში, მოპასუხესა და თანამოპასუხეს სოლიდარულად ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა, თუკი ECtHR არ გადაწყვეტდა, რომ დავის მხოლოდ ერთი მხარე იყო ბრალეული ჩადენილ ქმედებაში; ანუ, სამართალწარმოების პროცესის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით, სტრასბურგის სასამართლოს შეეძლო, წევრი სახელმწიფო არაბრალეულად ეცნო და პასუხისმგებლობისგან გაეთავისუფლებინა, ხოლო კავშირი კი, პირიქით, ბრალეულად მიეჩნია. მეტიც, შეთანხმების მე-3(7) მუხლის არსიდან ასევე გამომდინარეობდა, რომ კავშირის წევრ

41 იხ. К. В. Энтин, Право Европейского союза сквозь призму практики Суда Европейского союза. Монография, Статут, М., 2020, 226.

სახელმწიფოს უფლებამოსილება ჰქონდა (შეეძლო), წარედგინა დასაბუთებული პოზიცია, რომელიც კონვენციისა და მისი ოქმების დარღვევაში EU-ის ბრალეულობას ადასტურებდა.

თანამოპასუხის მექანიზმის გამოყენების დეტალური ანალიზი იმ სახით, როგორც ის გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან ევროკავშირის შეერთების შესახებ შეთანხმებაში, ნათლად ცხადყოფს EU-ის სერიოზულ უთანასწორობასა და დაუცველობას ამ პროცესში. ეს უთანასწორობა გამოხატულია იმ ფაქტში, რომ კავშირისა და მისი წევრი ქვეყნების თანამოპასუხედ მონაწილეობის შესაძლებლობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დისკრეციასა დაქვემდებარებული. ამგვარად, წარმოიშობა სიტუაცია, როდესაც სტრასბურგის სასამართლო თანამოპასუხის მონაწილეობის მართლზომიერებას სასამართლო პროცესის მიღმა განიხილავს. გარდა ამისა, შეთანხმების დებულებები არ შეიცავს არანაირ ისეთ ნორმას, რომელიც ევროპის კავშირისთვის შეტყობინების აუცილებლობას დაადგენს იმის თაობაზე, რომ განსახილველი საჩივარი EU-ის სამართლიდან გამომდინარეობს. ამრიგად, ECtHR-ს შეუძლია, საკუთარი მოსაზრებების საფუძველზე, საერთოდ არ ჩართოს ევროკავშირი საქმის განხილვაში, რაც EU-ის სამართლის ავტონომიის ფუნდამენტური პრინციპის უხეში დარღვევაა.

შესაბამისად, შეერთების შესახებ შეთანხმების განახლებულ პროექტში ყველა ზემოხსენებული ხარვეზი გამოსწორებულია. ასე, მაგალითად, შეერთების შესახებ შეთანხმების მე-3(3) მუხლს დაემატა აბზაცი, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ვალდებულებას, აცნობოს ევროკავშირს იმის თაობაზე, რომ ECtHR განიხილავს საქმეს, რომელიც კავშირის სამართლის გამოყენებიდან გამომდინარეობს. გარდა ამისა, შეერთების შესახებ შეთანხმების ტექსტიდან ამორიცხულ იქნა პუნქტი, რომელიც სტრასბურგის სასამართლოს საშუალებას აძლევდა, საკუთარი შეხედულებისამებრ მიეღო გადაწყვეტილება სამართალწარმოების პროცესში თანამოპასუხის მონაწილეობასთან დაკავშირებით. ამ პუნქტის ნაცვლად, შემოტანილ იქნა ახალი პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ევროკავშირი და მისი წევრი ქვეყნები შეიძლება გახდნენ თანამოპასუხეები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოწვევით, ან თავად თანამოპასუხის მოთხოვნით, თუკი სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმე კავშირის ან მისი წევრი სახელმწიფოს მიერ EU-ის სამართლის გამოყენებიდან გამომდინარეობს. სამართალწარმოების პროცესში თანამოპასუხის ჩართვის შემთხვევაში, ECtHR ვალდებულია, განმცხადებელს მისცეს შესაძლებლობა, კიდევ ერთხელ გამოხატოს თავისი პოზიცია განსახილველი საკითხის არსებით მხარესთან დაკავშირებით.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ შეერთების შესახებ შეთანხმების მე-3 მუხლს დაემატა მე-6 პუნქტი, რომელიც საქმეში თანამოპასუხის მონაწილეობის შეწყვეტის მექანიზმს ითვალისწინებს. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლოს შეუძლია, შეწყვიტოს თანამოპასუხის მონაწილეობა საქმეში, თუ ეს უკანასკნელი

დაამტკიცებს, რომ სავარაუდო დარღვევა ევროკავშირის სამართლის გამოყენებასთან არ არის დაკავშირებული. ამრიგად, პროცესის მონაწილეთა დროის დაზოგვისა და საპროცესო ვადების შემცირების მიზნით, თანამოპასუხის მონაწილეობის შეწყვეტის მექანიზმი ძალიან ჰარმონიულად ჯდება შეთანხმებაში შეერთების შესახებ.

შეერთების შესახებ შეთანხმებაში ასევე შეტანილ იქნა ახალი დებულება, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ავალდებულებს, საკმარისი დრო მისცეს (გამოუყოს) EU-სა და მის წევრ ქვეყანას იმის დასადგენად, უკავშირდება თუ არა ადამიანის უფლებათა დარღვევა კავშირის სამართლის ნორმის გამოყენებას.

გარდა ამისა, შეერთების შესახებ გადასინჯული ხელშეკრულება წარმატებით აგვარებს ECtHR-ის მიერ პასუხისმგებლობის დისკრეციულ განაწილებასთან დაკავშირებულ პრობლემას. ამჯერად მოპასუხესა და თანამოპასუხეს ერთობლივი კოლექტიური პასუხისმგებლობა დაეკისრებათ, კონვენციისა და მისი ოქმების ამა თუ იმ დებულების დარღვევაში მათი ბრალეულობის ხარისხის მიუხედავად. ამგვარად, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს აღარ შეეძლება ბრალეულობის ხარისხის განსაზღვრა და პასუხისმგებლობის ამის შესაბამისად დაკისრება.

ფაქტობრივად, ზემოაღნიშნული ცვლილებები სრულად ითვალისწინებს CJEU-ის შენიშვნებს, რომლებიც მის N2/13 დასკვნაშია ასახული. Ad hoc ჯგუფის (46+1) წინადადებებმა არა მხოლოდ შეავსო, დააზუსტა და განმარტა თანამოპასუხის პროცედურის გამოყენება, არამედ მაქსიმალურად გაითვალისწინა EU-ის სტატუსი, მისი სამართლებრივი არსის სპეციფიკური მახასიათებლები და სამართლის ის პრინციპები, რომელთა საფუძველზეც ფუნქციონირებს ევროკავშირი. განახლებული შეთანხმების პროექტის თანახმად, ECtHR-ს აღარ აქვს სამართალწარმოების პროცესში თანამოპასუხის ჩართვის თაობაზე დისკრეციული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, ევროპის კავშირს კი ავტომატურად უნდა ეცნობოს ნებისმიერი დავის შესახებ, რომელიც EU-ის სამართლიდან გამომდინარეობს და რომელსაც სტრასბურგის სასამართლო განიხილავს.

4.2. სიახლეები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 33-ე და 53-ე მუხლების, ასევე კონვენციის მე-16 ოქმის გამოყენების მიმართ

ლუქსემბურგის სასამართლოს N2/13 დასკვნაში, სხვა საკითხებთან ერთად, გამოყოფილი იყო სამი არსებითი მიზეზი, რომელთა გამოც ევროპულ კონვენციასთან კავშირის შეერთების პროცესი დაუშვებელი იყო. სასამართლოს აზრით, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან EU-ის შეერთების შესახებ შეთანხმების პროექტი არ შეიცავდა არანაირ შეზღუდვას კონვენციის 33-ე მუხლის გამოყენებასთან მიმართებით. ამ მუხლის მიხედვით, ნებისმიერ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეიტანოს სა-

ხელმწიფოთაშორისი საჩივარი, თუ არსებობს საფუძველი ვარაუდისთვის, რომ კონვენციის მონაწილე კონკრეტულმა ქვეყანამ დაარღვია კონვენციისა და მისი ოქმების დებულებები. ამავე დროს, TFEU-ის 344-ე მუხლის თანახმად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, EU-ის სამართალთან დაკავშირებული დავები მოავგარონ მხოლოდ კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული და არა სხვა საშუალებებით; სხვა სიტყვებით, ამ ტიპის დავები ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში უნდა გადაწყდეს. ევროკავშირი შიშობდა, რომ, ევროპულ კონვენციასთან შეერთების შემთხვევაში, მის წევრ ქვეყნებს შესაძლებლობა მიეცემოდათ, კონვენციის 33-ე მუხლის საფუძველზე, საჩივრები შეეტანათ თავად კავშირის წინააღმდეგ, ხოლო ასეთ საჩივრებს კი ECtHR განიხილავდა. ამგვარად, კავშირის ქმედებები სტრასბურგის სასამართლოს საგარეო კონტროლს დაექვემდებარებოდა, მათ შორის მისი წევრი ქვეყნის „ნახალისებოდაც“ კი.⁴²

ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან ევროპის კავშირის შეერთების შესახებ შეთანხმების განახლებული პროექტის შესაბამისად, ეს შენიშვნა აღმოფხვრილია. შეთანხმების პროექტის მე-4 მუხლს („სახელმწიფოთაშორისი საჩივრები“) დაემატა მე-3 და მე-4 პუნქტები. მე-3 პუნქტი ითვალისწინებს, რომ ევროკავშირსა და მის წევრ ქვეყნებს არ შეუძლიათ კონვენციის 33-ე მუხლის გამოყენება ერთმანეთის მიმართ, თავიანთი ურთიერთქმედების ფარგლებში. გარდა ამისა, კავშირის წევრ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ გამოიყენონ ECHR-ის 33-ე მუხლი, თუ მათ შორის წარმოშობილი დავა დაკავშირებულია კავშირის სამართლის გამოყენებასა ან ახსნა-განმარტებასთან. მე-4 პუნქტი კი სტრასბურგის სასამართლოს ავალდებულებს, საკმარისი დრო მისცეს ევროკავშირს იმის დასადგენად, კონვენციის 33-ე მუხლის შესაბამისად შეტანილი სახელმწიფოთაშორისი საჩივლი ეხება თუ არა EU-ის სამართლის ნორმის გამოყენებას ან განმარტებას. ამრიგად, შეთანხმების პროექტის მე-4 მუხლით შემოღებული სიახლეები არა მხოლოდ ზღუდავს კავშირის წევრი ქვეყნების მიერ ECHR-ის 33-ე მუხლის გამოყენებას, არამედ ნერგავს მექანიზმს, რომლის ძალითაც, სახელმწიფოთაშორისი საჩივრის განხილვა შეიძლება შეჩერებულ იქნეს, თუ დავის საგანს ევროკავშირის სამართლის ნორმები შეადგენს. შესაბამისად, თუკი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმის განხილვისას CJEU საკმარისად დაასაბუთებს იმ ფაქტს, რომ წარდგენილი სახელმწიფოთაშორისი საჩივარი კავშირის სამართლის გამოყენებასთანაა დაკავშირებული, სტრასბურგის სასამართლოში საქმისწარმოება შეწყდება და მისი განხილვა უკვე ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში მოხდება. მსგავსი შემზღუდავი მექანიზმი, უდავოდ, ხელს შეუწყობს ორ სასამართლო ორგანოს შორის დაპირისპირების თავიდან აცილებას და შეამცირებს საპროცესო ვადებს.

42 იხ. Н. А. Цвейба, Анализ основных достижений переговорного процесса по присоединению Европейского союза к Европейской конвенции о защите прав человека 1950 г. (2019–2023), Право и управление. XXI век, 3(69), 2023, 87.

შემდეგი დამაჯერებელი მიზეზი, რომელმაც ლუქსემბურგის სასამართლოს უარყოფითი დასკვნის გაცემისკენ უბიძგა, იყო თავად CJEU-ის შიში პრეიუდიციული (ანუ წინასწარი გადაწყვეტილების) პროცედურის მნიშვნელობის შემცირებასთან მიმართებით. საქმე ისაა, რომ ECHR-ის მე-16 ოქმი⁴³ შესაძლებლობას აძლევს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების უმაღლეს ეროვნულ სასამართლო ორგანოებსა და ტრიბუნალებს, მოითხოვონ საკონსულტაციო დასკვნები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსგან კონვენციითა და მისი ოქმებით გარანტირებული უფლებების გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით. ამავე დროს, TFEU-ის 267(3)-ე მუხლის შესაბამისად, კავშირის წევრი სახელმწიფოების უმაღლესი სასამართლო ინსტანციები ვალდებული არიან, პრეიუდიციული მოთხოვნა წარუდგინონ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს, თუ ისინი EU-ის სამართლის ნორმების ახსნა-განმარტების საჭიროების წინაშე დგანან. ლუქსემბურგის სასამართლოსა და, საკუთრივ, ევროკავშირის შიშები უკავშირდებოდა იმას, რომ მე-16 ოქმის დებულებები საშუალებას აძლევს კონვენციის მონაწილე ქვეყნების ეროვნულ სასამართლოებს, სამართლებრივი ნორმის განმარტებისთვის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართონ, ისე, რომ არ გამოიყენონ ევროკავშირის სამართლით გათვალისწინებული პრეიუდიციული პროცედურის მექანიზმი. CJEU-ს აზრით, მსგავსი სიტუაციების წარმოშობა გარდაუვალია EU-ის კონვენციასთან შეერთების შემთხვევაში, შეერთების შესახებ შეთანხმების პროექტი კი არანაირ საზღვრებსა და შეზღუდვებს არ ადგენს.

ამ შენიშვნის აღმოფხვრის მიზნით, შეერთების შესახებ შეთანხმების განახლებულ პროექტს დაემატა მე-5 მუხლი, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-16 ოქმის გამოყენებას არეგულირებს. ამ მუხლის თანახმად, ECHR-ის მე-16 ოქმის რატიფიცირების განმახორციელებელი წევრი სახელმწიფოს უმაღლესი ეროვნული სასამართლო ორგანო ან ტრიბუნალი არ ჩაითვლება უმაღლეს ეროვნულ სასამართლო ორგანოდ და არ შეეძლება კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების განმარტებისა თუ გამოყენების მოთხოვნით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მიმართვა, თუ საკითხი, რომელიც განმარტებას საჭიროებს, EU-ის სამართლის ნორმის გამოყენების შედეგად, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევასთანაა დაკავშირებული. ამრიგად, ეს ნორმა აიძულებს უმაღლეს ეროვნულ სასამართლო ორგანოს, TFEU-ის 267-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, პრეიუდიციული მოთხოვნა ლუქსემბურგის სასამართლოს წარუდგინოს და შესაბამისი განმარტებები სწორედ მისგან მიიღოს.

CJEU-ის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შენიშვნა იყო შეერთების შესახებ შეთანხმებაში შეზღუდვების არარსებობა კონვენციის 53-ე მუხლის გამოყენებასთან

43 იხ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 2013 წლის 2 ოქტომბრის ოქმი №16 საკონსულტაციო დასკვნის გაცემის მოთხოვნის შესახებ იმ პრინციპულ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით განსაზღვრული უფლებების განმარტებასა თუ გამოყენებასთან.

მიმართებით, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის უფრო მაღალი სტანდარტების დადგენის შესაძლებლობას უშვებს, ვიდრე ეს თავად კონვენციითაა გათვალისწინებული. საგულისხმოა, ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაში არაერთხელ იქნა ხაზგასმული, რომ წევრი სახელმწიფოს მიერ EU-ის სამართლიდან გამომდინარე ვალდებულებების შეუსრულებლობა, ადამიანის უფლებათა დაცვის უფრო მაღალი გარანტიებისა და სტანდარტების შემცველი სხვა ნორმების შესრულების საბაზით, არ შეიძლება იყოს ევროკავშირის სამართლის ფარგლებში პასუხისმგებლობის გამორიცხვის საფუძველი. მელონის საქმე⁴⁴ ამის თვალსაჩინო მაგალითია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ლუქსემბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ შეთანხმების პროექტი სავალდებულო წესით უნდა შეიცავდეს ნორმას, რომელიც კონვენციის 53-ე მუხლის გამოყენებას შეზღუდავს. კავშირის ლოგიკა საკმაოდ ნათელია: ის ცდილობს, არ მისცეს წევრ სახელმწიფოებს, 53-ე მუხლის დებულების გამოყენების საბაზით, ევროკავშირის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებებისთვის თავის არიდების შესაძლებლობა.⁴⁵

კონვენციის 53-ე მუხლის დებულებების გამოყენებასთან დაკავშირებით არსებული ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს შიშების გაქარწყლების მიზნით, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან EU-ის შეერთების შესახებ განახლებული შეთანხმების პროექტის პირველ მუხლს დაემატა მე-9 პუნქტი. იგი ადგენს, რომ კონვენციის 53-ე მუხლი არ ზღუდავს კავშირსა და ევროპის საბჭოს, განსაზღვრონ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ერთობლივად შეთანხმებული სავალდებულო დონე, რომელიც არ იქნება კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით გარანტირებულ დონეზე დაბალი.

აღნიშნულ დებულებასთან დაკავშირებით *ad hoc* ჯგუფმა (46+1) დამატებითი განმარტებები წარადგინა, რომლის თანახმადაც, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შეთანხმებული სავალდებულო დონე შეიძლება დადგენილ იქნეს საერთაშორისო ან ევროპული თანამშრომლობის ფარგლებში (მაგალითად, ევროკავშირის შეუძლია, იგი კონკრეტულ წევრ ქვეყანასთან თავისი ურთიერთობე-

44 იხ. სტეფანო მელონი ესპანეთის გენერალური პროკურატურის წინააღმდეგ (*Stefano Melloni v. Ministerio Fiscal*), 2013 წლის 26 თებერვალი. ამ საქმეში ლუქსემბურგის სასამართლომ პირდაპირ მიუთითა, რომ ევროპის კავშირის სამართლის უზენაესობის პრინციპი, რომელიც EU-ის მართლმსაჯულების არსებითი მახასიათებელია, გამორიცხავს, ეროვნულმა, მათ შორის კონსტიტუციურმა, რეგულაციებმა შეზღუდოს ან ხელყოს ევროკავშირის სამართლის ეფექტიანობა ან მოქმედება წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე (იხ. 59-ე პუნქტი). შესაბამისად, სასამართლოს აზრით, ეროვნულ კონსტიტუციურ ტრადიციებთან კავშირის სამართლის რომელიმე ნორმის შეუსაბამობა არ არის EU-ის სამართლის ნორმის გამოყენებლობის საფუძველი მაშინაც კი, როცა ადამიანის უფლებათა დაცვის შესაძლებლობები ეროვნული სისტემის ფარგლებში უფრო ფართოა და დაცვის უფრო მაღალ ხარისხს ითვალისწინებს, ვიდრე თავად ევროკავშირის სამართალი, მათ შორის ძირითადი უფლებების ქარტია (იხ. მე-60 პუნქტი).

45 იხ. M-L. Deftou, *The Road to the EU's Accession to the ECHR: Reshaping the ECtHR-CJEU Judicial Interaction in Cases of Unwanted Migration?* *International Community Law Review*, 24 (4), 2022, 134-147.

ბის მარეგულირებელი აქტებით გაითვალისწინოს). განმარტებაში ასევე მითითებულია, რომ კონვენცია არ მოითხოვს მონაწილე სახელმწიფოებისგან ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის იმაზე უფრო მაღალი დონის დადგენას, ვიდრე ეს, საკუთრივ, კონვენციითაა უზრუნველყოფილი.⁴⁶ ამგვარად, ევროკავშირს, წევრ ქვეყნებთან ერთობლივად, შეუძლია შეათანხმოს ის შეზღუდვები და ფარგლები, რომელთა შესაბამისადაც მოხდება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფა და გარანტირება. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ისეთი შემთხვევების გამორიცხვას, როდესაც წევრი სახელმწიფო, კონვენციის 53-ე მუხლზე დაყრდნობით, უარს ამბობს EU-ის სამართლიდან გამომდინარე ნორმების შესრულებაზე.

მოცემულ კონტექსტში, საინტერესო და ნიშანდობლივია 2020 წლის 6 მაისის საქმე *მ. ნ. და სხვები ბელგიის წინააღმდეგ (M. N. and others v. Belgium)*,⁴⁷ სადაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ ასევე განაცხადა, რომ კონვენციის 53-ე მუხლი არ ავალდებულებს წევრ სახელმწიფოს, დაადგინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უფრო მაღალი დონე, ECHR-ით უზრუნველყოფილ დონესთან შედარებით. ევროპული კონვენციის 53-ე მუხლის მოთხოვნები ასეთი დაცვის მხოლოდ ქვედა ზღვარს მიემართება, რომელიც არ შეიძლება იმაზე უფრო დაბალი იყოს, ვიდრე ეს თავად კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებითაა გარანტირებული.

4.3. სიახლეები ურთიერთდობის პრინციპის გამოყენების მიმართ

ურთიერთდობის პრინციპი EU-ის სამართლის ფუძემდებელი პრინციპი და კავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობის ევროკავშირის სამართალთან შემდგომი ინტეგრაციისა და ჰარმონიზაციის უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. ლუქსემბურგის სასამართლოს N2/13 დასკვნის შესაბამისად, შეერთების შესახებ შეთანხმება იმ სახით, როგორც ის CJEU-ს წარედგინა განსახილველად, არ ითვალისწინებს აღნიშნული პრინციპის მნიშვნელობას ევროკავშირისთვის.

პრობლემის არსი ისაა, რომ CJEU-ისა და ECtHR-ის პრეცედენტული სამართლის ფარგლებში შეინიშნება განსხვავებული საფუძვლების არსებობა, რომლებიც გამორიცხავს ამ პრინციპის გამოყენებას. საფუძვლებში სხვაობა აშკარად იკვეთება თავშესაფრის მაძიებელ პირთა გადაცემასთან დაკავშირებულ საქმეებში, რომლებმაც განცხადება თავშესაფრის მინიჭების თაობაზე პირველი შესვლის ქვეყნის წესების შესაბამისად წარადგინეს. ასე, მაგალითად, CJEU-ის პოზიციის თანახმად, წევრ სახელმწიფოს შეუძლია, თავშესაფრის მაძიებელი პირის კავშირის სხვა წევრი ქვეყნისთვის გადაცემისას უარი თქვას ურთიერთდობის პრინ-

46 იხ. Appendix 5. Draft explanatory report to the Agreement on the Accession of the European Union to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, 38-ე პუნქტი. <bit.ly/3VN1KPF> [15.08.2025].

47 იხ. *მ. ნ. და სხვები ბელგიის წინააღმდეგ (M. N. and others v. Belgium)*, 2020 წლის 6 მაისი.

ციბის გამოყენებაზე, თუ გადამცემ სახელმწიფოს მოეპოვება მტკიცებულებები კანონმდებლობაში სისტემური განსხვავებების არსებობის შესახებ, რაც რეალურ რისკს უქმნის თავშესაფრის მაძიებელ პირს, რომ არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას დაექვემდებაროს.

ამავდროს, ევროპული კონვენციის შესაბამისად, ურთიერთნდობის პრინციპი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, თუ არსებობს საფუძველი ვარაუდისთვის, რომ თავშესაფრის მაძიებელი მიმღებ სახელმწიფოში ისეთ მოპყრობას დაექვემდებარება, რომელიც კონვენციის მე-3 მუხლს არღვევს. ლუქსემბურგის სასამართლოს აზრით, სამართლებრივ რეგულაციაში სისტემური განსხვავებების არსებობა არ ნიშნავს, რომ განაცხადის წარმდგენი თავშესაფრის მაძიებელი პირი არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას დაექვემდებარება. ევროპული კონვენციის ფარგლებში დადგენილი კრიტერიუმები გაცილებით ფართოა და მათ ადამიანის უფლებების დაცვის უფრო სერიოზული დონის უზრუნველყოფა შეუძლიათ. აღნიშნულმა განსხვავებებმა ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ, EU-ის კონვენციასთან შეერთების შემთხვევაში, წევრი ქვეყნები, ECHR-ით დადგენილ უფრო მაღალ სტანდარტებზე დაყრდნობით, უარს იტყვიან ურთიერთნდობის პრინციპის გამოყენებაზე. ამით კი ევროკავშირის სამართლის ავტონომია დაირღვევა.

ამ საკითხს, მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო 2019 წელს კვლავ განახლებული მოლაპარაკებების პროცესის ფარგლებში. მოლაპარაკებების პროცესის ერთ-ერთი რაუნდის დროს კავშირის დელეგაციამ აღნიშნა, რომ, ურთიერთნდობის პრინციპის გამოყენების მიმართ ლუქსემბურგისა და სტრასბურგის სასამართლოების 2013 წლამდე არსებული არაერთგვაროვანი მიდგომისგან განსხვავებით, მათი უახლესი სამართალგამოყენებითი პრაქტიკა ნათლად ცხადყოფს ორი სასამართლო ორგანოს მიდგომათა დაახლოების ტენდენციას ხსენებული პრინციპის გამოყენებასთან მიმართებით. ეს დაახლოება მჟღავნდება, ერთი მხრივ, ECtHR-ის მცდელობებში, აღიაროს ურთიერთნდობის პრინციპის მნიშვნელობა ევროკავშირის სამართალთან დაკავშირებულ საქმეებში და, მეორე მხრივ, იმ საფუძვლების გაფართოების მიმართ CJEU-ის დამოკიდებულების თვალშისაცემ ცვლილებაში, რომლებიც ურთიერთნდობის პრინციპის გამოყენებას გამოიწვევს.⁴⁸

ამგვარი დაახლოება ყველაზე ნათლად არანიოსისა და კელდარარუს საქმეში⁴⁹ ვლინდება. მიუხედავად იმისა, რომ საქმე სისხლისსამართლებრივ სფეროში სასამართლო თანამშრომლობის ინსტრუმენტს – დაპატიმრების ევროპულ ორდერს

48 იხ. Council of Europe, meeting report 6–th Meeting of the CDDH Ad Hoc negotiation group (47+1) on the accession of the European Union to the European Convention On Human Rights, 29 September 2020. <bit.ly/45NLcgu> [29.06.2025].

49 იხ. პოლ არანიოსი და რობერტ კელდერარუ ბრემენის გენერალური პროკურატურის წინააღმდეგ (*Pál Aranyosi and Robert Căldăraru v Generalstaatsanwaltschaft Bremen*), 2016 წლის 5 აპრილი.

– ეხება, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პოზიცია ამ საქმეზე კარგად ასახავს, საკუთრივ, EU-ისა და ლუქსემბურგის სასამართლოს ახლებურ მიდგომას ურთიერთნდობის პრინციპის აღქმისადმი. კერძოდ, აღნიშნულ საქმეში CJEU-მა განაცხადა, რომ დაპატიმრების ევროპული ორდერი არ უნდა იქნეს გამოყენებული, თუ არსებობს რისკი, რომ პირი, სხვა წევრ სახელმწიფოში გაძევების შემთხვევაში, დაექვემდებარება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლსა და ევროპის კავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ ანალოგიურ დებულებებთან შეუთავსებელ მოპყრობას. ამრიგად, ლუქსემბურგის სასამართლო კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ EU-ის წევრ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების შეუსაბამობა დაპატიმრების ევროპული ორდერის გამოყენებისა და ურთიერთნდობის პრინციპის უპირობო დაცვის აკრძალვის საფუძველია.⁵⁰

მსგავსი პოზიცია CJEU-ს ტყუილუბრალოდ არ გაუჟღერებია. იმავე (2016) წელს ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის გამოყენების შესახებ თავის ყოველწლიურ ანგარიშში⁵¹ ევროპის კომისიამ პირდაპირ განაცხადა EU-ის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შეერთების გადაუდებელი აუცილებლობის თაობაზე. ანალოგიური პოზიცია აღინიშნული იყო და დღემდე აღინიშნება სხვა დოკუმენტებშიც.⁵² განსახილველი პერიოდის განმავლობაში კავშირის ინსტიტუტებმა აქტიურად დაიწყეს კონვენციასთან შეერთების პროცესის განახლების გზების კვლევა-ძიება. თავის შემდგომ გადაწყვეტილებებში ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ უფრო აქტიურად დაიწყო თავისი პოზიციის დაცვა იმ პირების „ბრმად“ გადაცემის შეუძლებლობის შესახებ, რომლებმაც განაცხადი თავშესაფრის მინიჭებაზე დუბლინის წესების შესაბამისად წარადგინეს.⁵³

შეიძლება მტკიცება, რომ ლუქსემბურგის სასამართლო ამჟამად ავლენს სურვილს, ერთი მხრივ, გადაჭრას ურთიერთნდობის პრინციპის „ბრმად“ გამოყენების არსებული პრობლემა და, მეორე მხრივ, არ შეზღუდოს იგი იმ ზომამდე, რომელიც ამ პრინციპის მნიშვნელობის დაკნინებას გამოიწვევს.⁵⁴ ევროკავშირის მარ-

50 იხ. K. Bovend'Eerd, *The Joined Cases Aranyosi and Căldăraru: A New Limit to the Mutual Trust Presumption in the Area of Freedom, Security, and Justice?*, *Utrecht Journal of International and European Law*, 32(83), 2016, 112–121.

51 იხ. European Commission: Directorate-General for Justice and Consumers, 2016 report on the application of the EU Charter of Fundamental Rights, Publications Office, 2017. <bit.ly/44Guyyk> [13.08.2025].

52 იხ. The EU's accession to the European Convention on Human Rights: Joint statement on behalf of the Council of Europe and the European Commission, Brussels, 29.09.2020. <bit.ly/46GQn8U> [13.08.2025].

53 თვალსაჩინოებისთვის იხ.: C. K. და სხვები *სლოვენიის რესპუბლიკის წინააღმდეგ (C. K. and Others v. Republika Slovenija)*, 2017 წლის 16 თებერვალი; აბუბაკარ ჯავო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ (*Abubacarr Jawo v. Bundesrepublik Deutschland*), 2019 წლის 12 იანვარი.

54 იხ. B. De Witte, *The Relative Autonomy of the European Union's Fundamental Rights Regime*, *Nordic Journal of International Law*, Vol. 88, 2019, 65–85.

თელმსაჯულების სასამართლოს თავმჯდომარემ კონ ლენაერტსმა საგვებით სამართლიანად აღნიშნა, რომ ურთიერთდობის პრინციპის წარმატებული და სწორი გამოყენება და ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების ეფექტიანი სასამართლო დაცვა, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს კონსტრუქციულ დიალოგს EU-ის წევრი სახელმწიფოების ეროვნულ სასამართლო ორგანოებს, ECtHR-სა და CJEU-ს შორის.⁵⁵ ზემოხსენებული სასამართლო პრაქტიკა კი იმის დასტურია, რომ ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აქტიური თანხვედრის პერიოდში შევიდნენ. ურთიერთდობის პრინციპის მნიშვნელობის მიუხედავად, ლუქსემბურგის სასამართლო ცდილობს, საფრთხის ქვეშ არ დააყენოს ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

და მაინც, ურთიერთდობის პრინციპის გამოყენება ჯერ კიდევ საკვანძო პუნქტად რჩება ორ სასამართლო ორგანოს შორის ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების დამყარების თვალსაზრისით. როდესაც საუბარი ამ პრინციპის „იძულებითი“ მიგრაციის ქრილში გამოყენებას შეეხება, შესაბამისი იურიდიული პრაქტიკის ანალიზი თვალნათლივ მოწმობს თანდათანობით და მუდმივ ევოლუციას განსახილველ კონტექსტში დაბალანსებული ურთიერთობების მშენებლობის კუთხით. როგორც ელეონორა დე ფრანკო აღნიშნავს, მოლაპარაკების პროცესის დაწყების წინ და მისი მსვლელობისას ლუქსემბურგის სასამართლო თავის საქმეებში აშკარად ცდილობდა, რაც შეიძლება ხშირად და ნათლად ეჩვენებინა კონცეპტუალური ცვლილებები ურთიერთდობის პრინციპის გამოყენების მხრივ, რამეთუ, მოლაპარაკების პროცესის ფარგლებში, ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო აქტიურად აპელირებდა იმ ფაქტზე, რომ კავშირის სამართალში ამ პრინციპის გამოყენების კატეგორიული გადააზრება ხდება.⁵⁶

თავდაპირველად მოლაპარაკებების პროცესში EU-ის წარმომადგენლების მიერ მომზადებულ იქნა პოზიცია, რომლის თანახმადაც, შეთანხმების პრეამბულაში იგეგმებოდა სპეციალური დებულების შეტანა იმის თაობაზე, რომ მაღალ ხელშეშეკრულ მხარეებს ესმით და აღიარებენ ურთიერთდობის პრინციპის მნიშვნელობასა და როლს ევროკავშირისთვის; ასევე შეთანხმების ტექსტში გათვალისწინებული იყო მე-6 მუხლის ჩართვა, რომელიც ადგენდა, რომ EU-ის ევროპულ კონვენციასთან შეერთება გავლენას არ მოახდენდა ევროპის კავშირის ფარგლებში ურთიერთდობის პრინციპის გამოყენებაზე, თუმცა მისი გამოყენება ავტომატური არ არის და ზიანს არ უნდა აყენებდეს ECHR-ით განმტკიცებულ ადამიანის უფლებებს. ევროპის საბჭოს დელეგაციის აზრით, შეთანხმებაში მსგავსი სახის

55 იხ. A. Podolska, *Between Informal Dialogue and Official Criticism: The Bundesverfassungsgericht, the Court of Justice of the European Union, and the European Court of Human Rights concerning the Protection of Human Rights and Mutual Recognition of Judgments*, *International Community Law Review*, 21(5), 2019, 172–188.

56 იხ. E. Di Franco, V. De Carvalho, *Mutual Trust and EU Accession to the ECHR: Are We Over the Opinion 2/13 Hurdle?*, *European Papers*, Vol. 3, 2023, 1221–1233.

დებულებების ჩართვას რეალურად ხელეწიფებოდა ერთგვარი ხიდის გადება ამ პრინციპის მნიშვნელობის დადასტურებასა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქმეების გადაწყვეტისას მისი კორექტულად გამოყენების აუცილებლობას შორის, რაც, დიდწილად, შეუწყობდა ხელს სტრასბურგისა და ლუქსემბურგის სასამართლოებს შორის კონფლიქტის მოგვარებას მოცემული პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საქმეების განხილვის დროს. თუმცა კავშირის დელეგაცია დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ფორმულირება ურთიერთნდობის პრინციპის ავტომატური გამოყენების შეუძლებლობის შესახებ ზღუდავდა CJEU-ის პრეცედენტული პრაქტიკის შემდგომ განვითარებას ამ პრინციპის გამოყენების ფარგლებში და, ამასთან, ვერც ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ N2/13 დასკვნაში მითითებული შენიშვნების გამოსწორებას უზრუნველყოფდა.

ევროკავშირის დელეგაციის ამგვარი, საკმაოდ ხისტი პოზიციის შედეგად, შეერთების შესახებ შეთანხმების პროექტის მე-6 მუხლის ზემოხსენებული ფორმულირება უარყოფილ იქნა. მის ნაცვლად განახლებულ პროექტში შეტანილ იქნა შემდეგი სახის ფორმულირება: „ევროპის კავშირის კონვენციასთან შეერთება გავლენას არ ახდენს EU-ის ფარგლებში ურთიერთნდობის პრინციპის გამოყენებაზე. ამ კონტექსტში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს კონვენციით გარანტირებული ადამიანის უფლებების დაცვა“.

ურთიერთნდობის პრინციპის გამოყენების შესახებ ფორმულირების საბოლოო ვერსია აჩვენებს, რომ კავშირი კომპრომისზე მიდის და ანგარიშს უწევს ევროპის საბჭოს, იმ ფაქტის დადასტურებით, რომ, ურთიერთნდობის პრინციპის კონვენციის საზიანოდ გამოყენების შემთხვევაში, პირს, რომლის უფლებებიც დარღვეულია, წარმოეშობა ევროპული კონვენციის დებულებების დარღვევის თაობაზე ეროვნული სასამართლო ორგანოსთვის მიმართვის ავტომატური უფლება. გარდა ამისა, მე-6 მუხლის განმარტებების შესაბამისად, აღნიშნული ცვლილება ორ მნიშვნელოვან მიზანს ისახავს და ემსახურება: პირველი, იგი არ ზღუდავს ურთიერთნდობის პრინციპის ავტომატურ გამოყენებას და ამით, ფაქტობრივად, ითვალისწინებს ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს N2/13 დასკვნაში მითითებულ შენიშვნებს და, მეორე, მას შემოაქვს, ECHR-ის დებულებების დარღვევის გამო, ეროვნული სასამართლო ორგანოსთვის, სამართლებრივი თვალსაზრისით, მართლზომიერი მიმართვის მექანიზმი, რითაც თავის თავში მოიცავს ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიას. ეს მექანიზმი შესაძლებლობას იძლევა, გამოირიცხოს ორი სასამართლო ორგანოს იურისდიქციის კონფლიქტი და, ამავე დროს, უზრუნველყოფს ურთიერთნდობის პრინციპის გამოყენების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობას.⁵⁷

ამრიგად, როგორც მეინუთის უნივერსიტეტის (ირლანდია) სამართლის პროფესორი ტობიას ლოკი აღნიშნავს, „შეიძლება, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნას, რომ შეერთების შესახებ შეთანხმების განახლებულმა პროექტმა ურთიერთნდო-

57 იხ. იქვე.

ბის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემა ხალიჩის ქვეშ დამალა“. ⁵⁸ ასე, მაგალითად, შეერთების შესახებ შეთანხმების პროექტის მე-6 მუხლის ახალი ინტერპრეტაცია განამტკიცებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა და ურთიერთდობის პრინციპის ერთდროული პატივისცემის აუცილებლობას. შეთანხმების ტექსტიდან ურთიერთდობის პრინციპის ავტომატური გამოყენების შეუძლებლობის შესახებ ფორმულირების ამოღება სულაც არაა კავშირის დელეგაციის ცალმხრივი მოთხოვნა. ასეთი მოთხოვნის უკან, უპირველეს ყოვლისა, დგას შიში იმისა, „რომ შეთანხმების პროექტში ურთიერთდობის პრინციპის ავტომატური გამოყენების შეუძლებლობის თაობაზე სათანადო ნორმის პირდაპირი ჩართვა ლუქსემბურგის სასამართლოს იმ დასკვნამდე მიიყვანს, რომ შეერთების შესახებ შეთანხმების ახლად მომზადებული პროექტი შეუთავსებელია EU-ის სამართალთან“. ⁵⁹

4.4. *Ad hoc*-ჯგუფის (46+1) მიღწევები საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში CJEU-ისა და ECtHR-ის ურთიერთქმედების მექანიზმის შემუშავების კუთხით

საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა (შემდგომში – CFSP) ევროპის კავშირის უძველესი პოლიტიკური მიმართულება და საყრდენია. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ლისაბონის ხელშეკრულების შედეგად გაუქმდა ე.წ. „სამსვეტიანი“ სისტემა და კავშირის სტრუქტურა უფრო ერთგვაროვანი გახდა, CFSP-ის სფეროს მაინც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და მახასიათებელი ნიშნები. ⁶⁰ მაგალითად, აღნიშნული საერთო პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირის სუპრანაციონალური ინსტიტუტების კომპეტენცია მნიშვნელოვნადაა შეზღუდული და საკვანძო გადაწყვეტილებების მიღებას წევრი ქვეყნები EU-ის საბჭოს მეშვეობით ახდენენ.

ამგვარი შეზღუდვა კიდევ ერთხელ ადასტურებს წევრი სახელმწიფოების შიშსა და სკეპტიციზმს ზეეროვნულ დონეზე ასეთი მნიშვნელოვანი უფლებამოსილებების გადაცემის მიმართ, რომლებიც, სხვა საკითხებთან ერთად, საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა აქტორთან კავშირის ურთიერთობების განვითარების პოლიტიკურ ვექტორსაც განსაზღვრავს. იმდენად, რამდენადაც პოლიტიკურად რეზონანსული და ყველაზე რთული გადაწყვეტილებები სწორედ CFSP-ის სფეროში მიიღება, შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი ტიპის შეზღუდვები EU-ის მართლწესრიგში მოქმედი შეკავებისა და განონანსორების სისტემის ერთგვარი ანალოგია.

58 იხ. T. Lock, The EU before the European Court of Human Rights after accession [2017]. In S. Douglas-Scott & N. Hatzis (eds.), Research Handbook on EU Law and Human Rights (Cheltenham, Edward Elgar Publishing), Chapter 10 (pp. 226-242), 2017, 238.

59 იხ. Н. А. Цвейба, Конфликт юрисдикций Суда ЕС и ЕСПЧ при рассмотрении дел о защите прав человека: способы его разрешения. Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Москва, 2024, 93-94.

60 იხ. С. Ю. Кашкин, П. А. Калинин, А. О. Четвериков, Право европейского союза: учебник для академического бакалавриата, 4-е изд., перераб. и доп., Юрайт, М., 2017, 186.

საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის დამახასიათებელი თავისებურებები ნიშანდობლივია ასევე ლუქსემბურგის სასამართლოსთვისაც. მაგალითად, TFEU-ის 275-ე მუხლი ადგენს აღნიშნული სასამართლო ორგანოს უფლებამოსილებათა შეზღუდვებს CFSP-ის სფეროში, მათ შორის მის საფუძველზე მიღებული აქტების განხილვის მიმართაც. ასეთი შეზღუდვის ლოგიკა მარტივია: კავშირის წევრ სახელმწიფოებს სურთ, დამოუკიდებლად განმარტონ ამ სფეროში მიღებული აქტების შინაარსი და არ იყვნენ დამოკიდებულნი წინანდელ პრაქტიკაზე. ამგვარი მექანიზმი ძალიან მნიშვნელოვანია CFSP-ის პოლიტიკური მდგენელისთვის, თანამედროვე პოლიტიკური პროცესების დინამიკურობის გამო.

ამავე დროს, ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს აზრით, EU-ის კონვენციასთან შეერთების შემაფერხებელ ერთ-ერთ გარემოებას ის ფაქტი შეადგენს, რომ, შეერთების შემთხვევაში, სტრასბურგის სასამართლო უფლებამოსილი იქნება, განიხილოს ევროკავშირის მიერ CFSP-ის სფეროში მიღებული აქტების შედეგად ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევასთან დაკავშირებული საკმეები, მაშინ, როდესაც CJEU, ამ სფეროში შეზღუდული იურისდიქციის გამო, ფაქტობრივად, საკმის მიღმა დარჩება.⁶¹ გარდა ამისა, ლუქსემბურგის სასამართლოს შეზღუდული უფლებამოსილების ფონზე, ECHR-ის დებულებების დარღვევის შემთხვევაში, კავშირი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გარე კონტროლს დაექვემდებარება. ასევე, 275-ე მუხლის პირველი აბზაცის საფუძველზე, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს უფლება არ ექნება, შეაფასოს EU-ის სამართლის დებულებების კონვენციასა და მის ოქმებთან შესაბამისობა, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი დებულებები საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებს განეკუთვნება. ამრიგად, სტრასბურგის სასამართლოს შესაძლებლობა ექნება, საკუთარი ინტერპრეტაცია მისცეს კავშირის სამართლის დებულებებს საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე, თუკი ის განიხილავს საჩივარს იმ საკმის თაობაზე, რომელშიც ევროკავშირია ჩართული. ლუქსემბურგის სასამართლოს აზრით, მსგავსი გარემოებები არ ითვალისწინებს EU-ის სამართლის ავტონომიას.

CJEU-ის ეს შემოთქმა სერიოზულად იქნა აღქმული *ad hoc* ჯგუფის (46+1) მიერ, ხოლო თავად საკითხი კი ცალკე, მე-4 ბლოკად იქნა გამოყოფილი, რომლის ფარგლებშიც კავშირისა და ევროპის საბჭოს წარმომადგენლები ოპტიმალური სცენარის შემუშავების ვარიანტებს განიხილავდნენ. ამჟამინდელი მოცემულობით (15.08.2025-ის ფაქტობრივი მდგომარეობით), შეთანხმების პროექტის საბოლოო ვერსია უკვე გამოქვეყნებულია. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს უარყოფითი პოზიციის გამომწვევი ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გარშემო შემოთავაზებული და შეთანხმებულია ურთიერთქმედების ოპტიმალური

61 იხ. С. Ю. Кашикин, А. О. Четвериков, П. А. Калинин, Интеграционное право в современном мире: сравнительно-правовое исследование: коллективная монография, Проспект, М., 2022, 131.

მექანიზმები, რომლებიც სრულად ითვალისწინებს EU-ის სამართლის სპეციფიკას. მოლაპარაკების პროცესის დასასრულებლად საჭიროა მხოლოდ გადანაცვების მიღება ბოლო საკითხის თაობაზე, რომელიც სწორედ CFSP-ის სფეროში ევროკავშირის მიერ მიღებული აქტების ECtHR-ის ფარგლებში განხილვას უკავშირდება.

საგულისხმოა, რომ 2023 წლის მარტში გამართული მოლაპარაკების პროცესის ბოლო რაუნდის დროს *ad hoc* ჯგუფის (46+1) თავმჯდომარემ, ტონი მეინიჩმა, განაცხადა, რომ ორივე მხარემ ყველა პრობლემურ საკითხზე კონსენსუსს მიაღწია, შეერთების შესახებ შეთანხმების პროექტი მზადყოფნის უმაღლეს სტადიაზე იმყოფება, მასთან მიმართებით სარედაქციო ხასიათის სამუშაოები მიმდინარეობს და რომ, ბოლოსდაბოლოს, დამტკიცებულია ECtHR-ის მიერ იმ საჩივრების განხილვის მექანიზმი, რომლებიც განმცხადებლის მიერ CFSP-ის სფეროში მოქმედი კავშირის აქტების შედეგად კონვენციისა და მისი ოქმების დებულებათა დარღვევასთან დაკავშირებით იქნა წარდგენილი.⁶² მოლაპარაკების პროცესის ყველა რაუნდისა და ოფიციალური დოკუმენტების ანალიზი იძლევა იმის პროგნოზირების შესაძლებლობას, თუ რა სახის მექანიზმი იარსებებს.

ჯერ კიდევ 2020 წლის სექტემბერში გამართული მოლაპარაკებების პირველი რაუნდისას ევროპის კავშირის დელეგაციამ განაცხადა, რომ 2014 წლიდან CJEU-ის სასამართლო პრაქტიკა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად შეიცვალა. კერძოდ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს აქტიური საქმიანობის წყალობით მნიშვნელოვნად იქნა გაფართოებული იმ საგამონაკლისო გარემოებების გამოყენების ფარგლები, რომელთა შემთხვევაშიც მისი იურისდიქცია ვრცელდება CFSP-ის სფეროზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კავშირის დელეგაციამ თხოვნით მიმართა *ad hoc* ჯგუფს, რომ ამ ბლოკის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცია ლუქსემბურგის სასამართლოს ბოლო პერიოდის პრაქტიკისთვის, აგრეთვე პირობა დადო, რომ უახლოეს პერიოდში წარადგენდა ინფორმაციას CJEU-ის ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეების შესახებ, რომლებიც კარგად ასახავს მის ახლებურ მიდგომებს საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროდან გამომდინარე საქმეების განხილვისადმი.⁶³

მოლაპარაკებების შემდეგი რაუნდის ფარგლებში კავშირის დელეგაციამ წარმოადგინა სამუშაო მასალები, სადაც თავმოყრილი იყო ლუქსემბურგის სასამართლოს უახლესი პრაქტიკა, რომელიც ნათლად ცხადყოფს ევროკავშირის

62 იხ. Council of Europe, 46+1(2023)R18, 17 March 2023. 18-th meeting of the CDDH *ad hoc* negotiation group (46+1) on the accession of the European Union to the European Convention On Human Rights. Meeting report, 14-17 March 2023.

63 იხ. Council of Europe, 47+1(2020)Rinf, 22 June 2020. Virtual informal Meeting of the CDDH *Ad Hoc* negotiation group ("47+1") on the accession of the European Union to the European Convention On Human Rights. Meeting report, 22 June 2020.

მართლმსაჯულების სასამართლოს იურისდიქციის მნიშვნელოვან გაფართოებას საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში.⁶⁴ EU-ის დელეგაციის წარმომადგენლებმა სამუშაო მასალებში, სხვა საკითხებთან ერთად, კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ, თუ 2014 წელს CJEU-ს არ ჰქონდა საკმარისი შესაძლებლობა, განესაზღვრა თავისი იურისდიქციის ფარგლები CFSP-ის სფეროში, ამჟამად, აქტიური სამართალგამოყენებითი პრაქტიკის წყალობით, იგი გვერდს უვლის ამ შეზღუდვებს, საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში მის იურისდიქციასთან დაკავშირებული დამფუძნებელი ხელშეკრულებების დებულებების ახსნა-განმარტების გზით, ადამიანის უფლებათა ეფექტიანი სასამართლო დაცვის პრინციპზე დაყრდნობით. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ თავის გადანაცვლებებში ერთიმეორეზე მიყოლებით დაადასტურა, რომ მისი იურისდიქციის შეზღუდვები CFSP-ის სფეროში ვინაოდ უნდა იქნეს განმარტებული. ასეთი საქმეების თვალსაჩინო მაგალითებია: „როსნეფტის“,⁶⁵ „ბანკი რეფა კარგარანის“,⁶⁶ „ელიტალიანა სპას“,⁶⁷ H.-ის⁶⁸ საქმეები.

ამ საქმეების ანალიზი ნათლად აჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვნად შეიცვალა და გაფართოვდა ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს კომპეტენცია საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში და რომ აღნიშნულ სფეროში ლუქსემბურგისა და სტრასბურგის სასამართლოების ურთიერთქმედებისთვის აუცილებელია ისეთი მიდგომის შემუშავება, რომელიც გაითვალისწინებს CJEU-ის კომპეტენციის ახალ თავისებურებებს CFSP-ის სფეროში.

ასეთი წინადადება მომზადებულ იქნა მოლაპარაკებების პროცესის მორიგი რაუნდის ფარგლებში, რომელიც 2021 წლის მარტში გაიმართა. EU-ის დელეგაციის მიერ შემოთავაზებულ იქნა საკმაოდ უჩვეულო მექანიზმი, რომელიც სრულად ითვალისწინებს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს N2/13 დასკვნაში გამოთქმულ ყველა შენიშვნას და, ამავე დროს, ევროპის საბჭოს მოთხოვნებსაც შეესაბამება. აღსანიშნავია, რომ ევროპის კავშირის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შეერთების ახალი პროექტის განხილვის სტადიაზე განიხილებოდა ECtHR-ის კომპეტენციიდან იმ საქმეების გამორიცხვის საკითხი,

64 იხ. Non-paper for 7-th Meeting of the CDDH Ad Hoc negotiation group (“47+1”) on the accession of the European Union to the European Convention on Human Rights. Submitted by the delegation of the European Union Compilation of cases in the area of Basket 4 (“The Common Foreign and Security Policy”). <<http://bit.ly/4mv8Bc3>> [15.08.2025].

65 იხ. სს ნავთობკომპანია „როსნეფტი“ მისი უდიდებულესობის ზახინისა და სხვების წინააღმდეგ (PJSC Rosneft Oil Company v. Her Majesty’s Treasury and Others), 2017 წლის 28 მარტი.

66 იხ. ბანკი რეფა კარგარანი ევროპის კავშირის საბჭოს წინააღმდეგ (Bank Refah Kargaran v. Council of the European Union), 2020 წლის 6 ოქტომბერი.

67 იხ. ელიტალიანა სპა Eulex კოსოვოს წინააღმდეგ (Elitaliana SpA v. Eulex Kosovo), 2015 წლის 12 ნოემბერი.

68 იხ. H. ევროპის კავშირის საბჭოსა და სხვების წინააღმდეგ (H. v. Council of the European Union and Others), 2016 წლის 19 ივლისი.

რომლებიც კავშირის მიერ CFSP-ის სფეროში თავისი უფლებამოსილებების განხორციელებიდან გამომდინარეობს. მსგავსი სახის გამონაკლისი გაათანაბრებდა სტრასბურგისა და ლუქსემბურგის სასამართლოების უფლებებს საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში და, შესაბამისად, ახალი მექანიზმის შემუშავების საჭიროებაც აღარ იქნებოდა. თუმცა ევროპის საბჭოს დელეგაცია ამგვარ იდეას სკეპტიკურად შეხვდა, იმ საბაბით, რომ ასეთ გამონაკლისს შეიძლება ევროპის საბჭოში არსებული ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის მნიშვნელოვანი დისფუნქცია გამოენვია.

სწორედ ამიტომ EU-ის დელეგაციის მიერ შემოთავაზებულ იქნა სრულიად ახალი მექანიზმი,⁶⁹ რომელიც მოლაპარაკების პროცესის ორივე მხარეს აკმაყოფილებს. შეთანხმების განახლებულ პროექტს შემოაქვს „პრეზუმცია კუთვნილების შესახებ“, რომელიც საშუალებას აძლევს ევროკავშირს, პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევისთვის, რომელიც CFSP-ის ფარგლებში კავშირის, მისი ინსტიტუტების ან ორგანოების ქმედებებით ან უმოქმედობითაა გამოწვეული, EU-ის ერთ ან რამდენიმე წევრ სახელმწიფოზე გადაამისამართოს, თუ ასეთი დარღვევის ან შეტანილი სარჩელის არსებითი განხილვა არ შედის ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს კომპეტენციაში, TFEU-ის 275-ე მუხლის პირველი აბზაცით გათვალისწინებული მისი უფლებამოსილების შეზღუდვის გამო. ამასთან, გადანაცვლებას იმის შესახებ, შედის თუ არა ესა თუ ის კონკრეტული საქმე მის კომპეტენციაში, თუ ამ საქმეზე მისი იურისდიქცია არ ვრცელდება, TFEU-ის 275-ე მუხლით დადგენილი შეზღუდვების გამო, უშუალოდ ლუქსემბურგის სასამართლო იღებს. ასეთი მექანიზმი შექმნის გარანტიას იმისას, რომ CFSP-ის სფეროში კავშირის ქმედებების ან უმოქმედობის შედეგად გამოწვეულ დარღვევებთან დაკავშირებული ყველა საქმე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გარე კონტროლს დაექვემდებარება და ამ საქმეებზე მოპასუხე EU-ის წევრი სახელმწიფო იქნება, ხოლო, საკუთრივ, ევროპის კავშირი, სურვილის შემთხვევაში, თანამოპასუხედ ჩაერთდება პროცესში. ამგვარად, ევროკავშირი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ECtHR-ის სასამართლო პროცესში იმ საქმეებზე, რომლებიც CFSP-ის სფეროში კავშირის, მისი ინსტიტუტებისა და წევრი სახელმწიფოების ქმედებებითა და უმოქმედობით გამოწვეულ დარღვევებთანაა დაკავშირებული და, ამავე დროს, იგი არც სტრასბურგის სასამართლოს პირდაპირ გარე კონტროლს დაექვემდებარება. იმ შემთხვევაში, თუ CJEU-ის იურისდიქცია, CFSP-ის სფეროში კავშირის ქმედებებიდან გამომდინარე კონკრეტული საქმის განხილვისას არ არის შეზღუდული, მაშინ მას შეუძლია, არსებითი განხილვის საფუძველზე, დამოუკიდებლად მიიღოს გადანაცვლები და, შესაბამისად, არც ზემოაღნიშნული მექანიზმის გამოყენების საჭიროება იქნება.

69 იხ. Council of Europe, 47+1(2021)R9, 25 March 2021. 9-th meeting of the CDDH Ad Hoc negotiation group (“47+1”) on the accession of the European Union to the European Convention On Human Rights. Meeting report, 23-25 March 2021.

ახალი მექანიზმის თაობაზე თავისი წინადადების წარდგენისას ევროპის კავშირმა აღნიშნა, რომ ამგვარი მექანიზმის დანერგვა არანაირად არ იმოქმედებს უარყოფითად განმცხადებლის უფლებებზე. პირიქით, მას შესაძლებლობა ექნება, შესაბამისი დაკმაყოფილება მიიღოს უშუალოდ EU-ის ერთი ან მეტი წევრი სახელმწიფოსგან, რომლებიც თავად კავშირის მიერ იქნებიან დანიშნულნი პასუხისმგებლად. ეს წინადადება დადებითად იქნა მიღებული ევროპის საბჭოს დელეგაციის მიერ, რომელმაც ცალკე მადლობა გადაუხადა ევროკავშირის დელეგაციას იმისათვის, რომ ამ უკანასკნელმა ყველაზე მარტივი გზა არ აირჩია და საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა არ ამორიცხა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქციიდან. ზოგიერთმა დელეგაციამ (მაგალითად, იტალიისა და საბერძნეთის დელეგაციებმა) გარკვეული შეშფოთება გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ გადამისამართება უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს განმცხადებელს და გაზრდის პროცესუალურ ვადებს, კონვენციის დებულებების დარღვევაზე პასუხისმგებელი EU-ის წევრი ქვეყნის დადგენის პროცედურის დროში გაჭიანურების გამო. ასევე გაურკვეველი რჩებოდა, თუ რა ჩაითვლება სამართლებრივი საშუალებების ამოწურვად და ა.შ. ასეთი მექანიზმის უფრო დეტალურად და სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, *ad hoc* ჯგუფის თავმჯდომარემ, ტონი მენინჩმა, ევროკავშირის დელეგაციას შესთავაზა, მოემზადებინა დოკუმენტი შესაბამისი სცენარების პროექტთან ერთად იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოხდება, საკუთრივ, მექანიზმის გამოყენება EU-ის კონვენციასთან შეერთების შემთხვევაში.

Ad hoc ჯგუფის მომდევნო შეხვედრაზე კავშირის დელეგაციამ წარმოადგინა საცნობარო მასალა, რომელიც აღწერს ახალი მექანიზმის გამოყენების წესს, შეიცავს სცენარებს, რომელთა ფარგლებშიც ეს მექანიზმი იქნება გამოყენებული, აგრეთვე პასუხს სცემს მის გამოყენებასთან დაკავშირებულ ყველაზე აქტუალურ კითხვებს.⁷⁰

საცნობარო მასალის შესავალი ნაწილი იწყება EU-ის მხრიდან იმის ოფიციალური დადასტურებით, რომ, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სრულად დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ევროკავშირის ყველა ქმედება და უმოქმედობა ექცევა სტრასბურგის სასამართლოს კონტროლის ქვეშ. სხვა საკითხებთან ერთად, ეს CFSP-ის სფეროში კავშირის ქმედებებსა და უმოქმედობასაც ეხება. ამ ფაქტის კონსტატაციის შემდეგ აღწერილია განსახილველი მექანიზმის მოქმედება. კერძოდ, იმის დასადასტურებლად, რომ EU-ის, მისი ორგანოებისა და ინსტიტუტების, ასევე წევრი სახელმწიფოების ქმედებები ან უმოქმედობა CFSP-ის სფეროში ეწინააღმდეგება კონვენციისა და მისი ოქმების დებულებებს, აუცილე-

70 იხ. Negotiation document for 12-th Meeting of the CDDH Ad Hoc negotiation group ("47+1") on the accession of the European Union to the European Convention On Human Rights Submitted by the delegation of the European Union Proposals in the area of Basket 4 (Common Foreign and Security Policy). <bit.ly/44nYgrS> [11.07.2025].

ბელია სარჩელის წარდგენა ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში. CJEU წინასწარ განიხილავს წარდგენილ სარჩელს და, თუ დაადგენს, რომ აქვს მისი არსებითად განხილვის იურისდიქცია, მაშინ იგი ამ საქმეზე თავად იღებს გადაწყვეტილებას. მაგრამ, თუ სასამართლო დაასკვნის, რომ CFSP-ის სფეროში საქმის განხილვის უფლებამოსილება არ აქვს, საბჭო, ლუქსემბურგის სასამართლოს პოზიციის საფუძველზე, განსაზღვრავს დარღვევაზე პასუხისმგებელ სახელმწიფოს და მოპასუხედ ნიშნავს მას საქმის სტრასბურგის სასამართლოს ფარგლებში განხილვის ეტაპზე. ამრიგად, CJEU-ის მიერ საქმის არსებითად განხილვაზე უარის თქმა ECHR-ის 35-ე მუხლში მითითებული სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალების ამონურვის მოთხოვნის დაკმაყოფილებად ჩაითვლება. მას შემდეგ, რაც პასუხისმგებლობა, კუთვნილების მიხედვით, ერთ ან რამდენიმე წევრ ქვეყანას გადაეცემა, დაზარალებულ მხარეს შესაძლებლობა ექნება, ECtHR-ს მიმართოს, სადაც საქმეზე მოპასუხე არა ევროკავშირი, არამედ კონკრეტული წევრი სახელმწიფო იქნება. შესაბამისად, სრული პასუხისმგებლობაც EU-ის წევრ ქვეყანას დაეკისრება და არა თავად კავშირს.

ევროკავშირის წარმომადგენლობის მიერ წარმოდგენილი საცნობარო მასალა ცალკე პუნქტად ითვალისწინებს განმცხადებლის უფლებებსა და გარანტიებს. კერძოდ, კავშირის დელეგაციის აზრით, კუთვნილების მიხედვით საქმის გადამსამართლებისას CJEU-მა და საბჭომ ისეთ ვადაში უნდა განსაზღვრონ პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფო, რომ პროცესი დროში არ გაჭიანურდეს და განმცხადებელს არ დაერღვევს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებების გამოყენებისა და სტრასბურგის სასამართლოსადმი მიმართვის უფლებები.

საქმის, კუთვნილების მიხედვით, გადამსამართლების მთელი პროცედურა შემდეგ პრინციპებს უნდა შეესაბამებოდეს:

- საქმეში ნებისმიერ ეტაპზე უნდა არსებობდეს მოპასუხე;
- იმთავითვე ცხადი უნდა იყოს, თუ რომელ სასამართლოს (CJEU-ს თუ ECtHR-ს) აქვს საჩივრის განხილვის იურისდიქცია, ან უნდა არსებობდეს პასუხისმგებელი სასამართლო ორგანოს განსაზღვრასთან დაკავშირებული ნებისმიერი გაურკვევლობის გადაწყვეტის ეფექტიანი მექანიზმი;
- ლუქსემბურგის სასამართლოს მიერ CFSP-ის სფეროში იურისდიქციის არსებობის ან არარსებობის დადგენის პროცესი არ უნდა იყოს ზედმეტად ხანგრძლივი, თუმცა ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს საკმარისი დრო უნდა მიეცეს იურისდიქციის საკითხის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად;
- ევროკავშირის ევროპულ კონვენციასთან შეერთების შესახებ შეთანხმების პროექტის არცერთი დებულება არ უნდა უშლიდეს ხელს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უფლებას, მოსთხოვოს განმცხადებელს სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალების ამონურვა იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ განმცხადებელმა საბჭოს მიერ პასუხისმგებლად განსაზღ-

ერულ სახელმწიფოში არ ისარგებლა სამართლებრივი დაცვის ყველა არსებული საშუალებით;

- CJEU-ის უარი სარჩელის არსებით განხილვაზე CFSP-ის სფეროში იურისდიქციის არარსებობის გამო, პრაქტიკულად, საჩივრის დასაშვებობის პირობა და იმ ფაქტის დადასტურებაა, რომ განმცხადებელმა ამონურა სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება, თავისი დარღვეული უფლების (რომელიც კონვენციითაა გათვალისწინებული) აღსადგენად; ლუქსემბურგის სასამართლოს მიერ CFSP-ის სფეროში იურისდიქციის შეზღუდულობის გამო, სარჩელის განხილვაზე უარის თქმის გარეშე, საჩივარი არ შეიძლება სტრასბურგის სასამართლოში იქნეს განხილული.

საგულისხმოა, რომ საცნობარო მასალა შეიცავს სპეციალურ პუნქტს, რომელშიც მოცემულია შემუშავებული მექანიზმის გამოყენების სცენარები. კერძოდ, EU-ის დელეგაციის მიერ, კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე, სცენარის 2 ტიპი იქნა წარმოდგენილი: პირველი, – როდესაც საჩივარი შეტანილია ევროკავშირის წინააღმდეგ, და მეორე, – როდესაც საჩივარი აღძრულია კავშირის წევრი ქვეყნის წინააღმდეგ. ამასთან, თითოეული ეს სცენარი მოიცავს ქვესცენარებს.⁷¹ ისინი არა მხოლოდ ნათელ წარმოდგენას ქმნის ახალი მექანიზმის ფუნქციონირების მთლიანი ციკლის შესახებ, არამედ მის ეფექტიანობასა და მიზანშეწონილობასაც ადასტურებს.

ფაქტობრივად, ევროკავშირის დელეგაციის მხრიდან საცნობარო მასალის მომზადების პროცესში ევროპის საბჭოს დელეგაციის ყველა წინადადება, ყველა შესაძლო რისკი და საფრთხე იქნა გათვალისწინებული და მინიმუმამდე შემცირებული. ასეთი მიდგომა ორ რამეზე მეტყველებს: პირველი, EU, მოლაპარაკებების პროცესის ეტაპზევე, ცდილობს, აღმოფხვრას ყველა შესაძლო წინააღმდეგობა, ვინაიდან აღარ სურს, ლუქსემბურგის სასამართლოს უარყოფითი არგუმენტების წინაშე კიდევ ერთხელ აღმოჩნდეს და, მეორე, ცდილობს, იზოვოს კომპრომისი ევროსაბჭოს დელეგაციის მოთხოვნებსა და EU-ის სამართლის ავტონომიის შენარჩუნებას შორის.

5. დასკვნა

ევროპის კავშირის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შეერთების იდეა, რომელიც, 1970-იანი წლებიდან მოყოლებული, აქტიურად განიხილება ევროპის პოლიტიკურ და სამეცნიერო წრეებში, დღესაც აქტუალურია. ამ მიმართულებით მხარეების მიერ 2019 წელს სპეციალური *ad hoc* ჯგუფის (46+1) ფარგლებ-

⁷¹ უფრო დანვრილებით იხ. Negotiation document for 12-th Meeting of the CDDH Ad Hoc negotiation group ("47+1") on the accession of the European Union to the European Convention On Human Rights Submitted by the delegation of the European Union Proposals in the area of Basket 4 (Common Foreign and Security Policy), 5-6. <bit.ly/44nYgrS> [11.07.2025].

ში განახლებული მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული პროგრესის ანალიზი თვალნათლივ მოწმობს მათ მტკიცე განზრახვასა და სურვილს, ბოლოსდაბოლოს, ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანონ შეერთების გაჭიანურებული პროცესი.

აღნიშნული *ad hoc*-ჯგუფის მიერ 2023 წლის მარტში მომზადებულ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან ევროკავშირის შეერთების შესახებ შეთანხმების შესწორებულ პროექტში არაერთი მნიშვნელოვანი და არსებითი სიახლე იქნა გათვალისწინებული. სიახლეები, ძირითადად, დაკავშირებულია თანამოქალაქის მექანიზმის მოქმედებასა და პასუხისმგებლობის განაწილებასთან, ECHR-ის 33-ე და 53-ე მუხლების, ასევე კონვენციის მე-16 ოქმის გამოყენებასთან ევროკავშირის სამართლის მიმართ; კიდევ უფრო მეტადაა დახვეწილი ურთიერთდობის პრინციპის გამოყენების მექანიზმი და დარეგულირებულია ლუქსემბურგისა და სტრასბურგის სასამართლოებს შორის ურთიერთქმედების საკითხი საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში წარმოშობილი დავების განხილვისას.

შეერთების შესახებ შეთანხმების გადასინჯულ პროექტში შეტანილი ცვლილებები სრულად ფარავს ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს N2/13 დასკვნაში მითითებულ შენიშვნებს და, რაც მთავარია, სავსებით მისაღებია როგორც EU-ის, ისე ლუქსემბურგის სასამართლოსთვის, ეს კი კავშირის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შეერთებას რეალურად შესაძლებელს ხდის.

ევროკავშირის კონვენციასთან შეერთების შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისა და მათი გარანტიების უზრუნველყოფის ევროპული სისტემა სრულიად ახალ დონეზე გადავა და უფრო კომპლექსურ ხასიათს შეიძენს. ამგვარი შეერთება გაზრდის კერძო პირთა სამართლებრივი დაცვის ხარისხს EU-ის ინსტიტუტების ქმედებებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მხრიდან დამატებითი საგარეო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობის წყალობით. ევროკავშირი სრულად ინტეგრირებული გახდება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სისტემაში და შებოჭილი იქნება ECtHR-ის პრაქტიკით, რაც მას ნამდვილ „სამართლებრივ კავშირად“ გადააქცევს და კიდევ უფრო მეტად განამტკიცებს მის დემოკრატიულ ხასიათს.

ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს შორის ურთიერთქმედების მკაფიო წესების დამტკიცების პირობებში, შეიცვლება თავად CJEU-ისა და ECtHR-ის სამართალგამოყენებითი პრაქტიკის ხასიათიც. ამ ორი ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ლოგიკურად და შინაარსობრივად ერთგვაროვანი და თანმიმდევრული გახდება, რაც დადებითად იმოქმედებს ევროპაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ხარისხზე.

სუბსიდიარობისა და ერთობლივი (საზიარო) პასუხისმგებლობის პრინციპები ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემაში: ინტერლაკენის სამოქმედო გეგმისა და შემდგომი დეკლარაციების მიხედვით

თამარ ონიანი

1. შესავალი

ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის ეფექტიანობა განპირობებულია ურთიერთქმედებით საერთაშორისო სასამართლოებისა და მაღალი ხელშემკვრელი სახელმწიფოების ეროვნულ სამართლებრივ წესრიგებს შორის. ეს ურთიერთქმედება ჩამოყალიბებულია ორი ერთმანეთთან დაკავშირებული პრინციპით: სუბსიდიარობით და ერთობლივი (საზიარო) პასუხისმგებლობით. სუბსიდიარობის პრინციპი აღიარებს, რომ ეროვნული ხელისუფლება, აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოები საუკეთესო მდგომარეობაში არიან ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად და რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული სისტემა ემსახურება საზედამხედველო მექანიზმის უზრუნველყოფას მხოლოდ მაშინ, როდესაც შიდა სისტემები ამას ვერ ახერხებენ; მეორე მხრივ, საზიარო პასუხისმგებლობის პრინციპი ითვალისწინებს როგორც სასამართლოს, ისე მონაწილე სახელმწიფოების თანამშრომლობით მოვალეობას, უზრუნველყონ სახელშეკრულებო სისტემის სათანადო ფუნქციონირება და მდგრადობა.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ორივე პრინციპმა ცენტრალური ადგილი დაიკავა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში და ევროპის საბჭოს პოლიტიკურ დისკურსში. ეს აისახება ორ განსხვავებულ, მაგრამ ურთიერთდაკავშირებულ განვითარებაში, კერძოდ, განვითარებადი სასამართლო პრაქტიკა, რომელიც სულ უფრო მეტად იყენებს სუბსიდიარობას და შეფასების ზღვარს შიდა დონეზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის იმპლემენტაციის გასაძლიერებლად; და მაღალი დონის ზოგი დეკლარაციის მიღება – ინტერლაკენიდან (2010) კოპენჰაგენამდე (2018), – რომლებიც ითვალისწინებენ სახელმწიფოების ვალდებულებას, დაიცვან კონვენციის სტანდარტები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში, და, იმავდროულად, გაუმკლავდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე არსებულ გრძელვადიან გამოწვევებს. ეს სტატია მიმო-

იხილავს სუბსიდიარობისა და ერთობლივი პასუხისმგებლობის პრინციპების შინაარსს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემაში.

2. სუბსიდიარობის ცნება

ადამიანის უფლებათა სამართალში სუბსიდიარობის პრინციპი ვლინდება სტრუქტურულ, შინაარსობრივ და პროცედურულ ასპექტებში.¹ სუბსიდიარობის ცნება, რომლის წარმოშობასაც ხშირად უკავშირებენ არისტოტელეს, თომა აკვინელს ან ალთუზიუსს,² როგორც იურიდიულ, ისე, პოლიტიკურ დისკურსებში, ყველაზე ხშირად გულისხმობს პრინციპს, რომელიც მრავალდონიანი მმართველობის სისტემებში წარმართავს საჯარო ხელისუფლების განაწილებასა და განხორციელებას.³ თანამედროვე გაგებით, სუბსიდიარობის მიზანია, უზრუნველყოს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესები ლეგიტიმური იყოს მათი ინკლუზიურობისა და ყველა შესაბამისი მონაწილე მხარის ჯეროვანი ჩართულობით,⁴ რაც, ასევე, ადამიანის უფლებების პერსპექტივით, შეიძლება დაკავშირებული იყოს ადამიანის ღირსების უფლებასთანაც, რომელიც თითოეულ ინდივიდს აძლევს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს მართვის პროცესში.

ინგლისური ენის ოქსფორდის ლექსიკონი მიუთითებს, რომ „სუბსიდიარობა“ ნეოლოგიზმია, რომელიც ენაში 1930-იან წლებში შემოვიდა, გერმანული სიტყვის (*Subsidiarität*) ანალოგიით, და, თავის მხრივ, ლათინურ ფრაზას ეფუძნება კათოლიკური ენციკლიკიდან (*Quadragesima Anno*).⁵ სუბსიდიარობის პოლიტიკური პრინციპის, როგორც ის პაპ პიუს XI-ის 1931 წლის ენციკლიკაშია წარმოდგენილი, ეთიკური მიზანი, ერთი მხრივ, ინდივიდისა და მცირე თემების ავტონომიის დაცვაა, ხოლო, მეორე მხრივ, აღიარება ინდივიდის პასუხისმგებლობისა საკუთარი კეთილდღეობისთვის; ასევე, აღიარება მცირე თემის პასუხისმგებლობისა მისი წევრების კეთილდღეობაზე.⁶ ამ ენციკლიკამ ფაშიზმისა და კომუნიზმის ისტორიულ

1 G. L. Neuman, 'Subsidiarity' in D. Shelton (ed), *The Oxford Handbook of International Human Rights Law*, Oxford University Press 2013, 360.

2 ამ პრინციპის ნორმატიული შინაარსი ამჟამინდელ კონტექსტში მნიშვნელოვნად შეცვლილია და აღარ ეხება ავტონომიას, თვითმმართველობას ან კულტურულ იდენტობას. იხ. Isabel Feichtner, 'Subsidiarity' in Rüdiger Wolfrum (ed), *Max Planck Encyclopedia of Public International Law*, Oxford University Press, updated Oct 2007.

3 I. Feichtner, 'Subsidiarity' in R. Wolfrum (ed), *Max Planck Encyclopedia of Public International Law*, Oxford University Press, updated Oct 2007, 1-ელი-მე-2 პუნქტები.

4 იქვე, §5. იხ. ასევე, Markus Krajewski, 'International Organizations or Institutions, Democratic Legitimacy' in Rüdiger Wolfrum (ed), *Max Planck Encyclopedia of Public International Law*, Oxford University Press, updated May 2008.

5 G. L. Neuman, 'Subsidiarity' in D. Shelton (ed), *The Oxford Handbook of International Human Rights Law*, Oxford University Press, 2013, 361.

6 I. Feichtner, 'Subsidiarity' in R. Wolfrum (ed), *Max Planck Encyclopedia of Public International Law*, Oxford University Press, updated Oct 2007, 1-ელი-მე-2 პუნქტები.

ფონზე განიხილა სუბსიდიარობის დოქტრინა და განავითარა შემდეგი მიდგომა, რომ სახელმწიფოს უმაღლესმა ხელისუფლებამ უნდა მისცეს დაქვემდებარებულ ჯგუფებს შესაძლებლობა, მართონ ნაკლებმნიშვნელოვანი საკითხები, რათა არ გაფანტოს თავისი ძალები არაჯეროვნად. ამ გზით სახელმწიფო უფრო ეფექტიანად შეასრულებს იმ საქმეებს, რომლებიც მხოლოდ მისი, როგორც სახელმწიფოს, ექსკლუზიურ გამგებლობას მიეკუთვნება. სხვადასხვა ჯგუფს შორის სწორი თანმიმდევრულობის შენარჩუნება, სუბსიდიარობის პრინციპის გათვალისწინებით, ამყარებს სოციალურ ხელისუფლებას და უზრუნველყოფს სახელმწიფოს კეთილდღეობასა და წინსვლას.⁷

სამართლებრივი პერსპექტივით, აღსანიშნავია, რომ ოქსფორდის სამართლის განმარტებითი ლექსიკონი სუბსიდიარობის პრინციპს შემდეგნაირად განმარტავს: ევროკავშირის პრინციპი, დაფუძნებული მაასტრიხტის ხელშეკრულების⁸ მე-3(ა) მუხლით, უზრუნველყოფს, რომ იმ სფეროებში, რომლებიც არ შედის ევროკავშირის ექსკლუზიურ კომპეტენციაში, ევროკავშირი არ გაატარებს ღონისძიებებს, თუ მიზნები, რაც ამ მოქმედებას აქვს დასახული, სათანადოდ ვერ მიიღწევა წევრი სახელმწიფოების მიერ ინდივიდუალურად. შესაბამისად, იგი ითვალისწინებს კანონმდებლობას ეროვნულ დონეზე იმ შემთხვევებში, როდესაც ევროკავშირის დონეზე ჩარევა არ არის აუცილებელი.⁹ ამის შემდგომ ლისაბონის ხელშეკრულების¹⁰ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტმა კიდევ უფრო დააზუსტა სუბსიდიარობის მნიშვნელობა და იგი განისაზღვრა შემდეგნაირად: „სუბსიდიარობის პრინციპის შესაბამისად, იმ სფეროებში, რომლებიც არ შედის კავშირის ექსკლუზიურ კომპეტენციაში, კავშირი მოქმედებს მხოლოდ მაშინ და იმდენად, რამდენადაც შემოთავაზებული ქმედების მიზნები ვერ მიიღწევა სათანადოდ წევრი სახელმწიფოების მიერ, იქნება ეს ცენტრალურ, რეგიონულ თუ ადგილობრივ დონეზე, მაგრამ ეს მიზნები უფრო ეფექტიანად მიიღწევა კავშირის დონეზე, თვით ქმედების მასშტაბისა ან შედეგების გამო“.

გარდა ევროკავშირისა, სუბსიდიარობის პრინციპი, როგორც საკონსტიტუციო სამართლის პრინციპი, ასახულია ფედერალური და დეცენტრალიზებული სახელმწიფოების კონსტიტუციებში და არეგულირებს უფლებამოსილების განაწილებას ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე *ex ante* (წინასწარი, უფლებამოსილებების ცენტრალური და ადგილობრივი დონეებისთვის გადაცემა იმ გათ-

7 G.L.Neuman, 'Subsidiarity' in D.Shelton (ed), *The Oxford Handbook of International Human Rights Law*, Oxford University Press, 2013, 361. ციტი: Peter G Carozza, 'Subsidiarity as a Structural Principle of International Human Rights Law' (2003) 97 *American Journal of International Law* 38, 42.

8 Treaty on European Union (Maastricht Treaty) (signed 7 February 1992, entered into force 1 November 1993).

9 J.Law and E.A. Martin (eds), *A Dictionary of Law*, 7th edn, Oxford University Press, 2009, 533.

10 Treaty of Lisbon amending the Treaty on European Union and the Treaty establishing the European Community (signed 13 December 2007, entered into force 1 December 2009).

ვლით, რომელი დონე შეძლებს მათ უკეთესად განხორციელებას – მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები¹¹), *ex post* (შემდგომი, როდესაც ცენტრალური ხელისუფლება უფლებამოსილია, იმოქმედოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაამტკიცებს, რომ ადგილობრივ ორგანოებს არ შეუძლიათ იმავე შედეგის მიღწევა) ან ორივე მოდელის გაერთიანებით (მაგ. *გერმანია*).¹² სუბსიდიარობის პრინციპი საერთაშორისო სამართალში დაკავშირებულია სოლიდარობისა და პროპორციულობის პრინციპებთან.¹³

სოლიდარობის პრინციპი საერთაშორისო სამართალში არა მარტო ერთ-ერთი პრინციპია, არამედ იგი არის სამი მთავარი სტრუქტურული პრინციპიდან (კოორდინაციის, კოოპერაციისა და სოლიდარობის პრინციპები)¹⁴ ერთ-ერთი და ეფუძნება ისეთ საერთო ღირებულებებს, როგორებიცაა: დემოკრატია, ადამიანის უფლებები და ჰუმანიტარული პრინციპები. იგი არის დახმარება, რომელსაც ერთი მხარე აძლევს მეორეს ანაზღაურების გარეშე, საერთო მიზნების მისაღწევად ან კრიზისიდან გამოსაყვანად. სოლიდარობა შეიძლება განხორციელდეს როგორც სახელმწიფოთა შორის, ისე სახელმწიფოსგან მოსახლეობისადმი, ზოგჯერ ქვეყნის მთავრობის ნების გარეშე. სოლიდარობის პრინციპის საფუძველზე რესურსები გაიცემა უნაგაროდ, რათა დახმარების მიმღებმა შეძლოს მისი მიზნების მიღწევა, რასაც ასეთი დახმარების გარეშე ვერ შეძლებდა.¹⁵

პროპორციულობა მოიცავს სამ ელემენტს: მიზანშეწონილობას (*suitability*), საჭიროებას (*necessity*) და პროპორციულობას ვიწრო გაგებით (*stricto sensu proportionality*). ღონისძიება უნდა იყოს მიზნისთვის შესაბამისი (მიზანშეწონილობა), ნაკლებად შემზღუდველი ხელმისაწვდომ ვარიანტებს შორის (საჭიროება) და არ უნდა იწვევდეს მიზანთან შედარებით გადამეტებულ ზიანს (პროპორციულობა, ვიწრო გაგებით).¹⁶ ამასთანავე, სუბსიდიარობის პრინციპთან ურთიერთკავშირში პროპორციულობის ასპექტმა შეიძლება გავლენა მოახდინოს არა მარტო, ღონისძიების შინაარსზე, არამედ მის ფორმასა და სასამართლო კონტროლზეც კი.¹⁷

11 G.L.Neuman, 'Subsidiarity' in D.Shelton (ed), *The Oxford Handbook of International Human Rights Law*, Oxford University Press, 2013, 361., ციტი: J.N.Rakove, *Original Meanings: Politics and Ideas in the Making of the Constitution*, Vintage Books, 1997, 177-80.

12 იქვე, ციტი: G.Taylor, 'Germany: The Subsidiarity Principle', 2006, 4 *ICON* 115; cf G.Taylor, 'Germany: A Slow Death for Subsidiarity?' (2009) 7 *ICON* 139 (discussing later amendment narrowing the scope of *ex post* subsidiarity).

13 I.Feichtner, 'Subsidiarity' in R.Wolfrum (ed), *Max Planck Encyclopedia of Public International Law* (Oxford University Press, updated Oct 2007), მე-4 პუნქტი.

14 იხ. R.Wolfrum, 'International Law' in R.Wolfrum (ed), *Max Planck Encyclopedia of Public International Law*, Oxford University Press, updated Nov 2006, 39-ე-79-ე პუნქტები.

15 D.Campanelli, 'Solidarity, Principle of' in R.Wolfrum (ed), *Max Planck Encyclopedia of Public International Law*, Oxford University Press, updated Mar 2011, მე-7-მე-10 პუნქტები.

16 E.Crawford, 'Proportionality' in Rüdiger Wolfrum (ed), *Max Planck Encyclopedia of Public International Law*, Oxford University Press, updated May 2011, მე-2 პუნქტი.

17 I.Feichtner, 'Subsidiarity' in Rüdiger Wolfrum (ed), *Max Planck Encyclopedia of Public International Law*, Oxford University Press, updated Oct 2007, მე-4 პუნქტი.

3. სუბსიდიარობა, როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სტრუქტურული პრინციპი

1948 წლის 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღების შემდეგ, საერთაშორისო დონეზე მკაფიოდ გაცხადდა, რომ ადამიანის უფლებები *per se* სახელმწიფოს შიდა საქმეებად ვერ ჩაითვლებოდა, და მისი დაცვის ღირსი ინტერესი, მათ შორის, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტირების თვალსაზრისით,¹⁸ არსებითი იყო. ამის შემდგომ, უკვე იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულებების ჩამოყალიბებით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ესწრაფვის ისეთი სტრუქტურული პრინციპების ჩამოყალიბებასა და გარანტირებას, რომლებიც ამ სისტემებს მისცემს მდგრადი განვითარების შესაძლებლობას. ყველა ამ მცდელობაში კი ამოსავალი წერტილი ერთია: საერთაშორისო მექანიზმები არ ანაცვლებენ სახელმწიფოების როლს, რომლებიც მთავარი გარანტის ფუნქციით აღჭურვილნი არიან. ამისთვის, სუბსიდიარობასთან ერთად, საერთაშორისო ინსტრუმენტები ფუნქციონირებენ ისეთ პრინციპებზე დაყრდნობით, როგორებიცაა: დემოკრატიულობა, სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი, პროპორციულობა, თავისუფალი შეფასების ფარგლები, ხელშეკრულებები (კონვენციები), როგორც ცოცხალი ინსტრუმენტები, კონვენციებით დაცული უფლებების ავტონომიურობა, უფლების მართლზომიერი შეზღუდვის სტანდარტების ჩამოყალიბება, ავი განზრახვით უფლებების შეზღუდვის აკრძალვა, პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები, და სხვ.¹⁹

ეს პრინციპები პრაქტიკაში დროთა განმავლობაში სახეცვალებადობას განიცდის, და, რა თქმა უნდა, ეროვნული კონტექსტები დიდ როლს ასრულებს, მაგალითად, 21-ე საუკუნის დასაწყისში ილიბერალური დემოკრატიების აღზევება, ანუ დემოკრატიების, უფლებების გარეშე,²⁰ დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპს არსს გამოაცლის, თუკი დემოკრატიის შინაარსში უფლებადაცული ინდივიდი არ იქნება მოაზრებული.

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტები, როგორც გლობალური (მაგ., გაეროს სახელშეკრულებო ორგანოები), ისე რეგიონული (მაგ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო), საკუთარ მართლმსაჯულებას სუბსიდიარობის პრინციპზე დაყრდნობით აღასრულებენ. კერძოდ, ეს პრინციპი, მათ შორის, ვლინდება უფლების დაცვის ეროვნული საშუალებების ამონურვის ვალდე-

18 ე. რუზველტი, ბრძოლა ადამიანის უფლებებისთვის, თარგმნა თამარ ონიანმა, საჯარო გამოსვლები და ადამიანის უფლებები, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2017, 3.

19 შდრ. Ph. Leach, *Taking a Case to the European Court of Human Rights*, 4th ed, Oxford University Press, 2017, 186.

20 ი. მუნკი, ხალხი დემოკრატიის წინააღმდეგ: რატომ არის ჩვენი თავისუფლება საფრთხეში და როგორ გადავარჩინოთ ის (*The People vs. Democracy: Why Our Freedom Is in Danger and How to Save It*, Harvard University Press 2018, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი 2024), თარგმნა ზაზა შენგელიამ, 11.

ბულებად. კერძოდ, ვიდრე მომჩივანი საერთაშორისო ინსტრუმენტს მიმართავს უფლების დაცვისთვის, მან ჯერ იმავე მოთხოვნით (აქ არ იგულისხმება მხოლოდ ფორმალურად მიმართვა, არამედ, მათ შორის, იმავე არგუმენტაციის ნარდგენის ვალდებულება, რასაც მხარე სადავოდ გახდის საერთაშორისო დონეზე) ეროვნულ დონეზე შესაბამის უფლების დაცვის საშუალებას უნდა მიმართოს.

აქ არსებითია ის, რომ საშუალება, რომელსაც უფლების დაცვა ევალება ადგილობრივ დონეზე, იყოს ეფექტიანი.²¹ ლიბერალური საზოგადოებები ადამიანის უფლებებს კანონის ფორმას აძლევენ, რაც მათი პროცედურული ხასიათის გაძლიერებას იწვევს,²² და თუ არ იარსებებს ძლიერი, მედეგი, ნამდვილად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ინსტიტუციები, შესაბამისად, ვერც ეს უფლებები იარსებებს პრაქტიკულ დონეზე, რადგან არ იქნება უფლების დაცვის ქმედითი ადგილობრივი საშუალება.

სუბსიდიარობის პრინციპი ამრიგად წყალგამყოფის როლშია, რომელიც ნამდვილად ასრულებს წესებზე დაფუძნებულ საერთაშორისო წესრიგში უმნიშვნელოვანეს ფუნქციას, რადგან, ფაქტობრივად, მისი ინტერპრეტაცია განაპირობებს სახელმწიფოების ანგარიშვალდებულების ან გაზრდას, ან შემცირებას, ან *status quo*-ს შენარჩუნებას საერთაშორისო დონეზე, რისი შედეგებიც პირდაპირ აისახება ამ სახელმწიფოს იურისდიქციაში, და, რა თქმა უნდა, ინდივიდუალურ, ადამიანურ დონეზე მას ყველაზე მძაფრი გამოხატულება შეიძლება ჰქონდეს, როგორცაა, მაგალითად, ინსტრუმენტული უფლებები, რომლებიც უკავშირდება შეკრების თავისუფლებას, სამართლიანი სასამართლოს უფლებას, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით დევნის დაუშვებლობას და სხვ. ამისთვის სუბსიდიარობის პრინციპი, საერთაშორისო ინსტიტუტების ბუნებიდან გამომდინარე, სხვადასხვაგვარად განმარტება. ასე, მაგალითად, ისეთ ინსტრუმენტებს, როგორებიცაა გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ოფისი ან ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისარი, არ სჭირდებათ სუბსიდიარობის ისეთი სკრუპულოზური განმარტება, როგორიც, მაგალითად, კონვენციურ სისტემაზე დაყრდნობით, გაეროს სახელშეკრულებო ორგანოებს ან ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. მათ მანდატში შედის ქვეყნებში ადამიანის უფლებების ზედამხედველობა და შესაბამისი ინფორმაციის მოკვლევა, დაოქმება, საჯაროდ კომუნიკაცია ამის

21 შდრ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენცია, მიღებული 1950 წლის 4 ნოემბერს, რომი, ძალაში შესული 1953 წლის 3 სექტემბერს, საქართველოსთვის ძალაშია 1999 წლის 20 მაისიდან, მუხლი 13: სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.

22 ფ. ფუკუიამა, ლიბერალიზმი და მისით უკმაყოფილონი (*Liberalism and Its Discontents*, Farrar, Straus and Giroux 2022, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2022), თარგმნა ზაზა შენგელიამ, 21.

შესახებ, რაც, თავის მხრივ, ასევე ატარებს მართლმსაჯულების აღსრულებაში ზოგჯერ დამხმარე, ზოგჯერ კი ძირითად როლს.

ერთმანეთისგან განსხვავდება მატერიალური სუბსიდიარობა (**Substantive Subsidiarity**) და პროცედურული (**Procedural Subsidiarity**), რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა უფლების დაცვის საშუალებების ამონაწერის ვალდებულება, ე.წ. მეოთხე ინსტანციის დოქტრინა, თავისუფალი შეფასების ფარგლები (**Margin of Appreciation**).

3.1. მატერიალური სუბსიდიარობა

პროფესორი გერალდ ნიუმანი, პროფესორების, დინა შელტონისა და კაროზას, ნაშრომებზე დაყრდნობით,²³ ავითარებს მოსაზრებას, რომ ადამიანის უფლებათა სამართალში მატერიალური სუბსიდიარობა შინაარსობრივი პრინციპია, რომელიც ადასტურებს სახელმწიფოთა ძირითად პასუხისმგებლობას, დაიცვან თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ადამიანის უფლებები. ეს პრინციპი გამოხატავს იდეას, რომ ადგილობრივი ხელისუფლება არის სწორედ ის საუკეთესო პოზიციაში მყოფი სუბიექტი (მისი დემოკრატიული ლეგიტიმურობის, ინსტიტუციური გარანტიებისა და კონტექსტის აღქმის გამო), რომელმაც უპირველესმა უნდა დაიცვას საერთაშორისო ინსტრუმენტებით გარანტირებული უფლებები. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, „მაღალი ხელშეკრული მხარეები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I თავში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს“.

მატერიალური სუბსიდიარობა მჭიდროდ არის დაკავშირებული პოზიტიური და ნეგატიური სუბსიდიარობის კონცეფციებთან. პოზიტიური სუბსიდიარობა უკავშირდება სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, შექმნას და შეინარჩუნოს ადამიანის უფლებების დაცვის ფუნქციური ეროვნული სისტემა, მათ შორის, საკანონმდებლო, სასამართლო და ადმინისტრაციული ღონისძიებებით. როგორც წესი, სახელმწიფოს ასეთი პოზიტიური ვალდებულებები ადამიანის უფლებათა სამართალში იშვიათად თუ არის ნეგატიური სუბსიდიარობით შეზღუდული, მაგალითად, სახელმწიფოსთვის დავალებით, არ უზრუნველყოს გარკვეულ ხარისხზე მეტი დაცულობის გარანტია. ამასთან, შინაარსობრივი კუთხით, აღსანიშნავია, რომ თავად სუბსიდიარობის პრინციპი საერთაშორისო სამართალში არ აწესრიგებს იმას, თუ რა ტიპის ტერიტორიული მოწყობა ან ამ ტერიტორიულ მოწყობაში სუბიექტებს რა უფლებები უნდა ჰქონდეთ. ეს საკითხი სახელმწიფოს მიერ არის გადასაწყვეტი და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სისტემა მას იღებს მოცემულობად.²⁴

23 G.L.Neuman, 'Subsidiarity' in David Shelton (ed), *The Oxford Handbook of International Human Rights Law*, Oxford University Press, 2013, 365-9.

24 მაგალითად, ევროპის საბჭოში არსებობს ცალკე ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, თუმცა იგი არ არის ადამიანის უფლებათა სისტემაში ინტეგრირებული, და, შესაბამისად, არ იცავს ინდივიდუალური ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან დაკავშირებულ სუბსიდიარობას. *European Charter of Local Self-Government*, Oct. 15, 1985, Europ. T.S. No. 122.

3.2. პროცედურული სუბსიდიარობა

3.2.1. უფლების დაცვის საშუალებების ამონურვის ვალდებულება

უფლების დაცვის საშუალებების ამონურვის წესი კონვენციური სისტემისგან განუყოფელი საბაზისო პრინციპია,²⁵ რომელსაც აქვს ფუნქციური დანიშნულება, ეროვნული ხელისუფლების ორგანოებს, უპირატესად სასამართლოებს, მისცეს შესაძლებლობა, აიცილონ ან აღმოფხვრან კონვენციის სავარაუდო დარღვევა,²⁶ რაც კონვენციის მექანიზმის სუბსიდიარული ბუნების მნიშვნელოვანი ასპექტია.²⁷ სახელმწიფოები თავისუფლდებიან საერთაშორისო მექანიზმის წინაშე პასუხისგებისაგან, ვიდრე მათ არ მიეცემა შესაძლებლობა, წარმოადგენილ პრეტენზიებს საკუთარი ეროვნული სამართლებრივი სისტემის ფარგლებში უპასუხონ.²⁸ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ხშირად აღუნიშნავს, რომ ეს წესი გარკვეული მოქნილობის ხარისხით უნდა მიესადაგოს განსახილველ უფლებადარღვევას და მისი კონტექსტის²⁹ გათვალისწინებით, თავიდან იქნეს არიდებული ფორმალისმი.³⁰ აღნიშნული კი პირდაპირ არის დაკავშირებული სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლებასთან (ევროპული კონვენციის მე-13 მუხლი), კერძოდ, რამდენად იქნა კონვენციური მოთხოვნები ეროვნულ სამართალში ინკორპორირებული.³¹

25 დემოპულოსი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (*Demopoulos and Others v. Turkey*) (dec) [GC], 2010 წლის 1 მარტი, 69-ე და 97-ე პუნქტები.

26 იხ. პრინციპების შეჯამება საქმეებში: გერგინა რუმინეთის წინააღმდეგ (*Gherghina v. Romania*) (dec) [GC], 2015 წლის 9 ივლისი, 84-ე-89-ე პუნქტები; მოკანუ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (*Mocanu and Others v. Romania*) [GC], 2014 წლის 17 სექტემბერი, 221-ე პუნქტი; ვუჩკოვიჩი და სხვები სერბეთის წინააღმდეგ (*Vučković and Others v. Serbia*), (preliminary objection) [GC], 2014 წლის 25 მარტი, 69-ე-77-ე პუნქტები.

27 სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Selmouni v. France*) [GC], 1999 წლის 28 ივლისი, 74-ე პუნქტი; კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ (*Kudła v. Poland*) [GC], 2000 წლის 26 ოქტომბერი, 152-ე პუნქტი.

28 აკდივარი თურქეთის წინააღმდეგ (*Akdivar v. Turkey*), 1996 წლის 16 სექტემბერი, 65-ე პუნქტი.

29 შდრ. ს.მ. იტალიის წინააღმდეგ (*S.M. v. Italy*), 2024 წლის 17 ოქტომბერი, 43-ე-48-ე პუნქტები – ამ საქმეში, COVID-19-ის პანდემიის აფეთქების კონკრეტულ კონტექსტში, სასამართლომ წარმოებაში მიიღო მომჩივნის საქმე მაშინ, როდესაც ეროვნულ დონეზე სამართალწარმოება ჯერ კიდევ განხილვობდა კომპეტენტური ზედამხედველი სასამართლოს წინაშე. აქ აღნიშნული გამართლდა იმით, რომ გონივრულად ჩაითვალა მომჩივნის მტკიცება მისი საქმის განხილვასთან დაკავშირებული ბუნდოვანებების/გაურკვეველი პროცედურების თაობაზე, რომლებიც გამართლებული იყო მისი საქმის დროულად განხილვის შესაძლებლობის მიმართ მოსალოდნელი გაურკვეველობით.

30 რინგეიზენი ავსტრიის წინააღმდეგ (*Ringeisen v. Austria*), 1971 წლის 28 ივნისი, 89-ე პუნქტი; ლეჰტინენი ფინეთის წინააღმდეგ (*Lehtinen v. Finland*), 1999 წლის 28 სექტემბერი; გერგინა რუმინეთის წინააღმდეგ (*Gherghina v. Romania*), 2015 წლის 9 ივლისი, 87-ე პუნქტი.

31 Ph. Leach, *Taking a Case to the European Court of Human Rights*, 2nd edn, Oxford University Press, 2005, 161.

მომჩივნებმა უნდა დაიცვან შიდა სამართლით გათვალისწინებული პროცედურული წესები, რაც არის კონვენციის 35-ე მუხლის 1-ელი პუნქტის³² თანახმად საჩივრის დასაშვებობის პირობა. ამ წესების შეუსრულებლობამ, როგორებიცაა ვადების დაუცველობა ან პროცედურული შეცდომები, შეიძლება გამოიწვიოს საჩივრის დაუშვებლად ცნობა.³³ გარდა ამისა, სასამართლო განიხილავს, იყო თუ არა მთავრობის მიერ მოწოდებული პროცედურული წესები სავალდებულო და დადგენილი შესაბამისი პრაქტიკით (case-law).³⁴

იმ შემთხვევაში, თუკი სახელმწიფოში არსებობს უფლების დაცვის რამდენიმე პოტენციურად ეფექტიანი შიდასამართლებრივი საშუალება, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მომჩივანს მოეთხოვება მხოლოდ ერთის გამოყენება.³⁵ ამასთან, წესი, რომელიც მომჩივანს ეროვნული საშუალებების ამოწურვას ავალდებულებს, არის არა მარტო ამ საშუალებებისადმი მიმართვის აუცილებლობა, არამედ ასევე შინაარსობრივად იმ არგუმენტაციის/დავის სტრატეგიის წარდგენის ვალდებულება, რომელსაც ისინი შემდგომ დაეყრდნობიან ევროპულ სასამართლოში.³⁶ მიუხედავად ამისა, არ არის აუცილებელი, მომჩივნებმა ცალსახად მოიხსენიონ კონვენციური უფლებები შიდა სასამართლოებში.³⁷ ამასთან, სასამართლოებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, განიხილონ როგორც ფაქტები, ასევე სამართლებრივი არგუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია პოტენციურად მომ-

32 European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms (European Convention on Human Rights, as amended) (opened for signature 4 November 1950, entered into force 3 September 1953) ETS No 5, 31-ე მუხლის 1-ელი პუნქტი: „სასამართლოს შეუძლია, მხოლოდ მაშინ მიიღოს საქმე განსახილველად, თუ ამოწურულია დაცვის ყველა შიდასამართლებრივი საშუალება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების ვაგებით და არ არის გასული ოთხ თვეზე მეტი საქმეზე შიდა საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის თარიღიდან.“

33 გაფგენი გერმანიის წინააღმდეგ (*Gäfgen v. Germany*), 2010 წლის 1 ივნისი, 143-ე პუნქტი.

34 ბრინკატი და სხვები მალტის წინააღმდეგ (*Brincat and Others v. Malta*), 2014 წლის 24 ივლისი; პოპ-ილიჩი და სხვები სერბეთის წინააღმდეგ (*Pop-Ilić and Others v. Serbia*), 2014 წლის 14 ოქტომბერი, 42-ე პუნქტი.

35 მომჩივნები არ არიან ვალდებული, გამოიყენონ ალტერნატიული საშუალებები, რომლებიც არსებითად იმავე მიზანს ემსახურება. მომჩივანს შეუძლია, აირჩიოს საშუალება, რომელიც ყველაზე მეტად შეეფერება მათ მდგომარეობას და დამატებითი პარალელური საშუალებების გამოყენებლობა, როგორც წესი, არ ნიშნავს ამოწურვას. თუმცა გამოწვევები შეიძლება წარმოიშვას, თუ საშუალებები მნიშვნელოვნად განსხვავდება ეფექტიანობით. შდრ. კიოლერი გერმანიის წინააღმდეგ (*Köhler v. Germany*) 2021 წლის 22 ივნისი, 67-ე-74-ე პუნქტები.

36 Council of Europe / European Court of Human Rights, *Practical Guide on Admissibility Criteria* (updated 28 February 2025), 119-ე-122-ე პუნქტები.

37 იქვე, ციტ.: გროსამი ჩეხეთის წინააღმდეგ (*Grosam v. the Czech Republic*) [GC], 2923 წლის 1 ივნისი, 90-ე პუნქტი; ფარზალიევი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (*Farzaliyev v. Azerbaijan*), 2020 წლის 28 მაისი, 55-ე პუნქტი; ფუ ჟუანი ჩეხეთის წინააღმდეგ (*Fu Quan, s.r.o. v. the Czech Republic*), 2021 წლის 1 ივნისი, 145-ე, 172-ე პუნქტები; პიკოკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Peacock v. the United Kingdom*) (dec), 2015 წლის 5 იანვარი, 38-ე პუნქტი.

ჩივნის ევროპულ სასამართლოში წარსადგენ საჩივართან.³⁸ უფლების დაცვის შიდა საშუალებები არაეფექტიანად ჩაითვლება, თუ შიდა კანონმდებლობა არ იძლევა ამგვარი საჩივრების წარდგენის ან/და სათანადო განხილვის შესაძლებლობას.³⁹

ამასთან, მომჩივნებს მოეთხოვებათ, ამონაწერს მხოლოდ ის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები, რომლებიც არის ხელმისაწვდომი, ეფექტიანი და წარმატების გონივრულ პერსპექტივას ითვალისწინებენ.⁴⁰ საგანგებო ან დისკრეციული დაცვის საშუალებები, როგორებიცაა: იერარქიული მიმართებები, საჩივრები სამინისტროებში ან განცხადებები, რომლებიც სხვა ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებაზე არის დამოკიდებული, ჩვეულებრივ, არ არის საჭირო, თუ არ დადასტურდება, რომ ისინი უზრუნველყოფენ უფლების დაცვის ეფექტიანობას.⁴¹ სასამართლო ასევე აფასებს კონსტიტუციური სარჩელების ეფექტიანობას კონკრეტულ სამართლებრივ კონტექსტზე დაყრდნობით, მათ შორის, არის თუ არა ასეთი საშუალებები პრაქტიკულად ხელმისაწვდომი და ეფექტიანი (პირდაპირი, სწრაფი, წარმატების ჯეროვანი შესაძლებლობით) შესაძარებელ საქმეებში.⁴² მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, იქიდან გამომდინარე, რომ იგი აბსტრაქტულ კონტროლს⁴³ ახორციელებს და მომჩივანს არ აქვს უფლება, ამ სასამართლოს წინაშე იდავოს მის მიმართ საერთო სასამართლოებისა თუ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე, არ მიიჩნევა უფლების დაცვის ეროვნულ საშუალებად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მიმართვისათვის (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საკონსტიტუციო კონტროლი შეიცავს ეფექტიან მექანიზმს ადამიანის უფლებების კონკრეტული დარღვევის პირდაპირი გამოსწორებისთვის⁴⁴).

38 იქვე, ციტი.: *გაფგენი გერმანიის წინააღმდეგ (Gäfgen v. Germany)* [GC], 2010 წლის 1 ივნისი, 142-ე, 144-ე, 146-ე პუნქტები.

39 *ფ.ს. ირლანდიის წინააღმდეგ (P.C. v. Ireland)*, 2022 წლის 1 სექტემბერი, 107-ე პუნქტი.

40 *სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ (Selmouni v. France)* [GC] 1999 წლის 28 ივლისი, 76-ე პუნქტი; *ბარში პოლონეთის წინააღმდეგ (Barszcz v. Poland)*, 2006 წლის 30 მაისი, 41-ე პუნქტი.

41 Council of Europe / European Court of Human Rights, *Practical Guide on Admissibility Criteria* (updated 28 February 2025), 124-ე პუნქტი.

42 იქვე, 125-ე პუნქტი.

43 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, „კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას, ინვესტ მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

44 *აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ (Apostol v. Georgia)*, 2006 წლის 28 ნოემბერი, 46-ე პუნქტი.

45 თ. ონიანი, გ. ლაშხია, ს. დემეტრაშვილი და მ. ჯიქია, კაზუსები ანტიდისკრიმინაციულ სამართალში, დ. გეგენავას რედ., სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021, 5, ციტი.: *აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ (Apostol v. Georgia)* 2006 წლის 28 ნოემბერი, *ხონიაკინა საქართველოს წინააღმდეგ (Khoniakina v. Georgia)*, 2012 წლის 19

3.2.2. მეოთხე ინსტანციის დოქტრინა

საერთაშორისო სასამართლო არ არის სუპრანაციონალური სასამართლო, რომელიც ე.წ. მეოთხე ინსტანციის როლს შეასრულებდა და უზრუნველყოფდა ეროვნული სასამართლოების მიერ დაშვებული ყველა შეცდომის გამოსწორებას, ან იმსჯელებდა იმაზე, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ეროვნული კანონმდებლობის გამოყენება ან მისი განმარტება. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში – *კემაში საფრანგეთის წინააღმდეგ (Kemmache v France)* – განმარტა, რომ „პრინციპში და კონვენციასთან ეროვნული გადაწყვეტილებების თავსებადობის შესამოწმებლად მისი უფლებამოსილების შეზღუდვის გარეშე, სასამართლოს მოვალეობა არ არის, თავად შეაფასოს ის ფაქტები, რომლებზე დაყრდნობითაც ეროვნულმა სასამართლომ მიიღო ერთი გადაწყვეტილება და არა მეორე. სხვაგვარად რომ ყოფილიყო [ევროპული], სასამართლო იმოქმედებდა როგორც მესამე ან მეოთხე ინსტანციის სასამართლო, რომელიც უგულებელყოფდა მის ქმედებებზე დაწესებულ საზღვრებს“.⁴⁶ ამრიგად, სხვა სიტყვებით, ეს არ არის საკასაციო/სააპელაციო სასამართლო ან სასამართლო, რომელსაც შეუძლია, გააუქმოს კონვენციის მაღალი ხელშემკვრელი მხარის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ან ხელახლა განიხილოს მათ მიერ განხილული საქმეები, ასევე, არ შეუძლია, განიხილოს საქმეები ისე, როგორც უზენაესმა სასამართლომ.⁴⁷ აღნიშნული არ შედის სასამართლოსთვის განსაზღვრულ უფლებამოსილებაში.⁴⁸

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, ამრიგად, როგორც წესი, სასამართლოს არ შეუძლია, ეჭვქვეშ დააყენოს შიდა სასამართლოების მიგნებები და დასკვნები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:⁴⁹

- საქმის ფაქტების დადგენა;
- შიდა კანონმდებლობის განმარტება და გამოყენება;
- სასამართლო პროცესზე მტკიცებულებების დასაშვებობა და შეფასება;
- სამოქალაქო დავის შედეგის არსებითი სამართლიანობა;
- ბრალდებულის ბრალეულობა ან უდანაშაულობა სისხლის სამართლის საქმეში.

ივნისი; *მუმლაძე საქართველოს წინააღმდეგ (Mumladze v. Georgia)* 2008 წლის 8 იანვარი; *სტურუა საქართველოს წინააღმდეგ (Sturua v. Georgia)*, 2018 წლის 28 მარტი.

46 *კემაში საფრანგეთის წინააღმდეგ (Kemmache v. France)*, 1994 წლის 24 ნოემბერი, 44-ე პუნქტი.

47 Council of Europe / European Court of Human Rights, *Practical Guide on Admissibility Criteria* (updated 28 February 2025), 364-ე პუნქტი.

48 შდრ. *გარსია რუიზი ესპანეთის წინააღმდეგ (Garcia Ruiz v. Spain)* [GC] 1999 წლის 21 იანვარი, 28-ე პუნქტი; *დე ტომასო იტალიის წინააღმდეგ (De Tommaso v. Italy)*, 2017 წლის 23 თებერვალი, მე-17 პუნქტი.

49 Council of Europe / European Court of Human Rights, *Practical Guide on Admissibility Criteria* (updated 28 February 2025) 367-ე პუნქტი.

3.2.3. სახელმწიფოთა თავისუფალი შეფასების ფარგლები

სახელმწიფოებისთვის მინიჭებული თავისუფალი შეფასების ფარგლები (*Margin of Appreciation*⁵⁰) მათ გარკვეულ მოქმედების სივრცეს აძლევთ ამა თუ იმ საკითხის რეგულირებასა და გადანყვეტაში. ეს მიდგომა ეფუძნება დათქმას, რომ სახელმწიფოები პრინციპულად უკეთეს პოზიციაში არიან, გადანყვეტონ ამა თუ იმ შეზღუდვის საჭიროება.⁵¹ თავისუფალი შეფასების ფარგლები, ასევე, კონვენციის პრეამბულაში აისახა მე-15 დამატებითი ოქმის შედეგად, რომელიც ძალაში 2021 წლის 1-ელ აგვისტოს შევიდა.⁵² ამ კონცეფციის თანახმად, სახელმწიფოს ეძლევა განსაზღვრული დისკრეცია კონვენციის ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციისას, რაც დამოკიდებულია საქმის გარემოებებსა და სადავო უფლებებზე. ამავე კონტექსტში, სასამართლო მუდმივად ხაზს უსვამს კონვენციის სხვადასხვა მხარე სახელმწიფოს მრავალფეროვანი კულტურული და სამართლებრივი ტრადიციების აღიარების მნიშვნელობას. თავისუფალი შეფასების ფარგლები არის კონცეფცია, რომელიც განუყოფლად არის დაკავშირებული კონვენციის სისტემის სუბსიდიარობის კონცეფციასთან, რომელიც აღიარებს, რომ ხელისუფლებას ეკისრება პირველადი პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებების გარანტირებასა და დაცვაზე ეროვნულ დონეზე.⁵³ შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლია, შეაფასოს, შეესაბამება თუ არა ეროვნული გადანყვეტილება კონვენციის მოთხოვნებს, დისკრეციის ფარგლების გათვალისწინებით.⁵⁴

4. სუბსიდიარობისა და ერთობლივი (საზიარო) პასუხისმგებლობის პრინციპები ევროპის საბჭოში ინტერლაკენის სამოქმედო გეგმისა და შემდგომი დეკლარაციების მიხედვით

სუბსიდიარობის პრინციპთან პირდაპირ არის დაკავშირებული საზიარო პასუხისმგებლობის პრინციპი. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საქმეში

50 ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნული ხშირად მოხსენებულია როგორც მიხედულების ფარგლები.

51 Ph. Leach, *Taking a Case to the European Court of Human Rights*, 2nd edn, Oxford University Press, 2005, 163.

52 European Court of Human Rights, 'Protocol No. 15 to the European Convention on Human Rights enters into force' (Press Release ECHR 242 (2021), 1 August 2021) <https://hudoc.echr.coe.int/app/conversion/pdf/?library=ECHR&id=003-7088764-9588986&filename=Protocol+No.+15+to+the+European+Convention+on+Human+Rights+enters+into+force.pdf> accessed 9 September 2025.

53 European Human Rights Advocacy Centre (EHRAC), *The Implications of Protocol 15 to the European Convention on Human Rights: Legal Guide* (2 July 2013) 1 https://ehrac.org.uk/en_gb/resources/the-implications-of-protocol-15-to-the-european-convention-on-human-rights/ accessed 31 May, 2025.

54 თ. ონიანი, რას ცვლის ევროპული კონვენციის მე-15 ოქმი? (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 5 აგვისტო, 2021) <http://nodiscrimination.gyla.ge/ge/post/ras-cvliis-evropuli-konvenciis-me-15-oqmi> [წვდომა: 31 მაისი 2025].

ჟენდა პოლონეთის წინააღმდეგ (*Grzęda v. Poland*⁵⁵) კონვენციურ საზედამხედველო სისტემაში განიმარტა სუბსიდიარობის პრინციპის ფუნდამენტური როლი, რომლის მიხედვითაც ხელშემკვრელ მხარეებს ეკისრებათ კონვენციასა და მის ოქმებში განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ძირითადი პასუხისმგებლობა.⁵⁶ აქ სასამართლო კონვენციის მე-15 დამატებით ოქმზე უთითებს, რომელმაც სუბსიდიარობის პრინციპი კონვენციის პრეამბულაში განამტკიცა.⁵⁷ სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სუბსიდიარობის პრინციპი აკისრებს ერთობლივ (საზიარო) პასუხისმგებლობას მაღალ ხელშემკვრელ სახელმწიფოებსა და სასამართლოს (იგულისხმება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო) და რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ და ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უნდა განმარტონ და გამოიყენონ შიდა კანონმდებლობა ისე, რომ კონვენცია სრულად იქნეს ამოქმედებული.⁵⁸ ამასთან დაკავშირებით, სასამართლო, ასევე, უთითებს იზმირისა და ბრაიტონის კონფერენციებსა და დეკლარაციებზე.⁵⁹

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობის საკითხებზე მსჯელობასა და შესაბამისი მექანიზმების შემუშავებას დაეთმო ინტერლაკენის (2010), იზმირის (2011), ბრაიტონის (2012), ბრიუსელისა (2015) და კოპენჰაგენის (2018) კონფერენციები, რომელთა შედეგადაც მიიღეს შესაბამისი დეკლარაციები.⁶⁰ ინტერლაკენში გამართულმა მაღალი დონის კონფერენციამ („ინტერლაკენის კონფერენცია“) 2010 წლის 19 თებერვლის დეკლარაციაში ღრმა შემოფოთებით აღნიშნა, რომ წარდგენილ და განხილულ საჩივრებს შორის დეფიციტი კვლავ იზრდებოდა. კერძოდ, სასამართლოში წარდგენილი ახალი საქმეების რაოდენობა უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე სასამართლოს შეეძლო მათთან გამკლავება და გადაწყვეტილების მიღება.⁶¹ ამასთან დაკავშირებით, აღნიშნულია, რომ ეს სიტუაცია ზიანს აყენებდა კონვენციისა და მისი საზედამხედველო მექანიზმის ეფექტიანობასა და სანდოობას და საფ-

55 ჟენდა პოლონეთის წინააღმდეგ (*Grzęda v. Poland*) (GC), 2022 წლის 15 მარტი.

56 იქვე, 324-ე პუნქტი, ციტ.: გარიბინიდერლანდის წინააღმდეგ (*Garib v. the Netherlands*) (GC), 2017 წლის 6 ნოემბერი, 137-ე პუნქტი; გუდმუნდური ანდრი ასტრადსონის წინააღმდეგ (*Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland*) (GC), 2020 წლის 1 დეკემბერი, 250-ე პუნქტი.

57 იქვე.

58 იქვე. „The Court further notes that the principle of subsidiarity imposes a shared responsibility between the States Parties and the Court, and that national authorities and courts must interpret and apply domestic law in a manner that gives full effect to the Convention“;

59 იქვე, ციტ.: ბურმიჩი და სხვები უკრაინის წინააღმდეგ (*Burmych and Others v. Ukraine*) (striking out) (GC), 2017 წლის 12 ოქტომბერი, 120-ე-122-ე პუნქტები.

60 Council of Europe / European Court of Human Rights, Practical Guide on Admissibility Criteria (updated 28 February 2025), 7.

61 Brighton Declaration, High Level Conference on the Future of the European Court of Human Rights (Brighton, 19-20 April 2012), მე-5 პუნქტი, https://www.echr.coe.int/documents/dl_echr/2012_Brighton_FinalDeclaration_ENG accessed 7 June 2025.

რობეს უქმნიდა სასამართლო პრაქტიკის ხარისხსა და თანმიმდევრულობას, ასევე სასამართლოს ავტორიტეტს.⁶² ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია თითოეული ეტაპის შესახებ, სუბსიდიარობისა და საზიარო პასუხისმგებლობის ჭრილში:

ინტერლაკენის დეკლარაცია (2010)

ინტერლაკენის მაღალი დონის კონფერენცია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის შვეიცარიის თავმჯდომარეობის ფარგლებში გაიმართა 2010 წელს. ეს არის იმ რეფორმების პროცესის დასაწყისი (მან ჩამოაყალიბა ერთგვარი სახელმძღვანელო რუკა სამოქმედო გეგმის სახით), რომელიც მიზნად ისახავდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სისტემის გრძელვადიანი ეფექტიანობის უზრუნველყოფას, განსაკუთრებით სასამართლოში განსახილველი საქმეების მზარდი დაგროვების საპასუხოდ. კონფერენციაზე მიღებულ დეკლარაციაში ხაზგასმით არის აღნიშნული კონვენციით შექმნილი ზედამხედველობის მექანიზმის სუბსიდიარული ბუნება, და განსაკუთრებით ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეროვნული ხელისუფლების, ანუ აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოების, ძირითადი როლი ადამიანის უფლებების დაცვისა და გარანტირებისთვის ეროვნულ დონეზე.⁶³

ინტერლაკენის კონფერენციის შედეგად შექმნილი სამოქმედო გეგმა შემდეგ საკითხებს⁶⁴ შეეხება:

- კონვენციური უფლებების ეროვნულ დონეზე დაცულობის გაუმჯობესება;
- ევროპული სასამართლოს შესაძლებლობების გაძლიერება დაუშვებელ და განმეორებით საქმეებთან დაკავშირებით, მათ შორის, ერთი მოსამართლის სისტემისა⁶⁵ და პრიორიტეტიზაციის პოლიტიკის მეშვეობით;
- მინისტრთა კომიტეტის როლის გაძლიერება სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სახელმწიფოების მხრიდან დროული და სრული შესრულების მიზნებისთვის;
- ეროვნული მართლმსაჯულების სისტემებში ისეთი სტრუქტურული შეფერხებების მოგვარება, რაც კონვენციის დარღვევებს იწვევს;

⁶² იქვე.

⁶³ Interlaken Declaration, High Level Conference on the Future of the European Court of Human Rights (Interlaken, 18–19 February 2010) 6, https://www.coe.int/t/dgi/brighton-conference/Documents/Interlaken-declaration_en.pdf accessed 7 June 2025.

⁶⁴ იქვე.

⁶⁵ ერთი მოსამართლის სისტემა (Single Judge Formation) განიხილავს საქმის დასაშვებობას ან საქმის ამორიცხვის საკითხს. იხ. European Court of Human Rights, Rules of Court (as amended 18 September 2023) Rule 52A¹ https://www.echr.coe.int/documents/d/echr/rules_court_eng accessed 7 June 2025; European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms (European Convention on Human Rights, as amended) (opened for signature 4 November 1950, entered into force 3 September 1953) ETS No 5, art 26(1).

- იმის დადასტურება, რომ სახელმწიფოებს ეკისრებათ ადამიანის უფლებების დაცვის ძირითადი პასუხისმგებლობა და რომ ევროპული სასამართლო უნდა მოქმედებდეს როგორც დამხმარე (სუბსიდიარული) მექანიზმი;
- სასამართლოს მომავალი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად რეფორმების გატარება, მათ შორის კონვენციაში შესაძლო ცვლილებების შეტანა.

დეკლარაციამ ასევე განსაზღვრა 2019 წელი იმ პერიოდად, როდესაც მინისტრთა კომიტეტს უნდა შეეფასებინა მიღწეული პროგრესი და საჭიროებისამებრ შემდგომი რეფორმების აუცილებლობა.

იზმირის დეკლარაცია (2011)

2011 წელს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მომავლის შესახებ იზმირში ჩატარებულ მაღალი დონის კონფერენციაზე, რომელიც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თურქეთის თავმჯდომარეობის ინიციატივით გაიმართა, მიღებულ დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ კონვენციის მექანიზმის სუბსიდიარული ხასიათი არის ფუნდამენტური და ტრანსვერსალური პრინციპი, რომელიც, როგორც სასამართლომ, ისე მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ. ასევე, ხაზგასმულია, რომ სასამართლოსა და მონაწილე სახელმწიფოებს აქვთ საზიარო პასუხისმგებლობა კონვენციის მექანიზმის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფაში.⁶⁶

იზმირის დეკლარაციაში, ასევე, მოცემულია, რომ საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმები სასამართლოს საქმეთა დატვირთვის მართვისა და სუბსიდიარობის პრინციპის პრაქტიკული განხორციელების აუცილებელი ინსტრუმენტია.⁶⁷ ამ კონტექსტში მოცემულია, რომ:

- კონფერენცია კიდევ ერთხელ ადასტურებს მონაწილე სახელმწიფოების მიერ ინდივიდუალური საჩივრის უფლების, როგორც კონვენციის მექანიზმის ქვაკუთხედისადმი, ერთგულებას და ამ კონტექსტში მიიჩნევს, რომ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გატარებული შესაბამისი ღონისძიებები აშკარად დაუშვებელი საჩივრების თავიდან ასაცილებლად, თუმცა ისე, რომ არ შეფერხდეს დასაბუთებული საჩივრების განხილვა სასამართლოს მიერ და უზრუნველყოს საქმეების განხილვა სუბსიდიარობის პრინციპის შესაბამისად.⁶⁸
- კონფერენცია მიესალმება სასამართლოს მიერ დროებითი ღონისძიებების პრაქტიკაში უკვე დანერგილ გაუმჯობესებას და ხაზს უსვამს, რომ სასამართლო არ არის იმიგრაციის სააპელაციო ტრიბუნალი (*an immigration Appeals*

66 Izmir Declaration, High Level Conference on the Future of the European Court of Human Rights (Izmir, 26–27 April 2011) მე-5-მე-6 პუნქტები, https://www.echr.coe.int/documents/d/echr/2011_Izmir_FinalDeclaration_ENG accessed 7 June 2025.

67 იქვე, The Conference: მე-4 პუნქტი.

68 იქვე, A, 1-ელი პუნქტი.

Tribunal) ან მეოთხე ინსტანციის სასამართლო, და მიუთითებს, რომ დროებითი ღონისძიებების⁶⁹ მოთხოვნების განხილვა უნდა მოხდეს სუბსიდიარობის პრინციპის სრული დაცვით და რომ ასეთი მოთხოვნები უნდა ეფუძნებოდეს თითოეულ ინდივიდუალურ საქმეში ფაქტებისა და გარემოებების შეფასებას, რასაც მოჰყვება საქმის ან ძირითადი საქმის არსებითად სწრაფი განხილვა და გადაწყვეტილების მიღება. ამ კონტექსტში კონფერენცია:⁷⁰

- ხაზს უსვამს მონაწილე სახელმწიფოების მიერ ეროვნული საშუალებების უზრუნველყოფის მნიშვნელობას, საჭიროების შემთხვევაში, სუსპენზიური ეფექტით, რომლებიც ეფექტიანად და სამართლიანად იმოქმედებენ და უზრუნველყოფენ რისკის საკითხის სათანადო და დროულ განხილვას კონვენციის შესაბამისად და სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით; და, აღნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ, დროებითი ღონისძიებები (ევროპულ) სასამართლოში გაასაჩივრონ, კიდევ ერთხელ ადასტურებს მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულებას, დაიცვან ისინი;⁷¹
- ასევე მოუწოდებს სასამართლოს, მონაწილე სახელმწიფოებთან ერთად განიხილოს, თუ როგორ გააერთიანოს საუკეთესოდ დროებითი ღონისძიებების პრაქტიკა სუბსიდიარობის პრინციპთან და გადადგას ნაბიჯები, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ისეთი სისტემის დანერგვის განხილვა, რომელიც გამოიწვევს საქმეების არსებითად დაჩქარებულ განხილვას, ზუსტი და შეზღუდული ვადების საფუძველზე, ან იმ საქმის არსებითად განხილვას, რომელშიც გამოყენებულია დროებითი ღონისძიებები.⁷²

იზმირის დეკლარაციაში სუბსიდიარობის პრინციპი დანახულია ასევე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების კონტექსტში. კერძოდ, იზმირის კონფერენცია კვლავ იმეორებს ინტერლაკენის კონფერენციაზე გამოთქმულ მოწოდებებს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელობის თაობაზე და მოუწოდებს მინისტრთა კომიტეტს, სრულად გამოიყენოს სუბსიდიარობის პრინციპი, რომლის თანახმადაც მხარე სახელმწიფოებს, განსაკუთრებით, აქვთ საშუალებების შერჩევის თავისუფლება, რათა კონვენციით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულონ.⁷³

69 დროებითი ღონისძიებები არის სასწრაფო ღონისძიებები, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კონვენციით გათვალისწინებული უფლებისთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების გარდაუვალი რისკი და როდესაც ასეთი ღონისძიება აუცილებელია მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე ან სამართალწარმოების სათანადოდ წარმართვისთვის. იხ. *European Court of Human Rights, Factsheet – Interim Measures (March 2024)*, 1.

70 Izmir Declaration, High Level Conference on the Future of the European Court of Human Rights (Izmir, 26-27 April 2011), A, მე-3 პუნქტი.

71 იქვე.

72 იქვე.

73 იქვე, H, მე-2 პუნქტი.

ბრაიტონის დეკლარაცია (2012)

ბრაიტონის კონფერენცია 2012 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში გაერთიანებული სამეფოს თავმჯდომარეობის ინიციატივით ჩატარდა. დეკლარაციამ დაადასტურა, რომ სახელმწიფოები და (ევროპული) სასამართლო იზიარებენ პასუხისმგებლობას კონვენციის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფაზე, რაც დაფუძნებულია სუბსიდიარობის ფუნდამენტურ პრინციპზე. მონაწილე სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ კონვენციით გარანტირებულ უფლებებსა და თავისუფლებებს და ეფექტიანად უნდა მოაგვარონ დარღვევები ეროვნულ დონეზე. სასამართლო მოქმედებს როგორც დამცავი მექანიზმი იმ დარღვევებისთვის, რომლებიც არ არის გამოსწორებული ეროვნულ დონეზე. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს დარღვევას, მონაწილე სახელმწიფოები უნდა დაემორჩილონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას.⁷⁴

ბრაიტონის კონფერენციაზე მიიღეს მე-15 დამატებითი ოქმი.⁷⁵ ოქმით გათვალისწინებული ცვლილებების მიზნებად სამი მიმართულება⁷⁶ განისაზღვრა, კერძოდ: 1) ეროვნულ დონეზე ევროპული კონვენციის იმპლემენტაციის გაძლიერება; 2) სუბსიდიარობის პრინციპის მეტად გამყარება; და 3) სასამართლოს რესურსების ყველაზე მნიშვნელოვან საქმეებზე კონცენტრირება.⁷⁷ ოქმი 2013 წელს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ, ხოლო შემდგომ მინისტრთა კომიტეტმა მიიღო.⁷⁸

74 Brighton Declaration, High Level Conference on the Future of the European Court of Human Rights (Brighton, 19–20 April 2012), მე-3 პუნქტი, https://www.echr.coe.int/documents/d/echr/2012_Brighton_FinalDeclaration_ENG accessed 7 June 2025.

75 Protocol No 15 amending the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms (adopted 24 June 2013, entered into force 1 August 2021) CETS No 213. იხ., ასევე, Brighton Declaration, High Level Conference on the Future of the European Court of Human Rights (19–20 April 2012).

76 ოქმის შედეგად ახლებურად მოწესრიგდა სულ 5 საკითხი, კერძოდ: (1) კონვენციის პრეამბულას დაემატება დათქმა სუბსიდიარობის პრინციპსა და თავისუფალი შეფასების ფარგლებთან (the margin of appreciation) დაკავშირებით; (2) შეიცვალა მოსამართლის ასაკობრივ ცენზთან დაკავშირებული წესი; (3) შეიცვალა პალატის მიერ დიდი პალატისთვის იურისდიქციის დათმობის წესი; (4) ევროპული სასამართლოსადმი მიმართვის 6-თვიანი ვადა შემცირდა 4 თვემდე; (5) დასაშვებობის წინაპირობებიდან წაიშალა შემდეგი: [...] „და იმ პირობით, რომ ზემოაღნიშნული საფუძვლით ვერცერთი ის საქმე ვერ იქნება უარყოფილი, რომელიც ეროვნული სასამართლოების მიერ სათანადოდ არ ყოფილა განხილული“. იხ. თამარ ონიანი, „რას ცვლის ევროპული კონვენციის მე-15 ოქმი?“ (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 5 აგვისტო, 2021) <http://nodiscrimination.gyla.ge/ge/post/ras-cvlis-evropuli-konvenciis-me-15-oqmi> [წვდომა: 31 მაისი 2025].

77 თ. ონიანი, რას ცვლის ევროპული კონვენციის მე-15 ოქმი? (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 5 აგვისტო, 2021) <http://nodiscrimination.gyla.ge/ge/post/ras-cvlis-evropuli-konvenciis-me-15-oqmi> [წვდომა: 31 მაისი 2025].

78 იქვე, „ოქმს ძალაში შესასვლელად 8 წელი დასჭირდა, მანამ, სანამ მისი რატიფიცირება ევროპის საბჭოს წევრმა ყველა სახელმწიფომ არ მოახდინა. საქართველომ მე-15 ოქმს ხელი 2014 წლის 19 ივნისს მოაწერა.“

ამ ოქმის მიღებასთან დაკავშირებით, სხვადასხვა უფლებადაცვითი ორგანიზაცია შეშფოთებას გამოხატავდა, ვინაიდან ცვლილებების შედეგად კონვენციის ტექსტში ჩნდებოდა სასამართლო ინტერპრეტაციის ის პრინციპები, რომლებიც უფრო შესაბამისად, ზუსტად და მოქნილად არის გამოხატული თავად სასამართლოს იურისპრუდენციაში. მაგალითად, თავისუფალი შეფასების ფარგლების დოქტრინა საერთოდ არ გამოიყენება კონვენციით დაცული ზოგიერთი უფლების ან უფლებების ასპექტის მიმართ, როგორიცაა, მაგალითად, წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობისგან დაცვის უფლება.⁷⁹ გარდა ამისა, ორგანიზაციების შეფასებით, იმ დროს, როდესაც სასამართლო და კონვენცია გარკვეულ იურისდიქციებში პოლიტიკური თავდასხმის ქვეშ არიან, შემაშფოთებელი იყო, რომ გადანაცვლებები მიღებულ იქნა შეფასების ზღვრის დოქტრინისა და სუბსიდიარობის პრინციპის პრეამბულაში ჩართვის შესახებ, იმ ფონზე, როდესაც ინტერპრეტაციის სხვა, თანაბრად მნიშვნელოვან პრინციპებზე, როგორებიცაა პროპორციულობის პრინციპი ან კონვენციის, როგორც ცოცხალი ინსტრუმენტის დოქტრინა, მითითება არ მოხდა.⁸⁰

მე-15 დამატებითი ოქმის მიღებას ბრაიტონის დეკლარაციაში შემდეგი დასაბუთება უძღოდა წინ: ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ნათლად განსაზღვრავს, რომ მონაწილე სახელმწიფოები სარგებლობენ შეფასების ზღვრით კონვენციის გამოყენებისა და აღსრულების საკითხში, საქმის გარემოებებისა და შესაბამისი უფლებებისა და თავისუფლებების გათვალისწინებით. დეკლარაციის თანახმად, ეს ასახავს იმას, რომ კონვენციის სისტემა დაქვემდებარებულია ადამიანის უფლებების დაცვასთან ეროვნულ დონეზე და რომ ეროვნული ხელისუფლება, ძირითადად, უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე საერთაშორისო სასამართლო, ადგილობრივი საჭიროებებისა და პირობების შესაფასებლად. შეფასების ზღვარი განუყოფლად არის დაკავშირებული კონვენციის სისტემის ზედამხედველობასთან. ამ მხრივ, სასამართლოს როლია, განიხილოს, შეესაბამება თუ არა ეროვნული ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კონვენციას, სახელმწიფოს შეფასების ზღვრის სათანადო გათვალისწინებით.⁸¹

დეკლარაცია მიესალმება სასამართლოს მიერ თავის პრაქტიკაში ისეთი პრინციპების განვითარებას, როგორებიცაა სუბსიდიარობა და შეფასების ზღვარი, და მოუწოდებს სასამართლოს, დიდი მნიშვნელობა მიანიჭოს და თანმიმდევრულად გამოიყენოს ეს პრინციპები თავის გადაწყვეტილებებში.⁸²

79 European Human Rights Advocacy Centre (EHRAC), The Implications of Protocol 15 to the European Convention on Human Rights: Legal Guide (2 July 2013) 1 https://ehrac.org.uk/en_gb/resources/the-implications-of-protocol-15-to-the-european-convention-on-human-rights/ accessed 31 May 2025.

80 იქვე.

81 Brighton Declaration, High Level Conference on the Future of the European Court of Human Rights (Brighton, 19–20 April 2012), მე-11 პუნქტი, https://www.echr.coe.int/documents/d_echr/2012_Brighton_FinalDeclaration_ENG accessed 7 June 2025.

82 იქვე, მე-12 (ა) პუნქტი.

დეკლარაცია ასკვნის, რომ გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის მიზნით, კონვენციის პრეამბულაში უნდა იყოს მითითებული სუბსიდიარობის პრინციპი და სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში შემუშავებული შეფასების ზღვრის დოქტრინა, და მოუწოდებს მინისტრთა კომიტეტს, 2013 წლის ბოლომდე მიიღოს საჭირო შესწორების ინსტრუმენტი და იმავდროულად იხსენებს მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულებას, სრულად შეასრულონ კონვენციით განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის ვალდებულება.⁸³

დეკლარაცია მიესალმება და ხელს უწყობს სასამართლოსა და მონაწილე სახელმწიფოებს შორის ღია დიალოგს, როგორც მათი შესაბამისი როლების უკეთ გააზრების საშუალებას კონვენციის გამოყენების საერთო პასუხისმგებლობის შესრულებაში, მათ შორის, განსაკუთრებით სასამართლოსა:

- I. მონაწილე სახელმწიფოების უმაღლეს სასამართლოებს შორის;
- II. მინისტრთა კომიტეტს შორის, მათ შორის სუბსიდიარობის პრინციპსა და სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სიცხადესა და თანმიმდევრულობაზე; და
- III. მონაწილე სახელმწიფოების მთავრობის წარმომადგენლებსა და სამართლებრივ ექსპერტებს შორის დიალოგს, განსაკუთრებით პროცედურულ საკითხებზე და სასამართლოს რეგლამენტში ცვლილებების შეტანის წინადადებებზე კონსულტაციების გზით.⁸⁴

ბრიუსელის დეკლარაცია (2015)

ბრიუსელის კონფერენცია 2015 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ბელგიის თავმჯდომარეობის ინიციატივით ჩატარდა.⁸⁵ ამ კონფერენციის ფარგლებში მიღებული დეკლარაცია კიდევ ერთი გაგრძელება იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიმდინარე რეფორმირების პროცესისა. ეს დეკლარაცია მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს კონვენციის ეროვნულ დონეზე გაუმჯობესებული იმპლემენტაციისკენ, მათ შორის საჯარო მოხელეების უკეთესი გადამზადებისა და უფრო ეფექტიანი უფლების დაცვის შიდა საშუალებების უზრუნველყოფისკენ. დეკლარაციამ ასევე ხაზი გაუსვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანაცვტილებების სრული და სწრაფი აღსრულების აუცილებლობას, წაახალისა სასამართლო დიალოგი და გამჭვირვალობა და მოუწოდა კონვენციის სისტემის გრძელვადიანი მომავლის შესახებ მსჯელობისკენ, რათა უზრუნველყოფილიყოს მისი უწყვეტი ეფექტურობა და სანდოობა. ამ დეკლარაციაშიც დადასტურებულია სუბსიდიარობისა და საზიარო პასუხისმგებლობის

⁸³ იქვე, მე-12 (b) პუნქტი.

⁸⁴ იქვე, მე-12 (c) პუნქტი.

⁸⁵ Brussels Declaration, High-Level Conference on the Implementation of the European Convention on Human Rights, (Brussels, 26–27 March 2015) https://www.echr.coe.int/documents/d/echr/Brussels_Declaration_ENG accessed 7 June 2025.

პრინციპების შესახებ, ასევე, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების კონტექსტშიც.

კოპენჰაგენის დეკლარაცია (2018)

კოპენჰაგენის კონფერენცია 2018 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის დანიის თავმჯდომარეობის ინიციატივით გაიმართა.⁸⁶ დეკლარაციაში მითითებულია, რომ რეფორმის პროცესი დადებითი მოვლენა იყო, რამაც კონვენციის სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია. მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღწეული, კერძოდ, ეროვნული მასშტაბით უფრო ეფექტიანი განხორციელების საჭიროების გათვალისწინებით, სასამართლოს ეფექტიანობის გაუმჯობესებით და სუბსიდირირობის გაძლიერებით. ამასთანავე, დეკლარაციაში მითითებულია, რომ, მიუხედავად ამისა, კონვენციის სისტემა კვლავ გამონეგების წინაშე დგას. მონაწილე სახელმწიფოები კვლავ ერთგულნი არიან კონვენციის სისტემის ეფექტიანობის გადახედვისა და მისი ჯეროვანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად ყველა საჭირო ნაბიჯის გადადგმის საკითხში, მათ შორის, ადეკვატური დაფინანსების უზრუნველყოფით. ამ დეკლარაციაში განსახილველ თემასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ დეკლარაცია ცალკე გამოყოფს საზიარო პასუხისმგებლობის საკითხს.⁸⁷ კერძოდ:

საზიარო პასუხისმგებლობის დეფინიციად დეკლარაცია ითვალისწინებს სათანადო ბალანსისა და გაძლიერებული დაცვის უზრუნველყოფას. დეკლარაცია განმარტავს, რომ რეფორმის მთელი პროცესის განმავლობაში ტერმინი „საზიარო პასუხისმგებლობა“ გამოიყენებოდა სასამართლოს როლსა და მონაწილე სახელმწიფოებს შორის კავშირის აღსაწერად. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კონვენციის სისტემის სათანადო ფუნქციონირებისთვის და, როგორც საბოლოო მიზანი, ევროპაში ადამიანის უფლებების უფრო ეფექტიანი დაცვისთვის. კოპენჰაგენის დეკლარაცია უთითებს, რომ ბრაიტონის დეკლარაციაში გადაწყდა, კონვენციის პრეამბულაში დაემატებინათ განმარტებითი დებულება, რომელიც ადასტურებდა, რომ მონაწილე სახელმწიფოებს, სუბსიდირირობის პრინციპის შესაბამისად, ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა კონვენციასა და მის ოქმებში განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე და რომ ამით ისინი სარგებლობენ შეფასების ზღვრით, სასამართლოს საზედამხედველო იურისდიქციის დაცვით. ბრიუსელის დეკლარაციაში კიდევ უფრო გამახვილდა ყურადღება გადაწყვეტილებების ეფექტიანი ეროვნული აღსრულების მნიშვნელობაზე.⁸⁸

86 Copenhagen Declaration, High-Level Conference on the Reform of the European Court of Human Rights, (Copenhagen, 12–13 April 2018) <https://rm.coe.int/copenhagen-declaration/16807b915c> accessed 7 June 2025.

87 იქვე, მე-4 პუნქტი.

88 იქვე, მე-7 პუნქტი.

კოპენჰაგენის დეკლარაციაში ასევე მნიშვნელოვანია იმაზე ხაზგასმა, რომ სუბსიდიარობის პრინციპის გაძლიერება არ ისახავს მიზნად ადამიანის უფლებების დაცვის შეზღუდვას ან შესუსტებას, არამედ მიუთითებს ეროვნული ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე, უზრუნველყოს კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები. ამასთან დაკავშირებით, დეკლარაცია აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებების დარღვევებთან გამკლავების ყველაზე ეფექტიანი საშუალება ეროვნულ დონეზეა და რომ უფლებადამცველებისა და გადანყვეტილების მიმღები პირების წახალისება ეროვნულ დონეზე, რათა მათ კონვენციის სტანდარტების დაცვაში ინიციატივა აიღონ, გაზრდის ადამიანის უფლებებისადმი საკუთრებას და მხარდაჭერას.⁸⁹ აქვე მითითებულია, რომ სუბსიდიარობის პრინციპის ცენტრალური ელემენტი, რომლის თანახმადაც ეროვნული ხელისუფლება კონვენციის დაცვის პირველადი გარანტია, არის კონვენციის მე-13 მუხლით გათვალისწინებული უფლების დაცვის ეფექტიანი საშუალებების არსებობა.⁹⁰

დეკლარაციის მიხედვით, იმისათვის, რომ საზიარო პასუხისმგებლობის სისტემა ეფექტიანი იყოს, აუცილებელია ეროვნულ და ევროპულ დონეებს შორის კარგი ურთიერთქმედება. ეს გულისხმობს, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მისი გადანყვეტილებების სავალდებულო ხასიათის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოებსა და სასამართლოს შორის კონსტრუქციულ და უწყვეტ დიალოგს კონვენციის სისტემის განხორციელებასა და განვითარებაში მათ შესაბამის როლებზე, მათ შორის, სასამართლოს მიერ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და ვალდებულებების შემუშავებაზე. დეკლარაცია ხაზგასმით უთითებს, რომ სამოქალაქო საზოგადოება უნდა იყოს ჩართული ამ დიალოგში და ასეთმა ურთიერთქმედებამ შეიძლება უფრო მყარად შეუწყოს ხელი ადამიანის უფლებების განვითარებას ევროპულ დემოკრატიებში.⁹¹

5. დასკვნა

სუბსიდიარობის პრინციპი არის ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის ერთ-ერთი ფუნდამენტური ელემენტი, რომელიც სახელმწიფოს საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში ანიჭებს უფლებების დაცვის პრიმატს. ეს პრინციპი განასხვავებს ეროვნულ და საერთაშორისო დაცვის მექანიზმებს, და უზრუნველყოფს, რომ საერთაშორისო დონეზე ჩარევა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეროვნული საშუალებები არაეფექტიანია. სახელმწიფოს საზიარო პასუხისმგებლობა და საერთაშორისო მექანიზმების კომპლემენტარული ჩარევა მიზნად ისახავს, შექმნას იმგვარი ბალანსი, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა ეფექტიან, სამართლიან და ყოვლისმომცველ დაცვას.

⁸⁹ იქვე, მე-10 პუნქტი.

⁹⁰ იქვე, მე-13 პუნქტი.

⁹¹ იქვე, 33-ე პუნქტი.

სუბსიდიარობისა და საზიარო პასუხისმგებლობის პრინციპების გაძლიერება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სისტემის ევოლუციაში მნიშვნელოვანი რეფორმაა. დროთა განმავლობაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა თანმიმდევრულად განავითარა ეს პრინციპები, რათა უფრო ნათლად გამოეკვეთა მისი საზედამხედველო როლი და ხელი შეეწყო კონვენციის სახელმწიფოთა ეროვნულ დონეზე აღსრულებისათვის. იმავედროულად, ისეთმა პოლიტიკურმა დეკლარაციებმა, როგორებიცაა: ინტერლაკენის, იზმირის, ბრაიტონის, ბრიუსელისა და კოპენჰაგენის დეკლარაციები, ინსტიტუციონალიზაცია გაუკეთა სუბსიდიარობას, როგორც სახელმძღვანელო პრინციპს, რამაც კულმინაციას მიაღწია კონვენციის მე-15 დამატებითი ოქმით მისი გათვალისწინების გზით. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ეს არის ნორმატიული ვალდებულება ეროვნული სისტემების გაძლიერების შესახებ, ის ასევე იწვევს შემოფთებას სუბსიდიარობის რიტორიკის პოტენციურად ბოროტად გამოყენების შესახებ საერთაშორისო კონტროლის თავიდან ასაცილებლად.

საბოლოო ჯამში, სუბსიდიარობისა და ერთობლივი პასუხისმგებლობის ეფექტიანი გამოყენება დამოკიდებულია არა მხოლოდ სასამართლო დოქტრინაზე, არამედ ნამდვილ პოლიტიკურ ნებაზეც. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შეასრულონ თავიანთი ძირითადი მოვალეობა – აღასრულონ კონვენცია ეროვნულ დონეზე ეფექტიანად, ხოლო სასამართლომ უნდა განაგრძოს თავისი ზედამხედველობის როლის დამოუკიდებლად და პირნათლად შესრულება. ჭეშმარიტად საზიარო პასუხისმგებლობა ნიშნავს იმის აღიარებას, რომ კონვენციის სისტემის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია როგორც უფლებების ძლიერ შიდა დაცვაზე, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, როგორც ამ უფლებების მცველის, ურყევ ავტორიტეტზე. ამ კუთხით კი არსებითად მნიშვნელოვანია, სუბსიდიარობის პრინციპი არ აღმოჩნდეს *carte blanche* სახელმწიფოთათვის, და სასამართლომ მისი შემოწმებისას ყურადღება გააორკეცოს.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა საქართველოში: CEDAW კომიტეტის, GREVIO-სა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შედარებითი ანალიზი

მარიამ ონიანი

1. შესავალი

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ეროვნული სტატისტიკა შემამოფოთებლად მაღალია.¹ გაეროს ქალთა ორგანიზაციის 2022 წლის კვლევის მიხედვით, საქართველოში ყოველ მეორე ქალს ძალადობის ერთი ფორმა მაინც გამოუცდია.² გენდერულ ურთიერთობებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აღქმისა და დამოკიდებულების 2024 წლის კვლევის შესაბამისად, ძალადობა ნაწილობრივ ნორმალურად აღიქმება.³ გამოკითხული კაცების მეხუთედის აზრით, ზოგ შემთხვევაში, ქალებს სურთ, რომ ისინი გააუპატიურონ.⁴ გენდერული ნიშნით ძალადობის აქტუალურობას ხაზს უსვამს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა (შემდგომში – შსს) და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობის შემაჯამებელი სტატისტიკაც.⁵ კერძოდ, გენდერული შეუწყნარებლობის მოტივი შსს-ის მიერ 2024 წელს დაწყებული გამოძიებების 86%-ში ფიგურირებდა,⁶ ხოლო სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ აღძრული 115 სისხლის სამართლის საქმიდან – 107-ში.⁷

საქართველო გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის (შემდგომში – CEDAW) კონვენციისა და ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (შემდგომში – სტამბოლის კონვენციის) მონაწილე მხარეა. შესაბამისად, სტა-

1 გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობა საქართველოში: კანონმდებლობა, მექანიზმები და სერვისები, თბ., 2024, 1.

2 გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2022, თბ., 2023, 67.

3 გამოკითხულთა ნაწილი ძალადობის სხვადასხვა ფორმას დასაშვებად ან ჩვეულებრივ ამბად მიიჩნევს; იხ.: სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება, თბ., 2024, 10, 42.

4 იქვე, 43-44.

5 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და სხვები, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, თბ., 2024.

6 გენდერული შეუწყნარებლობის მოტივი 1887-იდან 1625 საქმეში დაფიქსირდა, იხ.: იქვე, 1.

7 იქვე, 6.

ტიის მიზანია ამ საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე დაკისრებული ვალდებულებების გამოკვლევა და სახელმწიფოს მიერ მათ პირნათლად შესასრულებლად გადასადგმელ ნაბიჯებზე მსჯელობა. კვლევის ფარგლებში, CEDAW კომიტეტის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფისა (შემდგომში – GREVIO-ს ან ექსპერტთა ჯგუფის) და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში – ევროპული სასამართლოს ან ECtHR-ის) მიერ საქართველოში გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული პრაქტიკის შედარებით ანალიზზე დაყრდნობით გაკეთდება დასკვნები და გამოითქმება შესაბამისი რეკომენდაციები.

სტატიის პირველი თავი მიმოიხილავს როგორც ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის საერთაშორისო და ეროვნულ ჩარჩოებსა და პრაქტიკულ სირთულეებს, ისე CEDAW კომიტეტისა და GREVIO-ს დასკვნებს; მეორე თავში განიხილება CEDAW კომიტეტისა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, შეფასდება სახელმწიფოს მიერ გადანყვეტილებების აღსრულების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები და ჩამოყალიბდება რეკომენდაციები მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. დასკვნაში შეჯამდება სტატიის ძირითადი მიგნებები.

2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველოს ვალდებულებები

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით განმტკიცებულია თანასწორობის უფლება, ხოლო მისი მე-4 მუხლის მე-2 ნაწილით აღიარებულია საერთაშორისო სამართლის პრიმატი. შესაბამისად, ამ თავში გაანალიზდება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოსა და პრაქტიკის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან.

2.1. საერთაშორისო სტანდარტები

2.1.1. მყარი სამართლის წყაროები

საქართველო ქალთა მიმართ სტრუქტურული ძალადობის აღკვეთისკენ მიმართული არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილეა. ამ ხელშეკრულებათა ნაწილი საგანგებოდ ქალთა უფლებების დასაცავადაა შექმნილი,⁸

8 მაგალითად, 1994 წელს რატიფიცირებული CEDAW კონვენცია და 2017 წელს რატიფიცირებული სტამბოლის კონვენცია საგანგებოდ ქალთა უფლებების დასაცავად შეიქმნა. იხ.: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სახელმწიფოს რეაგირება გენდერულად მოტივირებულ ძალადობაზე საქართველოში: კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, თბ., 2024, 22-25.

ნაწილი კი⁹ დისკრიმინაციას კრძალავს არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად.¹⁰

2.1.1.1. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის (CEDAW) კონვენცია და CEDAW კომიტეტი

მიუხედავად თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული სავალდებულო ხელშეკრულებების სიმრავლისა, გენდერული უთანასწორობის გადასალახავად კონკრეტულად ქალთა უფლებებზე ორიენტირებული კონვენციების შემუშავების აუცილებლობა გამოიკვეთა. შესაბამისად, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1979 წელს მიიღო CEDAW კონვენცია, რომლის რატიფიცირებაც საქართველომ 1994 წელს მოახდინა. CEDAW-ის მიზანია, ინკლუზიურ და ინტერსექციურ მიდგომებზე დაყრდნობით, დისკრიმინაციის აკრძალვა და არსებითი თანასწორობის უზრუნველყოფა. 1999 წელს მიღებული დამატებითი ოქმის საფუძველზე, CEDAW კომიტეტის მიერ კონვენციის აღსრულებაზე ზედამხედველობის პროცედურები განისაზღვრა. საქართველომ 2002 წელს, დამატებითი ოქმის რატიფიცირებით, კომიტეტთან თანამშრომლობისა და მის წინაშე ანგარიშვალდებულების პასუხისმგებლობა აიღო.¹¹

გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენცია CEDAW-ის კონკრეტული მუხლით არ რეგულირდება, თუმცა მისი აკრძალვა გამომდინარეობს კონვენციის მე-2,¹² მე-5, მე-16 და სხვა მუხლებიდან. ამასთანავე, CEDAW კომიტეტი კონვენციის ზოგადი რეკომენდაციების (General Recommendations) ფარგლებში დინამიკურად და პროგრესულად განმარტავს.¹³ მაგალითად, კომიტეტის 35-ე ზოგადმა

9 მაგალითად, 1994 წელს რატიფიცირებული საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR), საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (ICESCR) და 1999 წელს რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ECHR) დისკრიმინაციის აკრძალვით იცავს ქალთა უფლებებს. იხ.: ღია სივრცე კავკასია, გენდერული და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კარგი პრაქტიკის მიმოხილვა, თბ., 2023, 10-15.

10 F. van Leeuwen, Women's Rights are Human Rights - The Practice of the United Nations Human Rights Committee and the Committee on Economic, Social and Cultural Rights, Women's Human Rights: CEDAW in International, Regional and National Law, A. Hellum and H. Sindig-Aassen (eds.), 2013, 246.

11 ე. სხილაძე, სახელმძღვანელო ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის (CEDAW) შესახებ, თბ., 2024, 9-12.

12 მე-2 მუხლი კონვენციის ამოსავალ სტანდარტებს ადგენს, შესაბამისად, მნიშვნელოვანია მისი სისტემური განმარტება როგორც სხვა მუხლების, ისე კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციების, შემაჯამებელი დასკვნებისა და განცხადებების ფარგლებში დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. იხ.: European Human Rights Advocacy Center, A Guide to Using the UN CEDAW Committee and the Special Rapporteur on Violence against Women in Cases of Gender-based Violence, London, 2022, 9-10.

13 ე. სხილაძე, სახელმძღვანელო ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის (CEDAW) შესახებ, თბ., 2024, 24.

რეკომენდაციამ ხაზი გაუსვა, რომ გენდერული ნიშნით ძალადობის აკრძალვა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის პრინციპად ჩამოყალიბდა და კონკრეტულ შემთხვევებში შეიძლება წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას გაუტოლდეს.¹⁴

ზოგადი რეკომენდაციების გამოცემის გარდა, CEDAW კომიტეტის საქმიანობა მოიცავს პირთა კომუნიკაციების (სარჩელების), სახელმწიფოთა ანგარიშების განხილვასა და ქალთა უფლებების მძიმე ან სისტემატური დარღვევების მოკვლევას. კომუნიკაციის პროცედურის ფარგლებში, დამატებითი ოქმით განსაზღვრული კრიტერიუმების დაცვით,¹⁵ კონვენციის სავარაუდო დარღვევებთან დაკავშირებული სარჩელის წარდგენაა შესაძლებელი. ამასთანავე, დამატებითი ოქმის მე-8 მუხლის შესაბამისად, მოკვლევის პროცედურის ფარგლებში, კომიტეტი უფლებამოსილია, კონფიდენციალურად, შესაბამის სახელმწიფოსთან თანამშრომლობით გამოიკვლიოს ინფორმაცია CEDAW-ის მუხლების უხეში ან სისტემატური დარღვევის შესახებ.

კომიტეტი ოთხნობიანი ინტერვალით სახელმწიფოთა ანგარიშებს განიხილავს და შემაჯამებელ დასკვნებს (Concluding Observations) გამოსცემს. საქართველოში კონვენციის აღსრულება უკვე ექვსჯერ შეფასდა. 2023 წლის შემაჯამებელ დასკვნაში კომიტეტმა შემოფოთებით აღნიშნა, რომ გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლი ქალები და გოგონები ხშირად ერიდებიან სამართალდამცავებისთვის მიმართვას სტერეოტიპების, სტიგმის, შურისძიების შიშისა თუ უნდობლობის გამო. CEDAW-ის 33-ე ზოგადი რეკომენდაციის მიხედვით, ერთი მხრივ, კომიტეტმა საქართველოს დანაშაულის შეუტყობინებლობის ძირითად მიზეზებთან ბრძოლა, განსაკუთრებით მოწყვლად ქალთა უფასო სამართლებრივი დაცვითა და მისანვდომი დახმარების სერვისებით უზრუნველყოფა ურჩია; მეორე მხრივ, კომიტეტმა მოსამართლეებისა და სამართალდამცავების გადამზადებასა და ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელებასთან დაკავშირებითაც გამოთქვა რეკომენდაციები.¹⁶ კომიტეტმა ასევე პრობლემურად მიიჩნია გენდერული ნიშნით ძალადობის საკანონმდებლო ჩარჩოს რეფორმირების შენელება, დამცავი ორდერების გამოცემის სტატისტიკა და თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების

14 მაგალითად, გაუზატიურების, ოჯახში ძალადობის ან საზიანო პრაქტიკების კონტექსტში, იხ.: Committee on the Elimination of Discrimination against Women, General Recommendation No. 35 on Gender-based Violence against Women, Updating General Recommendation No. 19, 26 July 2017, CEDAW/C/GC/35, paras. 2, 16.

15 მაგალითად, სარჩელი არ უნდა იყოს ანონიმური და არ უნდა განიხილებოდეს სხვა საერთაშორისო მექანიზმის ფარგლებში. კომუნიკაციის წარდგენა უნდა მოხდეს შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებების ამონურვის შემდეგ. იხ.: Optional Protocol to the Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women, 15 October 1999, A/RES/54/4, arts. 2-4.

16 Committee on the Elimination of Discrimination against Women, Concluding Observations on the Sixth Periodic Report of Georgia, 2 March 2023, CEDAW/C/GEO/CO/6, paras. 15-16.

სიმცირე. 2023 წლის შემაჯამებელი დასკვნების ფარგლებში, კომიტეტმა საქართველოს, ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ 35-ე ზოგადი რეკომენდაციის საფუძველზე, გაუპატიურების დეფინიციის დახვეწა და სისხლის სამართლის კოდექსში (შემდგომში – სსკ) „ღირსების“ სახელით ჩადენილი დანაშაულებისა და ეკონომიკური ძალადობის განმარტებების ინკორპორირება ურჩია. ამასთანავე, CEDAW კომიტეტმა სახელმწიფოს გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევების *ex officio* ეფექტიანად გამოძიებისა და მსხვერპლთა დაცვის სერვისების გაუმჯობესებისკენ მოუწოდა.¹⁷

2.1.1.2. სტამბოლის კონვენცია და GREVIO

სწორედ CEDAW-ის მნიშვნელობას უსვამს ხაზს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს მიერ 2011 წელს მიღებული კონვენციის პრეამბულა. სტამბოლის კონვენცია გენდერული ნიშნით ძალადობასთან ბრძოლის ყოვლისმომცველ ჩარჩოს ადგენს და პრევენციის, დაცვის, სისხლისსამართლებრივი დევნისა და კოორდინებული პოლიტიკის პრინციპებს ეფუძნება. კონვენციის საფუძველზე, მონაწილე მხარეები ვალდებული არიან, გენდერულად მგრძნობიარე საგანმანათლებლო და მკურნალობის პროგრამები დანერგონ, მსხვერპლთა სამედიცინო, სამართლებრივი და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა უზრუნველყონ. ამასთანავე, სახელმწიფოებმა კოორდინებული, დაზარალებულებზე ორიენტირებული პოლიტიკა უნდა შეიმუშაონ, რომლითაც ძალადობის აქტებს ეფექტიანად აღკვეთენ ან გამოიძიებენ. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ძირითადი მიზანი ქალების დაცვაა, ევროპის საბჭო წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, კონვენციით გათვალისწინებული გარანტიები გენდერული ნიშნით ან ოჯახში ძალადობის ყველა მსხვერპლზე, მათ შორის კაცებზე, ბავშვებსა და ხანდაზმულებზეც გაავრცელონ.¹⁸

სტამბოლის კონვენციის 66-ე და 67-ე მუხლების თანახმად, მის აღსრულებას GREVIO და მხარეთა კომიტეტი ზედამხედველობენ. ამავე კონვენციის 68-ე მუხლით განმტკიცებული პროცედურის შესაბამისად, სახელმწიფოები ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს GREVIO-ს მიერ განსაზღვრული კითხვარის საფუძველზე მომზადებულ ანგარიშებს წარუდგენენ. GREVIO შეფასების ანგარიშის მომზადებისას ითვალისწინებს როგორც საერთაშორისო მექანიზმებისა და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების დასკვნებს, ისე სახელმწიფოს კომენტარებს. GREVIO-ს ანგარიშზე დაყრდნობით, მხარეთა კომიტეტმა შეიძლება კონკრეტული რეკომენდაციები გასცეს.

¹⁷ იქვე, 25-ე-26-ე პუნქტები.

¹⁸ Council of Europe, The Istanbul Convention – A Powerful Tool to End Gender-based Violence: A Handbook for Parliamentarians on the Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence against Women and Domestic Violence, Strasbourg, 2019, 15-19.

ამასთანავე, სტამბოლის კონვენციის 68-ე მუხლის მე-13 პუნქტის მიხედვით, სარწმუნო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, GREVIO უფლებამოსილია, ქალთა უფლებების სერიოზული დარღვევების რაოდენობისა ან მასშტაბების შესამცირებლად სასწრაფო მოქმედება განახორციელოს. ზემოაღნიშნული კონვენციის 69-ე მუხლის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა შეიძლება ხელშეკრულების აღსრულების თაობაზე ზოგადი რეკომენდაციები მიიღოს, რაც ცხადყოფს, რომ CEDAW-სა და სტამბოლის კონვენციის ზედამხედველობის მექანიზმების კომპეტენციები დიდწილად ანალოგიურია.

საქართველომ სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება 2017 წელს მოახდინა და, შეთანხმების მე-10 მუხლის შესაბამისად, ეროვნული მაკოორდინებელი მექანიზმი – გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია დააფუძნა. GREVIO-მ საქართველოსთან დაკავშირებული პირველი, საბაზისო შეფასების ანგარიში 2022 წელს გამოაქვეყნა და არაერთ საკანონმდებლო ხარვეზთან დაკავშირებით გამოთქვა რეკომენდაციები. მაგალითად, ექსპერტთა ჯგუფმა საქართველოს ხელისუფლებას დაჟინებით მოუწოდა სისხლის სამართლის კოდექსის სტამბოლის კონვენციის 36-ე მუხლთან ჰარმონიზებისკენ. GREVIO-ს შეფასებით, სახელმწიფოს მყისიერ რეაგირებას მოითხოვს, *inter alia*, უწყებათაშორისი კოორდინაციის გაძლიერება, განსაკუთრებით მოწყვლადი ქალების ეფექტიანად დაცვა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის გაზრდა კანონშემოქმედებისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესებში.¹⁹

ექსპერტთა ჯგუფის ანგარიშზე დაყრდნობით, ნევრთა კომიტეტმა მრავლისმომცველი რეკომენდაციები მიიღო და სახელმწიფოს მიღწეული პროგრესის შესახებ ანგარიშგება 2025 წლის 4 დეკემბრამდე დაავალა. ნევრთა კომიტეტმა სახელმწიფოს მოუწოდა, მყისიერად გაეზარდა თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების რაოდენობა, სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვით უზრუნველყო ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებში დანიშნული სასჯელების შემაკავებელი ეფექტი და დანაშაულის სიმძიმესთან შესაბამისობა. ამასთანავე, კომიტეტმა ხაზი გაუსვა გენდერულად მგრძნობიარე მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების არსებობის მნიშვნელობას, რომლებიც როგორც ფიზიკურ, ისე ციფრულ სივრცეში განხორციელებული ძალადობისა თუ ინტერსექციური დისკრიმინაციის აქტებზე ადეკვატურ რეაგირებას შეძლებენ.²⁰ ეს რეკომენდაცია განსაკუთრებით საგულისხმოა იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კანონმდებლობა კონკრეტულად ციფრულ სივრცეში, ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობას არ აწესრიგებს. მიუხედავად იმისა, რომ პრაქ-

19 GREVIO, საბაზისო შეფასების ანგარიში: საქართველო, 2022 წლის 13 ოქტომბერი, GREVIO/Inf(2022)28, 7-9.

20 Committee of the Parties, Recommendation on the Implementation of the Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence against Women and Domestic Violence by Georgia, 6 December 2022, IC-CP/Inf(2022)14, paras. A.9-11, 14, B.

ტიკოსები, ძირითადად, სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე, 126¹-ე და 151¹-ე მუხლებზე დაყრდნობით ცდილობენ მსხვერპლთა დაცვას, მტკიცების მაღალი სტანდარტები სამართალწარმოების ეფექტიანობას ამცირებს.²¹ აქედან გამომდინარე, შიდასამართლებრივი დაცვის გარკვეული მექანიზმების არსებობის მიუხედავად, GREVIO-სა და წევრთა კომიტეტის რეკომენდაციების შესასრულებლად კანონმდებლობის დახვეწა და პროაქტიურად აღსრულებაა საჭირო.

2.1.2. რბილი სამართლის წყაროები

მყარი საერთაშორისო სამართლებრივი წყაროების გარდა, საქართველოში ქალთა უფლებების დაცვის სტანდარტებს რბილი სამართლის წყაროებიც განამტკიცებს.²² განსაკუთრებით ზაზგასასმელია 1995 წლის პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა, რომელიც სახელმწიფოებს ქალთა მიმართ ძალადობის აღსაკვეთად სტრატეგიული რეფორმების გატარების, საერთაშორისო ინსტრუმენტების რატიფიცირების, ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს ჰუმანიტარული სამართლის დაცვისკენ მოუწოდებს.²³ ამავე კონტექსტში სექსუალური ძალადობის პრევენციისა და გადაწყვეტილების მიღებისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებში ქალთა მონაწილეობის გაზრდისკენა მიმართული გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების (WPS) შესახებ. WPS-ის დღის წესრიგი ამყარებს სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე სხვადასხვა ხელშეკრულებით, მათ შორის CEDAW, 1949 წლის ჟენევის კონვენციებითა და რომის სტატუტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. შესაბამისად, სახელმწიფოები CEDAW კომიტეტს რეგულარულად აცნობენ N1325 რეზოლუციის განსახორციელებლად გადადგმულ ნაბიჯებს.²⁴

გაეროს წევრები 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ფარგლებშიც მიიღტივან ქალთა მიმართ დისკრიმინაციის, ძალადობისა და საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრისკენ. როგორც მდგრადი განვითარების მე-5 მიზანი, ისე მისი წინამორბედი ათასწლეულის განვითარების მე-3 მიზანი (შემდგომში – MDG3) გენდერულ თანასწორობას სოციალურ პრობლემად მიიჩნევს, თუმცა MDG3 კონცენტრირებული იყო არა გენდერული ნიშნით ძალადობასთან ბრძოლაზე,²⁵ არა-

21 გ. ჯიბლაძე და სხვები, ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის კვლევა საქართველოში: კვლევის ანგარიში, თბ., 2024, 47.

22 რბილი სამართალი აერთიანებს არასავალდებულო ინსტრუმენტებსა და დოკუმენტებს (დეკლარაციებს, რეზოლუციებს, სამოქმედო გეგმებს), რომლებიც საერთაშორისო სამართლისა და პოლიტიკის განვითარებაზე ანგარიშგასაწევ გავლენას ახდენს. იხ.: M. N. Shaw, *International Law: Eighth Edition*, Cambridge, 2017, 87-88.

23 Fourth World Conference on Women, Beijing Declaration and Platform of Action, 27 October 1995, A/CONF.177/20, paras. 124, 131-135.

24 M. Bastick and D. de Torres, *Implementing the Women, Peace and Security Resolutions in Security Sector Reform*, Geneva, 2010, 3-4.

25 UN Women, *Ending Violence Against Women: From the Beijing Platform for Action to the Sustainable Development Goals*, New York, 2015, 44.

მედ ქალთა დასაქმების, განათლების, ჯანდაცვისა და პოლიტიკური ჩართულობის დონეების ამაღლებაზე.²⁶ 2030 წლის დღის წესრიგი კი უფრო ამბიციურ, პროგრესულ პოლიტიკურ პაქტად გვევლინება, რომლის ამოცანებიც ქალთა დისკრიმინაციის, ექსპლუატაციის, იძულებითი ქორწინების აღმოფხვრისკენაა მიმართული და გენდერული მგრძნობელობის ამაღლების კუთხით ძირითადად მიღწეულ წინსვლას ცხადყოფს.²⁷

2.2. ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო

ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო მოიცავს როგორც სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამოქალაქო კოდექსებს, ისე საქართველოს კანონებს „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის“, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის“, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“.²⁸ საგულისხმოა, რომ, 2025 წლის 2 აპრილის ცვლილებების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობაში ტერმინ „გენდერის“ „ქალისა და მამაკაცის თანასწორობით“ ჩანაცვლება, ერთი მხრივ, სტამბოლის კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ განმარტებას ეწინააღმდეგება,²⁹ მეორე მხრივ კი, საერთაშორისო სასამართლოებისა და გაეროს სახელშეკრულებო ორგანოების პრაქტიკას. ECtHR-ის შეფასებით, გენდერული იდენტობა პიროვნულობის განუყოფელი კომპონენტია და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში – ევროპული კონვენცია ან ECHR) მე-8 მუხლის ფარგლებშია დაცული.³⁰ ამასთანავე, CEDAW კომიტეტის განმარტებით, ქალთა დისკრიმინაცია მჭიდროდაა დაკავშირებული გენდერულ იდენტობასთან,³¹ რაც ცხადყოფს, რომ პირის სოციალური როლის სქესთან გათანაბრება საერთაშორისო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს.

26 WAVE – Women against Violence Europe, Preventing and Responding to Gender-based Violence during the War and in Post-war Settings: Experiences and Recommendations of Women's NGOs, Vienna, 2022, 11.

27 S. Mariano and B. Molari, Gender Equality from the MDGs to the SDGs: A Feminist Analysis, Rev. Adm. Pública 56(6), 2022, 825, 836.

28 ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოს დამატებითი ანალიზისთვის, იხ. გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2022, თბ., 2023, 15-18; ლია სივრცე კავკასია, გენდერული და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კარგი პრაქტიკის მიმოხილვა, თბ., 2023, 15-18.

29 სტამბოლის კონვენციის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „გენდერული“ გულისხმობს სოციალურად დაკავშირებულ როლებს, ქცევას, საქმიანობას და მახასიათებლებს, რომლებსაც მოცემული საზოგადოება ქალისა და მამაკაცისთვის შესაფერისად მიიჩნევს.

30 A.P., გარსონ და ნიკო საფრანგეთის წინააღმდეგ (A.P., Garçon and Nicot v. France), 2017 წლის 6 აპრილი, 95-ე-96-ე პუნქტები.

31 Committee on the Elimination of Discrimination against Women, General Recommendation No.28 on the Core Obligations of States Parties under Article 2 of the Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women, 16 December 2010, CEDAW/C/GC/28, para. 18.

2.2.1. სისხლის სამართლის კოდექსი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით კრიმინალიზებულია ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმა, მათ შორის ადევნება (151¹-ე მუხლი), სექსუალური (137-ე-141-ე მუხლები) და ოჯახში ძალადობა (126¹-ე მუხლი). მიუხედავად იმისა, რომ ECtHR საქართველოს საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ჩარჩოს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის ადეკვატურად მიიჩნევს,³² GREVIO-ს საბაზისო შეფასების ფარგლებში არაერთი ხარვეზი გამოიკვეთა. მაგალითად, ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს სსკ-ის 126¹-ე მუხლით ფსიქოლოგიური ძალადობის მონესრიგება, თუმცა მათთვის ნათელი არ იყო, რამდენად სისტემატურად გამოიყენება არსებული სისხლისსამართლებრივი დებულებები ონლაინ ან ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობის შემთხვევებში. GREVIO-ს განმარტებით, ამგვარი ძალადობა ციფრული სივრცის მიღმა ქალთა მიმართ ძალადობის გაგრძელებაა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა საქართველოს ხელისუფლებას სისხლის სამართლის კოდექსის ეფექტიანობის შეფასებისკენ მოუწოდა.³³

GREVIO-ს ანგარიშის მიხედვით, სტამბოლის კონვენციის რატიფიცირების შემდეგ განხორციელებული რეფორმების მიუხედავად, სსკ-ით განმტკიცებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შემადგენლობები კონვენციის 36-ე მუხლის სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. ექსპერტთა ჯგუფმა შეშფოთებით აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე (გაუპატიურება) და 139-ე (პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება) მუხლებით გამყარებულია გაუპატიურების ორი სხვადასხვა ფორმა, რაც „აძლიერებს მითს, რომ გაუპატიურება ყოველთვის ფიზიკური ძალის გამოყენებით ან ძალის გამოყენების მუქარით შეიძლება იქნეს ჩადენილი“. შესაბამისად, GREVIO-მ უაღრესად მნიშვნელოვნად მიიჩნია გაუპატიურების თანხმობაზე დაფუძნებული განმარტების დანერგვა.³⁴ GREVIO-ს დასკვნას ადასტურებს გენდერულ ურთიერთობებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აღქმისა და დამოკიდებულების 2024 წლის კვლევა, რომლის მიხედვითაც კაცების 35% მიიჩნევს, რომ, თუ ქალი კაცს ფიზიკურად არ ეწინააღმდეგება, ქმედება გაუპატიურებად ვერ დაკვალიფიცირდება.³⁵

ამასთანავე, GREVIO-ს შეფასებით, სისხლის სამართლის კოდექსის 151¹-ე მუხლით განმტკიცებული ადევნების შემადგენლობა ზედმეტად ვიწროა. ექსპერტთა ჯგუფმა პრობლემურად მიიჩნია როგორც მსხვერპლის ცხოვრების წესის მნიშვნე-

32 თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ (*Tkheldize v. Georgia*), 2021 წლის 8 ივლისი, 52-ე პუნქტი.

33 GREVIO, საბაზისო შეფასების ანგარიში: საქართველო, 2022 წლის 13 ოქტომბერი, GREVIO/Inf(2022)28, 237-ე-239-ე პუნქტები.

34 იქვე, 252-ე, 256-ე-257-ე პუნქტები.

35 სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება, თბ., 2024, 42-44.

ლოვან ცვლილებასთან, ისე ფსიქიკურ ტანჯვასთან დაკავშირებული მტკიცების მძიმე ტვირთი და სახელმწიფოს მოქმედი განმარტების სტამბოლის კონვენციის 34-ე მუხლთან ჰარმონიზებისკენ მოუწოდა.³⁶

2.2.2. საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ (შემდგომში – ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ) კანონის მე-9 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, ზემოხსენებული აქტების გამოსავლენად და აღსაკვეთად სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქოსამართლებრივი და ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება.

ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კანონის მე-10 მუხლით განმტკიცებულია შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემის წინაპირობები. GREVIO-მ დადებითად შეაფასა, რომ კანონის ამავე მუხლის 11-ელი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი ვალდებულია, შემაკავებელი ორდერი გამოცეს.³⁷ ზემოაღნიშნული კანონის მე-10 მუხლის 12-ელი პუნქტის შესაბამისად კი, სხვა შემთხვევებში ორდერის გამოცემის გადანყვეტილება ძალადობის განმეორების რისკის სიმძიმის გათვალისწინებით მიიღება. ამავე კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შემაკავებელი ორდერი გამოიცემა 1 თვემდე ვადით.³⁸ შსს-ის მონაცემების მიხედვით, 2024 წელს, ჯამში, 8744 შემაკავებელი ორდერი გამოიცა.³⁹

ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, დამცავი ორდერი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოიცემა. ამავე მუხლის მე-7 პუნქტზე დაყრდნობით, „დამცავი ორდერი უნდა ითვალისწინებდეს მოძალადის მიერ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლას“. ზემოთ ნახსენები კანონის მე-12 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, „დამცავი ორდერი გამოიცემა 9 თვემდე ვადით“ და, მე-2 პუნქტის შესაბამისად, არაუმეტეს სამთვიანი ვადით შეიძლება გახანგრძლივდეს.

36 GREVIO, საბაზისო შეფასების ანგარიში: საქართველო, 2022 წლის 13 ოქტომბერი, GREVIO/Inf(2022)28, 241-ე და 246-ე პუნქტები.

37 იქვე, 334-ე პუნქტი.

38 სტამბოლის კონვენციის სტანდარტებთან შედარებითი ანალიზისთვის იხ.: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სახელმწიფოს რეაგირება გენდერულად მოტივირებულ ძალადობაზე საქართველოში: კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, თბ., 2024, 92-94.

39 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ოჯახში ძალადობის სტატისტიკა (შემაჯავებელი ორდერები): საანგარიშო პერიოდი: 2024-01-01-2024-12-31, იხ.: <http://bit.ly/4oEzOup>.

2024 წელს, 2022-2023 წლებთან შედარებით, თითქმის 20%-ით ნაკლები (ჯამში, მხოლოდ 77) დამცავი ორდერი გამოიცა.⁴⁰ საგულისხმოა, რომ ჯგუფურ დისკუსიაზე დაფუძნებული კვლევის მიხედვით, საქართველოში დამცავი ორდერების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერება დაბალია. ამასთანავე, მონაწილეები შემაკავებელ ორდერებს კრიზისულ სიტუაციებზე უფრო სწრაფად და ეფექტიანად რეაგირების ინსტრუმენტად მიიჩნევენ.⁴¹

შემაკავებელი ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა სისხლის სამართლის კოდექსის 381¹-ე მუხლითაა დასჯადი.⁴² მიღწეული პროგრესის მიუხედავად, GREVIO-მ მტკიცედ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას შემაკავებელი ორდერების გაუქმების მაღალი სტატისტიკის გამოკვლევისა და მასობრივ დარღვევათა მიზეზების დადგენისა და სათანადოდ დასჯისკენ.⁴³

3. საერთაშორისო პრაქტიკა საქართველოსთან მიმართებით

ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული საქმეების უმრავლესობა წამების აკრძალვის, სიცოცხლისა და კანონის წინაშე თანასწორობის უფლებებს ეფუძნება. მომდევნო ქვეთავების ფარგლებში გაანალიზდება, როგორი სტანდარტებით იხელმძღვანელებს CEDAW კომიტეტმა და ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი სარჩელების განხილვისას.

3.1. CEDAW კომიტეტის პრაქტიკა

3.1.1. X და Y საქართველოს წინააღმდეგ (X and Y v. Georgia)

2015 წელს CEDAW კომიტეტმა საქართველოში ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით პირველი საერთაშორისო პრეცედენტი დაამკვიდრა.⁴⁴ კომიტეტს მიმართეს მოსარჩელებმა – X-მა და მისმა შვილმა Y-მა, რომლებზეც X-ის მეუღლე (Y-ის მამა) წლების განმავლობაში ფიზიკურად და სექსუალურად ძალადობდა. X-ის მიმართ ძალადობა 1987 წელს მომავალი მეუღლის მიერ წვეულებაზე გაუპატიურე-

40 საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წლის ანგარიში, თბ., 2025, 245.

41 გ. საკანელაშვილი, გენდერული და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა ინფორმირებულობის და საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულებების კვლევა, თბ., 2024, 19-20.

42 შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემის წინაპირობებისა და პროცედურის დეტალური ანალიზისთვის იხ.: კ. კორკელია, სიცოცხლის უფლების დაცვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველო, თბ., 2025, 291-296.

43 GREVIO, საბაზისო შეფასების ანგარიში: საქართველო, 2022 წლის 13 ოქტომბერი, GREVIO/Inf(2022)28, 340-ე და 346-ე პუნქტები.

44 European Human Rights Advocacy Center, First Ever International Decision on Domestic Violence in Georgia Highlights Serious Shortcomings in State Response, [http://bit.ly/4fFJzEm].

ბით დაიწყო. ქალიშვილობასთან მიმართებით საზოგადოების სტერეოტიპული და-
მოკიდებულებიდან გამომდინარე, X მალევე დაქორწინდა მოძალადეზე. მათ ხუთი
შვილი შეეძინათ.⁴⁵

X-ის მეუღლე შვილებს ხშირად უყვიროდა, ანჯღრევდა, საპირფარეშოში კე-
ტავდა, ერთხელ კი დასჯის მიზნით Y-ისა და მის ძმა T-ს თითები კარშიც ჩააყოლა.
ქმარი X-საც რეგულარულად უსწორდებოდა, როგორც უმნიშვნელო საკითხებზე
კამათის დროს, ისე დედის მიერ ბავშვების გამოსარჩლების შემთხვევებში.⁴⁶ X-ის
მეუღლემ სექსუალურად იძალადა Y-სა და მის ძმა T-ზე.⁴⁷ X-მა არაერთხელ მიმარ-
თა პოლიციას, თუმცა სამართალდამცავები X-ის ქმრისთვის არამხოლოდ ხელნე-
რილების ჩამორთმევით შემოიფარგლებოდნენ.⁴⁸

ვინაიდან დაზარალებულებმა შიდასახელმწიფოებრივ დონეზე სამართლია-
ნობის აღდგენა ვერ შეძლეს, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მი-
მართეს, თუმცა სარჩელმა დასაშვებობის კრიტერიუმები ვერ დააკმაყოფილა.⁴⁹
მიუხედავად ამისა, მათ CEDAW კომიტეტსაც მიმართეს, რომელმაც ხაზი გაუსვა,
რომ მოსარჩელები ECtHR-ს ევროპული კონვენციის მე-3, მე-8 და მე-13 მუხლე-
ბის დარღვევების დადგენას სთხოვდნენ, ხოლო CEDAW-ს საფუძველზე წარდგე-
ნილი კომუნიკაციის ფარგლებში თანასწორობის უფლებისა და დისკრიმინაციის
აკრძალვის შესახებ დავობდნენ. შესაბამისად, ექსპერტებმა მათი სარჩელი დასაშ-
ვებად ცნეს.⁵⁰

კომიტეტმა განმარტა, რომ მისი მე-19 ზოგადი რეკომენდაციის მიხედვით,
CEDAW-ის 1-ელი მუხლის მიზნებისთვის დისკრიმინაცია ქალთა მიმართ გენდე-
რული ნიშნით ძალადობასაც მოიცავს. ამავე კონვენციის მე-2 მუხლის „e“ ქვეპუნ-
ქტზე დაყრდნობით, სახელმწიფოებს შეიძლება კერძო პირთა ქმედებებისთვის და-
ეკისროთ პასუხისმგებლობა, თუ ისინი დანაშაულის პრევენციისა და ეფექტიანად
გამოძიების ვალდებულებებს ჯეროვნად არ შეასრულებენ. ვინაიდან სახელმწი-
ფომ X-ის საჩივრებზე ადეკვატური რეაგირება ვერ მოახდინა და მოსარჩელებს
გადაჭარბებულად მაღალი მტკიცების სტანდარტი დაუწესა, CEDAW კომიტეტის
შეფასებით, X-ისა და Y-ის საქმეში CEDAW-ის 1-ელ და მე-5 „a“ მუხლთან ერთობ-
ლიობაში მე-2 მუხლის „b-f“ ქვეპუნქტები და მე-19 ზოგადი რეკომენდაცია დაირ-
ღვა. საქმის პრეცედენტული ხასიათი ცხადყოფს, რომ კომიტეტმა საქართველოს
არა მხოლოდ X-ისა და Y-ის კომპენსაციით უზრუნველყოფის, არამედ, *inter alia*,
როგორც მოსამართლეებისა და პროკურორების გადამზადების, ისე ქალთა მი-

45 Committee on the Elimination of Discrimination against Women, *X and Y v. Georgia*, Commu-
nication No. 24/2009, 13 July 2015, CEDAW/C/61/D/24/2009, paras. 1, 2.1.

46 იქვე, მე-2.2 პუნქტი.

47 იქვე, მე-2.7 და მე-9.5 პუნქტები.

48 იქვე, მე-2.3-მე-2.6 პუნქტები.

49 იქვე, მე-5.2 პუნქტი.

50 იქვე, მე-5.3-მე-6.7 პუნქტები.

მართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევების მაქსიმალურად ეფექტიანად და მკაცრად გამოძიებისკენ მოუწოდა.⁵¹

იქიდან გამომდინარე, რომ 2016 წლამდე საქართველოს კანონმდებლობა გაეროს კომიტეტების გადაწყვეტილებებისა თუ რეკომენდაციების აღსრულების სამართლებრივ წინაპირობებს არ აწესრიგებდა, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა, X-ისა და Y-ის საქმეში გამოთქმულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით, ხელისუფლებას შესაბამისი ეროვნული მექანიზმის დაფუძნება ურჩია.⁵² სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსების სათანადოდ რეფორმირების შემდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ X-სა და Y-ს 20 000 ლარის ოდენობით კომპენსაცია მიაკუთვნა.⁵³

ქალთა დისკრიმინაციის მაღალი სტატისტიკის გათვალისწინებით, X-ისა და Y-ის საქმეში გამოთქმული რეკომენდაციების ნაწილი დღემდე ინარჩუნებს აქტუალურობას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ სამხრეთ კავკასიის რეგიონში.⁵⁴

3.1.2. N.D. და K.S. საქართველოს წინააღმდეგ (N.D. and K.S. v. Georgia)

2017 წელს, N.D. და K.S.-მ, CEDAW კომიტეტს B.D.-ის (N.D.-ის შვილისა და K.S.-ის დედის) მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით მიმართეს. მოსარჩელები B.D.-სთან მიმართებით CEDAW-ის მე-2 მუხლის „b-f“ ქვეპუნქტებისა და მე-5 მუხლის „a“ ქვეპუნქტის დარღვევებზე დავობდნენ.⁵⁵

B.D. 2004 წლიდან არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა O.S.-სთან. O.S.-მ 2007 წელს დაიწყო მეუღლეზე ძალადობა. 2013 წელს O.S.-მ B.D. და მისი ქალიშვილი სახლიდან გააგდო. ისინი ათი დღით B.D.-ის მეგობარმა შეიფარა, შემდეგ კი ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდნენ. O.S. განცალკევების შემდეგაც აგრძელებდა B.D.-ზე ფიზიკურ ძალადობას. მიუხედავად იმისა, რომ მსხვერპლმა სამართალდამცავებს ოთხჯერ მიმართა, პოლიციელებმა საფრთხეები სათანადოდ ვერ შეაფასეს.⁵⁶

2014 წლის 2 მარტს O.S. B.D.-ის სახლში შეიჭრა და სცემა. დაზარალებულმა პოლიცია გამოიძახა. O.S.-მ გამოკითხვისას აღიარა, რომ B.D.-ს ეჭვიანობის ნიადაგზე სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, თუმცა ფიზიკური ძალადობის ბრალდე-

51 იქვე, მე-9.3, მე-9.6, მე-9.7, მე-10 და მე-11 პუნქტები.

52 Report of the Special Rapporteur on Violence against Women, Its Causes and Consequences on Her Mission to Georgia, 22 July 2016, A/HRC/32/42/Add.3, para. 99(e).

53 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სახელმწიფოს რეაგირება გენდერულად მოტივირებულ ძალადობაზე საქართველოში: კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, თბ., 2024, 134-135.

54 European Human Rights Advocacy Centre, Bulletin No. 25, London, 2016, 24.

55 Committee on the Elimination of Discrimination against Women, N.D. and K.S. v. Georgia, Communication No. 125/2018, 28 June 2021, CEDAW/C/79/D/125/2018, para. 1.

56 იქვე, მე-2.1-მე-2.9 პუნქტები.

ბები უარყო. მსხვერპლმა ჩვენების გახმოზა გადაწყვიტა. B.D.-ს სახესა და სხეულზე ძალადობის კვალი აღენიშნებოდა, მაგრამ რუსთავის რაიონულმა პროკურატურამ O.S.-ს წინააღმდეგ საქმე არ აღძრა. 6 მარტს O.S.-მ ცივი იარაღით ცხრა ჭრილობა მიაყენა B.D.-ს, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა.⁵⁷

სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 და 108-ე მუხლებზე დაყრდნობით, O.S.-ს 7 წლითა და 6 თვით აღეკვეთა თავისუფლება.⁵⁸ 2016 წელს გენერალური პროკურატურის გენერალურმა ინსპექციამ, მოკვლევის საფუძველზე, დაადგინა, რომ B.D.-ის საქმეში ჩართულ პროკურორებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლით განმტკიცებული გამოძიების დაწყების ვალდებულება არ დაურღვევიათ. პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლების წინააღმდეგ მიმდინარე გამოძიება CEDAW კომიტეტის მიერ კომუნიკაციის განხილვის დროისთვის დასრულებული არ იყო.⁵⁹

2017 წლის 22 თებერვალს N.D.-მ შსს-სა და გენერალური პროკურატურის წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა. 2018 წლის 26 თებერვალს სასამართლომ დაადგინა, რომ გენერალური პროკურატურის ქმედებებში დანაშაულის ნიშნები არ იკვეთებოდა, თუმცა შსს-მ B.D.-ს დაცვის ვალდებულება ჯეროვნად არ შეასრულა. მოსარჩელებს 25 000 ლარის ოდენობით კომპენსაცია მიეკუთვნათ. გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს როგორც დაზარალებულებმა, ისე შსს-მ.⁶⁰

მოსარჩელები CEDAW კომიტეტის წინაშე, *inter alia*, დავობდნენ, რომ სახელმწიფომ B.D. სათანადოდ არ დაიცვა, ხოლო გენდერული შეუწყნარებლობის მოტივის უგულებელყოფით, O.S. არაადეკვატურად დასაჯა.⁶¹ მათი აზრით, შსს-ის წარმომადგენლების სამსახურებრივ გულგრილობასთან დაკავშირებული გამოძიება ზედმეტად გაჭიანურდა და ეფექტიანი ველარ იქნებოდა.⁶² CEDAW კომიტეტმა, მის პრაქტიკაზე დაყრდნობით, განმარტა, რომ მოსარჩელებმა კომუნიკაციის წარდგენამდე დავის გადაწყვეტის შანსი ეროვნულ სასამართლოებს უნდა მისცენ. ვინაიდან N.D.-სა და K.S.-ს გამოძიების გაჭიანურება საქართველოში არ გაუსაჩივრებიათ და ექსპერტთა ჯგუფი ვერ დაარწმუნეს, რომ ამგვარი დანაშაულების შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა არაეფექტიანია, 2021 წელს კომიტეტმა სარჩელი დაუშვებლად ცნო.⁶³

კომუნიკაციის წარუმატებლობის მიუხედავად, ის, ერთი მხრივ, CEDAW კომიტეტის დასაშვებობის სტანდარტების სიღრმისეულ გაანალიზებას უწყობს ხელს, მეორე მხრივ კი, მისი საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

57 იქვე, მე-2.8-მე-2.10 პუნქტები.

58 იქვე, მე-2.11 პუნქტი.

59 იქვე, მე-2.12-მე-2.14, მე-4.4-მე-4.8 პუნქტები.

60 იქვე, მე-4.9 პუნქტი.

61 იქვე, მე-3.1-მე-3.4 პუნქტები.

62 იქვე, მე-5.6 და მე-5.8 პუნქტები.

63 იქვე, მე-6.5-მე-6.6 პუნქტები.

3.1.3. H.H. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ – ხანუმ ჯეირანოვას საქმე (H.H. et al v. Georgia)

2018 წელს CEDAW კომიტეტს ხანუმ ჯეირანოვას მეუღლემ (H.H.-მ), ქალიშვილმა (I.H.-მ) და ვაჟმა (Y.H.-მ) მის გარდაცვალებასთან დაკავშირებული კომუნიკაციით მიმართეს. მოსარჩელები, წინა სარჩელების მსგავსად, CEDAW-ის 1-ელი, მე-2 მუხლის „b-f“ ქვეპუნქტებისა და მე-5 მუხლის „a“ ქვეპუნქტის დარღვევების დადგენას ითხოვდნენ. 2014 წლის 16 სექტემბერს ეთნიკურად აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქე ჯეირანოვა ქმრის ნათესავებმა H.H.-სთვის A.I.-სთან ლალატში დაადანაშაულეს. მათ ხანუმს სოფლის მოსახლეობის თანდასწრებით ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. მსხვერპლს რამდენიმეჯერ ნაუფიდა გული.⁶⁴

იმ ღამით ჯეირანოვას მამის სახლში არა მხოლოდ პოლიციის თანამშრომლები, არამედ სოფლის გამგებელიც გამოიძახეს. ატირებულმა ხანუმმა გამგებელს თავისი წამალი აჩვენა, რომლის დალევისკენაც ოჯახის წევრები მოუწოდებდნენ და დახმარება სთხოვა. გამგებელმა გადაწყვიტა, მსხვერპლი ოჯახისთვის გაერიდებინა, თუმცა დილით მშობლებთან დააბრუნა. 18 სექტემბერს დედამ ბაღის ფარდულში ჩამომხრჩვალ ჯეირანოვა იპოვა. მოვლებმა აღნიშნეს, რომ ცხედარს სახეზე, კისერსა და გულმკერდის არეში ძალადობის კვალი აღენიშნებოდა. 2014 წლის 28 სექტემბერს გამოძიება დაიხურა დასკვნით, რომ ჯეირანოვამ მისი „სამარცხვინო“ ქმედებების გამო სიცოცხლე მოისწრაფა.⁶⁵

2014 წლის 9 ოქტომბერს, სატელევიზიო რეპორტაჟის საფუძველზე, გამოიძიება განახლდა. მიუხედავად იმისა, რომ ჯეირანოვას ოჯახის წევრებმა არაერთხელ მოითხოვეს გამოძიების ეფექტიანად და დროულად წარმართვა, ის CEDAW კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას დასრულებული არ იყო.⁶⁶ მოსარჩელები, სარჩელის ფარგლებში, ხაზს უსვამდნენ, რომ სამართალდამცავებმა სათანადოდ არ გამოიძიეს ჯეირანოვას მკვლელობის ვერსია და ნათესავების მიერ ავტოფსიის ჩატარებაზე დაფიქსირებულ უარს არ შეენიშნა აღმდეგნენ. როგორც გამომძიებლებმა და პროკურორებმა, ისე გამგებელმა ჯეირანოვას მიმართ „მრუშობის“ ნიადაგზე დისკრიმინაციული დამოკიდებულება გამოავლინეს.⁶⁷

იმის გათვალისწინებით, რომ H.H.-მ, ჯეირანოვას საქმის კონტექსტში, არაერთხელ უარყო პრეტენზიების ქონა და მის ნათესავებს „შერცხვენისგან გადარჩენისთვის“ მადლობაც გადაუხადა, CEDAW კომიტეტმა დაასკვნა, რომ მეუღლე, შვილებისგან განსხვავებით, მსხვერპლად ვერ მიიჩნეოდა. ექსპერტების შეფასებით, სისხლისსამართლებრივი დევნა არაგონივრულად გაჭიანურდა, შესაბამისად, სარჩელი დასაშვებად ცნეს.⁶⁸

64 Committee on the Elimination of Discrimination against Women, *H.H. et al v. Georgia*, Communication No.140/2019, 25 October 2021, CEDAW/C/80/D/140/2019, paras. 1-2.1.

65 იქვე, მე-2.2-მე-2.4 პუნქტები.

66 იქვე, მე-2.4-მე-2.14 პუნქტები.

67 იქვე, მე-3.5-მე-3.7 პუნქტები.

68 იქვე, მე-6.3-მე-6.6 პუნქტები.

კომიტეტმა განმარტა, რომ ქალთა მიმართ ძალადობის დაუსჯელობას საგანგაშო წვლილი შეაქვს საზოგადოებაში უმძიმესი დანაშაულების მიმართ მიმღებლობის კულტურის დამკვიდრებაში, რაც, თავის მხრივ, გრძელვადიან პერსპექტივაში, მათ განმეორებას ახალისებს. ექსპერტების შეფასებით, სახელმწიფომ, ერთი მხრივ, ჯეირანოვას მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ყველა შესაძლო ღონისძიება არ გაატარა, მეორე მხრივ კი, გენდერული ნიშნითა და „ღირსების“ სახელით ჩადენილი ძალადობა ეფექტიანად ვერ გამოიძია. შესაბამისად, მე-19 და 35-ე ზოგადი რეკომენდაციების გათვალისწინებით, CEDAW-ის 1-ელ და მე-3 მუხლებთან ერთობლიობაში დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის „b-f“ ქვეპუნქტები და მე-5 მუხლის „a“ ქვეპუნქტი. კომიტეტმა საქართველოს, *inter alia*, სწრაფი და ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფის, ჯეირანოვას შვილებისთვის ბოდიშის მოხდისა და ჯეროვანი კომპენსაციის გადახდისკენ მოუწოდა.⁶⁹

კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად, ეროვნულმა სასამართლომ ხანუმ ჯეირანოვას მცირეწლოვან შვილებს, ჯამში, ასიათასლარიანი კომპენსაცია მიაკუთვნა. ამასთანავე, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2023 წლის 9 იანვრის განაჩენით, ორი ბრალდებული უდანაშაულოდ ცნო, ხოლო თანასწორუფლებიანობის დარღვევისა და ჯგუფურად ჩადენილი დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე ოთხ პირს სსკ-ის 144-ე ტერცია მუხლის მეორე ნაწილის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებზე (დამამცირებელი მოპყრობა, ჩადენილი ჯგუფურად და სქესის ნიშნით ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევით) დაყრდნობით, 5 წლითა და 6 თვით აღუკვეთა თავისუფლება. 2023 წლის 27 იანვარს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ბრალდებული A.G. დამნაშავედ ცნო. მას საბოლოო სასჯელად რვა წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.⁷⁰

3.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა⁷¹

3.2.1. თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ (*Tkheldize v. Georgia*)

2021 წლის 8 ივლისს ECtHR-მა გადაწყვეტილება მიიღო საქმეზე – თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ (*Tkheldize v. Georgia*). მოსარჩელე თალიკო თხელიძე, ECHR-ის მე-2 და მე-14 მუხლებზე დაყრდნობით, დავობდა, რომ სახელმწიფომ მისი ქალიშვილის (M.T.) ოჯახში ძალადობისგან დაცვა და მისი მკვლელობის ეფექტიანად გამოძიება ვერ შეძლო.⁷² M.T. არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფე-

69 იქვე, მე-7.3-მე-9 პუნქტები.

70 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2024 წლის ანგარიში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ, თბ., 2025, 10-11.

71 ე.წ. თხელიძის ჯგუფის საქმეების დამატებითი ანალიზისთვის, იხ. კ. კორკელია, სიცოცხლის უფლების დაცვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველო, თბ., 2025, 296-302; ნ. მჭედლიძე, დასაბუთების სტანდარტები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე, თბ., 2024, 119-122.

72 თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ (*Tkheldize v. Georgia*), 2021 წლის 8 ივლისი, 1-ელი პუნქტი.

ბოდა L.M.-თან, რომელიც პათოლოგიური ეჭვიანობის ნიადაგზე ცოლზე სისტემატიურად ძალადობდა. L.M.-ს მენტალური ჯანმრთელობის პრობლემები, ნარკოდამოკიდებულებისა და ნასამართლობის ისტორია ჰქონდა. ის ალკოჰოლური თრობის ქვეშ განსაკუთრებით აგრესიული ხდებოდა.⁷³

2014 წლის 23 სექტემბერს M.T. დედასთან გადავიდა საცხოვრებლად. L.M. სახლსა და სამსახურთან ხვდებოდა M.T.-ს და როგორც მისი, ისე დედისა და ქალიშვილის მოკვლით ემუქრებოდა. L.M. დაზარალებულზე ძალადობას მოკლე ტექსტური შეტყობინებების მეშვეობითაც განაგრძობდა. მიუხედავად პოლიციის არაერთხელ გამოძახებისა, მათ შემაკავებელი ღონისძიებებისთვის არ მიუმართავთ. 2014 წლის 17 ოქტომბერს L.M.-მა M.T. სამსახურის დერეფანში ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა და თავიც მოიკლა. ვინაიდან მკვლეელი უკვე გარდაცვლილი იყო, 2014 წლის 31 დეკემბერს გამოძიება დაიხურა.⁷⁴

საქმის განხილვისას ECtHR-მა ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის საკანონმდებლო ჩარჩო დამაკმაყოფილებლად შეაფასა, თუმცა პრობლემურად მიიჩნია ოპერატიული ღონისძიებების გატარების ვალდებულების შეუსრულებლობა. სასამართლომ იმსჯელა შემდეგ საკითხებზე: ა) უქმნიდა თუ არა იდენტიფიცირებადი ინდივიდი მსხვერპლს რეალურ და იმნუთიერ საფრთხეს; ბ) იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა სახელმწიფოს ამ საფრთხის არსებობის შესახებ; გ) გამოიჩინეს თუ არა უფლებამოსილმა ორგანოებმა საფრთხეზე რეაგირებისას განსაკუთრებული გულმოდგინება. იმის გათვალისწინებით, რომ M.T.-მ პოლიციას 6 თვის განმავლობაში, სულ მცირე, თერთმეტჯერ მიმართა და L.M.-მა თავადაც აღიარა, რომ ცოლს მოკვლით დაემუქრა, ECtHR-მა დაასკვნა, რომ პოლიციამ იცოდა ან აუცილებლად უნდა სცოდნოდა რეალური და იმნუთიერი საფრთხის არსებობის შესახებ. მიუხედავად ამისა, გამომძიებლებმა არასათანადოდ შეაგროვეს მტკიცებულებები, არ ჩაატარეს „სასიკვდილო საფრთხის შეფასება“ და ძალადობრივი აქტები უმნიშვნელო ოჯახურ კინკლაობად დააკვალიფიცირეს.⁷⁵

ევროპული სასამართლოს აზრით, პოლიციის უმოქმედობა განსაკუთრებით საგანგაშოა იმის გათვალისწინებით, რომ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა საქართველოში ფართოდ გავრცელებული, სისტემური პრობლემაა. ECtHR-მა, CEDAW კომიტეტის ანალოგიურად, დაასკვნა, რომ მსგავსი საქმეების მიმართ სამართალდამცავების დისკრიმინაციული, გულგრილი დამოკიდებულება ქალთა მიმართ ძალადობის რისკებს ზრდის.⁷⁶ ECtHR-ის შეფასებით, ხელმისაწვდომი დამცავი ღონისძიებების სრული უგულვებელყოფით სახელმწიფომ ევროპული კონვენციის მე-14 მუხლთან ერთობლიობაში დაარღვია მე-2 მუხლით განმტკიცებული არსებითი, პოზიტიური ვალდებულებები; მეორე მხრივ კი, სამართალდამცავების უმოქმედობის გამოუძიებლობით ECHR-ის მე-14 მუხლთან ერთობლიობაში მე-2

73 იქვე, მე-5-მე-8 პუნქტები.

74 იქვე, მე-10-მე-20 პუნქტები.

75 იქვე, 52-ე-54-ე პუნქტები.

76 იქვე, 56-ე პუნქტი.

მუხლის პროცედურული ნაწილიც დაირღვა.⁷⁷ სასამართლომ მოსარჩელეს მიაკუთვნა კომპენსაცია 35 000 ევროს ოდენობით.

3.2.2. *A და B საქართველოს წინააღმდეგ (A and B v. Georgia)*

2022 წლის 10 თებერვალს ECtHR-მა გადაწყვეტილება მიიღო საქმეზე *A და B საქართველოს წინააღმდეგ (A and B v. Georgia)*. მოკლული C-ს დედა (A) და ვაჟი (B), ECHR-ის მე-2 და მე-14 მუხლების შესაბამისად, დავობდნენ, რომ სახელმწიფომ C ყოფილი მეუღლის (D-ს) ძალადობისგან ვერ დაიცვა და საქმე ეფექტიანად არ გამოიძია.⁷⁸ 2011 წელს 22 წლის პოლიციელმა D-მ 17 წლის C ქორწინების მიზნით გაიტაცა. დაშინებულმა C-მ D-სთან თანაცხოვრება დაიწყო.⁷⁹

2011 წლის დეკემბრიდან D სიტყვიერად, ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად ძალადობდა C-სა და მის ოჯახზე. ის ბოროტად იყენებდა თავის სამსახურებრივ მდგომარეობას და არა მხოლოდ აღნიშნავდა, რომ სამართალდამცავი ორგანოების არ ეშინოდა, არამედ, დაშინების მიზნით, მინიმუმ შვიდჯერ მოახდინა სამსახურებრივ-სამტატო ცეცხლსასროლი იარაღის დემონსტრირება. ამასთანავე, ის C-სა და მის მშობლებს მოკვლით ემუქრებოდა, ხოლო C-ს მამასა და ძმას უსაფუძვლო სისხლისსამართლებრივი დევნით. ზეწოლის მიუხედავად, დაზარალებულებმა არაერთხელ მიმართეს პოლიციასა და გენერალურ ინსპექციას, თუმცა მათ შემაკავებელი ღონისძიებები არ განუხორციელებიათ.⁸⁰

2014 წლის 20 ივლისს D უფროსი ლეიტენანტის პოზიციაზე დააწინაურეს. 25 ივლისს გენერალური ინსპექციის წარმომადგენელმა C გამოკითხვაზე დაიბარა. ინსპექციიდან გამოსულ C-ს D აედევნა და პარკში სამსახურებრივ-სამტატო ცეცხლსასროლი იარაღიდან ხუთჯერ ესროლა. C ადგილზევე გარდაიცვალა.⁸¹ 2015 წლის 17 აპრილს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ D დამნაშავედ ცნო და 11 წლით აღუკვეთა თავისუფლება. მოსამართლეს გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობა დანაშაულის მოტივად ან დამამძიმებელ გარემოებად არ განუხილავს.⁸²

მოსარჩელებმა პოლიციელებისა და პროკურორების უმოქმედობის გამოძიება მოითხოვეს, თუმცა, 2016 წლის მარტის მონაცემებით, რაიონულ პროკურორს A-სთვის დაზარალებულის სტატუსიც კი არ ჰქონდა მინიჭებული. ხაზგასასმელია, რომ, 2015 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ სამართალდამცავების უმოქმედობასა და C-ს მკვლელობას შორის მიზეზობრივი კავშირი დაადგინა და მოსარჩელეს 20 000 ლარის ოდენობით კომპენსაცია განუხაზღვრა.⁸³ ევროპულმა სასამართლომ დადებითად შეაფასა ეროვ-

77 იქვე, 57-ე, მე-60 პუნქტები.

78 *A და B საქართველოს წინააღმდეგ (A and B v. Georgia)*, 2022 წლის 10 თებერვალი, 1-ელი პუნქტი.

79 იქვე, მე-6 პუნქტი.

80 იქვე, მე-8, მე-14 პუნქტები.

81 იქვე, მე-15-მე-17 პუნქტები.

82 იქვე, მე-19 პუნქტი.

83 იქვე, მე-20-25-ე, 27-ე-28-ე პუნქტები.

ნული სასამართლოს გადაწყვეტილება სამართალდამცავების უმოქმედობასთან დაკავშირებით, თუმცა ხაზი გაუსვა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს არ გამოუკვლევიან, უფლებამოსილი პირების გულგრილობა გენდერული შეუწყნარებლობით ხომ არ იყო განპირობებული.⁸⁴

ECtHR-მა შემაშვოთებლად მიიჩნია, რომ სამართალდამცავებმა არა მხოლოდ C-ს საჩივრები უგულვებელყვეს, არამედ D დაანინაურეს კიდეც. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ნევრმა სახელმწიფოებმა პოლიციელების მიერ ჩადენილ სერიოზულ დანაშაულებზე განსაკუთრებული გულმოდგინებით უნდა მოახდინონ რეაგირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი ნდობა და მიმართვიანობა შემცირდება, ხოლო, მეორე მხრივ, სამართალდამცავ სისტემაში თანამდებობრივი დაუსჯელობის სინდრომი დამკვიდრდება.⁸⁵ ECtHR-მა, *თხელიძის საქმის* ანალოგიურად, დაასკვნა, რომ პოლიციელების დისკრიმინაციული უმოქმედობა ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის წამახალი-სებელ კლიმატს ქმნის. შესაბამისად, სასამართლომ ECHR-ის მე-14 მუხლთან ერთობლიობაში მე-2 მუხლის არსებითი და პროცედურული ნაწილების დარღვევები დაადგინა და მოსარჩელეებს 35 000 ევროს ოდენობით კომპენსაცია მიაკუთვნა.⁸⁶

3.2.3. გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ (*Gaidukevich v. Georgia*)

2023 წლის 15 ივნისს ECtHR-მა გადაწყვეტილება მიიღო საქმეზე – გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ (*Gaidukevich v. Georgia*). გარდაცვლილი A.L.-ის დედა დავობდა, რომ სახელმწიფომ ვერც მისი ქალიშვილის ოჯახში ძალადობისგან დაცვა შეძლო და ვერც ეფექტიანი გამოძიება უზრუნველყო. სამართალდამცავების უმოქმედობამ, მოსარჩელის აზრით, ევროპული კონვენციის მე-2, მე-3 და მე-14 მუხლები დაარღვია.⁸⁷

A.L. 2012 წლიდან არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა G.K.-სთან. 2016 წელს A.L. ვაჟთან ერთად ნათლიასთან გადავიდა საცხოვრებლად, თუმცა G.K.-სთან კონტაქტი არ გაუწყვეტია და შვილის ნახვის უფლებასაც აძლევდა.⁸⁸ A.L.-მ მინიმუმ თექვსმეტჯერ მიმართა პოლიციას G.K.-ის ძალადობაზე რეაგირების თხოვნით. სამართალდამცავებმა სამი შემთხვევითი ორდერი გამოსცეს, მაგრამ G.K.-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა სწრაფად შეწყვიტეს.⁸⁹ 2017 წლის 19 თებერვალს A.L. G.K.-ის ბინაში ჩამომხრჩვალა იპოვეს.⁹⁰

თბილისის საქალაქო სასამართლომ, სსკ-ის 115-ე მუხლზე დაყრდნობით, G.K. A.L.-ის თვითმკვლელობამდე მიყვანაში ცნო დამნაშავედ. დამამძიმებელ გარემოე-

84 იქვე, 45-ე პუნქტი.

85 იქვე, 48-ე პუნქტი.

86 იქვე, 46-ე, 49-ე, 53-ე პუნქტები.

87 გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ (*Gaidukevich v. Georgia*), 2023 წლის 15 ივნისი, 1-ელი პუნქტი.

88 იქვე, მე-5 პუნქტი.

89 იქვე, 39-ე პუნქტი.

90 იქვე, 22-ე პუნქტი.

ბაში ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელის სახედ სამი წლით თავისუფლების აღკვეთა განისაზღვრა. 2019 წლის 9 ივლისს უზენაესმა სასამართლომ, სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, G.K.-ის ქმედება ოჯახში ძალადობად გადააკვალიფიცირა, რამაც სასჯელის შემცირება გამოიწვია. G.K. სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.⁹¹

პოლიციის სამსახურებრივ გულგრილობასთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიება, ECtHR-ის მიერ სარჩელის განხილვის დროს, დასრულებული არ იყო.⁹² მიუხედავად ამისა, 2019 წლის 2 მაისის გადაწყვეტილებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ სამართალდამცავების უმოქმედობასა და A.L.-ის გარდაცვალებას შორის მიზეზობრივი კავშირი დაადგინა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ კომპენსაციის ოდენობა 50 000 ლარამდე გაზარდა და მიიჩნია, რომ გაიდუკევირის ქალიშვილთან მიმართებით არა მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს, არამედ პროკურატურის წარმომადგენლებმაც გულგრილობა გამოიჩინეს.⁹³

ევროპულმა სასამართლომ, *კურტის საქმით* დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, განმარტა, რომ ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის კონტექსტში სახელმწიფო ვალდებულია: ა) დაუყოვნებლივ მოახდინოს ბრალდებებზე რეაგირება; ბ) ავტონომიური, პროაქტიური და ყოვლისმომცველი „სასიკვდილო საფრთხის შეფასების“ საფუძველზე, დააზუსტოს, ემუქრებათ თუ არა ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირებულ მსხვერპლებს რეალური და უშუალო საფრთხე; გ) ამგვარი საფრთხის არსებობის შემთხვევაში, რისკის პრევენციის მიზნით, განახორციელოს პროპორციული ოპერატიული, პრევენციული და დამცავი ღონისძიებები.⁹⁴

გაიდუკევირის საქმის ფარგლებში, ECHR-ის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ, ერთი მხრივ, სამართალდამცავების უმოქმედობის არაეფექტიან გამოძიებაზე იმსჯელა, მეორე მხრივ კი, G.K.-ის ქმედებების არაადეკვატურ სისხლისსამართლებრივ დევნაზე. ECtHR-მა დადებითად შეაფასა ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები პოლიციელების გულგრილობასთან დაკავშირებით, თუმცა დაასკვნა, რომ შესაბამისმა საგამოძიებო ორგანოებმა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით განმტკიცებული ვალდებულებები უგულვებელყვეს.⁹⁵ სასამართლომ ასევე პრობლემურად მიიჩნია, რომ, A.L.-ის ცხედარზე იდენტიფიცირებული დაზიანებების მიუხედავად, სამართალდამცავებს გენდერული შეუწყნარებლობით მოტივირებული მკვლელობის ვერსია არ განუხილავთ. იმის გათვალისწინებით, რომ უზენაესმა სასამართლომ G.K. ოჯახში ძალადობის მხოლოდ ერთი ეპიზოდისთვის გაასამართლა, დანარჩენი ინციდენტები კი შეუსაბამოდ მიიჩნია, ECtHR-მა განმარტა, რომ ოჯახში ძალადობა ძირითადად განგრძობადი დანაშაულია, რომელიც ძალადობის სხვა-

91 იქვე, 29-ე-30-ე პუნქტები.

92 იქვე, 36-ე პუნქტი.

93 იქვე, 37-ე-39-ე პუნქტები.

94 იქვე, 57-ე პუნქტი.

95 იქვე, მე-60, 64-ე პუნქტები.

დასხვა ფორმის ურთიერთდაკავშირებულ გამოვლინებებს აერთიანებს.⁹⁶

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის არსებითი ნაწილის დარღვევებზე მსჯელობისას სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ, შემაკავებელი ორდერების გამოცემის მიუხედავად, სამართალდამცავებს საფრთხეები პროაქტიურად არ შეუფასებიათ. ECtHR-მა ასევე აღნიშნა, რომ, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა განსაკუთრებული მოწყვლადობის გათვალისწინებით, საკანონმდებლო ჩარჩომ ხელისუფლება, საჯარო ინტერესზე დაყრდნობით, ოჯახში ძალადობის შემთხვევების საკუთარი ინიციატივით, *ex officio* გამოიძიების უფლებამოსილებით უნდა აღჭურვოს.⁹⁷ შესაბამისად, სასამართლომ ევროპული კონვენციის მე-14 მუხლთან ერთობლიობაში მე-2 მუხლის არსებითი და პროცედურული ნაწილების დარღვევები დაადგინა. ECtHR-მა მოსარჩელეს არამატერიალური ზიანისთვის 35 000 ევროს ოდენობით კომპენსაცია მიაკუთვნა, სასამართლოს ხარჯების ასანაზღაურებლად კი 12 600 ევრო.⁹⁸

3.2.4. ოღლიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (*Oghlishvili v. Georgia*)

2024 წლის 4 ივლისს ECtHR-მა გადაწყვეტილება მიიღო საქმეზე – ოღლიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (*Oghlishvili v. Georgia*). მოსარჩელე, ევროპული კონვენციის მე-2, მე-3 და მე-13 მუხლებზე დაყრდნობით, დავობდა, რომ სახელმწიფომ მისი ქალიშვილის ოჯახში ძალადობისგან დაცვისა და ეფექტიანი გამოძიების ჩატარების ვალდებულებები დაარღვია.⁹⁹ მოსარჩელის ქალიშვილი E.N. დაქორწინდა R.G.-ზე და მეუღლესთან, დედამთილსა (T.G.) და შვილთან ერთად ცხოვრობდა. T.G. რძალს R.G.-ის ღალატში ადანაშაულებდა. 2017 წლის 12 ოქტომბერს E.N.-მ პოლიცია გამოიძახა და აცნობა, რომ დედამთილმა მასზე ფიზიკურად იძალადა. T.G. ბრალდებებს უარყოფდა, მაგრამ სამედიცინო შემოწმებით დადგინდა, რომ E.N.-ს მარცხენა მხარზე მცირე სისხლჩაქცევა ჰქონდა.¹⁰⁰

2017 წლის 18 ოქტომბერს E.N. მაზლმა, G.G.-მ, მარანში ჩამომხრჩვალ იპოვა. ცხედარი წელს ქვემოთ შიშველი იყო და სხეულზე სისხლჩაქცევები აღენიშნებოდა. მოწმეებმა გამოკითხვისას ხაზი გაუსვეს E.N.-ის თვითმკვლელობისკენ მიდრეკილებას და 2017 წლის აგვისტოში განხორციელებულ წარუმატებელ მცდელობას. 2017 წლის 21 ოქტომბერს E.N.-ის დაკრძალვაზე მისმა მაზლმა თავის ჩამოხრჩობა სცადა, თუმცა ის მეზობლებმა გადაარჩინეს. ინციდენტის შემდეგ R.G.-მ ძმა E.N.-ს გაუპატიურებასა და მოკვლაში დაადანაშაულა. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, გარდაცვლილს სხეულზე ან ორგანიზმში სპერმის კვალი

⁹⁶ იქვე, 66-ე-68-ე პუნქტები.

⁹⁷ იქვე, 71-ე-72-ე პუნქტები.

⁹⁸ იქვე, 69-ე, 75-ე, 77-ე, 83-ე პუნქტები.

⁹⁹ ოღლიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (*Oghlishvili v. Georgia*), 2024 წლის 4 ივლისი, 1-ელი პუნქტი.

¹⁰⁰ იქვე, მე-5-მე-11 პუნქტები.

არ აღენიშნებოდა.¹⁰¹ 2022 წლის აპრილის მონაცემებით, E.N.-ის გარდაცვალების საქმის გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით გრძელდებოდა, რომლის ხანდაზმულობის ვადაც ექვსწლიანია.¹⁰²

ვინაიდან შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებები ამონურული არ იყო, ECtHR-მა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის არსებით ნაწილთან მიმართებით სარჩელი დაუშვებლად ცნო,¹⁰³ ECHR-ის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევაზე მსჯელობისას კი ხაზი გაუსვა ოჯახში ძალადობის შემთხვევების სწრაფად, საფუძვლიანად და განსაკუთრებული გულმოდგინებით გამოძიების აუცილებლობას.¹⁰⁴ ECtHR-მა თავი შეიკავა E.N.-ის გარდაცვალების მიზეზებთან დაკავშირებით სპეკულირებისგან, მაგრამ დაასკვნა, რომ სახელმწიფოს სრულად უნდა გამოეძიებინა ისეთი საკვანძო საკითხები, როგორებიცაა: გარდაცვალებამდე E.N.-ის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობა და G.G.-ის თვითმკვლელობის მცდელობა. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ვინაიდან გამოძიება უკვე ექვსი წელია მიმდინარეობდა, ხანდაზმულობის ვადის ამონურვამ საქმეს წარმატებით გახსნის გონივრული პერსპექტივა დაუკარგა.¹⁰⁵ შესაბამისად, ECtHR-მა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევა დაადგინა და მოსარჩელეს 12 000 ევროს ოდენობით კომპენსაცია მიაკუთვნა.¹⁰⁶

3.2.5. ECtHR-ის გადაწყვეტილებების აღსრულება

მიუხედავად იმისა, რომ სამართლის უზენაესობაზე დაფუძნებულ სისტემაში ეროვნული თუ საერთაშორისო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების გარეშე, სამართლიანი სასამართლოს უფლება მოჩვენებითი იქნებოდა,¹⁰⁷ საქართველო, 2025 წლის აგვისტოს მონაცემებით, ECtHR-ის გადაწყვეტილებების აღსრულების სტატისტიკით ბოლო ხუთეულშია.¹⁰⁸ იუსტიციის სამინისტროს ანგარიშის მიხედვით, *თხელიძის ჯგუფის საქმეების* აღსრულების მიზნით, სახელმწიფომ მოსარჩელებს დადგენილ ვადებში გადაუხადა კომპენსაცია¹⁰⁹ და კონკრეტული საპროცესო/საგამოძიებო მოქმედებები განახორციელა.¹¹⁰

101 იქვე, მე-12-23-ე პუნქტები.

102 იქვე, 33-ე, 37-ე პუნქტები.

103 იქვე, 42-ე პუნქტი.

104 იქვე, 47-ე პუნქტი.

105 იქვე, 49-ე-50-ე პუნქტები.

106 იქვე, 52-ე-53-ე, მე-60 პუნქტები.

107 ნ. ნიკოლაიშვილი, ევროპული სასამართლოსა და გაეროს ორგანოების გადაწყვეტილებების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, ადამიანის უფლებათა დაცვა: ევროპული გამოცდილება და ეროვნული გამოწვევები, კ. კორკელია (რედ.), თბ., 2023, 311.

108 Council of Europe Department for the Execution of Judgments of the European Court of Human Rights, Country Factsheet: Georgia, [http://bit.ly/4fRA2tX].

109 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2024 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), თბ., 2025, 83, 86, 89, 91.

110 იქვე, 83-91.

ანგარიშის წარდგენის დროისათვის, *თხელიძისა და A და B-ის საქმეებზე* გამოძიება აქტიურ რეჟიმში გრძელდებოდა, გაიდუკევიჩის საქმის გამოსაძიებლად სამოქმედო გეგმის შემუშავება მიმდინარეობდა, ხოლო ოლლიშვილის საქმე გენერალური პროკურატურის სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში იყო გადაგზავნილი.¹¹¹ ზემოთ გაანალიზებული საქმეების აღსრულებაზე მსჯელობისას იუსტიციის სამინისტრომ შეაჯამა ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ზოგადი ღონისძიებები, მათ შორის, სპეციალიზებული პროკურორების გადამზადების კურსები, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიები, ძალადობის განმეორების საფრთხის შეფასების ინსტრუმენტის განახლება და სხვ.¹¹²

სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიშის მიხედვით, იუსტიციის სამინისტროს ანგარიში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ბოლო გადაწყვეტილებით გამოკვეთილ კონკრეტულ პრიორიტეტებს უგულებელყოფს. მაგალითად, სახალხო დამცველმა პრობლემურად მიიჩნია, რომ სამინისტროს ანგარიში მხოლოდ გამოყენებული შემთხვევები და დამცავი ორდერების სტატისტიკას აანალიზებს, ხოლო მათი პირობების დაცვის პრაქტიკის შესახებ ინფორმაციას არ მოიცავს.¹¹³ ამასთანავე, იუსტიციის სამინისტროს ანგარიში დუმს როგორც სასამართლო განხილვების ხანგრძლივობასა და ბრალდებულთა მიმართ გამოყენებული სასჯელების შემთხვევებზე ეფექტზე, ისე გენდერული ძალადობის შემთხვევებზე არასათანადო რეაგირების გამო სამართალდამცავთა მიმართ გატარებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით.¹¹⁴

3.3. საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული რეკომენდაციები

ზემოთ განხილული გამოწვევების ეფექტიანად აღმოფხვრის, საქართველოს კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პრაქტიკის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, შეიძლება რამდენიმე რეკომენდაცია ჩამოყალიბდეს:

ა) ECtHR ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის საკანონმდებლო ჩარჩოს დამაკმაყოფილებლად მიიჩნევდა, თუმცა CEDAW-სა და სტამბოლის კონვენციასთან მისი მაქსიმალური ჰარმონიზებისთვის პრიორიტეტულია CEDAW კომიტეტისა და GREVIO-ს რეკომენდაციების შესრულება. მნიშვნელოვანია, გენდერული და სქესის ნიშნით დისკრიმინაცია სათანადოდ გაიმიჯნოს, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა *ex officio* დანაშაულებად დაკვალიფიცირდეს, დამცავი და შემთხვევები ორდერების სქემა რეფორმირდეს და გრძელვადიანი ან მუდმივი დამცავი ორდერების კონცეფცია დაინერგოს, გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის

111 იქვე, 86, 88, 90-91.

112 იქვე, 92-99.

113 სახალხო დამცველი, ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის ანგარიშზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაეროს კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ, თბ., 2025, 17.

114 იქვე, 18.

შემადგენლობები სტამბოლის კონვენციის შესაბამისად ჩამოყალიბდეს, ხოლო ფემიციდი სისხლის სამართლის კოდექსის დამოუკიდებელი მუხლის ფარგლებში სიღრმისეულად მონესრიგდეს.¹¹⁵

ბ) GREVIO-მ დადებითად შეაფასა საქართველოს ხელისუფლების მიერ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და გენდერული თანასწორობის დამკვიდრების ხელშეწყობი ინსტიტუციური და პოლიტიკური ჩარჩოს შემუშავებისკენ გადადგმული ნაბიჯები.¹¹⁶ მიუხედავად ამისა, 2025 წლის გლობალური გენდერული უთანასწორობის ინდექსის მიხედვით, საქართველო 148 ქვეყანას შორის 63-ე ადგილს იკავებს და მოლდოვას, სომხეთსა და უკრაინას ჩამორჩება.¹¹⁷ შესაბამისად, გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთათვის კომპლექსური მხარდაჭერის უზრუნველყოფის პოლიტიკის ფარგლებში, რეკომენდებულია როგორც დაზარალებულთა სპეციფიკური მხარდაჭერი პროგრამების, ისე სერვისებისა და რესურსების შესახებ ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობისა და გეოგრაფიული არეალის გაზრდა.¹¹⁸ ამასთანავე, პოლიტიკის შემუშავებისა თუ შეფასების პროცესში განსაკუთრებით მოწვევადი ქალების ინტერესების სათანადოდ გასაანალიზებლად პრიორიტეტულია ხელისუფლების მჭიდრო თანამშრომლობა მათ უფლებადამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.¹¹⁹ აქედან გამომდინარე, გენდერული პოლიტიკის დინამიკური და პროგრესული განვითარებისთვის აუცილებელია, საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების სამუშაო გარემო დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციურ პრინციპებსა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებულ სტანდარტებს შეესაბამებოდეს.¹²⁰

გ) პრაქტიკული თვალსაზრისით, რეკომენდებულია მოძალადეებისთვის განკუთვნილი პროგრამების პერსპექტიულობის ამაღლება მათი მოკლე და გრძელვადიანი გავლენის შეფასებისა და იმ სამსახურებთან მჭიდრო კოორდინაციის საფუძველზე, რომლებიც მსხვერპლთათვის სპეციალიზებულ მხარდაჭერაზე არიან

115 საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო, გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები (განახლებული გამოცემა, ნაწილი I), თბ., 2022, 16-18; საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო, გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები (I ნაწილი), თბ., 2018, 9.

116 GREVIO, საბაზისო შეფასების ანგარიში: საქართველო, 2022 წლის 13 ოქტომბერი, GREVIO/Inf(2022)28, მე-17 პუნქტი.

117 World Economic Forum, Global Gender Gap Report 2025, Geneva, 2025, 13.

118 გაეროს ქალთა ორგანიზაცია, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის“ მონიტორინგის ანგარიში, თბ., 2024, 45.

119 GREVIO, საბაზისო შეფასების ანგარიში: საქართველო, 2022 წლის 13 ოქტომბერი, GREVIO/Inf(2022)28, 25(დ).

120 თ. ონიანი, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული კლიმატის სამართალწარმოება ევროპულ სასამართლოში: მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრა, ადამიანის უფლებათა დაცვა: საერთაშორისო და ეროვნული ინსტიტუტები, კ. კორკელია (რედ.), თბ., 2024, 170-ე პუნქტი.

პასუხისმგებელი.¹²¹ ამასთანავე, სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველსაყოფად პრიორიტეტულია მოსამართლეთა გადამზადება, რათა სტამბოლის კონვენციის 46-ე მუხლით გამყარებული ყველა დამამძიმებელი გარემოება არა მხოლოდ თეორიულად იყოს ასახული ეროვნულ კანონმდებლობაში, არამედ პრაქტიკულადაც გამოიყენებოდეს სამართალშეფარდების პროცესში.¹²²

4. დასკვნა

სტატიის ფარგლებში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღსაკვეთად წინგადადგმული ნაბიჯები გამოიკვეთა, თუმცა CEDAW კომიტეტისა და GREVIO-ს რეკომენდაციები მოქმედი კანონმდებლობისა და პოლიტიკის საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების აუცილებლობას ცხადყოფს. ერთი მხრივ, ტექნოლოგიური პროგრესის კვალდაკვალ საკანონმდებლო ჩარჩოს რეფორმირებისას პრიორიტეტულია როგორც ფიზიკურ, ისე ციფრულ სივრცეში განხორციელებული ძალადობის შემადგენლობების დახვეწა; მეორე მხრივ, საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტისა თუ პოლიტიკის შემუშავებისას მნიშვნელოვანია ინტერსექციური მიდგომებით ხელმძღვანელობა, ინკლუზიური და მონაწილეობითი პრინციპების დაცვა და შემოთავაზებული ცვლილებების გენდერული ზეგავლენის გაანალიზება.

CEDAW კომიტეტისა და ECtHR-ის პრაქტიკის შედარებითი ანალიზით დასტურდება, რომ ხელისუფლების დისკრიმინაციული უმოქმედობა ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის საფრთხეებს ზრდის. ამასთანავე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე დაბალი მიმართვიანობა და მსხვერპლების განსაკუთრებული მოწყვლადობა ამგვარი შემთხვევების *ex officio* განსაკუთრებული გულმოდგინებით გამოძიების სასიცოცხლო მნიშვნელობას უსვამს ხაზს. CEDAW კომიტეტისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სათანადოდ გადამზადებულ სამართალშემფარდებლებს, სისხლისსამართლებრივი სანქციების შემაკავებელი ეფექტისა და დანაშაულის სიმძიმესთან შესაბამისობის უზრუნველყოფით, განსაკუთრებული წვლილის შეტანა შეუძლიათ გენდერული ნიშნით ძალადობასთან ბრძოლაში.

საქართველოში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ეპიდემიური მასშტაბების გათვალისწინებით, ამჟამად კონსტიტუციის მე-11 მუხლი ტრანსფორმაციული თანასწორობის დამკვიდრებას ვერ უზრუნველყოფს. შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია, უწყებათაშორისი კოორდინაციის საფუძველზე, სტატუს კვო შეცვალოს და დე ფაქტო თანასწორობის დამყარებას შეუწყოს ხელი, რათა გოგონებსა და ქალებს კომმარული საფრთხეებისგან თავდაცვის ნაცვლად, დასახული მიზნების მიღწევაზე კონცენტრირების შესაძლებლობა მიეცეთ.

121 GREVIO, საბაზისო შეფასების ანგარიში: საქართველო, 2022 წლის 13 ოქტომბერი, GREVIO/Inf(2022)28, 126-ე პუნქტი.

122 იქვე, 297-ე პუნქტი.

მომხმარებლის უფლებების დაცვის სტანდარტები და პრაქტიკა – ევროპული და ქართული გამოცდილება

მაკა კარტოზია
სანდრო ალაფიშვილი

1. შესავალი

მენარმესა და ფიზიკურ პირს შორის პროდუქტის შეძენასთან დაკავშირებით წარმოშობილი ურთიერთობების ნაწილი კერძო სამართლით არის მოწესრიგებული – განსაზღვრულია როგორც მხარეთა უფლება-მოვალეობები, ისე სტანდარტული პირობები, რომელთა მიზანი არის ფიზიკურ პირთა დაცვა მენარმეთა კანონსა-წინააღმდეგო ქმედებებისა თუ გავლენებისაგან. მხარეთა შესაძლებლობებისა და უფლებრივი მდგომარეობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მენარმესა და ფიზიკურ პირს, მომხმარებელს შორის ურთიერთობის მხოლოდ კერძო სამართლის რეგულაციის სფეროში დატოვება გაუმართლებელია და ეს ურთიერთობა ექვემდებარება საჯაროსამართლებრივ რეგულირებასაც.

საქართველოში მომხმარებლის უფლება კონსტიტუციურ რანგში არის აყვანილი და 1995 წლიდან ასახულია საქართველოს კონსტიტუციაში.¹ საქართველოს კონსტიტუცია მომხმარებლის უფლების დაცვას კანონით სახელმწიფოს ვალდებულებად განსაზღვრავს. ამის გათვალისწინებით კი, უმაღლესი კანონმდებელი – საქართველოს პარლამენტი მომხმარებლის უფლების დაცვას უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, კერძოსამართლებრივი კანონით, სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებით, ხოლო, მეორე მხრივ, სპეციალური, საჯაროსამართლებრივი კანონებით: „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, „კონკურენციის შესახებ“, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით“, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ და „დაზღვევის შესახებ“. მომხმარებლისა და მენარმის ურთიერთობები, სასამართლო კონტროლის გარდა, სპეციალური რეგულატორის ზედამხედველობასაც ექვემდებარება.

სამომხმარებლო სამართალი რეგულირების ქვეშ აქცევს არა მხოლოდ უშუალოდ მომხმარებლისა და მოვაჭრის სახელშეკრულებო ურთიერთობას, არამედ მათ შორის წინასახელშეკრულებო ეტაპსაც, როდესაც მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის გარიგება არ წარმოშობილა.²

1 საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24.08.1995 წ.
2 F. Patti, 'Fraud' and 'Misleading Commercial Practices': Modernising the Law of Defects in Consent. European Review of Contract Law. 2016. Bocconi Legal Studies Research Paper. 307, <https://ssrn.com/abstract=3201838> [14.08.2025].

საქართველოს კონსტიტუციის (შემდგომში – კონსტიტუცია) თანახმად, მომხმარებლის უფლება დაცულია კანონით. კონსტიტუციის აღნიშნული ჩანაწერით, მომხმარებლის უფლება აყვანილია ადამიანის ფუნდამენტური უფლებების რანგში.

წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება, არის თუ არა მომხმარებლის უფლება ადამიანის ძირითადი უფლება, როგორია სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება მისი დაცვის კუთხით, არის თუ არა აუცილებელი სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკის არარეგულირებად სფეროებში დადებულ სამომხმარებლო გარიგებებში, რამდენად არის შესაბამისობაში საქართველოს კანონი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ ევროპულ დირექტივებთან, ასევე, განიხილება უსამართლო კომერციული საქმიანობის რეგულირება, როგორც მომხმარებლის უფლებების დარღვევის შემთხვევა.

2. მომხმარებლის უფლება, როგორც ადამიანის ძირითადი უფლება

არის კი მომხმარებლის უფლება იმ მნიშვნელობის, რომ ის ადამიანის ფუნდამენტურ უფლებად იქნეს მიჩნეული? ამ კითხვაზე პასუხის გაცემამდე მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებების არსის განსაზღვრა. ადამიანის ძირითად უფლებებს ბუნებით უფლებებად მოიხსენიებენ და მიიჩნევა, რომ ის ადამიანის თანდაყოლილი უფლებებია.³ მათ აგრეთვე მორალურ საწყისებსაც უკავშირებენ.⁴ ადამიანს ფუნდამენტურ უფლებებს არ ანიჭებს სახელმწიფო, ეს უფლებები დაბადებიდან (ზოგ შემთხვევაში დაბადებამდეც) აქვს. ამის გამოხატულებაა კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება, რომლის მიხედვით, სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს.⁵ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველი მუხლის პირველი წინადადების მიხედვით, ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი ღირსებითა და უფლებებით.⁶ საერთაშორისო სამართალსა თუ ქართულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით შეიძლება ადამიანის უფლებათა ზოგადი მახასიათებლის ჩამოყალიბება, რომელიც ნებისმიერი განმარტების შემთხვევაში საერთოა: ადამიანის ძირითადი უფლებები არის ის უფლებები, რომლებიც მას დაბადებიდან (ზოგ შემთხვევაში დაბადებამდეც) აქვს და წარუვალა. ის უდგენს სახელმწიფოებს ვალდებულებას, პატივი სცენ მათ და თავი შეიკავონ მათი შელახვისაგან.⁷ ადამიანის ძირითადი

3 ბ. ლოლაძე, ა. ფირცხალაშვილი, ძირითადი უფლებები, კომენტარი, თბ., 2023, 1.

4 I. Benöhr, EU Consumer Law and Human Rights, Oxf., 2013, 48.

5 საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24.08.1995 წ.

6 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 1948.

7 იხ. მაგ.: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 1950, პრეამბულა; ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948, პრეამბულა; საქართველოს კონსტიტუცია, 1995, პრეამბულა.

უფლებები, ერთი მხრივ, აღჭურავს ინდივიდებს, ხოლო, მეორე მხრივ, ავალდებულებს სახელმწიფოს, იმოქმედონ ამ უფლებების გათვალისწინებით – უდგენს სახელმძღვანელო იდეას.⁸

ადამიანის ძირითადი უფლებები ეროვნულ დონეზე, როგორც წესი, ქვეყნების კონსტიტუციით არის დაცული, რაც, ერთი მხრივ, მიაწინებს მათ მნიშვნელობაზე, და, მეორე მხრივ, გამოხატავს სახელმწიფოს ნებას, რა ღირებულებებზე დაყრდნობით იმართება ის და რა არის მისი არსებობის იდეური საწყისები.⁹ ამდენად, მართალია, პირს სხვადასხვა უფლება შეიძლება მიენიჭოს სხვადასხვა სამართლებრივ ვითარებაში, თუმცა ყოველი მათგანი ძირითადი უფლების რანგის არ არის, არამედ მასში მოიაზრება მხოლოდ ის უფლებები, რომლებიც ყველა სხვა უფლების საწყისი ფუნდამენტია.

ზემოაღნიშნული აჩენს კითხვას, თუ რამდენად არის მომხმარებლის უფლება კონსტიტუციური მნიშვნელობის და არის თუ არა გონივრული, რომ სახელმწიფომ თავის სახელმძღვანელო იდეათაგან ერთ-ერთად მომხმარებლის უფლებების დაცვა, როგორც ფუნდამენტური მიზანი, დაისახოს. ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი არ არსებობს. თავისი არსით ნებისმიერი კერძოსამართლებრივი გარიგება ექცევა საკუთრების უფლებისა და მენარმეობის თავისუფლების რეგულირების სფეროში. უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის ჩანაწერი მომხმარებლის უფლებას დამოუკიდებელ უფლებად არ გამოყოფს, არამედ ის შრომის თავისუფლების, პროფესიული კავშირების თავისუფლების, გაფიცვის უფლებისა და მენარმეობის თავისუფლების განმატკიცებელი ნორმის ნაწილია.¹⁰

კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 წინადადება რამდენიმე პრინციპს განამტკიცებს: მენარმეობის თავისუფლებას; მონოპოლიური საქმიანობის აკრძალვას; მომხმარებლის უფლებების დაცვის გარანტიას. ეს არ არის შემთხვევითი. მენარმეობის თავისუფლება, სიტყვასიტყვითი განმარტებით, მოიაზრებს იდეას, რომ სახელმწიფო არ ერევა პირის უფლებაში, ეწეოდეს მენარმეობას. კონსტიტუციური ჩანაწერის მე-2 და მე-3 წინადადებები უნდა იქნეს მიჩნეული მენარმეობის თავისუფლებაში სახელმწიფოს ჩარევის ძირითად საფუძვლად. საგულისხმოა, რომ მე-3 წინადადება (მომხმარებლის უფლებების დაცვა) არის ზღვარი მენარმეობის თავისუფლებისთვის, თუმცა, იმავდროულად, არის უფლების აღიარება, მენარმე სუბიექტის თავისუფლება იზღუდება ბაზრის სხვა მონაწილის – მომხმარებლის უფლების აღიარებით. ამასთან, სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, მომხმარებლის უფლება დაიცვას კანონით.

მომხმარებლის უფლებები სხვადასხვა საფუძვლით არის მიჩნეული ადამიანის ძირითად უფლებად. დოქტრინაში გამოიყო ადამიანის ძირითადი უფლებების

8 ბ. ლოლაძე, ა. ფირცხალაშვილი, ძირითადი უფლებები, კომენტარი, თბ., 2023, 3.

9 იქვე.

10 საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24.08.1995 წ.

ის მახასიათებლები, რომლებიც მას ძირითადი უფლების ბუნებას ანიჭებს. ესენია: უფლება უნდა შეეხებოდეს ყველას და არა მხოლოდ პირთა განსაზღვრულ ჯგუფს; ადამიანის უფლებები გამოხატავს ინდივიდის, როგორც პირველადი მნიშვნელობის მქონე სუბიექტის აღიარებას, რაც გულისხმობს მისი კეთილდღეობის, ღირსებისა და განვითარების უზრუნველყოფას; ინდივიდის უფლება მიმართულია მმართველობის წინააღმდეგ, რომელიც ინდივიდთან მიმართებით, მისი შესაძლებლობების გათვალისწინებით, უფრო „ძლიერია“. ¹¹ მომხმარებლის უფლებები ამ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს იმ განსხვავებით, რომ ძირითად შემთხვევაში ის არა სახელმწიფოს, არამედ კერძო სამართლის სუბიექტის წინააღმდეგ არის მიმართული (თუმცა თავის მხრივ სახელმწიფოც შეიძლება გამოვიდეს სამომხმარებლო ურთიერთობის გარიგების მხარე). ¹² ამ უკანასკნელზე მსჯელობა მეტად მნიშვნელოვანია, რათა უკეთ წარმოჩნდეს მომხმარებლის უფლებათა კონსტიტუციური ბუნების არსებობა.

სამომხმარებლო სამართალი იცნობს ორ სუბიექტს – მომხმარებელსა და მოვაჭრეს. მათ გარეშე შეუძლებელია სამომხმარებლო გარიგების განხილვა. „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ი“ პუნქტის მიხედვით, მომხმარებელი არის ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელსაც სთავაზობენ ან რომელიც იძენს, ან შემდგომ იყენებს საქონელს ან მომსახურებას, უპირატესად, პირადი მოხმარების მიზნით და არა სავაჭრო, სამეწარმეო, სახელობო ან სხვა პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად. იმავე კანონის მიხედვით, მოვაჭრე არის ნებისმიერი ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან პირთა გაერთიანება, რომელიც მოქმედებს კომერციული საქმიანობის ფარგლებში, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც მოქმედებს მოვაჭრის სახელით ან დავალებით. ¹³ ამდენად, ერთი მხრივ, გარიგების მხარე არის პირი, რომელიც, შემოსავლის მიღების მიზნით, არაერთჯერად საქმიანობას ახორციელებს და, მეორე მხრივ, არის მომხმარებელი, რომელიც პირადი გამოყენებისთვის შეიძენს საქონელს ან/და მომსახურებას. საგულისხმოა, რომ მომხმარებელს სტატუსი არ შეიძლება „ჩამოერთვას“ მისი ცოდნის მიხედვით. მოვაჭრესთან მიმართებით ფიზიკური პირი, რომელიც უმთავრესად პირადი მოხმარებისთვის დებს გარიგებას, ყოველთვის სუსტი მხარე იქნება, მიუხედავად იმისა, მას რა ცოდნა აქვს დარგში. მომხმარებლის სისუსტესა და მხარეთა დისბალანსს, ცოდნის დონის გარდა, ასევე განაპირობებს მხარეთა სავაჭრო ძალაუფლება; ¹⁴ მეორე მხრივ, კანონის ჩანაწერ-

11 S. Deutch, Are Consumer Rights Human Rights?, Osgoode Hall Law Journal, 1994, 551.

12 იქვე, 552.

13 საქართველოს კანონი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, სსმ, ვებგვერდი, 06.04.2022.

14 ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2015 წლის 3 სექტემბრის C-110/14 გადაწყვეტილება საქმეზე – *ჰორაციუ ოვიდიუ კოსტეა ფოლკსბანკ რომანიას წინააღმდეგ (Horatiu Ovidiu Costea v. SC Volksbank România SA)*, მე-18 პუნქტი.

რი სპეციფიკურად განმარტავს მოვაჭრეს. მისი ცნების ქვეშ მოიაზრება არა მხოლოდ პირი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს კომერციულ საქმიანობას, არამედ ის პირიც, რომელიც მოვაჭრის სახელით მოქმედებს.¹⁵ ლატვიის სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოვაჭრედ დაიდენტიფიცირდა კომპანია, რომელიც სხვა კომპანიის სახელითა და ამ უკანასკნელის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებდა.¹⁶ საგულისხმოა ევროპის სახელმწიფოთა მომხმარებლის დაცვის რეგულატორთა ქსელის განმარტება, რომლის მიხედვითაც, აპლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელი არის აპლიკაციის შემქმნელი, მაგრამ, იმავდროულად, აპლიკაციის განთავსების (app store) უზრუნველყოფსაც შეიძლება გარკვეული პასუხისმგებლობა დაეკისროს.¹⁷ როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, მოვაჭრის ცნება საკმაოდ ფართოდ განიმარტება, რაც განპირობებულია მომხმარებლის უფლებების სრულყოფილი დაცვის საჭიროებით. ბიზნესსამომხმარებლო ურთიერთობა მრავალ დონეს შეიძლება მოიცავდეს. ყოველი ის ეტაპი, რომელსაც შეუძლია მომხმარებელზე გარკვეული ზეგავლენის მოხდენა, საჭიროებს რეგულირებას, სხვა შემთხვევაში, მომხმარებლის დაცვა უზრუნველყოფილი ვერ იქნება.

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მიხედვით, ამ კანონის მიზანია მომხმარებლის უფლებების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა და მომხმარებლის პატივისცემაზე დამყარებული ქცევის კულტურის ხელშეწყობა. ერთ-ერთ გადანყვეტილებაში საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (შემდგომში – სააგენტო) განმარტა, რომ სამომხმარებლო ურთიერთობაში მოვაჭრეს კიდევ უფრო მეტად ევალება მომხმარებლის, კონტრაჰენტის პატივისცემა.¹⁸ ეს კი განპირობებულია მხარეთა შორის არსებული დისბალანსით. სწორედ ამიტომ, ერთი მხრივ, მოვაჭრეს ეკისრება ვალდებულებები, ხოლო, მეორე მხრივ, მომხმარებელს ენიჭება უფლებები, რათა მხარეთა შორის ბალანსი არსებობდეს.¹⁹ მიიჩნევა, რომ სამომხმარებლო გარიგებისას მომხმარებელი ყოველთვის ნაკლებად ინფორმირებულია, ეკონომიკურად უფრო სუსტია. მას ნაკლები სამართლებრივი გამოცდი-

15 საქართველოს კანონი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, სსმ, ვებგვერდი, 06.04.2022.

16 EUROPEAN COMMISSION commission notice Guidance on the interpretation and application of Directive 2005/29/EC of the European Parliament and of the Council concerning unfair business-to-consumer commercial practices in the internal market, 2021, 26. [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229\(05\)\[14/08/2025\]](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229(05)[14/08/2025]).

17 Press release of 18 July 2014: http://europa.eu/rapid/press-release_IP-14-847_en.htm

18 საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 2 ივნისის ბრძანება „სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 26 თებერვლის N 04/169 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“, 15. https://gcca.gov.ge/uploads_script/user_rights/tmp/php1qitvq.pdf [14/08/2025]

19 იქვე, გვ. 16.

ლება აქვს.²⁰ მოვაჭრეებს, რომლებიც კომერციულ საქმიანობას ეწევიან, მოლაპარაკების ეტაპზე აქვთ უფრო დიდი ძალაუფლება, ინფორმაციული თუ ეკონომიკური საფუძვლებიდან გამომდინარე.²¹

მომხმარებელი, ისევე როგორც მენარმე, ზოგადად, საბაზრო ურთიერთობების ერთ-ერთი მთავარი სუბიექტია. სწორედ მომხმარებელი არის ბაზარზე არსებული პროდუქტის/მომსახურების საბოლოო მიმღები, რომელიც მენარმის მიერ შექმნილ თუ მიწოდებულ პროდუქტს/მომსახურებას არაკომერციული მიზნებისათვის იძენს. ეკონომიკური თავისუფლების პირობებში მოქმედ საბაზრო ურთიერთობებში აღნიშნულ სუბიექტთა სავაჭრო ძალაუფლება არ არის თანაბარი. მენარმე, როგორც წესი, მიიჩნევა იმგვარ სუბიექტად, რომელიც, საკუთარი მატერიალური, ადამიანური თუ ინფორმაციული რესურსების გათვალისწინებით, გაცილებით მნიშვნელოვან სავაჭრო ძალაუფლებას ფლობს. მომხმარებელი კი, ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, ურთიერთობის სუსტი მხარეა. ამდენად, მომხმარებლის სუსტი პოზიცია განპირობებულია მოვაჭრის სავაჭრო ძალაუფლებით.²² როდესაც ყალიბდება სამომხმარებლო ურთიერთობა, მომხმარებელს ნაკლებად შესწევს უნარი, გავლენა მოახდინოს გარიგების თავისებურებებზე.²³ მომხმარებელს უწევს, იმოქმედოს მოვაჭრის „წესებით“ და არ ფლობს რაიმე ბერკეტს, რომელიც საშუალებას მისცემს, ეფექტიანად აწარმოოს მოლაპარაკებები. თუ მომხმარებელს არ მოსწონს გარიგების პირობა ან მოვაჭრის ქცევა, მისი ალტერნატივა არის ის, რომ არ დადოს გარიგება. მოვაჭრე არის პირი, რომელიც გარიგებისას აქტიურად მოქმედებს, სწორედ ის ახორციელებს მოწვევას ოფერტზე, მისი ქმედება გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისთვის.²⁴ ჩვეულებრივ შემთხვევაში, მოვაჭრისთვის მომხმარებელი „ჩანაცვლებადია“, საპირისპიროდ კი, იგივე ძნელად ითქმის. აღნიშნული მოცემულობა განაპირობებს იმას, რომ მოვაჭრეს, როგორც წესი, შეუძლია, მომხმარებელს ნაუყენოს შემდეგი პირობა: დასთანხმდეს პირობას ან გარიგება არ დაიდება. დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, ამგვარმა მიდგომამ შეიძლება შელახოს მომხმარებლის პატივი და ღირსება.²⁵

20 EUROPEAN COMMISSION Commission notice Guidance on the interpretation and application of Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council on consumer rights, 2021, 6 [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229\(04\)\[14/08/2025\]](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229(04)[14/08/2025]).

21 G.Straetmans, Information Obligations and Disinformation of Consumers, in: Information Obligations and Disinformation of Consumers, Edited by G. Straetmans, Springer, 2019, 20.

22 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 ივლისის N1/2/1248 გადაწყვეტილება საქმეზე – „საქართველოს მოქალაქე ანა ფირცხალაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, II-35, 36.

23 თ. ლაკერბაია, მომხმარებლის ცნება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაში, ჟურნალი „ორბელისანი“, 2021, 80.

24 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24.07.1997.

25 S.Deutch, Are Consumer Rights Human Rights?. Osgoode Hall Law Journal, 1994, 553.

კონსტიტუციის 26-ე მუხლით გარანტირებული უფლებები ადამიანის სოციალურ უფლებათა კატეგორიას მიეკუთვნება.²⁶ სოციალურ უფლებებზე მსჯელობისას საგულისხმოა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (შემდგომში – პაქტი) მე-11 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვითაც „წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, მას და მის ოჯახს ჰქონდეს ცხოვრების სათანადო დონე, შესაფერისი კვების, ტანისამოსისა და ბინის ჩათვლით, აგრეთვე უფლებას, განუწყვეტილი იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს. პაქტის მონაწილე სახელმწიფოები ამ უფლების განხორციელების უზრუნველსაყოფად გაატარებენ შესაბამის ღონისძიებებს და აღიარებენ ამ მხრივ თავისუფალ თანხმობაზე დაფუძნებული საერთაშორისო თანამშრომლობის დიდ მნიშვნელობას“.²⁷ ეს უფლებები სწორედ მომხმარებლის უფლებების დაცვას მიემართება.²⁸ მომხმარებლის უფლებები არ მოიცავს მარტოდენ საყოფაცხოვრებო ნივთებისა თუ სხვა საქონლის შეძენას. კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის მე-3 წინადადებით გარანტირებული უფლება უფრო ფართო მნიშვნელობის მატარებელია. ეს ჩანანერი, მათ შორის, მიემართება სურსათის უვნებლობის რეგულირებას,²⁹ რაც, თავის მხრივ, პაქტის ზემოაღნიშნულ ჩანანერს პასუხობს. ამასთან, კანონის მე-17 მუხლი შეეხება მომხმარებლის უფლებებს, რომლებიც მას წარმოეშობა ნაკლის მქონე საქონლის გადაცემის შემთხვევაში.³⁰ ამდენად, მომხმარებლის უფლებები არის ადამიანის სხვადასხვა სოციალური უფლების დაცვის საშუალება და ის არ მოიცავს რეგულირების ვინრო სფეროს. კონსტიტუციის მე-5 მუხლი განამტკიცებს სოციალური სახელმწიფოს პრინციპს, რაც, მათ შორის, როგორც პაქტის ზემოაღნიშნული ჩანანერიდანაც იკითხება, მოიცავს საკვებისა თუ სხვა საყოფაცხოვრებო საშუალებების ქონის შესაძლებლობასაც. როგორც წესი, სახელმწიფო არ აწარმოებს ზემოთ აღნიშნულ საქონელს; მეორე მხრივ, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი სახელმწიფოს ავალდებულებს, უზრუნველყოს ხარისხიანი და ვარგისი საკვებისა და საყოფაცხოვრებო საშუალებების ხელმისაწვდომობა. აღნიშნულის მიღწევა კი სახელმწიფოს შეუძლია შესაბამისი მეწარმე სუბიექტებისთვის

26 ბ. ლოლაძე, ა. ფირცხალაშვილი, ძირითადი უფლებები, კომენტარი, თბ., 2023, 671-672.

27 სოციალურ უფლებებზე მსჯელობისას საგულისხმოა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, 1976.

28 I. Benöhr, *EU Consumer Law and Human Rights*, Oxf., 2013, 48.

29 სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, სსმ, ვებგვერდი, 25.05.2012. პირველი მუხლის პირველი პუნქტით „ამ კოდექსის მიზანია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მომხმარებელთა ინტერესების, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, მცენარეთა სიჯანსაღის დაცვა, აგრეთვე სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრა და სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება“.

30 საქართველოს კანონი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, სსმ, ვებგვერდი, 06.04.2022.

ვალდებულებების დაწესებით, მომხმარებლის უფლებებით აღჭურვილია და გარეგნობის მაკონტროლებელი თუ მარეგულირებელი უწყების შექმნის გზით.

ტექნოლოგიურმა პროგრესმა განაპირობა ის, რომ დღეს ყოველი ინდივიდი, სულ მცირე, ერთხელ მაინც აღმოჩენილა მომხმარებლის ამპლუაში. როგორც ჯონ ფიცჯერალდ კენედიმ აღნიშნა: „განმარტებიდან გამომდინარე, ყოველი ჩვენგანი მომხმარებელი ვართ. მომხმარებლები არიან ყველაზე დიდი ეკონომიკური ჯგუფი, რომელიც გავლენას ახდენს და გავლენის ქვეშ ექცევა თითქმის ყველა საჯარო თუ კერძო ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებისას [...]“.³¹ ეს სიტყვები ყველაზე კარგად გადმოსცემს მომხმარებლის მნიშვნელობასა და ფუნქციას. ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობების გათვალისწინებით, მას ყოველდღიურად უხდება ამ საქმიანობების დასაკმაყოფილებლად არაერთ სამომხმარებლო ხასიათის სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლა. ამდენად, მომხმარებლის უფლება დინამიკური და ინტენსიური გამოყენების ადამიანის თანამედროვე ძირითად უფლებად დამკვიდრდა. მომხმარებლის უფლებაზე, როგორც ადამიანის ძირითად უფლებაზე, მსჯელობისას საგულისხმოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება: „საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი აღიარებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის კონსტიტუციურ აუცილებლობას. მასში მოცემული დებულება, რომ ეს უფლებები დაცულია კანონით, გულისხმობს მათ დაცვას სათანადო კონსტიტუციური პრინციპებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, მომხმარებლის უფლებები მოიცავს მომხმარებლის უფლებას უსაფრთხოებაზე, არჩევანზე, განხილვაზე, სამომხმარებლო განათლებასა და სამართლებრივ დაცვაზე“.³² ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ: „მომხმარებლის უფლებების დაცვა არ არის ერთიანი სამართლებრივი მატერია. მისი შინაარსი განსაზღვრულია როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლის ნორმებით, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა სახის (კატეგორიის) სავალდებულო დანაწესებს, რის შესაბამისადაც უნდა მოქმედებდნენ საამისოდ უფლებამოსილი პირები, მათ შორის სახელმწიფო“.³³

3. მენარმოების თავისუფლებაში ჩარევა მომხმარებლის უფლებების დაცვის მიზნით

როგორც აღინიშნა, მომხმარებლის უფლებები სახელმწიფოს ავალდებულებს, სპეციფიკურად დაარეგულიროს სამომხმარებლო ურთიერთობა. საქართველოს ტერიტორიაზე კანონის აღსრულებაზე პასუხისმგებელი პირი ეკონომიკის არა-

31 <https://www.presidency.ucsb.edu/documents/special-message-the-congress-protecting-the-consumer-interest> [12/08/2025].

32 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 9 თებერვლის №1/1/374,379 გადაწყვეტილება საქმეზე – „საქართველოს მოქალაქეები – შალვა ნათელაშვილი და აკაკი მიქაძე საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) წინააღმდეგ“, II.

33 იქვე.

რეგულირებად სფეროებში არის სსიპ „საქართველოს კონკურენციის და მომხმარებლის დაცვის სააგენტო“. ნებისმიერი შემთხვევა, როდესაც სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც გავლენას ახდენს მენარმე სუბიექტის ეკონომიკურ საქმიანობაზე, არის მენარმეობის თავისუფლებაში ჩარევა. ფართო გაგებით, სააგენტო (ლეგიტიმაციის ფარგლებში) აფასებს, მენარმე სუბიექტი მოქმედებს თუ არა კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ანუ ადამიანის ძირითადი უფლებების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები.³⁴ აღნიშნულთან მიმართებით საგულისხმოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომისიის 1979 წლის გადაწყვეტილება საქმეზე – *X და საენტოლოგთა ეკლესია შვედეთის წინააღმდეგ (X and Church of Scientology v. Sweden)*.³⁵ განსახილველი საკითხი იყო, დაარღვია თუ არა მომხმარებლის უფლებების დამცველმა ადამიანის რწმენის, აღმსარებლობისა და გამოხატვის თავისუფლება რელიგიური დანიშნულების ნივთის რეკლამირების აკრძალვით. რეკლამის შინაარსის მიხედვით, ზემოაღნიშნულ ნივთს შეეძლო დაედგინა, „გათავისუფლდა“ თუ არა აღმსარებელი ადამიანი ცოდვებისგან. უპირველესად, კომისიამ დაადგინა, რომ ნივთის იმგვარი რეკლამირება, რომელიც ემსახურება მისი რეალიზაციის ხელშეწყობას, არ ექცევა რწმენისა და აღმსარებლობის ფარგლებში, რადგან როდესაც რეკლამირება არის არა უბრალოდ აღწერილობითი, არამედ ის გადაიზრდება კომერციულ რეკლამაში, ასეთ დროს კომერციული ინტერესი აღემატება აღმსარებლობის მიზნებს. კომისიამ აგრეთვე მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში არც გამოხატვის თავისუფლების დარღვევა მომხდარა და არც დისკრიმინაციული მოპყრობა. კომისიის განმარტებით, მომხმარებლის უფლებების დამცველის აკრძალვა აუცილებელი იყო დემოკრატიული საზოგადოებისთვის, რათა დაეცვა სხვათა უფლებები, განსახილველ შემთხვევაში კი მომხმარებლების უფლებები.³⁶ აღნიშნული გადაწყვეტილება ყურადსაღებია წინამდებარე სტატიისთვის იმდენად, რამდენადაც უსამართლო კომერციული საქმიანობა არის საქმიანობის ის სახე, რომელიც აკრძალულია როგორც ქართული კანონით, ისე ევროკავშირის კანონმდებლობით. თავის მხრივ, კომერციულ საქმიანობაში ჩარევა არის მენარმეობის თავისუფლებაში ჩარევა. ამდენად, ის გამართლებული უნდა იყოს ლეგიტიმური საჯარო მიზნის არსებობით და, შესაბამისად, უნდა აკმაყოფილებდეს თანაზომიერების ტესტს.

4. უსამართლო კომერციული საქმიანობის სახეები

როგორც ევროკავშირის, ისე ქართული კანონმდებლობიდანაც უსამართლო კომერციული საქმიანობის რამდენიმე სახე შეიძლება გამოიყოს. ესენია: მოქმედებით გამოხატული შეცდომაში შემყვანი კომერციული საქმიანობა, უმოქმედობით

34 საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24.08.1995 წ.

35 *X და საენტოლოგთა ეკლესია შვედეთის წინააღმდეგ (X and Church of Scientology v. Sweden)*, 1979 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება.

36 იქვე, მე-5 პუნქტი.

გამოხატული შეცდომაში შემყვანი კომერციული საქმიანობა და აგრესიული კომერციული საქმიანობა.³⁷ ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (შემდგომში – CJEU) დაადგინა, რომ უსამართლო კომერციული საქმიანობის მარეგულირებელი დირექტივის (შემდგომში – დირექტივა) ზოგადი, მე-5 მუხლი არის ცალკე მდგომი უსამართლო კომერციული საქმიანობის რეგულაცია, რომლის იურისდიქციის ფარგლებშიც ექცევა ყველა ის შემთხვევა, რომლებიც არ ექცევა ზემოთ აღწერილ სახეებში. მსგავს ნორმას ქართული კანონი შეიცავს 24-ე მუხლის სახით, იმ განსხვავებით, რომ უსამართლო კომერციული საქმიანობის დირექტივის მე-5 მუხლი უთითებს, რომ კომერციული საქმიანობა უსამართლოა, თუკი ის: ა) წინააღმდეგობაშია პროფესიულ გულმოდგინებასთან; და ბ) თუ ის არსებითად ცვლის იმ საშუალო მომხმარებლის ეკონომიკურ ქცევას, რომელსაც მიაწოდეს საქონელი, ან/და ვისთვისაც არის ის განკუთვნილი, ახდენს ან შეიძლება მოახდინოს არსებითი უარყოფითი გავლენა მომხმარებელთა ჯგუფის საშუალო წევრის ეკონომიკურ ქცევაზე, როდესაც კომერციული საქმიანობის ადრესატი მომხმარებელთა განსაზღვრული ჯგუფია.³⁸ ეს ნორმა ადგენს ერთობლივ პირობას, რომელთა არსებობაც განაპირობებს უსამართლო კომერციულ საქმიანობას.³⁹ განმარტების თანახმად, აღნიშნული ჩანაწერი არის დამზღვევი ნორმა და იგი რეგულირების მიღმა არ ტოვებს ისეთ უსამართლო კომერციულ საქმიანობას, რომელიც არ ექცევა ე.წ. კლასიკური საქმიანობის რეგულირების ქვეშ.⁴⁰ აღნიშნულისგან განსხვავებული ჩანაწერია ქართულ კანონში, კერძოდ, კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ზოგადი ნორმა უკავშირდება არა პროფესიულ გულისხმიერებას, არამედ კეთილსინდისიერებას. მეორე კომპონენტი იდენტურად მეორდება,⁴¹ თუმცა ევროპული კომისიის სახელმძღვანელო დოკუმენტის თანახმად, აღნიშნული ჩანაწერები იდეურად ერთი და იმავე სულისკვეთების მატარებელი ტერმინებია.⁴² სააგენტოს პრაქტიკაში აქვს ნამსჯელი წინამდებარე ნორმასთან მიმართებით და

37 საქართველოს კანონი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, სსმ, ვებგვერდი, 04.06.2022.; ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2015 წლის 16 აპრილის C-388/13 გადაწყვეტილება საქმეზე – მომხმარებელთა დაცვის ეროვნული ორგანო *UPC Hungary Ltd*-ის წინააღმდეგ (*Nemzeti Fogyasztóvédelmi Hatóság v UPC Magyarország kft*), 61-ე-63-ე პუნქტები.

38 DIRECTIVE 2005/29/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL. 2005. 2022 წლის 28 მაისის მდგომარეობით.

39 EUROPEAN COMMISSION commission notice Guidance on the interpretation and application of Directive 2005/29/EC of the European Parliament and of the Council concerning unfair business-to-consumer commercial practices in the internal market, 2021, 37. [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229\(05\)\[14/08/2025\]](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229(05)[14/08/2025])

40 იქვე.

41 საქართველოს კანონი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, სსმ, ვებგვერდი, 04.06.2022.

42 EUROPEAN COMMISSION commission notice Guidance on the interpretation and application of Directive 2005/29/EC of the European Parliament and of the Council concerning unfair business-to-consumer commercial practices in the internal market, 2021, 37. [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229\(05\)\[14/08/2025\]](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229(05)[14/08/2025]).

განმარტავს, რომ 24-ე მუხლის ჩანაწერი არის ზოგადი ბუნების, ხოლო ცალკეული კანონდარღვევები კონკრეტდება შემდგომი მუხლებით.⁴³ მართალია, CJEU-ს განმარტების თანახმად, ზოგადი ნორმა ცალკეული შემადგენლობისა და არ არის „კლასიკური“ უსამართლო კომერციული საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების იდენტური,⁴⁴ თუმცა ეს არ გულისხმობს იმას, რომ ზოგადი ნორმა ფუნდამენტურად განსხვავდება სპეციალური ნორმებისგან. სწორედ ამიტომ სააგენტოს მსჯელობა მაინც მართებულად უნდა ჩაითვალოს.

5. მომხმარებლის ეკონომიკურ ქცევაზე ზეგავლენის ტესტი

მომხმარებლის ქცევაზე ზეგავლენის ტესტი CJEU-ს მიერ შემოღებული ქცევის შეფასების მოდელია, რომლითაც ფასდება მოვაჭრის კომერციული საქმიანობის უსამართლობა.⁴⁵ ეკონომიკური ქცევა არ გულისხმობს მხოლოდ გარიგების დადებას, არამედ ის მოიაზრებს მომხმარებლის როგორც გარიგებამდე, ისე გარიგების შემდგომ ქცევებს, რომლებიც გამომწვეულია მოვაჭრის კომერციული საქმიანობით.⁴⁶ ასეთი მიდგომა გაიზიარა სააგენტომაც თავის გადანყევტილებაში, სადაც განმარტა, რომ სიტყვათა შეთანხმება „[...]დადო ან შესაძლოა დადოს[...]“ არ გულისხმობს მხოლოდ გარიგებას, არამედ ეს წინადადება გულისხმობს მომხმარებლის გარიგების ყველა წინარე ქმედებას, რომელიც დაკავშირებულია მოვაჭრის საქონლის ან მომსახურების შეძენასთან.⁴⁷ ევროპული კომისიის მიერ ამგვარი წი-

43 სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 18 ივნისის N 04/643 ბრძანება „სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 4 აპრილის N 04/316 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“, 16. [https://gcca.gov.ge/uploads_script/user_rights/tmp/phpSYhTm2.pdf\[14/08/2025\]](https://gcca.gov.ge/uploads_script/user_rights/tmp/phpSYhTm2.pdf[14/08/2025]) და სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 2 ივნისის ბრძანება N04/564 „სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 26 თებერვლის N04/169 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“ [https://gcca.gov.ge/uploads_script/user_rights/tmp/php1qitvq.pdf\[14/08/2025\]](https://gcca.gov.ge/uploads_script/user_rights/tmp/php1qitvq.pdf[14/08/2025]).

44 ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2015 წლის 16 აპრილის C-388/13 გადაწყვეტილება საქმეზე – მომხმარებელთა დაცვის ეროვნული ორგანო UPC Hungary Ltd-ის წინააღმდეგ (*Nemzeti Fogyasztóvédelmi Hatóság v UPC Magyarország kft*), 61-63-ე პუნქტები.

45 ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2013 წლის 19 დეკემბრის C-281/12 გადაწყვეტილება საქმეზე – ტრენტო სვილუპო, ცენტრალე ადრეატიკა სოც. თანამშრომლობა კონკურენციისა და ბაზრის ზედამხედველობის სააგენტოს წინააღმდეგ (*Trento Sviluppo srl, Centrale Adriatica Soc. Coop. Arl v Autorità Garante della Concorrenza e del Mercato*).

46 EUROPEAN COMMISSION commission notice Guidance on the interpretation and application of Directive 2005/29/EC of the European Parliament and of the Council concerning unfair business-to-consumer commercial practices in the internal market, 2021, 31. [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229\(05\)\[14/08/2025\]](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229(05)[14/08/2025]).

47 სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 18 ივნისის N 04/643 ბრძანება „სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და

ნარე ქმედებების მაგალითად სახელდება: მოვაჭრის სარენში მისვლა კომერციული შეთავაზების გამო; მოვაჭრის მიერ განთავსებული/გაგზავნილი კომერციულ შეთავაზების ღილაკზე თითის დაჭერა.⁴⁸ აგრეთვე კომისიის მიერ ეკონომიკურ ქცევად მოიაზრება მოვაჭრის მაღაზიაში შესვლა ან დაჯავშნის პროცესში დიდი დროის დახარჯვა.⁴⁹ ისეთ კომერციულ საქმიანობაზე, რომელსაც აქვს გარიგების შემდგომი ეფექტი, სააგენტოს ჯერ არ უმსჯელია. სავარაუდოდ, სწორედ ამგვარი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 24-ე ზოგადი მუხლით (თუკი არ იქნება აგრესიული კომერციული საქმიანობა), (ევროკავშირის შემთხვევაში დირექტივის მე-5 მუხლი). აღნიშნული კიდე უფრო ცხადად გამომდინარეობს ქართული კანონმდებლობიდან. კანონის 25-ე მუხლის ჩანაწერი, „[...] რამაც გამოიწვია ან შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებლის მოტყუება და რის გამოც მომხმარებელმა დადო ან შესაძლოა დადოს გარიგება, რომელსაც სხვაგვარად არ დადებდა“ და 26-ე მუხლის ჩანაწერი: „[...] რომელიც საშუალო მომხმარებელს ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად სჭირდება, რის შედეგადაც მომხმარებელმა დადო ან შესაძლოა დადოს გარიგება, რომელსაც ამ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში არ დადებდა“⁵⁰, არ იძლევა საშუალებას, 25-ე და 26-ე მუხლები გავრცელდეს მოვაჭრის ისეთ ქცევებზე, რომლებიც გარიგების შემდგომ მოქმედებას უკავშირდება. ამისგან განსხვავებით, ევროპული დირექტივის ანალოგიური მუხლების ფაბულა შეიცავს ჩანაწერს არა გარიგების დადების ან შესაძლო დადებასთან დაკავშირებით, არამედ ტრანსაქციულ გადაწყვეტილებასთან (ქართული გაგებით, ეკონომიკური ქცევა) დაკავშირებით, რომელიც CJEU-ს პრაქტიკის მიხედვით, ფართო ცნებაა და მოიცავს როგორც გარიგებამდე, ისე გარიგების შემდგომ ქცევებს.⁵¹ ამ განმარტებით თითქოს ჩნდება განცდა, რომ მარკეტინგი არის უსამართლო კომერციული საქმიანობა, თუმცა ეს ასე არ უნდა იქნეს გაგებული. როგორც სააგენტომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, უსამართლო კომერციულ საქმიანობაში არ მოიაზრება შემთხვე-

მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 4 აპრილის N 04/316 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“, 16. https://gcca.gov.ge/uploads_script/user_rights/tmp/phpSYhTm2.pdf [14/08/2025].

48 EUROPEAN COMMISSION notice Guidance on the interpretation and application of Directive 2005/29/EC of the European Parliament and of the Council concerning unfair business-to-consumer commercial practices in the internal market, 2021, 31. [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229\(05\)](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229(05)) [14/08/2025].

49 იქვე, 32.

50 საქართველოს კანონი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, სსმ, ვებგვერდი, 04.06.2022.

51 ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2013 წლის 19 დეკემბრის C-281/12 გადაწყვეტილება საქმეზე – ტრენტო სვილუპო, ცენტრალე ადრეატიკა სოც. თანამშრომლობა კონკურენციისა და ბაზრის ზედამხედველობის სააგენტოს წინააღმდეგ (*Trento Sviluppo srl, Centrale Adriatica Soc. Coop. Arl v. Autorità Garante della Concorrenza e del Mercato*), სარეზოლუციო ნაწილი, 39-ე პუნქტი.

ვა, როდესაც მარკეტინგული ხერხი არ არის კეთლსინდისიერების საწინააღმდეგო და ინვესტ არა მომხმარებლის მოტყუებას, არამედ მხოლოდ ინტერესს.⁵² აღნიშნული განმარტება მართებულად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან უსამართლო კომერციული საქმიანობის არსი სწორედ ის არის, რომ მოვაჭრე მომხმარებლისთვის მცდარი აღქმის შექმნით ინვესტ მის მიერ ისეთი ნაბიჯის გადადგმას, რომელიც არ არის რაციონალური აზროვნების შედეგი, საფუძვლად უდევს ტყუილი და, შესაბამისად, მოვაჭრე მანიპულირებს მომხმარებლის ნებით და სარგებლობს მისი გამოუცდელობით ან სუსტი სავაჭრო პოზიციით. საგულისხმოა, რომ უსამართლო კომერციული საქმიანობის შეფასების ეტაპზე არ არის აუცილებელი ფაქტობრივად დამდგარი შედეგი, არამედ უწყება აფასებს, შეიძლება თუ არა გამოინვიოს მოვაჭრის ქმედებამ მომხმარებლის ქცევის ცვლილება.⁵³ ეს, გარკვეულწილად, იცავს მოვაჭრესაც, რადგან უწყება არ არის ვალდებული, გაითვალისწინოს კონკრეტული მომხმარებლის ქცევა, რათა შეფასდეს მოვაჭრის კომერციული საქმიანობა. უფრო მეტიც, თუკი უწყება ჩათვლის, რომ მოვაჭრის ქმედებას არ უნდა გამოენდია მომხმარებლის ქცევის უარყოფითი ცვლილება, ინდივიდუალური მომხმარებლის პრეტენზია შეიძლება არ იქნეს დაკმაყოფილებული.

6. მომხმარებლის ეკონომიკურ ქცევაზე ზეგავლენის ტესტი მოქმედებით გამოხატულ შეცდომაში შემყვანი კომერციული საქმიანობისას

კანონის 25-ე მუხლი არეგულირებს მოქმედებით გამოხატულ უსამართლო კომერციულ საქმიანობას. ევროკავშირის მასშტაბით, ეს რეგულირდება ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 2005/29/EC დირექტივის მე-6 მუხლით. უპირველესად, აღსანიშნავია, რომ ორივე ნორმა შეიცავს კომერციული საქმიანობების ე.წ. „შავ სიას“, რომლებიც ყველა შემთხვევაში მიჩნევა უსამართლოდ.⁵⁴ თუ ქმედება ამ სიაში ექცევა, ის თავისთავად უსამართლო კომერციულ საქმიანობად კვალიფიცირდება და შესაბამის უწყებას აღარ უნევს, შეაფასოს მოვაჭრის ქმედების გავლენა

52 სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 18 ივნისის N 04/643 ბრძანება „სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 4 აპრილის N 04/316 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული გადანყვეტილების დამტკიცების შესახებ“, 16. https://gcca.gov.ge/uploads_script/user_rights/tmp/phpSYhTm2.pdf [14/08/2025].

53 EUROPEAN COMMISSION commission notice Guidance on the interpretation and application of Directive 2005/29/EC of the European Parliament and of the Council concerning unfair business-to-consumer commercial practices in the internal market, 2021, 32. [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229\(05\)\[14/08/2025\]](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229(05)[14/08/2025]).

54 საქართველოს კანონი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, სსმ, ვებგვერდი, 04.06.2022; DIRECTIVE 2005/29/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL. 2005. 2022 წლის 28 მაისის მდგომარეობით.

მომხმარებლის ეკონომიკურ ქცევაზე.⁵⁵ ეკონომიკური ქცევის ტესტი გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, როდესაც უწყებას უნევს, შეაფასოს მოვაჭრის კომერციული საქმიანობის გავლენა მომხმარებლის ქცევაზე. შესაფასებელ დარღვევას ადგენს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ხოლო ევროკავშირში დირექტივის მე-6 მუხლი. ორივე მათგანის ანალიზის შედეგად შეიძლება გამოიყოს ელემენტები, რომელთა ერთობლივად არსებობა განაპირობებს ქმედების გასაკიცხაობას. თუ სააგენტოს გადანყვეტილებას გავიზიარებთ, ეს ელემენტები შეიძლება იყოს შემდეგი: მომხმარებლისთვის მცდარი ინფორმაციის მიწოდება ან ინფორმაციის იმგვარად მიწოდება, რამაც გამოიწვია ან შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებლის მოტყუება; აღნიშნულის გამო მომხმარებლის მიერ გარიგების დადება ან შესაძლო დადება, რომელსაც სხვაგვარად არ დადებდა.

პირველ ეტაპზე ფასდება ინფორმაცია, შემდგომ კი ამ ინფორმაციის მიწოდების ფორმა. თუ ინფორმაცია თავისთავადად არასწორია, უწყებას ალარ უნევს შეაფასოს, რა ფორმით მოხდა ინფორმაციის მიწოდება. პირველი ეტაპის შეფასება შედარებით ადვილია, რადგან ამ დროს შესაფასებელია, მოვაჭრის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არის თუ არა რეალობა. სხვაგვარად, ცრუ ინფორმაციის მიწოდებაში უნდა იქნეს მოაზრებული ისეთი შემთხვევა, როდესაც მომხმარებელს არარეალური ინფორმაცია მიეწოდება. ევროკავშირის პრაქტიკის მიხედვით, არასწორი ინფორმაციის მიწოდებად ჩაითვალა შემთხვევა, როდესაც მოვაჭრემ არასწორად მიუთითა ტექნიკური მოწყობილობის მეხსიერების მოცულობაზე.⁵⁶ სააგენტოს პრაქტიკის მიხედვით, ცრუ ინფორმაციად შეფასდა მოვაჭრის მითითება საგარანტიო ფურცლის გრაფაში: მოწყობილობა, ბრენდი, მოდელი. დოკუმენტში მითითებული იყო **Apple**, მაშინ, როდესაც საქონელი არ იყო ამ კომპანიის ნაწარმი და, ამასთან, ვიზუალურად ძალიან ჰგავდა კომპანია **Apple**-ის ნაწარმს.⁵⁷ კიდევ ერთი გადანყვეტილების მიხედვით, სააგენტომ ცრუ ინფორმაციის მიწოდებად ჩათვალა მოვაჭრის ქმედება, რომლის მიხედვითაც, ის მომხმარებელს ცრუ ინფორმაციას აწვდიდა საქონლის მარაგის შესახებ (იყენებდა **dark pattern**-ს).⁵⁸ ამგვარად,

55 EUROPEAN COMMISSION commission notice Guidance on the interpretation and application of Directive 2005/29/EC of the European Parliament and of the Council concerning unfair business-to-consumer commercial practices in the internal market, 2021, 61. [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229\(05\)](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229(05)) [14/08/2025].

56 PS9678 - Samsung - Caratteristiche Tecniche Smartphone. Decision No. 25138, 19 December 2014, <https://en.agcm.it/en/media/press-releases/2018/10/PS11009-PS11039>

57 სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 18 ივნისის N 04/643 ბრძანება „სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 4 აპრილის N 04/316 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული გადანყვეტილების დამტკიცების შესახებ“ https://gcc.gov.ge/uploads_script/user_rights/tmp/phpSYhTm2.pdf [14/08/2025].

58 სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 2 ივნისის ბრძანება N04/564 „სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 26 თებერვლის N04/169 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული გადანყვეტილე-

ცრუ ინფორმაციის მიწოდების დადგენა შედარებით ადვილია, უფრო რთულად დასადგენია შემთხვევა, როდესაც მოვაჭრე, ფაქტობრივად, სწორ ინფორმაციას აწვდის მომხმარებელს, მაგრამ ამ შემთხვევაში ფორმა არის იმგვარი, რომ ინვესტორს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას. ამგვარ შემთხვევად მიჩნეულ იქნა მოვაჭრის ქცევა, როდესაც მობილური ტელეფონების ოპერატორი უთითებდა, რომ სატელეფონო მომსახურების წუთობრივი გადასახადი იყო 30%-ით უფრო იაფი, ვიდრე მისი კონკურენტების, თუმცა არ უთითებდა ცალსახად, რომ ფასდაკლებაში არ შედიოდა სატელეფონო მომსახურებით სარგებლობის პირველი წუთი.⁵⁹

ორივე დასახელებული შემთხვევა ინვესტორს მომხმარებლის მოტყუებას და მოტყუების შედეგს – გარიგების დადებას. ამდენად, ინფორმაცია უნდა იყოს არსებითი ბუნების არა მხოლოდ კონკრეტული მომხმარებლის პერსპექტივიდან, არამედ განზოგადებულად მომხმარებელთა ჯგუფის პერსპექტივიდან, რამდენად არის ინფორმაცია იმ ბუნების, რომ შეცვალოს საშუალო მომხმარებლის ქცევა. ამდენად, ყველა ინფორმაციის მიწოდებლობა, რომელიც კანონის მე-5 და მე-10 მუხლებითა და 2011/83/EU დირექტივით არის სავალდებულოდ მისაწოდებელი, არ უნდა იქნეს მიჩნეული უსამართლო კომერციულ საქმიანობად. არსებითობის შეფასება უნდა მოხდეს იმის გათვალისწინებით, ქართულ რეალობაში გამოიწვევდა თუ არა ის მომხმარებლის მიერ გარიგების დადებას ან შეუძლია თუ არა ამგვარი ქმედება ჰიპოთეზურად (*in abstracto*) გამოიწვიოს. სხვა სიტყვებით, გამოიწვევს თუ არა მოვაჭრის კომერციული საქმიანობა ალბათობის მაღალი ხარისხით მომხმარებლის ქცევის შეცვლას. ამ შემთხვევაში ქართულ და ევროპულ მოდელს განასხვავებს ის, რომ ქართული კანონი გარიგების დადების შესაძლებლობას უკავშირებს ინფორმაციის არსებითობის დადგენას, ევროპული მოდელი კი ზემოთ განხილულ, მომხმარებლის ეკონომიკურ ტრანსაქციულ გადაწყვეტილებას.

ინფორმაციის ბუნების შეფასება საჭიროებს ინდივიდუალურ გადაწყვეტას, ცრუ ინფორმაციის მიწოდება მომხმარებლისთვის შეიძლება არ ქმნიდეს სამართალდარღვევის შემადგენლობას, თუმცა დამატებითი გარემოებების არსებობის პირობებში, შეიძლება მან გავლენა მოახდინოს მომხმარებლის ქცევაზე.

7. მომხმარებლის ეკონომიკურ ქცევაზე ზეგავლენის ტესტის როლი უმოქმედობით გამოხატული შეცდომაში შემყვანი კომერციული საქმიანობისას

თუ მოქმედებით გამოხატული შეცდომაში შემყვანი კომერციული საქმიანობისას მოვაჭრე აქტიურად მოქმედებს, უმოქმედობით გამოხატული შეცდომაში შემ-

ბის დამტკიცების შესახებ“ https://gcca.gov.ge/uploads_script/user_rights/tmp/php1qitvq.pdf [14/08/2025].

59 EUROPEAN COMMISSION commission notice Guidance on the interpretation and application of Directive 2005/29/EC of the European Parliament and of the Council concerning unfair business-to-consumer commercial practices in the internal market, 2021, 40. [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229\(05\)\[14/08/2025\]](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229(05)[14/08/2025]).

ყვანი კომერციული საქმიანობისას ის პასიურ აქტორად გვევლინება და სწორედ აღნიშნულით ინვესტს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას. ამ შემთხვევაშიც, ინფორმაციის შეფასება აუცილებელია და არ უნდა იქნეს მიჩნეული, რომ კანონის მე-5 და მე-10 მუხლებითა და 2011/83/EU დირექტივით გათვალისწინებული ინფორმაციის მიუწოდებლობა თავისთავად უმოქმედობით გამოხატულ შეცდომაში შემყვან კომერციულ საქმიანობას გულისხმობს. როგორც ევროკავშირის, ისე ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ინფორმაცია, რომლის მიუწოდებლობაც უნდა დაკვალიფიცირდეს უმოქმედობით გამოხატულ შეცდომაში შემყვან კომერციულ საქმიანობად, უნდა იყოს არსებითი. არც ქართული და არც ევროკავშირის კანონმდებლობით არ განიმარტება, რას გულისხმობს არსებითი ინფორმაცია, თუმცა, როგორც აღინიშნა, ამ შემთხვევაშიც საკითხი ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს. საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში მეტ ფაქტობრივ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება, რადგან გარკვეული ინფორმაციის დამალვა ხდება. ერთობლიობაში უნდა შეფასდეს, რამდენად შესწევს ამ ინფორმაციის დამალვას უნარი, შეცდომაში შეიყვანოს საშუალო მომხმარებელი.⁶⁰ სააგენტოს პრაქტიკით, უმოქმედობით გამოხატულ შეცდომაში შემყვან კომერციულ საქმიანობად დაკვალიფიცირდა შემთხვევა, როდესაც მოვაჭრე ახორციელებდა კომპანია **Apple Inc.**-ის ვიზუალისა და შეფუთვის იდენტურ ადაპტერს. საგულისხმოა, მოვაჭრე არ უთითებდა, რომ ის ვაჭრობდა ამ კომპანიის საქონლით, თუმცა, მეორე მხრივ, არც იმ ინფორმაციას აწვდიდა მომხმარებლებს, რომ საქონელი არ იყო ამ კომპანიის ნაწარმი. იმის გათვალისწინებით, რომ მოვაჭრის პროდუქტი პრაქტიკულად **Apple Inc.**-ის პროდუქტის იდენტური იყო, სააგენტომ დაადგინა: იმ ინფორმაციის დამალვა, რომ ნაწარმი არ არის კომპანია **Apple**-ის ნაწარმი, არის ის არსებითი ინფორმაცია, რომლის მიუწოდებლობასაც შესწევს უნარი, შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი.⁶¹ მსგავსად მოქმედებით გამოხატული შეცდომაში შემყვანი კომერციული საქმიანობისა, ინფორმაციის მიუწოდებლობამ უნდა გამოიწვიოს ევროკავშირის მასშტაბით, ტრანსაქციული გადანაცვლებების მიღება, ხოლო ქართულ რეალობაში გარიგების დადება ან ამგვარი გარიგების პოტენციურად გამოწვევა.⁶² აღსანიშნავია, რომ, თუ არსებითი ინფორმაცია ისედაც აშკარაა მომხმარებლისთვის, ამგვარი ინფორმაციის მიუწოდებლობა არ შეიძლება გახდეს მოვაჭრის პასუხისმგებლობის საფუძველი. როგორც საქართველოს კანონი,

60 სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 18 ივნისის N 04/643 ბრძანება „სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 4 აპრილის N 04/316 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული გადანაცვლებების დამტკიცების შესახებ“, 34. https://gcca.gov.ge/uploads_script/user_rights/tmp/phpSYhTm2.pdf [14/08/2025].

61 იქვე, 14-34.

62 საქართველოს კანონი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, სსმ, ვებგვერდი, 04.06.2022 და DIRECTIVE 2005/29/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL. 2005. 2022 წლის 28 მაისის მდგომარეობით.

ისე ევროკავშირის დირექტივა უთითებს, რომ ინფორმაციის მიუწოდებლობისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მათ შორის საკომუნიკაციო საშუალებათა შეზღუდულობა.⁶³ ამის მაგალითად უნდა მოვიხილოთ დროისა და სივრცის შეზღუდულობა.⁶⁴ CJEU-ის განმარტებით, ასეთ დროს დროისა და სივრცის შეზღუდულობამ უნდა გადანონოს მომხმარებლისთვის შეთავაზებული საქონლის თავისებურებების აღწერის აუცილებლობა.⁶⁵ აღნიშნული ცხადყოფს, რომ ინფორმაციის მიუწოდებლობით გამოხატულ შეცდომაში შემყვანი კომერციული საქმიანობის შეფასებისას სააგენტომ უნდა მოიკვლიოს ყველა ფაქტობრივი გარემოება (კანონის იმპერატიული მოთხოვნის გათვალისწინებით), მათ შორის საკომუნიკაციო საშუალების შეზღუდულობაც.

8. დასკვნა

მომხმარებლის უფლება საქართველოში კონსტიტუციურ დონეზე არის აღიარებული და თავისი ბუნებით ადამიანის ძირითად სოციალურ უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება. სამომხმარებლო ურთიერთობა არ არის მხოლოდ კერძოსამართლებრივი გარიგება, ის უკავშირდება ადამიანის ღირსებას, უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას.

სამომხმარებლო ურთიერთობის დროს გარიგების მხარეები არ არიან თანასწორნი. მოვაჭრე, მომხმარებელთან შედარებით, თავისი შესაძლებლობის, ცოდნის დონისა თუ საბაზრო ძალაუფლებით უპირატეს მდგომარეობაშია. სწორედ ამიტომ, ერთი მხრივ, მომხმარებლის უფლებებით აღჭურვილ, ხოლო მეორე მხრივ, მოვაჭრისთვის ვალდებულებების დაკისრებით, მხარეთა შორის არსებული უთანასწორობა აღმოიფხვრება.

თავისუფალი ეკონომიკის პირობებში, საქონლისა თუ მომსახურების დიდ ნაწილს მომხმარებელი იღებს არა სახელმწიფოსგან, არამედ მეწარმე სუბიექტებისგან. მომხმარებლის უფლებები რეალიზდება კერძო სუბიექტთან ურთიერთობის შედეგად (შეიძენს საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელს, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ნივთებს თუ მომსახურებას, საკვებს, სასმელს და ა.შ.). სახელმწიფო ვალდებულია, ჩაერიოს იმ კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში, სადაც მხარეთა უთანასწორობა არის აშკარა.

⁶³ იქვე.

⁶⁴ EUROPEAN COMMISSION commission notice Guidance on the interpretation and application of Directive 2005/29/EC of the European Parliament and of the Council concerning unfair business-to-consumer commercial practices in the internal market, 2021, 52. [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229\(05\)\[14/08/2025\]](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229(05)[14/08/2025]).

⁶⁵ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2016 წლის 26 ოქტომბრის C-611/14 გადაწყვეტილება საქმეზე – სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოება კანალ დიჯიტალ დანმარკის წინააღმდეგ (*Criminal proceedings against Canal Digital Danmark A/S*), 60-ე-64-ე პუნქტები.

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა, არა მხოლოდ აღიაროს მომხმარებლის უფლებები, არამედ უზრუნველყოს მათი დაცვა. ეს კი გამოიხატება სპეციალური კანონმდებლობისა და მაკონტროლებელი/მარეგულირებელი ორგანოების შექმნით.

საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ დიდწილად ეფუძნება ევროკავშირის დირექტივებს. თუმცა ზემოთ განხილული საკითხები ცხადყოფს, რომ ქართული კანონმდებლობა დასახვეწია. ის საჭიროებს ჰარმონიზაციას ევროკავშირის სამართალთან უსამართლო კომერციული საქმიანობის ნაწილში, რათა რეგულირების მიღმა არ დარჩეს მოვაჭრეთა ცალკეული ქმედებები. უფრო კონკრეტულად კი, უმჯობესი იქნება, თუ კანონის 25-ე და 26-ე მუხლების მოქმედება გავრცელდება მოვაჭრეთა ისეთ ქმედებაზე, რომელსაც მომხმარებლის ნებაზე გავლენა აქვს არა მხოლოდ გარიგების დადებამდე (*ex ante*), არამედ გარიგების დადების შემდგომაც (*ex post*), რათა არ იყოს საჭირო კანონის 24-ე მუხლის იმგვარი ინტერპრეტირება, რომელიც არ იქნება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი.

როგორ განმარტა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები ოჯახში ძალადობის საქმეებზე საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებებით

ანა ნაცვლიშვილი

1. შესავალი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული ერთ-ერთი უმთავრესი იდეა ისაა, რომ ადამიანი სახელმწიფოსაგან ავტონომიური სუბიექტია და მისი ავტონომია გარანტირებულია ე.წ. თავისუფლების უფლებათა მთელი რიგით, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანისთვის არსებობისა და საქმიანობის სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელ სფეროს. სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს ამ თავისუფლებებით დაცულ სფეროში, არ უნდა განახორციელოს რაიმე აქტიური მოქმედება, თავი უნდა შეიკავოს (სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება).¹ ჩარევა, თუკი ასეთი ხდება, დასაშვებია მხოლოდ კონვენციით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში, როცა ეს ხდება კანონის საფუძველზე, აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.² სხვა შემთხვევაში ჩარევა კონვენციის დარღვევაა. რამდენიმე უფლებასთან მიმართებით ასეთი გამონაკლისი საერთოდ არ არის დასაშვები. ასეთია, მაგალითად, წამებისაგან თავისუფლების უფლება, რომელიც აბსოლუტურ უფლებად მიიჩნევა, ისევე როგორც მონობის აკრძალვა.³

დროთა განმავლობაში კი ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ [შემდგომში – სასამართლო] კონვენციის პირველ მუხლში, რომელიც მონაწილე სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, „უზრუნველყონ“ შემდგომ მუხლებში ჩამოთვლილი უფლებები, ამგვარი შინაარსი ამოიკითხა: კონვენციით გარანტირებული უფლებების „უზრუნველყოფა“ ნიშნავს მათ პრაქტიკაში ეფექტიანად დაცვას, რაც ზოგჯერ არა სახელმწიფოს ჩაურევლობასა და პასიურობას, არამედ სწორედ რომ აქტიურ მოქმედებებს მოითხოვს მისგან (სახელმწიფოს პოზიტიური

1 მარქსი ბელგიის წინააღმდეგ, (*Marckx v. Belgium*), 1979 წლის 13 ივნისი, 31-ე პუნქტი; სილიადინი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Siliadin v. France*), 2005 წლის 26 ივლისი, 77-ე-81-ე პუნქტები.

2 იხ., მაგ., ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Handyside v. UK*), 1976 წლის 7 დეკემბერი, 42-ე-59-ე პუნქტები.

3 ჩაჰალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Chahal v. UK*), 1996 წლის 15 ნოემბერი, 79-ე-მე-80 პუნქტები.

ვალდებულება).⁴ ასეთია მოცემულობა, როდესაც უფლების დასაცავად სახელმწიფოსაგან განზე დგომა და ადამიანის ავტონომიურობის ამგვარად პატივისცემა აღარ არის საკმარისი; პირიქით, საჭიროა აქტიური მოქმედებები ამა თუ იმ უფლების დასაცავად მესამე პირთა მხრიდან (შესაძლო) ხელყოფისაგან.⁵

კონვენციის შინაარსის ამგვარი განვითარება და მასში არა მხოლოდ ნეგატიური, არამედ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების ამოკითხვა უმნიშვნელოვანესი განაცხადია, რომელიც მილიონობით ადამიანს ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების იურისდიქციის ქვეშ აძლევს იმედს და თავისი უფლებების დაცვის სრულიად ახალ შესაძლებლობებს, თუმცა, ამავე დროს, აჩენს არაერთ კითხვას: ნეგატიური ვალდებულება გულისხმობს სახელმწიფოს ჩაურევლობას, უმოქმედობას, რაც გაცილებით ცხადი და ნათელი მოთხოვნაა, ვიდრე ის, თუ რა ტიპის მოქმედებას შეიძლება გულისხმობდეს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, ვინაიდან სასამართლოს არ ჩამოუყალიბებია რაიმე ამომწურავი სია იმ მოქმედებებისა, რომლებიც სახელმწიფოს მოეთხოვება პოზიტიური ვალდებულების შესასრულებლად. პრაქტიკაში ეს შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვაგვარი მოქმედებების საკმაოდ მრავალფეროვან პალიტრას.⁶ რთულია, ზუსტად განისაზღვროს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ფარგლები უმოქმედობისათვის.⁷ შესაბამისად, ხშირად ბუნდოვანია, კონკრეტულად როდის წარმოიშობა სახელმწიფოს ვალდებულება – იმოქმედოს და რამდენად შორსმიმავალია ეს ვალდებულება.⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ იძლევა ზოგად თეორიას პოზიტიური ვალდებულებების შესახებ და არ განსაზღვრავს ერთიან ანალიტიკურ ჩარჩოს იმის დასადგენად, თუ როდის წარმოიშობა და რამდენად ფართოა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები.⁹ ზოგიერთი მკვლევარი ამის გამო სასამართლოს აკრიტიკებს კიდევ.¹⁰ ამ ბუნდოვანებების მიუხედავად, სასამართლო ძალიან აქტიურად იყენებს პოზიტიურ ვალდებულების ცნებას სახელმწიფოსათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად კონკრეტული უფლებების დარღვევის საფუძველით.

4 იხ., მაგალითად, A. Mowbray, The Development of Positive Obligations Under the European Convention on Human Rights by the European Court of Human Rights, *Human Rights Law Review*, Vol. 5, Issue 1, 2005, 191–195; J. Akandji-Kombe, Positive Obligations under the European Convention on Human Rights: A guide to the implementation of the European Convention on Human Rights, Council of Europe Publishing, 2007.

5 იქვე.

6 იქვე.

7 Vladislava Stoyanova, Positive Obligations under the European Convention on Human Rights: Within and Beyond Boundaries, Oxford University Press, 2023, 2.

8 იქვე.

9 იქვე.

10 იხ., მაგ., M. Hakimi, State Bystander Responsibility, 21 *European Journal of International Law*, 2012, 341, 349; P. van Dijk, Positive Obligations” Implied in the European Convention on Human Rights: Are the States Still the ‘Masters’ of the Convention?” in M. Castermans- Holleman and others (eds), *The Role of the Nation- State in the 21st Century*, Kluwer 1998, 17, 22.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა, რომელთან მიმართებითაც სასამართლომ კონვენციაში სწორედ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება და, შესაბამისად, მისი აქტიური მოქმედების ვალდებულება ამოიკითხა, არის ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა.¹¹

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ტექსტი საერთოდ არ ახსენებს ტერმინებს: „ქალთა უფლებები“, „ოჯახში ძალადობა“, თუმცა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებებში დაადგინა, რომ „ქალთა მიმართ ძალადობა“, „ოჯახში ძალადობა“ კონვენციის მოქმედების სფეროში ხვდება, რადგან იგი შეიძლება არღვევდეს კონვენციის ერთ ან რამდენიმე მუხლს: სიცოცხლის უფლებას (რომელიც დაცულია მე-2 მუხლით),¹² წამებისაგან თავისუფლების უფლებას (რომელიც დაცულია მე-3 მუხლით),¹³ პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებას (რომელიც დაცულია მე-8 მუხლით).¹⁴ შესაბამისად, სასამართლომ თავის არაერთ გადაწყვეტილებაში მყარად დაადგინა, რომ კონვენცია სახელმწიფოებს ავალდებულებს, დაიცვან პირი ოჯახში ძალადობისგან. სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ამ საკითხზე მუდმივად იზრდება და ვითარდება.¹⁵

აღსანიშნავია, რომ სასამართლოსავე განმარტებით, ჩამოთვლილ უფლებებთან ერთად, მომხდარ ძალადობაზე სახელმწიფოს რეაგირების კონტექსტში, შეიძლება, ასევე დაირღვეს პირის სამართლიანი სასამართლოს უფლება (დაცულია კონვენციის მე-6 მუხლით),¹⁶ დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლება (დაცულია კონვენციის მე-14 მუხლით).¹⁷ ამგვარად, სასამართლოს მიერ განვითარებულმა მსჯელობამ არაერთ გადაწყვეტილებაში ნათელი გახადა, რომ ოჯახში ძალადობა პირდაპირ ექცევა ევროპული კონვენციის მოქმედების სფეროში.

კონვენციაში ამგვარი შინაარსის ამოკითხვა, ფაქტობრივად, რევოლუციური განაცხადია იმ ფონზე, როდესაც საუკუნეების განმავლობაში არაერთ სოციალურ, მათ შორის წევრ სახელმწიფოებში, გაბატონებული იყო წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ ყველაფერი, რაც ოჯახში ხდება, ოჯახის საქმეა და იქ არც სახელმწიფოს და არც საზოგადოებას არაფერი ესაქმება.¹⁸ სასამართლომ გარკვევით განაცხადა, რომ ოჯახში ძალადობის დროს სახელმწიფოს ჩარევა ლეგიტიმური და აუცილებელია.¹⁹ თუმცა ის გარემოება, რომ ოჯახში ძალადობა ხდება არასაჯარო,

11 ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ (*Opuz v. Turkey*), 2009 წლის 9 ივნისი.

12 იქვე.

13 იქვე.

14 ა. ბორვატიის წინააღმდეგ, (*A v. Croatia* 2011), 2011 წლის 14 იანვარი; კალუჩა უნგრეთის წინააღმდეგ (*Kalucza v. Hungary*), 2012 წლის 24 ივლისი.

15 R. J.A. McQuigg, *The European Court of Human Rights and Domestic Violence: Volodina v. Russia*, *International Human Rights Law Review*, 2021, 155-167.

16 იხ., მაგ., რუმორი იტალიის წინააღმდეგ (*Rumor v. Italy*), 2014 წლის 27 აგვისტო; დ.მ.დ. რუმინეთის წინააღმდეგ (*D.M.D. v. Romania*), 2017 წლის 3 ოქტომბერი.

17 ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ (*Opuz v. Turkey*), 2009 წლის 9 ივნისი.

18 იხ., მაგ., ბევაკუა ბულგარეთის წინააღმდეგ (*Bevacqua and S. v. Bulgaria*), 2008 წლის 12 ივნისი, 83-ე პუნქტი.

19 ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ (*Opuz v. Turkey*), 2009 წლის 9 ივნისი, 144-ე პუნქტი.

პირად სივრცეში სახელმწიფოს მხრიდან ლეგიტიმური ჩარევის ფარგლების თაობაზე აჩენს არაერთ კითხვას. ოჯახში ძალადობისაგან დაცვის ვალდებულება გამორჩეული შემთხვევაა, რადგან სახელმწიფოს ევალება, დაიცვას ადამიანი პირად სივრცესა თუ პირად ურთიერთობებში, ანუ იქ, სადაც სახელმწიფო, როგორც წესი, არ უნდა იყოს წარმოდგენილი ადამიანის ავტონომიურობის პატივისცემის ვალდებულებიდან გამომდინარე. ამ სპეციფიკის გათვალისწინებით, ისმის კითხვები: რას შეიძლება გულისხმობდეს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, რა არის ის პასუხისმგებლობა, რომელიც შეიძლება სამართლიანად დავაკისროთ სახელმწიფოს ამ კონტექსტში? როდის იწყება ეს ვალდებულება, რა მასშტაბისაა ის?

პასუხები ამ კითხვებზე მნიშვნელოვანია როგორც ინდივიდებისა (პოტენციური მოსარჩევეებისათვის) და პროფესიული საზოგადოებისთვის (მკვლევარებისთვის, ადვოკატებისთვის და ა.შ.), ისე სახელმწიფოსათვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული არასწორი მოლოდინების განვითარება, ისევე როგორც სახელმწიფოს არასაკმარისი მოქმედება თუ უფლებამოსილების არასწორად გამოყენება.

წინამდებარე სტატიის მიზანია, წვლილი შეიტანოს ზემოაღნიშნულ კითხვებზე პასუხის ძიებაში. ამ მიზნით სტატია აანალიზებს ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოსთან მიმართებით გამოტანილ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ოჯახში ძალადობის თემას ეხება.

საქართველო ერთ-ერთი ის ქვეყანაა კონვენციის წევრ სახელმწიფოთა შორის, სადაც ქალთა მიმართ ძალადობა, ოჯახში ძალადობა, ქალთა ჩაგვრა და დისკრიმინაცია, მათ შორის მისი უკიდურესი ფორმა – ფემიციდი, სერიოზული გამოწვევაა.²⁰ მიუხედავად არაერთი საკანონმდებლო ცვლილებისა, რომლებიც ბოლო წლებში განხორციელდა, პრაქტიკაში ვითარება მძიმეა, რასაც სტრასბურგის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიც მოწმობს.²¹ შესაბამისად, საქართველოსთან დაკავშირებით გამოტანილი გადაწყვეტილებები კარგი მასალაა იმის გასაანალიზებლად, რა სირთულეებს ქმნის პრაქტიკაში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა და რა ტიპის ვალდებულებები ეკისრება ამ მიმართულებით სახელმწიფოს.

ამასთან, ეს გადაწყვეტილებები 2021-2023 წლებშია გამოტანილი და ინტენსიურად ეყრდნობა და მიუთითებს ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებში სხვა მონაწილე სახელმწიფოებთან მიმართებით სასამართლოს მიერ უფრო ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე. შესაბამისად, შეიძლება მტკიცება, რომ ამ საქმეებში დადგენილი თუ გამოყენებული სტანდარტები სასამართლოს ხედვის ერთგვარი უახლესი შეჯამებაა ოჯახში ძალადობის საკითხებზე და იმაზე, თუ რა შინაარსის

20 Group of Experts on Action Against Violence Against Women and Domestic Violence (GREVIO), Baseline Evaluation Report, Georgia, 2022.

21 თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ (*Tkheldize v. Georgia*), 2021 წლის 8 ივლისი; ა და ბ. საქართველოს წინააღმდეგ (*A and B v. Georgia*), 2022 წლის 10 თებერვალი; გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ (*Gaidukevich v. Georgia*), 2023 წლის 15 ივნისი.

და მასშტაბის პოზიტიურ ვალდებულებებს აკისრებს კონვენცია სახელმწიფოს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში.

დაბოლოს, მიუხედავად საკითხის აქტუალობისა, აკადემიური ნაშრომები საკითხებზე, რასაც სტატია ეხება, ქართულენოვანი მკითხველისათვის უხვად ხელმისაწვდომი არ არის, შესაბამისად, სტატიის ერთ-ერთი ამოცანა ამ ვაკუუმის შევსებაც არის.

თუმცა აღსანიშნავია, რა თემებს არ ეხება წინამდებარე სტატია: ის არ აანალიზებს, როგორ ვითარდებოდა სასამართლოს ხედვა დროთა განმავლობაში სახელმწიფოს ვალდებულების ფარგლებსა და ბუნებაზე ოჯახში ძალადობასთან მიმართებით და არც ამ სამი საქმის შედარებით ანალიზს სთავაზობს მკითხველს ოჯახში ძალადობის თაობაზე სასამართლოს მიერ უფრო ადრე მიღებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით. ამ თემაზე გამოტანილ სასამართლოს გადაწყვეტილებებს შორის მკვლევრები განსხვავებულ მიდგომებზეც საუბრობენ არაერთ საკითხთან მიმართებით,²² თუმცა ამ კუთხით ქართული საქმეების შეფასება არ არის სტატიის მიზანი.

საყურადღებოა, რომ საქართველოსთან დაკავშირებით გამოტანილ გადაწყვეტილებებში მოსარჩელები აყენებდნენ მე-2, მე-3 და მე-14 მუხლების დარღვევის საკითხებს, და არ დაუყენებიათ სხვა მუხლები, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე. სასამართლომ ამ საქმეებში კონვენციის მე-2 და მე-14 მუხლების ფარგლებში იმსჯელა და აღარ ჩაუთვლია საჭიროდ, მე-3 მუხლის ქრილშიც განევითარებინა მსჯელობა. შესაბამისად, წინამდებარე სტატია ამავე ფარგლებით იქნება შეზღუდული.

2. გადაწყვეტილებების მიმოხილვა

ამ დროისათვის ადამიანის უფლებათა სასამართლოს სამი გადაწყვეტილება აქვს გამოტანილი საქართველოს მიმართ, რომლებიც ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობას ეხება. ეს გადაწყვეტილებებია: *თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ* (2021), რომელიც 2014 წელს მომხდარ მკვლელობას ეხება, ა. და ბ. *საქართველოს წინააღმდეგ* (2022), რომელიც ასევე 2014 წელს მომხდარ მკვლელობას ეხება, და *გაიდუეკვიჩი საქართველოს წინააღმდეგ* (2023), რომელიც 2017 წელს მომხდარ თვითმკვლელობამდე მიყვანას ეხება. თითოეულ ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ დაადგინა არა მხოლოდ უფლებების დარღვევა, არამედ სისტემური პრობლემა და მიუთითა სამართალდამცავი და სასამართლო ხელისუფლებების მძიმე მარცხზე, რასაც შედეგად მოჰყვა ადამიანების სიცოცხლის ხელყოფა და კონვენციის არაერთი მუხლის დარღვევა საქართველოს მხრიდან.

22 K. Lemmens, S. Van Drooghenbroeck, *How “Systemic” is the European Court of Human Rights’ Approach to “Systemic” Violations of the Convention?* German Law Journal 2023; 24(6) 1044-1061.

სტრასბურგის სასამართლოს მიერ განხილული სამივე საქმე ფატალურად დასრულდა. ყველა ამ საქმეს აერთიანებს ის გარემოება, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა იცოდნენ ძალადობის შესახებ, მაგრამ არცერთ საქმეში არ იმოქმედეს სათანადოდ, ზოგ შემთხვევაში საერთოდ არანაირი ღონისძიება არ გაატარეს ძალადობის აღსაკვეთად და შემდგომი რისკების პრევენციისათვის. ამავე დროს, ვერცერთ საქმეში ხელისუფლებამ ვერ შეძლო, პოსტფაქტუმ მაინც ეფექტიანად და სრულყოფილად გამოეძიებინა ჩადენილი ძალადობრივი დანაშაული და/ან პოლიციელთა მხრიდან ჩადენილი უმოქმედობა, რითაც ორმაგად დაარღვია მსხვერპლთა უფლებები.

სტრასბურგში განხილულ სამივე საქმეში ასევე ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ეროვნული კანონმდებლობის შეფასებისას სასამართლოს არ გამოუთქვამს რაიმე კრიტიკა და არ მიუთითებია მის ნაკლოვანებებზე. ეს არც მოსარჩელებს გაუხდიათ საკამათო. სამივე საქმეში პრობლემა იყო არა კანონმდებლობა, არამედ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და ინსტრუმენტების პრაქტიკაში გამოუყენებლობა და სამართალდამცავთა მხრიდან უმოქმედობა, ზოგ შემთხვევაში კი, ასევე, ამ მექანიზმების თაობაზე არასწორი ინფორმაციის მიწოდება ძალადობის მსხვერპლთათვის.

ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული თითოეული საქმე და გაანალიზებული, როდის და რა შემთხვევაში დგება სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ოჯახში ძალადობის საქმეებში და რა არის ამ ვალდებულების ფარგლები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვით კონვენციის მე-2 და მე-14 მუხლების კონტექსტში.

2.1. თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ (2021)²³

საქმის არსი (ფაქტობრივი გარემოებები)

თხელიძის საქმე ეხებოდა ქალის მკვლელობას მასთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მამაკაცის მიერ. მკვლელობამდე იყო სიტყვიერი და ფიზიკური ძალადობისა და სიცოცხლის მოსპობის მუქარის არაერთი ეპიზოდი, რომელზეც როგორც დაზარალებულმა, ისე მოძალადის მშობლებმა, ვისთან ერთადაც წყვილი ცხოვრობდა, არაერთხელ მიმართეს სამართალდამცავ ორგანოებს, თუმცა მათ ეფექტიანი რეაგირება არ მოუხდენიათ. კაცს ახასიათებდა პათოლოგიური ეჭვიანობა, ალკოჰოლდამოკიდებულება. პოლიციას მან თავად მიაწოდა ცნობები იმის შესახებ, რომ იყო ნასამართლევი ქურდობისთვის და ნარკოტიკების უკანონო ფლობისთვის. ერთ-ერთ ჯერზე დაზარალებულის ცემის შესახებ ინფორმაცია, რომლის შედეგადაც ქალს სამედიცინო დახმარება დასჭირდა, ადგილზე მისულმა პატრულმა დააოქმა და მიუთითა როგორც ფიზიკურ ძალადობაზე (**criminal battery**), ასევე სამედიცინო დახმარების საჭიროებაზე. მოძალადემ დაკითხვის

²³ თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ (*Tkheldize v. Georgia*), 2021 წლის 8 ივლისი.

დროს აღიარა მუქარის ფაქტები, თუმცა იქვე დაჰპირდა პოლიციელს, რომ ქალს არაფერს დაუშავებდა, რადგან ის უყვარდა. კრიმინალურმა პოლიციამ, რომელმაც იმავე დღეს გამოკითხა დაზარალებული, აღნიშნული შემთხვევა გადააკვალიფიცირა და შეაფასა როგორც ნაკლებად სერიოზული ხელის კვრა ("shove"), და დაამატა, რომ, მსხვერპლის განმარტებით, მას არ დასჭირვებია რაიმე სახის სამედიცინო დახმარება. პოლიციამ განუმარტა მოსარჩელეს (დაზარალებულის დედას), რომ პირის დაკავება ან რაიმე სხვა შემზღუდავი ღონისძიების გატარება არ იყო შესაძლებელი, რადგან ინციდენტი „უმნიშვნელო ოჯახური უთანხმოება“ იყო. საქმეზე გამოძიება არასოდეს დაწყებულა.²⁴

მას შემდეგ, რაც დაზარალებული საცხოვრებლად დედასთან გადავიდა, მოძალადის მხრიდან მიიღო მუქარის შემცველი შეტყობინებები მის და შვილის მიმართ. ქალმა ამის შესახებ პოლიციას შეატყობინა, მაგრამ ამას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია.²⁵ როდესაც მუქარა გაგრძელდა და ქალმა სისხლის სამართლის გამოძიება მოითხოვა, დაკითხვაზე მოძალადემ განაცხადა, რომ მას, უბრალოდ, უყვარდა ეს ქალი და სურდა მასთან დაბრუნება. ამ განცხადების შემდეგ პოლიციელმა სიცოცხლის მოსპობის მუქარა, რომელზეც დაზარალებული მიუთითებდა, გადააკვალიფიცირა როგორც სიტყვიერი შეურაცხყოფა და თხოვნა, დაბრუნებოდნენ ერთად ცხოვრებას. სისხლის სამართლის გამოძიება არ დაწყებულა, თუმცა მოძალადე ოფიციალურად იქნა გაფრთხილებული, რომ არანაირ კონფლიქტში აღარ შესულიყო ქალთან, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონის სრული სიმკაცრით დაისჯებოდა.²⁶

საქმის მასალებში ასევე არის ინფორმაცია ძალადობრივ ინციდენტზე, რომლის შემდეგაც გამოძახებულმა პოლიციელმა ურჩია დაზარალებულს, ამის შესახებ დალაპარაკებოდა საკუთარ ძმებს, რომლებიც მოძალადეს „ძვლებს დაუნგრევდნენ“. დაზარალებულის გარდა, პოლიციას ასევე სამჯერ მიმართა დაზარალებულის დედამ (მოსარჩელემ სტრასბურგის სასამართლოში), სადაც მიუთითებდა მისი შვილის სიცოცხლისთვის შექმნილ რისკებზე, თუმცა პოლიციამ მას უთხრა, რომ დამნაშავისათვის ფაქტზე უნდა წაესწრო, სხვა შემთხვევაში ვერანაირ ღონისძიებას ვერ გაატარებდა.²⁷

ბოლოს, მოძალადემ სამსახურში, უნივერსიტეტში, მოკლა მსხვერპლი, ხოლო შემდეგ თავი მოიკლა. ამ ფაქტზე იმავე დღეს დაიწყო სისხლის სამართლის გამოძიება, რომელიც მალევე შეწყდა, რადგან დამნაშავე ცოცხალი აღარ იყო.

გარდაცვლილის დედამ რამდენჯერმე მიმართა პროკურატურას და მოითხოვა პოლიციელების წინააღმდეგ სისხლის სამართლის გამოძიების დაწყება გენდერული მიკერძოებით განპირობებული უმოქმედობის გამო. მისი არაერთი მოთხოვნის

24 იქვე, მე-9 პუნქტი.

25 იქვე, მე-11 პუნქტი.

26 იქვე, მე-12 პუნქტი.

27 იქვე, მე-18 პუნქტი.

მიუხედავად, საჩივრებზე პასუხი არ მიუღია, პროკურატურამ მხოლოდ წერილობით დაუდასტურა საჩივრის მიღების ფაქტი.

მხარეთა პოზიციები და არგუმენტები

ადამიანის უფლებათა სასამართლოში საჩივარი შეიტანა გარდაცვლილის დედამ. მოსარჩელის მტკიცებით, პოლიციამ არ გაატარა პრევენციული ღონისძიებები მისი შვილის დასაცავად. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ რეაგირება პოლიციის და პროკურატურის მხრიდან მისი და მისი შვილის არაერთი საჩივრის მიმართ იყო არასათანადო და დისკრიმინაციული, პოლიციამ „არაადეკვატურად და არასრულყოფილად შეაგროვა მტკიცებულებები და მოახდინა მათი დოკუმენტირება“, ²⁸ ასევე არასათანადოდ გამოიძია გარემოებები, რამაც მისი შვილის მკვლელობამდე მიიყვანა საქმე და არ მოხდა იმ პირთა პასუხისგებაში მიცემა, ვისი უმოქმედობითაც ეს გახდა შესაძლებელი. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ კონვენციის მე-2 და მე-14 მუხლები დაირღვა. ²⁹

ხელისუფლებას საქმის ფაქტობრივი გარემოებები არ გაუხდია საკამათო. მათი პოზიცია თხელიძის საქმეში შემოიფარგლა იმით, რომ წარადგინეს იმ საკანონმდებლო, საბიუჯეტო და ადმინისტრაციული ღონისძიებების მიმოხილვა, რომლებიც სახელმწიფომ განახორციელა ქალთა მიმართ ძალადობის დასამარცხებლად 2014 წლიდან მოყოლებული. სახელმწიფომ სასამართლოს ასევე წარუდგინა ინფორმაცია სასამართლო, საპროკურორო და სამართალდამცავი ორგანოებისთვის ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე ჩატარებულ ტრენინგებსა და ცნობიერების ამაღლების კურსებზე 2015-იდან 2017 წლამდე პერიოდში. ³⁰

სასამართლოს შეფასება

სასამართლომ მოკლედ მიმოიხილა მის მიერ დადგენილი სტანდარტები წინა გადაწყვეტილებებში, როგორც სიცოცხლის უფლების მიმართ, ზოგადად, ისე ოჯახში ძალადობის საქმეებზე; შემდეგ სასამართლომ შეაფასა, თუ რამდენად მოხდა ამ სტანდარტების დაკმაყოფილება მოცემულ საქმეში საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ სიცოცხლის უფლება სახელმწიფოს ავალდებულებს, არა მხოლოდ თავად არ ხელყოს სხვისი სიცოცხლე, არამედ ასევე გადადგას ის ნაბიჯები, რაც დაიცავს პირის სიცოცხლეს მესამე პირთა მხრიდან ხელყოფისაგან. ³¹ ეს კი, უპირველესად, გულისხმობს სისხლის სამართლის სათანადო კანონმდებლობის შექმნას, რომელიც, იმავდროულად, გამყარებული იქნება სამართალდამცავი სისტემით – დანაშაულის წინააღმდეგ კანონის

²⁸ იქვე, 44-ე პუნქტი.

²⁹ იქვე.

³⁰ იქვე, 45-ე პუნქტი.

³¹ კალველი და ჩიგლიო იტალიის წინააღმდეგ (*Calvelli and Ciglio v. Italy*), 2002 წლის 17 იანვარი, 48-ე პუნქტი.

პრევენციული, რეპრესიული და სადამსჯელო ფუნქციების აღსასრულებლად.³² ამასთან, შესაბამის ვითარებაში სახელმწიფო ვალდებულია, გაატაროს პრევენციული ხასიათის ოპერატიული ღონისძიებები იმათ დასაცავად, ვისი სიცოცხლეს რისკის ქვეშაა მესამე პირების მხრიდან.³³ ოჯახში ძალადობის მსხვერპლები, როგორც მოწყვლადი ჯგუფი, ამგვარ კატეგორიას მიეკუთვნება.³⁴ როდესაც სახელმწიფოს აქვს, ან, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, უნდა ჰქონდეს ინფორმაცია, რომ პირს ემუქრება მყისიერი და რეალური საფრთხე, როდესაც არსებობს ეჭვები ოჯახურ ძალადობაზე ან ქალთა მიმართ ძალადობაზე, დანაშაულის განსაკუთრებული ბუნების გათვალისწინებით, ხელისუფლება ვალდებულია, იმოქმედოს მყისიერად და, ამასთან, გამოიჩინოს განსაკუთრებული გულისხმიერება (*special diligence*),³⁵ რათა გაუმკლავდეს ოჯახში ძალადობას.

თუმცა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სახელმწიფოს ვალდებულება, გაატაროს ოპერატიული პრევენციული ხასიათის ღონისძიებები, არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ის სახელმწიფოს „შეუძლებელ ან არაპროპორციულ ტვირთს“ აკისრებდეს. მოქმედების ვალდებულება სახელმწიფოს წარმოეშობა არა ყველა საჩივართან მიმართებით, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფომ იცის, ან, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, უნდა იცოდეს, რომ მესამე პირის მხრიდან იდენტიფიცირებად მსხვერპლს ემუქრება საფრთხე, რომელიც არის რეალური და მყისიერი. სახელმწიფო არღვევს პოზიტიურ ვალდებულებებს, როდესაც ინფორმირებულობის მითითებული სტანდარტი სახეზეა, მაგრამ სახელმწიფო უმოქმედოა და არ ატარებს ღონისძიებებს, რომელთა გატარება მის უფლებამოსილებაში შედის და რომლებსაც, გონივრულობის სტანდარტით, საფრთხის თავიდან აცილება შეუძლია.³⁶

ამ საქმეში სასამართლომ მიიჩნია, რომ, რაკი მსხვერპლმა, დაზარალებულმა, დროის ძალიან მცირე მონაკვეთში, 6 თვის განმავლობაში, 11-ჯერ მიანიც ითხოვა დახმარება სამართალდამცავი ორგანოებისაგან, სახელმწიფომ იცოდა, რომ მას ემუქრებოდა რეალური და მყისიერი საფრთხე; განმეორებითი ხასიათის ძალადობის დროს ნაკლებად შეიძლება რჩებოდეს ეჭვი იმის თაობაზე, რომ მსხვერპლს მყისიერი საფრთხე ემუქრება. ამ ყოველივეს მიუხედავად, პოლიციამ არჩია, მომხდარი „უმნიშვნელო ოჯახურ უთანხობედ“ შეეფასებინა, მან არ განახორციელა რისკის შეფასება ავტონომიურად, პროაქტიულად და ყოვლისმომცველი სახით,

32 *ონერილდიზი თურქეთის წინააღმდეგ*, (*Oneryildiz v. Turkey*), 2002 წლის 18 ივნისი, 91-ე პუნქტი.

33 *კონტროვა სლოვაკეთის წინააღმდეგ* (*Kontrova v. Slovakia*), 2007 წლის 24 სექტემბერი, 49-ე პუნქტი.

34 *ტალპისი იტალიის წინააღმდეგ* (*Talpis v. Italy*), 2017 წლის 18 სექტემბერი, 99-ე პუნქტი.

35 *კურტი ავსტრიის წინააღმდეგ* (*Kurt v. Austria*), დიდი პალატის გადაწყვეტილება, 2021 წლის 15 ივნისი, 166-ე პუნქტი.

36 *თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ* (*Tkheldze v. Georgia*), 2021 წლის 8 ივლისი, 49-ე პუნქტი.

არ მიაღწა სათანადო ყურადღება ძალადობის მაპროვოცირებელი ფაქტორების არსებობას, მაგალითად პირის ალკოჰოლდამოკიდებულებას, პათოლოგიურ ეჭვიანობას და სხვ. ასევე, არ გაითვალისწინა, თავად დაზარალებული როგორ აღიქვამდა საფრთხეს და რომ ის უკიდურესად იყო შეშინებული.

სასამართლომ აღნიშნა, რომ, რაკი მსხვერპლმა არაერთხელ მიმართა სამართალდამცავ უწყებას საჩივრით, სადაც დეტალურად იყო აღწერილი ყოველივე, სისტემას ხელთ ჰქონდა უამრავი მტკიცებულება მოძალადის მიმართ სისხლის სამართლის გამოძიების დასაწყებად და მის დასაკავებლად, თუმცა პოლიციამ ეს არ გააკეთა, რაც სასამართლომ შეაფასა როგორც შოკისმომგვრელი (*deplorable*) საქციელი.³⁷ მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა პოლიციას უფლებამოსილებების მთელ რიგს ანიჭებდა, მათ შორის ადგილზევე შემაკავებელი ორდერის გამოცემის ან სხვა ღონისძიებების გატარებით, პოლიციამ ეს შესაძლებლობა არ გამოიყენა. მეტიც, პოლიციამ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა მსხვერპლს, თითქოს მას არც მოძალადის დაკავება და არც რამე სხვა ღონისძიების გატარება არ შეეძლო.³⁸

პოლიციელებთან ერთად, საქმეში გამოიკვეთა პროკურორთა პასუხისმგებლობაც. სასამართლომ დაადგინა, რომ, მომჩივნის არაერთგზის მიმართვის მიუხედავად, პროკურატურას არ გამოუვლენია პასუხისმგებელი პირები, არ გამოუკითხავს ისინი და არ გამოუძიებია მათი ბრალეულობა იმ არასათანადო რეაგირებისათვის, რაც მათ გამოიჩინეს გენდერულად მოტივირებული ძალადობის მრავლობით ეპიზოდთან დაკავშირებით.

სასამართლო დაეყრდნო წინა საქმეებში დადგენილ სტანდარტს და მიუთითა, რომ, როდესაც სახეზეა უმოქმედობა პოლიციის მხრიდან, რომელიც სცდება შეცდომასა თუ უბრალო გულგრილობას, და, რომელსაც შედეგად ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა მოჰყვა, სახელმწიფო ვალდებულია, სისხლის სამართლის წესით ჩაატაროს გამოძიება და პასუხისგებაში მისცეს შესაბამისი პირები.³⁹

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ კონვენციის მეორე მუხლი მოითხოვს არა უბრალოდ გამოძიების, არამედ ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას. ეფექტიანობა სასამართლომ განმარტა როგორც გონივრულ ვადაში წარმართული და „ადეკვატური“, ანუ ისეთი გამოძიება, რომელსაც შეუძლია, „დაადგინოს ფაქტები მომხდარის შესახებ და, სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, გამოკვეთოს და პასუხისგებაში მისცეს დამნაშავეები, იქნება ეს სახელმწიფო მოხელე თუ კერძო პირი“.⁴⁰ იქვე სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ გამოძიება ნაბიჯების გადადგმის

37 იქვე, 55-ე პუნქტი.

38 იქვე.

39 *ზინატულინი რუსეთის წინააღმდეგ (Zinatullin v. Russia)*, 2020 წლის 28 იანვარი, 33-ე პუნქტი.

40 *ლაკატოსოვა და ლაკატოსის სლოვაკეთის წინააღმდეგ (Lakatosova and Lakatos)*, 2019 წლის 11 მარტი, 73-ე პუნქტი.

ვალდებულებაა და არა შედეგის დადგომისა; ეფექტიანობის შეფასება კონკრეტული საქმის გარემოებებზეა დამოკიდებული და ამის საბოლოო შემფასებელი არის სასამართლო.⁴¹ როგორც სასამართლომ განაცხადა, „შეუძლებელია, სიტუაციების მრავალფეროვნება დავიყვანოთ სახელმწიფოს მიერ გასატარებელი ღონისძიებების უბრალო ჩამონათვალამდე თუ სხვა გამარტივებულ კრიტერიუმებამდე“.⁴²

სასამართლომ ხაზი გაუსვა მიუკერძოებელი და აქტიური (*with vigour*) გამოძიების აუცილებლობას განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არსებობს ეჭვი, რომ ძალადობრივი მოქმედებები ნახალისებულა (*induced*) ქალთა მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულებით.⁴³ ეს საჭიროა, რათა მუდმივად მოხდეს იმის ჩვენება, რომ მსგავსი დანაშაულები საზოგადოებისათვის მიუღებელია, ხოლო უმცირესობებს განუმტკიცდეთ რწმენა, რომ სახელმწიფოს შესწევს უნარი, დაიცვას ისინი დისკრიმინაციული ძალადობისაგან.⁴⁴ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები გულისხმობს, რომ შიდა სამართლის სისტემამ უნდა აჩვენოს უნარი, აღასრულოს სისხლის სამართალი ასეთი დანაშაულების ჩამდენების მიმართ.⁴⁵ თუ ასეთ დანაშაულებზე სამართალდამცავებმა არ გამოავლინეს სიმკაცრე, წინასწარ განწყობებით მოტივირებული დანაშაულების მიმართ ჩამოყალიბდება ისეთივე დამოკიდებულება, როგორიც ჩვეულებრივი დანაშაულების მიმართ, ხოლო ამისგან გამონეწეული ინდიფერენტულობა გაუტოლდება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ოფიციალურ შეწყნარებას და მათში თანამონაწილეობასაც კი.⁴⁶

სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართალდამცავთა უმოქმედობა ამ საქმეში კიდევ უფრო უპატივებელი იყო, რაკი ქალთა მიმართ ძალადობა აღიარებული იყო როგორც ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ქვეყანაში. ოჯახში ძალადობის საქმეების მსხვერპლთა დაახლოებით 87% იყო ქალი. სხვადასხვა საერთაშორისო მონიტორინგის ორგანო, ასევე სახალხო დამცველი, საუბრობდა ამ პრობლემაზე და აღნიშნავდა, რომ პრობლემის სათავე იყო დისკრიმინაციული გენდერული სტერეოტიპები და პატრიარქალური დამოკიდებულებები; ამას ემატებოდა ისიც, რომ სამართალდამცავი უწყებები არ იჩენდნენ პრობლემის მიმართ განსაკუთრებულ გულისხმიერებას (*lack of special diligence*), რაც ევალებოდათ. ხელისუფლებისთვის ცნობილი იყო ან უნდა ყოფილიყო ცნობილი ის მძიმე მდგომარეობა, რომლის წინაშეც იმყოფებოდნენ ქალები ამ ქვეყანაში; შესაბამისად, მას განსაკუთრებული გულისხმიერება (*particular diligence*) უნდა გამოეჩინა და ამ ჯგუფის მოწყვლადი

41 იქვე.

42 იქვე.

43 *თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ (Tkheidze v. Georgia)*, 2021 წლის 8 ივლისი, 51-ე პუნქტი.

44 იქვე.

45 *საბალიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (Sabalić v. Croatia)*, 2021 წლის 14 იანვარი, 95-ე პუნქტი.

46 *თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ (Tkheidze v. Georgia)*, 2021 წლის 8 ივლისი, 51-ე პუნქტი. იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (*Identoba and Others v. Georgia*), 2015 წლის 12 მაისი, 77-ე პუნქტი.

წევრებისთვის მომეტებული დაცვა უზრუნველყო.⁴⁷ ამის საპირისპიროდ, ეს საქმე ნათელი მაგალითი გახდა იმისა, თუ როგორ შექმნა „სამართალდამცავთა ზოგადმა და დისკრიმინაციულმა პასიურობამ ოჯახში ძალადობის შესახებ განცხადებების მიმართ ძალადობის შემდგომი გავრცელების ხელშემწყობი კლიმატი“.⁴⁸ იმის მიუხედავად, იყო ეს განზრახი ქმედება თუ არა, ოპერატიული პრევენციული ღონისძიებების გაუტარებლობით სახელმწიფომ დაარღვია კონვენციით გარანტირებული დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლება.⁴⁹ სახელმწიფომ ძალადობის ვერცერთ ეტაპზე ვერ შეძლო, გაეტარებინა ღონისძიებები, რითაც შეიძლება შეეცვალა საქმის ტრაგიკული დასასრული და შეემცირებინა ზიანი.⁵⁰ სამართალდამცავებმა უხეშად უგულვებელყვეს ქალის დაცვის შესაძლებლობების მთელი სპექტრი, რომელიც კანონმდებლობით იყო გათვალისწინებული და არ გამოიჩინეს განსაკუთრებული გულისხმიერება (*special diligence*), რათა ქალი დაეცვათ გენდერულად მოტივირებული ძალადობისაგან.⁵¹

სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფომ დაარღვია მე-2 მუხლით გათვალისწინებული როგორც მატერიალური, ისე პროცედურული ნაწილი, კონვენციის მე-14 მუხლთან ერთად.

2.2. ა და ბ საქართველოს წინააღმდეგ

საქმის არსი (ფაქტობრივი გარემოებები)⁵²

ა და ბ-ს საქმე ეხებოდა ახალგაზრდა ქალის განზრახ მკვლელობას ყოფილი მეუღლის, პოლიციელის მიერ, რომელთანაც ის არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა. მკვლელობას წინ უძღოდა დაძაბული ურთიერთობები, დაშორება და ქალის თავის მშობლებთან დაბრუნება საცხოვრებლად. ამას მოჰყვა მამაკაცის მხრიდან განგრძობადი მუქარა და ძალადობა, რის თაობაზეც ახალგაზრდა ქალმა არაერთხელ მიმართა სამართალდამცავ სისტემას, თუმცა უშედეგოდ. ერთ-ერთ ჯერზე, ცემის შემდეგ, მსხვერპლმა გამოიძახა პოლიცია. სამი პატრული მართლაც მივიდა გამოძახებაზე, თუმცა, როგორც მოწმეებმა დაადასტურეს, პოლიციელები კარგად იცნობდნენ მოძალადეს, რამაც ზეგავლენა მოახდინა გამოკითხვის პროცესზე. კერძოდ, იგი ესწრებოდა დაზარალებულის გამოკითხვას და ჩაერია კიდეც მასში, რაზეც პოლიციელებს არანაირი რეაგირება არ მოუხდენიათ. ძალადობის სავარაუდო ფაქტზე პოლიციელებმა ისე შეადგინეს ოქმი, რომ მოძალადე არც კი გამოუკითხავთ. ოქმი სათანადოდ არ ასახავდა მომხდარ ძალადობ-

47 *თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ (Tkheidze v. Georgia)*, 2021 წლის 8 ივლისი, 56-ე პუნქტი.

48 იქვე.

49 იქვე.

50 იქვე, 57-ე პუნქტი.

51 იქვე.

52 ა და ბ საქართველოს წინააღმდეგ (*A and B v. Georgia*), 2022 წლის 10 თებერვალი.

რიე ინციდენტს, არამედ მოიხსენიებდა მას როგორც „მცირე ოჯახურ კამათს“. დაზარალებულმა თავდაპირველად უარი განაცხადა ამგვარი ოქმის ხელმოწერაზე, თუმცა, საქმის მასალების მიხედვით, მოძალადემ მას აიძულა ხელმოწერა, რასაც პოლიციელებიც შეესწრნენ. ნასვლის წინ ერთ-ერთმა პოლიციელმა გააფრთხილა დაზარალებული, რომ შემდგომში სათანადო მიზეზის გარეშე აღარ გამოეძახებინა ისინი, წინააღმდეგ შემთხვევაში დაჯარიმდებოდა პოლიციის მოცდენისათვის, რომელიც უფრო სერიოზული საქმეებით იყო დაკავებული. მოძალადემ და პოლიციელებმა ერთი მანქანით დატოვეს ტერიტორია.

დაზარალებულმა იმავე დღეს მიმართა პროკურატურას, როგორც ყოფილი ქმრის, ისე პოლიციელების მოქმედებებთან დაკავშირებით. იგი აცხადებდა, რომ, რადგან მოძალადე პოლიციელი იყო, მას არ ჰქონდა პოლიციის მიმართ ნდობა და ამიტომაც მიმართა პროკურატურას. პროკურატურამ გამოკითხა დაზარალებული, ასევე მოძალადე და ერთ-ერთი პოლიციელი; ამ ორმა ძალადობის ფაქტები უარყო. პროკურატურამ მოძალადე ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლა და სისხლის სამართლის გამოძიება არ დაუწყო.

მონწეები მიუთითებენ, რომ მოძალადემ არაერთხელ გამოიყენა სამსახურებრივი მდგომარეობა დაზარალებულის წინააღმდეგ, მათ შორის სამსახურებრივი იარაღი; ის ასევე ემუქრებოდა მსხვერპლს, რომ მამამისის წინააღმდეგ ყალბ საქმეს აღძრავდა და ხშირად აღნიშნავდა, რომ არ ეშინოდა სამართალდამცავი სისტემის, რადგან თავად იყო სისტემის ნაწილი. ეს ინფორმაცია ცნობილი იყო სამართალდამცავებისთვისაც, თუმცა ისე მოხდა, რომ ამ პერიოდში მოძალადე დაანინაურეს კიდევ პოლიციის უფროსი ლეიტენანტის თანამდებობაზე. დაზარალებულმა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციასაც მიმართა ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით. ინსპექციაში გამოკითხვის შემდეგ მას ყოფილი მეუღლე ქუჩაში დახვდა და ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა.

მკვლელს იმავე დღეს წაუყენეს ბრალი. მან აღიარა ყოფილ მეუღლესთან დაძაბული ურთიერთობები და განაცხადა, რომ იარაღი გამოიყენა, რადგანაც გარდაცვლილმა იგი გამოინვია განზრახ პროვოკაციული და ვულგარული საუბრით, კერძოდ, უთხრა, რომ „თავისი პირადი და სექსუალური ცხოვრება მისი საქმე არ იყო“, რითაც „დაამცირა იგი“. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ყოფილი ქმარი განზრახ მკვლელობაში დამნაშავედ ცნო და მას 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა არც ბრალდება და არც მსჯავრი არ ითვალისწინებდა გენდერულ მოტივს. დაცვის მხარე აპელირებდა, რომ დანაშაული აფექტის მდგომარეობაში იყო ჩადენილი, რაც არ დაადასტურა სასამართლო ექსპერტიზამ.

მოსარჩელემ, გარდაცვლილის დედამ, საკუთარი და შვილიშვილის სახელით, მიმართა მთავარ პროკურატურას და მოითხოვა სისხლის სამართლის საქმის გამოძიება პოლიციელებისა და პროკურატურის მუშაკთა მხრიდან ჩადენილი გენდერული დისკრიმინაციით განპირობებული უმოქმედობის გამო.

პროკურატურამ დაიწყო გამოძიება, მაგრამ არავისთვის წარუდგენია ბრალი და არც დაზარალებულის სტატუსი მიუნიჭებია მოსარჩელისთვის. მიუხედავად

არაერთი მცდელობისა, პროკურორების მიმართ გამოძიების საკითხზე მოსარჩელეს არავითარი ინფორმაცია არ მიუღია.

მხარეთა არგუმენტები

ამ საქმეში ხელისუფლება დავობდა, რომ, რაკი მოსარჩელემ ეროვნულ დონეზე მიიღო კომპენსაცია და სამოქალაქო წესით მოხდა სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილი უმოქმედობის აღიარება, ხოლო მოძალადე გასამართლდა, მოსარჩელე ველარ ჩაითვლებოდა დაზარალებულად სტრასბურგის სამართალწარმოების მიზნებისათვის და მისი საჩივარი დაუშვებლად უნდა ყოფილიყო ცნობილი.⁵³

მოსარჩელე ეწინააღმდეგებოდა ზემოაღნიშნულ არგუმენტს. ის ასევე დავობდა, რომ პოლიციამ და პროკურორებმა ვერ დაიცვეს მისი შვილი, არასაკმარისად და არაადეკვატურად შეაგროვეს მტკიცებულებები ოჯახში ძალადობის შესახებ, და მათი რეაგირება იყო არაადეკვატური და დისკრიმინაციული, რასაც დაემატა სახელმწიფოს უმოქმედობა, გამოეძიებინა იმ სამართალდამცავთა საქმეები, ვისი უმოქმედობითაც მისი შვილის საქმე ფატალურად დასრულდა.

სახელმწიფოს საკამათოდ არ გაუხდია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არც სამართლებრივი არგუმენტები, რომლებიც საქმის არსებით ნაწილთან დაკავშირებით იქნა წარდგენილი მოსარჩელის მხრიდან. ხელისუფლება მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ სასამართლოს წარუდგინა ინფორმაცია განხორციელებული საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, საბიუჯეტო ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მან განახორციელა ოჯახში ძალადობის დასაძლევად და, ზოგადად, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 2014 წლის შემდეგ. მათ შორის ევროპულ სასამართლოში სახელმწიფომ წარადგინა ინფორმაცია 2015-2017 წლებში პოლიციელებისათვის, პროკურორებისა და მოსამართლეებისათვის ჩატარებული ტრენინგებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიების შესახებ.⁵⁴

სასამართლოს მსჯელობა და შეფასება

სასამართლომ გაიმეორა მის მიერ დადგენილი სტანდარტები წინა გადაწყვეტილებებში, ხოლო შემდეგ შეაფასა, რამდენად იმოქმედა სახელმწიფომ ამ საქმეში აღნიშნული სტანდარტების შესაბამისად.

სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციამ ვერ გამოავლინა განსაკუთრებული გულისხმიერება, რომელიც მოეთხოვებოდა ოჯახში ძალადობის საქმეებში; პირიქით, მათ განიცადეს სერიოზული მარცხი, რადგან მათ მიერ შეგროვებული მტკიცებულებები იყო „არაზუსტი, არასრულყოფილი და შეცდომაში შემყვანიც კი“.⁵⁵ სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ასეთი დამოკიდებულება მტკიცებულებების მი-

53 იქვე, 33-ე პუნქტი.

54 იქვე, 38-ე პუნქტი.

55 იქვე, 47-ე პუნქტი.

მართ არ აძლევს სამართალდამცავებს შესაძლებლობას, ადეკვატურად შეაფასონ მომხდარი ძალადობის ხარისხი, ძირს უთხრის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებას ამგვარ დანაშაულზე და შეიძლება, მსხვერპლსაც დაუკარგოს სურვილი, მიმართოს სამართალდამცავებს.⁵⁶

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ პოლიციამ არ გაატარა კანონით გათვალისწინებული შემზღუდავი ღონისძიებები, არც მსხვერპლს განუმარტა ამ ღონისძიებების შესახებ.⁵⁷ სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სახელმწიფომ არ შეასრულა თავისი ვალდებულება, ჩაეტარებინა სისხლის სამართლის გამოძიება პოლიციელთა უმოქმედობაზე,⁵⁸ არც დაზარალებულის სტატუსი მიანიჭა მოსარჩელეს. მეტიც, პოლიციელების მიმართ სახელმწიფოს არც დისციპლინური გამოძიება დაუწყო და არც ის გაუკეთებია, რომ ეს პოლიციელები დაეტრენინებინა მომავალში ძალადობაზე ადეკვატური რეაგირებისათვის.⁵⁹

სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ სახელმწიფო კიდევ უფრო მეტად იყო ვალდებული, ჩაეტარებინა გამოძიება, რაკი სავარაუდო მოძალადე იყო პოლიციელი, რადგან ასეთ დროს სასწორზე არა მხოლოდ ერთი კონკრეტული დამნაშავის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგას, არამედ სახელმწიფოს ვალდებულება, შეინარჩუნოს საზოგადოების ნდობა და პატივისცემა სამართალდამცავი სისტემის მიმართ და დაამარცხოს დაუსჯელობის განცდა, რომელსაც შეიძლება ძალოვანი გრძნობდეს თავისი თანამდებობიდან გამომდინარე.⁶⁰ ამიტომაც წევრი სახელმწიფოებისგან სასამართლო მოელის, რომ საკუთარი ძალოვანი თანამდებობის პირების მიმართ გამოძიებას კიდევ უფრო მკაცრად ჩაატარებს, ვიდრე ჩვეულებრივ შემთხვევებში.⁶¹

ამ საქმეში სასამართლომ კვლავ გაიმეორა, რომ, როდესაც სახელმწიფო არ/ვერ იცავს ქალს ოჯახური ძალადობისგან, ის არღვევს მის უფლებას, თანაბრად იყოს დაცული კანონის ძალით. ზოგადი და დისკრიმინაციული სასამართლო პასიურობა ქმნის ოჯახში ძალადობის დანაშაულის მიმღებლობის გარემოს, რომელიც არღვევს კონვენციის მე-14 მუხლს.⁶² ამგვარ პასიურობაში სასამართლო არ გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ სახელმწიფო უბრალოდ არ რეაგირებს ან დაგვიანებით რეაგირებს ძალადობაზე, არამედ მოიაზრებს ისეთ ქმედებებს, რომლებიც გამოიხატება ძალადობის განმეორებით პატიებასა და მომჩივნის, როგორც ქალის, მიმართ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებაში.⁶³ სასამართლომ განსაკუთ-

56 იქვე.

57 იქვე, 48-ე პუნქტი.

58 იქვე, 41-ე პუნქტი.

59 იქვე, 44-ე პუნქტი.

60 *ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ (Vazagashvili and Shanava v. Georgia)*, 2019 წლის 18 ივლისი.

61 *ა და ბ საქართველოს წინააღმდეგ (A and B v. Georgia)*, 2022 წლის 10 თებერვალი, 48-ე პუნქტი.

62 *ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ (Opuz v. Turkey)*, 2009 წლის 9 ივნისი, 191-ე პუნქტი.

63 *ტალპისი იტალიის წინააღმდეგ (Talpisi v. Italy)*, 2017 წლის 18 სექტემბერი, 141-ე პუნქტი.

რებით შემაშფოთებლად მიიჩნია ის ფაქტი, რომ ოჯახში ძალადობის ინციდენტის შემდეგ, რომლის შესახებაც პოლიცია ინფორმირებული იყო, მოძალადე მალევე დაანინაურეს.⁶⁴

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ, მართალია, მოძალადე სისხლის სამართლის წესით გასამართლდა და დაეკისრა სასჯელი, თუმცა არც ბრალში და არც სასჯელში არ იქნა გათვალისწინებული დანაშაულის შესაძლო გენდერული მოტივი. მოტივის საკითხი არც სამოქალაქო სასამართლოს გამოუკვლევია, მიუხედავად იმისა, რომ მან დაადგინა სამართალდამცავთა მხრიდან უმოქმედობა და კომპენსაციაც მიანიჭა მოსარჩელეს. სწორედ ამ მიზეზით სასამართლომ ჩათვალა, რომ ეროვნულ დონეზე ვერ მოხდა დაზარალებულის უფლებების დარღვევის აღიარება – არც ცხადად და მკაფიოდ, არც არსით – და სრულად აღდგენა სახელმწიფოს მხრიდან. შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელეს არ დაუკარგავს სასამართლოსათვის მიმართვის უფლება.⁶⁵

სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-2 და მე-14 მუხლებიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულება.⁶⁶

2.3. გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ

საქმის არსი (ფაქტობრივი გარემოებები)⁶⁷

ამ საქმეში ქალი განიცდიდა სისტემატურ ძალადობას ყოფილი მეუღლის მხრიდან. მსხვერპლმა 4 წლის განმავლობაში 16-ჯერ მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს და მიუთითა ძალადობის ინციდენტებსა და სიცოცხლის ხელყოფის მუქარაზე ყოფილი მეუღლის მხრიდან. პირველივე ინციდენტის პასუხად პოლიციამ ორდერი გამოწერა მოძალადის წინააღმდეგ, რომელიც იმავე დღეს დაამტკიცა სასამართლომ და მოძალადეს მსხვერპლთან მიახლოება აუკრძალა. შემდეგ ეპიზოდში მსხვერპლმა პოლიციას შეატყობინა, რომ ის იყო ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი და მოძალადე მას ბინიდან გასვლის შესაძლებლობას არ აძლევდა, თუმცა ადგილზე მისულ პოლიციელს განუცხადა, რომ ძალადობა არ მომხდარა და მხოლოდ ბინიდან გასვლას უკრძალავდნენ. პოლიციამ შეადგინა ოქმი და ადგილი დატოვა. კიდევ ერთ შემთხვევაში მსხვერპლმა გამოიძახა პოლიცია, მაგრამ ცოტა ხანში კვლავ დარეკა და განაცხადა, რომ ინციდენტი ამოიწურა და პოლიციის მისვლის საჭიროება აღარ იდგა. ასეთი შემთხვევა საქმეში კიდევ რამდენჯერმე დაფიქსირდა. ერთ-ერთი შემთხვევის დროს მოძალადე დაკავებულ იქნა პოლიციისადმი დაუმორჩილებლობის საფუძვლით (ადმინისტრაციული სამართალდარღვევა),

64 ა და ბ საქართველოს წინააღმდეგ (*A and B v. Georgia*), 2022 წლის 10 თებერვალი, 48-ე პუნქტი.

65 იქვე, მე-40 პუნქტი.

66 49-ე პუნქტი.

67 გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ (*Gaidukevic v. Georgia*), 2023 წლის 15 ივნისი.

მაგრამ იმავე დღეს, გაფრთხილების საფუძველზე, გაათავისუფლეს. ასევე არის დაფიქსირებული შემთხვევა, როდესაც გამოძახების შემდეგ ადგილზე მისულმა პოლიციამ მსხვერპლს გააცნო ინფორმაცია დაცვის სხვადასხვა მექანიზმის შესახებ, მაგრამ მსხვერპლმა არ მოინდომა შემაკავებელი ორდერის გამოცემა და პოლიციამ შემთხვევის ადგილი დატოვა. მსხვერპლის უარი ორდერის გამოწერაზე საქმეში რამდენჯერმეა დაფიქსირებული.

მოძალადის მიმართ სულ სამი შემაკავებელი ორდერი გაიცა. მესამე ორდერის დადასტურებისას სასამართლომ აღნიშნა, რომ მსხვერპლი იყო ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი და, შესაბამისად, საჭიროებდა დაცვას ოჯახში ძალადობის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად. მოძალადის მიმართ სისხლის სამართლის გამოძიებაც დაიწყო, თუმცა მალევე შეწყდა დანაშაულის ნიშნების არარსებობის საფუძველით. მასალებში მითითებულია, რომ გამოძიების ფარგლებში გამოიკითხა მსხვერპლი და მოძალადე, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ქმარმა ცოლს სახეში გაარტყა, თუმცა ამას არ გამოუწევია ფიზიკური ტკივილი და, ამასთან, ძალადობას არ ჰქონდა სისტემატური ხასიათი.

საბოლოოდ, მსხვერპლმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა მოძალადის ბინაში. მის სხეულს სიცოცხლეში განცდილი ძალადობის კვალი ემჩნეოდა, რაც გამოძიების ფარგლებში ჩატარებულმა ექსპერტიზამაც დაადასტურა. სისხლის სამართლის გამოძიება იმავე დღეს დაიწყო მოძალადის მიმართ თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეზე. დაზარალებულის უფლებამონაცვლემ დააყენა საკითხი, მომხდარიყო კვალიფიკაციის ცვლილება გენდერულ მოტივზე მითითებით, როგორც ამას ითვალისწინებდა ადგილობრივი კანონმდებლობა. ის ასევე მიუთითებდა, რომ, ძალადობის ისტორიის გათვალისწინებით, იყო გენდერულად მოტივირებული მკვლელობის მცდელობა.

სასამართლომ მოძალადე დამნაშავედ ცნო დამამძიმებელ გარემოებებში მსხვერპლის თვითმკვლელობამდე მიყვანისათვის და მიუთითა, რომ ქალი სისტემატური ძალადობის მსხვერპლი იყო, რამაც მიიყვანა თვითმკვლელობამდე. დაზარალებული ითხოვდა, რომ პროკურორს გაესაჩივრებინა აღნიშნული, რადგან განაჩენში არ ჩანდა გენდერული მოტივი, თუმცა პროკურორმა ეს არ გაითვალისწინა. უზენაესმა სასამართლომ შეცვალა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, და ჩათვალა, რომ ძალადობის წინარე ისტორია არ იყო მნიშვნელოვანი მის მიერ განსახილველი საქმისათვის; სასამართლომ ასევე განმარტა, რომ თვითმკვლელობის წინა დღეს განცდილი ძალადობა არ იყო იმ სიძლიერის, რომ ისეთი ფიზიკური ან მორალური ტკივილი გამოეწვია, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გამოიწვევდა. ამ მოსაზრებებზე დაყრდნობით, უზენაესმა სასამართლომ ბრალდება შეამსუბუქა და ოჯახში ძალადობად დააკვალიფიცირა მომხდარი. პირისთვის დაკისრებული სამნობიანი სასჯელი, შესაბამისად, შეიცვალა ერთნობიანი პატიმრობით, რომელიც პირს განაჩენის გამოტანის მომენტისთვის უკვე მოხდილი ჰქონდა და ის გაათავისუფლდა.

მოსარჩელემ, გარდაცვლილის დედამ, მიმართა მთავარ პროკურატურას და მოითხოვა სისხლის სამართლის გამოძიება პოლიციელების უმოქმედობისათვის. პროკურატურამ გამოძიება დაიწყო სამსახურებრივი გულგრილობის მუხლით (*negligence*). პროკურატურამ ოცი პოლიციელი გამოკითხა; უმრავლესობამ განაცხადა, რომ ინციდენტები არ იყო განსაკუთრებით ძალადობრივი ხასიათის, ასევე აღნიშნეს, რომ მათ დაზარალებულს მიაწოდეს ინფორმაცია თავშესაფრებასა და სხვა შესაძლებლობებზე, რითაც მას შეეძლო სარგებლობა. სტრასბურგის სასამართლოს მიერ გადანყვეტილების მიღების დროისათვის გამოძიება კვლავ მიმდინარე იყო, თუმცა არავის ჰქონდა ბრალი წარდგენილი და არც მოსარჩელეს ჰქონდა დაზარალებულის სტატუსი მინიჭებული. მას ასევე არ მიუღია პასუხი პროკურორების წინააღმდეგ გამოძიების შესახებ.

სამოქალაქო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნები ნაწილობრივ დააკმაყოფილა. მან დაადგინა, რომ საქმის ფატალური დასასრული იყო პოლიციის არაეფექტიანი და არადროული მოქმედებების შედეგი. გადანყვეტილება გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ, მეტიც, მან გაზარდა დაზარალებულისათვის მინიჭებული კომპენსაციის თანხა და ასევე დაადგინა პროკურატურის პასუხისმგებლობა ამ საქმეში. სასამართლომ მიუთითა, რომ პროკურატურას სრული ინფორმაცია უნდა გამოეთხოვა ამ საქმეში ყველა ინციდენტზე შინაგან საქმეთა სამინისტროდან და ამის მიხედვით ემოქმედა, ამის ნაცვლად კი მან გამოძიება შეწყვიტა. ეს პოზიცია ასევე გაიზიარა უზენაესმა სასამართლომ. მან მიუთითა, რომ 16 გამოძახების, სამი შემაკავებელი ორდერისა და დანყებული სისხლის სამართლის გამოძიების ფონზე, ნათელი იყო, რომ სახელმწიფომ იცოდა, ან უნდა სცოდნოდა, რომ მსხვერპლს ემუქრებოდა რეალური და მყისიერი საფრთხე. უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ამ საქმეში სახელმწიფომ სათანადო გულისხმიერების სტანდარტით არ იმოქმედა; მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო უწყებები კანონით ადეკვატური უფლებამოსილებით იყვნენ აღჭურვილი, რათა თავიდან აეცილებინათ ან შეემცირებინათ ზიანი, მათ ეს უფლებამოსილებები არ გამოიყენეს. სასამართლომ ასევე გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს პოზიცია მორალური ზიანის კომპენსაციის ნაწილში.

მხარეთა არგუმენტები

მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ ეს საქმე აჩვენებდა ხელისუფლების დისკრიმინაციულ უმოქმედობას და გენდერულად მოტივირებულ ძალადობაზე სახელმწიფოს რეაგირების სისტემურ მარცხს. ის ასევე დავობდა, რომ მოძალადის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმე და უზენაესი სასამართლოს განაჩენი არ ასახავდა დანაშაულის გენდერულ მოტივს და სიკვდილამდე მსხვერპლის მიმართ ჩადენილ განგრძობად ძალადობას.

ამის საპირისპიროდ, ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ მოძალადის პასუხისგებაში მიცემა სწორედ იმას ადასტურებდა, რომ გამოძიება ეფექტიანად ჩატარ-

და. ასევე, მოსარჩელეს მიეცა კომპენსაცია სამოქალაქო წესით და იმავე სასამართლომ აღიარა სამართალდამცავთა უმოქმედობა. ამ ორ ფაქტორზე მითითებით, ხელისუფლება იმასაც ამტკიცებდა, რომ მოსარჩელეს აღარ ჰქონდა უფლება, დაზარალებულის სტატუსით ედავა სასამართლოს წინაშე. იგი ასევე მიუთითებდა, რომ სამართალდამცავთა უმოქმედობაზე გამოძიებას დამოუკიდებელი ორგანო აწარმოებდა სრულყოფილად და ადეკვატურად. ამასთან, ხელისუფლება აპელირებდა ეროვნულ კანონმდებლობაზე და მიუთითებდა, რომ კანონით გარანტირებული იყო ოჯახში ძალადობის მსხვერპლების დაცვის ეფექტიანი მექანიზმები.

სასამართლოს შეფასება

ამ საქმეში სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სახელმწიფომ ძალადობის შესახებ საჩივარზე დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს რეაგირება; საჩივრის მიღებისას სახელმწიფომ უნდა შეამოწმოს, რამდენად არის საფრთხე რეალური და მყისიერი და ეს უნდა გააკეთოს ავტონომიური, პროაქტიული და ყოვლისმომცველი ლეტალობის რისკის შეფასების პროცესით. ამ დროს მან მხედველობაში უნდა მიიღოს ოჯახური ძალადობის კონკრეტული კონტექსტი. თუ ამ შეფასების დროს სახელმწიფო დაადგენს, რომ პირს ემუქრება რეალური და მყისიერი რისკი/საფრთხე, მან უნდა გაატაროს ოპერატიული პრევენციული და დამცავი ღონისძიებები, რათა რისკის რეალიზება თავიდან აიცილოს. ეს ღონისძიებები უნდა იყოს ადეკვატური და რისკის პროპორციული.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეში 16 გამოძახებიდან 13 შემთხვევაში სახელმწიფოს რეაგირება იყო მყისიერი – ადგილზე გაიგზავნა პატრული. სამჯერ მოხდა შემაკავებელი ორდერის გამოცემა, რომელიც პირს არ დაურღვევია. მინიმუმ სამ შემთხვევაში მოხდა სამართალდამცავთა გამოძახება, თუმცა მოგვიანებით დაზარალებულმა (გარდაცვლილმა) დახმარების თხოვნა უკან გაიხმო, ხოლო პოლიციას აღარ მოუკითხავს საქმის ვითარება.

მიუხედავად განხორციელებული ქმედებებისა, სასამართლომ არ ჩათვალა სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული ეს ნაბიჯები პოზიტიური ვალდებულებების ჯეროვან შესრულებად. ამ ნაწილში მან გაიზიარა ადგილობრივი სასამართლოს სამოქალაქო საქმეზე გამოტანილი შეფასებები იმის თაობაზე, რომ სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული ნაბიჯები არ იყო ეფექტიანი და საკმარისი.

სასამართლომ ხაზი გაუსვა იმის მნიშვნელობას, რომ პირები, ვისაც უწევს რეაგირება ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე, სათანადოდ უნდა ერკვეოდნენ (უნდა დატრენინგდნენ) ამ დანაშაულის ბუნებაში როგორც ამას მოითხოვს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რათა შეძლონ ადეკვატური რეაგირება,⁶⁸ თუმცა ამ საქმეში ეს არ ჩანდა, განხორციელებული რეაგირებიდან გამომდინარე.

68 კურტი ავსტრიის წინააღმდეგ (*Kurt v. Austria*), დიდი პალატის გადაწყვეტილება, 2021 წლის 15 ივნისი, 172-ე პუნქტი.

ამ საქმეში სასამართლომ ასევე დეტალურად იმსჯელა იმაზე, თუ რას ნიშნავს სახელმწიფოს ვალდებულება ეფექტიან გამოძიებაზე. ეს, პირველ რიგში, გულისხმობს სწრაფ გამოძიებას, არასაჭირო გაჭიანურების გარეშე, ამავე დროს გულისხმობს ყოველმხრივს; ხელისუფლებამ გამოძიების პროცესში უნდა გადაადგას ყველა გონივრული ნაბიჯი მტკიცებულებების, მათ შორის, სასამართლო ექსპერტიზის დასკვნის მოსაპოვებლად. სასამართლომ ასევე დასძინა: „ეფექტურობა, ამავე დროს, ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს განწყობილი იმგვარად, რომ ან ფსიქოლოგიური, ან ფიზიკური ძალადობა დატოვოს დაუსჯელი. ეს კრიტიკულია იმისათვის, რომ შენარჩუნდეს საზოგადოების ნდობა და მხარდაჭერა სამართლის უზენაესობისადმი და ხელისუფლებამ თავიდან აიცილოს რაიმე ფორმით იმგვარი შთაბეჭდილების დატოვება, თითქოს ძალადობის მიმართ ტოლერანტულია, ან კიდევ უარესი – მისი თანამონაწილე“. ⁶⁹

ამ სტანდარტის საპირისპიროდ, სასამართლომ დაადგინა, რომ ქალის გარდაცვალების შემდეგ გამოძიებამ მაშინვე მიიღო თვითმკვლელობის ვერსია და სხვა ვერსია არც კი განუხილავს. ეს ვერსია, ძირითადად, მოძალადის ჩვენებას ემყარებოდა, რომელიც, რა თქმა უნდა, ვერ ჩაითვლება ნეიტრალურ მოწმედ. გამოძიებას არც კი განუხილავს, რომ შეიძლება, საქმე ჰქონოდათ გენდერულად მოტივირებულ მკვლელობასთან, მაშინ, როდესაც მსხვერპლს აღენიშნებოდა ძალადობის ფიზიკური კვალი და არსებობდა ძალადობის წინარე ისტორია. ამ გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ მათ განსაკუთრებით ყურადღებით უნდა ეწარმოებინათ გამოძიება, თუმცა შესაძლო გენდერული მოტივაცია არ მოხვედრილა გამოძიების ყურადღების ცენტრში. სასამართლომ ასევე გააკრიტიკა პროკურატურა, რომელმაც ვერ შეძლო, ადეკვატურად გამოეძიებინა საჩივრები ოჯახში ძალადობაზე, რითაც ხელისუფლებამ „ხელი შეუწყო დაუსჯელობის ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ახალისებს ძალადობის განმეორებას“. ⁷⁰

სასამართლომ განსაკუთრებით აღნიშნა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეზე, რომელმაც, ფაქტობრივად, სრულად უგულებელყო სისტემური ძალადობის ისტორია, რომელიც წინ უძღოდა თვითმკვლელობას. სასამართლომ აღნიშნა, რომ „ოჯახში ძალადობა, ფაქტობრივად, არასოდეს არ არის მხოლოდ ერთი კონკრეტული ინციდენტი, არამედ აერთიანებს ერთმანეთთან დაკავშირებულ ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ემოციური, სიტყვიერი და ეკონომიკური ძალადობის ფაქტებს“. ⁷¹ სასამართლომ ხაზი გაუსვა ოჯახში ძალადობის მრავალეპიზოდური ბუნებას, რაც მის სპეციფიკურ ხასიათს განაპირობებს. როგორც მან აღნიშნა, ოჯახში ძალადობა „არის განგრძობადი დანაშაული, რომელსაც ქმედებების გარკვეული წყობა ახასიათებს და რომელშიც

69 გაიდუკევიჩი *საქართველოს წინააღმდეგ (Gaidukevic v. Georgia)*, 2023 წლის 15 ივნისი, 58-ე პუნქტი.

70 ტალპისი *იტალიის წინააღმდეგ (Talpis v. Italy)*, 2017 წლის 18 სექტემბერი, 117-ე პუნქტი.

71 ვოლოდინა *რუსეთის წინააღმდეგ (Volodin v. Russia)*, 2019 წლის 9 ივლისი, 71-ე პუნქტი.

კონკრეტული ინციდენტები არის უფრო ფართო აქტის შემადგენელი ელემენტები.⁷² სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ საქმეში საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოჩენილი მიდგომა ამ დანაშაულის მიმართ არ შეესაბამებოდა სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

სასამართლომ აღნიშნა განსხვავებები წინამდებარე საქმესა და თხელიძისა (სადაც სასამართლომ აღნიშნა რისკის მაღალი ხარისხი, რომლის შესახებაც პოლიცია ინფორმირებული იყო) და ა.და ბ.-ს საქმეებს შორის (სადაც სასამართლომ მიუთითა მოძალადის სტატუსზე – პოლიციელი და სხვა პოლიციელების შესაძლო თანხმობასა თუ თანამონაწილეობაზე ძალადობაში). განსხვავებების მიუხედავად, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ მოსარჩელის საჩივრის ბუნებისა და იმის გათვალისწინებით, რომ ქალთა მიმართ ძალადობა იდენტიფიცირებული იყო როგორც უმნიშვნელოვანესი სისტემური პრობლემა საქართველოში, რომელსაც სახელმწიფო ადეკვატურად არ ეპყრობოდა⁷³, ამ საქმეში არსებობდა სამსახურებრივი გულგრილობის სულ მცირე *prima facie* მტკიცებულება და, შესაბამისად, სისხლის სამართლის გამოძიების ჩატარების ვალდებულება პოლიციელთა უმოქმედობის საკითხზე. რაკი გამოძიების აუცილებლობა არც სახელმწიფოს დაუყენებია კითხვის ნიშნის ქვეშ და მეტიც, ასეთი გამოძიება დაიწყო კიდევ, სასამართლო მსჯელობისას გადავიდა იმის შეფასებაზე, რამდენად ეფექტიანი იყო მიმდინარე გამოძიება.

ეფექტიანობის შეფასებისას სასამართლომ ყურადღება იმაზე გაამახვილა, რომ გამოძიებას, რომელიც თითქმის 5 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, შედეგი არ გამოუღია. 2019 წლის მაისიდან 2021 წლის დეკემბრამდე არცერთი საგამოძიებო მოქმედება არ ჩატარებულა. სასამართლომ განაცხადა, რომ გამოძიების გაჭიანურება ძლიერი მტკიცებულებაა იმისა, რომ გამოძიება ხარვეზიანია და არ შეესაბამება კონვენციის მოთხოვნებს; გამოწვევისა, თუ სახელმწიფო წარმოადგენს „მეტად დამაჯერებელ და გონივრულ დასაბუთებას გაჭიანურების გასამართლებლად“.⁷⁴ ეს მიდგომა სასამართლომ განსაკუთრებით სამართლიანად მიიჩნია, როდესაც შესაძლო დანაშაულის ჩამდენი ძალოვანი უწყების წარმომადგენელია.⁷⁵

ვინაიდან მოცემულ საქმეში გაჭიანურებული გამოძიების გასამართლებლად სახელმწიფომ ასეთი არგუმენტები ვერ წარმოადგინა, სასამართლომ ჩათვალა, რომ სახელმწიფომ გამოძიების ფარგლებში არ გამოიჩინა საკმარისი ძალისხმევა იმისათვის, რათა დაედგინა სამართალდამცავი პირების პასუხისმგებლობა მრავლობითი ძალადობის საქმეზე სახელმწიფოს არაადეკვატური რეაგირების გამო,

72 როლენა ჩეხეთის წინააღმდეგ (*Rohlena v. the Czech Republic* [GC], 2015 წლის 27 იანვარი, 72-ე პუნქტი.

73 თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ (*Tkheldize v. Georgia*), 2021 წლის 8 ივლისი, 56-ე პუნქტი.

74 მაზეპა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (*Mazepa and Others v. Russia*), 2018 წლის 17 ივლისი, მე-80 პუნქტი.

75 გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ (*Gaidukevic v. Georgia*), 2023 წლის 15 ივნისი, 63-ე პუნქტი.

მაშინ, როდესაც ეს პასუხისმგებლობა დაადგინა სამოქალაქო სასამართლომ.⁷⁶ ამასთან, სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმას, რომ პოლიციელებთან მიმართებით დისციპლინური სამართალწარმოებაც კი არ ჩატარებულა, ხოლო მოსარჩელის მოთხოვნა პროკურორების პასუხისმგებლობაზე საერთოდ უპასუხოდ დარჩა, მიუხედავად მოსარჩელის არაერთი მცდელობისა, ამ მიმართულებით რაიმე ინფორმაცია მაინც მიეღო.⁷⁷

ამ საქმეშიც სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულებები და განიცადა სისტემური მარცხი.⁷⁸ სასამართლომ ამ საქმეშიც გაიმეორა ადრინდელ გადაწყვეტილებებში დადგენილი სტანდარტი, რომ ეროვნულ დონეზე ამა თუ იმ მექანიზმის მეტ-ნაკლები წარმატებით გამოყენება, თუ იგი საკმარისად ვერ უზრუნველყოფს დარღვეული უფლების აღდგენას და სახელმწიფოს მხრიდან ჩადენილი დარღვევის სრულ აღიარებას, არ უკარგავს დაზარალებულს უფლებას, მიმართოს ევროპულ სასამართლოს.⁷⁹

სასამართლომ ასევე იმსჯელა დისკრიმინაციის საკითხზე. მან აღნიშნა, რომ ეროვნულ დონეზე მოსარჩელე ყოველთვის აყენებდა მისი გარდაცვლილი შვილის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის საკითხს. შესაბამისად, ეროვნული გამოძიება ვალდებული იყო, შეესწავლა ეს საკითხი. სასამართლომ უარყოფითად აღნიშნა ისიც, რომ სამოქალაქო წესით საქმის განხილვის დროს ეროვნულმა სასამართლომ ასევე არ შეისწავლა აღნიშნული საკითხი. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში არსებობდა კრიტიკული აუცილებლობა, გამოძიებულიყო პოლიციისა და პროკურატურის მხრიდან ჩადენილი უმოქმედობა, რომელიც შეიძლება, გენდერულად ყოფილიყო მოტივირებული.

სასამართლომ განსაკუთრებულად აღნიშნა, რომ არასათანადო რეაგირება სამართალდამცავთა მხრიდან იყო განსაკუთრებით შემაშფოთებელი იმ ფონზე, როდესაც სასამართლოს უკვე ჰქონდა საქართველოსთან მიმართებით გამოტანილი ორი გადაწყვეტილება, სადაც მან დაადგინა სახელმწიფოს მხრიდან სისტემური ჩავარდნა ოჯახური ძალადობის საქმეებზე.⁸⁰

შესაბამისად, ამ საქმეშიც სასამართლომ დაადგინა მე-2 მუხლის მატერიალური და პროცედურული ნაწილის დარღვევა მე-14 მუხლთან ერთად.

3. დასკვნა

სტატიაში განხილული საქმეები ნათლად აჩვენებს, რომ ოჯახში ძალადობა სწორედ ის დანაშაულია, რომლის დროსაც კონვენციის დაცვა სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვს არა ჩაურევლობას, არამედ აქტიურ მოქმედებებს. ოჯახში ძალადობამ

⁷⁶ იქვე, 64-ე პუნქტი.

⁷⁷ იქვე, 65-ე პუნქტი.

⁷⁸ იქვე, 62-ე პუნქტი.

⁷⁹ იქვე, 65-ე პუნქტი.

⁸⁰ იქვე, 74-ე პუნქტი.

შეიძლება ყველაზე უხეში ფორმებით ხელყოს სიცოცხლის უფლება და ადამიანის სხვა უფლებები, რომელთა დაცვაც სახელმწიფოს კონვენციით აღიარებული ვალდებულებაა. ამასთან, სტატიაში განხილული საქმეების ფაქტობრივმა გარემოებებმა ნათლად აჩვენა, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლს, როგორც წესი, უკიდურესად მოწყვლადი მდგომარეობა ახასიათებს, ხოლო ძალადობა განპირობებულია მსხვერპლის მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულებით და წინასწარი დისკრიმინაციული განწყობით. იმისათვის, რომ ამგვარ სპეციფიკურ კონტექსტს ადეკვატურად გაუმკლავდეს, სახელმწიფოს არა მხოლოდ მოქმედება ევალება, არამედ საგანგებო ძალისხმევის, სასამართლოს ტერმინოლოგიით, „განსაკუთრებული გულისხმიერების“ გამოჩენა მოეთხოვება.

თუ სახელმწიფო ასე არ მოიქცევა და ოჯახში ძალადობას ისე მოეკიდება როგორც რიგით დანაშაულს, ამან შეიძლება გააჩინოს განცდა, რომ სახელმწიფო ტოლერანტულია ამგვარი დანაშაულის მიმართ, ან მეტიც, თანამონაწილეობს მასში, რაც დაუშვებელია.

შესაბამისად, სახელმწიფოს ევალება, მყისიერად იმოქმედოს, თუ იცის, ან, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, უნდა იცოდეს, რომ მოხდა ძალადობა, და/ან იდენტიფიცირებად პირს ემუქრება მყისიერი და რეალური საფრთხე. მოქმედება გულისხმობს ოპერატიული ხასიათის პრევენციული და დამცავი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც დაეფუძნება რისკის შეფასების ავტონომიურ, პროაქტიულ და ყოვლისმომცელ პროცესს; შეფასების ყველა ეტაპზე გათვალისწინებული უნდა იყოს ოჯახში ძალადობის სპეციფიკა და საქმის კონტექსტი. მათ შორის, ის გარემოება, რომ ოჯახში ძალადობა, როგორც წესი, არასოდეს არის ერთეპიზოდური მოქმედება. ამიტომაც, იმისათვის, რომ ადეკვატური იყოს, სახელმწიფომ არა მისი ცალკეული ინციდენტები და ეპიზოდები, არამედ ძალადობა მთლიანობაში უნდა დაინახოს და შეაფასოს.

სასამართლოს გადანყევტილებებიდან ცალსახად ჩანს, რომ ოჯახში ძალადობა არ არის მხოლოდ ორ ადამიანს შორის ურთიერთობა, ის არა მხოლოდ მსხვერპლს აყენებს ზიანს, არამედ ასევე ლახავს საჯარო ინტერესს. შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია, იმოქმედოს პროაქტიულად და მაშინაც კი, როდესაც სავარაუდო მსხვერპლი თავს იკავებს საჩივრის შეტანისაგან, უკან გამოაქვს საჩივარი, ან აუქმებს სახელმწიფოს რეაგირების მოთხოვნას. როდესაც სავარაუდო მოძალადე პოლიციელია, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა კიდევ უფრო იზრდება.

სამივე გადანყევტილებიდან ნათლად გამოჩნდა, რომ სათანადო საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზის შექმნა ერთ-ერთი აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი წინაპირობაა სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური ვალდებულების შესასრულებლად. სამივე საქმეში სასამართლოს მიერ სახელმწიფო გამტყუნდა არა იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა სათანადო კანონმდებლობა, არამედ იმიტომ, რომ არ მოხდა ამ კანონმდებლობის პრაქტიკაში გამოყენება და სათანადოდ დანერგვა პასუხისმგებელი პირების მხრიდან. კანონმდებლობა პოლიციას და სამართალდამ-

ცავ უწყებებს სამივე შემთხვევაში ანიჭებდა სხვადასხვა პრევენციული და დამცავი ღონისძიების გატარების შესაძლებლობას, თუმცა მათ ეს შესაძლებლობები ან არასათანადოდ გამოიყენეს ან საერთოდ არ გამოიყენეს, ეს უკანასკნელი შემთხვევა სასამართლომ შეაფასა კიდევ როგორც „შოკისმომგვრელი საქციელი“.

კიდევ ერთი, რაც ამ საქმეების ანალიზის საფუძველზე ნათლად ჩანს, არის ის, რომ სახელმწიფოს მოქმედება, იმისთვის, რომ მან შეძლოს კონვენციით დადგენილი პოზიტიური ვალდებულებების შესრულება, არ უნდა იყოს სპორადული, ფრაგმენტული და მხოლოდ რეაქციული ხასიათის: სახელმწიფომ სწორად უნდა შეაფასოს რისკები, შეაგროვოს ყველა ინფორმაცია და მტკიცებულება, დაგეგმოს და განახორციელოს სწორი რეაგირება და ა.შ. ამ ყოველივეს განხორციელებას სჭირდება სისტემა – საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩო, ინსტიტუციური მექანიზმები და მომზადებული კადრები, რომლებიც შეძლებენ, მინიჭებული უფლებამოსილება და არსებული მექანიზმები ეფექტიანად გამოიყენონ პირის დასაცავად. განხილულ საქმეებში სასამართლომ იმ შემთხვევაშიც დაადგინა დარღვევა, როდესაც ხელისუფლების ბევრმა რგოლმა ნაწილობრივ მაინც შეასრულა თავისი წილი ვალდებულებები (მაგალითად, გამოიძიეს და გაასამართლეს დამნაშავე, სამოქალაქო წესით დაადგინეს პოლიციის უმოქმედობა, კომპენსაცია მიანიჭეს მოსარჩელეს). სასამართლოს მიერ გამოვლენილი ეს მიდგომა ადასტურებს, რომ პოზიტიური ვალდებულების შესრულება ოჯახში ძალადობის საქმეებში მოითხოვს სწორედ სისტემის, მთელი სახელმწიფოს და არა მხოლოდ მისი რომელიმე ერთი ან, თუნდაც, რამდენიმე რგოლის სწორ მუშაობას; ამასთან, ეს უნდა იყოს არა ერთჯერადად, არამედ ყოველ ჯერზე და საქმის ყველა ასპექტში, იქნება ეს პრევენცია თუ გამოძიება.

ამ კონტექსტში ცალკე გამოყოფას საჭიროებს გაიდუჟევიჩის საქმე; საქართველოს მიმართ მანამდე გამოტანილი ორი გადანყვეტილებისაგან განსხვავებით, სადაც სამართალდამცავებმა, ფაქტობრივად, არაფერი გააკეთეს მყისიერი და ეფექტიანი რეაგირებისათვის, ამ საქმეში ისინი, ერთი შეხედვით, აქტიურად მოქმედებდნენ: როდესაც მსხვერპლი მას ატყობინებდა, სახელმწიფოს თითქმის ყოველ ჯერზე ჰქონდა გარკვეული რეაგირება, რომელიც მოიცავდა როგორც სამართალდამცავების ადგილზე გამოცხადებას, ისე არაერთ ეპიზოდში შემაკავებელი ორდერის გამოწერას და მსხვერპლის ინფორმირებას შესაძლო დაცვის მექანიზმებზე. ამ ფონზე ამ საქმეში მსხვერპლმა არაერთხელ უთხრა პოლიციას უარი თანამშრომლობაზე, უარი განაცხადა ორდერზე, გააუქმა პოლიციის გამოძახება, თანაც არაერთხელ. ამის მიუხედავად, სასამართლომ მაინც დაადგინა დარღვევა სახელმწიფოს მხრიდან. სასამართლოს გადანყვეტილება კარგად აჩვენებს, რომ სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური ვალდებულების შესრულება არ ნიშნავს უბრალოდ მოქმედებას და აქტიურობას. თუ სახელმწიფო ადეკვატურად არ ახდენს რისკის შეფასებას, პერიოდულად არ აკონტროლებს და ამოწმებს მის მიერ გადადგმული ნაბიჯების ეფექტიანობას, არ აფასებს მსხვერპლის მდგომარეობას,

არ ავლენს პროაქტიულობას და თავად არ იჩენს ინიციატივას, არამედ ეს პასუხისმგებლობა გადააქვს სავარაუდო მსხვერპლზე და ელოდება მას, ხოლო თუკი მსხვერპლი უკან იხევს, სახელმწიფოც პასიურია, ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს აქტივობები ვერ ჩაითვლება კონვენციით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულების შესრულებად. სახელმწიფოს მოეთხოვება, იყოს პროაქტიული, ხოლო მისი მოქმედებები უნდა იყოს ადეკვატური და რისკის პროპორციული.

სახელმწიფო ასევე ვალდებულია, აქტიურად გამოიძიოს ოჯახში ძალადობის დანაშაული, ისევე როგორც მასზე სამართალდამცავთა მხრიდან განხორციელებული უმოქმედობა. თუკი იკვეთება, რომ უმოქმედობა გასცდა შეცდომას ან დაუდევრობას, სახელმწიფო ვალდებულია, ჩაატაროს სისხლის სამართლის გამოძიება, გამოკვეთოს ინდივიდუალური პასუხისმგებლობები და პასუხისგებაში მისცეს შესაბამისი პირები. სასამართლომ ასევე განმარტა, რომ კონვენციის მე-2 მუხლი მოითხოვს არა უბრალოდ გამოძიების, არამედ ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას, რაც გულისხმობს როგორც სისწრაფეს, – გონივრულობის ფარგლებში, – ასევე ადეკვატურობას, კერძოდ, უნარს, დაადგინოს ფაქტები და პასუხისგებაში მისცეს დამნაშავეები, იქნება ეს კერძო პირი თუ სახელმწიფო მოხელე. თუმცა აქვე მეტად საყურადღებოა, რომ სასამართლომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება შემოფარგლა და განაცხადა, რომ ეფექტიანი გამოძიება არის არა შედეგის დადგომის ვალდებულება, არამედ ნაბიჯების გადადგმის ვალდებულება. ამით სასამართლომ პასუხისმგებლობის სიმძიმის ცენტრად მონიშნა არა გამოძიების შედეგი, არამედ სახელმწიფოს მიერ გაღებული ძალისხმევა შედეგის მისაღწევად. ამგვარი მიდგომით სასამართლომ სახელმწიფოს ჩამოსხნა პასუხისმგებლობა ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ობიექტურად შეუძლებელია შედეგის მიღწევა. სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, მათ შორის სტატიაში განხილულ ოჯახში ძალადობის საქმეებზე, რომ პოზიტიური ვალდებულება არ უნდა იყოს გაგებული ისე, თითქოს ის აკისრებს სახელმწიფოს ისეთ ტვირთს, რომლის აწევაც მას ობიექტურად არ შეუძლია.

ამგვარად, სტატიაში გაანალიზებულ იქნა საქართველოსთან მიმართებით სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები ოჯახში ძალადობის საქმეებზე.

იმ შეზღუდვების გათვალისწინებით, რაც შესავალში აღინიშნა, განხორციელებულმა ანალიზმა პასუხი გასცა კითხვებს, თუ რას გულისხმობს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ოჯახში ძალადობის საქმეებში, როდის და რა ევალება სახელმწიფოს და რამდენად შორსმიმავალია ეს ვალდებულებები.

კონსტიტუციური ნორმის სასამართლოსეული განმარტება ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებში ირიბი მტკიცებულების გამოყენებისას

გოგა ხატიაშვილი

I. შესავალი

დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება ყველა ადამიანის უფლებაა, რაც იცავს მას თვითნებური გადაწყვეტილებებისაგან¹ და უშუალო კავშირშია სამართლიანი სასამართლო უფლების ეფექტიან განხორციელებასთან.² სასამართლომ უნდა განმარტოს, რატომ, რა ფაქტებსა და რომელ კანონებზე დაყრდნობით მიიღო გადაწყვეტილება.³ განაჩენის დასაბუთებისთვის მნიშვნელოვანია სათანადო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც უნდა იყოს უტყუარი, რაც, მთლიანობაში, ობიექტური და დამაჯერებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს ქმნის.⁴ უტყუარი მტკიცებულებების გამოყენების ვალდებულების უმთავრესი მიზანია პირის დაცვა არასწორი და თვითნებური მსჯავრდებისაგან.⁵ იგი გამორიცხავს მტკიცებულებების გარეშე, მხოლოდ ვარაუდების გამო პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას.⁶ სწორედ ამ მნიშვნელობის გათვალისწინებით, აღნიშნული საპროცესო უფლება კონსტიტუციურ დონეზეა რეგლამენტებული.⁷

კონსტიტუციური ნორმების დანიშნულებაა, შებოჭოს კანონმდებელი, რათა ყველა სხვა სამართლებრივი აქტი მას შეესაბამებოდეს.⁸ მოცემულ შემთხვევაშიც

1 სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბ., 2015, 313.

2 გ. ბურჯანაძე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთებულობა: ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა, რედ. კ. კორკელია, სტატიათა კრებული: ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო, თბ., 2011, 26-29.

3 Reasoned Decision, Human Rights Guide, ხელმისაწვდომია: <<https://tinyurl.com/2e2a6uz8>> [01.09.2025].

4 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, გ. გიორგაძის რედაქტორობით, თბ., 2015, 723-724.

5 პ.-ი. ალბრეხტი, შეზღუდულება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილებაზე, 3, ხელმისაწვდომია: <<https://tinyurl.com/576uzey6>> [01.09.2025].

6 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 23-ე პუნქტი.

7 საქართველოს კონსტიტუცია, 31-ე მუხლი, მე-7 პუნქტი.

8 საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, ავტორთა კოლექტივი, ნ. ბაქაქურის, თ. თოდრიასა და ზ. შველიძის რედაქტორობით, თბ., 2017, 23.

არსებობს საკითხის მომწესრიგებელი კონკრეტული ნორმა,⁹ თუმცა კონსტიტუციით დადგენილი გარანტიები ხშირად გამოიყენება სისხლის სამართლის ნორმის განმარტების დროს, როგორც ძირითადი დირექტივა და პრინციპი,¹⁰ განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოსამართლის მიერ კონკრეტული სფეროს მომწესრიგებელი კანონმდებლობა არასწორად ფასდება. სასამართლოებმა უნდა განმარტონ კანონმდებლობა კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისად. კონსტიტუცია, როგორც ქვეყნის უზენაესი კანონი, ვალდებულია, გადაამოწმოს კანონმდებლობა, პრეცედენტები და დოქტრინა.¹¹

სასამართლოებს ევალებათ, გამოიკვლიონ მათ წინაშე არსებული მტკიცებულებები, მათ შორის, უტყუარობისა და შესაბამისობის თვალსაზრისით,¹² რაც მოითხოვს კონსტიტუციური ნორმის სათანადო ინტერპრეტაციას, ეს კი გულისხმობს მოსამართლის არა მექანიკურ მოქმედებას, არამედ კანონის მიზნობრივ განმარტებას, დისკრეციის გამოყენების ფარგლებში.¹³ სწორედ სასამართლოს ამოცანაა, შეამოწმოს, შეიცავს თუ არა სისხლის სამართლის საქმე უტყუარ მტკიცებულებებს,¹⁴ რომლებიც, ზოგადი მონესრიგებიდან გამომდინარე, სასამართლოს თავისუფალი მიხედულების ფართო შესაძლებლობას უტოვებს.

სისხლის სამართლის საქმეებში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მტკიცებულებაა ირიბი მტკიცებულება,¹⁵ რომელსაც სათანადო როლი და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.¹⁶ იგი ქმნის ვარაუდის მაღალ სტანდარტს იმის თაობაზე, რომ შეიძლება, დანაშაული კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა.¹⁷ ირიბია ისე-

9 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 82-ე მუხლი, 1-ელი ნაწილი.

10 G. A. Hallevy, *Modern Treatise on the Principle of Legality in Criminal Law*, Springer, 2010, 34.

11 გ. გოგიაშვილი, კონსტიტუცია და სამოქალაქო სამართალი: რამდენად ექვემდებარება კერძო სამართალი საკონსტიტუციო კონტროლს?, *მართლმსაჯულება და კანონი*, №2(62), 2019, 23, 25.

12 ბარბერა, მესაგე და ხაბარდო *ესპანეთის წინააღმდეგ (Barbera, Messegue and Jabardo v. Spain)*, 1988 წლის 6 დეკემბერი, 68-ე პუნქტი.

13 ა. ბარაქი, ჰერმენევტიკა და კონსტიტუციის ინტერპრეტაცია, პ. ჯავახიშვილის თარგმანი, *სამართლის მეთოდები*, №1, 2017, 7-9.

14 ჰ.-ი. ალბრეხტი, შეხედულება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილებაზე, 4, ხელმისაწვდომია: <<https://tinyurl.com/576uzey6>> [01.09.2025].

15 Circumstantial Evidence in Criminal Cases, Description and Examples of Circumstantial Evidence, ხელმისაწვდომია: <<https://tinyurl.com/azadd5d3>> [01.09.2025].

16 საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, მე-2 გამოცემა, ავტორთა კოლექტივი, ჯ. გახოკიძის, მ. მამნიაშვილისა და ი. გაბისონიას რედაქტორობით, თბ., 2013, 242-243; 248; თ. ზიდუშელი, ირიბი ჩვენების მნიშვნელობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, *სამართლის ჟურნალი*, №1, 2019, 251; ნ. მატუა, ირიბი ჩვენების მნიშვნელობა საგამოძიებო ორგანოებისათვის და მისი მტკიცებულებითი ძალა სასამართლოში, აკადემიური მაცნე, 2021, 116.

17 ი. ნადარეიშვილი, სამოხელეო დანაშაულის (სსკ-ის 332-ე-333-ე მუხლები) მტკიცებულებათა სტანდარტის სამართლებრივი ანალიზი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და ქართულ მართლმსაჯულებაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2019, 68.

თი მტკიცებულება, რომელიც პირდაპირ და უშუალოდ არ უკავშირდება მტკიცების საგანს ან მის რომელიმე ელემენტს, თუმცა სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, შეიძლება იძლეოდეს მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას და საკმარისი იყოს საქმეზე ჭეშმარიტების, მათ შორის, პირის ბრალეულობის დასადგენად.¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობა,¹⁹ ამ გადაწყვეტილების შინაარსი და მნიშვნელობა საერთო სასამართლოების მიერ არაერთგვაროვნად განიმარტება, რაც არასწორი გადაწყვეტილების მიღების მიზეზი ხდება.²⁰ ოჯახში ძალადობის საქმეებში პირდაპირი ხასიათის მტკიცებულების მოპოვების სირთულის გათვალისწინებით,²¹ ხშირად ჭარბობს ირიბი მტკიცებულებები, რომლებიც უშუალოდ არ შეიცავს აშკარა ინფორმაციას სავარაუდო დანაშაულის თაობაზე, თუმცა ირიბად აღწერს გარემოებებს დანაშაულისა და ქმედების ჩადენაში მისი როლისა თუ პასუხისმგებლობის შესახებ, რაც, ძირითადად, პირველადი წყაროსგანაა ნაწარმოები. სრულყოფილი გამოძიების ჩატარების პირობებშიც კი ბრალდების მხარე ობიექტურად მოკლებულია შესაძლებლობას, მრავლად მოიპოვოს და სასამართლოს წარუდგინოს ოჯახში ძალადობის საქმეებზე დანაშაულებრივი ფაქტის დამადასტურებელი პირდაპირი მტკიცებულებები.²² აღნიშნულის გათვალისწინებით, მსგავსი კატეგორიის საქმეებში ირიბი მტკიცებულების არსებობა და მისი მოპოვება ხშირად გარდაუვალი აუცილებლობაა, თუმცა მათ გამოყენებასთან დაკავშირებით ეროვნული სასამართლოების მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა არაერთგვაროვანია.²³ მტკიცებულებათა დეფი-

18 სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები, მე-2 გამოცემა, ავტორთა კოლექტივი, რ. გოგშელიძის რედაქტორობით, თბ., 2009, 399-400; ლ. მალაქელიძე, გ. თუმანიშვილი, არაპირდაპირი (ირიბი) მტკიცებულებების მნიშვნელობა ქართული და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, №1 (53), 2017, 32.

19 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №548 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

20 ლ. მალაქელიძე, გ. თუმანიშვილი, არაპირდაპირი (ირიბი) მტკიცებულებების მნიშვნელობა ქართული და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, №1(53), 2017, 30.

21 გ. ხატიაშვილი, სახელმძღვანელო ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, თბ., 2021, 57; მ. კვაჭაძე, ნ. ჯუღელი, ე. ღვინჯილია, ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და ირიბი მტკიცებულებების მნიშვნელობა ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეებში, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, №1, 2022, 191-192.

22 თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 2 აგვისტოს განაჩენი.

23 იხ., რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 21 ივნისის განაჩენი; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 12 თებერვლის №1/ბ-1268-18 განაჩენი; რუსთავის საქალაქო

ციტს ქმნის დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმაც, რაც შემდგომში, არასაკმარისი მტკიცებულებების მოტივით, სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის ერთ-ერთი საფუძველია.²⁴

სტატიის მიზანია, დადგინდეს, რამდენად ხშირად და მართებულად იყენებს და როგორ განმარტავს სასამართლო საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ ნორმას ოჯახში ძალადობის საქმეში ირიბი მტკიცებულების გამოყენების კონტექსტში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაზარალებული უარს აცხადებს ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე; ასევე, გამოიკვლიოს, რამდენად საჭირო და მიზანშეწონილია სასამართლოს მიერ ოჯახში ძალადობის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილების დასასაბუთებლად კონსტიტუციის ნორმის გამოყენება და შეაფასოს საერთო სასამართლოს მიერ დადგენილი განმარტების ფარგლები და სიხშირე. ამ მიზნით, გაანალიზდება საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა ოჯახში ძალადობის საქმეში არსებული ირიბი მტკიცებულების გამოყენებასა და ამ კონტექსტში კონსტიტუციური ნორმის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით. ასევე, აღწერილობითი და ანალიტიკური კვლევის მეთოდებთან ერთად, რომლებიც საკითხის შინაარსობრივ განხილვას უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, ჰერმენევტიკული კვლევის მეთოდის გამოყენებით დადგინდება უტყუარობის ცნება და მისი გაგება სასამართლო პრაქტიკაში, ხოლო, მეორე მხრივ, შედარებითსამართლებრივი კვლევის მეთოდის დახმარებით დამუშავდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომები და შესაბამისი გადაწყვეტილებები საერთო სასამართლოს განმარტების შეფასებისთვის.

II. უტყუარობის კონსტიტუციური სტანდარტის განმარტება ირიბი მტკიცებულების კონტექსტში

1. „უტყუარობის“ სასამართლოსეული განმარტება

პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.²⁵ მტკიცებულება უნდა შეფასდეს

სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 10 იანვრის №1-737-19 განაჩენი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 29 სექტემბრის №623აპ-22 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 8 სექტემბრის №606აპ-23 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 24 იანვრის №1215აპ-23 განჩინება.

24 საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ოჯახში ძალადობის საქმეებში, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბ., 2017, 67; A.King-Ries, *Crawford v. Washington: The End of Victimless Prosecution?*, Faculty Law Review Articles, Vol. 28, No.115, 2005, 305.

25 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 82-ე მუხლი, მე-3 ნაწილი.

სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით.²⁶ მტკიცებულების შეფასება არის გონებრივი და ლოგიკური საქმიანობა საქმეში არსებული თითოეული მტკიცებულების შესაბამისობის, დასაშვებობისა და უტყუარობის შესამოწმებლად, რომელთა ერთობლიობა და საკმარისობა საჭიროა შესაბამისი საპროცესო გადაწყვეტილების მისაღებად.²⁷ შესაბამისად, თუ სამივე გარემოება არ არსებობს ერთობლიობაში, ასეთი მტკიცებულება არ უნდა იქნეს გათვალისწინებული საქმის გადაწყვეტისას. ეს პრინციპი მიმართულია შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში სამართლიანი სასამართლო პროცესის უზრუნველყოფისკენ. მტკიცებულების უტყუარობის სტანდარტი ხელისუფლების სხვადასხვა შტოს ავალდებულებს, უზრუნველყონ სისხლის სამართლის პროცესის წარმართვა ჯანსაღი პაექრობის, ბრალდებისა და დაცვის არგუმენტების შეჯერების საფუძველზე.²⁸ მტკიცებულების უტყუარობაში მისი სანდოობა და ავთენტიკურობა მოიაზრება²⁹ და გულისხმობს მასში მოცემული ინფორმაციის (ფაქტობრივი მონაცემები) ჭეშმარიტებას.³⁰ საქართველოს კონსტიტუცია გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას შესაძლებლად მიიჩნევს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით.³¹ უტყუარობის კონსტიტუციური სტანდარტი გაცილებით ფართო შინაარსისაა, ვიდრე მისი პროცესუალური ცნება და მოიცავს მტკიცებულებათა შეფასების სხვადასხვა საპროცესო კრიტერიუმს, რომელთა მხოლოდ ერთობლიობაში არსებობის შემთხვევაში იქმნება განაჩენის გამოტანის საფუძველი.³² ვინაიდან კონსტიტუციის ნორმები მნიშვნელობას იძენს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მათი ინტერპრეტაციისას,³³ სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში მტკიცებულებათა უტყუარობის შინაარსობრივი ელემენტების დასადგენად საკონსტიტუციო კონტროლის შედეგად დადგენილი განმარტება უაღრესად მნიშვნელოვანია. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, უტყუარობის საკონსტიტუციო სტანდარტი მოიცავს არა მარტო საექვო მტკიცებულების დაუშვებლობის მითითებას, რაც გულისხმობს

26 იქვე, 82-ე მუხლი, 1-ელი ნაწილი.

27 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, გ. გიორგაძის რედაქტორობით, თბ., 2015, 288.

28 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის №1/1//650,699 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 37-ე პუნქტი.

29 გ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, 229.

30 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, გ. გიორგაძის რედაქტორობით, თბ., 2015, 289.

31 საქართველოს კონსტიტუცია, 31-ე მუხლი, მე-7 პუნქტი.

32 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის №1/1//650,699 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, მე-40 პუნქტი.

33 ს. ბრაჭელი, თ. გეგელია, თ. გელაშვილი, გ. მელაძე, სისხლის სამართლის მოქმედების ფარგლები, თბ., 2021, 246.

ეჭვის გამორიცხვას მტკიცებულების გაყალბების ან არსებითი ნიშან-თვისებების დაკარგვის შესახებ, არამედ ასევე მოთხოვნას, რომ საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტი თუ გარემოება დადასტურდეს მხოლოდ სანდო წყაროდან მიღებული და ჯეროვნად შემოწმებული ინფორმაციის საფუძველზე.³⁴ ამდენად, მტკიცებულებათა უტყუარობის საკონსტიტუციო სტანდარტი კრძალავს პირის მსჯავრდებას საეჭვო ხასიათის მტკიცებულებებზე დაყრდნობით.³⁵

მტკიცებულებათა უტყუარობის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად აუცილებელია, მტკიცებულებები არსებითად გამოიკვლიონ და შეაფასონ როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი, მატერიალური კრიტიკის საფუძველზე, რაც, საქართველოში სამართალწარმოებისთვის დადგენილი შეფიქრებითი მოდელის გათვალისწინებით, შეიძლება მოხდეს მხოლოდ ოპონენტი მხარის მიერ საპირისპირო ფაქტებისა და სხვა სახის კონტრარგუმენტების წარდგენით.³⁶ მტკიცებულების უტყუარობის განსაზღვრა გრძელდება მთელი სამართალწარმოების განმავლობაში, მას არ გააჩნია ფორმალური ნიშნები და შეიძლება განისაზღვროს/შეფასდეს მხოლოდ კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე. მტკიცებულების უტყუარობის შესახებ სრულყოფილი დასკვნა ყალიბდება მტკიცების პროცესის დასასრულს, როდესაც საქმეზე ყველა მტკიცებულება შეიკრიბება და თითოეული გადამოწმდება შეფიქრებით სასამართლო განხილვაზე.³⁷

მტკიცებულებათა უტყუარობის შესაფასებლად სასამართლო იყენებს რამდენიმე კრიტერიუმს, კერძოდ: 1. თითოეული მტკიცებულება, მათ შორის, მოწმის ჩვენება, შინაარსობრივად ხომ არ შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას; 2. თითოეული მტკიცებულება ამყარებს სხვა მტკიცებულებებს, თუ მათ შორის არის სხვადასხვა წინააღმდეგობა, რომელთა ხარისხს სასამართლო აფასებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში; 3. რამდენად გულწრფელი და მიუკერძოებელია მოწმე, ხომ არ აქვს ფიზიკური ნაკლი, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს მოვლენების ადეკვატურ აღქმაზე; 4. როგორ პირობებში მოიპოვეს მტკიცებულება. მაგ., გარემო პირობები – ცუდი ხილვადობა (ნისლი), ხალხმრავალი ადგილი, მანძილი მოწმესა და შემთხვევის ადგილს შორის

34 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №548 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, მე-7 პუნქტი.

35 თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 6 თებერვლის №1/3966-19 განაჩენი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 17 ივლისის №35აპ-20 განჩინება.

36 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის №1/1/650,699 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქეები – ნადია ზურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 42-ე პუნქტი.

37 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, გ. გიორგაძის რედაქტორობით, თბ., 2015, 290.

და სხვ.³⁸ სასამართლოს განმარტებით, მტკიცებულებების ამ კრიტერიუმების შეფასებისა და განაჩენში მათზე სათანადო მსჯელობის გარეშე, მტკიცებულებათა უტყუარობის სიღრმისეული შეფასება, ფაქტობრივად, შეუძლებელია.³⁹ გასათვალისწინებელია ისიც, რომ მხარეთა მიერ მტკიცებულებათა უდავოდ მიჩნევა ავტომატურად არ ამალღებს მტკიცებულების უტყუარობის ხარისხს და არ ანიჭებს მას გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად წინასწარ დადგენილ იურიდიულ ძალას. მტკიცებულებები, რომლებიც თავისი შინაარსით ერთმანეთს არ თანხვდება და შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას, ბრალის აღიარების შემთხვევაშიც კი ვერ დაძლევს უდანაშაულობის საკონსტიტუციო გარანტიას.⁴⁰ ამასთან, სასამართლო უტყუარობის დადგენას ყოველგვარი ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპს უკავშირებს და მიუთითებს, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია მხოლოდ მაშინ იქნება დაძლეული, თუ უტყუარი და დამაჯერებელი მტკიცებულებები გააქარწყლებს გონივრულ ეჭვს.⁴¹

ამდენად, საერთო სასამართლო, როგორც წესი, მიჰყვება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მოთხოვნილ მტკიცებულების უტყუარობის ლოგიკას და ჩამოთვლის იმ კრიტერიუმებს, რომლებითაც მტკიცებულების უტყუარობას აფასებს, თუმცა, უმეტესად, აღნიშნულ გარემოებებზე მიუთითებს ტექნიკურად, ინდივიდუალური მსჯელობისა და კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებთან მისადაგების გარეშე. შესაბამისად, მტკიცებულების უტყუარობის სასამართლოსეული განმარტების არსებობის მიუხედავად, ბუნდოვანი რჩება შეფასების პროცესი – თუ რატომ მიიჩნევს სასამართლო ამა თუ იმ მტკიცებულებას უტყუარად. მტკიცებულების უტყუარობის კრიტერიუმების ჩამოთვლის შემდეგ სასამართლო ასკვნის, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები აკმაყოფილებს უტყუარობის სტანდარტს.

38 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 15 მაისის №95აპ-24 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 12 ივნისის №52აპ-24 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 29 ივლისის №392აპ-24 განჩინება.

39 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 აპრილის №397აპ-14 განაჩენი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 10 აპრილის №792აპ-19 განაჩენი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 2 სექტემბრის №268აპ-20 განაჩენი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 1-ელი ივნისის №69აგ-20 განაჩენი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 21 დეკემბრის №1092აპ-23 განაჩენი.

40 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 28 ივლისის №435აპ-22 განჩინება.

41 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 25 იანვრის №1090აპ-22 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 9 დეკემბრის №895აპ-22 განჩინება.

2. ირიბი მტკიცებულების უტყუარად შეფასების პერსპექტივა

მტკიცებულების უტყუარობის კონტექსტში შეფასებას საჭიროებს ირიბი მტკიცებულება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ახდენს მტკიცებულებათა კლასიფიკაციას და არ მიჯნავს ერთმანეთისგან პირდაპირ და ირიბ მტკიცებულებებს.⁴² კანონმდებლობისგან განსხვავებით, აკადემიურ ლიტერატურაში მტკიცებულებათა დაყოფა პირდაპირ თუ ირიბ მტკიცებულებად ეფუძნება მტკიცების საგანთან დაკავშირებულ გარემოებებს, რომლებიც უნდა დამტკიცდეს სისხლის სამართლის თითოეულ საქმეზე. თუ მტკიცებულება პირდაპირ მიუთითებს მტკიცების საგანს მიკუთვნებულ გარემოებებზე, იგი მიიჩნევა პირდაპირ მტკიცებულებად, ხოლო მტკიცებულება, რომელიც პირდაპირ და უშუალო კავშირში არ არის მტკიცების საგანთან, მაგრამ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში იძლევა იმის საშუალებას, რომ გამოტანილ იქნეს სათანადო დასკვნები მტკიცების საგნისა და ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, ფასდება ირიბ მტკიცებულებად.⁴³ პირდაპირი და არაპირდაპირი მტკიცებულებების ერთმანეთისაგან გამიჯვნის კრიტერიუმები კანონმდებლობით არ არის დადგენილი, რაც, გარკვეულწილად, მიუთითებს განაჩენის გამოტანისათვის მხოლოდ პირდაპირი მტკიცებულებების გარკვეული რაოდენობის მოთხოვნის არარსებობაზე. მტკიცებულების უტყუარად მიჩნევისთვის მხოლოდ პირდაპირი მტკიცებულებების ან/და მათი შესაბამისი რაოდენობის მოთხოვნა ხშირ შემთხვევაში შეუძლებელს გახდიდა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას.⁴⁴

2.1. ირიბი ჩვენებისა და ირიბი მტკიცებულების დიფერენცირების პრაქტიკული მნიშვნელობა

ირიბია მოწმის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.⁴⁵ ტერმინ „ირიბს“ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მხოლოდ ჩვენების კონტექსტში იყენებს და არა სხვა მტკიცებულებებთან მიმართებით. შესაბამისად, ირიბი ჩვენება განსხვავდება ირიბი მტკიცებულებისაგან.⁴⁶ ირიბი ჩვე-

42 ლ. მალლაკელიძე, გ. თუმანიშვილი, არაპირდაპირი (ირიბი) მტკიცებულებების მნიშვნელობა ქართული და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, №1(53), 2017, 31; ჰ.-ი. ალბრეხტი, შეხედულება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილებაზე, 10, ხელმისაწვდომია: <<https://tinyurl.com/576uzey6>> [01.09.2025].

43 სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები, მე-2 გამოცემა, ავტორთა კოლექტივი, რ. გოგშელიძის რედაქტორობით, თბ., 2009, 399.

44 ლ. მალლაკელიძე, გ. თუმანიშვილი, არაპირდაპირი (ირიბი) მტკიცებულებების მნიშვნელობა ქართული და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, №1(53), 2017, 39.

45 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 76-ე მუხლი, 1-ელი ნაწილი.

46 ლ. მალლაკელიძე, გ. თუმანიშვილი, არაპირდაპირი (ირიბი) მტკიცებულებების მნიშვნელობა ქართული და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, №1(53), 2017, 31.

ნების გამოყენება იკრძალება გამამატყუნებელი განაჩენის დასაბუთებისათვის.⁴⁷ სასამართლოს შეფასებით, მოწმის ჩვენება, რომელიც სრულად ეფუძნება იმ სხვა პირთა მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, რომლებიც სასამართლოში დადგენილი წესით არ ადასტურებენ იმავე ფაქტებს, ირიბი ხასიათის მტკიცებულების გამოყენების კონსტიტუციური სტანდარტის გათვალისწინებით, არ შეიძლება იქნეს მიჩნეული საქმეზე გამამატყუნებელი განაჩენის გამოტანის საკმარის და უტყუარ მტკიცებულებად,⁴⁸ რის გამოც, კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, არ შეიძლება პირის მსჯავრდების საფუძველი გახდეს.⁴⁹ შესაბამისად, განაჩენის დასაბუთებისას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების მოშველიებით მოსამართლეები ასკენიან, რომ ირიბი ჩვენება ვერ აკმაყოფილებს უტყუარობის სტანდარტს და მხოლოდ ირიბი ჩვენებები არ შეიძლება დაედოს საფუძველად გამამატყუნებელ განაჩენს.⁵⁰

აღნიშნულისგან განსხვავებით, შესაძლებელია, საქმეში არსებობდეს მხოლოდ ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც მტკიცების საგანს მიკუთვნებულ გარემოებებზე პირდაპირ და უშუალოდ არ მიუთითებენ, მაგრამ არაპირდაპირ მაინც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ამტკიცებენ პირის დამნაშავეობას.⁵¹ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მოსამართლეები ერთმანეთთან აიგივებენ ირიბ ჩვენებას და ირიბ მტკიცებულებას, რაც, სავარაუდოდ, მტკიცებულებითი სტანდარტის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს ამკაცრებს. ამას მოწმობს სასამართლოს მიერ გამოყენებული ტერმინი „ირიბი მტკიცებულება“, რომელზე დაყრდნობითაც ის შეუძლებლად მიიჩნევა გამამატყუნებელი განაჩენის გამოტანას.⁵² სასამართლოს მტკიცებით, ირიბი მტკიცებულების გამოყენების საკონსტიტუციო და საპროცესო სტანდარტი მოითხოვს, საქმეში წარმოდგენილი იყოს დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელი თუნდაც ერთი პირდაპირი მტკიცებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ირიბი შინაარსის შემცველი მტკიცებულებების სიმრავლე და მრავალფეროვნება თავისთავად არ

47 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, გ. გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 269.

48 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 23 იანვრის №1090აპ-22 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 29 მარტის №626აპ-17 განჩინება.

49 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 16 იანვრის №448აპ-18 განაჩენი.

50 თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 29 ოქტომბრის განაჩენი; სენაკის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 29 ოქტომბრის №1/92 განაჩენი.

51 ლ. მაღლაკელიძე, გ. თუმანიშვილი, არაპირდაპირი (ირიბი) მტკიცებულებების მნიშვნელობა ქართული და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, №1 (53), 2017, 39.

52 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 20 აპრილის №844აპ-20 განაჩენი.

ამაღლებს ამ მტკიცებულებათა უტყუარობის ხარისხს.⁵³ მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში მოწმეთა ირიბ განმარტებებში არსებული მნიშვნელოვანი შეუსაბამობების გათვალისწინებით, სასამართლომ არცერთი ჩვენება არ მიიჩნია უტყუარ მტკიცებულებად და მიუთითა, რომ აღნიშნულ ჩვენებებსა და გამოკითხვის ოქმებში არსებული ფაქტობრივი წინააღმდეგობები არ იყო დაძლეული სხვა, ნეიტრალური პირდაპირი ხასიათის მტკიცებულებებით.⁵⁴ შესაძლოა, სასამართლოს ამ მიდგომამ წარმოშვა გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, სულ მცირე, ორი პირდაპირი მტკიცებულების მოთხოვნა.⁵⁵

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ, ერთი მხრივ, მოწმის ჩვენების ის ნაწილი, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, ვერ აკმაყოფილებს უტყუარობის საკონსტიტუციოსამართლებრივ სტანდარტს, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლოს მიერ ირიბი მტკიცებულებების შინაარსი და მნიშვნელობა არაერთგვაროვნად არის გაგებული და, ხშირ შემთხვევაში, ერთმანეთთან არის გაიგივებული ირიბი ჩვენება და ირიბი მტკიცებულება, რაც შემდგომში არასწორი გადაწყვეტილების მიზეზი ხდება. იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეხება მხოლოდ ირიბ ჩვენებას და არა ირიბ მტკიცებულებას. ამიტომ საერთო სასამართლომ ერთმანეთისგან უნდა გამოიჯნოს ირიბი ჩვენება და ირიბი მტკიცებულება, რადგან არაპირდაპირი (ირიბი) მტკიცებულებების გარეშე, ფაქტობრივად, შეუძლებელია პირისათვის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. უტყუარობის თვალსაზრისით, პრობლემურია მხოლოდ მოწმის ირიბი ჩვენება, თუმცა ირიბ მტკიცებულებას აქვს

53 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 7 ნოემბრის №831აპ-22 განჩინება.

54 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 25 იანვრის №1023აპ-22 განჩინება.

55 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 6 ივნისის №161აპ-24 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 4 აპრილის №1192აპ-23 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 12 თებერვლის №1214აპ-23 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 18 სექტემბრის №639აპ-23 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 22 ივნისის №417აპ-23 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 4 ივლისის №249აპ-22 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 3 დეკემბრის №784აპ-21 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 9 თებერვლის №453აპ-15 განაჩენი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 აპრილის №561აპ-15 განაჩენი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 26 ივლისის №251აპ-16 განაჩენი; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 19 თებერვლის №1/ბ-233-19 განაჩენი; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 25 თებერვლის განაჩენი; რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 12 თებერვლის განაჩენი.

პოტენციური, გაამყაროს ძირითადი – პირდაპირი მტკიცებულება და აამაღლოს მისი სარწმუნოების ხარისხი.⁵⁶

2.2. გამონაკლის შემთხვევაში ირიბი ჩვენების გამოყენების შესაძლებლობა

ირიბი ჩვენება, მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებად სანდო მტკიცებულებაა, რომელიც შეიცავს პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით მცდარი აღქმის შექმნის საფრთხეს, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. ასეთი გამონაკლისის დაშვება შეიძლება გამართლებული იყოს, თუ არსებობს ობიექტური მიზეზი, რის გამოც იმ პირის დაკითხვა, რომლის სიტყვებსაც ემყარება ირიბი ჩვენება, შეუძლებელია. მაგალითად, შესაძლებელია, სასამართლომ განიხილოს ირიბი ჩვენების დაშვების მართლზომიერება, როდესაც მოწმე ან დაზარალებული დაშინებულია ან არსებობს მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობა. აღნიშნულის მიზანია, ბრალდებულის მიერ მოწმის დაშინების შემთხვევაში არ შეფერხდეს მართლმსაჯულების განხორციელება. მოძალადეს არ უნდა ჰქონდეს მსხვერპლის მანიპულირების გზით სისხლის სამართლის საქმეზე დე ფაქტო კონტროლის შესაძლებლობა.⁵⁷ ირიბი ჩვენების გამოყენების აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს მნიშვნელოვანი მიზეზი, რომ ინფორმაციის ავტორი თავად ვერ ახერხებს ან არ სურს ჩვენების მიცემა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ირიბი ჩვენების მხოლოდ ზოგადი დასაშვებობის კრიტერიუმების არსებობის მიუხედავად, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, ის შეიძლება გამოიყენონ იმ შემთხვევაში, როდესაც ამის აუცილებლობა არ არსებობს.⁵⁸ ირიბი ჩვენების დასაშვებობასთან მიმართებით არსებული წესების მკაცრმა ინტერპრეტაციამ შეიძლება მნიშვნელოვანი მტკიცებულების დასაშვებობას არსებითი ბარიერები შეუქმნას.⁵⁹

მოცემული განმარტების პირობებში საერთო სასამართლოების პრაქტიკა არაერთგვაროვნად განვითარდა. გავრცელებული პრაქტიკით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის გადაწყვეტილებაზე მითითებით, საერთო სასამართლო გამოირიცხავს ირიბი ჩვენების გამოყენებას გამამტყუნებელი განაჩენის დასაბუთებისათვის მისი „გამოყენების მარეგულირებელი წესის მკა-

56 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 9 დეკემბრის №895აპ-22 განჩინება.

57 A. King-Ries, *Crawford v. Washington: The End of Victimless Prosecution?*, Faculty Law Review Articles, Vol. 28, No.115, 2005, 305.

58 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №548 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 36-ე პუნქტი.

59 კ. ედგერტონი, თ. დეკანოზიძე, გ. ხატიაშვილი, ნ. ბარბაქაძე, ლ. ბიჭიკაშვილი, სექსუალური ძალადობის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის სახელმძღვანელო (გამომცემების, პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის), თბ., 2021, 71.

ფიო და ამომწურავი საკანონმდებლო რეგლამენტაციის“ არარსებობის გამო.⁶⁰ სასამართლოს მტკიცებით, იგი ვერ გამოიყენებს ირიბ ჩვენებას მტკიცებულებად, ვიდრე საკანონმდებლო ორგანო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არ შეიტანს შესაბამის ცვლილებებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე.⁶¹ შესაბამისად, მართალია, საქართველოს საერთო სასამართლოები არ გამოირიცხავენ გამონაკლის შემთხვევებში ირიბი ჩვენების გამოყენების შესაძლებლობას,⁶² თუმცა მიუთითებენ, რომ საკანონმდებლო რეგულაციის არარსებობის პირობებში, გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისათვის დაუშვებელია ირიბი ჩვენების გამოყენება როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვა სახის მტკიცებულებებთან ერთად.⁶³

აღნიშნულის საპირისპიროდ, სასამართლო პრაქტიკაში შეინიშნება მცირედი გამონაკლისები, რომლებიც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, დეტალური მონესრიგების არარსებობის მიუხედავად, შესაძლებლად მიიჩნევენ, გამონაკლის შემთხვევებში, ირიბი ჩვენების დასაშვებობასა და გამოყენებას.⁶⁴ სასამართლოს შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულმა არ მისცა ჩვენება სასამართლოში და არ არიან ქმედების თვითმხილველი სხვა მოწმეები, ეს არ გამოირიცხავს, რომ გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ირიბი ჩვენებები და სხვა არაპირდაპირი მტკიცებულებები.⁶⁵

ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ იმ საგამონაკლისო წესებზე გაამახვილა ყურადღება, რომლებიც, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, დასაშვებად მიიჩნევს ირიბი ჩვენების გამოყენებას. სასამართლოს შეფასებით, შესაძლებელია ირიბი ჩვენების გამოყენება, როდესაც მოწმე ან დაზარალებული დაშინებულია, ან არსებობს მისი, როგორც მოწმის, უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობა. ბრალდებულის კანონსაწინააღმდეგო ქმედებამ,

60 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 9 ივლისის №311აპ-24 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 29 მაისის №184აპ-24 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 17 აპრილის №63აპ-24 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 26 თებერვლის №1308აპ-23 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 26 ოქტომბრის №759აპ-23 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 26 იანვრის №914აპ-21 განჩინება.

61 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 5 მაისის №440აპ-14 განაჩენი.

62 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 26 ნოემბრის №727აპ-21 განჩინება.

63 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 8 თებერვლის №664აპ-20 განჩინება.

64 რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 21 ივნისის განაჩენი.

65 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 14 სექტემბრის №1ბ/922-18 განაჩენი.

მომზადების დაშინებამ, არ უნდა შეაფერხოს მართლმსაჯულების განხორციელება. სასამართლო უფლებამოსილი უნდა იყოს, შეაფასოს ირიბი ჩვენების დასაშვებობისა და მისი გამოყენების აუცილებლობა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ინფორმაციის ავტორი ვერ ახერხებს ან არ სურს ჩვენების მიცემა და ამისთვის მნიშვნელოვანი მიზეზი არსებობს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემულ საქმეში სწორედ ამგვარი საგამონაკლისო შემთხვევა არსებობდა და მსხვერპლმა ჩვენება შეცვალა მოძალადის „გადარჩენის“ მიზნით. შესაბამისად, სასამართლომ ირიბი ჩვენების დასაშვებობისთვის საკმარისად მიიჩნია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი ზოგადი კრიტერიუმებისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის გადაწყვეტილებაში მოთითებული გამონაკლისების დაკმაყოფილება.⁶⁶

ირიბი ჩვენების დასაშვებობის კანონით გათვალისწინებული კონკრეტული წესების არარსებობის მიუხედავად, სასამართლოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ გამონაკლის შემთხვევებში, სათანადო კონსტიტუციური გარანტიების უზრუნველყოფის პირობებში, გამოიყენოს ირიბი ჩვენება სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში. შესაბამისად, გასაზიარებელია მოსამართლეთა იმ ნაწილის პოზიცია, რომლებიც მიიჩნევენ, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სრულად არ აუკრძალავს ირიბი ჩვენების გამოყენების მართლზომიერება. ამიტომ სასამართლომ სრულად არ უნდა უგულებელყოს გამონაკლის შემთხვევებში ირიბი ჩვენების დასაშვებობისა და გამოყენების შესაძლებლობა.

III. კონსტიტუციური ნორმის გამოყენება, როგორც უფლების დარღვევის პრევენციის საშუალება და დასაბუთებული გადაწყვეტილების ატრიბუტი

სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს არა მხოლოდ კონკრეტული სფეროს მომწესრიგებელი კანონმდებლობით, არამედ სამართლის პრინციპებითა და ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებითაც;⁶⁷ სასამართლოს პოზიტიური ვალდებულებაა, დაიცვას და აღასრულოს ცალკეული ინდივიდის უფლებები⁶⁸ და ამ მიზნით, საჭიროებისამებრ, მოიშველიოს კონსტიტუციური ნორმებიც მტკიცებულების უტყუარობის კონტექსტში.⁶⁹ საერთო სასამართლოების მანდატი ემსა-

66 თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 21 ივნისის განაჩენი.

67 თ. ფეიქრიშვილი, სამოქალაქო სამართალწარმოებაში ფარული აუდიო/ვიდეო ჩანაწერის მტკიცებულებად დაშვების სტანდარტი, ქართული სამართლის აქტუალური საკითხები, 2023, 314; S. Gardbaum, The 'Horizontal Effect' of Constitutional Rights, Michigan Law Review, Vol. 102, No. 3, 2003, 394-398.

68 S. Gardbaum, The 'Horizontal Effect' of Constitutional Rights, Michigan Law Review, Vol. 102, No. 3, 2003, 396.

69 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 24 იანვრის №1230აპ-23 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 26 დეკემბრის №967აპ-23 განჩინება.

ხურება კონსტიტუციის უზენაესობის იდეის პრაქტიკულ და რეალურ განხორციელებას, რაც გულისხმობს კონსტიტუციისა და მასში არსებული ღირებულებების განმარტებას, გამოყენებასა და დაცვას.⁷⁰ არსებული გამოცდილებით, სწორედ ძირითადი კანონით დაცული სფეროს საკონსტიტუციო კონტროლი განაპირობებს აღნიშნული დანაწესის მაქსიმალურ ეფექტიანობას.⁷¹

საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური ნორმების გამოყენება, გარკვეულწილად, კავშირშია გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებასთან. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება განიხილება სამართლიანი სასამართლოს უფლების კონტექსტში.⁷² სამართლიანი სასამართლოს უფლება არ უნდა იყოს მოჩვენებითი და უნდა ქმნიდეს პირის უფლების დაცვისა და დარღვეული უფლების აღდგენის ეფექტიან შესაძლებლობას.⁷³ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთების მიზანია, აჩვენოს მხარეებს, რომ მათ რეალურად მოუსმინა სასამართლომ და გადაწყვეტილება მიიღო სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით. შესაბამისად, გადაწყვეტილების დასაბუთებისას მითითებული უნდა იყოს ის მიზეზები, რის გამოც შესაბამისი არგუმენტები იქნა მიღებული ან უარყოფილი. მხოლოდ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებით შეიძლება განხორციელდეს მართლმსაჯულებაზე საჯარო კონტროლი.⁷⁴

საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური ნორმის მუდმივი გათვალისწინებისა და გამოყენების კიდევ ერთი დასტურია საქმის განმხილველი მოსამართლის შესაძლებლობა, წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, თუ სასამართლო დაასკვნის, რომ ესა თუ ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობ-

70 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2022 წლის 21 აპრილის №3/4//1648 გადაწყვეტილება საქმეზე – თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადებისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე, II, მე-10 პუნქტი.

71 გ. კახიანი, საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2008, 6.

72 ჰირვისაარი ფინეთის წინააღმდეგ (*Hirvisaari v. Finland*), 2001 წლის 25 დეკემბერი, 30-ე პუნქტი.

73 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769, 790,792 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები – ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები – ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამადბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ლვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 133-ე პუნქტი.

74 ფომინი მოლდოვის წინააღმდეგ (*Fomin v. Moldova*), 2012 წლის 11 იანვარი, 31-ე პუნქტი.

რივ შეიძლება იქნეს მიჩნეული საქართველოს კონსტიტუციის შეუსაბამოდ.⁷⁵ აღნიშნული ბერკეტი საერთო სასამართლოს აძლევს საშუალებას, თავიდან აიცილოს საქმის გადაწყვეტისას შესაძლო არაკონსტიტუციური კანონის გამოყენება და ამ გზით უზრუნველყოს კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.⁷⁶ იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილველი მოსამართლე მიიჩნევს, რომ საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამოა კანონმდებლობა, რომლის შემოწმებაც არ განეკუთვნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას, სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად.⁷⁷

აღნიშნულის გათვალისწინებით, კონსტიტუციური ნორმის გამოყენება არის როგორც უფლების დარღვევის თავიდან აცილების წინაპირობა, ისე სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებისთვის აუცილებელი საფუძველი. სასამართლო პრაქტიკაში მოსამართლე გადაწყვეტილების დასაბუთებისას აქტიურად იყენებს საქართველოს კონსტიტუციის შესაბამის ნორმას, რომელიც გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას შესაძლებლად მიიჩნევს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით.⁷⁸ მიუხედავად ამისა, რჩება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული ნორმები მიეთითება შაბლონურად, მშრალად, რაც მხოლოდ ფორმალურად და არა ხარისხობრივად და შინაარსობრივად აკმაყოფილებს სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებელ მოთხოვნებს და ვერ აზღვევს უფლების დარღვევის შესაძლო რისკებს. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა კონსტიტუციის შესაბამისად უნდა განიმარტოს, ხოლო უტყუარი მტკიცებულებების არსებობა გამამტყუნებელი განაჩენის ქვაკუთხედი, მნიშვნელოვანია, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის დროს მოსამართლეებმა გამოიყენონ კონსტიტუციური ნორმა.

75 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მე-7 მუხლი, მე-3 პუნქტი.

76 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 აპრილის №3/4/1648 გადაწყვეტილება საქმეზე – *თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადებისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე*, II, მე-12 პუნქტი.

77 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მე-7 მუხლი, მე-4 პუნქტი.

78 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 27 თებერვლის №739აპ-19 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 10 აპრილის №792აპ-19 განაჩენი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 15 ივლისის №112აპ-20 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 16 მარტის №714აპ-20 განაჩენი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 28 დეკემბრის №815აპ-23 განაჩენი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 8 ოქტომბრის №591აპ-24 განაჩენი.

IV. საერთო სასამართლოების მიერ მტკიცებულების უტყუარობის დადგენა ოჯახში ძალადობის სპეციფიკური კონტექსტის გათვალისწინებით

1. დახურულ (კერძო) სივრცეში მტკიცებულებათა მოპოვების სირთულეები

ოჯახში ძალადობა ხშირად პირადი ურთიერთობის ფარგლებში ან დახურულ სივრცეში,⁷⁹ ერთმანეთთან დაკავშირებულ პირებს შორის ხდება, რაც მის ლოკალურ და ჩაკეტილ ბუნებაზე მიუთითებს.⁸⁰ აღნიშნულის გამო, როგორც წესი, ასეთი საქმეები არ გამოირჩევა მტკიცებულებათა სიუხვითა⁸¹ და თვითმხილველ მონმეთა სიმრავლით.⁸² ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ქალები შეადგენენ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უმრავლესობას, ისინი ხშირად აღიქმებიან „ნაკლებად სანდო“ მონმეებად სისხლის სამართლის სისტემაში,⁸³ რის გამოც რთულდება სისხლის სამართლებრივი დევნა. ოჯახში ძალადობის ფაქტზე დაგვიანებული შეტყობინება, მსხვერპლის მიერ მოძალადესთან ერთად თანაცხოვრების გაგრძელება ან მსხვერპლის ალკოჰოლზე ან სხვა ნივთიერებებზე დამოკიდებულება ხშირად ხდება მსხვერპლის სანდოობაში ეჭვის შეტანის საბაზი, თუმცა აღნიშნული ფაქტორები შეიძლება იყოს რეალური მტკიცებულება იმისა, რომ მსხვერპლზე განხორციელდა ან/და გრძელდება ძალადობა.⁸⁴ კვლევები აჩვენებს, რომ მაშინაც კი, თუ მსხვერპლი სასამართლოში აძლევს ჩვენებას ძალადობის დამადასტურებელი მტკიცებულების გარეშე, სასამართლო მიკერძოებულია და აქვს მსხვერპლის მიმართ უნდობლობის მიდრეკილება.⁸⁵ ამიტომ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე მტკიცებულებითი მოთხოვნები არ უნდა იყოს ზედმეტად შემზღუდველი, მოუქნელი და მათზე გავლენას არ უნდა ახდენდეს გენდერული სტე-

79 ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ (*Opuz v. Turkey*), 2009 წლის 9 ივნისი, 132-ე პუნქტი.

80 ვოლოდინა რუსეთის წინააღმდეგ (*Volodina v. Russia*), 2019 წლის 4 ნოემბერი, 82-ე პუნქტი; სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენერებისათვის, სასწავლო კურსისათვის თემაზე: ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გ. გოგიბერიძის რედაქტორობით, თბ., 2011, 7.

81 გ. ხატიაშვილი, სახელმძღვანელო ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, თბ., 2021, 57; მ. კვაჭაძე, ნ. ჯუღელი, ე. ღვინჯილია, ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და ირიბი მტკიცებულებების მნიშვნელობა ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეებში, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, №1, 2022, 191.

82 ბ. კოჭლამაზაშვილი, ოჯახში ძალადობის საქმეების განხილვის თავისებურებანი სასამართლოში, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, №2, 2017, 50.

83 C.C. Hartley, R. Ryan, Prosecution Strategies in Domestic Violence Felonies: Telling the Story of Domestic Violence, National Criminal Justice Reference Service, 2002, 5; იხ. ციტირება: Lynn Hecht Schafran, „Credibility in the Courts: Why is There a Gender Gap.“ *The Judges Journal* 34 (1995): 5-9, 40-42.

84 Legal Guidance, Domestic Abuse, Crown Prosecutors, 2022, ხელმისაწვდომია: <<https://tinyurl.com/3sruprbr>> [02.09.2025].

85 L.A. Letendre, Beating Again and Again and Again: Why Washington Needs a New Rule of Evidence Admitting Prior Acts of Domestic Violence, *Washington Law Review*, Vol 75, No. 3, 2000, 974.

რეოტიკები.⁸⁶ იმავდროულად, აღნიშნული საქმეები მოითხოვს მტკიცებულებების ფრთხილად და დაბალანსებულად შეფასებას.⁸⁷

ოჯახში ძალადობის სპეციფიკის, თვითმხილველ მონმეთა სიმცირისა და პირდაპირი ხასიათის მტკიცებულებათა მოპოვებასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინებით, გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად დადგენილი საკანონმდებლო სტანდარტის შეფასებისას გასათვალისწინებელია საქმის ინდივიდუალური მახასიათებლები, სასამართლოში წარდგენილ მტკიცებულებათა ხარისხი, მნიშვნელობა და მათი ურთიერთშესაბამისობა და თანხვედრა ბრალდების ფორმულირებაში ასახულ გარემოებებთან.⁸⁸ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წარსულში მომხდარი ოჯახში ძალადობის დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება, რაც სასამართლოს დაეხმარება იმის გაგებაში, რომ ოჯახში ძალადობა არის არა იმპულსური ქმედება, არამედ მოძალადის იარაღია, რომელსაც იგი იყენებს მსხვერპლის გასაკონტროლებლად.⁸⁹ პროკურორებმა საქმეები უნდა განიხილონ წინასწარი განწყობის გარეშე და არ უნდა შეიქმნან მცდარი წარმოდგენები ან ვარაუდები, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მტკიცებულებათა შეფასებაზე.⁹⁰

ოჯახში ძალადობის საქმეებში ხშირად მოიპოვებენ ირიბ მტკიცებულებებს.⁹¹ იმ შემთხვევაში, თუ საქმეში წარდგენილი არაპირდაპირი მტკიცებულებები აკმაყოფილებს უტყუარობის სტანდარტს და ადასტურებს ირიბ ჩვენებაში გადმოცემულ ინფორმაციას, დასაშვებია, ირიბ ჩვენებას მიენიჭოს მტკიცებულებითი ძალა და სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში გამოყენებულ იქნეს პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.⁹² მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება,

86 CEDAW General Recommendation No.33 on Women's Access to Justice, CEDAW/C/GC/33, 2015, Par. 51(h).

87 Legal Guidance, Domestic Abuse, Crown Prosecutors, 2022, ხელმისაწვდომია: <<https://tinyurl.com/3sruprbr>> [02.09.2025].

88 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 6 აპრილის №3აპ-23 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 15 თებერვლის №1063აპ-22 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 1-ელი თებერვლის №1127აპ-22 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 25 იანვრის №1090აპ-22 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 8 დეკემბრის №963აპ-22 განჩინება.

89 L.A. Letendre, Beating Again and Again and Again: Why Washington Needs a New Rule of Evidence Admitting Prior Acts of Domestic Violence, Washington Law Review, Vol. 75, No. 3, 2000, 998.

90 Legal Guidance, Domestic Abuse, Crown Prosecutors, 2022, ხელმისაწვდომია: <<https://tinyurl.com/3sruprbr>> [12.13.2024].

91 იხ., გ. ბატიაშვილი, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა დამისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები, მე-2 გამოცემა, თბ., 2014, 47; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 2 აგვისტოს განაჩენი.

92 თ. ზიდუშელი, ირიბი ჩვენების მნიშვნელობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, სამართლის ჟურნალი, №4, 2019, 256-257.

ირიბ ჩვენებას ნაკლები წონა ჰქონდეს, ეს მას არ ართმევს მტკიცებულებით ღირებულებას და, საბოლოოდ, მისი გამოყენება დამოკიდებული უნდა იყოს მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა გარემოებაზე.⁹³

იმის გათვალისწინებით, რომ ოჯახში ძალადობის საქმეები არ გამოირჩევა მტკიცებულებათა სიუხვით, მითუმეტეს, თვითმხილველ მონმეთა სიმრავლით, ხშირად გადაუვალთ სამართალწარმოება ირიბი მტკიცებულებების გარეშე. მათი გამორიცხვით ძალადობის ჩამდენ პირთა უმრავლესობა პასუხისმგებლობის მიღება დარჩება, ხოლო დაუსჯელობა კიდევ უფრო წაახალისებს ძალადობას. შესაბამისად, განსაკუთრებით ოჯახში ძალადობის საქმეში ირიბ მტკიცებულებას უნდა ჰქონდეს სათანადო ღირებულება, ხოლო ირიბი ჩვენება უნდა გამოიყენონ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი საგამონაკლისო წესით.

2. დაზარალებულის მიერ სასამართლოში ჩვენების მიცემაზე უარის თქმა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, მონმეს უფლება აქვს, არ მისცეს ჩვენება ახლო ნათესავის წინააღმდეგ.⁹⁴ მონმის მოვალეობის შესრულებისგან გათავისუფლება ნიშნავს იმას, რომ პირს არ ეკისრება მონმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის გადაცემის ვალდებულება.⁹⁵ ამით კანონმდებელი ანგარიშს უწევს პირის კანონიერ ინტერესს, არ გამოვიდეს მონმედ საკუთარი ახლო ნათესავის წინააღმდეგ.⁹⁶ ოჯახში ძალადობის საქმეებში, რომლებშიც დაზარალებული მოძალადის ოჯახის წევრია, იგი ხშირად სარგებლობს უფლებით, არ მისცეს ჩვენება ახლო ნათესავის წინააღმდეგ.⁹⁷ მართალია, ძალადობის ფაქტს შეიძლება ჰყავდეს სხვა მონმეებიც, თუმცა ხშირად ისინიც მოძალადის ახლო ნათესავები არიან და ამავე უფლებით სარგებლობენ.⁹⁸

93 პროკურორი ბოსკო ნტაგანდას წინააღმდეგ (*The Prosecutor v. Bosco Ntaganda*), 2019 წლის 8 ივლისი, 67-ე-68-ე პუნქტები.

94 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 49-ე მუხლი, 1-ელი ნაწილი, „დ“ პუნქტი.

95 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, გ. გიორგაძის რედაქტორობით, თბ., 2015, 212.

96 გ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014, 158.

97 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების სასამართლოში დაკითხვის მონიტორინგი, საქართველოს სახალხო დამცველისა და „უფლებები საქართველოს“ სპეციალური ანგარიში, თბ., 2021, 6; ბ. კოჭლამაზაშვილი, *ოჯახში ძალადობის საქმეების განხილვის თავისებურებანი სასამართლოში*, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, №2, 2017, 50; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 18 ივნისის განაჩენი; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 21 ივნისის განაჩენი; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 27 ივნისის განაჩენი.

98 ბ. კოჭლამაზაშვილი, ოჯახში ძალადობის საქმეების განხილვის თავისებურებანი სასამართლოში, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, №2, 2017, 50.

სისხლის სამართლის საქმის გამოძიება და სამართალწარმოების წამოწყების ვალდებულება არ განეკუთვნება მხოლოდ დაზარალებულის პასუხისმგებლობას. ამიტომ სისხლის სამართლებრივი დევნა არ უნდა იყოს „მთლიანად დამოკიდებული“ მსხვერპლის მხრიდან საჩივრის წარდგენაზე და სამართალწარმოება უნდა გაგრძელდეს მაშინაც, როდესაც მსხვერპლი „უკან გამოითხოვს“ თავის განცხადებას ან საჩივარს.⁹⁹ დაზარალებულებმა და მოწმეებმა შეიძლება გადანყვიტონ, უარი თქვან დევნის მხარდაჭერაზე რამდენიმე განსხვავებული მიზეზის გამო. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ მათ აღარ სურთ სასამართლო პროცესში მონაწილეობა (აპატიეს ან შეურიგდნენ ბრალდებულს), ასევე, შურისძიების შიშის, დაშინების, მომავალი სასამართლო პროცესით გამოწვეული შფოთვის, ან იმის გამო, რომ მათ არ აქვთ მხარდაჭერა და სათანადო ინფორმაცია.¹⁰⁰

სასამართლომ უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული სიფრთხილე და შეაფასოს, თუ რატომ ამბობს უარს დაზარალებული ჩვენების მიცემაზე და შეამოწმოს დაზარალებულის პოზიციის მიღმა არსებული მოტივები.¹⁰¹ ასეთ დროს მოსამართლეები, ძირითადად, არკვევენ, რა არის ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზეზი, ხომ არ აიძულებს პირი, ან რაიმე ზეწოლა ხომ არ მომხდარა.¹⁰² მოსამართლეთა შეფასებით, დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმას, გარდა იმისა, რომ ეს მისი კანონიერი უფლებაა, შეიძლება განაპირობებდეს ე.წ. „სტოკჰოლმის სინდრომი“.¹⁰³ სასამართლო დაზარალებულის ქცევას, არ მისცეს ჩვენება მისი ახლო ნათესავის წინააღმდეგ, მოძალადეზე ფინანსური დამოკიდებულებითაც ხსნის, კერძოდ, დაზარალებულებს, რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვი-

99 „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის განმარტებითი ანგარიში, სტამბული, 11.V.2011, 79. 279-ე-280-ე პუნქტები.

100 Victim and Witness Statements in Criminal Proceedings – What Happens where the Victim or Witness Wants to Withdraw the Statement?, 2018, ხელმისაწვდომია: <<https://tinyurl.com/52tyzrx7>> [02.09.2025].

101 ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების სასამართლოში დაკითხვის მონიტორინგი, საქართველოს სახალხო დამცველისა და „უფლებები საქართველოს“ სპეციალური ანგარიში, თბ., 2021, 45.

102 ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კლინიკის ფარგლებში სტუდენტების მიერ განხორციელებული სისხლის სამართლის სასამართლო პროცესების მონიტორინგის ანგარიში (თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებული ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეები), თბ., 2023, 18.

103 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 20 მარტის №13/323-19 განაჩენი; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 27 სექტემბრის განაჩენი; რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 სექტემბრის განაჩენი; მ. შალიკაშვილი, ხ. თანდილაშვილი, უ. ბახტაძე, ვიქტიმოლოგია, მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, მე-2 გამოცემა, თბ., 2023, 197-199. N. Hegheş, C. G. Şchiopu, The Stockholm Syndrome Psychosocial Varieties and Interdisciplinary Implications, Proceedings of the 15th International RAIS Conference, November 6-7, 2019, 70-71.

ლები და არ გააჩნიათ დამოუკიდებელი შემოსავალი, ბავშვების უზრუნველყოფის მოტივით, იძულებულნი არიან, თავი მსხვერპლად შესწირონ მოძალადეს და უარი თქვან მის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე.¹⁰⁴ ამდენად, დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმას შეიძლება, სხვადასხვა მოტივი განაპირობებდეს, თუმცა აღნიშნული ფაქტი არ გამოდგება ბრალდების სამტკიცებლად ან უარსაყოფად. ამიტომ, დაზარალებულის მიერ ახლო ნათესავის მამხილებელი ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიუხედავად, საქმეზე მოპოვებული სხვა უტყუარი მტკიცებულებები უნდა იქნეს შეფასებული.¹⁰⁵

აღნიშნული სპეციფიკის გათვალისწინებით, ბრალდების მხარეს აქვს ვალდებულება, უფრო მეტი ძალისხმევით მოიპოვოს და შეკრიბოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ წარდგენილ ბრალდებას, რათა საქმე მთლიანად არ იყოს დამოკიდებული და ორიენტირებული მხოლოდ მსხვერპლის მტკიცებულებებსა¹⁰⁶ და დაზარალებულის მიერ მოწმის იმუნიტეტით სარგებლობაზე და ამით არ გამოიწვიოს მისი მეორეული ვიქტიმიზაცია და უნდობლობა მართლმსაჯულების სისტემის მიმართ.¹⁰⁷ დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა არ ნიშნავს გამოძიებისას გამოკითხვის ოქმში არსებული, მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის უარყოფას. ასეთ დროს ის იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებას, ოჯახის წევრის წინააღმდეგ სასამართლოში არ მისცეს მამხილებელი ჩვენება, რაც სასამართლოს არ ზღუდავს, შეაფასოს სხვა დარჩენილი მტკიცებულებები.¹⁰⁸

ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზეზები შეიძლება დაუკავშირდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ გამოწვევებს, რა შემთხვევაშიც დასაშვებია ირიბი ჩვენების გამოყენება. ხშირად არსებობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დაშინების ან/და მასზე ზემოქმედების შემთხვევები, რაც, ძირითადად, ბრალდებულისგან ან მისი გარემოცვისგან მომდინარეობს. აღნიშნულმა არ უნდა შეაფერხოს მართლმსაჯულება და, შესაბამისად, სასამართლომ დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზეზების გამორკვევის შემდეგ უნდა განიხილოს ირიბი ჩვენების გამოყენების მართლზომიერება და აუცილებლობა.

104 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 15 ნოემბრის №13/1311-18 განაჩენი.

105 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 8 დეკემბრის №963აპ-22 განჩინება.

106 Legal Guidance, Domestic Abuse, Crown Prosecutors, 2022, ხელმისაწვდომია: <<https://tinyurl.com/3sruprbr>> [02.09.2025].

107 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 9 სექტემბრის №444აპ-20 განჩინება.

108 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 8 თებერვლის №664აპ-20 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 9 სექტემბრის №444აპ-20 განჩინება; რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 სექტემბრის განაჩენი.

3. მტკიცებულების უტყუარობის კონსტიტუციური პრინციპის გამოყენება ოჯახში ძალადობის საქმეებში

ოჯახში ძალადობის ჩაკეტილი ბუნებისა და მსხვერპლთა მიერ ძალადობის გაუმხელობის ხშირი ტენდენციის გათვალისწინებით, საინტერესოა, სასამართლო როგორ აფასებს აღნიშნულ საქმეებზე მოპოვებული მტკიცებულებების უტყუარობას და ხომ არ არსებობს გამამატყუნებელი განაჩენის გამოსატანად დადგენილი საკანონმდებლო სტანდარტის შესაძლო დანევის რისკები. ცალსახაა, რომ სასამართლომ და საკანონმდებლო ორგანომ უნდა დაადგინოს გამონაკლისები მტკიცებულებებთან დაკავშირებით იმ დანაშაულებზე, რომლებსაც აქვთ უნიკალური მახასიათებლები, როგორებიცაა მოწმეების ნაკლებობა და განმეორების მაღალი მაჩვენებელი.¹⁰⁹

გადანწყვეტილებებში სასამართლო დეკლარირებულად მიუთითებს, რომ ითვალისწინებს ოჯახური დანაშაულის სპეციფიკას, თვითმხილველ მოწმეთა სიმცირესა და პირდაპირი ხასიათის მტკიცებულებათა მოპოვების სირთულეებს და აცხადებს, რომ გამამატყუნებელი განაჩენის გამოსატანად დადგენილი საკანონმდებლო სტანდარტის შეფასებისას გასათვალისწინებელია მიღებული საქმის ინდივიდუალური მოცემულობა, სასამართლოში წარდგენილ მტკიცებულებათა ხარისხი და მნიშვნელობა, მათი ურთიერთშეხამებისა და თანხვედრა ბრალდების ფორმულირებაში მითითებულ გარემოებებთან.¹¹⁰

საერთო სასამართლოები გამორიცხავენ ოჯახში ძალადობის საქმეში განსხვავებული მტკიცებულებითი სტანდარტის დამკვიდრებას და მიუთითებენ, რომ საქართველოს კონსტიტუციითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გამამატყუნებელი განაჩენის გამოსატანად ყველა კატეგორიის საქმეზე დადგენილია ერთი სტანდარტი, რომლიდანაც გამონაკლისი არ არის დასაშვები, მიუხედავად იმისა, თუ რა კატეგორიისა და ბრალდების საქმე განიხილება. მოსამართლეები არ ეთანხმებიან საკითხის იმგვარად განმარტებას, რომ, ოჯახში ძალადობის საქმეთა სპეციფიკიდან გამომდინარე, გამამატყუნებელი განაჩენის გამოსატანად დადგინდეს დაბალი სტანდარტი (გამამატყუნებელი განაჩენი არ ეფუძნებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს), ვიდრე ამას საქართველოს კონსტიტუცია და სხვა კანონმდებლობა მოითხოვს.¹¹¹

109 L.A. Letendre, *Beating Again and Again and Again: Why Washington Needs a New Rule of Evidence Admitting Prior Acts of Domestic Violence*, *Washington Law Review*, Vol. 75, No. 3, 2000, 989.

110 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 15 მაისის №95აპ-24 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 29 ივლისის №392აპ-24 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 25 იანვრის №1023აპ-22 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 6 აპრილის №3აპ-23 განჩინება.

111 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 10 აპრილის №1ბ/473-20 განაჩენი; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის

საბოლოოდ, ოჯახში ძალადობის სპეციფიკის, სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვისა და მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობაზე დაყრდნობით, პირის მსჯავრდების პრინციპის გათვალისწინებით, საერთო სასამართლოებში დამკვიდრდა პრაქტიკა, რომლის შესაბამისად, ოჯახში ძალადობის საქმეებზე დაზარალებულის ან სხვა მოწმის ერთი პირდაპირი ჩვენება, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნასა და არაპირდაპირ ჩვენებებთან ან სხვა არაპირდაპირ მტკიცებულებებთან ერთად, მათი უტყუარობის შემთხვევაში, საკმარის საფუძვლადაა მიჩნეული გამამატყუნებელი განაჩენის გამოსატანად,¹¹² თუმცა კვლავ არაერთგვაროვანი და ბუნდოვანია მიდგომა მაშინ, როდესაც დაზარალებული უარს ამბობს ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე.

V. დასკვნა

საქართველოს საერთო სასამართლოები მტკიცებულებათა სტანდარტზე მსჯელობისას ხშირ შემთხვევაში მიუთითებენ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტზე, რომელიც გამამატყუნებელი განაჩენის გამოსატანად უტყუარი მტკიცებულების არსებობის სავალდებულო წესს ადგენს. თუმცა, ძირითადად, სასამართლოები აღნიშნულ ნორმას იყენებენ შაბლონურად, ტექნიკური სახით, შესაბამისი მსჯელობის, კონკრეტიკისა და ფაქტობრივ გარემოებებთან მისადაგების გარეშე. სასამართლო დასაბუთების ნაკლებობას ხსნის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში მითითებული მსჯელობის მოშველიებით, რომლის თანახმად, დასაბუთებული გადაწყვეტილების ვალდებულება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხების გაცემას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბუნდოვანი რჩება, თუ რატომ მიიჩნევა ან არ მიიჩნევა სასამართლო წარდგენილ მტკიცებულებებს უტყუარად.

სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 19 მარტის №1ბ/323-20 განაჩენი; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 25 იანვრის განაჩენი; ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 18 აპრილის №1-35/19 განაჩენი; ცაგერის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 24 დეკემბრის №1/29-19 განაჩენი; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 29 ოქტომბრის განაჩენი.

- 112 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 14 მაისის №30აპ-24 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 15 მაისის №95აპ-24 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 15 თებერვლის №1063აპ-22 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 18 სექტემბრის №480აპ-23 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 8 დეკემბრის №963აპ-22 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 8 ნოემბრის №409აპ-19 განაჩენი.

არაერთგვაროვანია სასამართლოების მიერ ოჯახური დანაშაულის საქმეებში ირიბი მტკიცებულების გამოყენების პრაქტიკა, რაზეც დიდწილად არის დამოკიდებული საბოლოო გადაწყვეტილება. ირიბი მტკიცებულების გამოყენების კონტექსტში სასამართლოები იშველიებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებას და აღნიშნავენ, რომ, მართალია, საკონსტიტუციო სასამართლო, გამონაკლის შემთხვევებში, დასაშვებად მიიჩნევს ირიბი ჩვენების გამოყენების შესაძლებლობას, თუმცა აღნიშნული გამონაკლისები გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით. შესაბამისად, მიუთითებენ, რომ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ზოგადი წესით, ამომწურავი და მკაფიო საკანონმდებლო რეგლამენტაციის გარეშე, ვერ გამოიყენებენ ირიბ ჩვენებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, მტკიცებულების უტყუარობის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად სავალდებულოდ მიიჩნევენ საქმეში ორი პირდაპირი მტკიცებულების არსებობას. ამდენად, მოსამართლეთა შეხედულებით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი მიღწევადია ისეთ საქმეებში, სადაც, დაზარალებულის ჩვენებასთან ერთად, ერთი პირდაპირი მტკიცებულება მაინც არის წარმოდგენილი. ასეთი განმარტების პირობებში, დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის დროს, როგორც წესი, გამამართლებელი განაჩენი დგება.

ზოგჯერ, კვლავ საკონსტიტუციო სასამართლოს ხსენებულ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, რომელიც საილუსტრაციოდ მიუთითებს ირიბი მტკიცებულების დასაშვებობის საგამონაკლისო შემთხვევებზე, საერთო სასამართლოები შესაძლებლად მიიჩნევენ, გამოიყენონ ირიბი მტკიცებულება, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს სხვა მტკიცებულების გამყარების პოტენციალი. მოსამართლეები არკვევენ დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მოტივებს, რაც შეიძლება დაშინებით ან მასზე ზემოქმედებით იყოს გამოწვეული. შესაბამისად, დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიუხედავად, გამამტყუნებელ გადაწყვეტილებას იღებენ.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსის არაერთგვაროვნად განმარტება და გამოყენება მტკიცებულებათა სტანდარტის არასათანადოდ შეფასებისა და არასწორი გადაწყვეტილების მიღების მაღალ რისკებს ქმნის, რამაც შეიძლება დააზიანოს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა. ოჯახური დანაშაულის საქმეების კერძო სივრცეში ჩადენის ბუნებიდან გამომდინარე, სადაც ირიბ მტკიცებულებებს ექცევა განსაკუთრებული ყურადღება, მათი გამოუყენებლობა ძალადობის მსხვერპლებს ნაკლებ მოტივაციას შეუქმნის, დასახმარებლად მიმართონ მართლმსაჯულების ორგანოებს, რაც უარყოფითად იმოქმედებს ასეთი შემთხვევების გამოვლენასა და დანაშაულის პრევენციაზე.

მიზანშეწონილია, სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განმარტოს მტკიცებულებითი სტანდარტი ოჯახური დანაშაულის ყველა საქმეში ფაქტობრივ გარემოებებთან კორელაციაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაზა-

რალეებული უარს ამბობს ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე და გამოიყენოს ირიბი მტკიცებულებები, შესაბამისი წესისა და წინაპირობის დაცვით. წინააღმდეგ შემთხვევაში, კვლავ იარსებებს არაერთგვაროვანი და არათანმიმდევერული გადანყვეტილებების მიღების პოტენციალი, რაც შეამცირებს მსხვერპლთა ხელმისაწვდომობას მართლმსაჯულებაზე. ოჯახში ძალადობაში მონაწილე პირების ძალაუფლებისა და ძალთა ასიმეტრიის პირობებში მნიშვნელოვანია, რომ მართლმსაჯულება იყოს გენდერულად მგრძნობიარე და ნორმის ინტერპრეტაციისას გათვალისწინებულ იქნეს დანაშაულის კონტექსტი.

საერთო სასამართლოების განმარტება გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად მინიმუმ ორი პირდაპირი მტკიცებულების მოთხოვნის შესახებ, არის დაუსაბუთებელი და არ გამომდინარეობს კონსტიტუციით დადგენილი სტანდარტიდან. თუ საქმეში მხოლოდ ერთი პირდაპირი მტკიცებულებაა, რომელიც გამყარებულია სხვა არაერთი არაპირდაპირი მტკიცებულებით, რომელთა უტყუარობა და იდენტიფიცირება ეჭვს არ იწვევს, საკმარისია გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირის ბრალეულობის მტკიცება, უმეტესწილად, არაპირდაპირი მტკიცებულებების გარეშე შეუძლებელია.

მტკიცებულების უტყუარობის სტანდარტი არ გულისხმობს ირიბი ჩვენებისა თუ მტკიცებულების სრულ უგულებელყოფას. საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებით აბსოლუტურად არ გამოირიცხება ირიბი ჩვენების დასაშვებობა და მისი გამამტყუნებელ მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა. მართლმსაჯულების განხორციელება არ უნდა იყოს დამოკიდებული კანონის მოსამართლისეულ განმარტებაზე. დანაშაულებრივი გარემოებების ინდივიდუალური ხასიათის მიუხედავად, ადამიანისთვის განჭვრეტადი უნდა იყოს სასამართლოს მიდგომები და უნდა ჰქონდეს გონივრული მოლოდინი იმის შესახებ, თუ როგორ ინტერპრეტაციას მისცემს მოსამართლე ამა თუ იმ ნორმას. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია მოხდეს შეთანხმება საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი მუხლისა და, აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების ერთგვაროვანი შინაარსითა და დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით. ეს შეიძლება მიიღწეს მოსამართლეებისთვის სახელმძღვანელო წესებისა და რეკომენდაციების მომზადებისა და მოსამართლეებისა და მათი თანაშემწეებისთვის შესაბამისი ტრენინგებისა თუ სამუშაო შეხვედრების ჩატარების გზით.

საბოლოოდ, სტატიაში გამოკვლეული საკითხები თუ იდენტიფიცირებული გამოწვევები ააშკარავებს პრობლემის მასშტაბურობას, განსაკუთრებით ოჯახური დანაშაულების კონტექსტში, რომლებიც მათი ჩადენის სიხშირითა და საგამოძიებო უწყებასა თუ სასამართლოში განხილვის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა. აღნიშნულის ფონზე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია არაერთგვაროვანი და ნაკლოვანი პრაქტიკის მოწესრიგება, რასაც, იმედია, ხელს შეუწყობს როგორც ნაშრომში განხილული თემების სათანადოდ გააზრება, ისე შეთავაზებული რეკომენდაციების გათვალისწინება.

სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და გამოქვეყნების პრაქტიკა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე – საქართველოში არსებული რეალობა და გამოწვევები

ნატი გელოვანი

1. შესავალი

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული რთული და კომპლექსური სამართლებრივი კატეგორიაა, რომელიც აერთიანებს ორ ელემენტს: სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ განზრახ დანაშაულს, ჩადენილს სიძულვილის, შეუწყნარებლობის მოტივით.¹ ამგვარი დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი არის სრულფასოვანი სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და მათი სიღრმისეული ანალიზი, რაც სახელმწიფოს საშუალებას აძლევს, შეაფასოს არსებული ვითარება, დაგეგმოს მიზნობრივი პოლიტიკა და ეფექტიანად შეასრულოს საერთაშორისო ვალდებულებები.

სტატისტიკური მონაცემების წარმოების აუცილებლობა და ამ მონაცემების ანალიზის მნიშვნელობა ხაზგასმულია არაერთ დოკუმენტში, მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კომისიის (ECRI) მიერ 2016 წელს საქართველოსთვის მომზადებული რეკომენდაციები, რომელთა თანახმადაც სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, სრულად აღნუსხოს იმ დანაშაულთა რაოდენობა, რომლებშიც იკვეთება დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი.² რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია (ECRI) ჯერ კიდევ 1998 წელს განმარტავდა, რომ ამ კატეგორიის დანაშაულზე სტატისტიკის წარმოება მნიშვნელოვანია მის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად,³ ასევე იმ კანონმდებლობის ეფექტიანობის შესაფასებლად, რომელიც ქვეყანაში არსებობს ამ კა-

1 დეტალურად იხ.: ნ. გელოვანი, „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული და ამ კატეგორიის დანაშაულზე ეფექტიანი სამართალწარმოების დამატებითი გარემოებები“, ადამიანის უფლებათა დაცვა: საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილება, რედ.: კ. კორკელია, 2022, 48-76.

2 ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, მოხსენება საქართველოს შესახებ, 2016, 48-ე პუნქტი, <<https://bit.ly/3Ho59Oi>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

3 Council of Europe, European Commission against Racism and Intolerance (ECRI), General Policy Recommendation (GPR) No. 4 On the National Surveys on the Experience and Perception of Discrimination and Racism from the Point of View of Potential Victims, 06/03/1998, 3.

ტეგორიის დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად.⁴ გარდა ECRI-ს რეკომენდაციებისა, სტატისტიკის წარმოების ვალდებულებას ითვალისწინებს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) მინისტრთა საბჭოს 2009 წლის (N9/09) გადაწყვეტილება.⁵ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს აღნიშნულ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის მნიშვნელობაზე.⁶

სტატისტიკური მონაცემების შეგროვება სახელმწიფო უწყებებს აძლევს შესაძლებლობას, სრულყოფილად შეისწავლოს საკითხი, ჩაატაროს სიღრმისეული კვლევები და ანალიზები ამ დანაშაულის გავრცელების მასშტაბების, ხასიათისა და ბუნების, ზემოქმედების ხარისხისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ ამ კატეგორიის დანაშაული ხასიათდება დაბალი მიმართვიანობით, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის მის აღრიცხვიანობას. მიმართვიანობის დამაბრკოლებელ ფაქტორებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს რამდენიმე გარემოება, მათ შორის: ა) დაცული ნიშნის მატარებელი ჯგუფისადმი იდენტიფიცირების შიში – მსხვერპლს აქვს განცდა, რომ დანაშაულზე მიმართვის შემთხვევაში მოხდება მისი ამ ჯგუფთან გაიგივება, ასოცირება ანდა მიკუთვნებულობა; ბ) სახელმწიფო უწყებებისადმი უნდობლობა, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს წინარე ცუდი გამოცდილებით; გ) დაუცველობის განცდა, შიში, რომ სახელმწიფო უწყებებისათვის მიმართვიანობამ შეიძლება უარესი შედეგი გამოიღოს და სხვ.

ამ გარემოებების ფონზე მით უფრო მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გამოიყენოს მიმართვიანობის შემთხვევები და გააანალიზოს სტატისტიკური მონაცემები არა მხოლოდ ციფრების მეშვეობით, არამედ შინაარსობრივი კუთხითაც.

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და ანალიზი არ არის რომელიმე კონკრეტული ერთი ქვეყნის პრობლემა. ყველაზე პროგრესულ ქვეყნებსაც აქვთ გამოწვევები და, ფაქტობრივად, ყოველდღიურად მიმდინარეობს არსებული მეთოდისა თუ პრაქტიკის დახვეწა და გაუმჯობესება. ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვთ ევროპულ ქვეყნებს, კერძოდ: შვედეთს, გაერთიანებულ სამეფოს, ხორვატიასა და ნორვეგიას.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და გამოქვეყნების საკითხების კომპლექსური შეფასება, როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით. ნაშრომის მიზანია,

4 European Commission, Measuring Discrimination–Data Collection and EU Equality Law, 2006, 6.

5 OSCE Ministerial Council, Decision No. 9/09 on Combating Hate Crimes, OSCE Ministerial Council, Athens, 2009, 2-3, <<https://www.osce.org/cio/40695>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

6 ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), საქართველო <<https://hatecrime.osce.org/georgia>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

ერთი მხრივ, შეაფასოს არსებული ეროვნული პრაქტიკა, მათ შორის: სამართალდამცავი და მართლმსაჯულების სისტემის სხვადასხვა რგოლის მიერ წარმოებული სტატისტიკური მონაცემების სახეობა, მოცულობა და ანალიტიკური ღირებულება; ხოლო, მეორე მხრივ, წარმოაჩინოს საუკეთესო საერთაშორისო მოდელები, რომლებიც უზრუნველყოფენ მონაცემთა სრულფასოვან გამოყენებას პოლიტიკის დაგეგმვისა და დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით.

ნაშრომი შედგება შესავალი, ძირითადი ნაწილისა და დასკვნისაგან. შესავალი ნაწილი ასახავს თემის აქტუალობასა და კვლევის მნიშვნელობას, მათ შორის საერთაშორისო სტანდარტებსა და ვალდებულებებს, რომლებიც ითვალისწინებენ მონაცემთა სისტემურ აღრიცხვასა და შინაარსობრივ ანალიზს. პირველ თავში განხილულია საქართველოს პრაქტიკა – შინაგან საქმეთა სამინისტროს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის, გენერალური პროკურატურისა და უზენაესი სასამართლოს მიერ წარმოებული სტატისტიკა, რომელთა საფუძველზეც წარმოდგენილია არსებული ხარვეზების ანალიზი; მეორე თავი ეძღვნება ევროპის ქვეყნების – შვედეთის, გაერთიანებული სამეფოს, ხორვატიისა და ნორვეგიის – პრაქტიკის განხილვას, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მონაცემთა სეგრეგაციას, დამნაშავესა და დაზარალებულს შორის კავშირების შესწავლასა და კვლევების მიგნებების საფუძველზე პოლიტიკის დაგეგმვას. დასკვნით ნაწილში შეჯამებულია კვლევის შედეგები და შემოთავაზებულია რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოში მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სისტემის გაუმჯობესებას.

2. საქართველო

საქართველომ ბოლო წლებში არაერთი ნაბიჯი გადადგა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად, თუმცა ამ კატეგორიის დანაშაულზე სტატისტიკის წარმოება დიდი ხანია გამოწვევაა. სახალხო დამცველმა ჯერ კიდევ 2018 წელს ზოგადი წინადადებით მიმართა საქართველოს პროკურატურასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ეწარმოებინათ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სტატისტიკა დისკრიმინაციისგან დაცული საფუძვლის მითითებით.⁷ ეს ზოგადი წინადადება არ მოიაზრებდა ამ სტატისტიკური ციფრების მხოლოდ მშრალად წარმოების რეკომენდაციას, არამედ მოუწოდებდა სახელმწიფო უწყებებს სტატისტიკის წარმოებისთვის სპეციალური, გამართული მოდელის შემუშავებას, რომელიც პრაქტიკაში არსებული პრობლემებისა და სირთულეების დადგენის მიზნით მოახდენდა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამომწვევი გარემოებების, მიზეზებისა და ფაქტორების დადგენას, მისი გა-

7 სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე, 2018, 12, <<https://ombudsman.ge/geo/zogadi-tsinadadeba/saxalxo-damcvelma-diskriminacii-motivit-chadenili-danashaulebis-gamodziebis-xarvezebtan-dakavshirebit-sagamodziebo-organoebis-mimarta>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

მოვლენის დამაბრკოლებელი გარემოებების გამოვლენას, გაანალიზებას და შემდგომში მის წინააღმდეგ ეფექტიანი რეაგირების სამოქმედო გეგმის შემუშავებას.⁸

საქართველომ ვალდებულების შესრულება 2020 წელს დაიწყო, როდესაც სახელმწიფო უწყებებს (შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა, უზენაესი სასამართლო, სტატისტიკის ეროვნული სამსახური) შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ (შემდგომში – მემორანდუმი).⁹ 2023 წლიდან ამ მემორანდუმის მონაწილე გახდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურიც.¹⁰

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 2021 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებაში, რომელიც შეეხებოდა „იდენტობის ჯგუფის“¹¹ საქმეებს, დადებითად შეაფასა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სტატისტიკის წარმოების ახალი სისტემა, თუმცა სახელმწიფოს მოუწოდა, ეს მექანიზმი გაუმჯობესებინა სტატისტიკური მონაცემების ანალიტიკური კომპონენტის გაძლიერების გზით.¹² 2025 წლის 4-6 მარტს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა კიდევ ერთხელ იმსჯელა ამ საკითხზე და განმარტა, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერთება სტატისტიკის წარმოების მემორანდუმზე არის დადებითი ნაბიჯი, თუმცა თავად სტატისტიკის წარმოების მოქმედი მოდელი ვერ პასუხობს არსებულ მოთხ-

8 სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე, 2018, 12, <<https://ombudsman.ge/geo/zogadi-tsinadadeba/saxalxo-damcvelma-diskriminaciuli-motivit-chadenili-danashaulebis-gamodziebis-xarvezebtan-dakavshirebit-sagamodziebo-organoebis-mimarta>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

9 თანამშრომლობის მემორანდუმი დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ, <<https://www.geostat.ge/media/57913/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98----GEO-.pdf>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

10 ავტორის შენიშვნა—2025 წლის 24 მაისს „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, 2025 წლის 1 ივლისიდან მოხდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ლიკვიდაცია, ხოლო ის სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც ამ სამსახურის საგამოძიებო დაქვემდებარებაში იყო, გადავიდა პროკურატურის საგამოძიებო დაქვემდებარებაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს სისხლის სამართლის დანაშაული ჩადენილია პროკურატურის თანამშრომლის მიერ. საქართველოს ორგანული კანონი – პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, დოკუმენტის ნომერი: 693-III-XIმპ, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6534876?publication=0>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

11 ამ სახელის ქვეშ მოიაზრება საქმეები, რომელიც განხორციელდა კერძო პირების მიერ ლგბტიქ+ აქტივისტების (2012 და 2013 წლებში) და იეჰოვას მოწმეების (1999-2001 წლებში ძალადობრივი შეხვედრების დროს) მიმართ.

12 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (2021, 2 დეკემბერი) ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2021 წლის 2 დეკემბრის №73235/12 გადაწყვეტილება, <[https://hudoc.exec.coe.int/eng#%22exccidentifier%22:\[%22CM/Del/Dec\(2021\)1419/H46-14E%22\]](https://hudoc.exec.coe.int/eng#%22exccidentifier%22:[%22CM/Del/Dec(2021)1419/H46-14E%22])> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

ოენებს: „როგორც უკვე აღინიშნა წინა შეფასების დროს, აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით შეუძლებელია რაიმე მნიშვნელოვანი ტენდენციების დადგენა“.¹³

სტატისტიკური მონაცემების არსებობა მნიშვნელოვანია, თუმცა მათი სათანადო ანალიზის გარეშე მხოლოდ ციფრები არ არის საკმარისი სწორი დასკვნების გასაკეთებლად. სწორედ ამ ანალიტიკური კომპონენტის გაძლიერების საკითხზე ამახვილებს ყურადღებას საქართველოს სახალხო დამცველიც, როდესაც აღნიშნავს, რომ აუცილებელია სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, რათა მოხდეს შეუწყნარებლობის მიზეზების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრა.¹⁴ სახალხო დამცველი განმარტავს ასევე, რომ სახელმწიფო „არ აანალიზებს ლგბტ ჯგუფის მიმართ საზოგადოებრივ დამოკიდებულებებს და არ იკვლევს დისკრიმინაციის ძირითად გამომწვევ მიზეზებს“.¹⁵ 2023 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა ევროპის მინისტრთა კომიტეტს წარუდგინა ახალი კომუნიკაციები „იდენტობის ჯგუფის“ საქმეებზე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მიმდინარეობის შესახებ, სადაც ყურადღება გაამახვილა ამ კატეგორიის დანაშაულზე სტატისტიკის წარმოების მნიშვნელობაზე და არსებული მექანიზმის ხარვეზებზე: „სტატისტიკური მეთოდოლოგია არ ითვალისწინებს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესაძლო მიზეზების ანალიზს და იმ სირთულეების შეფასებას, რომლებიც დაკავშირებულია სიძულვილის მოტივის გამოვლენასთან“.¹⁶ ანალოგიურ გარემოებებზე საუბრობს სახალხო დამცველი თავის 2024 წლის კომუნიკაციაში „თხელიძის ჯგუფის“¹⁷ საქმეებზე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მიმდინარეობის შესახებ. სახალხო დამცველი

- 13 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (2025, 4-6 მარტი), ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2025 წლის 4-6 მარტის №73235/12 გადაწყვეტილება, <[https://bit.ly/3J4OpNc](https://hudoc.exec.coe.int/#/%22execidentifier%22:[%22004-5894%22]> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].14 სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის ანგარიშზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ, 2022, 7, < [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].
- 15 სახალხო დამცველის 2021 წლის ოქტომბრის კომუნიკაცია იდენტობის ჯგუფის საქმეების შესახებ, 4, <<https://bit.ly/3OICdb3>> ასევე, სახალხო დამცველის ანგარიში, „ლგბტ+ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში“, 2021. <<https://ombudsman.ge/geo/spetsialuri-angarishebi/lgbt-jgufis-uflebrivi-mdgomareobis-shefaseba-sakartveloshi>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].
- 16 სახალხო დამცველის 2023 წლის 19 თებერვლის კომუნიკაცია იდენტობის ჯგუფის საქმეების შესახებ, 8, 17, <<https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakartvelos-sakhalkhodamtsvelma-evropis-sabchos-ministrta-komitets-identobis-jgufis-sakmeebze-adamianis-uflebata-evropuli-sasamartlos-gadatsqvatilebebis-aghsrulebis-mdgomareobis-shesakheb-komunikatsia-tsarudgin>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].
- 17 ეს საქმეები ეხება 2014-2017 წლებში საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე სახელმწიფოს მიერ არაეფექტური პრევენციული ღონისძიების განხორციელების შემთხვევებს: **A** და **B** საქართველოს წინააღმდეგ, გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ, თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ.

დამატებით უთითებს, რომ სახელმწიფო უწყებების მიერ წარმოებული „ანგარიში არ აკავშირებს განსხვავებულ ცვლადებს ისე, რომ შესაძლებელი იყოს დანაშაულის მიზეზების, გავრცელების მასშტაბების ან ბუნების ანალიზი“.¹⁸

საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან (ეუთო), რომელსაც აწვდის სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მონაცემებს. 2020 წლამდე სწორედ ეუთოს ვებგვერდზე იყო შესაძლებელი გარკვეული სახის სტატისტიკური ინფორმაციის მოძიება.¹⁹

2020 წელს ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის მხარდაჭერით სახელმწიფო უწყებებს შორის გაფორმებული მემორანდუმი დანართების სახით დეტალურად განსაზღვრავს იმ სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების ვალდებულებას, რაც გათვალისწინებულია თითოეული უწყებისთვის. დანართით ცალ-ცალკეა განსაზღვრული, რა ინფორმაციას აგროვებს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სპეციალური საგამოძიებო სამსახური, გენერალური პროკურატურა და უზენაესი სასამართლო.

მემორანდუმს ორი მიზანი აქვს:²⁰ ა) „შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის შესახებ მონაცემების შეგროვების, დამუშავების, ანალიზისა და ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის შემუშავებისა და გამოქვეყნების სფეროში მემორანდუმის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობის პრინციპის, სტანდარტისა და წესების განსაზღვრა“; ბ) „შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის შესახებ მონაცემების შეგროვების, დამუშავების, ანალიზის, ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის შემუშავებისა და გამოქვეყნების წესების განსაზღვრა“.

მემორანდუმი ავალდებულებს მხარეებს შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებული კონკრეტული, სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას, უწყებებს შორის გაცვლას და გამოქვეყნებას. მემორანდუმის თანახმად: შინაგან საქმეთა სამინისტრო, სპეციალური საგამოძიებო სამსახური, გენერალური პროკურატურა და უზენაესი სასამართლო საანგარიშო წლის განმავლობაში მემორანდუმის დანართით განსაზღვრული მონაცემების სა-

18 სახალხო დამცველის 2024 წლის ოქტომბრის კომუნიკაცია თხელიძის ჯგუფის საქმეების შესახებ, 8, 19, <<https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelma-sakartvelos-parlaments-evropuli-sasamartlos-mier-sakartvelos-mimart-gamotanili-gadatsqvetelebebis-aghsrulebis-mdgomareobis-shesakheb-alternatiuli-angarishi-tsarudgina>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

19 ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), საქართველო <<https://hatecrime.osce.org/georgia>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

20 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2020). თანამშრომლობის მემორანდუმი დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ, 2020, 2, მუხლი 1.1. და მუხლი 1.2. <<https://www.geostat.ge/media/57913/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98----GEO-.pdf>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

წარმოებლად საქირო ინფორმაციას ოთხჯერ ცვლიან ერთმანეთში: 15 აპრილს, 31 ივლისს, 15 ოქტომბერს და საანგარიშო პერიოდის მომდევნო წლის 31 იანვარს, რის შემდეგაც უწყებები ახორციელებენ აღნიშნული მონაცემების შესწავლა-შედარებასა და დამუშავებას.

ინფორმაციების გაცვლის შემდგომ მემორანდუმის მონაწილე უწყებები წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს 20 თებერვლისა, მთელი წლის (1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით) სტატისტიკურ მონაცემებს აწვდიან საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია, აღნიშნული მონაცემები არაუგვიანეს 1 მარტისა გამოაქვეყნოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდზე.²¹

თანამშრომლობის მემორანდუმის მონაწილე არის მართლმსაჯულების განმახორციელებელი ოთხი მთავარი უწყება, თუმცა ის არ არის სრულყოფილი, ვინაიდან მისი ხელმომწერი არ არის ყველა ის სახელმწიფო უწყება, რომელსაც საგამოძიებო უფლებამოსილება აქვს, მათ შორის: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. მართალია, ეს უწყებები შედარებით ნაკლები რაოდენობის სისხლის სამართლის საქმეებზე ახორციელებენ საგამოძიებო უფლებამოსილებას, თუმცა საქართველოს სსკ-ის ზოგიერთი დანაშაული, რომელიც თავისი არსით სრულად დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ხორციელდება (მაგალითად სსკ-ის 142-ე, 142¹-ე მუხლები), ექცევა, მაგალითად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საგამოძიებო დაქვემდებარებაში²² და, შესაბამისად, თუნდაც მონაცემების სრულყოფილად წარმოების მიზნით, აუცილებელია, მემორანდუმის მონაწილე იყოს ყველა საგამოძიებო უფლებამოსილების მქონე უწყება.

2.1. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ წარმოებული სტატისტიკური ინფორმაცია

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მონაცემებს აგროვებს და აქვეყნებს ორი უწყება – შინაგან საქმეთა სამინისტრო და სპეციალური საგამოძიებო სამსახური²³ (2023-2024 წლები). ეს უწყებები, სხვა უწყებებთან შედარე-

21 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2020). თანამშრომლობის მემორანდუმი დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ, 2020, 2-3, <<https://www.geostat.ge/media/57913/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98--GEO-.pdf>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

22 საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს №3 ბრძანება – სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ, 4.

23 იხ.: სქოლიო №10.

ბით ყველაზე მცირე ინფორმაციას აგროვებენ და აქვეყნებენ, კერძოდ: გამოძიების დაწყების საერთო რაოდენობა, ტერიტორიული განფენილობა (საქართველოს რომელ რეგიონში რამდენ ასეთ დანაშაულზე დაიწყო გამოძიება), დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნით დაწყებული გამოძიებების რაოდენობა, სსკ-ის რომელი მუხლით რამდენ საქმეზე დაიწყო გამოძიება და საქართველოს თითოეულ რეგიონში დისკრიმინაციის თითოეულ ნიშანზე რამდენ საქმეზე დაიწყო გამოძიება, ასევე მონაცემებს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართულობასთან დაკავშირებით.²⁴

სტატისტიკური მონაცემებით, ყოველწლიურად იზრდება ამ კატეგორიის დანაშაულზე გამოძიების დაწყების ჯამური რაოდენობა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ იზრდება დისკრიმინაციის ყველა ნიშანზე გამოძიების დაწყების მაჩვენებელი.

2.1.1. გამოძიების დაწყების სტატისტიკა წლების მიხედვით²⁵

დისკრიმინაციის ნიშანი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
საერთო რაოდენობა	1703	1802	1824	2002
შეზღუდული შესაძლებლობა	18	10	10	22
რელიგია	19	6	4	17
გენდერული იდენტობა	48	38	25	14
რასა ²⁶	53	50	40	43
სექსუალური ორიენტაცია	58	36	19	13
პოლიტიკური ან სხვა შეხედულება	69	44	27	107
გენდერი	1394	1579	1667	1732
სხვა ნიშნები და მათი ერთობლიობა	107	39	32	54

ყველაზე ხშირად გამოძიება იწყება გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, სტატისტიკურად შემდგომ მოდის პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ნიშნით დანაშაულის შესაძლო ჩადენა, მაღალია ასევე რასის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნებით გამოძიების დაწყების მაჩვენებელი.

2024 წელს წინა საანგარიშო წლებთან შედარებით შემცირებულია გენდერის, რასის, გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოძი-

24 აღსანიშნავია, რომ, მართალია, მემორანდუმში შინაგან საქმეთა სამინისტროს და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მითითებული აქვთ ამ მონაცემების წარმოების ვალდებულებაზე, თუმცა ანგარიშში ამ სტატისტიკაზე ინფორმაცია არ მოიპოვება.

25 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა, <<https://tinyurl.com/ffhd6bhs>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

26 აღსანიშნავია, რომ მემორანდუმის მხარეები რასის ნიშნის ქვეშ აერთიანებენ დისკრიმინაციის რამდენიმე ნიშანს – რასა, კანის ფერი, ენა, მოქალაქეობა, ეროვნული და ეთნიკური კუთვნილება, წარმოშობა.

ების დაწყების მაჩვენებლები, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით გამოძიების დაწყების მაჩვენებლები გაზრდილია.

ტერიტორიულ განფენილობას რაც შეეხება, სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, აღსანიშნავია, რომ ყველაზე ხშირად ამ კატეგორიის დანაშაულზე გამოძიება იწყება თბილისის, აჭარის, იმერეთის და ქვემო ქართლის ტერიტორიულ ერთეულში.²⁷

ტერიტორიული განფენილობა	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
საერთო რაოდენობა	1703	1802	1824	2002
თბილისი	520	595	539 ²⁸	567 ³⁹
აფხაზეთი	1	-	0	1
აჭარა	285	274	270	314
კახეთი	80	93	95	122
შიდა ქართლი	41	56	78	93
ქვემო ქართლი	206	218	254	251
იმერეთი	246	243	258 ³⁰	312 ³¹
გურია	74	57	40	36
სამეგრელო და ზემო სვანეთი	72	31	53	80
სამცხე-ჯავახეთი	41	55	62	48
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	4	10	7	2
მცხეთა-მთიანეთი	24	37	61	50
საპატრულო პოლიცია	109	133	106	111
ცკპდ ³²	0	0	0	6
სასაზღვრო პოლიცია	0	0	0	-

27 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა, <<https://tinyurl.com/ffhd6bhs>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

28 იგულისხმება შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემები (527) + სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მონაცემები (აღმოსავლეთ საქართველო 12, აღნიშნული უწყება უფრო ჩაშლილად არ აწარმოებს მონაცემებს).

29 იგულისხმება შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემები (498) + სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მონაცემები (აღმოსავლეთ საქართველო 69, აღნიშნული უწყება უფრო ჩაშლილად არ აწარმოებს მონაცემებს).

30 იგულისხმება შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემები (255) + სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მონაცემები (დასავლეთ საქართველო 3, აღნიშნული უწყება უფრო ჩაშლილად არ აწარმოებს მონაცემებს).

31 იგულისხმება შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემები (295) + სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მონაცემები (დასავლეთ საქართველო 17, აღნიშნული უწყება უფრო ჩაშლილად არ აწარმოებს მონაცემებს).

32 შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი.

აუცილებელია, აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ, გამოძიების დაწყების დროს მინიჭებული კვალიფიკაციის მიხედვით, ყველაზე ხშირად დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი იკვეთება ოჯახში ძალადობისა და ძალადობის და-ნაშაულებზე გამოძიების დაწყების დროს.

2.1.2. გამოძიების შეწყვეტის სტატისტიკა³³

დისკრიმინაციის ნიშანი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
საერთო რაოდენობა	90	60	43	84

სამწუხაროდ, ანგარიშში არ არის მოცემული სიღრმისეული ინფორმაცია, დისკრი-მინაციის რომელი ნიშნით დაწყებულ საქმეებზე წყდება გამოძიება. რაც შეეხება ტერიტორიული განფენილობას, ამ შემთხვევაშიც წამყვანი ადგილები უკავიათ თბილისს, ასევე აჭარისა და კახეთის რეგიონებს.

2.2. საქართველოს პროკურატურის მიერ წარმოებული სტატისტიკური ინფორმაცია

საქართველოს პროკურატურა მემორანდუმის ფარგლებში ყველაზე მეტ ინფორ-მაციას აგროვებს და აქვეყნებს, კერძოდ: სისხლისსამართლებრივი დევნის და-წყებასთან, არდაწყებასა თუ შეწყვეტასთან დაკავშირებულ ჩაშლილ სტატისტი-კურ მონაცემებს, განრიდებასა და გამოძიების შეწყვეტასთან დაკავშირებულ მონაცემებს, დაზარალებულსა და ბრალდებულთან, ასევე მათ შორის არსებულ სოციალურ კავშირებთან დაკავშირებულ მონაცემებს და მოწმისა და დაზარალე-ბულის კოორდინატორის ჩართულობასთან დაკავშირებულ მონაცემებს.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ბოლო წლებში საგრძნობლად მომა-ტებულია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მონაცემები.

2.2.1. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების სტატისტიკა³⁴

დისკრიმინაციის ნიშანი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
საერთო რაოდენობა	834	1172	1218	1240
რელიგია	3	2	1	6
შეზღუდული შესაძლებლობა	7	8	8	10

33 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებ-ლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა, <<https://tinyurl.com/ffhd6bhs>> [უკა-ნასკენლად გადამოწმდა: 15.08.2025].

34 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნა-რებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა, <<https://tinyurl.com/ffhd6bhs>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

რასა	9	12	10	7
პოლიტიკური ან სხვა შეხედულება	10	3	3	1
სექსუალური ორიენტაცია	12	37	7	6
გენდერული იდენტობა	24	18	13	5
გენდერი	724	1065	1164	1185
სხვა ნიშნები და მათი ერთობლიობა	45	27	14	20

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ტერიტორიული განფენილობა ემთხვევა გამოძიების მონაცემებს. დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ამ შემთხვევაშიც მოდის თბილისზე, აჭარასა და დასავლეთ საქართველოზე. იგივე ტენდენცია არის შენარჩუნებული დისკრიმინაციის ნიშნის მიმართ.

2.2.2. ტერიტორიული განფენილობა³⁵

ტერიტორიული განფენილობა	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
საერთო რაოდენობა	834	1172	1218	1240
თბილისი	294	423	368	372
აფხაზეთი	0	0	0	1
აჭარა	118	179	190	196
კახეთი	22	65	72	82
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	42	79	111	103
ქვემო ქართლი	114	192	205	169
დასავლეთ საქართველო	178	169	195	228
სამეგრელო და ზემო სვანეთი	42	32	34	54
სამცხე-ჯავახეთი	24	33	43	35

საქართველოს პროკურატურა აგროვებს და აქვეყნებს ინფორმაციას ბრალდებულთა და დაზარალებულთა სქესის შესახებ, ასევე ინფორმაციას სოციალური კავშირების შესახებ. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება აღინიშნოს, რომ ამ დანაშაულში ბრალდებული უმრავლეს შემთხვევაში არის სრულწლოვანი კაცი, დაზარალებული კი 18-იდან 60 წლამდე ქალი.³⁶

35 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა, <<https://tinyurl.com/ffhd6bhs>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

36 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა, <<https://tinyurl.com/ffhd6bhs>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

ბრალდებული	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
საერთო რაოდენობა	834	1172	1218	1240
ქალი	7	36	26	22
კაცი	827	1136	1192	1218
14-იდან 18 წლამდე	3	15	14	7
18 წლიდან ზევით	831	1157	1204	1233
დაზარალებული				
საერთო რაოდენობა	895	1208	1237	1275
ქალი	757	1102	1178	1224
კაცი	136	105	43	42
ტრანსგენდერი ქალი	-	-	16	7
18 წლამდე	90	78	66	86
18-იდან 60 წლამდე	778	1086	1137	1153
60 წლიდან ზევით	25	43	34	34

ბრალდებულის დაზარალებულთან არსებული სოციალური კავშირის შეფასების საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ ამ დანაშაულს უცნობი ადამიანები იშვიათად სჩადიან. ძირითადად, ბრალდებული დაზარალებულის მეუღლე ან ოჯახის სხვა წევრია.³⁷

სოციალური კავშირი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
მეუღლე	561	780	847	841
მშობელი	39	62	47	59
შვილი	15	32	14	24
მეურვე	0	0	0	0
დამოკიდებული პირი	0	0	0	0
ოჯახის სხვა წევრი	51	79	69	57
ნაცნობი	74	83	100	113
უცნობი	82	119	75	57
ინტიმური პარტნიორი	43	109	137	149

საქართველოს პროკურატურა, სხვა სახელმწიფო უწყებებისგან განსხვავებით, გარკვეული პერიოდულობით აქვეყნებს დისკრიმინაციის ცალკეული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებულ ანგარიშებს,³⁸ თუმცა ეს ანგარიშები უმეტესწილად მოიცავს სტატისტიკურ მონაცემებს

37 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა, <<https://tinyurl.com/fhhd6bhs>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

38 რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულები – 2022-2024 წლები, <[chrome-extension://efaidnbmninnibpcjpcgicfindmkaj/https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phphhCXC6.pdf](https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phphhCXC6.pdf)> შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების ანალიზი, 2023 წელი, <https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpfkV7AW.pdf> და სხვ. <<https://pog.gov.ge/Crimes-motivated-by-intolerance>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

მშრალად – ცხრილებისა და გრაფიკების სახით, ნაკლებად არის გაანალიზებული პრობლემური საკითხები, გამომწვევი მიზეზები და არსებული გამოწვევები. ამ ნაწილში აქცენტი უფრო მეტად გაკეთებულია იმაზე, თუ რა აქტივობებს და ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოს პროკურატურა და რას გეგმავს სამომავლოდ.

2.3. უზენაესი სასამართლოს მიერ წარმოებული სტატისტიკური ინფორმაცია

საქართველოს უზენაესი სასამართლო აგროვებს მემორანდუმით გათვალისწინებულ მონაცემებს საქართველოს საერთო სასამართლოებისგან. შეგროვებული და გამოქვეყნებული მონაცემები შეეხება შემდეგ საკითხებს: საერთო სასამართლოებში შესული სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობას, საანგარიშო პერიოდში განხილული საქმეების რაოდენობას, სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულებისათვის სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი და გამამტყუნებელი განაჩენების რაოდენობას, შესაბამისად, გამართლებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობას, სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელების სახეებს, ასევე სასამართლოთა მიერ სსკ-ის 53¹-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების მაჩვენებელს.

2.3.1. საერთო სასამართლოების სტატისტიკური მონაცემები³⁹

სტატუსი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
საანგარიშო პერიოდში სასამართლოს მიერ განხილული საქმეების რაოდენობა	463	805	1061	1054
საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებული პირების რაოდენობა	321	585	756	697
საანგარიშო პერიოდში გამართლებული პირების რაოდენობა	63	96	139	182

სასამართლოს მონაცემები ტერიტორიულ განფენილობასთან, დისკრიმინაციის ნიშანთან, დანაშაულის კონკრეტულ სახესა თუ ფორმასთან პირდაპირპროპორციულად დაკავშირებულია საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაცემებთან. ვინაიდან სასამართლო შეზღუდულია ბრალდების ფორმულირებით, შესაბამისად, ეს მონაცემები, უმეტესწილად, თანხვედრაშია საქართველოს პროკურატურის მონაცემებთან.

39 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა, <<https://tinyurl.com/ffhd6bhs>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

საგულისხმოა, რომ წლიდან წლამდე იზრდება გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა. სამწუხაროდ, უზენაესი სასამართლო არ უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას იმ გარემოებების თაობაზე, რაც საფუძველად უდევს გამამართლებელი განაჩენების ზრდას (მტკიცებულებათა სიმცირე, არასაკმარისობა, დაზარალებულთა მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა თუ სხვა), რაც მნიშვნელოვანი იქნებოდა როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარისთვის შემდგომი საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

2.4. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

უნყებების მიერ მემორანდუმის საფუძველზე შეგროვებული და გამოქვეყნებული მონაცემები ერთმანეთთან შედარებული, დაკავშირებული ან შეფასებული არ არის და მოიცავს მხოლოდ ციფრებს, მაგალითად, სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე დაწყებული გამოძიების რაოდენობას, ამ კატეგორიის დანაშაულის ტერიტორიულ განფენილობას რეგიონების მიხედვით და სხვ.

2023 წელს ევროპის საბჭოს მხარდაჭერით მომზადდა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანალიზი, რომლითაც გაანალიზდა 2021 და 2022 წლების სტატისტიკური მონაცემები. დოკუმენტის თანახმად, 2021-2022 წლებში დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი ყველაზე ხშირად გამოიკვეთა ოჯახური დანაშაულისთვის გამოძიების/სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და სასამართლო განხილვის ეტაპებზე. ყველაზე ხშირად იკვეთება გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის იდენტიფიცირების შემთხვევები, რომელთა ჩადენის ტერიტორიული მაჩვენებელი ყველაზე მაღალია თბილისში, ასევე აჭარის, ქვემო ქართლისა და იმერეთის რეგიონებში. დანაშაულის ჩამდენი პირები უმეტესად არიან დაზარალებულთა მეუღლეები – სრულწლოვანი კაცები, დაზარალებულები კი ასევე სრულწლოვანი ქალები. ყველაზე ხშირად ამ კატეგორიის დანაშაულისთვის სასამართლო სასჯელის სახით იყენებს თავისუფლების აღკვეთას, ასევე მაღალია პირობითი მსჯავრის გამოყენების მაჩვენებელი.⁴⁰ ეს დოკუმენტი შეაფასა ასევე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, რომელმაც განმარტა, რომ „დოკუმენტი არ იძლევა ყოვლისმომცველ და სრულფასოვან ანალიზს [სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებით], ვინაიდან ის, უბრალოდ, შეიცავს ციფრულ ცვლილებებს საანგარიშო პერიოდში შეგროვებული მონაცემების პროცენტებში“.⁴¹

40 ევროპის საბჭო, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანალიზი, საანგარიშო პერიოდი 2021-2022, 2023, 38-39. <chrome-extension://efaidnbmninnibpcajpcglclefindmkaj/https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpma91sr.pdf> [უკანასკნელად გადამონმდა: 15.08.2025].

41 სახალხო დამცველის 2024 წლის ოქტომბრის კომუნიკაცია თხელიძის ჯგუფის საქმეების შესახებ, 9, 20 <<https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelma-sakartvelos>>

თითოეული უწყება, დაკისრებული პასუხისმგებლობის ფარგლებში, აქვეყნებს სტატისტიკურ ინფორმაციებს, მიუხედავად იმისა, რომ 2023 წელს გარკვეული გაუმჯობესებები განხორციელდა ანგარიშზე მუშაობის თვალსაზრისით, არსებული რეგულირება არ იძლევა სრულყოფილ სურათს საქართველოში ამ კატეგორიის დანაშაულების მასშტაბების, გავრცელების კონკრეტული არეალის, დანაშაულის ჩადენის ხასიათისა თუ სხვა მნიშვნელოვანი დეტალის შესახებ, რაც სამომავლოდ შექმნიდა ეფექტიან საფუძველს უფრო ქმედითი პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისთვის.

აუცილებელია, სახელმწიფო უწყებების მიერ ერთიანად გაანალიზდეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა, მაგალითად, კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულში რომელი დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ხდება დანაშაულის ჩადენა, რა სოციალური კავშირი არსებობს დამნაშავესა და მსხვერპლს შორის, რა კატეგორიის (ნაკლებად მძიმე, მძიმე, განსაკუთრებით მძიმე) ძალადობრივი თუ არაძალადობრივი დანაშაულის ჩადენა ხდება, რა მიზეზით ხდება ამ დანაშაულების ჩადენა და სხვ. ამ მონაცემების ერთობლივი და სიღრმისეული ანალიზი მრავალგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველი იქნებოდა, მაგალითად: პირობითად, თბილისში ყველაზე ხშირად გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ხდება დანაშაულის ჩადენა ოჯახის წევრებს შორის. დანაშაულის ჩადენის ხერხი არის ფიზიკური ძალადობა. დამნაშავე უმეტესად არის სრულწლოვანი კაცი, რომელიც არის დაზარალებულის, ასევე სრულწლოვანი ქალის, ოჯახის წევრი. სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიუხედავად, გარკვეულ შემთხვევებში, სასამართლოში დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის გამო, დგება გამამართლებელი განაჩენი. შესაბამისად, აუცილებელია არა მხოლოდ მოტივის იდენტიფიცირების საკითხზე მართლმსაჯულების განმახორციელებელ პირთა შესაძლებლობის გაძლიერება, არამედ საზოგადოების ცნობიერების გაზრდა ამ მიმართულებით.

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიან ანგარიშში მოცემულია მხოლოდ ციფრები, კონკრეტული ანალიზის თუ შეფასების გარეშე. რიგითი მოქალაქისთვის ანგარიშის სტრუქტურა არ არის მარტივად აღქმადი, საჭიროებს დამატებით ინფორმაციის მოძიებას და შედარებას, რამაც შეიძლება განსხვავებული ინტერპრეტაციების საფუძველი შექმნას. სწორედ აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად არის აუცილებელი, სტატისტიკის მწარმოებელმა უწყებებმა ერთობლივად მოახდინონ მონაცემების ანალიზი და შეფასებითი (ნარატიული – აღწერილობითი) დოკუმენტის მომზადება, რომელიც იქნება დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიშის განუყოფელი ნაწილი.

parlaments-evropuli-sasamartlos-mier-sakartvelos-mimart-gamotanili-gadatsqvetelebebis-aghsrulebis-mdgomareobis-shesakheb-alternatiuli-angarishi-tsarudgina>[უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

3. საზღვარგარეთის საუკეთესო პრაქტიკა

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე სტატისტიკის შეგროვებისა და ანალიზის საქართველოში არსებული მოდელის დახვეწისა და გაუმჯობესებისთვის აუცილებელია ამ მიმართულებით საუკეთესო გამოცდილების მქონე ქვეყნების პრაქტიკის შესწავლა და გაზიარება.

სტატისტიკის წარმოების, ანალიზისა და შეფასების კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპული ქვეყნების გამოცდილება, მათ შორის: შვედეთის, გაერთიანებული სამეფოს, ხორვატიისა და ნორვეგიის.

3.1. შვედეთი

შვედეთის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ცალკეულ დანაშაულებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია სიძულვილით მოტივირებულ ქმედებებთან, მაგალითად, სიძულვილის ენასთან,⁴² უკანონო დისკრიმინაციასთან და სხვ. შვედეთის კანონმდებლობა, საქართველოს კანონმდებლობასთან შედარებით, უფრო ვიწრო ჩამონათვალს შეიცავს დისკრიმინაციის ნიშნებისას, კერძოდ, ესენია: რასა, კანის ფერი, ეროვნული თუ ეთნიკური კუთვნილება, რელიგია, სექსუალური ორიენტაცია ან გენდერული იდენტობა თუ გამოხატულება და სხვა მსგავსი მოტივი.⁴³ თუმცა აღსანიშნავია, რომ, საქართველოს კანონმდებლობის მსგავსად, შვედეთის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ზოგად ნორმას, რომლითაც ყველა დანაშაულისთვის დამამძიმებელ გარემოებად აფასებს მის ჩადენას დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით.⁴⁴

სტატისტიკური მონაცემების შეგროვებაც სწორედ ამ ნიშნების მიხედვით ხდება. შვედეთში ფუნქციონირებს იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი საჯარო უწყება – შვედეთის სისხლის სამართლის დანაშაულთა პრევენციის ეროვნული საბჭო. სწორედ ეს უკანასკნელი არის პასუხისმგებელი ამ კატეგორიის დანაშაულების მონაცემთა შეგროვებაზე, ანალიზსა და გამოქვეყნებაზე.⁴⁵

აღსანიშნავია, რომ შვედეთის დანაშაულის პრევენციის ეროვნული საბჭო ატარებს ვიქტიმიზაციის კვლევებს, რომლებიც, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს კითხვებს სიძულვილით გამოწვეული დანაშაულების შესახებ, კერძოდ, ესენია: შვედეთის დანაშაულის კვლევა, პოლიტიკოსთა უსაფრთხოების კვლევა და

42 შვედეთის სისხლის სამართლის კოდექსი, მე-16 თავი, მე-8 ნაწილი [მუქარები], <<https://hate-crime.osce.org/hate-crime-legislation-sweden>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

43 შვედეთის სისხლის სამართლის კოდექსი, 29-ე თავი, მე-2 ნაწილი, <<https://hatecrime.osce.org/hate-crime-legislation-sweden>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

44 შვედეთის სისხლის სამართლის კოდექსი, 29-ე თავი, მე-2 ნაწილი, მე-7 პუნქტი. <<https://hate-crime.osce.org/hate-crime-legislation-sweden>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

45 National frameworks to address hate crime in Sweden, <<https://hatecrime.osce.org/national-frameworks-sweden>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

სკოლაში დანაშაულის შესახებ კვლევა. კვლევის მიგნებების გამოყენება კი შემდგომში ხდება პრევენციული ღონისძიებების დასაგეგმავად.⁴⁶

სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს რამდენიმე მიზანი აქვს, მათ შორის: დადგინდეს ამ კატეგორიის დანაშაულის ჩადენის არეალი, მასშტაბები, გაანალიზდეს დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული ინფორმაციები – მიკერძოების მოტივი (ქსენოფობიური, ჰომოფობიური, ტრანსფობიური და სხვ.), მსხვერპლის გენდერი (კაცი, ქალი, უცნობია), დანაშაულის ადგილი (ქუჩა, ტრანსპორტი, დაწესებულება და სხვ.), ურთიერთობა მსხვერპლსა და მოძალადეს შორის (ოჯახის წევრი, მეზობელი, უცნობი და სხვ.) და ა.შ. 2022 წლის მონაცემების თანახმად, შვედეთის პოლიციამ 4788 სიძულვილით მოტივირებული დანაშაული დააფიქსირა, რაც წინა საანგარიშო წელთან შედარებით ნაკლებია – 2020 წელს ეს მონაცემი იყო 6301.⁴⁷

შვედეთის სისხლის სამართლის დანაშაულთა პრევენციის ეროვნული საბჭო დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით რამდენიმე მნიშვნელოვან ინფორმაციას აქვეყნებს. სხვადასხვა სახის ანგარიშებისა და კვლევების მეშვეობით, შესაძლებელია ამ დოკუმენტების გარკვეულწილად, დაჯგუფება, კერძოდ:

- ა) ეროვნული უსაფრთხოების კვლევები – ტარდება ყოველწლიურად და მასში მონაწილეობს 65 000 ადამიანი, რომლებიც საფოსტო და ონლაინ გამოკითხვების საშუალებით პასუხობენ კითხვებს სამართლებრივი სისტემისადმი ნდობის, დაუცველობისა და უსაფრთხოების განცდებსა თუ სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან დაკავშირებით;⁴⁸
- ბ) წლიური ანგარიშები, სადაც მოცემულია ინფორმაცია შეტყობინებული დანაშაულების შესახებ. ამ ანგარიშებში მოცემულია ინფორმაცია დანაშაულის ჩადენის ადგილისა (რეგიონი, მუნიციპალიტეტი) და დროის შესახებ, გამოვლენილი შეუწყნარებლობის მოტივის შესახებ, დანაშაულის სიმძიმის შესახებ, დამნაშავესა და დაზარალებულის სქესის შესახებ და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია;⁴⁹

46 National frameworks to address hate crime in Sweden, <<https://hatecrime.osce.org/national-frameworks-sweden>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

47 შვედეთის დანაშაულის პრევენციის ეროვნული საბჭო, 2022 წელს პოლიციაში მოხსენებული სიძულვილის დანაშაულები. საქმეების კრებული, რომლებიც პოლიციის მიერ იყო კლასიფიცირებული, როგორც სიძულვილის დანაშაული, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcgiclfndmkaj/https://bra.se/download/18.1537f1c6192bd251bfc3d aa/1730206186687/2023_16_Hate-crimes-reported-to-the-police-in-2022.pdf><<https://bra.se/english/publications/archive/2023-12-14-hate-crimes-reported-to-the-police-in-2022>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

48 შვედეთის დანაშაულის პრევენციის ეროვნული საბჭო, ეროვნული უსაფრთხოების კვლევა 2022, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcgiclfndmkaj> https://bra.se/download/18.366598ab19270941a1c186c/1728986655787/2022_7_Afrophobic%20hate%20crime.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

49 შვედეთის დანაშაულის პრევენციის ეროვნული საბჭო, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების დამუშავება. გამოძიების და დევნის გადაწყვეტილებები, გამოვლენილი

- გ) კონკრეტულ დისკრიმინაციის ნიშნთან დაკავშირებული ანგარიშები – მაგალითად, ანგარიში ანტისემიტური სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების თაობაზე,⁵⁰ ანგარიში ისლამოფობიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების თაობაზე,⁵¹ ანგარიში – სიძულვილის დანაშაულები ციფრულ გარემოში⁵² და სხვ., ამ კვლევების ფარგლებში შეისწავლება მთელი რიგი გარემოებებისა: ვინ ხდება ამ დანაშაულის მსხვერპლი, რა კატეგორიების დანაშაულების ჩადენა ხდება, ვინ არიან ამ დანაშაულის ჩამდენი პირები და სხვ.;
- დ) სიღრმისეული კვლევები – თვითშეტყობინებული დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები.⁵³

აღნიშნული ანგარიშების საფუძველზე მზადდება სტატისტიკური ცხრილები დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მის პროცენტულ გადანაწილებასთან, ჩადენილი დანაშაულის სახესთან, დამნაშავეთა და მსხვერპლთა გენდერსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. შემუშავებული დოკუმენტების საფუძველზე კი ხდება შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა, მათ შორის პოლიტიკის წარმოება ამ დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად.

3.2. გაერთიანებული სამეფო

გაერთიანებულ სამეფოში 2007 წლიდან არსებობს საკანონმდებლო დეფინიცია, რომლის თანახმად, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული განიმარტება როგორც „ნებისმიერი სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც აღიქმება მსხვერპლის ან სხვა პირის მიერ, მოტივირებულია ვინმეს მიმართ მტრობით ან ცრურწმენით, პირადი მახასიათებლის საფუძველზე“.⁵⁴

გაერთიანებულ სამეფოში არსებობს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების ხუთი ცენტრალიზებული მიმართუ-

სიძულვილის დანაშაულის მოტივით 2013–2016 და 2018 წლებში, 2021, <<https://bra.se/english/publications/archive/2021-02-17-processed-hate-crimes>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

50 შვედეთის დანაშაულის პრევენციის ეროვნული საბჭო, ანტისემიტური სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულები, 2019, <<https://bra.se/english/publications/archive/2019-06-24-antisemitic-hate-crime>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

51 შვედეთის დანაშაულის პრევენციის ეროვნული საბჭო, ისლამოფობიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები, 2021, <<https://bra.se/english/publications/archive/2021-04-30-islamophobic-hate-crime>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

52 შვედეთის დანაშაულის პრევენციის ეროვნული საბჭო, 2022, სიძულვილის დანაშაულები ციფრულ გარემოში, <<https://bra.se/english/publications/archive/2022-12-21-hate-crime-in-digital-environments>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

53 შვედეთის დანაშაულის პრევენციის ეროვნული საბჭო, სიძულვილის დანაშაულების მიმართ თვითშეტყობინებების მოწყვლადობის ანალიზი ეროვნული უსაფრთხოების 2006–2017 წლების კვლევის საფუძველზე, <<https://bra.se/english/publications/archive/2020-12-10-self-reported-exposure-to-hate-crime>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

54 National frameworks to address hate crime in the United Kingdom, <<https://tinyurl.com/yccyrvxc>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

ლება:⁵⁵ ა) „რასობრივი“ ან ეთნიკური წარმომავლობა; ბ) რელიგია ან რწმენა; გ) სექსუალური ორიენტაცია; დ) შეზღუდული შესაძლებლობა; ე) ტრანსგენდერული იდენტობა.

თითოეული დანაშაულის აღრიცხვის დროს გაერთიანებული სამეფოს პოლიციას შეუძლია, აღნიშნული ხუთი ჯგუფიდან ერთ-ერთ ჯგუფს მიაკუთვნოს დანაშაული, ან რამდენიმე მათგანს ერთდროულად, მაგალითად რასობრივი და რელიგიური ნიშნებით შეუწყნარებლობის მოტივებით დანაშაულის ჩადენა. ამასთან, შესაძლებელია, დანაშაული ჩადენილი იყოს „არაცენტრალიზებული მოტივით“, მაგალითად: ასაკი, სქესი და სხვ. პოლიციამ, ოპერატიულად, აღნიშნული დანაშაული შეიძლება მაინც გამოიძიოს, როგორც დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული.

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების თაობაზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, ანალიზი და გამოქვეყნება ხდება ყოველწლიურად.⁵⁶

გაერთიანებული სამეფოს პოლიციების (ინგლისი, უელსი, ჩრდილოეთ ირლანდია (43 ტერიტორიული პოლიცია და დიდი ბრიტანეთის სატრანსპორტო პოლიცია)) მიერ შეგროვებული ინფორმაციები თავს იყრის შინაგან საქმეთა სამინისტროში, რომელიც არის პასუხისმგებელი ამ ინფორმაციის შეგროვებაზე. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დანერგა მონაცემთა შეგროვების გაუმჯობესებული სისტემა სახელწოდებით – **Home Office Data Hub**, რომელიც ამარტივებს ამ კატეგორიის დანაშაულის აღრიცხვას ე.წ. „დროშების“ გამოყენების საშუალებით.⁵⁷

პროკურატურის მონაცემებს აგროვებს და აქვეყნებს ინგლისისა და უელსის სამეფო პროკურატურის სამსახური, ჩრდილოეთ ირლანდიის საჯარო პროკურატურის სამსახური და შოტლანდიის ფისკალური პროკურორი. გაერთიანებულ სამეფოს აქვს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სამოქმედო გეგმა ინგლისისა და უელსისთვის. გაერთიანებული სამეფოს მთავრობა მჭიდროდ თანამშრომლობს სამოქალაქო საზოგადოებასთან, მათ შორის ინფორმაციის გაზიარების შეთანხმებების მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული სამეფოს პოლიციამ და ორმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ, რომლებიც მონაწილეობენ სიძულვილის ინციდენტების მონიტორინგში (**Community Security Trust and Tell MAMA**), დადო ინფორმაციის გაზიარების შეთანხმებები, რითაც შესაძლებელი გახდა თითოეული ორგანიზაციის მიერ

⁵⁵ იქვე.

⁵⁶ 1. Hate Crime Report, 2018-19, Crown Prosecution Service Delivering justice, <<https://bit.ly/3XOUuWW>> 2. Hate Crime Report, 2017-18, Crown Prosecution Service Delivering justice, <<https://bit.ly/2OqTZi6>> 3. Hate crime, England and Wales, 2016/17, <<https://bit.ly/2HsuSXL>> 4. Hate crime, England and Wales, 2021 to 2022, <<https://bit.ly/3D61K44>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

⁵⁷ Hate crime, England and Wales, 2021 to 2022, <<https://bit.ly/3wkSR2X>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

დაფიქსირებული ინციდენტების შესახებ მონაცემების გაცვლა და ამ კატეგორიის დანაშაულის უფრო ფართო სურათით წარმოჩენა/შეფასება. ჩანერილი ინციდენტების შესახებ მონაცემების გაცვლა ხდება რეგულარულად.⁵⁸

გარდა სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და ანალიზისა, გაერთიანებული სამეფოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური ატარებს კვლევას დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესახებ. სწორედ ამ კვლევებზე დაყრდნობით აფასებს ამ კატეგორიის დანაშაულების ზრდის გამომწვევ შესაძლო მიზეზებს. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესახებ გაერთიანებული სამეფო აქვეყნებს ინფორმაციას, დაკავშირებულს: შეუწყნარებლობის მოტივსა და მოტივების პროცენტულ გადანაწილებასთან, ამ კატეგორიის დანაშაულის ჩადენის ადგილთან, დროსთან, დანაშაულის სახესა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.⁵⁹

გაერთიანებული სამეფო აღრიცხავს ამ კატეგორიის დანაშაულების გავრცელების მასშტაბებსა და ცალკეულ ტენდენციებს, მაგალითად, დანაშაულის ჩადენის მოტივს ჩაშლილი სახით (მაგ., რელიგია – ხდება დიფერენცირებული აღრიცხვა კონკრეტული რელიგიების მიხედვით: ბუდიზმის, ქრისტიანობის, ისლამისა და სხვ.); დანაშაულის ჩადენის ადგილს, დანაშაულის ჩადენის ოდენობას თვეების მიხედვით, ამ კატეგორიის დანაშაულის მსხვერპლის მიხედვით (ფიზიკური პირი გახდა სამიზნე, ქონება თუ ნივთი) და სხვ.⁶⁰

გაერთიანებული სამეფო სტატისტიკური ცხრილებისგან დამოუკიდებლად აქვეყნებს ინფორმაციულ ბუკლეტს (საინფორმაციო ფურცელს) ამ დანაშაულის შესახებ, სადაც მითითებულია ინფორმაცია, რამდენ საქმეზე დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, რამდენი პირის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი და რამდენ პირს დაუმძიმდა სასჯელი დანაშაულის ჩადენის მოტივის გამო; ასევე ქვეყნდება ინფორმაცია განხორციელებული აქტივობების შესახებ და სხვ.⁶¹

3.3. ხორვატია

ხორვატიის სისხლის სამართლის კოდექსის 87-ე მუხლის 21-ე პუნქტის თანახმად, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული არის: „სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც ჩადენილია პირის რასის, კანის ფერის, რელიგიის, ეროვნების ან ეთნიკური წარმომავლობის, შეზღუდული შესაძლებლობის, გენდერის, სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის

58 National frameworks to address hate crime in the United Kingdom, <<https://tinyurl.com/yccryvxc>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

59 იქვე.

60 Hate crime statistics, 2024, <<https://bit.ly/3HwB4fL>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

61 1. Hate crime statistics, 2024, <<https://bit.ly/3XuxlVe>> 2. CPS Hate Crime Newsletter 29, October 2021, <<https://bit.ly/3Ws940S>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

გამო“. ხორვატიაში 2013 წლამდე დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკა არ საჯაროვდებოდა, 2015 წელს კი დაიწყო მონაცემების ჩაშლილი სახით გამოქვეყნება.⁶² პოლიციისა და სხვა ორგანოების მიერ ამ კატეგორიის დანაშაულების აღრიცხვა რეგულირდება 2011 წლის „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ჩადენის საპროცესო პროტოკოლით“, რომელიც 2021 წელს განახლდა (No43/2021).

ხორვატიის ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების ოფისი (OHRNM) პასუხისმგებელია დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის შესახებ მონაცემების შეგროვებასა და გამოქვეყნებაზე.⁶³

პოლიციის თანამშრომლები დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების იდენტიფიცირებას და აღრიცხვას ახდენენ შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო სისტემაში არსებული ელექტრონული ფორმების საშუალებით, რომლებიც გამოიყენება ყველა სისხლის სამართლის საქმის მონიტორინგისთვის. ამასთან, პროკურატურა ვალდებულია, აწარმოოს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ყველა შემთხვევა. სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა დეპარტამენტები პასუხისმგებელნი არიან ამ კატეგორიის დანაშაულების ცალკე აღრიცხვაზე, საქმის რაოდენობის, მათი შედეგების, ბრალდებულთა რაოდენობისა და სასამართლო პროცესისა და სასჯელების შესახებ ინფორმაციის შეგროვებაზე. როდესაც სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულად მონიშნული საქმე შედის სასამართლოს საქმისწარმოების სისტემაში, იგი მონიშნულია როგორც ასეთი დანაშაული, რათა მოხდეს საქმის ამოღება და შეჯამება საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების ოფისი (OHRNM) პოლიცია და სხვა უწყებები 6 თვეში ერთხელ აწვდიან სტატისტიკურ ინფორმაციას, რომელსაც ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების ოფისი აერთიანებს და აქვეყნებს თავის ვებსაიტზე.⁶⁴ ხორვატიის ყოველწლიური სტატისტიკური მონაცემები ქვეყნდება ასევე ეუთოს ოდირის ვებგვერდზე.⁶⁵

62 Hate crime recording and data collection practice across the EU, 2018, <<https://bit.ly/3J5HVh6>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

63 Combating hate crimes, <<https://bit.ly/3ZShdP2>><<https://hatecrime.osce.org/croatia>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

64 ხორვატიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო <<https://mup.gov.hr/>><<https://hatecrime.osce.org/national-frameworks-croatia#capacityBuilding>><chrome-extension://efaidnbmninnbpcjpcgiclfndmkaj/https://pravamanjina.gov.hr/UserDocImages/dokumenti/PROTOCOL%20FOR%20PROCEDURE%20IN%20CASES%20OF%20HATE%20CRIME.pdf> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

65 Hate crime data collection in Croatia, <<https://hatecrime.osce.org/croatia?year=2019>> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

წელი	გამოძიების რიცხვი	სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების რიცხვი	მსჯავრდებული
2023	85	33	9
2022	80	24	14
2021	101	57	11
2020	87	138	18
2019	48	117	10

3.4. ნორვეგია

ნორვეგიის კანონმდებლობის თანახმად, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები განიმარტება როგორც დანაშაულები, რომლებიც მოტივირებულია პირის რელიგიით ან რწმენით, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობით, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, გენდერული გამოხატვის, შეზღუდული შესაძლებლობის ან დაცვის განსაკუთრებული საჭიროების მქონე ჯგუფებთან დაკავშირებული სხვა გარემოებებით.⁶⁶ აღსანიშნავია, რომ ნორვეგიის სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს მსგავსად, კონკრეტული დანაშაულებისთვის ცალკე დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს დისკრიმინაციული მოტივით მის ჩადენას, მაგალითად, სხეულის მძიმე დაზიანება (274-ე მუხლი).

სკანდინავიის ქვეყნების უმრავლესობა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე სტატისტიკურ მონაცემებს აგროვებს ამ ტიპის დანაშაულების წინააღმდეგ ცოდნისა და ინფორმაციის გაზრდის მიზნით, რათა გააჩნდეთ ერთიანი სურათი და დაგეგმონ მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი ღონისძიებები და სამოქმედო გეგმები.⁶⁷ ნორვეგიის ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტი (NIM) სხვადასხვა გზით მუშაობს ამ კატეგორიის დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად, მათ შორის საზოგადოების ცნობიერების, ინფორმირებულობისა და მგრძნობელობის ამაღლების კუთხით.

ნორვეგიის პოლიციის ეროვნული დირექტორატი პოლიციის საინფორმაციო სისტემებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშებს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის გავრცელების მასშტაბების თაობაზე. ანგარიში მოიცავს ინფორმაციას, თუ რა სახის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული არის მომხდარი, სად მოხდა მისი ჩადენა, ვინ არის მსხვერპლი და სხვ. ოსლოს პოლიცია კი კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებით აქვეყნებს საკუ-

⁶⁶ ნორვეგიის სისხლის სამართლის კოდექსი, 77-ე მუხლი.

⁶⁷ Hate crimes targeting LGBTI people in the Nordic countries, a survey of strategies, methods and initiatives, 2021, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcgiclfndmkaj/https://www.gu.se/sites/default/files/2024-09/Hate-%20Crimes-Targeting-LGBTIpeople.pdf>[უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

თარ ყოველწლიურ ანგარიშს, ამასთან, ტარდება სხვადასხვა სახის კვლევა, მაგალითად, ლგბტ პირთა გამოცდილებებთან დაკავშირებით და სხვ.⁶⁸ ნორვეგიის პოლიციის ეროვნული დირექტორატი ატარებს ყოველწლიურ ვიქტიმიზაციის გამოკითხვებს, რომლებიც მოიცავს კითხვებს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის შესახებ, რათა შეაფასოს სიძულვილით გამოწვეული დანაშაული.⁶⁹

ყოველწლიურად მზარდი მონაცემები⁷⁰

წელი	გამოძიების რიცხვი	სისხლისსამართლებრივი დევნის დანაშაულის რიცხვი	მსჯავრდებული
2023	1,090	310	250
2022	923	263	203
2021	959	54	17
2020	744	804	67
2019	761	70	37

ანალიზისა და შეფასების მიმართულებით ნორვეგიის მოდელი შეიძლება მიჩნეულ იქნეს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მოდელად.

4. დასკვნა

ევროპული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე აღსანიშნავია, რომ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების თაობაზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, ანალიზი და გამოქვეყნება რამდენიმე მნიშვნელოვან კომპონენტს აერთიანებს:

- მონაცემების სეგრეგირება დისკრიმინაციის ნიშნების მიხედვით დამოკიდებულია ეროვნულ კანონმდებლობაზე;
- მონაცემებს აგროვებენ მართლმსაჯულების განმახორციელებელი უწყებები (პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო), ხოლო ანალიზს ახორციელებს ან თავად ინფორმაციის შემგროვებელი უწყება ან სხვა უწყება, რომელსაც ეგზავნება ეს ინფორმაცია;
- დეტალურად ხდება გაანალიზება დაზარალებულსა და დამნაშავეს შორის არსებული კავშირებისა, ასევე დანაშაულის ჩადენის ადგილისა და დროისა;

68 Hate crimes targeting LGBTI people in the Nordic countries, a survey of strategies, methods and initiatives, 2021, <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcgclefindmkaj/https://www.gu.se/sites/default/files/2024-09/Hate-%20Crimes-Targeting-LGBTIpeople.pdf> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

69 National frameworks to address hate crime in Norway, <https://hatecrime.osce.org/norway> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

70 Hate crime data collection in Norway, <https://hatecrime.osce.org/norway> [უკანასკნელად გადამოწმდა: 15.08.2025].

დ) ტარდება სიღრმისეული კვლევები დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით (შესაძლო გამომწვევი მიზეზების, დანაშაულის გამოვლენის ხელისშემშლელი გარემოებების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ანალიზის მეშვეობით).

სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა ადასტურებს, რომ საუკეთესო მოდელი გულისხმობს სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას, სეგრეგირებას, ამ მონაცემებზე დაყრდნობით ანალიზების, შეფასებების, ანგარიშების შემუშავებას და სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად გამოქვეყნებას, ასევე საზოგადოების ინფორმირებულობას. სწორედ ამგვარი დოკუმენტი უზრუნველყოფს შემდგომში ამ კატეგორიის დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის თაობაზე სამოქმედო გეგმის/სტრატეგიის თუ სხვა სახის დოკუმენტის შემუშავებას.

საქართველოში დღეს არსებული მოდელის თანახმად, სახელმწიფო უწყებები აქვეყნებენ მხოლოდ მშრალ ციფრებს, კონკრეტული ანალიზისა თუ შეფასების გარეშე. აღნიშნული რეგულირება საჭიროებს ანალიტიკური კომპონენტის შემუშავებას, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს განსხვავებულ ცვლადებს ისე, რომ შესაძლებელი იქნება, გაანალიზდეს ამ კატეგორიის დანაშაულის ხასიათი, ბუნება, მიზეზები და გავრცელების მასშტაბები, ასევე, დანაშაულის გამოვლენის ხელისშემშლელი ფაქტორები, შემდგომში კი აღნიშნული ნარატიული ნაწილი გამოქვეყნდეს სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება მსჯელობა ამ მექანიზმის ეფექტიანობაზე.

ჟურნალისტიკა უფლებების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად

მარიამ ბალავაძე

1. შესავალი

მედიის თავისუფლება დემოკრატიული სახელმწიფოსა და თავისუფალი საზოგადოების შენარჩუნებისა და განვითარების აუცილებელი საფუძველია. ჟურნალისტიკა დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედი, რომელიც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას და ინფორმაციის თავისუფალ მიმოცვლას. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის თანახმად, „აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება. ყველას აქვს ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება“.

ჟურნალისტიკისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტების გამოძიება მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რადგან ის პირდაპირ კავშირშია მედიის თავისუფლებისა და დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტური პრინციპების დაცვასთან. აზრისა და გამოხატვის თავისუფლების პატივისცემა საკვალდებულოა ყველა სახელმწიფოსთვის. ისინი ვალდებული არიან, არა მხოლოდ თავად არ ხელყონ აღნიშნული უფლება და არ შეუშალონ ხელი ჟურნალისტურ საქმიანობას, არამედ მათ უნდა გადადგან კონკრეტული ნაბიჯები იმისთვის, რათა დაიცვან ჟურნალისტები მესამე (კერძო) პირთა მხრიდან მათი უფლების შესაძლო დარღვევისაგან.¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (შემდგომში – სასამართლო) განმარტავს, რომ გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი არსებითი საფუძველია, ხოლო პრესისთვის მინიჭებული გარანტიები კი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. პრესის მოვალეობაა ინფორმაციისა და იდეების გავრცელება საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებ-

1 Council of Europe, Protecting the Right to Freedom of Expression Under the European Convention on Human Rights, A Handbook for Legal Practitioners, 90; Human Rights Committee, General comment No 34 on Article 19: Freedoms of opinion and expression, CCPR/C/GC/34, 12 September 2011, 7.

ზე. არა მხოლოდ პრესას აქვს ასეთი ინფორმაციისა და იდეების გავრცელების ამოცანა, არამედ საზოგადოებას, ასევე, აქვს მათი მიღების უფლება.²

სტატიის მიზანია ჟურნალისტის ცნებისა და მისი პროფესიული საქმიანობის განმარტებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩოსა და დაცვის მექანიზმების მიმოხილვა. ასევე, სახელმწიფოს ვალდებულებების გამოკვეთა ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელისშეშლის ფაქტების ეფექტიანად გამოძიებასთან დაკავშირებით; გარდა ამისა, სტატიის მიზანია, ჟურნალისტთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა.

სტატია შედგება რამდენიმე თავისაგან და მოიცავს ისეთ თემებს, როგორებიცაა: ჟურნალისტისა და ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობის დეფინიცია და მათთან დაკავშირებული საერთაშორისო პრაქტიკა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – სსკ) 154-ე მუხლის შემადგენლობის განმარტება, ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელისშეშლის ფაქტების გამოძიება და სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, ასევე, ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელისშეშლის ფაქტებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა.

2. ჟურნალისტისა და ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობის დეფინიცია

დემოკრატიულ სახელმწიფოში ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობის არსებითი მნიშვნელობის მიუხედავად,³ მისი ცნების ერთიანი სამართლებრივი განმარტება არ არსებობს არც ქართულ კანონმდებლობაში და არც საერთაშორისო სამართალში.

საქართველოში მოქმედებდა 1991 წელს მიღებული კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“, ⁴ რომლის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავდა ჟურნალისტის დეფინიციას. კერძოდ, ამ განმარტების მიხედვით, „ჟურნალისტი არის პირი, რომელიც აგროვებს, ქმნის, არედაქტირებს ან ამზადებს მასალებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოსაქვეყნებლად და აქვს სათანადო რწმუნება, ან არის ჟურნალისტთა რეგისტრირებული კავშირის წევრი“. ეს კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა 2004 წლის 15 ივლისს. შესაბამისად, ჟურნალისტის საკანონმდებლო დეფინიცია აღარ არსებობს.

2 მამადოვი და აბასოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (*Mammadov and Abbasov v. Azerbaijan*), 2021 წლის 8 ივლისი.

3 ფლაზონი მალტის წინააღმდეგ (*Falzon v. Malta*), 2018 წლის 20 მარტი, 57-ე პუნქტი.

4 საქართველოს კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“, 1991 წლის 10 აგვისტო.

ჟურნალისტის დეფინიციასთან მიმართებით, ინტერნეტისა და სხვა თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებების განვითარებამ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება გამოიწვია – პრაქტიკულად ყველამ შეძლო ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და გავრცელება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ან ჟურნალისტურ გაერთიანებებთან რაიმე კავშირის გარეშე.⁵

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2000 წლის რეკომენდაციის თანახმად, ჟურნალისტი არის ნებისმიერ ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც რეგულარულად ან პროფესიულად აგროვებს და ავრცელებს ინფორმაციას საჯაროდ, მასობრივი კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით.⁶

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2016 წლის რეკომენდაციაში მითითებულია, რომ ინდივიდებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, მამხილებლებსა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებს შეუძლიათ, ღირებული წვლილი შეიტანონ საჯარო დებატებში, რითაც ისინი ითავსებენ ისეთსავე როლს, როგორსაც ტრადიციულად ასრულებენ ინსტიტუციონალიზებული მედია და პროფესიონალი ჟურნალისტები.⁷ პირისთვის პროფესიონალი ჟურნალისტის სტატუსის მინიჭება ნაკლებმნიშვნელოვანია, მთავარია მის მიერ შესრულებული საქმიანობა, გამოქვეყნებული ინფორმაციის შინაარსი და საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილების ფუნქცია.⁸

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის №34 ზოგად კომენტარში განმარტებულია, რომ ჟურნალისტიკა არის საქმიანობა, რომელსაც იზიარებს ადამიანთა ფართო სპექტრი, მათ შორის, როგორც პროფესიონალი ჟურნალისტები და ანალიტიკოსები, ისე ბლოგერები და სხვა პირები, რომლებიც აქვეყნებდნენ ინფორმაციას ბეჭდურად, ინტერნეტში ან სხვა ნებისმიერი საშუალებით. სახელმწიფოს მხრიდან ჟურნალისტების რეგისტრაცია ან ლიცენზირება შეუთავსებელია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტთან. ჟურნალისტთა შეზღუდული აკრედიტაცია დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა ჟურნალისტებისთვის პრივილეგირებული წვდომის მინიჭება გარკვეულ ადგილებსა და/ან ღონისძიებებში.⁹

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში – კონვენცია) მე-10 მუხლის

5 კ. წიქარიშვილი, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ავტორთა კოლექტივი, რედ. ირაკლი დვალიძე, თბ., 2019, 355.

6 Council of Europe, Recommendation No. R (2000) 7 of the Committee of Ministers to member states on the right of journalists not to disclose their sources of information.

7 Recommendation CM/Rec(2016)4 of the Committee of Ministers to member States on the protection of journalism and safety of journalists and other media actors, II-9.

8 UN Human Rights Office of the High Commissioner, Human Rights in the Context of Protests for Journalists, 2023, 1.

9 Human Rights Committee, General comment No. 34, International Covenant on Civil and Political Rights, UN CCPR/C/GC/34, 102nd session Geneva, 11-29 July 2011, 44.

(გამოხატვის თავისუფლება) ფარგლების შეფასებისას მნიშვნელოვანი საკითხია იმის დადგენა, პირი ინფორმაციის მოპოვებას ცდილობს თუ არა საზოგადოების ინფორმირების მიზნით, როგორც საზოგადოებრივი „მოდარაჯე“, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პრესას უნდა ჰქონდეს – იგი, ასევე, ვრცელდება აკადემიურ მკვლევრებსა და აკადემიური ლიტერატურის ავტორებზე. იმის გათვალისწინებით, რომ ინტერნეტი ასრულებს მნიშვნელოვან როლს საზოგადოებისთვის ახალი ამბების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობაში, ბლოგერების და სოციალური მედიის პოპულარული მომხმარებლების ფუნქცია შეიძლება, ასევე, გაიგივდეს საზოგადოებრივი „მოდარაჯეების“ ფუნქციასთან, კონვენციის მე-10 მუხლის ფარგლებში.¹⁰

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ კონვენციის მე-10 მუხლის ფარგლებში, საჯარო დებატების სხვადასხვა პლატფორმის შექმნის ფუნქცია არ შემოიფარგლება მხოლოდ პრესით. ეს ფუნქცია, ასევე, შეიძლება განახორციელონ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომელთა საქმიანობა ინფორმირებული საჯარო დებატების არსებითი ელემენტია.¹¹ სასამართლოს განმარტებით, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე, ის ასრულებს „საზოგადოებრივი დარაჯის“ როლს, რომელიც პრესის მსგავსი მნიშვნელობისაა.¹² მათი საქმიანობა კი მოითხოვს კონვენციით ისეთსავე დაცვას, როგორსაც პრესა.¹³

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ჟურნალისტური საქმიანობა აღწერა შემდეგნაირად: ის შეიძლება განახორციელოს პროფესიონალმა, რომელიც მუშაობს სრულ განაკვეთზე ბეჭდურ გაზეთში, ან ბლოგერმა, რომელიც აქვეყნებს საკუთარ კონტენტს ინტერნეტში.¹⁴ ის ძირითადად მოიცავს ნებისმიერ პირს, რომელიც რეგულარულად აგროვებს ინფორმაციას და შემდეგ ავრცელებს საზოგადოებაში – მიუხედავად იმისა, სახელმწიფოს მიერ არიან თუ არა ეს პირები ოფიციალურად აღიარებულნი „ჟურნალისტებად“.¹⁵ მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირის მიერ, რომელიც არ არის პროფესიონალი ჟურნალისტი, რეგულარულად თავისი მოსაზრებების გამოცემა განიხილა თავი-

10 დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ცენტრი უკრაინის წინააღმდეგ (*Case of Centre for Democracy and the Rule of Law v. Ukraine*), 2020 წლის 26 მარტი, 87-ე პუნქტი.

11 გუსევა ბულგარეთის წინააღმდეგ (*Guseva v. Bulgaria*), 2015 წლის 17 თებერვალი, 38-ე პუნქტი.

12 ცხოველთა დამცველები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Case of Animal Defenders International v. The United Kingdom*), 2013 წლის 22 აპრილი, 103-ე პუნქტი.

13 გუსევა ბულგარეთის წინააღმდეგ (*Guseva v. Bulgaria*), 2015 წლის 17 თებერვალი, 38-ე პუნქტი.

14 Acting on UN Human Rights Council Resolution 33/2 on the Safety of Journalists, PREVENT – PROTECT – PROSECUTE, 2017, 16. https://www.article19.org/wp-content/uploads/2017/11/safety_of_journalists_WEB_23.10.pdf

15 იქვე.

სუფალი პრესის არსებითი როლის კონტექსტში დემოკრატიული საზოგადოების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფაში.¹⁶

ჟურნალისტის ცნების პარალელურად მნიშვნელოვანია, განიმარტოს მედიის მნიშვნელობაც. კერძოდ, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, მედია არის მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვითი ან ელექტრონული საშუალება, მათ შორის, ინტერნეტი.¹⁷

იურიდიულ ლიტერატურაში მედიის რამდენიმე ფუნქციას გამოყოფენ: ინფორმირებას, ცოდნას, მეთვალყურეობას, სახალხო ფორუმსა და ადვოკატირებას. მედიის ფუნქციაა, საზოგადოებას მიაწოდოს მრავალფეროვანი, ყოვლისმომცველი, სანდო და ზუსტი ინფორმაცია. მან უნდა უზრუნველყოს გავრცელებული ინფორმაციის კონტექსტის ახსნა და საზოგადოების შესაბამისი ცოდნით აღჭურვა; ასევე, მედიის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ხელისუფლების სამი შტოს (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო) საქმიანობის მეთვალყურეობა, კონტროლი და გაშუქებაა. აღნიშნული ინგლისური სიტყვა **watchdog**-იდან მომდინარეობს და „მოდარაჯეს“ აღნიშნავს. ასევე, მედიის მნიშვნელოვანი ფუნქციაა საზოგადოებისთვის საჯარო კრიტიკისა და მსჯელობის პლატფორმის შეთავაზება, სადაც მას მოდერატორის როლი უნდა ჰქონდეს შეთავსებული.¹⁸

თანამედროვე ეპოქაში, სადაც ციფრული მედიის ფორმების განვითარება შეუქცევადი პროცესი გახდა, საერთაშორისო სამართალმა მედიააქტორების განვითარებით განმარტებას მიანიჭა უპირატესობა. კერძოდ, მედიააქტორი არ მოიცავს მხოლოდ პროფესიონალ ჟურნალისტს ან მედიის სხვა ტრადიციულ წარმომადგენელს. ეს ტერმინი ვრცელდება სხვა აქტორებზეც, რომლებსაც გარკვეული როლი აქვთ საჯარო დისკუსიებში, ასრულებენ ჟურნალისტურ საქმიანობას ან ითავსებენ „საზოგადოებრივი დარაჯის“ ფუნქციებს.¹⁹

შეჯამების სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ჟურნალისტი არის პირი, რომელიც, საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ინფორმაციას მოიპოვებს, ამუშავებს და ავრცელებს საჯაროდ. ჟურნალისტთან გაიგივებულად შეიძლება ჩაითვალოს არა მხოლოდ ის პირი, რომელიც ოფიციალურად მუშაობს სხვადასხვა მედიასაშუალებასა თუ პრესაში, არამედ ის პირებიც, ვისაც ოფიციალურად ჟურნალისტის სტატუსი არ აქვთ, მაგრამ ასრულებენ ჟურნალისტურ საქმიანობას (მაგალითად: არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, მეცნიერები, ბლოგერები, სოციალური მედიის პოპულარული მომხმარებლები და სხვ.).

16 ფლაზონი მალტის წინააღმდეგ (*Falzon v. Malta*), 2018 წლის 20 მარტი, 57-ე პუნქტი.

17 საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, 2004 წლის 24 ივნისი.

18 კ. ნიქარიშვილი, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ავტორთა კოლექტივი, რედ. ირაკლი დვალაძე, თბ., 2019, 351-352.

19 ნ. მჭედლიძე, ა. მუხიგულაშვილი, კვლევა: გამოხატვის თავისუფლების საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოწვევები საქართველოში და მათი გადაწყვეტა საერთაშორისო სტანდარტის საფუძველზე, უფლებები – საქართველო, 2021, 5.

რაც შეეხება საქართველოში ჟურნალისტური საქმიანობის დაცვას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულია ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ესე იგი, მისი იძულება, გავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისაგან. ამავე მუხლის მეორე ნაწილი პასუხისმგებლობას აწესებს იმავე ქმედებისთვის, რომელიც ჩადენილია ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ამ დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც მიზნად ისახავს მასობრივი ინფორმაციის თავისუფლებას.

ამ მუხლის მიზანია, დაიცვას ჟურნალისტის პროფესიული დამოუკიდებლობა და ჩაურევლობა არა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების, არამედ კერძო პირების მხრიდანაც.

ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობა საკმაოდ ფართოა და მოიცავს არაერთ ქმედებას, მათ შორის: ინფორმაციის მოპოვებას, დამუშავებასა და გავრცელებას. სსკ-ის 154-ე მუხლი ვიწროდ განმარტავს მას და პასუხისმგებლობას აწესებს მხოლოდ ინფორმაციის გავრცელების ან გავრცელებისაგან თავის შეკავების იძულებისთვის. 2022-2024 წლებში ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე დაწყებული გამოძიებები, ძირითადად, მოიცავდა შემდეგ ქმედებებს:

- ტელეკომპანიის ეთერში სამგზავრო მიკროავტობუსებში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებული სიუჟეტის გასვლის გამო, ჟურნალისტისა და ოპერატორის მიმართ აგრესიის გამოხატვას და მათზე ფიზიკურად ძალადობას;²⁰
- ერთ-ერთი ტელეკომპანიის ჟურნალისტისა და ოპერატორის მიმართ პროფესიული საქმიანობის შესრულებისას ფიზიკურ ძალადობას, რაც გამოიხატა ჟურნალისტისთვის თავისა და სახის არეში მუშტის რამდენჯერმე დარტყმასა და ტელეკომპანიის კუთვნილი ვიდეოკამერის დაზიანებაში;²¹
- ჟურნალისტისა და ოპერატორის მიმართ საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ მოქალაქის დაკავების პროცესის გადაღების დროს აგრესიული ქცევით და თავდასხმით პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლას;²²

20 <https://sis.gov.ge/jurnalistebis-saqmianobasTan-dakavshirebuli-saqmeebi/The-Special-Investigation-Service-revealed-two-persons-on-the-fact-of-persecution-against-the-journalist-and-cameraman-of-the-Media-Monitoring-TV-company> [ბოლოს ნანახი: 06.06.2025].

21 <https://sis.gov.ge/jurnalistebis-saqmianobasTan-dakavshirebuli-saqmeebi/The-Special-Investigation-Service-arrested-two-persons-on-the-fact-of-violence-against-the-journalist-and-cameraman-of-the-Mtavari-Arkhi> [ბოლოს ნანახი: 06.06.2025].

22 <https://sis.gov.ge/jurnalistebis-saqmianobasTan-dakavshirebuli-saqmeebi/specialurma-sagamodziebo-samsaxurma-telekompania-formulas-tanamshromlebitvis-profesiul-saqmianobashi-ukanonod-xelis-sheshlis-faqtz-2-arasulwlovani-amxila> [ბოლოს ნანახი: 06.06.2025].

- ჟურნალისტის და ოპერატორის მიმართ ხე-ტყის გადამამუშავებელი ერთ-ერთი საამქროს ტერიტორიაზე სიუჟეტის მომზადებისას სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობის დაზიანების მუქარასა და მათზე ფიზიკურ ძალადობას;²³
- ინტერვიუს ჩანერისას ჟურნალისტის მიმართ მისი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით ფიზიკურ ძალადობას. კერძოდ, რამდენჯერმე თავისა და სახის არეში ხელის დარტყმას, ასევე, თავით კედელზე მიჯახებას.²⁴

აღნიშნულმა მაგალითებმა ნათლად წარმოაჩინეს, რომ ჟურნალისტები ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი მათი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე და სწორედ ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გაატაროს ეფექტიანი ღონისძიებები მათი უფლებების დასაცავად.

3. ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტების გამოძიება და სტატისტიკური მონაცემები

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, მრავალწლიანი პრაქტიკის ფარგლებში, დაადგინა, რომ გამოძიების ეფექტიანად მიჩნევისათვის საჭიროა, იგი აკმაყოფილებდეს რამდენიმე კრიტერიუმს, კერძოდ: ეფექტიანი გამოძიება უნდა იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, სწრაფი, სიღრმისეული, ადეკვატური და ზედმინევენიტი; მასში ჩართული უნდა იყოს დაზარალებული ან დაზარალებულის ოჯახის წევრი და უნდა ხორციელდებოდეს საზოგადოებრივი კონტროლი.²⁵

ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე გამოძიება უნდა ჩატარდეს დროულად. მტკიცებულებამ შეიძლება დაკარგოს თავისი ღირებულება ან შეუძლებელი გახდეს მისი აღდგენა გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ დროულად მოხდეს დანაშაულის შესახებ შეტყობინებაზე რეაგირება და შემდგომ შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება.²⁶ გამოძიება უნდა იყოს ყოვლისმომცველი. დაზუსტება სჭირდება საქმის ყველა შესაბამის ფაქტსა თუ გარემოებას. ასევე, აუცილებელია

23 <https://sis.gov.ge/jurnalistebis-saqmianobasTan-dakavshirebuli-saqmeebi/specialurma-sagamodziebo-samsaxurma-telekompania-mtavari-arxis-tanamshromlebisvis-profesiul-saqmianobashi-ukanonod-xelis-sheshlis-faqtze-2-piri-amxila> [ბოლოს ნანახი: 06.06.2025].

24 <https://sis.gov.ge/jurnalistebis-saqmianobasTan-dakavshirebuli-saqmeebi/specialurma-sagamodziebo-samsaxurma-batumshi-telekompania-formulas-jurnalistis-profesiuli-saqmianobis-xelis-sheshlisa-da-dzaladobis-faqtze-erti-piri-amxila> [ბოლოს ნანახი: 06.06.2025].

25 მ. ბალავაძე, დ. ზურციძე, გამოძიების ეტაპზე დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთის ვალდებულება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სტატიათა კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა, პანდემია და სამართლის უზენაესობა, რედაქტორი კონსტანტინე კორკელია, თბ., 2021, 188.

26 მ. ბალავაძე, სიცოცხლის ხელყოფისა და არასათანადო მოპყრობის შემთხვევათა გამოძიება, სტატიათა კრებულში – ადამიანის უფლებათა დაცვა: საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილება, რედაქტორი კონსტანტინე კორკელია, თბ., 2022, 21.

შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვება, რომლებიც უნდა შეფასდეს საფუძვლიანად, თანმიმდევრულად და ობიექტურად.²⁷

საყურადღებოა, რომ ჟურნალისტები ხშირად ხდებიან დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლები. ეს, ძირითადად, დაკავშირებულია მათ საქმიანობასა და იმ თემასთან, რასაც აშუქებენ, თუმცა არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც შეუწყნარებლობის მოტივი არ უკავშირდება ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობას. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სპეციფიკის გათვალისწინებით, არსებითად მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება შეუწყნარებლობის მოტივის იდენტიფიცირების მიზნით.

სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ საქართველოს გენერალური პროკურორის №019 ბრძანების²⁸ თანახმად, 2025 წლის 1 ივლისიდან ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე გამოძიებას აწარმოებს საქართველოს პროკურატურის გამოძიებელი.

2022 წლის 1 მარტიდან 2025 წლის 1 ივლისამდე ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტების გამოძიება ექვემდებარებოდა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2022 წლის ანგარიშის²⁹ თანახმად, 2022 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე გამოძიება დაიწყო 12 სისხლის სამართლის საქმეზე. ამ 12 სისხლის სამართლის საქმიდან სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 7 პირის მიმართ; ასევე, ამავე პერიოდში ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის 1 სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა გამოძიება.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის ანგარიშისა³⁰ და სტატისტიკური მონაცემების³¹ თანახმად, ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე გამოძიება დაიწყო 14 სისხლის სამართლის საქმეზე, საიდანაც 10 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. ასევე, ამავე პერიოდში, ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის 1 სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა გამოძიება.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის ანგარიშის³² თანახმად, ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე

27 იქვე, 23.

28 სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანება №019, 2025 წლის 30 ივნისი.

29 <https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/42307> [ბოლოს ნანახი: 12.08.2025].

30 <https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/42985> [ბოლოს ნანახი: 12.08.2025].

31 <https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/42975> [ბოლოს ნანახი: 12.08.2025].

32 <https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/47827> [ბოლოს ნანახი: 12.08.2025].

გამოძიება დაიწყო 19 სისხლის სამართლის საქმეზე, საიდანაც 7 პირის მიმართ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა.

2022-2024 წლებში საქართველოს სხვადასხვა ქალაქში აქციის მიმდინარეობის დროს სამართალდამცავების მიერ ძალის შესაძლო გადამეტების ფაქტებთან დაკავშირებით 15 საქმეზე (რამდენიმე საქმე აერთიანებს რამდენიმე ეპიზოდს) დაიწყო გამოძიება. თითოეულ ამ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 154-ე მუხლით, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებასა და ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლას.³³

ბოლო რამდენიმე წლის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის მაჩვენებელი არცთუ ისე დაბალია. აუცილებელია, სახელმწიფომ უზრუნველყოს ჟურნალისტთა უფლებების დაცვა როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ვალდებულების ქრილში. კერძოდ, სახელმწიფომ უკანონოდ არ შეუშალოს ხელი ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობას, ასევე, გაატაროს ყველა შესაძლო პრევენციული ღონისძიება მსგავსი ფაქტების აღმოსაფხვრელად (მათ შორის კერძო პირების მხრიდან ჩადენილი ქმედებები), ხოლო უკვე მომხდარ შემთხვევებზე კი აწარმოოს ეფექტიანი გამოძიება.

4. ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა

წინამდებარე თავში განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში – ნაჯაფლი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (*Najafli v. Azerbaijan*)³⁴ – საქმის ფაქტობრივი გარემოებები შეეხებოდა შემდეგს: მოსარჩელე, რომელიც ჟურნალისტი, 2005 წლის 9 ოქტომბერს აშუქებდა ბაქოში მიმდინარე ერთ-ერთ დემონსტრაციას, რა დროსაც პოლიციამ ძალის გამოყენებით დაარბია დემონსტრანტები, მათ შორის ჟურნალისტებიც. განმცხადებელს არ ეცვა სპეციალური ლურჯი ჟილეტი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მისი ჟურნალისტად იდენტიფიცირება, მაგრამ მკერდზე ეკეთა ჟურნალისტის სამკერდე ნიშანი. პოლიციის მიერ დემონსტრაციის დარბევისას მოსარჩელე და მისი კოლეგები ცემეს, რის შედეგადაც მათ მიიღეს სხვადასხვა სახის დაზიანება. მოსარჩელის თქმით, მან პოლიციის თანამშრომლებს უთხრა, რომ ჟურნალისტი იყო და სთხოვა, შეეწყვიტათ ძალადობა. მოსარჩელეს ცემის შემდეგ თავში ჩაარტყეს, რის შედეგადაც გონება დაკარგა.³⁵

33 <https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/47827> [ბოლოს ნანახი: 12.08.2025].

34 2012 წლის 2 ოქტომბერი.

35 იქვე, მე-6-მე-8 პუნქტები.

აღნიშნულ ინციდენტზე დაკითხვისას მოსარჩელემ განაცხადა, რომ არ იცოდა, რომელმა პოლიციელმა ცემა, მაგრამ მან გამოძიებელს წარუდგინა სპეცრაზმის იმ უფროსის ფოტო, რომელიც იმყოფებოდა შემთხვევის ადგილას. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება შეწყდა იმ მოტივით, რომ ძალადობის ჩამდენი პირები ვერ გამოააშკარავეს.³⁶ მოსარჩელე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევასთან ერთად, მიუთითებდა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლიც, კერძოდ, მას არასათანადოდ მოექცა პოლიცია, რათა ხელი შეეშალათ მისი ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელებას.

სასამართლო განმარტავს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში მოსახვედრად არასათანადო მოპყრობამ უნდა მიაღწიოს სიმძიმის მინიმალურ დონეს. ამ მინიმალური დონის შეფასება დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორებიცაა: მკურნალობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური ან გონებრივი ეფექტი და, ზოგ შემთხვევაში, დაზარალებულის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა.³⁷

სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ძალის გამოყენების გარემოებებს. როდესაც პირს უპირისპირდება პოლიცია ან სახელმწიფოს სხვა აგენტები, ფიზიკური ძალის გამოყენება, რომელიც არ არის მკაცრად აუცილებელი, პირის ქცევიდან გამომდინარე, ამცირებს ადამიანის ღირსებას და არის კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლების დარღვევა.³⁸ სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე მხარემ ვერ წარადგინა მოსარჩელის მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენების მკაცრი აუცილებლობა. უდავოა, რომ მოსარჩელეს არ გამოუყენებია ძალადობა პოლიციის მიმართ და არ უქმნიდა მათ საფრთხეს; ასევე, არ წარუდგენიათ, რომ არსებობდა სხვა მიზეზები, რომლებიც ამართლებდა ძალის გამოყენებას. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ძალის გამოყენება იყო არასაჭირო, გადაჭარბებული და მიუღებელი. სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელის მიმართ განხორციელებული ქმედებები, იმის გათვალისწინებითაც, თუ რა დაზიანებები მიიღო მან, არის არაადამიანური და ექცევა დამამცირებელი მოპყრობის ფარგლებში. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის არსებითი ნაწილის დარღვევა.³⁹

სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელის საჩივარი არ იქნა განხილული საკმარისი გულმოდგინებით, რადგან არ იყო გადადგმული შესაბამისი პროცედურული ნაბიჯები 2006 წლის 12 იანვრამდე, კერძოდ, მისი დაკითხვის თარიღამდე, შემთხვევიდან სამ თვეზე მეტი ხნის შემდეგ. სასამართლო აღნიშნავს: არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ მოსარჩელეს არ მიეცა ეფექტიანი წვდომა საგამოძიებო

36 იქვე, მე-12 და მე-16 პუნქტები.

37 *ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Ireland v. the United Kingdom)*, 1978 წლის 18 იანვარი, 162-ე პუნქტი

38 *კოპი თურქეთის წინააღმდეგ (Kop v. Turkey)*, 2009 წლის 20 ოქტომბერი, 27-ე პუნქტი.

39 *ნაჯაფლი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Case of Najafli v. Azerbaijan)*, 2012 წლის 2 ოქტომბერი, 39-ე-41-ე პუნქტები.

პროცედურაზე და რომ იგი დროულად არ იყო ინფორმირებული ყველა საპროცესო ნაბიჯის შესახებ. სასამართლომ უარყოფითად შეაფასა, ასევე, გამოძიების მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის საკითხი. კერძოდ, საგამოძიებო ორგანომ გამოძიების ძირითადი და არსებითი ნაწილი – სავარაუდო არასათანადო მოპყრობის დამნაშავეების იდენტიფიცირება – იმავე ორგანოს გადასცა, რომლის აგენტებმაც, სავარაუდოდ, ჩაიდინეს დანაშაული. ასევე, გამოძიებამ „ვერ შეძლო“ დამნაშავე პირების იდენტიფიცირება. სასამართლოს შეფასებით, საქმეში არ ფიქსირდება არანაირი მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ რაიმე რეალური ნაბიჯი გადაიდგა გამომძიებლების მხრიდან.⁴⁰

სასამართლოს აზრით, საგამოძიებო ორგანოს სრული კომპეტენცია ჰქონდა და სრულად უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა, დამნაშავეების იდენტიფიცირების მიზნით გაეტარებინა დამოუკიდებელი, ხელშესახები და ეფექტიანი საგამომძიებო ღონისძიებები, როგორებიცაა: დარბევის ოპერაციაში ჩართული პოლიციის წევრების სიის მოპოვება, ყველა ჩართული პოლიციელის დაკითხვა, სხვა მოწმეების იდენტიფიცირება და დაკითხვა (დემონსტრაციის მონაწილეები, გამვლელები და ა.შ.), მოვლენების ქრონოლოგიურად დალაგების მცდელობა და ა.შ. ზემოაღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევა.⁴¹

რაც შეეხება კონვენციის მე-10 მუხლს, სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი მედიის მნიშვნელოვან როლს კანონის უზენაესობის დაცვის კუთხით დემოკრატიულ სახელმწიფოში. მედიის მოვალეობაა, ინფორმაციისა და იდეების გავრცელება საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე. არა მხოლოდ მას აქვს ასეთი ინფორმაციისა და იდეების გავრცელების ამოცანა, არამედ საზოგადოებას აქვს მათი მიღების უფლება. ეს უდავოდ მოიცავს ოპოზიციის შეკრებებისა და დემონსტრაციების გაშუქებას, რაც აუცილებელია ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, მედია ვერ შეასრულებდა „საზოგადოების დამკვირვებლის“ სასიცოცხლო როლს.⁴²

უდავოა, რომ მოსარჩელე იმყოფებოდა დემონსტრაციის ადგილზე მოვლენის გასაშუქებლად, ანუ ახორციელებდა თავის ჟურნალისტურ საქმიანობას. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელეს არ ეცვა სპეციალური ჟილეტი, მას მკერდზე ჟურნალისტის სამკერდე ნიშანი ჰქონდა და ასევე სპეციალურად უთხრა პოლიციის თანამშრომლებს, რომ იგი ჟურნალისტი იყო. ამრიგად, სასამართლომ არ მიიღო მთავრობის არგუმენტი, რომ პოლიციის თანამშრომლებმა ვერ დაადგინეს, რომ მოსარჩელე იყო ჟურნალისტი.⁴³

40 იქვე, 49-ე, 51-ე-53-ე პუნქტები.

41 იქვე, 54-ე და 56-ე პუნქტები.

42 დამკვირვებელი და მცველი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Observer and Guardian v. the United Kingdom*), 1991 წლის 26 ნოემბერი, 59-ე პუნქტი.

43 ნაჯაფლი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (*Najafli v. Azerbaijan*), 2012 წლის 2 ოქტომბერი, 67-ე პუნქტი.

სასამართლოს შეფასებით, სადავო არ არის, რომ ჟურნალისტების მიმართ სახელმწიფო აგენტების მხრიდან არასათანადო მოპყრობა, როდესაც ეს უკანასკნელნი ასრულებენ თავიანთ პროფესიულ მოვალეობას, სერიოზულად აფერხებს მათი ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლების განხორციელებას. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.⁴⁴

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმის – *ოზგურ გუნდემი თურქეთის წინააღმდეგ (Özgür Gündem v. Turkey)*⁴⁵ – ფაქტობრივი გარემოებები შეეხებოდა შემდეგს: მოსარჩელები იყვნენ გაზეთ *Özgür Gündem*-ის თანამშრომლები. საქმე ეხებოდა მოსარჩელების ბრალდებებს იმის შესახებ, რომ გაზეთი იყო სერიოზული თავდასხმებისა და შევიწროების ობიექტი, რამაც საბოლოოდ გამოიწვია მისი დახურვა და რაზეც თურქეთის ხელისუფლება იყო პირდაპირ ან ირიბად პასუხისმგებელი. ისინი მიუთითებდნენ გაზეთთან დაკავშირებულ პირებზე განხორციელებულ თავდასხმებზე, მათ შორის, შვიდი ადამიანის მკვლელობაზეც, რასაც არ უარყოფდა თავად სახელმწიფოც. მოსარჩელებმა, გაზეთში მომუშავე სხვა პირებთან ერთად, არაერთხელ გააფრთხილეს ხელისუფლება ამ მუქარებისა და თავდასხმების შესახებ და მოითხოვეს ღონისძიებების გატარება, რასაც რეაგირება არ მოჰყოლია.⁴⁶

პოლიციამ გაჩხრიკა მათი ოფისი, დააკავეს იქ მყოფი პირები, წაართვეს ყველა დოკუმენტი და არქივი, რამდენიმე პირს ბრალი წარუდგინეს ტერორისტული დაჯგუფების წევრობასა და გაზეთის მეშვეობით ამ დაჯგუფების სასარგებლოდ განხორციელებულ პროპაგანდასთან დაკავშირებით. მოსარჩელები ამტკიცებდნენ, რომ ხელისუფლება ყველანაირი გზით (მკვლელობები, გაუჩინარებები, ჟურნალისტების შევიწროებისა და დაშინების წახალისება) ცდილობდა, საბოლოოდ შეუძლებელი გაეხადა გაზეთის გამოცემა.⁴⁷

სასამართლო განმარტავს გამოხატვის თავისუფლების ძირითად მნიშვნელობას, როგორც დემოკრატიის ფუნქციონირების ერთ-ერთ წინაპირობას. ამ თავისუფლების ნამდვილი, ეფექტიანი განხორციელება არ არის დამოკიდებული მხოლოდ სახელმწიფოს მოვალეობაზე, არ ჩაერიოს, არამედ შეიძლება მოითხოვდეს დაცვის პოზიტიურ ღონისძიებებს, თუნდაც ინდივიდებს შორის ურთიერთობის სფეროში.⁴⁸ პოზიტიური ვალდებულების არსებობის ან არარსებობის დადგენისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამართლიანი ბალანსი, რომელიც უნდა იყოს დაცული საზოგადოების ზოგად ინტერესებსა და ინდივიდის ინტერესებს შორის.⁴⁹

44 იქვე, 70-ე პუნქტი.

45 2000 წლის 16 მარტი.

46 იქვე, მე-9, მე-10, მე-14 პუნქტები.

47 იქვე, მე-15, მე-17, მე-19 პუნქტები.

48 *X და Y ნიდერლანდის წინააღმდეგ (X and Y v. the Netherlands)*, 1985 წლის 26 მარტი, 23-ე პუნქტი.

49 *ოზგურ გუნდემი თურქეთის წინააღმდეგ (Özgür Gündem v. Turkey)*, 2000 წლის 16 მარტი, 43-ე პუნქტი.

წინამდებარე საქმეში ხელისუფლებამ იცოდა, რომ **Özgür Gündem**-ი და მასთან დაკავშირებული პირები ექვემდებარებოდნენ ძალადობრივი ქმედებების სერიას და მოსარჩელები შიშობდნენ, რომ ისინი მიზანმიმართულად ხდებოდნენ სამიზნეები, რათა ხელი შეეშალათ გაზეთის გამოქვეყნებისა და გავრცელებისათვის. სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული გამოძიება არ იყო ადეკვატური და ეფექტიანი პასუხი მოსარჩელეთა ბრალდებებზე. რაც შეეხება გაზეთისა და მისი თანამშრომლების კავშირს ტერორიზმთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ თუნდაც სიმართლე იყოს, ის არ ამართლებს სახელმწიფოს უმოქმედობას, არ გადადგას ქმედითი ნაბიჯები გამოსაძიებლად და, საჭიროების შემთხვევაში, არ დაიცვას მოსარჩელები ძალადობის შემცველი უკანონო ქმედებებისგან. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ მთავრობამ ვერ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულება, დაეცვა **Özgür Gündem**-ის გამოხატვის თავისუფლება.⁵⁰

რაც შეეხება ჩხრეკას, სასამართლომ დაადგინა, რომ ჩხრეკის ოპერაცია, რომლის შედეგადაც გაზეთების წარმოება შეფერხდა ორი დღის განმავლობაში, იყო სერიოზული ჩარევა მოსარჩელეთა გამოხატვის თავისუფლებაში. სასამართლო ეთანხმება, რომ ჩხრეკის ოპერაცია ჩატარდა „კანონით დადგენილი წესით“ დანაშაულისა და არეულობის პრევენციის მიზნით, მე-10 მუხლის მეორე პუნქტის ფარგლებში, თუმცა იგი არ მიიჩნევა, რომ ეს ქმედება იყო მიზნის პროპორციული. გაზეთის არქივის, დოკუმენტაციისა და ბიბლიოთეკის ამოღებას არანაირი დასაბუთება არ მოჰყოლია. სასამართლოს, ასევე, არ მიუღია ახსნა-განმარტება იმის შესახებ, რომ გაზეთის შენობაში აღმოჩენილი ყველა პირი იყო დაკავებული, მათ შორის მზარეული, დამლაგებელი და გათბობის ინჟინერი. სასამართლოს განმარტებით, დამაჯერებლად უნდა დადგინდეს გამოხატვის თავისუფლების განხორციელებისას რაიმე შეზღუდვის აუცილებლობა. სასამართლო ასკვნის, რომ ხელისუფლების მიერ ჩატარებული ჩხრეკის ოპერაცია არ აღმოჩნდა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში რაიმე ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.⁵¹

სასამართლოს შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ პრესამ არ უნდა გადალახოს სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად დაწესებული საზღვრები, როგორებიცაა ეროვნული უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის დაცვა ძალადობის საფრთხისგან ან არეულობის, ან დანაშაულის თავიდან აცილება, პრესის მოვალეობაა, გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები პოლიტიკურ საკითხებზე, თუნდაც განხეთქილებაზე. ასეთი ინფორმაციისა და იდეების გავრცელების ამოცანა მხოლოდ პრესას არ აქვს, საზოგადოებას აქვს მათი მიღების უფლება. პრესის თავისუფლება საზოგადოებას აძლევს ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას პოლიტიკური ლიდერების იდეებისა და დამოკიდებულების აღმოსაჩენად და აზრის ჩამოსაყალიბებლად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ საბოლოოდ დაასკვნა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.⁵²

50 იქვე, 44-ე-46-ე პუნქტები.

51 იქვე, 49-ე-50-ე პუნქტები.

52 იქვე, 58-ე და 71-ე პუნქტები.

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეს – *მამადოვი და აბასოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Mammadov and Abbasov v. Azerbaijan)*,⁵³ მისი ფაქტობრივი გარემოებები შეეხებოდა შემდეგს – მოსარჩელეები იყვნენ იმ არასამთავრობო ორგანიზაციის ჟურნალისტები, რომლებიც იცავდნენ ჟურნალისტთა უფლებებს. ერთ-ერთი გაზეთის მთავარმა რედაქტორმა ამ არასამთავრობო ორგანიზაციას შეატყობინა, რომ მისი გაზეთის ჟურნალისტი დააკავეს და გადაიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროში, ასევე, დაკითხეს მის მიერ გამოქვეყნებულ სტატიასთან დაკავშირებით. ეს ოპერაცია სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პოლიციელების მიერ ჩატარდა გაზეთის შენობაში. ამ ფაქტის გასაშუქებლად მოსარჩელები გაზეთის ოფისში მივიდნენ. როდესაც მოსარჩელებმა დაიწყეს მიმდინარე პროცესის (ჩხრეკისა და გამოკითხვის) ვიდეოგადაღება, სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პოლიციელებმა ხელი შეუშალეს მათ გადაღებაში და წაართვეს აღჭურვილობა (ორი ვიდეოკამერა და ერთი ფოტოკამერა). ასევე, პირველი მოსარჩელე მთავარ რედაქტორთან ერთად ჩასვეს მანქანაში და გაემგზავრნენ გაურკვეველი მიმართულებით. პირველი მოსარჩელის თქმით, მანქანით დაახლოებით ერთსაათიანი მგზავრობის შემდეგ პოლიციელებმა იგი იმ დროისთვის მისთვის უცნობ ადგილას ჩამოსვეს, ხოლო მთავარი რედაქტორი წაიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროში. მანქანაში ყოფნისას პირველ მოსარჩელეს არავისთან დაკავშირების უფლება არ მისცეს და არც ჩამორთმეული ტექნიკა დაუბრუნეს. მოგვიანებით, იმავე დღეს, მოსარჩელეს დაუბრუნეს აღნიშნული აღჭურვილობა, თუმცა კამერების მექანიზმების ბარათებიდან წაშლილი იყო ყველა ვიდეო და ფოტო, მათ შორის პოლიციის ოპერაციის დროს გადაღებული მასალაც.⁵⁴

სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო ღონისძიებები, რომლებიც ხელს უშლიან ჟურნალისტებს თავიანთი სამუშაოს შესრულებაში ან უარყოფითად მოქმედებენ მათი ჟურნალისტური ფუნქციების შესრულებაზე, შეიძლება მოექცნენ კონვენციის მე-10 მუხლის ფარგლებში.⁵⁵

წინამდებარე საქმეში უდავოა, რომ მოსარჩელები იმყოფებოდნენ გაზეთის შენობაში პოლიციის მიმდინარე ოპერაციის შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად და მოვლენების გასაშუქებლად, ანუ ასრულებდნენ ჟურნალისტურ საქმიანობას.⁵⁶

სასამართლომ კვლავ გაიმეორა, რომ გამოხატვის თავისუფლება არის დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი არსებითი საფუძველი და რომ პრესისთვის მინიჭებული გარანტიები განსაკუთრებული მნიშვნელობასაა. პრესის მოვალეო-

53 2021 წლის 8 ივლისი.

54 იქვე, მე-3-მე-8 პუნქტები.

55 *ჯისელი შვეიცარიის წინააღმდეგ (Gsell v. Switzerland)*, 2009 წლის 8 ოქტომბერი, 49-ე პუნქტი.

56 *მამადოვი და აბასოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Mammadov and Abbasov v. Azerbaijan)*, 2021 წლის 8 ივლისი, მე-60 პუნქტი.

ბაა ინფორმაციისა და იდეების გავრცელება საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე. არა მხოლოდ მას აქვს ასეთი ინფორმაციისა და იდეების გავრცელების ამოცანა, არამედ საზოგადოებას, ასევე, აქვს მათი მიღების უფლება. ეს, უდავოდ, მოიცავს გაზეთის შენობაში პოლიციის მიერ ჩატარებული ოპერაციის გაშუქებას. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, პრესა ვერ შეასრულებდა თავის სასიცოცხლო ფუნქციას – „საზოგადოებრივი დარაჯის“ როლს.⁵⁷

სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელებისათვის ჟურნალისტური აღჭურვილობის ჩამორთმევამ და პირველი მოსარჩელის თავისუფლების აღკვეთამ ერთი საათის განმავლობაში, როდესაც მოსარჩელები ასრულებდნენ თავიანთ პროფესიულ მოვალეობას, სერიოზულად შეაფერხა მათი ინფორმაციის მიღებისა და გაცემის უფლების შესაძლებლობა. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა მათი გამოხატვის თავისუფლების უფლება.⁵⁸

5. დასკვნა

მედიის თავისუფლება არის დემოკრატიული საზოგადოების არსებითი საფუძველი, რომლის გარეშე გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება ვერ შენარჩუნდება. როგორც საქართველოს კონსტიტუცია, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და სხვა საერთაშორისო დოკუმენტები მკაფიოდ იცავენ გამოხატვის და ინფორმაციის მიღებისა თუ გავრცელების თავისუფლებას.

საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ჟურნალისტის ცნების განმარტებას, თუმცა სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე, დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ჟურნალისტი არის პირი, რომელიც, საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ინფორმაციას მოიპოვებს, ამუშავებს და ავრცელებს საჯაროდ.

სტატიაში ნათლად გამოიკვეთა საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, კერძოდ: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი პასუხისმგებლობას აწესებს ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე, თუმცა, როგორც აღინიშნა, საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ჟურნალისტის ცნების განმარტებას. სისხლის სამართლის კანონმდებლობა უნდა იყოს მკაფიო და წინასწარ განჭვრეტადი, რათა პირებს შეეძლოთ საკუთარი ქმედებების სამართლებრივი შედეგების პროგნოზირება. კანონის ფორმულირება არ უნდა იწვევდეს ბუნდოვანებას ან მრავალგვაროვან ინტერპრეტაციას, რამაც, შესაძლოა, წარმოქმნას შერჩევითი მართლმსაჯულების საფრთხე.

გარდა ამისა, სსკ-ის 154-ე მუხლი ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობას ვიწროდ განმარტავს. კერძოდ, პასუხისმგებლობას აწესებს ინფორმაციის გავ-

57 იქვე, 61-ე პუნქტი.

58 იქვე, 62-ე პუნქტი.

რცელების ან გავრცელებისაგან თავის შეკავების იძულებისთვის. სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე კი გამოვლინდა, რომ ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობა მოიცავს არაერთ ქმედებას, მათ შორის ინფორმაციის მოპოვებას, დამუშავებასა და გავრცელებას.

საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ საჭიროა ჟურნალისტის ცნების არარსებობით გამოწვეული ბუნდოვანების აღმოფხვრა. კერძოდ, საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, უნდა შემუშავდეს და გაიწეროს კანონმდებლობაში ჟურნალისტის ცნებისა და მისი პროფესიული საქმიანობის ერთიანი განმარტება.

სტატიაში, ასევე, გაანალიზდა ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე გამოძიების წარმოებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების სტატისტიკური მონაცემები. განსაკუთრებით საყურადღებოა აქციის მიმდინარეობის დროს სამართალდამცავების მიერ ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტები, რომლებზეც პასუხისმგებელი პირები ამ დრომდე არ გამოვლენილა. მოცემული გარემოება მიუთითებს, რომ აუცილებელია, უზრუნველყოფილ იქნეს ჟურნალისტთა უფლების ხელშეუხებლობა და უკანონო ჩარევის შემთხვევაში სათანადო რეაგირება. საჭიროა გამოძიების სტანდარტების ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და ევროპულ ღირებულებებთან ჰარმონიზაცია, რაც მოიცავს იმას, რომ გამოძიება იყოს ყოვლისმომცველი და გატარდეს ყველა ის ღონისძიება, რაც არსებითად მნიშვნელოვანია ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად და დამნაშავე პირების გამოსავლენად. მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელთა პროფესიული გადამზადება და მათთვის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისი პრაქტიკისა და მიდგომების გაცნობა.

სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს ჟურნალისტების პროფესიული საქმიანობის შეუფერხებლად და უსაფრთხოდ განვითარებისთვის საჭირო გარემოს შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და საზოგადოებრივი ინფორმირებულობის უზრუნველყოფას. ასეთი გარემოს არსებობა პირდაპირპროპორციულად აისახება კანონის უზენაესობის განმტკიცებასა და ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და ძალადობის ზოგადი სიტუაციის ცნების ფარგლები ლტოლვილთა დაცვაში: გაკვეთილები საქართველოსთვის

ზურაბ ლებანიძე

1. შესავალი

XXI საუკუნის ჰუმანიტარული და პოლიტიკური კრიზისების პირობებში საერთაშორისო სამართალი კვლავ დგას გამოწვევის წინაშე – როგორ უზრუნველყოს ადამიანთა დაცვა მაშინ, როდესაც ისინი არა კონკრეტული ინდივიდუალური დევნის, არამედ ფართომასშტაბიანი ძალადობის გამო ტოვებენ სამშობლოს.¹ სწორედ ამ კონტექსტში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში – ევროპული სასამართლო) პრაქტიკა, რომელიც თანდათანობით აფართოებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით (შემდგომში – ევროპული კონვენცია) გათვალისწინებული უფლებების დაცვის ფარგლებს და ქმნის სამართლებრივ სტანდარტებს ლტოლვილთა დაცვის სფეროში.²

„ძალადობის ზოგადი სიტუაცია“³ არის სამართლებრივი ფორმულირება რომელიც ხშირად აისახება გადამწყვეტილებებში მიგრანტთა, თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა დაცვის შესახებ და დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე წინააღმდეგობრივი ცნებაა.⁴

თუ, კლასიკური გაგებით, ლტოლვილის სტატუსის მინიჭება მხოლოდ ინდივიდუალური დევნის მტკიცებაზე იყო დამოკიდებული, ამ ტერმინის მიხედვით განვითარებული თანამედროვე მიდგომები, განსაკუთრებით ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, ცნობს იმას, რომ ზოგადმა ძალადობამაც შეიძლება ადამიანის სიცოცხლესა და თავისუფლებას ისეთი საფრთხე შეუქმნას, რომ ეს განსახილველი სიტუაციები მოექცეს კონვენციის მე-2 მუხლისა (სიცოცხლის უფლების) და მე-3 მუხლის (წამების აკრძალვის) მოქმედების სფეროში; ისინი ასევე მოცემულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტსა და წამების საწინააღმდეგო კონვენციაში.⁵ ამ კონტექსტში სახელმწიფოთა ვალდებულებები

1 J. Hathaway, *The Rights of Refugees under International Law*, 2nd ed., Cambridge, 2021, 324–328.

2 G. S. Goodwin-Gill and J. McAdam, *The Refugee in International Law*, 4th ed., Oxford, 2021, 361.

3 ინგ., general situation of violence ან situation of general violence.

4 UNHCR, *Guidelines on International Protection* No. 12, 25. [<https://www.unhcr.org/media/unhcr-guidelines-international-protection-no-12-hcr-gip-16-12-02-december-2016>].

5 ზოერინგი *გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Soering v. The United Kingdom)*, 1989 წლის 7 ივლისი, 91-ე პუნქტი. [<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-57619>].

ბების ნუსხამ შეიძლება მოიცვას გაუძევებლობის პრინციპიც (non-refoulement), რომელიც მოცემულია ლტოლვილთა საერთაშორისო სტატუსის შესახებ კონვენციის 33-ე მუხლში.⁶ აღსანიშნავია, რომ წამების საწინააღმდეგო კონვენციის მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტი⁷ და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფომ არ უნდა დააბრუნოს პირი სხვა სახელმწიფოში, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მას იქ დაემუქრება წამების საფრთხე.

საქართველოსთვის, როგორც მიგრანტთა წარმოშობის, ისე მიმღები სახელმწიფოსათვის, მნიშვნელოვანია ამ სტანდარტების სრულფასოვანი გააზრება. მეტიც, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის დანერგვა ეროვნულ პრაქტიკაში საშუალებას მისცემს საქართველოს, ხელი შეუწყოს საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულებას, გაიაზროს საკუთარი ინსტიტუციური სისუსტეები და უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს.

წინამდებარე სტატია სწორედ ამ მიზანს ემსახურება: გააანალიზოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა „ძალადობის ზოგადი სიტუაციის“ ცნების განმარტებასთან დაკავშირებით, შეაფასოს მისი პრაქტიკული მნიშვნელობა ლტოლვილთა დაცვის სფეროში და დაასკვნას, თუ როგორ შეიძლება, საქართველომ გამოიყენოს ეს გამოცდილება საკუთარი პოლიტიკისა და კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით.

სტატიის დასაწყისში აღწერილი იქნება დეპორტაციისა და ექსტრადიციის გარშემო არსებული რეგულაციებისა და სამართლებრივი დოქტრინის შინაარსი. შემდგომ შეფასდება ქართული კანონმდებლობის ხარისხი. საბოლოოდ, გაკეთდება დასკვნები და ჩამოყალიბდება რეკომენდაციები სამომავლოდ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

2. გაუძევებლობის პრინციპი

ვიდრე გააანალიზდება ევროპული სასამართლოს პრაქტიკა „ძალადობის ზოგადი სიტუაციის“ შესახებ, მიზანშეწონილია გაუძევებლობის პრინციპის საწყისებსა და წარმომავლობაზე მსჯელობა.

6 ლტოლვილთა საერთაშორისო სტატუსის შესახებ კონვენცია, 1951, 33-ე მუხლი, 1-ელი პუნქტი: „არცერთი ხელშემკვერელი სახელმწიფო არ გაასახლებს ან დააბრუნებს ლტოლვილს იმ ქვეყნის საზღვარზე, სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე ემუქრება მისი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილებისა და პოლიტიკური მრწამსის გამო“. [<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi11.pdf>].

7 კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ, მე-3 მუხლი, 1-ელი პუნქტი: „არცერთმა მონაწილემ სახელმწიფომ არ უნდა გაასახლოს, დააბრუნოს (refouler) ან გადასცეს რომელიმე პირი სხვა სახელმწიფოს, თუ არის სერიოზული საფუძველი ეჭვისათვის, რომ მას იქ დაემუქრება წამების საფრთხე“. [<https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040312451414943.pdf>].

ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციის 33-ე მუხლის 1-ელ პუნქტში მოცემულია გაუძევებლობის პრინციპი (*non-refoulement*), რომელიც ამ კონვენციის ქვაკუთხედი პრინციპია. ეს პრინციპი ადგენს, რომ სახელმწიფოებმა ლტოლვილები არ უნდა დააბრუნონ ისეთ ტერიტორიებზე (ქვეყნებში), სადაც საფრთხე შეექმნებათ მათ სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და თავისუფლებას, რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, პოლიტიკური ან კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობის ნიშნით. დევნა ამ ნიშნების მიხედვით არის ინდივიდუალური ხასიათის და მისი დადგენა ხდება რეალური რისკის სტანდარტის გამოყენებით.

გაუძევებლობის პრინციპი არის ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა დაცვის უმნიშვნელოვანესი საფუძველი, რომელიც ასევე ასახულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-14 მუხლის 1-ელ პუნქტში. იმ შემთხვევაში კი, როდესაც კონკრეტულ ადამიანს არ აქვს უფლება, მიიღოს თავშესაფარი, ეს პრინციპი იცავს ხსენებულ ნიშნებთან დაკავშირებული დევნისგან, თუ მათ აქვთ ამ დევნის დასაბუთებული შიში. მართალია, ეს პრინციპი არ ავალდებულებს სახელმწიფოს, პირს მიანიჭოს თავშესაფარი, თუმცა ის უზრუნველყოფს, რომ მაშინაც კი, როდესაც პირს უარს ეტყვიან თავშესაფარზე, მას დარჩენის უფლება უნდა მისცენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლებელია მისი ისეთ მესამე სახელმწიფოში გაშვება, სადაც მას არ დაემუქრება არც დევნა და არც დევნის სახელმწიფოში დაბრუნების საფრთხე. მაშინ, როდესაც თავშესაფრის უფლება ქმნის პოზიტიურ ვალდებულებას, გაუძევებლობის პრინციპი ქმნის ნეგატიურ ვალდებულებას, სახელმწიფომ არ გაატაროს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც პირის იძულებით დაბრუნებას გამოიწვევს იმ ტერიტორიაზე, სადაც დევნა დაემუქრება.

3. გაუძევებლობის პრინციპი საერთაშორისო დოკუმენტებში

3.1. წამების აკრძალვის კონვენცია და ქვეკომიტეტი

როგორც აღინიშნა, წამების საწინააღმდეგო კონვენციის მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტი ადგენს, რომ სახელმწიფომ არ უნდა გააძევოს პირი ისეთ სახელმწიფოში, სადაც მას დაემუქრება წამება.⁸ ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ გათვალისწინებული უნდა იყოს საქმესთან დაკავშირებულ ყველა გარემოება, მათ შორის, შესაბამის სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა უხეში, აღმამფოთებელი და მასობრივი დარღვევების მუდმივი პრაქტიკის არსებობა.⁹ წამების საწინააღმდეგო

⁸ იხ. მე-6 სქოლიო.

⁹ კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ, მე-3 მუხლი, მე-2 პუნქტი; „ასეთი საფუძვლის არსებობის დასადგენად კომპეტენტური ხელისუფალნი ითვალისწინებენ საქმესთან დაკავშირებულ ყველა გარემოებას, მათ შორის შესაბამის შემთხვევებში მოცემულ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა უხეში, აღმამფოთებელი და მასობრივი დარღვევის მუდმივ პრაქტიკას.“ [https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040312451414943.pdf].

ქვეკომიტეტის მიხედვით,¹⁰ ასეთი დარღვევების მაგალითებია: ა) წამების ფართომასშტაბიანი გამოყენება და დამნაშავეების დაუსჯელობა; ბ) შევიწროება და ძალადობა ეთნიკური უმცირესობების წინააღმდეგ; გ) სიტუაციები, რომლებიც ხელს უწყობს გენოციდს; დ) გენდერზე დაფუძნებული ფართომასშტაბიანი ძალადობა; ე) ფართომასშტაბიანი დაკავებები და თავისუფლების აღკვეთა პირებისა, რომლებიც სარგებლობენ ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით; და ვ) საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების სიტუაციები.

ამასთანავე, ასეთ სიტუაციებშიც კი, დამატებითი საფუძვლები უნდა იყოს შესწავლილი, რათა დადგინდეს, რომ კონკრეტული პირი პირადი რისკის ქვეშაა.^{11,12} წამების საწინააღმდეგო ქვეკომიტეტი დამატებით განმარტავს, რომ მე-3 მუხლისათვის საჭიროა დადგინდეს, სახეზეა თუ არა „საკმარისი საფუძველი რწმენისათვის“, რომ არსებობს წამების რისკი, რომელიც არის „წინასწარმეტყველებადი, ნამდვილი და პერსონალური“.¹³ პერსონალური რისკის ინდიკატორები შეიძლება იყოს: განმცხადებლის ეთნიკური წარმომავლობა, პოლიტიკური აზრი, რელიგიური რწმენა და მისი საქმიანობა; წამების წარსული შემთხვევები ან სამართლო საკანში დაკავება ან დაკავების სხვა თვითნებური თუ უკანონო ფორმები წარმოშობის სახელმწიფოში.¹⁴ აღსანიშნავია, რომ საჭირო არ არის, ამ რისკმა დააკმაყოფილოს უფრო მაღალი სტანდარტები, როგორიცაა „მეტად სავარაუდო“ სტანდარტი („highly probable“ ან „highly likely to occur“).¹⁵

წამების საწინააღმდეგო კონვენციის მე-3 მუხლი უფრო ფართოა, ვიდრე ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციის 33-ე მუხლი, ორი მიზეზის გამო: პირველ რიგში, ის მოიცავს და ეხება ყველა პირს და არ არის მხოლოდ ლტოლვილის ან თავშესაფრის მაძიებლის სტატუსთან დაკავშირებული; მეორე მხრივ კი, ის არ მოიცავს ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის ანალოგს, რომელიც ადგენს გამონაკლისს გაუძევებლობის პრინციპიდან.¹⁶ ეს ორი მიზეზი ცხადყოფს, რომ ლტოლვილთა უფლებების დამცველი ნორმის ანალოგები ადამიანის უფლებათა სხვა დოკუმენტებში განზოგადებულია ყველა

10 CeAT, General Comment No. 4 (2017) on the implementation of Art. 3 of the Convention in the context of Art. 22, 43. [https://docs.un.org/en/CAT/C/GC/4].

11 იქსი ნიდერლანდის წინააღმდეგ (CeAT, X v. Netherlands), 3 იანვარი, 2020, მე-8.3 პუნქტი. [https://docs.un.org/en/CAT/C/68/D/863/2018].

12 A. Zimmermann, The 1951 Convention Relating to the Status of Refugees and its 1967 Protocol 2e (2nd Edition), Oxford, 2024, გვ. 1510 [https://doi.org/10.1093/law/9780192855114.003.0054].

13 ე.ა. შვეიცარიის წინააღმდეგ (E.A. v. Switzerland), 1997 წლის 10-21 ნოემბერი, მე-11.2 და მე-11.5 პუნქტი. [https://www.worldcourts.com/cat/eng/decisions/1997.11.10_EA_v_Switzerland.htm].

14 CeAT, General Comment No. 4 (2017) on the implementation of Art. 3 of the Convention in the context of Art. 22-ე, 45-ე პუნქტი. [https://docs.un.org/en/CAT/C/GC/4].

15 ე.ა. შვეიცარიის წინააღმდეგ (E.A. v. Switzerland), 1997 წლის 10-21 ნოემბერი, მე-11.3 პუნქტი. [https://www.worldcourts.com/cat/eng/decisions/1997.11.10_EA_v_Switzerland.htm].

16 აიემი შვეიცარიის წინააღმდეგ (Aemei v. Switzerland), UN Doc. 1997 წლის 29 მაისი, მე-9.8 პუნქტი. [https://docs.un.org/en/CAT/C/18/D/34/1995].

პირის მიმართ, მიუხედავად მათი სამართლებრივი სტატუსისა. ამ ყოველივეს მიუხედავად, აუცილებელია, განხილულ იქნეს, რომ წამების საწინააღმდეგო კონვენციის მე-3 მუხლი ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციის 33-ე მუხლთან შედარებით დაბალი დაცვის სტანდარტს ადგენს, რადგან კრძალავს მხოლოდ ისეთ ქმედებებს, რომელთა ზიანიც წამების თამასას უტოლდება და ასევე ამ ქმედებების განმეორებით აღმოჩენას მხოლოდ სახელმწიფოს.¹⁷

3.2. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ

წამების საწინააღმდეგო კონვენციასა და წამების საწინააღმდეგო ქვეკომიტეტთან ერთად, გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 და მე-7 მუხლების საფუძველზე, სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება, „არ გააძეონ, გადასცენ, მოახდინონ დეპორტირება ან ნებისმიერი სხვა გზით მოაშორონ პირი საკუთარი ტერიტორიიდან, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი იმის დასაჯერებლად (*substantial grounds for believing*), რომ არსებობს გამოუსწორებელი ზიანის რეალური რისკი, რომელიც გამოიწვევს ჩარევას სიცოცხლის უფლებებით ან წამებას და სხვა არაადამიანურ თუ დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს“.¹⁸ ამ მხრივ ადამიანის უფლებათა კომიტეტი ხაზს უსვამს პაქტიდან გამომდინარე ნეგატიურ ვალდებულებას, რომ, როდესაც სახელმწიფო პირს ძალის გამოყენებით აბრუნებს წარმოშობის სახელმწიფოში, ხსენებული რისკის უგულებელყოფით, ის თავად არღვევს პაქტს,¹⁹ რადგან ეს ქმედება არის გარდამტეხი ელემენტი იმ ქმედებათა ჯაჭვში, რომელმაც გამოიწვია წარმოშობის სახელმწიფოში პირის უფლებების დარღვევა.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ „რისკი უნდა იყოს პერსონალური და კმაყოფილებოდეს მაღალი თამასა, რომელიც გამოუსწორებელი ზიანის არსებობის რეალურ საფრთხეს დაადასტურებს“.²⁰ ასეთი რისკის არსებობის შეფასებისას კომიტეტი ყურადღებას აქცევს ყველა შესაბამის ფაქტსა და გარემოებას, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ზოგად სიტუაციას წარმოშობის ან დანიშნულების სახელმწიფოში²¹ გაძევების დროს.²²

17 ბ.ს. კანადის წინააღმდეგ (*B.S. v. Canada*), 2001 წლის 14 ნოემბერი, მე-7.4 პუნქტი. [<https://juris.ohchr.org/casedetails/178/en-US>].

18 ქ.ა. შვედეთის წინააღმდეგ (*Q.A. v. Sweden*), 2020 წლის 20 თებერვალი, მე-9.3 პუნქტი. [<https://docs.un.org/en/CCPR/C/127/D/3070/2017>].

19 კინდლერი კანადის წინააღმდეგ (*Kindler v. Canada*), 1993 წლის 11 ნოემბერი, მე-13.1 პუნქტი. [<https://docs.un.org/en/CCPR/C/48/D/470/1991>] არ არის დაცული ციტირების წესი.

20 ქ.ა. შვედეთის წინააღმდეგ (*Q.A. v. Sweden*), 2020 წლის 20 თებერვალი, მე-9.3 პუნქტი. [<https://docs.un.org/en/CCPR/C/127/D/3070/2017>].

21 ჰა დანიის წინააღმდეგ (*HA v. Denmark*), 2018 წლის 24 სექტემბერი, მე-9.2 პუნქტი. [<https://digitallibrary.un.org/record/816843?v=pdf>].

22 ალზერი შვედეთის წინააღმდეგ (*Alzery v. Sweden*), 2006 წლის 10 ნოემბერი, მე-11.3 პუნქტი. [<https://docs.un.org/en/CCPR/C/88/D/1416/2005>].

ადამიანის უფლებათა კომიტეტი ამ პრინციპებს ავრცელებს არა მხოლოდ გადაცემისა და ექსტრადიციის შემთხვევებზე,²³ არამედ უცხოელებზე, რომლებსაც არ აქვთ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში ყოფნის სამართლებრივი საფუძველი, ისევე როგორც უარყოფილი თავშესაფრის მაძიებლებზე.²⁴

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტში მოცემული გაუძევებლობის პრინციპის მოქმედების ჩარჩო უფრო ფართოა, ვიდრე ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლის მოქმედების ჩარჩო, რადგან ის ეხება ყველა ადამიანს და არა მხოლოდ ლტოლვილებს.²⁵ პაქტის მე-6 და მე-7 მუხლებით დაწესებული გაძევების აკრძალვა არის აბსოლუტური ბუნების და, შესაბამისად, მოქმედებს მაშინაც, როდესაც, ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციის თანახმად, დეპორტაცია გამართლებულად ჩაითვლება.²⁶

სახელმწიფოს ეს ნეგატიური ვალდებულება ასევე ასახულია ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში. თავშესაფრის უფლება, როგორც ასეთი, არ არის მოცემული ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში და არც მის დამატებით ოქმებში და სასამართლო საქმეები განხილვისას არ აფასებს სახელმწიფოების მხრიდან ჟენევის 1951 წლის ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციისა და ევროპის კავშირის სამართლის ნორმების დაცვას, თუმცა პირის დეპორტაციამ, ექსტრადიციამ ან ნებისმიერი სხვა გზით უცხოელის გაძევებამ სახელმწიფოდან შეიძლება გამოიწვიოს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა და წარმოიშვას შესაბამისი სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, თუ დადგინდება, რომ ეს პირი ამ სახელმწიფოში გაძევების შემთხვევაში დაექვემდებარება მე-3 მუხლით აკრძალულ ქმედებებს და მოპყრობას.²⁷ ასეთ შემთხვევებში, მე-3 მუხლში ნაგულისხმევია ვალდებულება, სახელმწიფომ ეს პირები არ გააძევოს ასეთ სახელმწიფოებში.²⁸

3.3. ძალადობის ზოგადი სიტუაციის ცნება ევროპული კონვენციის მიხედვით

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არაერთი საქმე განუხილავს, რომლებშიც უნდა შეეფასებინა, არსებობდა თუ არა საკმარისი საფუძველი რწმენისათვის, რომ კონკრეტულ პირს, დეპორტაციის შემთხვევაში, დაემუქრებოდა კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო ქცევა. სასამართლოს დიდი პალატის

23 *კინდლერი კანადის წინააღმდეგ (Kindler v. Canada)*, 1993 წლის 11 ნოემბერი, მე-15.3 და მე-16 პუნქტები. [<https://docs.un.org/en/CCPR/C/48/D/470/1991>].

24 *გ.ტ. ავსტრალიის წინააღმდეგ (G.T. v. Australia)*, 1997 წლის 4 დეკემბერი, მე-8.6 პუნქტი. [<https://www.refworld.org/jurisprudence/caselaw/hrc/1997/en/70703>].

25 G. S. Goodwin-Gill and J. McAdam, *The Refugee in International Law*, 4th ed., Oxford, 2021, 364.

26 A. Zimmermann, *The 1951 Convention Relating to the Status of Refugees and its 1967 Protocol 2e* (2nd Edition), Oxford, 2024, გვ. 1510. [<https://doi.org/10.1093/law/9780192855114.003.0054>].

27 *Guide on Article 3 of the European Convention on Human Rights Prohibition of torture*, 2025, 85. [<https://ks.echr.coe.int/>].

28 *ილიასი და აჰმედი უნგრეთის წინააღმდეგ (Ilias and Ahmed v. Hungary)*, 2019 წლის 21 ნოემბერი, 125-ე-126-ე პუნქტები. [<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-198760>].

შესაბამისი გადაწყვეტილებების მიხედვით, ამ რისკის შეფასება უნდა დაიწყო პირის კონკრეტულ სახელმწიფოში დეპორტაციის მოსალოდნელი შედეგების განხილვით, ამ სახელმწიფოში არსებული ზოგადი სიტუაციისა და აღნიშნული პირის მდგომარეობის ერთობლივი შეფასების კონტექსტში.²⁹ თუ ასეთი რისკის არსებობა დადასტურდება, პირის დეპორტაცია აუცილებლად ჩაითვლება მე-3 მუხლის დარღვევად, მიუხედავად იმისა, რისკი გამომდინარეობს ძალადობის ზოგადი სიტუაციიდან, პირის მდგომარეობიდან ან პირადი მახასიათებლებიდან, თუ ამ ორის ერთობლიობიდან.³⁰ ეს ნიშნავს, რომ რეალური რისკის არსებობის შეფასება უნდა მოხდეს შემდეგნაირად:

1. საქმის იდენტიფიცირება
 - 1.1. საქმე ეხება დეპორტაციას, ექსტრადიციას ან სხვა ფორმით დაბრუნებას.
2. საკმარისი საფუძველი რწმენისათვის
 - 2.1. სავარაუდოა, რომ გასაჩივრებული ქმედება აკრძალულია წამების აკრძალვის (კონვენციის მე-3 მუხლი) დაცული სფეროთი.
3. ძალადობის ზოგადი სიტუაციის ანალიზი
 - 3.1. მიმღები სახელმწიფოს ზოგადი უსაფრთხოების მდგომარეობა: შეიარაღებული კონფლიქტი, მასობრივი ძალადობა, სამოქალაქო მოსახლეობის დაუცველობა.
 - 3.2. ძალადობის მასშტაბები, სიხშირე და უკონტროლობა.
 - 3.3. სამართლებრივი დაცვის მექანიზმების არსებობა/არარსებობა.
 - 3.4. თუ ძალადობის დონე იმდენად მაღალია, რომ ნებისმიერი პირის დაბრუნება წარმოშობს რისკს, ინდივიდუალური გარემოებების დამატებითი დამტკიცება საჭირო არ არის დარღვევის დადგენისათვის.
4. ინდივიდუალური გარემოებების ანალიზი
 - 4.1. ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური კუთვნილება.
 - 4.2. წარსული დევნა ან საფრთხეები.
 - 4.3. პირადი ისტორია და კავშირი ძალადობის ეპიცენტრთან.
5. ერთობლივი შეფასება
 - 5.1. ძალადობის ზოგადი სიტუაცია + ინდივიდუალური გარემოებები = რეალური რისკის არსებობას.

29 ფ. გ. შვედეთის წინააღმდეგ (*F.G. v. Sweden*), 2016 წლის 23 მარტი, 110-ე-127-ე პუნქტები. [<https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-161829>]; ჯ. კ. და სხვები შვედეთის წინააღმდეგ (*J.K. and Others v. Sweden*), 2016 წლის 23 აგვისტო, 77-ე-105-ე პუნქტები. [<https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-165442>]; ხასანოვი და რახმანოვი რუსეთის წინააღმდეგ (*Khasanov and Rakhmanov v. Russia*), 2022 წლის 29 აპრილი, 93-ე-116-ე პუნქტები. [<https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-217061>].

30 იქვე, 95-ე პუნქტი.

5.2. როგორც აღინიშნა, ძალადობის სიტუაციის უკიდურეს შემთხვევებში შეიძლება დარღვევა დადგინდეს მხოლოდ ამ სიტუაციის არსებობის საფუძველზე.

6. დასკვნა

6.1. რეალური რისკის დადასტურების შემთხვევაში, დეპორტაცია ჩაითვლება მე-3 მუხლის დარღვევად.

6.2. რისკის არარსებობის შემთხვევაში, დარღვევა არ დადგინდება.

რეალური რისკის არსებობის შეფასება აუცილებლად უნდა იყოს მკაცრი. პრინციპულია, რომ შესაბამისმა პირმა უნდა წარმოადგინოს ის მტკიცებულება, რის მიხედვითაც უნდა დადგინდეს „რწმენისათვის საკმარისი საფუძვლის არსებობა“, რომ, თუ გასაჩივრებული ქმედება აღსრულდება, მას დაემუქრება კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო ქმედების რეალური საფრთხე.³¹ როდესაც ასეთი მტკიცებულება წარდგენილი იქნება, სახელმწიფოს ვალდებულება ეკისრება, გააქარწყლოს ამ მტკიცებულებით წამოჭრილი ეჭვები.³²

რეალური რისკის შეფასება უნდა დაიწყოს დეპორტაციის ქვეყანაში ზოგადი სიტუაციის შეფასებით. ამ მხრივ, პირველ რიგში, უნდა შეფასდეს ძალადობის ზოგადი სიტუაციის არსებობა.³³ მიუხედავად ყველაფრისა, ძალადობის ზოგადი სიტუაციის არსებობის დადგენა არ გამოიწვევს მე-3 მუხლის დარღვევას, თუ ამ ძალადობის ზოგადი სიტუაცია არ იქნება იმ ხარისხის, რაც საჭიროა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის დასადგენად. სასამართლო ასეთ მიდგომას იყენებს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში, როდესაც პირს არასათანადო მოპყრობის რეალური რისკი დაემუქრება, მხოლოდ იმიტომ, რომ ის დაუცველია ძალადობის წინაშე დაბრუნების სახელმწიფოში.³⁴ საქმეებში, რომლებიც ეხება დაბრუნების სახელმწიფოებს რთული უსაფრთხოების მდგომარეობებით, სასამართლო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დამატებით რისკფაქტორებს, როგორიცაა მოწყვლადი ჯგუფების წევრობა.³⁵

ინდივიდუალური ფაქტორები, როდესაც ცალკე განიხილება, შეიძლება არ იყოს საკმარისი რეალური რისკის არსებობისათვის, მაგრამ ზუსტად იგივე ფაქტორები გამოიწვევს რეალური რისკის დადგენას, როდესაც სახეზე გვექნება ძალადობის ზოგადი სიტუაცია, რაც ამას ინდივიდუალურ ფაქტორებთან ერთობლიობაში განიხილება.³⁶

31 ფ. გ. შვედეთის წინააღმდეგ (*F.G. v. Sweden*), 2016 წლის 23 მარტი, 113-ე პუნქტი. [<https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-161829>].

32 ხასანოვი და რახმანოვი რუსეთის წინააღმდეგ (*Khasanov and Rakhmanov v. Russia*), 2022 წლის 29 აპრილი, 109-ე პუნქტი. [<https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-217061>].

33 იქვე, 96-ე პუნქტი.

34 იქვე.

35 მ.დ. და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (*M.D. and Others v. Russia*), 2021 წლის 14 სექტემბერი, 104-ე-111-ე პუნქტები. [<https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-211791>].

36 ჯ.კ. და სხვები შვედეთის წინააღმდეგ (*J.K. and Others v. Sweden*), 2016 წლის 23 აგვისტო, 130-ე პუნქტი. [<https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-165442>].

3.4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

3.4.1. NA გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (NA v United Kingdom) (2008)

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

მოცემულ საქმეში მოსარჩელეა შრი-ლანკის მოქალაქე, ტამილის ეთნოსის წარმომადგენელი.³⁷ ის ფარულად შევიდა გაერთიანებულ სამეფოში 1999 წელს 17 აგვისტოს³⁸ და მომდევნო დღეს ხელისუფლებას მოსთხოვა თავშესაფარი იმ საფუძვლით, რომ შრი-ლანკაში მას ემუქრებოდა არაადამიანური მოპყრობა, როგორც შრი-ლანკის შეიარაღებული ძალების მხრიდან, ისე ტამილ ელამის გათავისუფლების ვეფხებისგანაც (LTTE).³⁹ იგი იხსენებდა, რომ შრი-ლანკის შეიარაღებულმა ძალებმა იგი დააკავეს და დააპატიმრეს ექვსჯერ 1990-1997 წლებში, LTTE-ისთან ასოცირების ეჭვების საფუძველზე. მას ასევე ეშინოდა LTTE-ის, მათთან მამამისის ურთიერთობის გამო, რომელიც თანამშრომლობდა შეიარაღებულ ძალებთან.

2002 წელს მას უარი უთხრეს თავშესაფრის მოთხოვნაზე. მისი აპელაცია განიხილეს 2003 წელს. აპელაციის მსაჯულმა აღიარა მისი მონათხრობის უტყუარობა და დაადგინა, რომ ერთ-ერთი ან რამდენიმე დაკავებისას მოსარჩელეს ეპყრობოდნენ არაადამიანურად და ფხეებზე ხელკეტით ცემის შედეგად დარჩენილი ჰქონდა იარები.⁴⁰ მიუხედავად ამისა, მსაჯულმა უარყო აპელაცია, რადგან შრი-ლანკაში მიღწეული იყო ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება შეიარაღებულ ძალებსა და LTTE-ის შორის, მის დაკავებებს არ მოყოლია ბრალდება და LTTE-ის მოქმედება მის წინააღმდეგ არაფრით დასტურდებოდა.⁴¹

გადანყვეტილება

პირველ რიგში, ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ძალადობის ზოგადი სიტუაციის დადგენა პირდაპირ არ გამოიწვევს მე-3 მუხლის დარღვევის დადგენას.⁴² ამ სტადიაზე სასამართლომ განიხილა თავისი წინარე პრაქტიკა, რის შედეგადაც დაადგინა, რომ სასამართლოს არასდროს გამოურიცხავს იმის შესაძლებლობა, რომ ძალადობის ზოგადი სიტუაცია დანიშნულების სახელმწიფოში იყოს ისეთი ინტენსივობის, რაც გამოიწვევს ნებისმიერი გაძევების შემთხვევაში მე-3 მუხლის დარღვევის დადგენას.

37 ნ. ა. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (NA v. The United Kingdom), 2008 წლის 6 აგვისტო, მე-7 პუნქტი. [<https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-87458>].

38 იქვე.

39 იქვე.

40 ნ. ა. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (NA v. The United Kingdom), 2008 წლის 6 აგვისტო, მე-8 პუნქტი. [<https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-87458>].

41 იქვე.

42 იქვე, 114-ე პუნქტი.

სასამართლო ამ მიდგომას იყენებს მხოლოდ ზოგადი ძალადობის სიტუაციის ექსტრემალურ შემთხვევებში, სადაც არაადამიანური მოპყრობის რეალური რისკი გამომდინარეობს მხოლოდ იქიდან, რომ პირი ამ ძალადობას უპირისპირდება დაბრუნებისას.⁴³

მოცემულ საქმეში სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ საქმეებში, რომლებშიც მოსარჩელე აპელირებს ფაქტზე, რომ ის არის ნევრი ჯგუფისა, რომელიც სისტემურად ხდება არაადამიანური მოპყრობის პრაქტიკის მსხვერპლი, მე-3 მუხლის დაცვა ამოქმედდება, როდესაც მოსარჩელე დაამტკიცებს, რომ არსებობს სერიოზული საფუძველი ასეთი პრაქტიკის არსებობისა.⁴⁴

სასამართლო შემდეგ აფასებს მის წინაშე წარდგენილ ობიექტურ ინფორმაციას შრი-ლანკაში სიტუაციის დასადგენად⁴⁵ და ამბობს, რომ დაბრუნებულების რეალური რისკის შეფასებისას ლეგიტიმურია კონკრეტული შემთხვევის განხილვის დაწყება რისკფაქტორების სიის საფუძველზე, როგორც ეს გააკეთა გაერთიანებული სამეფოს სახელმწიფო ორგანოებმა.⁴⁶

სასამართლომ დაადგინა, რომ მისთვის მიწოდებული და გამოკვლეული ინფორმაციიდან აშკარა იყო სისტემური წამება და არაადამიანური მოპყრობა შრი-ლანკის სამთავრობო ძალების მიერ ტამილის ეთნოსის წარმომადგენლებისა იმ წარმომადგენლების წინააღმდეგ, რომელთა მიმართაც მასთან კონტაქტის დამყარების მეშვეობით ცდილობდნენ LTTE-სთან ბრძოლას და მის დასუსტებას. გამომდინარე აქედან, მე-3 მუხლის დაცვა ამოქმედდება იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ შრი-ლანკის სამთავრობო ძალებს ექნებოდათ საკმარისი ინტერესი მოსარჩელის მიმართ, რაც გამოიწვევდა მის დაკავებას და დაკითხვას. სასამართლომ ასევე აღნიშნა დაკავებისა და დაკითხვის დამატებითი რისკი აეროპორტში, რადგან მოსარჩელეს აბრუნებდნენ კოლომბოში. მართალია, ზოგადი რისკი ტამილის ეთნოსის წარმომადგენლების მიმართ მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე LTTE-ის მხრიდან არ არსებობდა, პირებს მაინც შეეძლოთ, დაედგინათ რეალური რისკის არსებობა მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, თუ ისინი არიან ცნობილი ოპონენტები და LTTE მათ უყურებს როგორც მოლაღატეებს.⁴⁷

მოსარჩელის პირადი მდგომარეობიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ მის მიმართ არაადამიანური მოპყრობის რეალური რისკი არ არსებობდა LTTE-ის მხრიდან, თუ მას დააბრუნებდნენ კოლომბოში. შრი-ლანკის მთავრობიდან მომავალი რისკის შეფასებისას სასამართლომ სათანადოდ შეაფასა სახელმწიფოში უშიშროების მდგომარეობის გაუარესება, რამაც გამოიწვია ზრდა ძალადობაში. სასამართლომ ასევე გაითვალისწინა რისკფაქტორები, მათ შორის მოსარჩელის

43 იქვე, 115-ე პუნქტი.

44 იქვე, 116-ე პუნქტი.

45 იქვე, 118-ე პუნქტი.

46 იქვე, 129-ე პუნქტი.

47 იქვე, 137-ე პუნქტი.

იარები, ფაქტი, რომ ის არის 32 წლის მამაკაცი, მისი ექვსი დაკავება LTTE-ისთან თანამშრომლობის ეჭვების საფუძველზე და სხვ. საბოლოოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ ძალადობის ზოგადი სიტუაცია, მოსარჩელის პირად მდგომარეობასთან ერთად, იყო საკმარისი საფუძველი, რათა დადგენილიყო შრი-ლანკის მთავრობის ინტერესი, დაბრუნებისას დაეკავებინათ მოსარჩელე. ამ სიტუაციაში დაირღვეოდა კონვენციის მე-3 მუხლი, თუ მოსარჩელეს დააბრუნებდნენ შრი-ლანკაში.⁴⁸

მოსარჩელის პრეტენზია არ იყო დაფუძნებული პოლიტიკურ აქტივიზმზე ან სეპარატისტულ კავშირებზე, არამედ უკავშირდებოდა მხოლოდ მის ეთნოსს და შრი-ლანკაში არსებულ ძალადობის ზოგად სიტუაციასა და სახელმწიფოში არსებულ არაადამიანური მოპყრობის პრაქტიკას, რაც მას უქმნიდა მე-3 მუხლით აკრძალული ქმედებებისადმი მისი დაქვემდებარების რეალურ რისკს. აქედან გამომდინარე, მოცემული საქმე შეიძლება ჩაითვალოს ქვაკუთხედად ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, ძალადობის ზოგად სიტუაციასა და კონვენციის მე-3 მუხლის რეალური რისკის ცნებებს შორის ურთიერთობაში.

სასამართლომ შეაფასა მოსარჩელის პირადი მდგომარეობა და სწორედ ეს პირადი ელემენტები, შრი-ლანკაში ტამილელი ხალხის მიმართ მზარდი ეჭვების ფონზე, ქმნიდა ძალადობის ზოგად სიტუაციას, რამაც სასამართლო მიიყვანა რეალური რისკის არსებობის დადგენამდე.⁴⁹

გადაწყვეტილების უმნიშვნელოვანესი ასპექტია ზოგადი სიტუაციის მტკიცებულების განხილვის თავისებურება. სასამართლომ განიხილა და ინდივიდუალური რისკფაქტორების მნიშვნელოვან განსახილველ კონტექსტად ჩათვალა ადამიანის უფლებათა დარღვევების ანგარიშები, რაც წინააღმდეგობაშია სუფის და ელმის საქმესთან, რომლებშიც თავად სიტუაცია ჩაითვალა დარღვევის საფუძველად. სასამართლოს გადაწყვეტილება აქ განხილულ საქმეში ხაზს უსვამს, რომ ძალადობა არის მძიმე, თუმცა არა განურჩეველი, როგორც ეს იყო სუფის და ელმის საქმეში და, შესაბამისად, მოსარჩელეს სჭირდებოდა დაემტკიცებინა როგორც ძალადობის ზოგადი სიტუაციის არსებობა, ისე მისი დაუცველობა ამ ძალადობაში.⁵⁰

განხილული საქმე იძლევა შუალედს საქმის – სუფი და ელმი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Sufi and Elmi v. The United Kingdom*) – „ავტომატური რისკის“ დოქტრინასა და „ინდივიდუალური რისკის“ დოქტრინას შორის. მტკიცებულებები აშკარად მიუთითებდა შრი-ლანკაში სისტემურ დისკრიმინაციულ საპოლიციო პრაქტიკაზე ტამილის ეთნოსის წარმომადგენლების წინააღმდეგ, თუმცა სასამართლომ მაინც დატოვა პირადი კავშირის მოთხოვნა, რაც შეიძლება მიუთითებდეს სასამართლოს სიფრთხილეზე, ზედმეტად არ გაეგრძელებინა ავტომატური დაცვის თამასა ტოტალური სახელმწიფო კოლაფსისა და უკიდურესი შეიარაღებული კონფლიქტის მიღმა.

48 იქვე, 147-ე პუნქტი.

49 იქვე, 133-ე-137-ე პუნქტები.

50 იქვე, 115-ე-133-ე პუნქტები.

ამ საქმეში ჩამოყალიბებულ მიდგომას აქვს უარყოფითი და დადებითი ფაქტორები. ერთი მხრივ, ის სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას, განსხვავებულად მიუდგეს სხვადასხვა გარემოებას, თუმცა, მეორე მხრივ, რისკავს დაბრუნებული ხალხის არასათანადო დაცვას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ზოგად სიტუაციასა და რეალურ რისკს შორის ზღვარი არ არის აშკარა დისკრიმინაციული სახელმწიფო პრაქტიკის ფონზე. შედეგად, შეიძლება ხსენებული დისკრიმინაციული ეჭვებისა და დაკავებების ფონზე დაუცველი დარჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ინდივიდუალური რისკის თამასას, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არ არის პოლიტიკურად ან სხვაგვარად მნიშვნელოვანი და გამოჩენილი პიროვნება და სასამართლომ ჩათვალს, რომ სახელმწიფო ძალებს ამის გამო არ ექნებათ ინტერესი მის მიმართ, რაც არ შეესაბამება ლტოლვილთა დაცვის სტანდარტებს.⁵¹

3.5. სუფი და ელმი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Sufi and Elmi v. United Kingdom) (2011)

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

მოცემულ საქმეს საფუძვლად დაედო ორი სარჩელი, რომლებიც გაერთიანდა. მოსარჩელები: აბდისად ადოუ სუფი და აბდიაზიზ იბრაჰიმ ელმი სომალის მოქალაქეები არიან. მათი მტკიცებით, სომალიში დაბრუნების შემთხვევაში, მათ დაემუქრებოდათ კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების საწინააღმდეგო ქმედებებისადმი დაქვემდებარების რეალური საფრთხე. ისინი, ასევე, აცხადებდნენ, რომ დეპორტაცია არაპროპორციულად ჩაერეოდა კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ პირადი ცხოვრების უფლებაში.⁵²

სუფიმ (პირველი მოსარჩელე) გაერთიანებულ სამეფოში შეაღწია ფარულად 2003 წლის 20 სექტემბერს ყალბი სამგზავრო დოკუმენტების გამოყენებით და მან სამი დღის შემდეგ მოითხოვა თავშესაფარი. იგი ამტკიცებდა, რომ, როგორც ბენადირის ეთნიკური უმცირესობის რირ-ჰამარ-ის ქვეკლანის წევრი, იდენებოდა ჰავაიეს ძალების მიერ, რომლებმაც მოკლეს მისი მამა და მისი და, რის შედეგადაც დარჩა ცოცხალი, ნათესავების გარეშე, ხოლო თავად მძიმედ დაიჭრა.⁵³

2005 წლის 15 აპრილს სახელმწიფო მდივანმა უარყო სუფის განაცხადი, მის მიერ მოყოლილი ინფორმაცია ჩაითვალა არასანდოდ, რადგან ის 2003 წლამდე ცხოვრობდა სომალიში. ამ გადაწყვეტილების აპელაცია უარყო გაერთიანებული სამეფოს სასამართლომ, რომელმაც მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ასევე არასანდოდ ჩათვალა.⁵⁴

51 UNHCR, "Eligibility Guidelines for Assessing the International Protection Needs of Asylum-Seekers from Sri Lanka," 2009. [<https://www.refworld.org/policy/countrypos/unhcr/2009/en/66625>].

52 სუფი და ელმი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Sufi and Elmi v. The United Kingdom), 2011 წლის 28 ივნისი, 1-ელი პუნქტი. [<https://hudoc.echr.coe.int/eng/?i=001-105434>].

53 იქვე, მე-12 პუნქტი.

54 იქვე, მე-13 პუნქტი.

რამდენიმე მსჯავრდების შემდეგ, რომლებიც მოიცავდა მითვისებას, თაღლითობას, მკვლელობის მუქარასა და დანაშაულებს,⁵⁵ 2006 წლის 15 ივლისს სახელმწიფო მდივანმა გამოსცა ბრძანება სუფის დეპორტაციის შესახებ, რასაც საფუძვლად დაედო სუფის მიერ ჩადენილი დანაშაულების სიმძიმე და საზოგადოების უსაფრთხოების დაცვის მიზანი.⁵⁶ აპელაციაზე მან მიიღო უარი 2006 წლის 4 სექტემბერს და დეპორტაციის ბრძანებას ხელი მოეწერა 1 ნოემბერს.⁵⁷

სასამართლო გასაჩივრების მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს და 2007 წლის 27 თებერვალს ECtHR-მა მიიღო აღმკვეთი ღონისძიება, სასამართლოს წესების „ნესი 39“-ის მიხედვით, რითაც შეჩერდა სუფის დეპორტაციის პროცესი.⁵⁸

ელმის (მეორე მოსარჩელე) მამა მსახურობდა საიდ ბარეს რეჟიმის შეიარაღებული ძალების მაღალჩინოსნად და 1988 წელს ლონდონში სომალის საელჩოში დანიშნეს სამხედრო ატაშედ. სუფი კი მას შეუერთდა ამავე წლის ოქტომბერში.⁵⁹ 1989 წლის მარტში, მამამისის გარდაცვალების შემდეგ, მან მოითხოვა თავშესაფარი. მისი მტკიცებით, მამამისის თანამდებობა და სომალიში სამოქალაქო ომის დაწყება შექმნიდა მისთვის არაადამიანური მოპყრობის რეალურ რისკს.⁶⁰ 1994 წელს მას მიანიჭეს ლტოლვილის სტატუსი.⁶¹

1992 წელს ელმი მსჯავრდებულად ცნეს საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო. 1996 წელს მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლითა და ექვსი თვით მოპარული საქონლის გაყიდვის, თაღლითობის, ძარცვისა და იმიტაციური ცეცხლსასროლი იარაღის ტარების გამო. 2000 წელს მსჯავრდებულად ცნეს მართლმსაჯულების აღსრულების ხელის შეშლის, ძარცვისა და საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო. 2001 წელს ამას დაემატა სხვა ძარცვა. 2002 წელს კოკაინითა და ჰეროინით ვაჭრობა და საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა. 2004 წელს უკანონო შეღწევა უძრავ ქონებაში და ქურდობა.⁶²

2006 წლის 21 ივნისს სახელმწიფო მდივანმა დაიწყო დეპორტაციის პროცედურები,⁶³ რადგან ელმამ ვერ გააქარწყლა ეჭვი, რომ ის საზოგადოებისათვის საშიში იყო. მიუხედავად იმისა, რომ მისი ოჯახური კავშირები (დედა და სამი და) გაერთიანებულ სამეფოში აღიარა სახელმწიფო მდივანმა, მაინც ჩათვალა, რომ დეპორტაცია არ დაარღვევდა მის ოჯახური ცხოვრების უფლებას, როგორც ეს კონვენციის მე-8 მუხლშია მოცემული. დამატებით, რადგან ის იყო ისააქის კლანის, რომელიც უმრავლესობას წარმოადგენს სომალიში, წევრი, მდივანმა ჩათვა-

55 იქვე, მე-14 პუნქტი.

56 იქვე, მე-15 პუნქტი.

57 იქვე, მე-16 პუნქტი.

58 იქვე, მე-17 პუნქტი.

59 იქვე, მე-20 პუნქტი.

60 იქვე.

61 იქვე.

62 იქვე, 21-ე პუნქტი.

63 იქვე, 22-ე პუნქტი.

ლა, რომ მას შეეძლო კლანური დაცვის მიღება სომალიში და მისი დეპორტაცია არ დაარღვევდა არც კონვენციის მე-2 და არც მე-3 მუხლებს.⁶⁴

თავშესაფრისა და მიგრაციის ტრიბუნალმა უარყო მისი საჩივარი 2006 წლის 27 ოქტომბერს, იმ საფუძველით, რომ კლანის მფარველობით მას სომალის ნებისმიერ ნაწილში შეეძლო ცხოვრება. ტრიბუნალმა აღიარა, რომ სუფის ნარკოტიკზე დამოკიდებულების მხრივ ყოველგვარი დახმარების გარეშე იქნებოდა სომალიში, თუმცა ეს ვერ გადანონიდა დეპორტაციის საჯარო ლეგიტიმურ მიზანს.⁶⁵ 2007 წლის 8 იანვარს ხელი მოეწერა დეპორტაციის ბრძანებას. 24 მარტს ECtHR-მა გამოიყენა აღმკვეთი ღონისძიებები „ნესი 39“-ის მიხედვით და შეაჩერა სუფის დეპორტაციის პროცესი.⁶⁶

ელმიმ დანაშაულების ჩადენა განაგრძო ამ პროცედურების დაწყების შემდეგაც. 2008 წლის მარტში ის მსჯავრდებულად ცნეს ნარკოტიკების ფლობაში, მათი გასაღების მიზნით. 2010 წლის ივლისში კი ისევ იმავე ბრალდებით დააპატიმრეს.⁶⁷

გადანყვეტილება

მოცემულ საქმეში სასამართლოს უნდა დაედგინა, არის თუ არა სახეზე საკმარისი საფუძველი რწმენისათვის, რომ სომალიში დაბრუნების შემთხვევაში მოსარჩელებს დაემუქრებოდათ კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო ქმედებების რეალური რისკი. თუ ასეთი რისკი დადასტურდებოდა, მოსარჩელის გაძევება აუცილებლად ჩაითვლება მე-3 მუხლის დარღვევად.⁶⁸

სასამართლომ შემდეგი კრიტერიუმები გამოიყენა ძალადობის ზოგადი სიტუაციისა და სომალიში შეიარაღებული კონფლიქტის ინტენსივობის დონის დასადგენად:

- ა) იყენებდნენ თუ არა კონფლიქტის მხარეები ომის ისეთ მეთოდებსა და ტაქტიკებს, რაც ზრდიდა სამოქალაქო პირების დაზიანების რისკს ან პირდაპირ იღებდა სამოქალაქო მოსახლეობას მიზანში;
- ბ) იყო თუ არა ასეთი მეთოდებისა და ტაქტიკების გამოყენება ფართოდ გავრცელებული კონფლიქტის მხარეებს შორის;
- გ) საბრძოლო მოქმედებები იყო ლოკალიზებული თუ ფართომასშტაბიანი;
- დ) ბრძოლების შედეგად გარდაცვლილი, დაჭრილი და იძულებით გადაადგილებული სამოქალაქო პირების რაოდენობა.⁶⁹

სასამართლომ დედაქალაქ მოგადიშუსთან მიმართებით, სადაც მოსარჩელებს აბრუნებდნენ, გამოცემული ბრძანებების მიხედვით, დაადგინა, რომ ის იყო სამიზნე განურჩეველი დაბომბვებისა და სამხედრო თავდასხმებისა, გავრცელებული

64 იქვე, 23-ე პუნქტი.

65 იქვე, 24-ე პუნქტი.

66 იქვე, 25-ე პუნქტი.

67 იქვე, 26-ე პუნქტი.

68 იქვე, 241-ე პუნქტი.

69 იქვე, 248-ე პუნქტი.

ბული იყო სპონტანური და ფართომასშტაბიანი ძალადობა და შედეგად იყო დიდი რაოდენობით სამოქალაქო პირების დაღუპვისა და იძულებით გადაადგილების შემთხვევების ეპიცენტრი.⁷⁰ მართალია, სასამართლოს თქმით, მეზობელ ძალებთან კარგად დაკავშირებული პირი შეძლებდა დაცვის მიღებას, მაგრამ მხოლოდ უმაღლესი თანამდებობების პირებთან კავშირებით იყო შესაძლებელი ასეთი დაცვის მიღება და ადამიანი, ვინც სომალიში არ იმყოფებოდა დიდი ხნის განმავლობაში, დიდი ალბათობით, ვერ მიიღებდა მას.⁷¹ შესაბამისად, დადგინდა, რომ ძალადობა ქალაქში იყო ისეთი ინტენსივობის, რომ ყველა პირი, შესაძლოა, გარდა ძლიერ აქტორებთან კარგად დაკავშირებული პირებისა, იქნებოდნენ კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული არაადამიანური მოპყრობის რისკის ქვეშ.⁷²

მიუხედავად ყველაფრისა, კონვენციის მე-3 მუხლი არ ზღუდავს ხელშემკვრელი სახელმწიფოს საშუალებას, დაეყრდნოს შიდა გადაადგილების ალტერნატივას, იმ შემთხვევებში, როცა დაბრუნებულ პირს შეუძლია, იმოგზაუროს და დასახლდეს დანიშნულების სახელმწიფოს ისეთ რეგიონში, სადაც არ დაემუქრება არაადამიანური მოპყრობის რისკი. სასამართლო თვლის, რომ შესაძლებელია მოგადიშუს აეროპორტიდან სამხრეთ და ცენტრალური სომალის სხვა ნაწილებში გადაადგილება, თუმცა დაბრუნებულ პირებს, რომლებსაც დიდი ხნის განმავლობაში არ ჰქონიათ სომალიში ცხოვრების გამოცდილება, მაინც იქნებიან არაადამიანური მოპყრობის რისკის ქვეშ, თუ მათ გზად მოუწევდათ ისეთი რეგიონის გავლა, რომელიც კონტროლდება ალ-შაბაბის მიერ, ან მათი საცხოვრებელი რეგიონი იქნებოდა ამ ჯგუფის კონტროლის ქვეშ, რადგან მათ არ ეცოდინებათ და არ იქნებიან მიჩვეული მკაცრ ისლამურ წესებს, რომლებსაც ეს ჯგუფი მიჰყვება. ამ წესების დარღვევა, თუნდაც შემთხვევით, კი იწვევს ისეთ სასჯელებს, როგორებიცაა: ჩაქოლება, ამპუტაცია, გაროზგვა და სიკვდილით დასჯა.⁷³

სასამართლომ მიიჩნია, რომ პირებს, რომლებსაც არც ძლევამოსილი კავშირები აქვთ და არც უსაფრთხო ადგილებში გადასვლა შეუძლიათ, მოუწევთ იძულებით გადაადგილებული პირების ან ლტოლვილთა ბანაკებში თავის შეფარება, ამიტომ სასამართლომ შეაფასა ამ ბანაკების მდგომარეობა. ამ მხრივ სასამართლომ დაადგინა, რომ ბანაკებში არსებული მძიმე ჰუმანიტარული მდგომარეობა აღწევდა მე-3 მუხლის დარღვევის თამასას, რაც შეესაბამება *M.S.S. ბელგიისა და საბერძნეთის წინააღმდეგ (M.S.S. v. Belgium and Greece)* საქმის სტანდარტს, სადაც სასამართლომ მიგრანტთა ბანაკში მცხოვრები მოსარჩელის შესაძლებლობა, დააკმაყოფილოს თავისი ყველაზე ძირითადი მოთხოვნები, როგორებიცაა: საკვები, ჰიგიენა და თავშესაფარი; მოსარჩელის დაუცველობა არაადამიანური მოპყრობის წინააღმდეგ და სიტუაციის გაუმჯობესების შესაძლებლობა გონივრული ვადების

70 იქვე, 242-ე-248-ე პუნქტები.

71 იქვე, 249-ე პუნქტი.

72 იქვე, 250-ე პუნქტი.

73 იქვე, 265-ე-267-ე პუნქტები.

ფარგლებში მე-3 მუხლის დარღვევის დადგენის შეფასების კრიტერიუმებად განი-
საზღვრა.⁷⁴ მდგომარეობა მთავარ ბანაკებში, აფგუიეს დერეფანი (სომალიში) და
დადაბის ბანაკი (კენიაში), იყო იმდენად მძიმე, რომ მოპყრობამ მიაღწია მე-3 მუხ-
ლის თამასას. იძულებით გადაადგილებულ პირებს აფგუიეს დერეფანში წყალსა
და საკვებზე ძალიან შეზღუდული წვდომა ჰქონდათ და თავშესაფარიც ხდებოდა
პრობლემური, რადგან ადგილობრივი მებრძოლი მხედართმთავრები სიტუაციას
თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ დადაბის ბანაკში
ჰუმანიტარული დახმარება ხელმისაწვდომი იყო, ბანაკის გადასვლის გამო, თავ-
შესაფარზე, ჰიგიენასა და წყლისა და სანიტარულ დაწესებულებებზე წვდომა ასე-
ვე იყო ძალიან შეზღუდული. ორივე ბანაკის მაცხოვრებლები დაუცველები იყვნენ
ძალადობრივი დანაშაულების, ექსპლოატაციისა და ძალდატანებით ჯარში განვე-
ვის წინააღმდეგ. სასამართლომ დაადგინა, რომ ამ ბანაკებს ჰქონდათ გონივრულ
ვადაში სიტუაციის გამოსწორების ძალიან დაბალი შანსი. მეტიც, დადაბის ბანაკ-
ში მცხოვრები სომალის მოქალაქეები კენიის მთავრობის მხრიდანაც დეპორტაცი-
ის რისკის ქვეშ ცხოვრობდნენ.⁷⁵

რაც შეეხება მოსარჩელების პირად მდგომარეობას, პირველი მოსარჩელე იქ-
ნებოდა არაადამიანური მოპყრობის რეალური რისკის ქვეშ.⁷⁶ რადგან მისი ერთა-
დერთი ოჯახის წევრები ცხოვრობენ ქალაქში, რომელიც არის ალ-შაბაბის კონ-
ტროლის ქვეშ, და მან სომალი 2003 წელს დატოვა 16 წლის ასაკში, აქ გადასვლის
შემთხვევაშიც მას დაემუქრება არაადამიანური მოპყრობის რეალური რისკი ალ-
შაბაბის მხრიდან.⁷⁷ შედეგად, სავარაუდოა, რომ ის აღმოჩნდებოდა იძულებით
გადაადგილებული პირების ან ლტოლვილთა ბანაკში, სადაც პირობები იმდენად
მძიმეა, რომ აღწევს მე-3 მუხლის თამასას⁷⁸ და, ამასთან ერთად, პირველი მოსარ-
ჩელე, თავისი პირადი მდგომარეობიდან გამომდინარე, განსაკუთრებით დაუცვე-
ლი იქნება მისი ფსიქიატრიული დაავადების ფონზე.⁷⁹

სასამართლომ პირველი მოსარჩელის მიმართ დაადგინა, რომ მისი მოგადი-
შუში დაბრუნება დაარღვევდა მე-3 მუხლით დაცულ წამებისა და არაადამიანური
მოპყრობისაგან დაცვის უფლებას.⁸⁰

მეორე მოსარჩელე, მოგადიშუში დარჩენის შემთხვევაში, დაექვემდებარება
არაადამიანური მოპყრობის რეალურ რისკს, მიუხედავად იმისა, რომ ის უმრავ-
ლესობის წარმომადგენელი ისააქის კლანის წევრია.⁸¹ ასევე არ არსებობს მტკიცე-
ბულებები, რომ მას ოჯახის წევრები ჰყავს სამხრეთ და ცენტრალურ სომალიში,

74 იქვე, 267-ე პუნქტი.

75 იქვე, 291-ე პუნქტი.

76 იქვე, 301-ე პუნქტი.

77 იქვე, 302-ე პუნქტი.

78 იქვე, 303-ე-304-ე პუნქტები.

79 იქვე, 292-ე პუნქტი.

80 იქვე, 304-ე პუნქტი.

81 იქვე, 309-ე პუნქტი.

და რომც ჰქონდეს ოჯახური კავშირები, მან სომალი 1988 წელს დატოვა, როცა 19 წლის იყო და არ აქვს ალ-შაბაბის რეჟიმის მმართველობის ქვეშ ცხოვრების გამოცდილება და, შესაბამისად, დაემუქრება არაადამიანური მოპყრობის რეალური რისკი, თუ დასახლდება ამ ჯგუფის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე;⁸² პირველი მოსარჩელის ანალოგიურად, მეორე მოსარჩელეც თუ აღმოჩნდება იძულებით გადაადგილებული პირების ან ლტოლვილთა ბანაკში, ისიც გახდება კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მსხვერპლი.^{83,84}

სასამართლომ მეორე მოსარჩელის მიმართაც დაადგინა, რომ მისი მოგადიშუში დაბრუნება დაარღვევდა მე-3 მუხლით დაცულ წამებისა და არაადამიანური მოპყრობისაგან დაცვის უფლებას.⁸⁵

დოქტრინული გადმოსახედიდან ეს საქმე, წინა საქმისგან კონტრასტში, ხაზს უსვამს ძალადობის ზოგადი სიტუაციის ცნების ევოლუციურ გამოყენებას, მე-3 მუხლიდან გამომდინარე. სომალიში კონფლიქტის სიმძიმე ქმნიდა ავტომატურ რეალურ რისკს, ხოლო შრი-ლანკის შემთხვევაში ძალადობა შეზღუდული იყო როგორც გეოგრაფიული, ასევე დროის თვალსაზრისით, რაც არ იწვევდა ავტომატურ რეალურ რისკს.

3.6. ლიუ პოლონეთის წინააღმდეგ (*Liu v. Poland*) (2023)

ფაქტები

ეს საქმე მნიშვნელოვანი პრეცედენტია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, ისეთ სახელმწიფოში დეპორტაციის კონტექსტში, სადაც დოკუმენტირებულია არაადამიანური მოპყრობის პრაქტიკა. დარღვევის საფუძვლებია საპატიმროებსა და ციხეებში არსებული მდგომარეობა და ფართოდ გამოიყენება წამება.

მოსარჩელე არის ტაივანის მოქალაქე, რომელიც დააკავეს პოლონეთში 2017 წლის აგვისტოში, ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნის შედეგად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის (PRC) მოთხოვნის საფუძველზე.⁸⁶ მას ბრალად ედებოდა საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების თაღლითური სინდიკატის ხელმძღვანელის მოადგილეობა და თაღლითობის საქმეებში იყო ბრალდებული ჩინეთში.⁸⁷ 2017 წლის სექტემბერში ჩინეთმა მოითხოვა ლიუს ექსტრადიცია,⁸⁸ ვარშავის რეგიონულმა სასამართლომ 2018 წლის თებერვალში დაადგინა, რომ ექსტრადიცია შე-

82 იქვე, 310-ე პუნქტი.

83 იქვე.

84 იქვე, 311-ე პუნქტი.

85 იქვე, 312-ე პუნქტი.

86 ლიუ პოლონეთის წინააღმდეგ (*Liu v. Poland*), 2023 წლის 30 იანვარი, მე-7 პუნქტი. [<https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-219786>].

87 იქვე, მე-6 პუნქტი.

88 იქვე, მე-8 პუნქტი.

ესაბამებოდა პოლონურ სამართალს.⁸⁹ სასამართლო დაეყრდნო ჩინეთის საჯარო უშიშროების სამინისტროს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, რომელიც ირწმუნებოდა, რომ ლიუს განათავსებდნენ ბოლოუს დაკავების ცენტრში, ისეთ პირობებში, სადაც პატივცემული იქნებოდა მისი უფლებები. დაკავების ცენტრს ზედამხედველობდნენ პროკურორები და ასეთი დანესებულები ღია იყო საჯარო ვიზიტებისთვის, მათ შორის ჟურნალისტებისთვისაც.⁹⁰

2018 წლის ივლისში ვარშავის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა აღნიშნული გადაწყვეტილება.⁹¹ სასამართლომ უარყო მოსარჩელის მიერ მიწოდებული საერთაშორისო ანგარიშები, რომლებიც ამტკიცებდნენ ჩინეთში გავრცელებულ წამების პრაქტიკას. სასამართლომ მიიჩნია, რომ ანგარიშები აღწერდა ზოგად სიტუაციას და ეს არ ნიშნავდა, რომ ყველა დაკავებული და, კონკრეტულად, მოსარჩელე დაექვემდებარებოდა აკრძალულ მოპყრობას.⁹² სასამართლომ ასევე უარყო, რომ მოსარჩელის ტაივანური წარმოშობა არ იყო მოქმედი ფაქტორი.⁹³ მოსარჩელემ შედეგად მოითხოვა აღმკვეთი ღონისძიება, რაც ECtHR-მა მიიღო 2018 წლის სექტემბერში და შეაჩერა ექსტრადიციის პროცედურა.⁹⁴

ექსტრადიციის პროცედურების პარალელურად, მოსარჩელემ პოლონეთში მოითხოვა თავშესაფარი, რაზეც უარი ეთქვა 2018 წლის აგვისტოში, გასაჩივრების შესაძლებლობის გარეშე.⁹⁵

გადაწყვეტილება

მოსარჩელე დავობდა, რომ მისი ექსტრადიცია ჩინეთში დაარღვევდა კონვენციის მე-3 მუხლს, რადგან მას ჩინეთში ემუქრებოდა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის რეალური რისკი, ეფექტური დამოუკიდებელი მონიტორინგის სისტემის არარსებობისა და მისი ტაივანური წარმომავლობის გამო.⁹⁶ ის აკრიტიკებდა პოლონეთის სასამართლოებს გაეროს წამების აკრძალვის ქვეკომიტეტის, Amnesty International-ის, Human Rights Watch-ისა და Freedom House-ის ანგარიშების უგულებელყოფის გამო, რომლებიც ადასტურებდნენ ჩინეთში სისტემური წამების პრაქტიკის არსებობასა და დაკავებულთა გარდაცვალების შემთხვევებს.⁹⁷ მან ასევე განაცხადა, რომ პოლონეთს არ მოუთხოვია დიპლომატიური გარანტიები ჩინეთისაგან, თუმცა გადაწყვეტილებების მიღებისას დაეყრდნო მხოლოდ არაფორმალურ გარანტიებს.⁹⁸

89 იქვე, მე-10 პუნქტი.

90 იქვე, მე-9 პუნქტი.

91 იქვე, მე-11 პუნქტი.

92 იქვე.

93 იქვე.

94 იქვე, მე-14 პუნქტი.

95 იქვე, მე-18 პუნქტი.

96 იქვე, 57-ე პუნქტი.

97 იქვე, 34-ე-44-ე პუნქტები.

98 იქვე, მე-60 პუნქტი.

სასამართლომ დაადგინა, რომ პოლონეთის სასამართლოების მიერ მოსარჩელის სიტუაციის შეფასება იყო ზედაპირული.⁹⁹ მათ არ განიხილეს უფრო ახალი და სანდო წყაროები, როგორიცაა CAeT-ის უახლესი ანგარიშები, რომლებიც მარტივად ხელმისაწვდომია.¹⁰⁰

სასამართლომ დაადგინა, რომ ჩინეთის დაკავების ცენტრებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შემთხვევები სანდოდ და თანმიმდევრულად იყო გამოცემული საერთაშორისო ანგარიშებში.¹⁰¹ ჩინეთის მთავრობა შეზღუდულად თანამშრომლობს გაეროს ადამიანის უფლებათა მექანიზმებთან, უარს აცხადებს ICCPR-ის რატიფიცირებაზე, არ აღიარებს CAeT-ის საგანგებო ზომებს და უარს აცხადებს წამების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის დაშვებაზე სახელმწიფოში, რაც აკნინებს ჩინეთის მიერ გაცემული გარანტიების სანდოობას.¹⁰² დამატებით, პოლონეთისათვის შეთავაზებული გარანტიების არაფორმალური ბუნება, დამოუკიდებელი მონიტორინგის მექანიზმების არარსებობა და ბოლუოს დაკავების ცენტრის პირობების შესახებ სპეციფიკური მტკიცებულებების არარსებობა არ არის საკმარისი არაადამიანური მოპყრობის რეალური რისკის გასაქარწყლებლად.¹⁰³ მოცემულ კონტექსტში სასამართლომ ჩინეთის დაკავების ცენტრებში არსებული სიტუაცია გაუთანაბრა ძალადობის ზოგად სიტუაციას, კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე, და მოსარჩელე ინდივიდუალური რისკის მტკიცების ტვირთისაგან გაათავისუფლა.¹⁰⁴ სასამართლომ დაადგინა, რომ ექსტრადიცია დაარღვევდა კონვენციის მე-3 მუხლს.¹⁰⁵

განხილული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი განვითარებაა, როგორც მე-3 მუხლის გამოყენების დოქტრინისათვის, ასევე ევროპის საბჭოს სისტემაში ექსტრადიციის საკითხებში ადამიანის უფლებათა პრაქტიკული გამოყენებისათვის. მისი მნიშვნელობა გამომდინარეობს სამი ურთიერთდაკავშირებული ასპექტისაგან: 1. მისი მიდგომა სისტემური არაადამიანური მოპყრობისადმი; 2. მისი მიდგომა გარანტიებისადმი და 3. მის მიერ დაკავების პირობების სტანდარტების დადგენაში ექსტრადიციის პროცესებისათვის.

სასამართლოს მიდგომა, მოექცეს ჩინეთის დაკავების ცენტრებში არსებულ ვითარებას როგორც ძალადობის ზოგად სიტუაციას, არის იმ მსჯელობის გაფართოება, რომელსაც ადრე იყენებდნენ მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში, როგორც ეს სუფისა და ელმის საქმეშია წარმოდგენილი.¹⁰⁶ ეს არის იმ იმ-

⁹⁹ იქვე, 69-ე პუნქტი.

¹⁰⁰ იქვე, 69-ე-70-ე პუნქტები.

¹⁰¹ იქვე, 78-ე-მე-80 პუნქტები.

¹⁰² იქვე, 75-ე-77-ე პუნქტები.

¹⁰³ იქვე, 81-ე-82-ე პუნქტები.

¹⁰⁴ იქვე, 83-ე პუნქტი.

¹⁰⁵ იქვე, 84-ე პუნქტი.

¹⁰⁶ სუფი და ელმი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, (*Sufi and Elmi v. The United Kingdom*), 2011 წლის 28 ივნისი, 218-ე პუნქტი. [<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-105434>].

ვითა საქმეებს შორის, სადაც ეს თამასა მიღწეულად ჩაითვალა არაკონფლიქტურ სიტუაციაში. გადაწყვეტილება ადგენს, რომ სისტემურ წამებას, თუ ის დამაჯერებლად და თანმიმდევრულად არის დოკუმენტირებული, შეუძლია, შექმნას ისეთი რისკი, სადაც პირის უბრალოდ მოხვედრაც არღვევს კონვენციის მე-3 მუხლს.¹⁰⁷

დიპლომატიურ გარანტიებთან მიმართებით, სასამართლო ამყარებს წარსულ სტანდარტს. არაფორმალური გარანტიების უარყოფა იმეორებს საქმის – *ოტმანი (აბუ-კატადა) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Othman (Abu Qatada v. The United Kingdom))* – სტანდარტს, სადაც გარანტიები საკმარისად ჩაითვალა მხოლოდ მკაცრი განხილვის, სანდოობის დადასტურებისა და ზედამხედველობის პროცედურებზე შეთანხმების შემდეგ.¹⁰⁸ საქმეში – *ლიუ პოლონეთის წინააღმდეგ (Liu v. Poland)* – სასამართლომ ხაზი გაუსვა არასაკმარის მტკიცებულებებს, ჩინეთში დაკავების ცენტრების საერთაშორისო დამკვირვებლებისათვის დახურულობას და ჩინეთის გაეროს ორგანოებთან თანამშრომლობის უარყოფას, რის შედეგადაც დაადგინა, რომ გარანტიები იყო არასაკმარისი აკრძალული მოპყრობის რისკების გასაქარწყლებლად.¹⁰⁹ ეს მიდგომა ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ატყობინებს, რომ ბუნდოვან და დაუდასტურებელ გარანტიებზე დაყრდნობა არ იქნება საკმარისი დარღვევის თავიდან ასაცილებლად, როდესაც არსებობს ამ კონკრეტულ სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა სისტემური დარღვევების მტკიცებულებები.

განხილული გადაწყვეტილება ამტკიცებს, რომ მე-3 მუხლის დაცვითი ფუნქცია არის აბსოლუტური, მაშინაც კი, როცა მოსარჩელე ბრალდებულია მძიმე ტრანსნაციონალურ დანაშაულში. წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა მოქმედებს უცვლელად, ექსტრადიციის კანონიერების საზომად.¹¹⁰

4. განხილული საქმეების შედარებითი ანალიზი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა გაძევებისა და ექსტრადიციის მიმართ ვითარდება. საქმეების – *NA გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (NA v. United Kingdom)*, *სუფი და ელმი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Sufi and Elmi v. United Kingdom)* და *ლიუ პოლონეთის წინააღმდეგ (Liu v. Poland)* – ერთად განხილვისას სააშკარაოზე გამოდის სასამართლოს პრაქტიკის ევოლუცია ადრინდელი მეტად ინდივიდუალური განხილვის მიდგომიდან (სადაც მხოლოდ განსაკუთრებულ სიტუაციებში აღიარებდნენ სისტემურ არაადამიანურ

107 *ლიუ პოლონეთის წინააღმდეგ (Liu v. Poland)*, 2023 წლის 30 იანვარი, 83-ე პუნქტი. [<https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-219786>].

108 *ოტმანი (აბუ-კატადა) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Othman (Abu Qatada v. The United Kingdom))*, 2012 წლის 9 მაისი, 187-ე-189-ე პუნქტები. [<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-108629>].

109 *ლიუ პოლონეთის წინააღმდეგ (Liu v. Poland)*, 2023 წლის 30 იანვარი, 81-ე-82-ე პუნქტები. [<https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-219786>].

110 *ჩაჰალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Chahal v. The United Kingdom)*, 1996 წლის 17 ნოემბერი, 79-ე პუნქტი. [<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-58004>].

მოპყრობას, როგორც უტყუარ ზღვარს გაძევების აკრძალვისთვის) თანამედროვე ზოგადი სიტუაციის შეფასების მიდგომისკენ.

საქმეში – *NA გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (NA v. United Kingdom)* – სასამართლომ არ მიიღო შრი-ლანკაში დეპორტაციების ბლანკეტური აკრძალვა, არამედ მან შეაფასა ინდივიდუალური რისკფაქტორები, როგორებიცაა: მოსარჩელის ეროვნება, წინა დაკავებები და დაპირისპირება შესაბამის რეგიონში.¹¹¹ მიუხედავად იმისა, რომ შრი-ლანკა იყო სერიოზული საფრთხის წყარო მოსარჩელისთვის ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით, სასამართლოს მეთოდოლოგია იყო ნაკლებად კატეგორიული. მან მე-3 მუხლი გამოიყენა მხოლოდ იქ, სადაც რეალური რისკი შეაფასა ცვალებადი სიტუაციის კონტექსტში, მხოლოდ კონკრეტული პირის მახასიათებლებიდან გამომდინარე.¹¹² ეს მიდგომა მოითხოვს შეფასებას ორ ეტაპად: 1. ზოგადი სიტუაციის დადგენა; და 2. პირის ინდივიდუალური მდგომარეობის შეფასება, რასაც შეუძლია, ზოგადი საფრთხე გადააქციოს რეალურ რისკად, მხოლოდ კონკრეტული ინდივიდისათვის.¹¹³

სუფის და ელმის საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ ძალადობის დონე იმდენად მაღალი იყო, ნებისმიერი სამოქალაქო პირი მოგადიშუში დაბრუნების შემთხვევაში დაექვემდებარებოდა მე-3 მუხლით აკრძალული ქმედების რეალურ რისკს, თუ სახელმწიფო სააშკარაოზე გამოიტანდა სპეციალურ დაცვას ან გადაადგილების ალტერნატივას, რაც ამ რისკს გაანეიტრალებდა.¹¹⁴ ევროპულმა სასამართლომ ამ გადაწყვეტილებაში არ უარყო ინდივიდუალურობის ტესტი, არამედ აღიარა, რომ საფრთხე და ინტენსივობა პრაქტიკულად თანდაყოლილად აკმაყოფილებდა ინდივიდუალური რისკის მოთხოვნას. ამ საქმეში შესაბამისად დასტურდება, რომ არსებობს ზოგადი ძალადობის ისეთი თამასა, რაც ფოკუსს ცვლის ვიწრო ბიოგრაფიული ფაქტორებისგან უფრო ზოგადი, კონფლიქტის გეოპოლიტიკური ფაქტორებისაკენ და ადამიანის უფლებათა მდგომარეობისაკენ. გამომდინარე აქედან, კონკრეტული ადამიანის კონკრეტულ სახელმწიფოში გაძევებით ირღვევა თუ არა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი, სწორედ ამ ზოგადი ფაქტორებიდან გამომდინარე წყდება.¹¹⁵

ათნლელის შემდეგ გადაწყვეტილებამ საქმეზე – *ლიუ პოლონეთის წინააღმდეგ (Liu v. Poland)* – დაადგინა, რომ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შემთხვევების სანდო და თანმიმდევრული გადმოცემა, სანდო დამოუკიდებელი სამეთვალყურეო მექანიზმების არარსებობისა და მხოლოდ არაფორმალური გარანტიების გამოყენებასთან კომბინაციაში, სახელმწიფოში წამებისა და არაადა-

111 ნ. ა. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*NA v. The United Kingdom*), 2008 წლის 6 აგვისტო, 115-ე-44-ე პუნქტები. [https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-87458].

112 იქვე, 125-ე-134-ე პუნქტები.

113 იქვე, 109-ე-146-ე პუნქტები.

114 სუფი და ელმი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, (*Sufi and Elmi v. The United Kingdom*), 2011 წლის 28 ივნისი, 218-ე, 241-ე-250-ე, 282-ე პუნქტები. [https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-105434].

115 იქვე, 248-ე-252-ე, 280-ე-282-ე პუნქტები.

მიანური მოპყრობის ფართო პრაქტიკას ათანაბრებს ძალადობის ზოგად სიტუაციასთან, მე-3 მუხლის დარღვევის დადგენის მიზნებისთვის.¹¹⁶

ევროპული სასამართლო არასწორად მიიჩნევს ეროვნული სასამართლოების მიერ წყაროების ზედაპირულ შეფასებას და მათი, როგორც „უბრალოდ განზოგადებული“ ფაქტორის, უგულებელყოფას, როდესაც სწორედ მათი განზოგადებულობა არის მნიშვნელოვანი გადამწყვეტი ფაქტორი.¹¹⁷

საბოლოო ჯამში, ეს საქმეები ერთად ქმნიან სპექტრს, რომლის ერთ ბოლოს არის ინდივიდუალური რისკი, დაფუძნებული პიროვნულ მახასიათებლებზე და, მეორე, ბოლოს, სისტემური და ზოგადი საფრთხე, ანუ „ძალადობის ზოგადი სიტუაცია“, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს როგორც კონფლიქტისაგან, ისე სისტემური არაადამიანური მოპყრობის პრაქტიკიდან. ხსენებულ სპექტრზე ასევე არსებობს გარანტიების დასაშვებად ცნობის სტანდარტი, რომელსაც სასამართლო საკმარისად მიიჩნევს მხოლოდ მკაცრი ხარისხობრივი შეფასების შემდეგ, რითაც უზრუნველყოფს, რომ გაძევებისა და ექსტრადიციის გადამწყვეტილებები შეესაბამებოდეს დაკავების ცენტრებსა და ქუჩებში არსებულ რეალურ სიტუაციას, და არა უბრალოდ ფურცელზე დანერილ დაპირებებს.¹¹⁸

5. ქართული კანონმდებლობის გამოწვევები

2025 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი საერთაშორისო დაცვის შესახებ.¹¹⁹ პარლამენტში და მის მიღმა გაჟღერებული ოფიციალური განცხადებები ცვლილებებს წარმოადგენდა როგორც თავშესაფრის სისტემის მოდერნიზებას, „არალეგალურ მიგრაციასთან“ ბრძოლას და თავშესაფრის პროცედურების არაკეთილსინდისიერი გამოყენების პრევენციას.¹²⁰ მართალია, სახელმწიფოს ინტერესია, დაიცვას საჯარო წესრიგი და უზრუნველყოს პროცედურების ეფექტიანობა, თუმცა საკანონმდებლო ცვლილებები გვიჩვენებს გადახვევას თავშესაფრის ძირითადი ჰუმანიტარული ფუნქციიდან, რაც საფრთხეს უქმნის საქართველოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

როგორც ლტოლვილთა საკითხებში გაეროს უმაღლესი კომისრის დოკუმენტი საერთაშორისო დაცვის შესახებ ადგენს, როცა ცენტრალურ მიზნებად აღიარებუ-

116 *ლიუ პოლონეთის წინააღმდეგ (Liu v. Poland)* 2023 წლის 30 იანვარი, 74-ე-84-ე, 81-ე-82-ე პუნქტები. [<https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-219786>]

117 იქვე, 69-ე-70-ე, 94-ე, 112-ე-113-ე პუნქტები.

118 *ლიუ პოლონეთის წინააღმდეგ (Liu v. Poland)* 2023 წლის 30 იანვარი, 78-ე-84-ე პუნქტები. [<https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-219786>]; *ხასანოვი და რახმანოვი რუსეთის წინააღმდეგ (Khasanov and Rakhmanov v. Russia)*, 2022 წლის 29 აპრილი, 152-171. [<https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-217061>].

119 [parliament.ge](https://parliament.ge/media/news/parlamentma-saertashoriso-datsvis-shesakheb-kanoni-miigho) [<https://parliament.ge/media/news/parlamentma-saertashoriso-datsvis-shesakheb-kanoni-miigho>].

120 იქვე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის განცხადება.

ლია შეკავება და კონტროლი, კანონი ეწინააღმდეგება პრინციპს, რომ საერთაშორისო დაცვა არის ჰუმანიტარული გარანტია, რომელიც მოქმედებს დევნის ან სხვა სერიოზული რისკის არსებობის პირობებში.¹²¹

როგორც ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გაირკვა, თავშესაფართან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება უნდა იწყებოდეს თავშესაფრის მაძიებლის წარმოშობის სახელმწიფოს ზოგადი სიტუაციის შეფასებით, რასაც უნდა მოჰყვეს ინდივიდუალური რისკის ანალიზი. ახალი ქართული კანონი კი უპირატესობას ანიჭებს საზღვრების კონტროლს, რაც იწვევს ეჭვს, რომ თავშესაფრის მაძიებლებს მოეპყრობიან როგორც საფრთხეს და არა უფლების მქონე პირებს.

მეორე საყურადღებო ცვლილება ეხება პროცედურებს. კანონმა შემოიღო დაჩქარებული თავშესაფრის პროცედურები იმ პირებისათვის, რომელთა პრეტენზიაც არის აშკარად დაუსაბუთებელი ან სახელმწიფოში შემოვიდნენ წინასწარი თანხმობის გარეშე, რაც მკვეთრად ამცირებს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადებს და ზღუდავს წევრობას სამართლებრივ წარმომადგენლობაზე. როგორც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა¹²², როდესაც საქმე ეხება სახელმწიფოს, სადაც დოკუმენტირებულია არაადამიანური მოპყრობის რისკები, პროცედურული საკითხები უნდა იყოს გამარტივებული და არა დავინრობებული, რათა პირს ჰქონდეს რეალური საშუალება, სათანადოდ განიხილოს მისი შემთხვევა.¹²³ საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები ამის სანიაღმრედგოს ადგენს და ქმნის თავშესაფრის მოთხოვნის ზედპირული (არასრულყოფილი) განხილვების საფრთხეს.

კანონი ასევე იძლევა საერთაშორისო დაცვის მიღების სურვილის მქონე პირების განცხადებების სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებშივე განხილვის საშუალებას, რაც სასაზღვრო ძალებს აძლევს უფლებას, უარი განუცხადონ მსურველ პირს სახელმწიფოში შესვლაზე, თუ ჩათვლიან, რომ იგი იწვევს საფრთხეს. თავშესაფრის მაძიებლების განცხადებაზე საზღვრიდანვე უარის თქმის ნებადართვით საქართველოს კანონმდებლობა ეწინააღმდეგება ევროპული სასამართლოს ზემოთ განხილულ საქმეებში ჩამოყალიბებულ შეფასების პირობებსა და კრიტერიუმებს. აქედან გამომდინარე, ჩნდება რისკი, რომ არ შეფასდება არც ზოგადი და არც ინდივიდუალური რისკფაქტორები, რაც, თავის მხრივ, ძირს უთხრის გაუძევებლობის პრინციპს.¹²⁴

როდესაც კანონი ფასდება ზემოთ განხილულ საქმეებთან შედარებით, საკანონმდებლო ცვლილებები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს

121 UNHCR, "Note on International Protection" (A/AC.96/830), მე-5 პუნქტი. [<https://www.refworld.org/policy/unhcrnotes/unhcr/1994/en/39142>].

122 *ლიუ პოლონეთის წინააღმდეგ (Liu v. Poland)*, 2023 წლის 30 იანვარი, 81-ე-83-ე პუნქტები. [<https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-219786>].

123 იქვე.

124 *სუფი და ელმი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, (Sufi and Elmi v. The United Kingdom)*, 2011 წლის 28 ივნისი, 218-ე პუნქტი. [<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-105434>].

იურისპრუდენციასთან დაპირისპირებულად წარმოჩნდება. ის უპირატესობას ანიჭებს დეპორტაციას, ნაცვლად თავშესაფრის ჰუმანიტარული ბუნებით სარგებლობისა, აჩქარებს პროცესებს, სადაც საჭიროა სიფრთხილე და ღრმა შეფასება და ქმნის კოლექტიური გაძევების მექანიზმს. მიღებული კანონი არსებული ფორმით საფრთხეს ქმნის, რომ ქართული თავშესაფრის სისტემა გადაიქცეს არა დევნასთან ბრძოლის მექანიზმად, არამედ გაძევების ინსტრუმენტად, რაც, გარდა ადამიანის უფლებების შელახვისა, ზიანს აყენებს თავად საქართველოს სახელმწიფოსაც, აზიანებს მის საერთაშორისო იმიჯს, როგორც სახელმწიფოსი, რომელიც მიმართულია ადამიანის უფლებათა დაცვისაკენ და ქმნის საერთაშორისო პასუხისმგებლობის დადგენის საფრთხეს.

6. დასკვნა

ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ არსებული სამართლებრივი რეჟიმი ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებში მოცემულ დაცვით სტანდარტებს. კერძოდ, საქართველო ვერ აკმაყოფილებს საქმეში – *NA გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (NA v. The United Kingdom)* – ჩამოყალიბებულ ორეტაპიან ტესტს, უგულვებელყოფს საქმეზე – *სუფი და ელმი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Sufi and Elmi v. United Kingdom)* – ჩამოყალიბებულ სისტემური და განზოგადებული რისკის არსებობის შესაძლებლობას და არ უზრუნველყოფს საქმეში – *ლიუ პოლონეთის წინააღმდეგ (Liu v. Poland)* – ჩამოყალიბებულ დეპორტაციის კონტროლის მკაცრ გარანტიებს.

საქართველოს კანონი საერთაშორისო დაცვის შესახებ, არსებული ხარვეზების გამოსწორების ნაცვლად, საზღვრებზე დისკრეციულ უფლებამოსილებას აფართოებს და სადამსჯელო შეკავების ზომებს ითვალისწინებს. მთლიანობაში, ეს მოვლენები საქართველოში ლტოლვილთა დაცვის სივრცის განზრახ შევიწროებაზე მიუთითებს, რაც ზრდის არაკანონიერი დეპორტაციებისა და ექსტრადიციების რისკს და ძირს უთხრის სამართლის უზენაესობას.

საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია, რომ საქართველომ გაატაროს შემდეგი ღონისძიებები:

- ა) შემოიღოს ინდივიდუალური რისკისა და ძალადობის ზოგადი სიტუაციის შეფასების ვალდებულება და განსაზღვროს შესაბამისი კრიტერიუმები;
- ბ) შეზღუდოს დაჩქარებული პროცედურები;
- გ) აკრძალოს თავშესაფრის მოთხოვნების განხილვა საზღვარზე;
- დ) ფორმალურად დააფიქსიროს სანდო და დადასტურებადი გარანტიების მოთხოვნა ექსტრადიციის შემთხვევებში.

სკოლის მოსწავლეთა უფლება საკვებზე: საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველო

ლაშა გულუაშვილი

1. შესავალი

ბავშვთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების, როგორც ადამიანის უფლებების განუყოფელი ნაწილის, დაცვა და განვითარება აქტიურად გასულ საუკუნეში დაინიშნა. ისინი ე.წ. მეორე თაობის უფლებებია და მოიცავს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უფლებების განხორციელება. რადგან ამ უფლებათა რეალიზაცია დამოკიდებულია სახელმწიფოს პოზიტიურ ქმედებებზე, ხშირად რთულია მათი თანმიმდევრულობისა და განხორციელების შესაბამისი დონის დადგენა, ვინაიდან თითოეული სახელმწიფო განსხვავდება თავისი ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობით. მიუხედავად ყველაფრისა, დროთა განმავლობაში სოციალურ-ეკონომიკური უფლებების მთელი ნუსხა მრავალი ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის განუყოფელი ნაწილი გახდა და განვითარდა. მაგალითისთვის, რთულია სახელმწიფოს წარმოდგენა, რომელშიც არ არის გათვალისწინებული საპენსიო, ჯანდაცვის ან სხვაგვარი სოციალური შემწეობის პროგრამა. ამის მიუხედავად, არსებობს უფლებები, რომელთა საყოველთაო განხორციელება კვლავაც სამომავლო პერსპექტივად მიიჩნევა. ასეთს განეკუთვნება სკოლაში კვების უფლება, რომელიც, მართალია, ცალკე არსად არის მოცემული, თუმცა ნაწილია საკვებზე უფლებისა და ამჟამად 160-ამდე¹ სახელმწიფოში ხორციელდება. სამწუხაროდ, ამ სახელმწიფოთა რიცხვს არ განეკუთვნება საქართველო.

UNICEF-ის 2023 წლის ანგარიშის² მიხედვით, საქართველოში, სკოლაში ყოველდღიურად მოსწავლეთა მხოლოდ 27% იკვებება, ხოლო სკოლაში არასდროს იკვებება მოსწავლეთა 35%. ასეთ ფონზე, ცხადია, მწვავედება დისკუსია სკოლებში უფასო კვების პროგრამის შემუშავებასა და ზოგადად სკოლის მოსწავლეთა უფლებაზე, იკვებონ უფასოდ. ეს თემა მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს, როგორც სოციალურ სახელმწიფოდ რეალიზაციასთან, რადგან, თუ განცხადებული მიზანი და განხორციელებული ქმედებები არ ემთხვევა ერთმანეთს, მაშინ შეიძლება გაკეთდეს დასკვნა მიზნების ფიქტიურობის შესახებ. სკოლაში ბავშვთა კვება არა მხოლოდ სოციალური სახელმწიფოს პრინციპთან, არამედ განათლების უფლებასთანაც არის დაკავშირებული, ვინაიდან შეუძლებელია, ბავშვმა მიიღოს

1 Global Child Nutrition Foundation. ხელმისაწვდომია: [<https://gcnf.org/wp-content/uploads/2025/02/GCNF-Global-Survey-Report-2024-V1.8.pdf>].

2 UNICEF საქართველო – ანგარიში „ბავშვთა კეთილდღეობა საქართველოში - 2023“.

ხარისხიანი ზოგადი განათლება და შეინარჩუნოს კონცენტრაციის საჭირო დონე სწავლის საათებში, როცა მას აწუხებს ისეთი ბუნებრივი მოთხოვნილება, როგორიცაა შიმშილი. ამრიგად, კითხვა – საჭიროა თუ არა საქართველოს სკოლებში უფასო კვების პროგრამა? – რიტორიკულად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან არსებული სავალალო მონაცემები ცხადყოფს ამა თუ იმ ფორმით სახელმწიფო პროგრამის დანერგვის აუცილებლობას. 2023 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ზოგადი განათლების რეფორმის დოკუმენტის მიხედვით დამტკიცდა სასკოლო კვების პროგრამა,³ რომელიც მიზნად ისახავდა, მუნიციპალურ დონეზე მოეკვლია და შეეფასებინა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რესურსები და საჭიროებები სკოლაში უფასო კვების სამომავლო კონცეფციის განსასაზღვრავად. იმავე წლის საპარლამენტო ანგარიშში⁴ სახალხო დამცველმა დადებითად შეაფასა ხელისუფლების ეს ნაბიჯი და აღნიშნა, რომ, არსებული საჭიროებების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, პროცესი, საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით, დროულად და ეფექტიანად წარიმართოს.⁵ ამჟამად საქართველოს საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არ არსებობს კვების სახელმწიფო პროგრამა.

როგორც აღინიშნა, UNICEF-ის 2023 წლის ანგარიშის მიხედვით,⁶ სასკოლო საათების განმავლობაში ყოველდღიურად იკვებება ბავშვების ერთ მეოთხედზე ოდნავ მეტი (27%), ხოლო სკოლაში არასდროს იკვებება ბავშვების 35%. მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონე ბავშვებში უჭმელობის შემთხვევები მნიშვნელოვნად უფრო ხშირია (45%).⁷ მიზეზები, თუ რატომ არ იკვებებიან ბავშვები სასკოლო საათების განმავლობაში, განსხვავებულია ქალაქის/სოფლის და მატერიალური დანაკლისის არსებობის მიხედვით. სოფლად ყველაზე მთავარი მიზეზი არის სკოლაში ან ახლომდებარე ტერიტორიაზე საკვების შეძენის შეუძლებლობა (48%)⁸, ხოლო 16%-მა აღნიშნა საკმარისი თანხის უქონლობა. საერთო ჯამში, მატერიალური დანაკლისის მქონე ბავშვების 37,7% ვერ იკვებება თანხის არქონის გამო. რაც შეეხება ბავშვების მშობლების/ოჯახის წევრების სურვილს, სკოლა უზრუნველყოფდეს მოსწავლეებს საკვებით, 83,2%-მა დადებითად უპასუხა.⁹ გასათვალისწინებელია, ასევე, მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონე ბავშვების მშობლების (74,2%) მზაობა, გადაიხადონ თანხა სასკოლო კვების პროგრამებში, თუკი ეს თანხა მათთვის ხელმისაწვდომი იქნება. 10,3%-მა განაცხადა, რომ მათ არ შეუძლიათ ამ თანხის გადახდა, ხოლო კიდევ 12,5% ფიქრობს,

3 ხელმისაწვდომია: [https://mes.gov.ge/content.php?id=13644&lang=geo].

4 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი.

5 იქვე.

6 UNICEF საქართველო – ანგარიში „ბავშვთა კეთილდღეობა საქართველოში - 2023“.

7 იქვე.

8 იქვე.

9 იქვე.

რომ სკოლა ბავშვს უფასოდ უნდა კვებავდეს¹⁰. ამ მონაცემების ანალიზის შედეგად შეიძლება გავითვალისწინოთ, რომ სკოლებში კვების მხრივ არსებობს ორი ძირითადი პრობლემა: ა) სკოლების დიდ ნაწილში ან მათ სიახლოვეს არ არსებობს საკვების შეძენის ობიექტი, რაც არსებითად ზღუდავს ბავშვის უფლებას საკვებზე, მიუხედავად მათი სოციალური და ეკონომიკური სტატუსისა და ბ) მატერიალური დანაკლისის მქონე ბავშვების დიდი ნაწილი ვერ იკვებება სკოლაში უსახსრობის გამო. 2024-2025 წლების მდგომარეობით, საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა რიცხოვნობამ 570,4 ათასი შეადგინა,¹¹ აქედან 142,2 ათასი¹² (2025 წლის ივლისის მონაცემებით¹³) სოციალური შემწეობის მიმღებია. ეს პრობლემები და მშობელთა აბსოლუტური უმრავლესობის სურვილი, რომ სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლეები საკვებით, ხაზს უსვამს სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ღონისძიებების გატარების აუცილებლობას.

წინამდებარე სტატია ემსახურება ორ მიზანს: კვებაზე უფლების სამართლებრივი საფუძვლების გამოვლენას, კერძოდ, ამ უფლების განხილვას საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საქართველოს კონსტიტუციის მე-5 და 27-ე მუხლებთან მიმართებით; და ამ უფლების განხორციელების შესაძლო გზების შემუშავებას, სხვა სახელმწიფოთა საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.

2. სკოლაში კვება, როგორც ბავშვის უფლება, საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის მიხედვით

სკოლაში კვების სახელმწიფო პროგრამის მოთხოვნის ფარგლების განსასაზღვრავად საჭიროა, დადგინდეს ამ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები. მართალია, სკოლაში კვება არ არის დამოუკიდებელი უფლება და ცალკე არც ეროვნულ კანონმდებლობაში და არც საერთაშორისო ხელშეკრულებებშია ასახული, საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით, „კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან.“ სწორედ ეს ბლანკეტური ჩანაწერი გვაძლევს საშუალებას, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით და საზოგადოებრივი საჭიროებებიდან გამომდინარე, დასაბუთდეს სოციალურ-ეკონომიკური უფლებების არსებობა და მათი დაცვის საჭიროება. სტატიის ამ ნაწილში განიხილება სკოლაში კვების უფლების საერთაშორისო და ეროვნული საფუძვლები სოციალური სახელმწიფოს პრინციპისა და განათლების უფლების კონტექსტში.

¹⁰ იქვე.

¹¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბავშვების და მოზარდების სტატისტიკის პორტალი. ხელმისაწვდომია: [<https://youth.geostat.ge/education.php?lang=ka>].

¹² 6-იდან 18 წლამდე.

¹³ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკის პორტალი. ხელმისაწვდომია: [<https://ssa.moh.gov.ge/statistik.php?lang=1&id=202212070002225855299551&v>].

2.1. სოციალური სახელმწიფოს კონტექსტი

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, „საქართველო არის სოციალური სახელმწიფო“. მთლიანად ამ მუხლის შინაარსი და მისგან გამომდინარე ვალდებულებების განსაზღვრა დამოკიდებულია სოციალური სახელმწიფოს დეფინიციაზე, რომელიც ხშირად არაერთგვაროვანია. ზოგადი განმარტებით, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებებს, უზრუნველყოს რესურსების სამართლიანი განაწილება საზოგადოების მონაცვლად ფენებზე, მათი საჭიროებებისა და მოთხოვნების შესაბამისად, სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპების დაცვით. სოციალური სახელმწიფო არსებითად არის განაწილებისა და გათანაბრების სახელმწიფო,¹⁴ რომლის მიზანია დოვლათის განაწილება ისე, რომ საზოგადოების სხვადასხვა ფენას შორის მაქსიმალურად აღმოიფხვრას უთანასწორობა, თუმცა ეს არ უნდა იქნეს ისე გაგებული, თითქოს სოციალური სახელმწიფო სრულად ეგალიტარულ საწყისებზე დგას. მიზანი, ამ შემთხვევაში, არის თანასწორობა შანსებში და არა შედეგებში. თანასწორობის პრინციპი არ გამორიცხავს დიფერენცირებას. ამავე დროს, თანასწორობის პრინციპი დარღვეული იქნება მაშინ, თუ კანონმდებელი დაადგენს დიფერენცირებას შანსების თანასწორობის თვალსაზრისით – შანსების თანასწორობა გამორიცხავს ნებისმიერ დიფერენცირებას.¹⁵ ამის ნათელი მაგალითია საქართველოში მოქმედი საგრანტო კონკურსის სისტემა აბიტურიენტებისთვის, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო დაფინანსებას კანონით გათვალისწინებულ პროგრამებზე სხვადასხვა მოცულობით (50%, 70%, 100%), ეროვნულ გამოცდებზე მიღებული სკალირებული ქულების შესაბამისად. ეს შესაძლებლობას აძლევს ფინანსურად მონაცვლად ახალგაზრდებს, მიიღონ უმაღლესი განათლება სახელმწიფოს სრული დაფინანსებით ან თანადაფინანსებით. ამ შემთხვევაში ვერავენ ამტკიცებს, რომ საგრანტო კონკურსი უსამართლოა, რადგან დაფინანსებას მოიპოვებენ არა სოციალური წარმომავლობის, არამედ გამოცდაზე მიღებული შედეგის მიხედვით.

სოციალური სახელმწიფოს განმარტება ასახულია ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაშიც,¹⁶ რომლის მიხედვით, ამ პრინციპის ძირითადი არსია: ა) სოციალური უსაფრთხოების შექმნა; ბ) სოციალური სამართლიანობის მიღწევა; გ) საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფა; დ) ზოგადი კეთილდღეობის დამკვიდრება საზოგადოებაში. იმავდროულად, სასამართლომ ხაზი

14 ბ. ლოლაძე, სოციალური სახელმწიფო – საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის?, ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, რედ. კ. კორკელია, 2012, 114.

15 ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თბ., 2005, 33.

16 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს №1/2/434 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, განსხვავებული აზრი, I, 9, 25-26.

გაუსვა მუდმივი ძალისხმევის საჭიროებას სახელმწიფოს მხრიდან.¹⁷ სხვა სიტყვებით, შეუძლებელია ამა თუ იმ ქმედებით ერთიანად მიიღწეს სოციალური სახელმწიფოს პრინციპი. ეს არის ხანგრძლივი და მუდმივად განახლებადი პროცესი, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოსგან მტკიცე პოლიტიკურ ნებასა და რეალურ ძალისხმევას, ხოლო კონკრეტული მიზნები უნდა შეირჩეს არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. საზოგადოება ვერ მოსთხოვს სახელმწიფოს ისეთი ამოცანების შესრულებას, რომლებიც ამ უკანასკნელს არ ძალუძს. სახელმწიფო ვალდებულია, არსებული რესურსების ფარგლებში მოსახლეობის სოციალური უფლებების დასაცავად მაქსიმალურ ძალისხმევას მიმართავდეს, რათა ამ უფლებათა დაცვის, სულ მცირე, მინიმალურად აუცილებელი დონე მაინც რომ უზრუნველყოს.¹⁸ ეს გამომდინარეობს კონსტიტუციიდან, რომლის ძირითადი დანიშნულება საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობის საფუძვლების განსაზღვრაა და იგი არ შეიძლება შეიცავდეს არარეალურ მიზნებს. ამ თვალსაზრისით, გარკვეული ვალდებულებების არარსებობა თავად მიზანს დააყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ.¹⁹

სწორედ სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ავალდებულებს ხელისუფალს, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები ბავშვთა სოციალური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, რომლის ნაწილიც, ცხადია, არის სკოლაში კვების მიღება. კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ზრუნავს ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკურ აღზრდაზე. ეს ჩანაწერი არ შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც მხოლოდ სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის ვალდებულება, ვინაიდან, ზოგადი გაგებით, ფიზიკური აღზრდა ასევე მოიცავს ბავშვთა და მოზარდთა კვებას. მიუხედავად ამისა, ეს მხოლოდ დამატებითი არგუმენტია სკოლაში კვების პროგრამის დანერგვისთვის. მთავარი მიზეზი, თუ რატომ უნდა დაინერგოს სკოლებში კვების სახელმწიფო პროგრამა, არის ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური მდგომარეობა და, შედეგად, ბავშვთა ჯგუფი, რომელიც ვერ იკვებება სკოლაში. შესავალში აღწერილი მონაცემები ცხადყოფს, რომ სკოლის მოსწავლეთა დიდი ნაწილი ვერ იკვებება უსახსრობის გამო. ეს არსებითად უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს მათ სხვა მოსწავლეებთან, რაც შეიძლება დისკრიმინაციის გამოწვევი ფაქტორიც იყოს. ბავშვები, მათგან დამოუკიდებელი მიზეზებით, არსებითად უთანასწორო მდგომარეობაში არიან, რაც გამორიცხ-

¹⁷ იქვე.

¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის №1/1/126, 129, 158 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქეები – (1) ბაჭუა გაჩეჩილაძე, სიმონ თურვანდიშვილი, შოთა ბუაძე, სოლომონ სანადირაძე და ლევან ქვაცბაია, (2) ვლადიმერ დობორჯგინიძე, ნინელი ანდრიაძე, გურამ დემეტრაშვილი და შოთა პაპიაშვილი, (3) გივი დონაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს №1/2/434 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, განსხვავებული აზრი, I, 9, 25.

ავს მათ შორის თანაბარ შანსებს. უთანასწორო სოციალური ფონი სკოლებში არ აძლევს საშუალებას მატერიალური დანაკლისის მქონე ბავშვებს, გააუმჯობესონ თავიანთი ცხოვრების დონე და განახორციელონ შესაძლებლობების მაქსიმუმი, რაც ერთგვარი „კლასობრივი მახეა“ – ძირითადად, ბავშვები მაღალი ან საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახებიდან კვლავ იმავე ან უფრო მაღალ სოციალურ საფეხურზე გადადიან, ხოლო მატერიალური დანაკლისის მქონე ბავშვები, თავიანთივე მდგომარეობის ტყვექმნილნი, ვერ ვითარდებიან ზრდასრულ ცხოვრებაში. ეს ეწინააღმდეგება სოციალური სახელმწიფოს იდეას, რომელიც არ ზღუდავს კონკურენციას, თუმცა მაქსიმალურად ცდილობს, ყველასათვის თანაბარი შესაძლებლობები უზრუნველყოს. მწვავეა, ასევე, შიდა ინფრასტრუქტურული პრობლემაც, რაც გულისხმობს სასადილოების ფაქტობრივ არარსებობას სკოლების გარკვეულ ნაწილში. სასადილოების არქონა, ზოგადად, ზღუდავს ყველა ბავშვის უფლებას, მიუხედავად მატერიალური მდგომარეობისა, მიიღოს საკვები სწავლის საათებში. ეს და სხვა მიზეზები ხაზს უსვამენ საჭიროებას იმისას, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს სკოლაში კვების პროგრამა, თუნდაც ნაწილობრივ (ეს საკითხები დანვრილებით ქვემოთ განიხილება). ვინაიდან დადგინდა, რომ არსებობს მწვავე სოციალური უთანასწორობა სკოლებში კვების მხრივ, შესაბამისად გამოვლინდა სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს ამ უფლების განხორციელება. მწვავე საჭიროების შემთხვევაში, „ძვირი უფლებების“ განხორციელება სახელმწიფოს ვალდებულებაა და არა დისკრეცია. ამ ვალდებულების განსახორციელებლად საჭიროა პოლიტიკური ნება, რომელიც, სამწუხაროდ, ბუნდოვანია.

მაშასადამე, ვინაიდან საქართველოში არსებობს მძიმე სოციალური ფონი, რომელიც არ აძლევს საშუალებას ფინანსურად არამდგრადი ოჯახების ბავშვებს, იკვებონ სკოლაში და, გარდა ამისა, სკოლების ნაწილში არ არსებობს სასადილოები, რაც ყველას უზღუდავს წვდომას საკვებზე, კონსტიტუციის მე-5 მუხლიდან გამომდინარე, მათ წარმოეშობათ უფლება, ხოლო სახელმწიფოს – ვალდებულება: (ა) პირველ რიგში, მოაწყოს სასადილოები ყველა საჯარო სკოლაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საკვებზე წვდომა; (ბ) ქვეყანაში დაინერგოს კვების სახელმწიფო პროგრამა.

2.2. განათლების უფლების კონტექსტი

საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლი იცავს განათლების უფლებას, რომელიც განეკუთვნება სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს. იმავდროულად, შეიძლება, რომ განათლების უფლება მიეკუთვნოს პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების კატეგორიას, ვინაიდან განათლების მიღება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა სხვა ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა სრული რეალიზაციისთვის. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ განათლების სისტემა „დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს განუყოფელ ელემენტს წარმოადგენს და მისი შექმნა

კი – უმაღლესი დონის ლეგიტიმურ მიზანს.²⁰ განათლების უფლება არ გულისხმობს მხოლოდ სწავლისა და აკადემიური თავისუფლების უფლებას – ეს არის საჯარო მოწესრიგების განსაკუთრებული სფერო, რომელიც მოიცავს სახელმწიფოს როგორც ნეგატიურ, ისე პოზიტიურ ვალდებულებებს. ადამიანის განათლების უფლება წარმოშობს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, ერთი მხრივ, შექმნას განათლებისათვის საჭირო პირობები (ინფრასტრუქტურა, პროგრამების ჰარმონიზაცია, განათლების ხარისხის კონტროლი და სხვ.) და, მეორე მხრივ, მისცეს ფინანსური შესაძლებლობა ყველა სოციალურ ფენას, მიიღოს შესაბამისი განათლება²¹. სახელმწიფოს ვალდებულებაა არა მხოლოდ განათლების უფლების ვიწრო გაგებით უზრუნველყოფა, ანუ არ შეზღუდოს სკოლაში სწავლის (ამ შემთხვევაში) უფლება და მხოლოდ სასწავლო პროგრამით შემოიფარგლოს, არამედ შექმნას განათლების ისეთი სისტემა, რომელიც გათვლილი იქნება ყველა ბავშვზე, მათი მოთხოვნილებების გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ირღვევა კონსტიტუციის უზენაესობა, ვინაიდან ქვეყნის უზენაესი კანონი მოითხოვს სახელმწიფოსგან სათანადო ღონისძიებების გატარებას (პოზიტიური ვალდებულების შესრულებას) განათლების უფლების სრული მოცულობით უზრუნველსაყოფად, რაც თავის თავში მოიაზრებს ისეთი კომპლემენტარული უფლების დაცვასაც, როგორიცაა სკოლაში კვება.

სახელმწიფოს ეს პოზიტიური ვალდებულება ეჭვგარეშეა, თუმცა ყოველთვის საკამათოა საკითხი იმის შესახებ, თუ სად მთავრდება სკოლების კეთილმოწყობის, საჭირო ინფრასტრუქტურისა და მოსწავლეთა სოციალური მხარდაჭერის ვალდებულება. ამ ფარგლების განსაზღვრა მნიშვნელოვანია ორი მიზეზის გამო: პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკური შესაძლებლობების მაქსიმუმი იმ მინიმალური მოთხოვნილებების უზრუნველსაყოფად, რომელთაც ითხოვს საზოგადოება. თუ სახელმწიფოს არ გააჩნია საკმარისი რესურსი „ძვირი“ უფლებების განხორციელებისთვის, სახეზე ვერ იქნება ვალდებულებისგან თავის არიდება. ეს პრობლემა, ძირითადად, ისეთი განვითარებადი სახელმწიფოებისთვისაა დამახასიათებელი, რომლებშიც ფინანსური რესურსი იმდენად მცირეა, რომ ვერ ფარავს სოციალური საჭიროებების დიდ ნაწილს და მხოლოდ „სასიცოცხლო“ უფლებების განხორციელებით შემოიფარგლება. აღსანიშნავია, რომ თუნდაც ასეთ განვითარებად სახელმწიფოებში ამა თუ იმ ფორმით არსებობს სკოლაში კვების პროგრამები. საქართველო ასეთ სახელმწიფოთა რიცხვს არ განეკუთვნება, მაგრამ, ამის მიუხედავად, არ გააჩნია სასკოლო კვების პროგრამა.

20 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქე მაია ანათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, II, 7.

21 ბ. ლოლაძე, ა. ფირცხალაშვილი, ძირითადი უფლებები, კომენტარი, 1832-ე პუნქტი, 712, თბ., 2023.

მეორე და უმთავრესი მიზეზი არის საკითხი იმის შესახებ, განეკუთვნება თუ არა სკოლაში კვება განათლების უფლებას. ამისთვის საჭიროა დადგინდეს, რომ სკოლაში კვება, თუნდაც ირიბად, შეიძლება დაკავშირებული იყოს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასთან ან კონცენტრაციის საჭირო დონესთან. ირიბად იმიტომ, რომ კვების არქონა ყველა შემთხვევაში პირდაპირ არ ზღუდავს განათლების უფლებას, იგი მხოლოდ აფერხებს მას. ამასთანავე, ეს ვერ გამოდგება არგუმენტად სკოლაში კვების სახელმწიფო პროგრამის საწინააღმდეგოდ, ვინაიდან ეს კომპლემენტარული უფლებაა და განყენებულად განათლების უფლებაში არ მოიაზრება. კვება მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ბავშვის კოგნიტური შესაძლებლობების განვითარებასა და ფიზიკურ სიჯანსაღეში, განსაკუთრებით ადრეულ ეტაპებზე. ბავშვობაში ან მოზარდობაში ჯანსაღი და დაბალანსებული საკვების ნაკლებობამ ან შიმშილმა შეიძლება წარუშლელი კვალი დატოვოს ადამიანის შემდგომი ცხოვრების დონეზე და მის კოგნიტურ შესაძლებლობებზე,²² რომ არაფერი ითქვას ჯანმრთელობაზე. ბავშვი, რომელიც განიცდის შიმშილს, გარდა გრძელვადიანი ნეგატიური შედეგებისა, მოკლებულია უნარს, სრულად აღიქვას სკოლაში მიღებული ინფორმაცია.²³ ეს არსებითად უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს მას სხვა ბავშვებთან, რომლებსაც არ აქვთ მატერიალური დანაკლისი. ამით ირღვევა: ა) განათლების უფლება, ვინაიდან პირველ შემთხვევაში მოსწავლე სრული მოცულობით ვერ აღიქვამს სკოლაში მიღებულ ინფორმაციას, რაც მის აკადემიურ მოსწრებაზე შეიძლება აისახოს; და ბ) შანსების თანასწორობა, რადგან მისგან დამოუკიდებელი მატერიალური დანაკლისის მიზეზით მოსწავლე არსებითად უთანასწორო მდგომარეობაშია სხვა ბავშვებთან და ნაკლებად შესწევს უნარი, განახორციელოს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი, აღიქვას სკოლაში მოწოდებული ინფორმაცია და რეალიზდეს აკადემიურ ასპარეზზე.

მაშასადამე, კონსტიტუციის 27-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების ფართო განმარტებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს წარმოეშობა პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს მოსწავლეები საკვებით სწავლის საათებში, რათა ბავშვებს არ შეეზღუდოთ განათლების უფლება.

2.3. საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები

საკვებზე უფლება, საქართველოს კონსტიტუციის გარდა, გათვალისწინებულია მრავალი საერთაშორისო დოკუმენტით, რომელთაგან გამორჩეულია საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ²⁴

22 Nyaradi, A., Li, J., Hickling, S., Foster, J., & Oddy, W. H. (2013). *The role of nutrition in children's neurocognitive development, from pregnancy through childhood*. *Frontiers in Human Neuroscience*, 7, 2013, Article 97.

23 იქვე.

24 საქართველოსთვის ძალაშია 1994 წლის 3 მარტიდან.

(1966) და ბავშვის უფლებათა კონვენცია²⁵ (1989). ამასთანავე, სკოლაში კვება, როგორც უფლება, არცერთ ზემოთ ხსენებულ დოკუმენტში პირდაპირ არ არის დადგენილი, თუმცა, როგორც აღინიშნა, სკოლაში კვებით უზრუნველყოფა ნაწარმოები და კომპლემენტარული უფლებაა. ამ საერთაშორისო დოკუმენტებიდან და ეროვნულ კანონმდებლობიდან გამომდინარე, მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოში, ათწლეულებია, მოქმედებს სასკოლო კვების პროგრამები, სხვადასხვა ფორმითა და მოცულობით. საქართველო ორივე დოკუმენტის მონაწილეა და, ამრიგად, მისთვის სავალდებულოა მათში განვიხილო დებულებები. საკითხის უკეთ აღსაქმელად სტატიის ამ ნაწილში მოკლედ მიმოიხილება ზემოთ აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულებები სკოლაში კვების უფლების საერთაშორისოსამართლებრივი საფუძვლების დასადგენად.

2.3.1. საერთაშორისო დოკუმენტების მოკლე მიმოხილვა

ა) საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლი არსებითად იმეორებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლის შინაარსს, თუმცა შემოაქვს ახალი საყოველთაო ვალდებულება – შიმშილისგან თავისუფლება.

11(2) მუხლი

„ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ყველას ფუნდამენტურ უფლებას, იყვნენ თავისუფალი შიმშილისგან...“.

ეს ვალდებულება ვრცელდება სკოლის მოსწავლეებზეც, რომელთაც არ შეუძლიათ, იკვებონ სკოლაში მატერიალური დანაკლისის გამო. ცხადია, „შიმშილი“ უნდა იყოს განხილული როგორც არსებითად ხელისშემშლელი ფაქტორი ადამიანის ღირსეული ცხოვრების დონის შენარჩუნებისთვის და არა უეცარი და მალდაკმაყოფილებადი მოთხოვნილება. ბავშვი, რომელიც სისტემატურად ვერ იღებს საკვებს სკოლაში, ასევე ექცევა შიმშილისგან თავისუფლების ფარგლებში და მისი უფლებები დაცული უნდა იყოს. იმავე პოზიციას იზიარებს ICESCR-კომიტეტი, რომელმაც თუმცა ირიბად, მაგრამ განმარტა, რომ მე-11 მუხლის იმპლემენტაციის „სტრატეგია უნდა მოიცავდეს კრიტიკულ საკითხებსა და ზომებს, რომლებიც ეხება კვების სისტემის ყველა ასპექტს, მათ შორის უსაფრთხო საკვების წარმოებას, გადამუშავებას, დისტრიბუციას, მარკეტინგსა და მოხმარებას, ასევე პარალელურ ზომებს ჯანდაცვის, განათლების, დასაქმებისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში“.²⁶

25 საქართველოსთვის ძალაშია 1994 წლის 2 ივნისიდან.

26 UN CESCR General Comment No. 12: The Right to Adequate Food (Art. 11), 1999, 6, 25.

ბ) ბავშვის უფლებათა კონვენცია

ბავშვის უფლებათა კონვენცია ყველაზე დეტალურია ხსენებულ დოკუმენტებს შორის. ის აღიარებს ბავშვის უფლებას, „უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის“.²⁷ კონვენციის მიხედვით, „მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ, მიაღწიონ მოცემული უფლების სრულ განხორციელებას და, კერძოდ, ატარებენ აუცილებელ ღონისძიებებს: (გ) ...შიმშილობასთან ბროლისათვის ... ადვილად ხელმისაწვდომი ტექნოლოგიისა და საკმაო სურსათითა და სასმელი წყლით მომარაგების გზით...“.²⁸ აღსანიშნავია გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტის მიერ კონვენციის 24-ე მუხლის განმარტება: „სკოლაში კვება სასურველია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა მოსწავლეს ყოველდღიურად ჰქონდეს სრული კვება, რაც ასევე გაზრდის ბავშვების ყურადღებას სწავლისადმი და სკოლაში დასწრების დონეს.“²⁹ კომიტეტის მიერ სკოლაში კვების უფლების აღიარება მნიშვნელოვანი ნაბიჯია ამ უფლების დაცვის ხელშეწყობისთვის.

მაშასადამე, მართალია, ადამიანის უფლებების სფეროში მოქმედი ძირითადი დოკუმენტები ცალსახად არ აღიარებენ სკოლაში კვებას, როგორც უფლებას, თუმცა ამ დოკუმენტებით გათვალისწინებული დებულებების ფართო განმარტება, რომელსაც იზიარებენ ამავე დოკუმენტების საზედამხედველო კომიტეტები, საშუალებას იძლევა, სკოლაში კვება განხილულ იქნეს როგორც ბავშვის უფლება.

3. საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველოში სასკოლო კვების პროგრამის დანერგვის შესაძლო გზები

სასკოლო კვების პროგრამების დანერგვა მოითხოვს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული რიგი შეცდომებისა. სტატიის ამ ნაწილში განიხილება სხვა სახელმწიფოთა პრაქტიკა სკოლაში კვების უფლების განხორციელების ჭრილში, რაც სამომავლოდ დაგეგმვასთან დაკავშირებული საჭიროებების დასაზოგადოებლად გამოცდილების გათვალისწინებაში.

3.1. სასკოლო კვების ფორმები და სხვა სახელმწიფოთა გამოცდილება

სასკოლო კვების პროგრამები შეიძლება გაიმიჯნოს ორგანიზაციული მოწყობის, დაფინანსების წყაროსა და განაწილების მიხედვით.

ა) ორგანიზაციული მოწყობა

ორგანიზაციული მოწყობის მიხედვით, სასკოლო კვების პროგრამების ოთხი ძირითადი სახე არსებობს. ისინია: ა) ცენტრალიზებული; ბ) დეცენტრალიზებული; გ) სასკოლო ავტონომიური; დ) ჰიბრიდული.

²⁷ ბავშვის უფლებათა კონვენცია 1989, 27-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

²⁸ იქვე, 24-ე მუხლის 2(გ) პუნქტი.

²⁹ UN Committee on the Rights of the Child, General comment No. 15 (2013) on the right of the child to the enjoyment of the highest attainable standard of health (art. 24), 12, 46.

ცენტრალიზებულ სისტემებში სკოლაში კვების პროგრამა მთლიანად ცენტრალური ხელისუფლების მიერ ხორციელდება და მოიცავს კვების რაციონის, ყოველდღიური მენიუების, საკვების დისტრიბუციისა და დაფინანსების მართვას. ასეთ სისტემებში გარანტირებულია კვების ერთიანი სტანდარტი და ხარისხი, თუმცა პრობლემურია სხვადასხვა რეგიონსა და მათ მახასიათებლებზე მორგებადობა. ცენტრალიზებული სისტემის მაგალითია იაპონიის სასკოლო კვების პროგრამა, რომელიც შემუშავებულია ხელისუფლების მიერ და გათვლილია დაწყებითი და საშუალო საფეხურის მოსწავლეებზე.³⁰

ცენტრალიზებული სისტემებისაგან განსხვავებით, დეცენტრალიზებულ სისტემებში სასკოლო კვება ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველობის პრეროგატივაა. მაგალითად, კანადაში სასკოლო კვების პროგრამის განხორციელება დელეგირებულია პროვინციებზე, რომლებიც თავად არჩევენ შესაფერის მენიუს, ხოლო დაფინანსებას ადგილობრივი ბიუჯეტიდან ახორციელებენ.³¹ ასეთ სისტემებში ერთნაირად არის დაცული კვების სტანდარტიზაცია და რეგიონული ავტონომია.

სასკოლო ავტონომიური სისტემა გულისხმობს ხელისუფლების მიერ სასკოლო კვების სფეროში აღმასრულებელი უფლებამოსილებების სრულ დელეგირებას სკოლებზე, რომლებიც, თავის მხრივ, ირჩევენ კვების ორგანიზებას შიდა და გარე დაქირავებულ სისტემებს შორის. ავტონომიური სისტემის მაგალითია ახალი ზელანდია, სადაც სკოლები ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ისინი წყვეტენ, სასკოლო კვება უზრუნველყონ ადგილზე მომზადებით თუ ხელშეკრულების საფუძველზე კომპანიებისგან.³² ავტონომია ვრცელდება ასევე მენიუს შედგენის პროცესზეც.

არსებობს ასევე ჰიბრიდული სისტემა, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციული მოდელების ნებისმიერი კომბინაციის შედეგი შეიძლება იყოს. ძირითადად კომბინირებულია ცალკეული უფლებამოსილებები, როგორებიცაა: საკვების მომზადება, დისტრიბუცია, მენიუების შედგენა და სხვ. ჰიბრიდული სისტემა მოქმედებს საფრანგეთში, სადაც საკვების ხარისხი და მომზადება სტანდარტიზებულია ცენტრალური ხელისუფლების მიერ, ხოლო მენიუების შედგენა და საკვების უშუალო მიწოდება სკოლების კომპეტენციაა და განსხვავდება მუნიციპალიტეტების მიხედვით.³³

ბ) დაფინანსების წყარო

სასკოლო კვების პროგრამები განსხვავდება დაფინანსების წყაროების მიხედვით. ისინია: ა) სახელმწიფო; ბ) საერთაშორისო; გ) კერძო.

30 Research Consortium for School Health and Nutrition, "School Meals Case Study: Japan", Sep., 2023, 3.

31 კანადის მთავრობის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: [<https://www.canada.ca/en/employment-social-development/programs/school-food/feeding-future.html>].

32 New Zealand, Funding for the Ka Ora, Ka Ako | Healthy School Lunches programme.

33 Research Consortium for School Health and Nutrition, "School Meals Case Study: France", Sep., 2023, 7.

სახელმწიფო დაფინანსება ყველაზე გავრცელებულია სასკოლო კვების პროგრამებში და მოიაზრებს სახელმწიფოს მიერ კვების სრულ ან ნაწილობრივ დაფინანსებას. სახელმწიფო დაფინანსების მაგალითია ფინეთი, რომელშიც ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი (70-წლიანი) სასკოლო კვების პროგრამა მოქმედებს.³⁴

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული სასკოლო კვების პროგრამები დამახასიათებელია მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ან სამხედრო კონფლიქტით დაზარალებული განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომელთაც დამოუკიდებლად არ შეუძლიათ სასკოლო კვების პროგრამების დანერგვა და დაფინანსებას საერთაშორისო ან არასამთავრობო ორგანიზაციებიდან იღებენ. საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსების მაგალითია გაეროს World Food Programme-ს მიერ განხორციელებული სასკოლო კვების პროგრამები სუბსაჰარულ აფრიკასა და კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში (უკრაინა, სამხრეთ სუდანი).³⁵

კერძო დაფინანსება, ძირითადად, საქველმოქმედო ფონდებისა და კერძო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება, თუმცა ასეთი ორგანიზაციები ირჩევენ ერთეულ სკოლებს ან რეგიონებს სასკოლო კვების პროგრამების განსახორციელებლად. ეს, ცხადია, ეფექტურია სახელმწიფო დაფინანსების ნაწილობრივი ან მისი არარსებობის შემთხვევაში, მაგრამ კერძო დაფინანსება ვერ უზრუნველყოფს სასკოლო კვებას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

გ) განაწილება

სასკოლო კვების პროგრამები განაწილების მიხედვით შეიძლება იყოს: ა) უნივერსალური; ბ) სოციალურად მიზნობრივი; გ) გეოგრაფიულად მიზნობრივი; დ) ნუტრიციულად მიზნობრივი.

უნივერსალური განაწილება მოიაზრებს ყველა სახელმწიფო სკოლაში ყველა ბავშვის სასკოლო კვებით უზრუნველყოფას და ხშირად სრული სახელმწიფო დაფინანსებით. ასეთი პროგრამა არ გამორიცხავს ასაკობრივ დიფერენციაციას. ეს არის სკოლაში კვების უფლების დაცვის საუკეთესო მოდელი. უნივერსალური სისტემა მოქმედებს ფინეთში, სადაც ყველა დაწყებითი და საშუალო საფეხურის მოსწავლე სკოლებში იკვებება სრულიად უფასოდ.³⁶ სოციალურად მიზნობრივი სისტემები ხორციელდება თითოეული მოსწავლის და მისი ოჯახის შემოსავლისა და სოციალ-ეკონომიკური სტატუსის მიხედვით. ასეთი სისტემა არსებობს საფრანგეთში, სადაც სახელმწიფო მხოლოდ ნაწილობრივი სუბსიდიის სახით აფინანს-

34 Research Consortium for School Health and Nutrition, "School Meals Case Study: Finland", Nov., 2023, 3.

35 World Food Programme, "The State of School Feeding Worldwide 2022", chapter 4, 157.

36 Research Consortium for School Health and Nutrition, "School Meals Case Study: Finland", Nov. 2023, 12.

სებს დაბალი შემოსავლის მქონე ბავშვების კვებას.³⁷ ასეთ სისტემაში მშობლებს ყოველდღე ერთ ევროზე ნაკლების გადახდა უწევთ.³⁸

რაც შეეხება გეოგრაფიულად და ნუტრიციულად მიზნობრივ პროგრამებს, ისინი მიმართულია განსაკუთრებული საჭიროებების მქონე რეგიონებისა და ცალკეული სკოლების კვებით უზრუნველყოფისკენ, მათი გეოგრაფიული და ნუტრიციული მდგომარეობიდან გამომდინარე. ნუტრიციულად მიზნობრივი სასკოლო კვების მაგალითია კენიაში³⁹ გვალვით დაზარალებული რეგიონებისა და მუნიციპალიტეტებში არსებული სკოლების დაფინანსებით უზრუნველყოფა.

3.2. საქართველოში სასკოლო კვების პროგრამის დანერგვის შესაძლო გზები

საქართველოში სასკოლო კვების პროგრამის დანერგვის სირთულე ისაა, რომ, არარსებულ პოლიტიკურ ნებასთან ერთად, დეკლარაციული ხასიათის დაპირებებიდან ვლინდება პრობლემის ერთბაშად და სწორხაზოვნად გადაჭრის მიდგომა. იგულისხმება საყოველთაო და სრულად დაფინანსებული პროგრამების დანერგვა მაქსიმალურად მოკლე დროში, რაც სცდება საქართველოს ინფრასტრუქტურულ და ეკონომიკურ შესაძლებლობებს. ეს „ყველაფერი ან არაფერი“ პრინციპის გამოხატულებაა და ასეთი მაქსიმალისტური მიდგომა მცდარია, რადგან სასკოლო კვების პროგრამის შემუშავება და განხორციელება მოითხოვს კომპლექსურ, დარგობრივ მუშაობას არსებული სოციალური და ეკონომიკური ფონის გათვალისწინებით. დასახული მიზნის მისაღწევად, კერძოდ, სკოლაში კვების უფლების განხორციელებლად, საჭიროა ეტაპობრივი და გრძელვადიანი გეგმის შემუშავება, რომელიც თანდათანობით უზრუნველყოფს ყველა მწვავე საჭიროების მქონე მოსწავლის მოთხოვნილებებთან თანხვედრას. პირველ რიგში, სკოლებში უნდა განხორციელდეს ინფრასტრუქტურული რენოვაცია, რომელიც მოიაზრებს ყველა სკოლაში სასადილოების მოწყობას. სასკოლო კვების პროგრამის დანერგვა აზრს მოკლებულია ისეთ პირობებში, როდესაც სკოლების ნაწილში მოსწავლეებს, მიუხედავად სოციალური მდგომარეობისა, არ აქვთ წვდომა საკვებთან. ეს არღვევს ყველა მოსწავლის განათლებისა და საკვებზე უფლებას.

მეორე ამოცანა არის სასკოლო კვების პროგრამის შემუშავება სხვა სახელმწიფოთა საუკეთესო გამოცდილების გაზიარებით. სტატიის მიზანი არ არის სა-

37 Research Consortium for School Health and Nutrition, “School Meals Case Study: France”, Sep., 2023, 11.

38 საფრანგეთის კანონი No. 2023-265 of April 13, 2023 aimed at promoting access for all students to a moderately priced catering offer (1), საფრანგეთის პარლამენტი, 2023 წლის 14 აპრილი.

39 The Rockefeller Foundation, “Kenya’s School Meals Disrupt Generational Poverty and Improve Community Outcomes”. ხელმისაწვდომია: [https://www.rockefellerfoundation.org/grantee-impact-stories/kenyas-school-meals-disrupt-generational-poverty-and-improve-community-outcomes/].

ქართველოს ფინანსური შესაძლებლობების ანალიზი, რადგან ეს ცალკე კვლევის საგანია, თუმცა ხაზგასასმელია სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას ბავშვთა უფლება, იკვებონ სასწავლო საათებში. ამ უფლების ეტაპობრივი განხორციელების პირველი საფეხურისთვის საუკეთესო მოდელია სრულად ან ნაწილობრივად სუბსიდირებული სოციალურად მიზნობრივი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მინიმუმ 140 ათასი მოსწავლის კვებას სასკოლო საათებში. ამ გზით შესაძლებელი იქნება სოციალური სახელმწიფოს პრინციპის დაცვა მაქსიმუმის გაკეთებით, რომელიც საკმარისია საზოგადოების მინიმალური საჭიროებების უზრუნველყოფისთვის. გლობალური განვითარების ცენტრის მიერ 2025 წელს გამოქვეყნებული ბავშვთა კვების გლობალური კვლევის ანგარიშის თანახმად, საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში ერთ მოსწავლეზე სასკოლო კვების პროგრამებზე წლიური საშუალო დანახარჯის გათვალისწინებით (219 აშშ დოლარი) საქართველოში სოციალურად მიზნობრივი პროგრამის განხორციელების წლიური ხარჯი დაახლოებით 84 082 000 ლარს⁴⁰ შეადგენს.⁴¹ საქართველოში პროგრამის განხორციელების წლიური ხარჯი განახევრდება, თუ პროგრამის სამიზნედ არჩეული იქნება მხოლოდ დაწყებითი საფეხური. რაც შეეხება საკვების მომზადებისა და მიღებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობას ან ნაკლებობას, პირველ ეტაპზე საქართველოში ყველაზე მიზანშეწონილ (ოპტიმალურ) ვერსიას მომავალი ათი წლის განმავლობაში წარმოადგენს სადილის ყუთი („ლანჩბოქსი“), რომელიც შეიკვრება ადგილზე (სკოლაში) ან მზა სახით მიეწოდება სკოლებს. ეს მოდელი გულისხმობს, რომ მოსწავლეები ყოველდღიურად იკვებებიან სკოლის ტერიტორიაზე, თუმცა საკვების დამზადება სკოლაში არ მოხდება.⁴² ეს ყველაზე სწრაფი და ეფექტიანი გამოსავალია არსებული პრობლემის ნაწილობრივად აღმოსაფხვრელად. შემდგომ ეტაპებზე შეიძლება უნივერსალური სისტემის დანერგვა სოციალურად მიზნობრივი ჯგუფებისთვის სუბსიდირებით ან მის გარეშე, უნივერსალური დაფინანსებით.

4. დასკვნა

საქართველოში სასკოლო კვების უფლების საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი საფუძვლების დადგენის, არსებული მდგომარეობის მიმოხილვისა და საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობის შედეგად შეიძლება გაკეთ-

40 თანხა გაანგარიშებულია 2025 წლის სექტემბრის მდგომარეობით არსებული გაცვლითი კურსითა (2.7) და სოციალურად დაუცველი 6-იდან 18 წლამდე ბავშვების რაოდენობრივი მონაცემების (142,2 ათასი) გათვალისწინებით.

41 Center for Global Development – “The cost of a school meal: longitudinal evidence on spending, nutritional quality, and economies of scale from 216 programs”, 2025, 11.

42 კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი, „საქართველოში სასკოლო კვების სისტემის ჩამოყალიბების საჭიროება და პერსპექტივები, პოლიტიკის დოკუმენტი“, 2021.

დეს დასკვნა ქვეყანაში სასკოლო კვების პროგრამის დანერგვის აუცილებლობის შესახებ და ამით პასუხი გაეცეს შესავალში დასმულ კითხვას. მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ-ეკონომიკური უფლებები ხშირად სათანადო ყურადღების გარეშე რჩება და მათი განხორციელება განიხილება როგორც სახელმწიფოს მოწყალეობა ან განსაკუთრებული ღონისძიება, ეს უფლებები ადამიანის განვითარების და სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების განუყოფელი ნაწილია. შეუძლებელია ტრადიციული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ეფექტიანი გამოყენება და მათი საყოველთაოობის უზრუნველყოფა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის გარეშე. სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ისინი და ხელი შეუწყოს ყველა იმ უფლების განხორციელებას, რომლებიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით, თუმცა კომპლემენტარული ხასიათის გამო ნაწარმოებია და გამომდინარეობს სხვა უფლებებიდან. ასეთს განეკუთვნება სკოლაში კვება, რომელიც სოციალური სახელმწიფოს პრინციპისა და განათლების უფლების კონტექსტში საკვებზე უფლების კატეგორიის ნაწილია. ამ უფლების დაცვის მაღალი მნიშვნელობა განპირობებულია მისი ობიექტით – ბავშვით. მომავალ თაობებზე ზრუნვა და მათი მწვავე მოთხოვნის დაკმაყოფილება უნდა იყოს სახელმწიფოს ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი, რადგან უმოქმედოა ახლა მომავალში მძიმე შედეგებს მოასწავებს.

ამრიგად, საერთაშორისო დოკუმენტებისა და კონსტიტუციის შესაბამისი განმარტებიდან გამომდინარე, სკოლაში კვება ნაწილია საკვებზე უფლებისა და საჭიროა, რომ საქართველოში, საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, შემუშავდეს და ეტაპობრივად დაინერგოს სასკოლო კვების პროგრამა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ბავშვთა უფლება საკვებზე, განხორციელდეს სოციალური სახელმწიფოს პრინციპი და არ შეიზღუდოს მოსწავლეთა განათლების უფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტი რელიგიის თავისუფლებასთან მიმართებით და საქართველო

ალექსანდრე გრძელიძე

1. შესავალი

რელიგიის თავისუფლება ადამიანის ძირითადი უფლებაა, რომელიც აღიარებულია როგორც უნივერსალურ, ისე რეგიონულ დონეზე მიღებული ადამიანის უფლებათა არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულებით, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით. ამ კვლევის მიზანია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლით (რელიგიის თავისუფლება) დადგენილი სტანდარტების შესწავლა და მათი ასახვა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში.

ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში განსაკუთრებული როლი უკავია აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას. ეს უფლება პირდაპირ კავშირშია ადამიანის, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი ინდივიდის, ჩამოყალიბებასა და განვითარებასთან. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხშირად ხაზს უსვამს მე-9 მუხლით დაცული უფლებების მნიშვნელობას. მან დაადგინა, რომ აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი საფუძველია.¹ ევროპული სასამართლოს განმარტებით, მე-9 მუხლი მოიცავს შინაგან (*Forum Internum*) და გარეგან (*Forum Externum*) ასპექტს. შინაგანი ასპექტი, რაც მოიცავს თავისუფლებას, პირს ჰქონდეს, შეინარჩუნოს, შეიცვალოს ან საერთოდ არ ჰქონდეს რელიგია, ადამიანის აბსოლუტური უფლებაა და მასში ნებისმიერი ჩარევა გაუმართლებელია. სახელმწიფოს მიერ შინაგან აზროვნებასა და რწმენაში ჩარევის შემთხვევაში მივუახლოვდებით ჯორჯ ორუელის საზოგადოებას, სადაც „დიდი ძმა“ ყოველთვის გვაკვირდება. ამის საპირისპიროდ, გარეგანი ასპექტი, რაც რელიგიის თავისუფლების გამოხატვას გულისხმობს, ექვემდებარება შეზღუდვებს და მასში ჩარევა შეიძლება გამართლებული იყოს სხვათა უფლებათა დასაცავად.²

საქართველოს კონსტიტუციაშიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება. საქართველოს, როგორც კონსტიტუციით, ისე საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ნაკისრი აქვს ვალდებულება,

1 კოკინაკის საბერძნეთის წინააღმდეგ (*Kokkinakis v. Greece*), 1993 წლის 25 მაისი, 31-ე პუნქტი.

2 M.Hill, *The Qualified Right to Freedom of Religion: An Examination of the Limitations Contained in Article 9 of The European Convention on Human Rights*, STUDIA Z PRAWA WYZNANIO-WEGO, 2020, 74.

არ ჩაერიოს და დაიცვას ადამიანის რელიგიის თავისუფლება. ეს უნდა გამოიხატოს როგორც კანონმდებლობის შესაბამის მონესრიგებაში, ისე სასამართლოების მიერ მაღალი სტანდარტის დადგენაში ამ უფლების მიმართ.

2. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლით დაცული სფერო

ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის მიხედვით:

„1. ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და პირის თავისუფლებას, როგორც მარტომ, ასევე, სხვებთან ერთად, საჯაროდ ან განკერძოებით, გამოხატოს საკუთარი რელიგია ან რწმენა ღვთისმსახურებით, სწავლებით, პრაქტიკითა და რიტუალის აღსრულებით.

2. რელიგიის ან რწმენის გამოხატვის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის ან მორალის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად.“

ევროპული კონვენციის მე-9 მუხლით დაცული სფერო განეკუთვნება ძირითად უფლებებს, რომელთა გარეშე სამართლის უზენაესობაზე დაფუძნებული დემოკრატიული სახელმწიფო ვერ იარსებებს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების მნიშვნელობას. ფართო გაგებით, ეს თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ საფუძვლად ითვლება. უფრო კონკრეტულად კი რელიგიის თავისუფლებას ევროპელი მოსამართლეები განიხილავენ როგორც მორწმუნეთა იდენტობისა და ცხოვრების კონცეფციის ჩამოყალიბებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ფაქტორს.

სიტყვა „რელიგია“ არაა განმარტებული არც კონვენციით და მას ვერც სასამართლო პრაქტიკაში შევხვდებით. მისი განმარტება, ერთი მხრივ, უნდა იყოს ძალიან მოქნილი, რათა მოიცვას მსოფლიოში არსებული რელიგიების სრული სპექტრი, თუმცა, იმავდროულად, ის უნდა იყოს საკმაოდ კონკრეტული, რათა ინდივიდუალურ შემთხვევებში იყოს გამოყენებული. კონვენციის მე-9 მუხლის კომპეტენცია საკმაოდ ფართოა, ვინაიდან იცავს როგორც რელიგიურ, ისე არარელიგიურ შეხედულებებსა და რწმენას. ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში ვხვდებით სიტყვას „**practice**“.³ სასამართლომ დაადგინა, რომ ნებისმიერი შეხედულება და რწმენა არ ექცევა ნორმის დისპოზიციაში და ამ ტერმინში ის არ მოიცავს ნებისმიერ აქტს, რომელიც განხორციელებულია რელიგიის თუ რწმენის

3 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-9 მუხლის 1-ელი პუნქტი.

გავლენით.⁴ რელიგიის ან მრწამსის თავისუფლება არაა მხოლოდ ინდივიდუალური უფლება, ის შეიძლება განხორციელდეს კოლექტიურადაც,⁵ როგორც ეს აღიარებულია მე-9 მუხლში („სხვებთან ერთად“). რელიგიების უმეტესობა ვერ განხორციელდება სათანადოდ, თუ მორწმუნეებს არ აქვთ კოლექტიურად მოქმედების შესაძლებლობა. ამრიგად, რელიგიის ინდივიდუალური თავისუფლება ვერ იქნება გარანტირებული, თუ არ არსებობს ეკლესიის ან სხვა რელიგიური თემის დაარსებისა და მართვის თავისუფლების დამატებითი გარანტია.⁶

2.1. აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი

ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი შედგება ორი პუნქტისგან: 1-ელი პუნქტი უზრუნველყოფს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლებას; მე-2 პუნქტი ითვალისწინებს გარკვეულ შეზღუდვებს ამ უფლების მიმართ. ეს შეზღუდვები უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული, აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში და ისინი შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ერთ-ერთი კანონიერი მიზნის მისაღწევად (საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები, საჯარო წესრიგის, ჯანმრთელობის, ზნეობის დაცვა ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა).⁷ კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ლეგიტიმური მიზნები, რომლებიც პირის რელიგიის ან რწმენის გამოხატვაში ჩარევას ამართლებს, არის საზოგადოებრივი უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობისა და ზნეობის, ასევე, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ლეგიტიმური მიზნების ეს ჩამონათვალი ამომწურავია და მათი განმარტება აუცილებლად შეზღუდულად უნდა მოხდეს. იმისთვის, რომ ამ თავისუფლების შეზღუდვა კონვენციასთან შესაბამისობაში იყოს, ის ამ დებულებით გათვალისწინებულ ერთ ან რამდენიმე ლეგიტიმურ მიზანს უნდა ემსახუროდეს.⁸

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლების შეზღუდვა მხოლოდ უნდა ეხებოდეს მის გამოვლენას. აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესო მსჯელობა აქვს ევროპულ სასამართლოს, რომელმაც დაადგინა: „მე-9 მუხლის 1-ელი პუნქტით გარანტირებული უფლებების ფუნდამენტური ხასიათი ასევე აისახება იმ

4 პრეტი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ (*Pretty v. The United Kingdom*), 2002 წლის 29 აპრილი, 82-ე პუნქტი.

5 F. Tulkens, *Freedom of Religion under the European Convention on Human Rights: A Precious Asset*, BRIGHAM YOUNG UNIVERSITY LAW REVIEW, April 2014, 517-518.

6 L. Garlicki, *Collective Aspects of the Religious Freedoms: Recent Developments in the Case Law of the European Court of Human Rights*, in CENSORIAL SENSITIVITIES: FREE SPEECH AND RELIGION IN A FUNDAMENTALIST WORLD, 218–19 (A. Sajo ed. 2007).

7 კ. კორკელია, ი. ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბ., 2004, 193.

8 სვიატო-მიხაილივსკა პარაფია უკრაინის წინააღმდეგ (*Svyato-Mykhaylivska Parafiya v. Ukraine*), 2007 წლის 14 ივნისი, 132-ე და 137-ე პუნქტები.

პუნქტის ფორმულირებაში, რომელიც ითვალისწინებს შეზღუდვებს მის მიმართ. კონვენციის მე-8, მე-10 და მე-11 მუხლების მეორე პუნქტებისგან განსხვავებით, რომლებიც მოიცავენ ამ მუხლების პირველი პუნქტებით დაცულ ყველა უფლებას, მე-9 მუხლის მეორე პუნქტი მიუთითებს მხოლოდ „რელიგიის ან მრწამსის გამოვლინების თავისუფლებაზე“.⁹ სახელმწიფოს უფლება, შეზღუდოს კონვენციის მე-9 მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული უფლება მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით, ეხება რელიგიის ან მრწამსის გამოვლინებას. ამდენად, სახელმწიფოს მხრიდან არ შეიძლება შეიზღუდოს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება, რელიგიის ან მრწამსის შეცვლის, ან მასზე უარის თქმის ჩათვლით.

2.2. ნეგატიური თავისუფლება (negative freedom)¹⁰

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი, ასევე, მოიცავს თავისუფლებას, პირმა არ განახორციელოს ან არ ჰქონდეს რელიგია („negative freedom“), რაც ნიშნავს პირის თავისუფლებას, არ მიეკუთვნებოდეს ამა თუ იმ რელიგიას და არ ეწოდეს რელიგიურ პრაქტიკას.¹¹ აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს არ შეუძლია, მოითხოვოს პირისგან ისეთი ქმედება, რომელიც საფუძვლიანად შეფასდება როგორც კონკრეტული რელიგიის მიმართ ერთგულება. მაგალითად, სასამართლომ კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევად მიიჩნია მოსარჩელეთა მიმართ კანონის ის მოთხოვნა, რომელიც დეპუტატის უფლებამოსილების ცნობის მიზნებისთვის სახარებაზე ფიცის დადების ვალდებულებას გულისხმობდა.¹² ბევრ ქვეყანაში ფიცის დადების ნაცვლად იყენებენ „დადასტურებას“, რაც საკმარისია იმ საჯარო თანამდებობაზე სამუშაოდ, რაზეც აუცილებელია ფიცის დადება.¹³

ნეგატიური ასპექტი რელიგიის თავისუფლებისა გულისხმობს, რომ არ შეიძლება პირის იძულება, გააცხადოს თავისი რელიგია ან მრწამსი. ევროპული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, რელიგიის ნეგატიური თავისუფლება მოიცავს უფლებას, რომ პირი არაა ვალდებული, გაამჟღავნოს საკუთარი რწმენა ან რელიგიური შეხედულებები, ან მიაწოდოს ინფორმაცია, საიდანაც შეიძლება გამოვლინდეს მისი რწმენა და რელიგიური შეხედულებები.¹⁴ ასევე, არ შეიძლება მათი იძულება, მიმართონ ისეთ ქცევას, რომელმაც შეიძლება გამოარკვიოს, აქვთ თუ არა მათ ამგვარი მრწამსი. სახელმწიფოს უფლება არ აქვს, ჩაერიოს პირის რელიგიურ თავისუფლებაში, მათი რწმენის შესახებ კითხვის დასმის გზით ან მათი იძულებით,

9 კოკინაკის საბერძნეთის წინააღმდეგ (*Kokkinakis v. Greece*).

10 C. Grabenwarter, *European Convention on Human Rights Commentary*, Munich, 2014, 239.

11 ალექსანდირის საბერძნეთის წინააღმდეგ (*Alexandiris v. Greece*), 2008 წლის 21 თებერვალი, 32-ე პუნქტი.

12 ბუსკარინი და სხვები სან-მარინოს წინააღმდეგ (*Buscarini and Others. V. San Marino*), 1999 წლის 18 თებერვალი, 39-ე პუნქტი.

13 B. Rainey, P. McCormick, C. Ovey, Jacobs, White and Ovey: *The European Convention on Human Rights*, 2017, 477.

14 2010 წლის 15 ივნისი, 87-ე პუნქტი.

გამოხატონ საკუთარი მრწამსი. როგორც აღინიშნა, ნეგატიურ ასპექტს ვხვდებით საქმეში – *გრზელაკი პოლონეთის წინააღმდეგ (Grzelak v. Poland)*,¹⁵ სადაც მოსარჩელემ გადაწყვიტა, არ მიეღო მონაწილეობა რელიგიური განათლების გაკვეთილებში, მას არ შესთავაზეს ალტერნატიული საშუალებები, შესაბამისად, დარჩა კლასში ნიშნების გარეშე. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო გასცდა თავის უფლებამოსილებას, რადგან მოსარჩელეს ჰქონდა უფლება, არ გამოეცვლინა თავისი რელიგია, კონვენციის მე-9 მუხლის მიხედვით.

2.3. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1-ელი მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, „თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასთვის უზრუნველყონ ამ კონვენციით განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები“. შესაბამისად, სახელმწიფოთა ნეგატიური ვალდებულება, თავი შეიკავონ მე-9 მუხლით გარანტირებულ უფლებებში ჩარევისგან, შეიძლება გაერთიანდეს ამ უფლებებისთვის დამახასიათებელ პოზიტიურ ვალდებულებებთან, მათ შორის, იმ შემთხვევებში, როდესაც სადავო ქმედებები განხორციელებულია კერძო პირების მიერ და, ამდენად, პირდაპირ დაკავშირებული არ არის მოპასუხე სახელმწიფოსთან.¹⁶

აღნიშნულ საკითხში უმნიშვნელოვანესია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიცია საქმეზე – *ოტო-პრემინგერის ინსტიტუტი ავსტრიის წინააღმდეგ (Otto-Preminger-Institut v. Austria)*,¹⁷ რომელშიც სასამართლომ აღნიშნა, რომ „რელიგიური სწავლებისა და მრწამსის უარყოფამ შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, თუ იგი ვერ უზრუნველყოფს მე-9 მუხლით გარანტირებული უფლებით მშვიდობიან სარგებლობას ყველასთვის, ვინც ემხრობა ამ სწავლებასა და მრწამსს“.

სახელმწიფოს შესაძლოა წარმოეშვას პასუხისმგებლობა მაშინ, როდესაც რელიგიური მრწამსის მიმართ წინააღმდეგობის გამოვლენა იმ ფორმით ხდება, რითაც იმ პირების მიერ სარგებლობას უშლის ხელს, ვინც ამგვარ მრწამსს აღიარებს. ასეთ შემთხვევებში, სახელმწიფო შესაძლოა, მოწოდებულ იქნეს, უზრუნველყოს ამ მრწამსების მიმდევარი პირებისთვის მე-9 მუხლით გარანტირებული უფლებებით მშვიდობიანი სარგებლობა. შეიძლება, სახელმწიფოს წინაშე არსებობდეს კონვენციის მე-9 მუხლით გარანტირებული უფლებების ეფექტური დაცვის გარკვეული პოზიტიური ვალდებულებები, რომლებიც ითხოვდეს ისეთი ზომების მიღებას, რაც რელიგიის თავისუფლების დაცვას კერძო პირთა შორის ურთიერთ-

¹⁵ იქვე.

¹⁶ აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება; სახელმძღვანელო; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის შესახებ, თბ, 2019 წელი, 24.

¹⁷ *ოტო-პრემინგერის ინსტიტუტი ავსტრიის წინააღმდეგ (Otto-Preminger-Institut v. Austria)*, 1994 წლის 20 სექტემბერი, 47-ე პუნქტი.

ბების სფეროშიც კი უზრუნველყოფს. ამგვარი ზომები, გარკვეულ გარემოებებში, შესაძლოა, მოიცავდეს სამართლებრივ საშუალებებს, რომლებიც კერძო პირებს ღვთისმსახურებისას სხვა პირთა მხრიდან ხელის შეშლისგან დაიცავს.¹⁸

სახელმწიფო ასევე ვალდებულია, დაიცვას პირები აგრესიული და უკანონო პროზელიტიზმისგან.¹⁹ სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი სახელმწიფოს როლს, როგორც მიუკერძოებელ და ნეიტრალურ მხარეს, რათა დაცული იყოს პირის რელიგიის, რწმენის, სინდისის თავისუფლება და მას ჰქონდეს აღნიშნულის განხორციელების საშუალება სიმშვიდეში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ჰარმონიული თანაცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში.

2.4. პროზელიტიზმი

რელიგიის გამოხატვის თავისუფლება, არსებითად, მოიცავს სხვა პირთა დარწმუნებისა და გადმობირების მცდელობის უფლებას, მაგალითად, „სწავლების“ საშუალებით, რომლის განხორციელების გარეშეც კონვენციის მე-9 მუხლით გათვალისწინებული „რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლება“ უსიცოცხლო ნორმად იქცეოდა. მიუხედავად ამისა, კონვენცია არ იცავს არაკეთილსინდისიერ პროზელიტიზმს, მაგალითად, ეკლესიაში ახალი წევრის მიღების მიზნით მატერიალური ან სოციალური სარგებლის შეთავაზებას ან არაკეთილსინდისიერი ზეწოლის გამოყენებას.

კონვენციის მე-9 მუხლსა და პროზელიტიზმთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესი საქმეა *კოკინაკისი საბერძნეთის წინააღმდეგ (Kokkinakis v. Greece)*. ამ საქმის მიხედვით, ბ-ნი და ქ-ნი კოკინაკისები იყვნენ იეჰოვას მოწმეები, რომლებიც ესტუმრნენ მართლმადიდებელი ქრისტიანების ოჯახს და მათთან გამართეს დისკუსია. პოლიციამ კოკინაკისები დააკავა პროზელიტიზმის ბრალდებით, რაც დასჯადი იყო საბერძნეთის კანონმდებლობით. ვინაიდან ეროვნულმა სასამართლომ არ დააზუსტა, რა უკანონო საშუალებები გამოიყენეს რელიგიური მრწამსის შესახებ დისკუსიის დროს,²⁰ ეროვნულმა სასამართლომ ვერ დაადგინა მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება, რაც მოითხოვდა ბ-ნი კოკინაკისის მსჯავრდებას. ევროპული სასამართლოს აზრით, მსჯავრდება არ იყო კანონიერი მიზნის პროპორციული, რადგან არ არსებობდა მტკიცებულება, რითაც დადგინდებოდა, რომ კოკინაკისებმა მიმართეს არაკანონიერ გზებს რელიგიურ რწმენაზე დისკუსიისას.²¹

18 *დუბოვსკა და სკუპი პოლონეთის წინააღმდეგ (Dubowska and Skup v. Poland)*, 1997 წლის 18 აპრილი.

19 პროზელიტიზმი – მისწრაფება თავის სარწმუნოებაზე სხვების მოქცევისაკენ, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, უცხო სიტყვათა ლექსიკონი: [<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=32949>].

20 M.Hill, *The Qualified Right to Freedom of Religion: an Examination of the Limitations Contained in Article 9 of the European Convention on Human Rights*, *Studia Z Prawa Wyznaniowego*, Tom 23, 2020, 77.

21 1993 წლის 25 მაისი, 31-ე პუნქტი.

ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი ამ შემთხვევაში არის სხვაობის იდენტიფიცირება კეთილსინდისიერ და არაკეთილსინდისიერ პროზელიტიზმს შორის. ყველა ადამიანს, ევროპული კონვენციის მე-9 მუხლით, აქვს გარანტირებული უფლება, ესაუბროს სხვებს თავის რწმენაზე, აღმსარებლობასა და რელიგიურ ხედვებზე, მოაქციოს ისინი თავის რელიგიაზე, თუმცა, როგორც ევროპული სასამართლო აღნიშნავს, ეს არ უნდა იყოს დაფუძნებული ზეწოლაზე, უკეთესი სოციალური პირობების შეთავაზებასა და სხვა არაკანონიერ საშუალებაზე.

ევროპულმა სასამართლომ უფრო დეტალური მიდგომა ჩამოაყალიბა საქმეში – *ლარისისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (Larisis and Others v. Greece)*,²² რომელშიც მოსარჩელები, სამხედრო საჰაერო ძალების მოქმედი ოფიცრები, სამხედრო სასამართლოს მიერ ბრალდებულ იქნენ პროზელიტიზმში რამდენიმე მათზე დაბალი ნოდების სამხედრო და, ასევე, არასამხედრო პირის მიმართ. სამხედრო ძალების ნევრთა გადმობირების მცდელობასთან მიმართებით ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გასაჩივრებული ბრალდებები არ არღვევდნენ მე-9 მუხლს. მოსამართლეების აზრით, სამხედრო ძალების შემადგენლობისთვის დამახასიათებელია იერარქიული სტრუქტურა. სუბორდინაციის გათვალისწინებით კი, აღნიშნული სტრუქტურა ართულებს ზემდგომი პირის მიმართ წინააღმდეგობის განევას. ამგვარად ის, რაც სამოქალაქო ცხოვრებაში აზრთა უწყინარ გაცვლა-გამოცვლად აღიქმება, სადაც მოსაუბრეს შეუძლია, მიიღოს ან უარყოს მეორე პირის აზრი, სამხედრო ცხოვრებაში შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დაუშვებელი ზეწოლა საკუთარი ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით. ამასთან, რელიგიურ ან სხვა დელიკატურ თემებზე ნებისმიერი დისკუსია სხვადასხვა ნოდების მქონე პირებს შორის არ ხდება ამ კატეგორიაში.²³ გარდა ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლების ბრალდება სამოქალაქო პირთა მიმართ პროზელიტიზმში, რომლებზეც მათ ზეწოლა ან იძულება არ განუხორციელებიათ, არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში და, ამდენად, დაირღვა კონვენციის მე-9 მუხლი.

2.5. ჯარში სავალდებულო განწვევა: უფლებაში ჩარევა თუ სახელმწიფოს უფლებამოსილება?

ჯარში სავალდებულო განწვევა ვნებათაღელვას იწვევს საზოგადოებაში. მნიშვნელოვანი პრობლემები წამოიჭრება, როდესაც უნდა დაბალანსდეს ორი საწინააღმდეგო ინტერესი – სახელმწიფომ შეიძლება მოითხოვოს მოქალაქისგან, მოიქცეს თავისი შეხედულებების საწინააღმდეგოდ, თუმცა სასწორის მეორე პინაზე დევს აშკარად სასარგებლო სოციალური მიზანი. სავალდებულო სამხედრო სამსახუ-

22 1998 წლის 24 თებერვალი.

23 B.Rainey, P.McCormick, C.Ovey, Jacobs, White and Ovey: *The European Convention on Human Rights*, 2017, 55.

რი ამის ნათელი მაგალითია, რადგან ზოგიერთ ხელშეშემკერელ სახელმწიფოში ის კვლავ აუცილებლად მიიჩნევა ეროვნული უსაფრთხოების დასაცავად მშვიდობიან დროსაც კი, მაშინ, როდესაც ბევრი პაციფისტი ამას მიუღებლად მიიჩნევს.²⁴

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა თავის 1987 წელს მიღებულ რეკომენდაციაში აღნიშნა, რომ „ნებისმიერ სამხედროვალდებულ პირს, რომელიც მრწამსის გამო უარს აცხადებს იარაღის გამოყენებაზე, აქვს უფლება, განთავისუფლდეს ასეთი სამსახურის გავლის ვალდებულებისგან, დადგენილი პირობების გათვალისწინებით. ასეთ პირებს შეიძლება დაეკისროთ ალტერნატიული სამსახურის შესრულება“.²⁵

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია მიემხრო მოსაზრებას, რომ კონვენცია არ აკისრებს სახელმწიფოებს ვალდებულებას, გაათავისუფლოს ეს პირები სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან. ამ საკითხზე ევროპულმა კომისიამ მოიშველია კონვენციის მე-4 მუხლის მე-3(ბ) პუნქტი, რომლის მიხედვით, იძულებით შრომად არ მიიჩნევა „სამხედრო ხასიათის ნებისმიერი სამსახური, ან სავალდებულო სამხედრო სამსახურის ნაცვლად დაკისრებული სამსახური იმ ქვეყნებში, სადაც შინაგანი მრწამსის გამო სამხედრო სამსახურზე უარის თქმა მართლზომიერადაა მიჩნეული“. ევროპულმა სასამართლომ არ მიიჩნია ევროპული კონვენციის დარღვევად შვეიცარიის მიერ შეფარდებული სისხლისამართლებრივი სასჯელი პირისადმი, რომელმაც ამ მიზეზით უარი განაცხადა სამხედრო სამსახურის გავლაზე.²⁶

აღსანიშნავია, რომ მრწამსის გამო სამხედრო სამსახურზე უარი არ ანიჭებს პირს უფლებას, გათავისუფლდეს სამოქალაქო სამსახურისგან. პირს შეიძლება დაეკისროს სამხედრო სამსახურის მაგივრად მისი გავლა, როგორც ალტერნატიული სამსახურისა. ამდენად, სახელმწიფო უფლებამოსილია, დაანესოს სამოქალაქო სამსახურის გავლა და პასუხისმგებლობა დააკისროს მათ, ვინც უარს აცხადებს, გაიაროს ეს სამსახური. საინტერესოა, რომ ევროპული კომისიის აზრით, სამხედრო სამსახურზე ორჯერ უფრო დიდი სამოქალაქო სამსახურიც კი არ ითვლება კონვენციის დარღვევად.²⁷

საინტერესოა გადანყვეტილება მიიღო ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *ბაიატიანი სომხეთის წინააღმდეგ (Bayatyan v. Armenia)*. საქმის მიხედვით, 17 წლის იეჰოვას მიწმე დააკავეს, რადგან უარი განაცხადა თავისი რელიგიური ხედვების გამო სავალდებულო სამხედრო სამსახურზე. იმ დროის-

²⁴ იქვე, 474.

²⁵ Recommendation No. R(87)8. See also Resolution No. 337 (1967) of the parliamentary Assembly of the Council of Europe and Recommendation 1518 (2001) on “Exercise of the Rights of Consciences Objections to Military Service in Council Europe Member States”.

²⁶ K.Korkelia, N.Mchedlidze, A.Nalbandov, COMPATIBILITY OF GEORGIAN LEGISLATION WITH THE STANDARDS OF THE EUROPEAN CONVENTION ON HUMAN RIGHTS AND ITS PROTOCOLS, 2003, 201.

²⁷ აუტოი ფინეთის წინააღმდეგ (*Autio v. Finland*), 1991 წლის 6 დეკემბერი.

თვის სომხეთში არ არსებობდა არანაირი ალტერნატიული სამოქალაქო სამსახური, რაც უფლებას მიცემდა მოსარჩელეს, ესარგებლა მისით. სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფოს ექსკლუზიური უფლებამოსილებაა, მოაწყოს სამხედრო სისტემა, თუმცა, ვინაიდან მოსარჩელისთვის არ შეუთავაზებიათ ალტერნატიული სამსახური, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა.²⁸

აქედან გამომდინარე, ჯარში სავალდებულო განვევის საკითხი ცალსახად სახელმწიფოს უფლებამოსილებაა, თუმცა აუცილებელია, სახელმწიფომ შესთავაზოს პირებს ალტერნატიული სამსახური, ვისთვისაც სამხედრო სამსახური წინააღმდეგობაში მოდის მის რწმენასა და რელიგიასთან.

2.6. კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი

შეუძლებელია მსჯელობა კონვენციის მე-9 მუხლზე, კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის განხილვის გარეშე. ამ მუხლით, გარანტირებულია განათლების უფლება, კერძოდ, სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს მშობლის უფლებას, უზრუნველყონ თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლებითა და სწავლებით.²⁹ განათლებისა და სწავლების სფეროში 1-ელი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი, კონვენციის მე-9 მუხლთან შედარებით, სპეციალური ნორმაა. ის გამოიყენება მაშინ, როდესაც სადავო საკითხია ხელშემკვრელი სახელმწიფოს ვალდებულება, ნებისმიერი ფუნქციის განხორციელებისას, რომელიც მათ განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებით აქვთ ნაკისრი, როგორც ამ მუხლის მეორე წინადადებაშია გადმოცემული, პატივი სცენ მშობლების უფლებას, საკუთარი შვილებისთვის უზრუნველყონ თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსებთან შესაბამისი განათლება და სწავლება.

სასამართლომ გადაწყვიტა, საქმეები განეხილა 1-ელი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან მიმართებით, მე-9 მუხლის გათვალისწინებით. მაგალითად, ლაუტსი იტალიის წინააღმდეგ (*Lautsi v. Italy*),³⁰ საქმე, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში ჯვარცმის სიმბოლოს არსებობას. გადაწყვეტილებაში სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ ზედმეტად დიდი თავისუფლება მისცა სახელმწიფოს, გადაეწყვიტა, იქნებოდა თუ არა ჯვარცმის სიმბოლო საკლასო ოთახებში. ამით დიდმა პალატამ შეცვალა პალატის გადაწყვეტილება, რომელმაც ჯვარცმის სიმბოლოს არსებობა საკლასო ოთახში გამოაცხადა შეუთავსებლად სეკულარიზმის პრინციპსა და კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან.³¹

28 2011 წლის 7 ივლისი.

29 *Guide on Article 2 of Protocol No. 1 to the European Convention on Human Rights*, CoE, 28 February, 2025.

30 2011 წლის 18 მარტი, დიდი პალატის გადაწყვეტილება.

31 ლაუტსი იტალიის წინააღმდეგ (*Lautsi v. Italy*), 2009 წლის 3 ნოემბერი, პალატის გადაწყვეტილება.

ზემოთ ნახსენებ საქმეში მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ირლვეოდა მისი უფლება, როგორც მშობლისა, რადგან მას არ სურდა, მისი შვილი ყოფილიყო რომელიმე რელიგიის გავლენის ქვეშ, საკლასო ოთახში ჯვარცმის სიმბოლო კი გარკვეულ გავლენას ახდენდა ბავშვზე. მშობლის უფლება კი, მიაწოდოს შვილს მისთვის სასურველი რელიგიური განათლება, დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით.

სასამართლოს ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი იყო, რომ მოსარჩელე, ქალბატონი ლაუტსი, ვერ ამტკიცებდა მის შვილზე ნეგატიურ გავლენას ჯვარცმის სიმბოლოს საკლასო ოთახში არსებობით.³² საინტერესოა, რითი უნდა დაემტკიცებინა მოსარჩელეს სიმბოლოს ნეგატიური გავლენა ბავშვზე. როგორც მოსამართლე ფაური თავის თანმხედრ აზრში წერს: „სიმბოლოები არიან მნიშვნელობის მატარებელი, ისინი შესაძლოა, იყვნენ ჩუმად, თუმცა ბევრი რამე თქვან“.³³ შესაბამისად, შეუძლებლად მიმჩნია იმის მტკიცება, თუ კონკრეტულად რა გავლენას ახდენს ესა თუ ის სიმბოლო ჩვენზე. სასამართლო მიემხრო იტალიის მთავრობის პოზიციას და ჯვარცმის სიმბოლო საკლასო ოთახში მიიჩნია „პასიურ სიმბოლოდ“,³⁴ რაც ცალსახად არასანორია.

2.7. რელიგიური სიმბოლო

დემოკრატიული საზოგადოება მხარს უნდა უჭერდეს რელიგიურ პლურალიზმსა და მრავალფეროვნებას. გარდა ამისა, პირს, რომელმაც რელიგია საკუთარი ცხოვრების მთავარ საფუძვლად აქცია, არსებითად, უნდა შეეძლოს სხვებთან ურთიერთობა ამ რწმენით, მათ შორის, რელიგიური სიმბოლოებისა და სამოსის ტარების გზით. მიუხედავად ამისა, რელიგიური სამოსისა და სიმბოლოების ტარების უფლება აბსოლუტური უფლება არ არის და ის უნდა ბალანსდებოდეს სხვა ფიზიკური პირებისა და სამართლის სუბიექტების ლეგიტიმური ინტერესების გათვალისწინებით.

სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიური სიმბოლოებისა და სამოსის ტარების მიმართ სასამართლო ყოველთვის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ სფეროში სახელმწიფოები შეფასების თავისუფლების ძალიან ვიწრო ფარგლებით სარგებლობენ.³⁵ საზოგადოებაში რელიგიის მნიშვნელობის შესახებ ევროპის მასშტაბით უნივერსალური კონცეფციის გამორჩევა შეუძლებელია, ხოლო რელიგიური რწმენის საჯარო გამოხატვის შინაარსი ან მისი გავლენა შეიძლება განსხვავდებოდეს დროისა და კონტექსტის მიხედვით. შესაბამისად, ამ

32 ლაუტსი იტალიის წინააღმდეგ (*Lautsi v. Italy*), 2011 წლის 18 მარტი, დიდი პალატის გადაწყვეტილება, 66.

33 იქვე, CONCURRING OPINION OF JUDGE POWER.

34 იქვე, 72.

35 აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება; სახელმძღვანელო; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის შესახებ, თბ, 2019 წელი, 43.

სფეროში არსებული რეგულაციებით ქვეყნები ერთმანეთისგან განსხვავდებიან მათი ეროვნული ტრადიციებისა და იმ მოთხოვნათა მიხედვით, რომლებიც სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის საჭიროებისთვისაა დადგენილი. აქედან გამომდინარე, ამ რეგულაციების ხარისხისა და ფორმების შერჩევის უფლება გარდაუვლად უნდა ენიჭებოდეს შესაბამის სახელმწიფოს, გარკვეულ დონემდე, რამდენადაც ის განსაკუთრებულ ეროვნულ კონტექსტზე იქნება დამოკიდებული.³⁶

საინტერესოა სასწავლო დანესებულების საკითხი. ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ სკოლა უნდა იყოს ობიექტური, პლურალისტური და კრიტიკული. ეს არ ნიშნავს, რომ რელიგიური განათლება აკრძალული უნდა იყოს – ის უნდა იყოს ისეთი, რომ მოსწავლეებს მოუწოდებდეს შემწყნარებლობისაკენ ერთმანეთის მიმართ. საკლასო ოთახები უნდა იყოს ადგილები, სადაც გონება თავისუფალ აზროვნებაზეა ორიენტირებული, რათა ყველა გახდეს სრულად რაციონალური და ავტონომიური ინდივიდი და მოქალაქე.³⁷ საქმეები, რომლებიც განხილულ იქნა სასამართლოს მიერ, ამ თვალსაზრისით, ორ კატეგორიად არის ჩამოყალიბებული, იმის მიხედვით, განმცხადებელი, რომელიც რელიგიური სამოსის ტარებას ითხოვდა, იყო მასწავლებელი თუ სტუდენტი (მოსწავლე).

სკოლა არის იერარქიულ სტრუქტურაზე დაფუძნებული. მასწავლებელს აქვს პოზიცია, რითაც შეუძლია, დიდი გავლენა მოახდინოს ბავშვის შეცვლასა და ჩამოყალიბებაზე. მოსარჩელე საქმეში – *დალაბი შვეიცარიის წინააღმდეგ (Dahlab v. Switzerland)*³⁸ – იყო სკოლის მასწავლებელი, რომელმაც ისლამის მიღების შემდგომ დაიწყო სკოლაში მისი რელიგიისთვის დამახასიათებელი თავსაბურავის ტარება. თუმცა არ არსებობდა მტკიცებულება იმისა, რომ მან მოსწავლეებთან რელიგიაზე ისაუბრა, სასამართლომ მიიჩნია, რომ გამართლებული იყო შვეიცარიის ხელისუფლების მხრიდან მისთვის სამსახურში ისლამური თავსაბურავის ტარების აკრძალვა, რაც შეესაბამება სკოლაში რელიგიური ნეიტრალიტეტის შენარჩუნების პოლიტიკას. სასამართლოს აზრით, მასწავლებლის მიერ რელიგიური თავსაბურავის ტარებას შეიძლება ჰქონოდა „პროპაგანდის ეფექტი“³⁹ მცირეწლოვან ბავშვებზე. გადანყვებილებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ ისლამური თავსაბურავის ტარება არის „ძლიერი გარეგანი სიმბოლო“, რაც რთულად შესათავსებელია შემწყნარებლობის, სხვათა პატივისცემისა და, ყველაზე მეტად, თანასწორობისა და არადისკრიმინაციულობის გზავნილთან, რომელსაც დემოკრატიულ საზოგადოებაში ყველა მასწავლებელი უნდა აწვდიდეს საკუთარ მოსწავლეებს.

36 *ლეილა საჰინი თურქეთის წინააღმდეგ (Leyla Sahin v. Turkey)*, 2005 წლის 10 ნოემბერი, 109.

37 L. Zucca, Lautsi: A Commentary on a decision by the ECtHR Grand Chamber, Oxford University Press and New York University School of Law, 2013, 219.

38 2001 წლის 15 თებერვალი.

39 B.Rainey, P.McCormick, C.Ovey, Jacobs, White and Ovey: The European Convention on Human Rights, 2017, 468.

საქმეზე, რომელიც ეხებოდა თურქეთის ერთ-ერთი სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტისთვის სასწავლო პროცესის დროს მუსლიმური თავსაბურავის ტარების აკრძალვას,⁴⁰ თურქეთის ისტორიული თავისებურებებისა და მისი განსაკუთრებული კონსტიტუციური სისტემის გათვალისწინებით, სასამართლომ ლეგიტიმურად ცნო შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ სეკულარიზმის პრინციპის დაცვის მიზნით გაწეული ძალისხმევა. ქვეყნებში, სადაც რამდენიმე რელიგია თანაარსებობს, შეიძლება საჭირო იყოს შეზღუდვის დანესება რელიგიის გამოხატვაში, რათა გათვალისწინებულ და უზრუნველყოფილ იქნეს განსხვავებული ჯგუფის ინტერესები და ყველას რწმენის თავისუფლება. სასამართლომ აღნიშნა, რომ სწორედ სეკულარიზმის პრინციპია, რაც საფუძვლად უდევს უნივერსიტეტებში რელიგიური სიმბოლოების ტარების აკრძალვის უმთავრეს მოსაზრებას. ასეთ კონტექსტში, სადაც პლურალიზმის ღირებულებები, სხვათა უფლებების პატივისცემა და, კერძოდ, კანონის წინაშე თანასწორობა ისწავლება და პრაქტიკაში გამოიყენება, გასაგებია, რომ შესაბამის ორგანოებს სურთ შესაბამისი დანესებულების სეკულარული ბუნების შენარჩუნება და ამიტომ რელიგიური სამოსის, მათ შორის, როგორც ამ შემთხვევაშია, ისლამური თავსაბურავის ტარების დაშვება ამ ღირებულებებთან შეუთავსებლად მიაჩნიათ.⁴¹

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება *ლეილა საჰინი თურქეთის წინააღმდეგ (Leyla Sahin v. Turkey)* შეიძლება გახდეს კრიტიკის ობიექტი სასამართლოს დასკვნის გამო, რომ პირის მიერ თავსაბურავის ტარება იყო სხვების ინდოქტრინაციის ფორმა.

2.8. სასწავლო დანესებულებაში რელიგიური სიმბოლოს შეზღუდვა: ლაუტისა და დალაბის საქმეთა შედარება

საინტერესოა ლაუტისა და დალაბის საქმეთა შედარება, რადგან, ერთი შეხედვით, მსგავს სიტუაციებში სასამართლომ რადიკალურად განსხვავებული გადაწყვეტილებები მიიღო. რა თქმა უნდა, რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული საქმეები ინდივიდუალურად უნდა იქნეს განხილული. სასამართლოს წინაშე სხვადასხვა კითხვა იყო დასმული ორივე საქმეში, ასევე მცირედით განსხვავდება მასწავლებლის მიერ თავსაბურავის ტარება და საჯარო სკოლებში ჯვარცმის სიმბოლოს არსებობა, თუმცა რელიგიური სიმბოლოს განმარტების კარდინალური ცვლილება არასწორია.

საქმეში – *ლაუტისი იტალიის წინააღმდეგ* – დიდმა პალატამ დაადგინა, რომ სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს სკოლის გარემო ნებისმიერი ზეწოლისგან, რამაც შეიძლება, ბავშვების ინდოქტრინაცია მოახდინოს. სწორედ ამ კონტექსტში ჩნდება კითხვა საკლასო ოთახში რელიგიური სიმბოლოების შესახებ:

⁴⁰ *ლეილა საჰინი თურქეთის წინააღმდეგ (Leyla Sahin v. Turkey)*, 2005 წლის 10 ნოემბერი.

⁴¹ იქვე, 116.

ახდენს თუ არა ჯვარცმა უარყოფით გავლენას მოსწავლეთა სასწავლო გარემოზე? იმის გათვალისწინებით, რომ სიმბოლოები თვალსაჩინოა და ისინი დაუყოვნებლივ გადმოსცემენ ძლიერ კუთვნილებისა და იდენტობის განცდას, ეჭვს იწვევს ფაქტი, რომ დიდ პალატისთვის ჯვარცმის სიმბოლოს არ აქვს დიდი გავლენა მოსწავლეებზე.⁴² სასამართლო მიუთითებს, რომ ჯვარცმის სიმბოლო არის პასიური.⁴³

გაუგებარია, რომ ჯვარცმა მხოლოდ პასიური სიმბოლოა. უპირველეს ყოვლისა, იმის მტკიცება, რომ „სიმბოლო პასიურია“, გულისხმობს, რომ უნდა არსებობდეს ასევე აქტიური სიმბოლოებიც. ეს ლოგიკას მოკლებულია, რადგან აქტიური სიმბოლოები არ არსებობს. არასწორია სიმბოლოების დაყოფა პასიურად და აქტიურად, რადგან ნებისმიერ სიმბოლოს აქვს დადებითი თუ უარყოფითი გავლენა საზოგადოებაზე. სასამართლო მიუთითებს, რომ არ შეიძლება, ჯვარცმის სიმბოლოს ჰქონდეს ისეთი გავლენა მოსწავლეებზე, როგორიც დიდაქტიკურ მეტყველებას ან რელიგიურ საქმიანობაში მონაწილეობას.⁴⁴ როგორც ჩანს, დიდი პალატა მიიჩნევს, რომ ვიზუალური ზეგავლენა უფრო მცირეა, ვიდრე მეტყველების ზეგავლენა.

პალატამ წინა გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ ჯვარცმა უნდა ჩაითვალოს „ძლიერ გარეგან სიმბოლოდ“. ასეთივე მტკიცებაა დაღაბის საქმეში, რომელშიც მასწავლებლის ისლამური შარფი ძლიერ გარეგან სიმბოლოდ ჩაითვადა და ამის საფუძველზე აიკრძალა. დიდი პალატა უარყოფს ანალოგიას დამაკმაყოფილებელი ახსნა-განმარტების გარეშე.

პროფ. რონჩი ასკვნის, რომ „პასიური სიმბოლოს უფრო მკაფიო განმარტების გარეშე სასამართლო განასხვავებს დაღაბისა და ლაუტისის საქმეებს, რითაც ქმნის ერთგვარ „ინდოქტრინაციის პრეზუმფციას“ ისლამური თავსაბურავისთვის, მაშინ როდესაც ჯვარცმა, მისი შინაგანი ბუნების გამო, როგორც პასიური სიმბოლო, შეიძლება განთავსდეს საჯარო ხელისუფლების მიერ იქ, სადაც მათ სურთ და ეს არასდროს ჩაითვლება ინდოქტრინაციის ფორმად.“⁴⁵

სასამართლოს განმარტებით, ისლამური თავსაბურავი ძლიერი გარეგანი სიმბოლოა, ხოლო ჯვარცმა პასიური სიმბოლოა. ამ მსჯელობიდან თითქმის იკვეთება განსხვავებული მოპყრობა სხვადასხვა სარწმუნოებას შორის. დაღაბის საქმეში თავსაბურავის აკრძალვა გამართლებული იყო, რადგან მიზანი მოსწავლეებისა და მათი მშობლების რელიგიური შეხედულებების დაცვა და სკოლებში კონფესიური ნეიტრალიტეტის პრინციპის გამოყენება იყო, რომელიც შიდა კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. ირონიულია, რომ სასამართლო იცავს მცირეწლოვან ბავშვებს არადომინანტური რელიგიის სიმბოლოსგან ნეიტრალიტეტის პრინციპ-

42 See Lorenzo Zucca, The Classroom as a Tolerance Lab, in Law, Religious Freedoms and Education in Europe.

43 ლაუტისი იტალიის წინააღმდეგ (*Lautsi v. Italy*), დიდი პალატის გადაწყვეტილება.

44 იქვე, 72.

45 P.Ronchi, Crucifixes, Margin of Appreciation and Consensus: the Grand Chamber ruling in *Lautsi v. Italy*, *Ecclesiastical Law Journal*, 2011.

ზე მითითებით, თუმცა იმავეს არ აკეთებს დომინანტური რელიგიის სიმბოლოს არსებობისას.

3. რელიგიის თავისუფლება საქართველოს კონტექსტში

საქართველო რელიგიის თავისუფლებისა და შემწყნარებლობის საუკუნოვანი ტრადიციების მქონე ქვეყანაა. ანტისემიტიზმი, რელიგიური დაპირისპირება ან რელიგიური სიძულვილი საქართველოში არასდროს ყოფილა ცნობილი. თბილისის ძველი ნაწილი, სადაც ქართული ეკლესია, სომხური ეკლესია, სინაგოგა, მეჩეთი, რუსული ეკლესია და კათოლიკური ეკლესია ახლოს მდებარეობს, ქვეყანაში რელიგიური ტოლერანტობის ტრადიციის კარგი მაგალითია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „რწმენის თავისუფლება წარმოადგენს რა ადამიანის პიროვნული განვითარებისა და ავტონომიის საყრდენს, იმავდროულად, განაპირობებს მთლიანად საზოგადოების არქიტექტურას, განსაზღვრავს მისი დემოკრატიულობის ხარისხს“.⁴⁶

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცულია რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება. ამ მუხლის 1-ელი პუნქტი აღმჭურველი ხასიათისაა, ის ყველას უდგენს უფლებას, ჰქონდეთ რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება. მე-2 პუნქტით დადგენილია 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვა, მას აქვს მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობა, რაც შეესაბამება დემოკრატიული საზოგადოების ფასეულობებს. მე-3 პუნქტით საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის გამო ადამიანის დევნას და დაუშვებლად მიიჩნევს პირის იძულებას, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.⁴⁷

საქართველო სეკულარული სახელმწიფოა, რაც გულისხმობს, რომ ხელისუფლება და ეკლესია ერთმანეთისგან გამიჯნულნი არიან, თუმცა საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებულია კონსტიტუციური შეთანხმება, ასეთი შეთანხმების დადება საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში, შეიძლება გამართლებული იყოს ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით. აღნიშნული არ უნდა იყოს აღქმული როგორც სეკულარიზმის იდეის უარყოფა. საქართველოს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობიდან გამომდინარე, სავსებით გასაგებია კონსტიტუციაში ამგვარი ჩანაწერის არსებობა. ამ შეთანხმებას საკმაოდ დიდი კრიტიკა მოჰყვა, როგორც ეროვ-

46 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/477 საქმეზე – საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

47 იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი.

ნულ, ისე საერთაშორისო ინსტიტუტებში.⁴⁸ შეთანხმება გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებს საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას. ის დააკმაყოფილებს ევროპული კონვენციის სტანდარტებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში არსებულ სხვა რელიგიებს დისკრიმინაციულად არ მოეპყრობიან. სხვა რელიგიებსაც უნდა მიენიჭოთ პრივილეგიები, რაც შეთანხმებით გარანტირებული აქვს მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიას. თუ სახელმწიფო სხვა რელიგიებს იმავე პრივილეგიებს ანიჭებს, რაც კონსტიტუციური შეთანხმებით ენიჭება საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისა და სხვა რელიგიების იდენტური (არადისკრიმინაციული) მოპყრობა სათანადოდ იქნება უზრუნველყოფილი.⁴⁹

ამრიგად, შეიძლება, გაკეთდეს დასკვნა, რომ დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის საფუძველზე სხვა რელიგიებს უნდა მიენიჭოთ იგივე პრივილეგიები, რაც კონსტიტუციური შეთანხმებით ენიჭება საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას.

3.1. ევროპული სასამართლოს პრაქტიკა საქართველოსთან მიმართებით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების კონტექსტში

საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტი საქართველოსთან მიმართებით, რომელიც სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების კონტექსტში დადგინდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ,⁵⁰ რომელშიც დაადგინა მე-9 მუხლის დარღვევა. ამ საქმეში 96 მოსარჩელეს, მათი რელიგიური მრწამსის გამო, რომელიც მიუღებლად ჩაითვალა, თავს დაესხნენ, დაამცირეს და მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა კონგრეგაციის შეკრების დროს, 1999 წლის 17 ოქტომბერს. მათ ჩამოართვეს რელიგიური ლიტერატურა, დაწვეს და აიძულეს, ეყურებინათ ცეცხლისათვის. ვინაიდან იეჰოვას მოწმეებს თავს დაესხნენ კერძო პირები, დადგინდა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევა. სასამართლომ მიიჩნია, რომ თავისი უმოქმედობით კომპეტენტურმა ორგანოებმა არ აღასრულეს თავიანთი ვალდებულება, გაეტარებინათ სათანადო ღონისძიებები, რათა მართლმადიდებელ ექსტრემისტთა ჯგუფს, მამა ბასილის ხელმძღვანელობით, გამოეჩინა შემწყნარებლობა მოსარჩელეთა

48 Comments on the draft of the Constitutional Agreement between the State of Georgia and the Orthodox Church of Georgia (by Mr Antonis Manitakis, Commission Expert). VENICE COMMISSION. CDL (2001) 64. 28.06.2001.

49 K.Korkelia, N.Mchedlidze, A.Nalbandov, COMPATIBILITY OF GEORGIAN LEGISLATION WITH THE STANDARDS OF THE EUROPEAN CONVENTION ON HUMAN RIGHTS AND ITS PROTOCOLS, 2003, 207.

50 გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ (*Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others v. Georgia*), 2007 წლის 3 მაისი, 129-ე, 130-ე, 133-ე, 134-ე, 135-ე პუნქტები.

რელიგიური გაერთიანების მიმართ და მიეცა მათთვის რელიგიის თავისუფლების უფლებით სარგებლობის საშუალება.⁵¹

საქმეში – *ბელელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Begheluri and Others v. Georgia)*,⁵² – განმცხადებლების მტკიცებით, მათ თავს დაესხნენ და დამცირეს, ზოგიერთ მათგანს კი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მათი, როგორც იეპოვას მოწმეების, რელიგიური შეხედულებების გამო. ისინი ამტკიცებდნენ, რომ შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა ვერ შეძლეს, დაეცვათ ძალადობისგან, რამაც ხელი შეუშალა მათ, თავისუფლად აღესრულებინათ თავიანთი რელიგია. სასამართლომ სახელმწიფოს უმოქმედობა მიიჩნია დარღვევად, რადგან სახელმწიფოს მოვალეობა იყო, შეესრულებინა თავისი პოზიტიური ვალდებულება არა მხოლოდ იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქვეყანაში ყოფილიყო შესაბამისი სამართლებრივი ბაზა რელიგიის თავისუფლების დასაცავად, არამედ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იმის უზრუნველყოფის მიზნით, რომ ამ უფლების განსახორციელებლად საჭირო ზომები ყოფილიყო მიღებული.⁵³

3.2. სახალხო დამცველის ანგარიში

საქართველოს სახალხო დამცველი ყოველწლიურად ამზადებს ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, სადაც აღწერილია კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული გამოწვევები და პროგრესი. როგორც სახალხო დამცველის ანგარიშში აისახა, რწმენისა და რელიგიის თავისუფლების კუთხით არ იკვეთება პროგრესი წინა წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მხრივ.⁵⁴

ანგარიშში ერთ-ერთ მთავარ პრობლემად იკვეთება ახალი თავდაცვის კოდექსი, რომელიც 2025 წლის პირველ იანვარს სრულად ამოქმედდა. აღნიშნულ კოდექსზე კრიტიკული შეხედულება აქვს როგორც სახალხო დამცველს, ისე ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტსა და საზოგადოების ნაწილს. რელიგიის თავისუფლების ჩრილში, კოდექსის⁵⁵ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე ის არის, რომ სასულიერო პირებს აღარ გადაუვადდებათ წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევა,⁵⁶ როგორც ეს მანამდე იყო გათვალისწინებული და ამის ნაცვლად გაიწვევიან არასამხედრო, შრომით სამსახურში.⁵⁷ ამავე დროს,

51 იქვე, 134-ე პუნქტი.

52 *ბელელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Begheluri and others v. Georgia)*, 2014 წლის 7 ოქტომბერი.

53 იქვე, 164-ე, 165-ე პუნქტები.

54 იხ. სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2024, მე-13 თავი.

55 საქართველოს თავდაცვის კოდექსი, შეგიძლიათ იხილოთ: [<https://matsne.gov.ge/document/view/5916285?publication=8>]

56 იქვე, ამოქმედდა 2025 წლის 1-ელი იანვრიდან.

57 „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

„საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმებით, გათვალისწინებულია, რომ მართლმადიდებელი სასულიერო პირები თავისუფლდებიან სამხედრო ვალდებულებისაგან.⁵⁸

3.2.1. აღმსარებლობის შესახებ ჩანაწერი თავდაცვის კოდექსში

საქართველოს თავდაცვის კოდექსმა შემოიღო ახალი რეგულაცია (კოდექსის 97-ე მუხლის მე-5 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტი), რომლის მიხედვით, სამოხილზაციო რეზერვის აღრიცხვის მიზნით, სამოხილზაციო რეზერვის ელექტრონულ სისტემაში შეიტანება ისეთი განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები, როგორებიცაა ადამიანის რწმენა და აღმსარებლობა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, კონვენციით დაცული რწმენისა და რელიგიის თავისუფლება სახელმწიფოს აკისრებს ნეგატიურ ვალდებულებას, არ აიძულოს ინდივიდი, გაასაჯაროს ინფორმაცია თავისი აღმსარებლობის შესახებ ან განახორციელოს რაიმე ქმედება, რომლის შედეგადაც დადგინდება, რომ იგი რომელიმე აღმსარებლობის მიმდევარია.⁵⁹ ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ ოფიციალურ დოკუმენტში აღმსარებლობის შესახებ ჩანაწერის არსებობა, რომლის შევსება შეიძლება, ნებაყოფლობითი კი იყოს, შეუსაბამოა კონვენციით დაცულ რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებასთან.⁶⁰ შესაბამისად, აღმსარებლობის შესახებ მონაცემთა დამუშავების დროს სახელმწიფოს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია, დაასაბუთოს ჩარევის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ეროვნულ თუ საერთაშორისო სტანდარტებთან. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა სთხოვა თავდაცვის სამინისტროს, დაეზუსტებინა ლეგიტიმური მიზნები, რომლებითაც ხელმძღვანელობდა ზემოაღნიშნული ცვლილებების შემუშავებისას. სახალხო დამცველის აპარატის შეფასებით, სამინისტროს პასუხები ბუნდოვანია და არ იძლევა შესაძლებლობას, შეფასდეს, რამდენად საკმარისი და პროპორციულია სახელმწიფოს მიერ მოხმობილი არგუმენტები პირთა რწმენისა და რელიგიის თავისუფლებაში ჩარევის გასამართლებლად.⁶¹

საკმარისი საფუძველია მტკიცებისათვის, რომ საქართველოს თავდაცვის კოდექსის 97-ე მუხლის მე-5 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტი წინააღმდეგობაში მოდის როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკასთან, ისე საქართველოს კონსტიტუციასთან. კერძოდ, საქართველოს კონ-

58 იხ. „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმების მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.

59 ალექსანდირისი საბერძნეთის წინააღმდეგ (*Alexandiris v. Greece*), 38-ე პუნქტი.

60 ისიკი თურქეთის წინააღმდეგ (*İSİK v. TURKEY*), 2010 წლის 2 თებერვალი, 51-ე-53-ე პუნქტები.

61 სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2024, 219.

სტიტუციის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტით გარანტირებულია, რომ დაუშვებელია პირის იძულება, გამოთქვას მოსაზრება რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის შესახებ. კოდექსის ჩანაწერი, რომელიც პირს ავალდებულებს აღმსარებლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციის მე-16 მუხლთან და ახდენს უფლებაში გაუმართლებელ ჩარევას.

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, არაერთ საქმეში დადგინდა დარღვევა მსგავს ჩანაწერზე, როდესაც პირს აიძულებდნენ, მიეწოდებინა ინფორმაცია მისი აღმსარებლობის შესახებ. არათუ იძულებით, ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, კონვენციით ნაკისრი ვალდებულების დარღვევა მოხდება მაშინაც, თუ ასეთი ჩანაწერი არის ნებაყოფლობითი; ასევე, საქმეში – ბუსკარინი და სხვები სან-მარინოს წინააღმდეგ (*Buscarini and Others v. San Marino*) – სასამართლოს მიერ რელიგიური ფიცის დადება საჯარო სამსახურში მიჩნეულ იქნა დარღვევად,⁶² რაც კიდევ უფრო ამყარებს არგუმენტს, რომ თავდაცვის კოდექსის ჩანაწერი, რომელიც პირებს ავალდებულებს, ინფორმაცია მიანოდონ მათი აღმსარებლობის შესახებ, არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს, ეწინააღმდეგება სტრასბურგის სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტს.

როგორც სტატიაში აღინიშნა, სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემოღება სახელმწიფოს უფლებამოსილებაა. თავდაცვის კოდექსი ითვალისწინებს არასამხედრო ალტერნატიულ სამსახურს მათთვის, ვისთვისაც რელიგიასთან შეუთავსებელია სამხედრო სამსახური, რაც შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტს. არასამთავრობო ორგანიზაცია „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის“ ყოველწლიურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ არამართლმადიდებელი სასულიერო პირებისთვის გაუქმდა სამხედრო სამსახურის გადავადების შესაძლებლობა, რაც ადგენს დისკრიმინაციულ მოპყრობას.⁶³ ეს მიდგომა უნდა შეიცვალოს, რათა თანხვედრაში იყოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტსა და საქართველოს კონსტიტუციასთან, ან უნდა გაუქმდეს საქართველოს თავდაცვის კოდექსის 97-ე მუხლის მე-5 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტი.

3.3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება საქმეზე – საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

რელიგიის თავისუფლების მიმართ საქართველოში სასამართლო პრაქტიკა არ არის მრავალფეროვანი. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოში სულ რამდენი-

62 1999 წლის 18 თებერვალი.

63 რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2024, 30.

მე საქმეა, რომელზეც არსებითად დამტკიცდა პრაქტიკა ამ უფლებასთან მიმართებით. ერთ-ერთი საქმე ეხებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურს, რომელიც გასაჩივრდა საქართველოს სახალხო დამცველის მიერ. ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლო არ იდგა რწმენის თავისუფლების სრულყოფილი განმარტების საჭიროების წინაშე. სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში მას უნდა გადაეწყვიტა საკითხი მხოლოდ იმის თაობაზე, განეკუთვნება თუ არა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა, რაც ნიშნავს, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, საკუთარი რწმენის, რელიგიური თუ სხვა შეხედულებების შესაბამისად, უარი თქვას სამხედრო სამსახურზე და ის ალტერნატიული (არასამხედრო) პრომითი სამსახურით შეცვალოს, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით გარანტირებული რწმენის თავისუფლებით დაცულ სფეროს.

სანამ უშუალოდ საქმის გარემოებები განიხილება, მიზანშეწონილია მსჯელობა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების განმარტებაზე.⁶⁴ აღნიშნულ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს, რომ რწმენის თავისუფლება ადამიანის თვითგამორკვევის საწყისი და საფუძველია. ყველა სხვა უფლების მსგავსად, ეს თავისუფლებაც ადამიანის ღირსების პატივისცემის გამოხატულებაა. ადამიანის ღირსება და პიროვნული თავისუფლება მის ძირითად უფლებებში, მათ ადეკვატურ დაცვასა და სრულად განხორციელებაში გამოიხატება.⁶⁵ რწმენის თავისუფლება გულისხმობს ადამიანის შინაგან თავისუფლებას, დამოუკიდებლად, თავად განსაზღვროს საკუთარი რელიგიური, მსოფლმხედველობრივი თუ მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით განვითარების მიმართულებები, პრიორიტეტები, ჩამოყალიბდეს მათ შესაბამისად, საზოგადოებაში იცხოვროს ინდივიდუალური თვითრეალიზაციის შესაძლებლობით და ამ განცდით იპოვოს საკუთარი თავი. რწმენის თავისუფლება ერთგვარად მსოფლმხედველობის თავისუფლებაა, რადგან შესაძლებლობა, იცხოვრო და განვითარდე საკუთარი ინტერესების, სურვილის, გემოვნების, შესაბამისად, ქმნის ადამიანის „მე“-ს, მის შინაარსს, პიროვნებას, განსაზღვრავს მის დანიშნულებას პირად, კერძო გარემოცვასა თუ საზოგადოებაში, ორიენტაციას აძლევს მის ცხოვრებას.⁶⁶

ზემოაღნიშნული საქმე ეხებოდა „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს თითოეული მოქალაქის მოვალეობას, ამ კანონით დადგენილი წესით

64 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება N11/477 საქმეზე – საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

65 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/407 საქმეზე – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

66 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება N11/477 საქმეზე – საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, მე-4, მე-5, მე-6 პუნქტები.

გაეცვლოთ სამხედრო სარეზერვო სამსახური. მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ სადავო ნორმით არ იყო უზრუნველყოფილი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის საფუძვლით სამხედრო სარეზერვო სამსახურიდან გათავისუფლება. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ სარეზერვო სამსახური მოიცავდა საბრძოლო მომზადების ეტაპს. აქედან გამომდინარე, პირებს, რომელთაც ევალებათ სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლა, შეიძლება, მათი რელიგიური თუ არარელიგიური მრწამსიდან გამომდინარე, წარმოეშვათ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა ასეთი სამსახურის მიმართ.

საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა, იყო თუ არა დაცული კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რელიგიის თავისუფლებით. კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის წარმოშობის საფუძველია ადამიანის რწმენა, რომელიც მას უკრძალავს ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას. შესაბამისად, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირები, როგორც წესი, უარყოფენ იარაღით ხელში სამსახურს ომისა და მშვიდობის დროს, რადგან ომი გარდაუვლად გულისხმობს ძალის გამოყენებას, ადამიანის სიცოცხლის მოსპობას. იმავდროულად, მათი აზრით, სამხედრო სამსახური ემსახურება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას და პოტენციურად თავდაცვითი ომისთვის მზადებასაც ნიშნავს. მაშასადამე, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა გულისხმობს არა მხოლოდ საომარი მდგომარეობისას, არამედ მშვიდობიანობის პერიოდში სამხედრო სამსახურის გავლაზე უარის თქმასაც.⁶⁷ მიუხედავად ამისა, რწმენა და შეხედულებები, რომლებიც არის კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის საფუძველი, არ არის აუცილებელი, იყოს რელიგიური ხასიათის. ამის მაგალითია პაციფიზმი, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ რწმენად იქნა აღიარებული მაშინაც, როდესაც ის გარკვეულ რელიგიას არ უკავშირდება.⁶⁸ საკონსტიტუციო სასამართლომ მსჯელობისას მოიხმო საქმე *ბაიატიანი სომხეთის წინააღმდეგ (Bayatyan v. Armenia)*.⁶⁹ სასამართლო მიემხრო მოსაზრებას, რომ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა დაცული იყო საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით.⁷⁰

სასამართლომ დაადგინა, რომ სამხედრო სარეზერვო სამსახური თავისი შინაარსით უტოლდებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურს, რის გამოც ის, სამხედრო სამსახურის მსგავსად, პოტენციურად წარმოშობს ლეგიტიმურ საფუძველებს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობისათვის. საქართველოს იმდროინდელი კანონმდებლობა გამორიცხავდა რეზერვში გასაწევ პირთა ან სარეზერვო სამსახურში

67 იქვე, მე-16 პუნქტი.

68 *აროუსმიტი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ (Arrowsmith v. United Kingdom)*, კომისიის მოხსენება, 1978 წლის 10 ოქტომბერი, 69-ე პუნქტი. ევროპული კონვენციის საზედამხედველო სისტემის რეფორმამდე საჩივართა დასაშვებობას განიხილავდა ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია, რომელიც ინდივიდუალურ განაცხადებს იღებდა.

69 2011 წლის 7 ივლისი.

70 2011 წელს მოქმედი საქართველოს კონსტიტუციით, რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებას იცავდა კონსტიტუციის მე-19 მუხლი, დღეს მოქმედი კონსტიტუციით კი ეს უფლება დაცულია მე-16 მუხლით.

მყოფთა შესაძლებლობას, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, მოითხოვონ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური. შესაბამისად, სადავო ნორმით ხდებოდა რწმენის თავისუფლებაში ჩარევა. რაც შეეხება სადავო ნორმის ლეგიტიმურ მიზანს, საკონსტიტუციო სასამართლო თავის მსჯელობაში მიუთითებს: „სამხედრო სარეზერვო სამსახურში კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირთა განწვევა უდავოდ წარმოადგენს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გზას, მაგრამ ის ვერ უზრუნველყოფს ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსის მიღწევას, რადგან წარმოადგენს რწმენის თავისუფლებაში გაუმართლებლად მძიმე ჩარევას, ჩარევის ყველაზე მძიმე ფორმას, რომელიც პრაქტიკულად უფლებით სარგებლობის შეუძლებლობას უტოლდება, მაშინ როდესაც იმავე მიზნების მიღწევა შესაძლებელია უფლებაში ნაკლებად ჩარევის გზით.“⁷¹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა დარღვევა კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის იმ ნორმატიულ შინაარსთან დაკავშირებით, რომელიც სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოხდის მოვალეობას ადგენდა პირთა მიმართ, ვინც რწმენის თავისუფლების მოტივით უარს აცხადებენ სამხედრო სარეზერვო სამსახურზე.

ეს გადაწყვეტილება იყო პრეცედენტული საქართველოს საკონსტიტუციო პრაქტიკაში. საკონსტიტუციო სასამართლომ კარგად გაართვა თავი ამ ტესტს და დაადგინა პრაქტიკა როგორც რელიგიის თავისუფლების განმარტების მხრივ, ისე სავალდებულო სამხედრო სამსახურისა და კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის დაბალანსების მხრივ, რაც სრულ თანხვედრაშია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტთან. საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაზე მსჯელობისას სწორად გამოიყენა საქმე *ბაიატიანი სომხეთის წინააღმდეგ (Bayatyan v. Armenia)*, რადგან ეს ორი საქმე შინაარსობრივად მსგავსია.

3.4. სამშენებლო ნებართვის მოპოვების პრობლემა

როგორც აღინიშნა, რელიგიის უფლება შეიძლება განხორციელდეს კოლექტიურად. სახელმწიფო ვალდებულია, ადამიანებს შეუქმნას სათანადო პირობები, რათა მათ შეძლონ თავიანთი უფლების განხორციელება. პლურალისტურ, დემოკრატიულ საზოგადოებებში სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები თანაარსებობენ მშვიდად, ყველას აქვს საკუთარი სალოცავი, სადაც შეძლებენ, აღავლინონ თავიანთი რელიგიური რიტუალები. საქართველოშიც მრავლად არიან არადომინანტური რელიგიის წარმომადგენლები და ასევე მრავლადაა ეკლესიები, სადაც ისინი შეძლებენ ლოცვას. მიუხედავად ამისა, უკვე წლებია, გადაუჭრელ პრობლემად რჩება ქალაქ ბათუმში მუსლიმი მოსახლეობისთვის მეჩეთის აშენების სამშე-

71 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება N11/1/477 საქმეზე – საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, მე-60 პუნქტი.

ნებლო ნებართვის გაცემა. როგორც ქ. ბათუმის მერია, ისე სასამართლოები აჭიანურებენ ამ პროცესს, რის შედეგადაც ქ. ბათუმში მუსლიმი მოსახლეობისთვის არ არის ხელმისაწვდომი სათანადო პირობები, რათა აღავლინონ ლოცვა.

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის ანგარიშის მიხედვით, არაერთი უშედეგო დაპირების შემდეგ, „ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფმა“ 2016 წელს 12 000-ზე მეტი მოქალაქის ხელმოწერა შეაგროვა და მეჩეთისათვის მიწის გამოყოფის თხოვნით აჭარის მთავრობას, ბათუმის მერიასა და საქართველოს მთავრობას მიმართა, თუმცა არც ადგილობრივ და არც ცენტრალურ ხელისუფლებას ამ საკითხთან დაკავშირებით შემხვედრი ნაბიჯები არ გადაუდგამს და კონკრეტული გადაწყვეტილებები არ მიუღია.⁷² „ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდმა“ საკუთარი სახსრებით მიწის ნაკვეთი შეისყიდა და მეჩეთის მშენებლობის ნებართვის მოთხოვნით 2017 წელს ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიმართა. მუსლიმ თემს ადგილობრივმა თვითმმართველობამ უარი განუცხადა მშენებლობის ნებართვის გაცემაზე. 2017 წლის ივნისში მუსლიმთა საინიციატივო ჯგუფმა გადაწყვეტილება ბათუმის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა.⁷³ ქ. ბათუმის მერიის გადაწყვეტილების კანონიერება შეისწავლა სახალხო დამცველმა და დაადგინა, რომ გადაწყვეტილება საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევისა და სათანადო დასაბუთების გარეშე იყო მიღებული.⁷⁴ ბათუმში მუსლიმების სალოცავი სივრცის პრობლემა და სახელმწიფო პოლიტიკა კრიტიკულადაა შეფასებული საერთაშორისო ანგარიშებშიც.⁷⁵

ბათუმის საქალაქო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით⁷⁶ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნები, კერძოდ, სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაცია, ბათილად ცნო ბათუმის მერიის გადაწყვეტილება მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის გაცემაზე უარის შესახებ და საქმე ხელახლა განსახილველად ბათუმის მერიას დაუბრუნა, თუმცა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელე მხარის მოთხოვნა, პირდაპირ დავალებოდა ბათუმის მერიას მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის დაკმაყოფილების შესახებ აქტის გამოცემა. მისასალმებელია, რომ სასამართლომ დისკრიმინაციულად შეაფასა მერიის გადაწყვეტილება. უთანასწორო მოპყრობას საფუძვლად უდევს ფაქტი, რომ იმავე საცხოვრებელ ზონაში შვიდი მართლმადიდებლური ეკლესიაა აშენებული, მათ შორის რამდენიმე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწაზე. მოსამართლემ აღნიშნა, რომ მერიის მიდგომა ორი სხვადასხვა რელიგიური ჯგუფის მიმართ უთანასწოროა.

72 ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, სასამართლომ ბათუმის მეჩეთის საქმეზე დისკრიმინაცია დაადგინა, სიახლეები: [<https://tdi.ge/ge/news/732-sasamartlom-batumis-mechetis-sakmeze-diskriminacia-daadgina>].

73 იქვე.

74 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2018, 150.

75 იხ. 2018 Report on International Religious Freedom: Georgia, U.S. Department of State.

76 იხ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, 2019 წლის 30 სექტემბერი.

საქმის ამგვარ გადაწყვეტას არ დაეთანხმა ქ. ბათუმის მერია, რომელმაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა გადაწყვეტილება. ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდმა კი გადაწყვეტილება გაასაჩივრა იმ ნაწილში, რომლითაც ბათუმის მერიას მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის დაკმაყოფილების საკითხი ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა. ფონდის სააპელაციო მოთხოვნა, იყო, რომ სასამართლოს პირდაპირ დაევალებინა მერიისთვის მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის დაკმაყოფილება, რის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა განგრძობადი დისკრიმინაციული მოპყრობის აღმოფხვრა.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა დამატებითი მტკიცებულებები წარადგინეს. კერძოდ, სასამართლოს დაევალებით, ბათუმის მერიამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლის თანახმად, 2012 წლის შემდგომ ბათუმის მერიაში საცხოვრებელი ზონა 6-ში საკულტო ნაგებობების მშენებლობის შესახებ არცერთი განცხადება არ შესულა და, შესაბამისად, არც განხილულა, გარდა ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდის განცხადებისა. თავის მხრივ, ბათუმის ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდმა წარადგინა მტკიცებულებები, თუ როგორ შენდებოდა და შენდება ბათუმში საცხოვრებელი ზონა 6-ში 2012 წლის შემდგომ მართლმადიდებლური ეკლესიები, ისე, რომ ბათუმის მერიის მხრიდან არავითარი საჯარო მმართველობითი ღონისძიება, არც სანებართვო და არც სანქციის ხასიათის, ამ მშენებლობათა მიმართ არ ხორციელდება.⁷⁷

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ბათუმის საქალაქო სასამართლოს შეფასება ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის გაცემაზე ბათუმის მერიის უარის უკანონობისა და რელიგიის ნიშნით მოსარჩელეების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენის შესახებ.⁷⁸

საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები ცალსახად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა, რომელიც წლების განმავლობაში მუსლიმი თემის რელიგიის თავისუფლების ხელყოფის დისკრიმინაციულ პრაქტიკას აღიარებს და მათი უფლებებისა და ღირსების აღდგენის სამართლებრივ წინაპირობებს ქმნის, თუმცა აღსანიშნავია, რომ საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს მუსლიმების მოთხოვნა, საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ნაცვლად, პირდაპირ დაევალებინა ბათუმის მერიისთვის მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის დაკმაყოფილება.

ქ. ბათუმის მერიამ გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა, რასაც მოჰყვა საკასაციო საჩივარი ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდის მიერაც, რითაც ბათუმის მერიისთვის მშენებლობის ნებართვის გაცემის პირდაპირ დაავალდებულებას ითხოვდა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ნაწილობ-

77 ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, მეჩეთის მშენებლობაზე უარი უკანონო და დისკრიმინაციულია, სიახლეები: [<https://tdi.ge/ge/news/929-mechetis-msheneblo-baze-uari-ukanono-da-diskriminaciulia-saapelacio-sasamartlo>].

78 იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 2021 წლის 13 აპრილი.

რიც დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი. მან გაიზიარა ფონდის არგუმენტი, რომ, რადგან სააპელაციო სასამართლომ დისკრიმინაცია დაადგინა, დისკრიმინაციის შედეგის აღმოფხვრის მიზნით მას არსებითად საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა საკითხი და მერიისთვის აღარ უნდა დაებრუნებინა. მიუხედავად ამისა, უზენაესმა სასამართლომ არ დაავალა მერს მშენებლობის ნებართვის გაცემა და საქმე სააპელაციო სასამართლოში დააბრუნა ხელახლა განსახილველად. უზენაესმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ბათუმის მერიის საკასაციო საჩივარიც, კერძოდ, სასამართლომ განმარტა, რომ მუსლიმების მიმართ დისკრიმინაცია არ მომხდარა, რადგან ბათუმის მერიას „საცხოვრებელ ზონა 6-ში“ (ზონა, რომელშიც მდებარეობს ახალი მეჩეთის მიწის ნაკვეთი) მართლმადიდებლური ტაძრების მშენებლობის ნებართვა არ გაუცია, ისინი უნებართვოდ არის აშენებული. ვინაიდან მართლმადიდებლური ტაძრების მშენებლობაზე არ ფიქსირდებოდა ბათუმის მერიისათვის მიმართვის ფაქტი, სასამართლომ ეს მოცემულობა არ ჩათვალა საკმარისად ამ ორი ჯგუფის შედარებისათვის დისკრიმინაციის გამოსაკვეთად. უზენაესი სასამართლო ვინაობა დაეყრდნო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებებს, რომელთა მიხედვითაც, საქმის გარემოებათა იდენტიფიკაციის შემთხვევაში, დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ბევრ სადავო და ურთიერთინააღმდეგობრივ დასაბუთებასა და განმარტებას შეიცავს. სასამართლოს განმარტებები დისკრიმინაციასთან დაკავშირებით მანკიერ პრაქტიკას ამკვიდრებს არა მხოლოდ მუსლიმთა უფლებების, არამედ, ზოგადად, თანასწორობის პრინციპის უზრუნველყოფის კუთხით, რაც მომავალში საზიანო იქნება ზოგადად ამ კუთხით ქვეყანაში არსებული უფლებრივი მდგომარეობისათვის. მაგალითად, სასამართლომ აღნიშნა, რომ მართლმადიდებელი ეკლესია და მუსლიმები კი არიან არსებითად თანასწორნი, მაგრამ მათ მიმართ უთანასწორო მოპყრობა არ ყოფილა, რადგან მართლმადიდებელ ეკლესიაზე არასდროს გაცემულა ზონალური შეთანხმება „საცხოვრებელ ზონა 6-ში“ ტაძრის აშენებისთვის და ეკლესიას არც არასდროს მიუმართავს მერიისთვის ამ მოთხოვნით. ამგვარი მსჯელობით უზენაესმა სასამართლომ სრულიად ჩამოაშორა საქმეს ის კონტექსტი, რომ მხოლოდ ფორმალურად ნებართვის გაცემა არ ქმნის დისკრიმინაციის შემადგენლობას, არამედ ერთი რელიგიური გაერთიანებისთვის მშენებლობის ნებართვის მოთხოვნა, ხოლო სხვა გაერთიანების მიერ მშენებლობის უნებართვო განხორციელების იგნორირება იწვევს დისკრიმინაციულ მიდგომას.⁷⁹

საკუთარი მსჯელობის გასამყარებლად უზენაესმა სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კონკრეტული გადაწყვეტილებებიც მოიპოვა.

⁷⁹ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, განცხადება, ბათუმის ახალი მეჩეთის საქმე, 2023 წლის 28 ივნისი.

ველია, რომლებიც, დიდწილად, არასწორი კონტექსტითა და მოცემული საქმისთვის სრულიად შეუსაბამოდ, ადამიანის უფლებათა სტანდარტის დაკნინების გზით არის გამოყენებული. ნიშანდობლივია, რომ უზენაეს სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, საკუთარი პოზიციის გამყარების მიზნით, მოჰყავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – „*Community of Jehovah’s Witnesses of Kryvyi Rih’s Ternivsky District v. Ukraine*“. ამ გადაწყვეტილების 51-ე პუნქტში ევროპული სასამართლო მართლაც უთითებს, რომ უკონტროლო ურბანული განვითარების პრევენციის მიზნით ქალაქგეგმარებითი პოლიტიკის გატარებისას სახელმწიფოები სარგებლობენ შეხედულების ფართო ფარგლებით. ამასთანავე, ეს პუნქტი ბლანკეტურია და ამისამართებს გადაწყვეტილების 54-ე პუნქტთან, რომლის მიხედვითაც, ევროპულმა სასამართლომ არამართებულად მიიჩნია იეჰოვას მოწმეებისათვის სალოცავის მშენებლობის ნებართვაზე უარის თქმა და დაადგინა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა. სასამართლომ განსაზღვრა, რომ სახელმწიფო ორგანოების უარი სალოცავის მშენებლობის ნებართვის შესახებ მყარად უნდა იქნეს დასაბუთებული, რაც დაადასტურებს, რომ ნებართვაზე უარი წმინდად ქალაქგეგმარებითი მიზეზებით იქნა განპირობებული. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ, მაგალითისათვის, სამეზობლოს წინააღმდეგობა ვერ იქნება სალოცავის მშენებლობაზე უარის თქმის მყარი სამართლებრივი წინაპირობა.⁸⁰ ასევე, სასამართლო ეცადა, მისი გადაწყვეტილება გაემართლებინა ევროპული სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებით, კერძოდ, საქმით – *ვერგოსი საბერძნეთის წინააღმდეგ (Vergos v. Greece)*.⁸¹ ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა მე-9 მუხლის დარღვევა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ რელიგიური ნაგებობის აშენების ნებართვაზე უარის გაცემის გამო. მიუხედავად ამისა, უზენაესმა სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტები, რამაც საფუძველი დაუდო სასამართლოს აღნიშნულ დასკვნას, და რომლებიც სრულიად განსხვავდება უზენაესი სასამართლოს მიერ შესაფასებელი ფაქტებისგან. მოსარჩელეს უარი ეთქვა რელიგიური ნაგებობის აშენებაზე, რადგან ქალაქში მის გარდა არავინ იყო ამ რელიგიის აღმსარებელი, ხოლო მსგავსი სალოცავი მეზობელ ქალაქში უკვე აშენებული იყო.⁸²

ცხადია, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების სრულიად სუბიექტური და რელიგიის თავისუფლების უფლების არსთან შეუთავსებელი განმარტება წარმოადგინა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებებისა და გამოყენებული საქმეების კონტექსტის შეცვლა, გარდა იმისა, რომ მიღებული გადაწყვეტილების დაუსაბუ-

80 „*Community of Jehovah’s Witnesses of Kryvyi Rih’s Ternivsky District v. Ukraine*“, 2019 წლის 3 სექტემბერი, 51-ე, 54-ე პუნქტები.

81 2004 წლის 24 ივნისი.

82 იქვე, 36-ე პუნქტი.

თებლობაზე მეტყველებს, ეწინააღმდეგება სეკულარული და სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციურ პრინციპებს.⁸³ სახელმწიფომ ყველა ბერკეტი გამოიყენა, რომ საქმე არსებითად დროულად არ გადაწყვეტილიყო და სასამართლო ინსტანციებში გასაჩივრების გზით საქმე 7 წლის განმავლობაში გააჭიანურა. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება კი ხელს უწყობს როგორც პროცესის გაჭიანურებას, ისე მუსლიმების უფლებების სისტემური დარღვევის გაგრძელებას. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოების გადაწყვეტილებებმა დაადგინა დისკრიმინაცია ქ. ბათუმის მერიის გადაწყვეტილების მიმართ. ამასთანავე, ისინი უნდა ყოფილიყვნენ უფრო კონკრეტულები და დისკრიმინაციის დადგენისას ბათუმის მერიისთვის უნდა დაევალებინათ სამშენებლო ნებართვაზე თანხმობის გაცემა.

4. დასკვნა

სტატიაში განხილული საკითხების ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე დასკვნა: ვინაიდან ევროპელი მოსამართლეები რელიგიის უფლებას პიროვნების განვითარების ერთ-ერთ მთავარ უფლებად მიიჩნევენ, არაფერი იქნება იმაზე შემზარავი, როდესაც სახელმწიფო ცდილობს და ართმევს ადამიანს იდენტობას და არ აძლევს მას შესაძლებლობას, სათანადოდ განვითარდეს და რეალიზდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ დაამტკიცა, რომ აღნიშნული უფლების დაცვაში სახელმწიფოს ეკისრება დიდი პასუხისმგებლობა და მას აქვს საკმაოდ მცირე შეფასების ზღვარი, როდესაც საქმე ეხება რელიგიის თავისუფლების შეზღუდვას.

აუცილებელია, სახელმწიფოებმა იხელმძღვანელონ ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტით იმისათვის, რომ, პირველ რიგში, მოხდეს ადამიანებისთვის სათანადო პირობების შექმნა და მათ შეძლონ, განახორციელონ ის უფლებები და თავისუფლებები, რაც კონვენციით აქვთ გარანტირებული.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, გარდა იმისა, რომ საქართველოსთვის სავალდებულოა საერთაშორისო დონეზე, იმავდროულად, საქართველოს კანონმდებლობის ნაწილად არის აღიარებული. შედეგად, ის იურიდიულად სავალდებულო გახდა ეროვნულ დონეზეც და წარმოშობს უფლებებსა და ვალდებულებებს. ეროვნულ დონეზე სასამართლოებმა უფრო აქტიურად უნდა გამოიყენონ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები პრაქტიკაში, თუმცა ეს უნდა მოხდეს სწორად, იმ შინაარსით, რაც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა. ამით მოხდება საქართველოს სასამართლოების პრაქტიკის ჰარმონიზება ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან. როგორც აღინიშნა, საქართველოს კანონმდებ-

83 ცოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, მეჩეთის მშენებლობაზე უარი უკანონო და დისკრიმინაციულია, სიახლეები: [<https://tdi.ge/ge/news/929-mechetis-msheneblobaze-uari-ukanono-da-diskriminaciulia-saapelacio-sasamartlo>].

ლობაში არის ხარვეზები, რომელთა გამოსწორების შემთხვევაში, კანონი სრულ თანხვედრაში იქნება ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტთან. ამის მაგალითია თავდაცვის კოდექსის ჩანაწერი პირის აღმსარებლობის მოთხოვნის შესახებ. ასევე პრობლემად რჩება საქართველოს სასამართლოების პრაქტიკა. ცალსახაა, რომ ქ. ბათუმის მეჩეთის საქმეზე სასამართლოები ხელოვნურად აჭიანურებენ დროს და, დისკრიმინაციის დადგენის მიუხედავად, არ ავალდებულებენ ქ. ბათუმის მერიას, გასცეს თანხმობა მუსლიმი მოსახლეობისთვის მეჩეთის აშენების შესახებ.

საქართველოში არსებული სეკულარიზმის პრინციპის მიუხედავად, იკვეთება უთანასწორო მოპყრობა სხვა რელიგიებისადმი, რაც აიხსნება მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებული როლით საქართველოს ისტორიაში. გამოწვევების მიუხედავად, საქართველოს აკისრია დიდი პასუხისმგებლობა, დაიცვას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით ნაკისრი ვალდებულებები, გაითვალისწინოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა, რათა ადამიანებს ჰქონდეთ საშუალება, სრულყოფილად ისარგებლონ თავიანთი უფლებებით.

თავისუფლებაალკვეთილი პირების სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში და მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან

კონსტანტინე კორკელია¹

1. შესავალი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება თავისუფლებაალკვეთილი პირების სიცოცხლის დაცვაზე. გარდა იმისა, რომ სახელმწიფომ უნდა დაადგინოს თავისუფლებაალკვეთილი პირების სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა, მას ასევე ეკისრება ვალდებულება, გაატაროს პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები ამ პირების სიცოცხლის დაცვისათვის.

ნაშრომის მიზანია, გაანალიზდეს საქართველოში თავისუფლებაალკვეთილი პირების სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან. ამ ანალიზის საფუძველზე გაკეთდება დასკვნები და გამოითქმება რეკომენდაციები საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

2. ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარეობს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას თავისუფლებაალკვეთილი პირების სიცოცხლის უფლება.² მართალია, სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება არა მხოლოდ თავისუფლებაალკვეთილ პირებზე, არამედ ნებისმიერ პირზე, სახელმწიფოს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება ამ პირებთან მიმართებით, რადგან სახელმწიფო მათზე ახორციელებს აბსოლუტურ ან თითქმის აბსოლუტურ კონტროლს და, შესაბამისად, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ხარისხი უფრო მაღალია მათ მიმართ, ვიდრე ეს არის სხვა პირების მიმართ.³

1 ნაშრომში ასახული მოსაზრებები არის ავტორისეული და არ გამოხატავს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის პოზიციას, რომლის წევრიც არის სტატიის ავტორი.

2 J.-M. Larraide & G. Cliquennois, *The Right to Life: Suicide and homicide prevention in prison*, in: *The Evolving Protection of Prisoners' Rights in Europe*, 2022.

3 P.H. van Kempen, *Positive Obligations to Ensure the Human Rights of Prisoners: Safety, Healthcare, Conjugal Visits and the Possibility of Founding a Family Under the ICCPR, the ECHR, the ACHR, and the AfChHPR*, in: Peter J.P. Tak & Manon Jendly (eds.), *Prison Policy and Prisoner' Rights. The Protection of Prisoners' Fundamental Rights in International and Domestic Law*, 2008, 28.

სახელმწიფოს ეს პასუხისმგებლობა გამოიხატება იმით, რომ მან უნდა უზრუნველყოს ამ პირთა სიცოცხლის უფლების დაცვა არა მხოლოდ სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან (მაგ., ციხის ადმინისტრაციისაგან), არამედ სხვა პირებისაგან (მაგ., სხვა პატიმრებისაგან ან სხვა წვევამდელებისაგან), რომლებმაც შეიძლება მათ სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნან, ან, თუნდაც, თვითმკვლელობისაგან.

სახელმწიფოს ვალდებულება თავისუფლება აღკვეთილი პირების მიმართ არა მხოლოდ ისაა, რომ მან თავი შეიკავოს ამ პირთა სიცოცხლის მოსპობისაგან (სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება), არამედ ისიც, რომ გაატაროს გონივრული ღონისძიებები მათ დასაცავად და შეასრულოს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება.⁴ თუ სახელმწიფომ იცის ან უნდა იცოდეს, რომ ასეთი პირის სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე, მან უნდა გადადგას გონივრული ნაბიჯები, რომელმაც შეიძლება ასეთი საფრთხე თავიდან აიცილოს.⁵

2.1. პატიმრის სიცოცხლის მოსპობა სხვა პატიმრების მიერ

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარეობს, რომ სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება ისეთ სიტუაციებზე, რომლებშიც პატიმრის სიცოცხლის მოსპობის საფრთხე მომდინარეობს სხვა პატიმრისაგან. თავისუფლება აღკვეთილი პირის სიცოცხლის დაცვის ვალდებულება სახელმწიფოს წარმოეშობა პირის დაკავების მომენტიდან და ვრცელდება დაკავების მთელ პერიოდზე. როგორც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, თავისუფლება აღკვეთილი პირები არიან განსაკუთრებით მონყვლად მდგომარეობაში და ხელისუფლებას ეკისრება მათი სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულება.⁶

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom)* დადგენილი კრიტერიუმები გაავრცელა თავისუფლება აღკვეთილი პირების სიცოცხლის დაცვის უფლებაზე.⁷ შესაბამისად, როდესაც პატიმრის სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე სხვა პატიმრისაგან, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სხვა პატიმრის მხრიდან თავისუფლება აღკვეთილი პირის სიცოცხლის მოსპობის საფრთხის თავიდან აცილება. ამისათვის სახელმწიფომ უნდა გადადგას გონივრული ნაბიჯები სხვა პატიმრის

4 K. Fournet, At the Hands of the State: When Arrest and Imprisonment Prove Fatal, in: The Right to Life and the Value of Life: Orientation in Law, Politics and Ethics, J. Yorke (ed.), 2010, 180.

5 J. Gerards, Right to Life, Theory and Practice of the European Convention on Human Rights, P. van Dijk, F. van Hoof, A. van Rijn and L. Zwaak (eds.), 5th ed. 2018, 370.

6 *სალმანი თურქეთის წინააღმდეგ (Salman v. Turkey)*, დიდი პალატა, 27 ივნისი, 2000 წელი, 99-ე პუნქტი; *იური ილარიონივიჩ სჩოკინი (Yuriy Illarionovich Shchokin v. Ukraine)*, 3 ოქტომბერი, 2013 წელი, 36-ე პუნქტი.

7 *პოლი და ოდრი ედვარდსები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom)*, 14 მარტი, 2002 წელი, 55-ე პუნქტი.

(პატიმრების) მხრიდან თავისუფლებააღკვეთილი პირის რეალური და მყისიერი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, თუ სახელმწიფომ იცოდა ან უნდა სცოდნოდა ასეთი საფრთხის შესახებ.

ევროპულმა სასამართლომ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა დაადგინა საქმეზე – პოლი და ოდრი ედვარდსები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom*), რომელიც ეხებოდა პენიტენციურ დაწესებულებაში თანამესაკნის მიერ მოსარჩელეთა შვილის სიცოცხლის მოსპობას.⁸ კერძოდ, წინასწარ პატიმრობაში მყოფი კრისტოფერ ედვარდსი მოკლა საშიშმა, ფსიქიკურად დაავადებულმა პატიმარმა (რიჩარდ ლინფორდმა), რომელთანაც ის აღმოჩნდა იმავე საკანში.⁹

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლთან მიმართებით, ევროპულმა სასამართლომ, პირველ რიგში, აღნიშნა, რომ სახელმწიფომ უნდა „გაატაროს პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები, რათა დაიცვას პირი, რომლის სიცოცხლე საფრთხეშია, სხვა პირის დანაშაულებრივი აქტებისაგან“.¹⁰ ვინაიდან კრისტოფერ ედვარდსი პატიმრობაში იყო, მასზე პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო, რომელსაც უნდა დაეცვა მისი სიცოცხლე. ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „პატიმრობაში მყოფი პირები იმყოფებიან მოწყვლად მდგომარეობაში და ხელისუფლებას ეკისრება მათი დაცვის ვალდებულება“.¹¹

ამის შემდეგ ევროპულმა სასამართლომ განიხილა, იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა სახელმწიფოს, რომ კრისტოფერ ედვარდის სიცოცხლისათვის არსებობდა რეალური და მყისიერი საფრთხე. ამის დასადგენად სასამართლომ განიხილა, იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა სახელმწიფოს, რომ რიჩარდ ლინფორდი განსაკუთრებით საშიში იყო გარშემომყოფთათვის. ამის შეფასებისას სასამართლომ გაითვალისწინა, რომ არსებობდა ინფორმაცია მისი ფსიქიკური დაავადების შესახებ, ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკოტიკებისადმი მისი მიდრეკილების შესახებ, მის მიერ წარსულში ძალადობრივი აქტების ჩადენის შესახებ და სხვ., რაც, ევროპული სასამართლოს აზრით, საკმარისი იყო დასკვნის გასაკეთებლად, რომ იგი წარმოადგენდა საფრთხეს გარშემომყოფთათვის.

ამასთანავე, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ პოლიციას, სასამართლოს, ბრალდების მხარესა და ჯანმრთელობის დაწესებულებებს შორის არ

⁸ 14 მარტი, 2002 წელი.

⁹ P.H. van Kempen, Positive Obligations to Ensure the Human Rights of Prisoners: Safety, Healthcare, Conjugal Visits and the Possibility of Founding a Family Under the ICCPR, the ECHR, the ACHR, and the AfChHPR, in: Peter J.P. Tak & Manon Jendly (eds.), Prison Policy and Prisoner' Rights. The Protection of Prisoners' Fundamental Rights in International and Domestic Law, 2008, 27.

¹⁰ 54-ე პუნქტი.

¹¹ 56-ე პუნქტი; ასევე იხ. რენოლდი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Renolde v. France*), 16 ოქტომბერი, 2008 წელი, 83-ე პუნქტი; შუმკოვა რუსეთის წინააღმდეგ (*Shumkova v. Russia*), 14 თებერვალი, 2012 წელი, 89-ე პუნქტი.

მოხდა შესაბამისი ინფორმაციის გაცვლა რიჩარდ ლინფორდის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. სასამართლოს აზრით, იმის გამო, რომ რამდენიმე სამსახურის – სამედიცინო, პოლიციის, ბრალდების და სასამართლოს – მუშაობის ხარვეზი იყო, რომ მათ პენიტენციურ დაწესებულებას არ მიაწოდეს მათთვის ცნობილი ინფორმაცია რიჩარდ ლინფორდის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და პენიტენციურ დაწესებულებაში მისი მიყვანისას არ მოხდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის სათანადოდ შემოწმება, სახელმწიფომ ვერ შეასრულა მოსარჩელეთა შვილის (კრისტოფერ ედვარდსი) სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულება.

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.¹²

საქმე *ჩესნულევიჩუსი ლიტვის წინააღმდეგ (Česnulevičius v. Lithuania)* ეხებოდა მოსარჩელის 22 წლის შვილის (A.Č.) გარდაცვალებას პენიტენციურ დაწესებულებაში სხვა პატიმრების განმეორებადი თავდასხმების შედეგად.¹³ 2000 წლის 4-იდან 6 აგვისტომდე მოსარჩელის შვილს სამჯერ დაესხნენ თავს, ვიდრე იგი გარდაიცვლებოდა 2000 წლის 7 აგვისტოს. ავტოფსიის შედეგად მომზადებულმა დასკვნამ დაადასტურა, რომ A.Č. გარდაიცვალა სხეულის სხვადასხვა ადგილას მიყენებული მრავლობითი დაზიანების გამო, რომლებიც მოხდა გარდაცვალებამდე ერთიდან სამი დღის განმავლობაში.

მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ სახელმწიფომ ვერ დაიცვა მისი შვილის სიცოცხლის უფლება პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის განმავლობაში და რომ ვერ ჩაატარა ეფექტიანი გამოძიება, რის გამოც პასუხისმგებელი პირები დარჩნენ დაუსჯელნი. ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ, პირველ რიგში, სახელმწიფოს უნდა დაედგინა, იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა ციხის ადმინისტრაციას მოსარჩელის შვილის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის არსებული საფრთხის შესახებ, ხოლო ამის შემდეგ უნდა შეეფასებინა, ყველაფერი გააკეთა თუ არა სახელმწიფომ მისი სიცოცხლის დასაცავად.¹⁴

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ A.Č.-ს წინააღმდეგ 2000 წლის 4 აგვისტოს მომხდარი პირველი თავდასხმის შედეგად ციხის ადმინისტრაციას უნდა სცოდნოდა, რომ იგი იმყოფებოდა აშკარა და რეალურ საფრთხეში. ციხის ადმინისტრაციამ დაკითხა A.Č., შენიშნა დაზიანებები მის სახეზე და აღმოაჩინა კიდეც ნილაბი და რკინის გისოსი, რომლებიც იყო გამოყენებული A.Č.-ს წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენის დროს. ის, რომ A.Č.-მ უარი განაცხადა, გაემხილა თავდამსხმელების ვინაობა, შეიძლება აიხსნას როგორც პა-

12 ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში, მოსარჩელეთა შვილის სიკვდილის გარემოებების გამოუძიებლობის გამო.

13 10 იანვარი, 2012 წელი.

14 85-ე პუნქტი.

ტიმრებს შორის ჩამოყალიბებული დუმილის კოდექსით, ისე იმ ფაქტით, რომ იგი თავს არ გრძნობდა უსაფრთხოდ. ის ფაქტი, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში ზოგადად არ იყო უსაფრთხო გარემო, დასტურდება ერთი წლის შემდეგ სხვა პატიმრის გარდაცვალებით, რომლის შესახებაც ინფორმაცია ციხის ადმინისტრაციამ არ გაასაჯაროვა.¹⁵ ევროპული სასამართლოსათვის არ იყო დამაჯერებელი ციხის ადმინისტრაციის განმარტება, რომ A.Č.-მ უარი განაცხადა, მოეთავსებინათ იზოლაციაში თავისივე უსაფრთხოებისათვის. სასამართლომ არც ის არგუმენტი მიიჩნია დამაჯერებლად, რომ A.Č.-ს მიმართ მეორე თავდასხმა გამოაშკარავდა მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ. სასამართლოს აზრით, ასევე საეჭვოა ის, რომ მედდამ, რომელმაც მოინახულა A.Č. მეორე თავდასხმის შემდეგ და რომელმაც მას ფეხი შეუხვია, ეჭვი არ შეიტანა იმ ვერსიაში, რომ მან დაზიანება მიიღო ფეხბურთის თამაშის დროს, არ გააკეთა რაიმე ჩანაწერი მის სამედიცინო ისტორიაში და მხოლოდ მაშინ გაამხილა ეს შემთხვევა, როდესაც დაწესებულებაში, სადაც მედდა მუშაობდა, ჩატარდა გამოძიება. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მედდის მტკიცებაზე, რომ 2000 წლის 6 აგვისტოს A.Č.-ს ჰქონდა მხოლოდ უმნიშვნელო დაზიანებები, თუმცა რამდენიმე დღის შემდეგ ავტოფსიის ანგარიშმა აღრიცხა A.Č.-ს სხეულზე დარტყმების კვალი, რომლებიც მიაყენეს გარდაცვალებამდე ერთიდან სამი დღის განმავლობაში.¹⁶ ევროპულმა სასამართლომ განსაკუთრებული გაკვირვება გამოხატა იმ ფაქტით, რომ ციხის საავადმყოფოში მას მკურნალობდა ექიმი, რომელსაც სამედიცინო ლიცენზიაც კი არ ჰქონდა.¹⁷

სასამართლოს აზრით, მიუხედავად A.Č.-ს მიმართ არსებული საფრთხისა, ციხის ადმინისტრაციამ არ უზრუნველყო მისთვის უსაფრთხო გარემო. კერძოდ, ადმინისტრაციამ ვერ შეძლო, გამოეაშკარაებინა ძალადობა, თავიდან აეცილებინა საფრთხე, რომელიც მომდინარეობდა სხვა პატიმრებისაგან, ხოლო მას შემდეგ, რაც ეს ძალადობა ციხის ადმინისტრაციისათვის ცნობილი გახდა, ვერ შეძლო სწრაფად, გულმოდგინედ და ეფექტიანად მოეხდინა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების, სამედიცინო პერსონალისა და ციხის ადმინისტრაციის ეფექტიანი კოორდინირება. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფომ ვერ დაიცვა პენიტენციურ დაწესებულებაში მოსარჩელის შვილი, რამაც გამოიწვია კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.¹⁸

2.2. პატიმრის სიცოცხლის დაცვა თვითმკვლელობისაგან

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას არა მხოლოდ

15 86-ე პუნქტი.

16 87-ე პუნქტი.

17 88-ე პუნქტი.

18 89-ე პუნქტი.

თავისუფლება აღკვეთილი პირის სიცოცხლე სხვა პატიმრის უკანონო მოქმედებისაგან, არამედ ასევე თავისუფლება აღკვეთილი პირი თვითმკვლელობისაგან.¹⁹

სახელმწიფომ, კერძოდ კი სასჯელაღსრულების დანესებულების ადმინისტრაციამ, უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობები ისე, რომ ისინი თავსებადი იყოს შესაბამისი პირის უფლებებთან და თავისუფლებებთან. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ზოგადი და გამაფრთხილებელი ღონისძიებების გატარება იმისათვის, რომ შემცირდეს თვითდაზიანების შესაძლებლობა, თავისუფლება აღკვეთილი პირის პირადი ავტონომიის დარღვევის გარეშე. პატიმრის სიცოცხლის დასაცავად გატარებული ღონისძიებების სიმკაცრე დამოკიდებული უნდა იყოს კონკრეტული საქმის გარემოებებზე.²⁰

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც მინიმუმამდე შეამცირებს თავისუფლება აღკვეთილი პირის მიერ თვითმკვლელობის საფრთხეს. რაც უფრო დიდია ალბათობა, რომ ასეთმა პირმა ჩაიდინოს თვითმკვლელობა, მით უფრო მეტი წინდახედულება უნდა გამოიჩინოს სახელმწიფომ და გადადგას თანაზომიერი ნაბიჯები თვითმკვლელობის თავიდან ასაცილებლად. უსაფრთხოების ზოგადი ღონისძიებების გარდა, სახელმწიფომ უნდა გაატაროს ინდივიდუალური ღონისძიებები და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეაფასოს სიცოცხლის დასაცავად გასატარებელი ღონისძიებების თანაზომიერება.

როგორც აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, გაატაროს ღონისძიებები, რათა უზრუნველყოს პირთა დაცვა თვითმკვლელობისაგან.²¹ პირველი საქმე, რომელშიც ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფოს დააკისრა პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარების ვალდებულება პირის თვითმკვლელობისაგან დასაცავად, იყო საქმე *კენანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Keenan v. the United Kingdom)*.²² ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ

19 L.-A. Sicilianos, Preventing Violations of the Right to Life: Positive Obligations Under Article 2 of the ECHR, Cyprus Human Rights Law Review, vol. 3, 2014, 124; P.H. van Kempen, Positive Obligations to Ensure the Human Rights of Prisoners: Safety, Healthcare, Conjugal Visits and the Possibility of Founding a Family Under the ICCPR, the ECHR, the ACHR, and the AfChHPR, in: Peter J.P. Tak & Manon Jendly (eds.), Prison Policy and Prisoner' Rights. The Protection of Prisoners' Fundamental Rights in International and Domestic Law, 2008, 27.

20 *კენანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Keenan v. the United Kingdom)*, 3 აპრილი, 2001 წელი, 92-ე პუნქტი; *იანგერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Younger v. the United Kingdom)*, გადაწყვეტილება, 7 იანვარი, 2003 წელი; *ერიკან ბულუტი თურქეთის წინააღმდეგ (Erikan Bulut v. Turkey)*, 2 მარტი, 2006 წელი, 34-ე პუნქტი; *რენოლდი საფრანგეთის წინააღმდეგ (Renolde v. France)*, 16 ოქტომბერი, 2008 წელი, 83-ე პუნქტი; *მიტიჩი სერბეთის წინააღმდეგ (Mitic v. Serbia)*, 22 იანვარი, 2013 წელი, 47-ე პუნქტი.

21 L. McCamphill, The Right to Life Shall be Secured to Everyone by Law: The Extent to Which the European Court of Human Rights has Developed the Concept of Positive Obligations in Relation to Article 2, King's Student Law Review, No. 1, 2010, 112.

22 3 აპრილი, 2001 წელი; ასევე *იანგერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Younger v. the United Kingdom)*, გადაწყვეტილება, 7 იანვარი, 2003 წელი; ასევე იხ. S. Kyrkos, Suicide in

გამოიყენა საქმეზე – *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom)* – დადგენილი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის კრიტერიუმები, რომლებიც გაავრცელა თავისუფლებაალკვეთილ პირთა თვითმკვლელობის საქმეებზე.²³

საქმე *კენანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Keenan v. the United Kingdom)* ეხებოდა მოსარჩელის 28 წლის შვილს – გონებრივი ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ახალგაზრდა მამაკაცს, რომელსაც აღეკვეთა თავისუფლება თავის მეგობარ გოგოზე თავდასხმის გამო.²⁴ ვინაიდან მოსარჩელის შვილი მიდრეკილი იყო ფსიქიკური აშლილობისაკენ, თვითდაზიანების ჩათვლით, რაც იცოდა ციხის ადმინისტრაციამ, გამწვავების პერიოდში მას ათავსებდნენ საავადმყოფოს სპეციალურ განყოფილებაში, სადაც ამონებდნენ ყოველ თხუთმეტ წუთში ერთხელ, თუმცა ფსიქიკური სიმშვიდის პერიოდში გადაჰყავდათ ჩვეულებრივ საკანში. იმ დღეს, როდესაც მან თავი მოიკლა, იგი ახალი დაბრუნებული იყო ჩვეულებრივ საკანში, რადგან არ გამოიყურებოდა მძიმედ და არაფერი მიუთითებდა, რომ იმ მომენტში განიცდიდა ფსიქიკურ აშლილობას. მიუხედავად ამისა, ჩვეულებრივ საკანში დაბრუნებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ციხის თანამშრომელმა იგი აღმოაჩინა ჩამოხრჩობილი ზეწრისაგან გაკეთებული თოკით.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ გადადგა ყველა ნაბიჯი, რომელთა გადადგმაც მას გონივრულად მოეთხოვებოდა, რათა დაეცვა მოსარჩელის შვილის სიცოცხლის უფლება. ვინაიდან ციხის ადმინისტრაციამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რისი გონივრული მოლოდინიც არსებობდა მისი მხრიდან, რათა მოეხდინა თვითმკვლელობის საფრთხის თავიდან აცილება, კერძოდ, პატიმარი მოეთავსებინა სპეციალურ საკანში ზედამხედველობის ქვეშ თვითმკვლელობის მიმართ მიდრეკილების გამოვლენის შედეგად, ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლების დარღვევა.²⁵

საქმე *დე დონდერი და დე კლიპელი ბელგიის წინააღმდეგ (De Donder and De Clippel v. Belgium)* ეხებოდა მოსარჩელეთა შვილს, რომელიც მოზარდი ასაკიდან იღებდა მსუბუქ ნარკოტიკს. მას განუვითარდა ფსიქიკური აშლილობა, რომელსაც იგი მკურნალობდა.²⁶ ერთხელაც, მოსარჩელეთა შვილი დააკავეს ქურდობის მცდელობის ეჭვის გამო. მომზადებული ფსიქიატრიული დასკვნის მიხედვით, მას ჰქონდა „პარანოიდული აზრები“. ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ და-

the Military as a Breach of the Rights to Life, Under the Provisions of Article 2 of the European Convention on Human Rights and Fundamental Freedoms, <http://ssrn.com/abstract=2836637>, p. 6-7.

²³ 90-ე პუნქტი.

²⁴ 3 აპრილი, 2001 წელი.

²⁵ 102-ე პუნქტი.

²⁶ 6 დეკემბერი, 2011 წელი.

ნაშაულის ჩადენის დროს მოსარჩელეთა შვილს ჰქონდა მწვავე ფსიქიკური აშლილობა, იგი ვერ აკონტროლებდა თავს და ქმნიდა საფრთხეს საზოგადოებისა და საკუთარი თავისათვის. ამის გამო იგი ჯერ დროებით მოათავსეს გენტის ციხის ფსიქიატრიულ განყოფილებაში, მოგვიანებით კი – ნარკოტიკებზე დამოკიდებულ პირთა დაწესებულებაში. ამის შემდეგ მოსარჩელეთა შვილი გადაიყვანეს სხვა ფსიქიატრიულ კლინიკაში. გადაყვანიდან რამდენიმე ხანში გონებრივი ჯანმრთელობის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მოსარჩელეთა შვილს შეეძლო კლინიკის დატოვება შაბათ-კვირას, თუ ის განაგრძობდა მკურნალობას, დაესწროდა სოციალური ინტეგრაციისაკენ მიმართულ შეხვედრებს და კარგად მოიქცეოდა. ამის მიუხედავად, მოსარჩელეთა შვილი არ ასრულებდა დადგენილ პირობებს და იყო აგრესიული, რის გამოც მის მკურნალობაზე პასუხისმგებელმა პირთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ შეუძლებელია მასთან მუშაობის გაგრძელება. ამის გამო იგი დააბრუნეს იმავე ციხეში, სადაც მანამდე იყო, თუმცა არა ფსიქიატრიულ განყოფილებაში, არამედ საერთო განყოფილებაში, სადაც მოათავსეს საკანში სხვა პატიმრებთან ერთად. მოგვიანებით, ერთ-ერთი პატიმრისათვის შეურაცხყოფის მიყენების გამო, მოსარჩელეთა შვილი მოათავსეს სამართლო საკანში. მოსარჩელეთა ინფორმაციით, მათი შვილი ძლიერ განიცდიდა, რომ მოათავსეს ციხეში, ვერ აცნობიერებდა ამის მიზეზებს და იყო უკიდურესად შეშინებული. სამართლო საკანში მოთავსებიდან რამდენიმე დღეში მან თავი ჩამოიხრჩო.

მოპასუხე სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულებების შესრულების შესაფასებლად ევროპულმა სასამართლომ განიხილა, იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა სახელმწიფოს, რომ მოსარჩელეთა შვილი ქმნიდა თვითმკვლელობის რეალურ და მყისიერ საფრთხეს მაშინ, როდესაც მოათავსეს ციხის საერთო განყოფილებაში.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა შვილი ციხეში აღმოჩნდა ორმაგად მოწყვლად მდგომარეობაში. მკურნალი ექიმის აზრით, მოსარჩელეთა შვილს ჰქონდა პარანოიდული შიზოფრენია, გონებრივი აშლილობა, რომელიც ქმნიდა თვითმკვლელობის განსაკუთრებით მაღალ საფრთხეს. სასამართლომ მიიჩნია, რომ ციხეში ყოფნის დროს არსებობდა მოსარჩელეთა შვილის თვითმკვლელობის მაღალი საფრთხე. ევროპული სასამართლოს აზრით, მიუხედავად იმისა, არ იყო მტკიცებულება, რომ მას მანამდე ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა, არ შეიძლებოდა დასკვნის გაკეთება, რომ ხელისუფლებამ არ იცოდა ასეთი საფრთხის არსებობის შესახებ. მისი გონებრივი აშლილობის შესახებ ცნობილი იყო მაშინ, როდესაც მიიღეს გადაწყვეტილება ციხეში მისი მოთავსების შესახებ. ამას გარდა, სასამართლოს აზრით, ხელისუფლებას სხვა ფაქტორებისათვის უნდა მიეპყრო ყურადღება, კერძოდ კი იმისათვის, რომ კლინიკაში მკურნალობამ არ გამოიღო შედეგი. იგი იქცეოდა აგრესიულად კლინიკის თანამშრომლების მიმართ, მან შეწყვიტა წამლების მიღება და იყენებდა ნარკოტიკებს. ამის გამო მოსარჩელეთა შვილი დააბრუნეს ციხეში, სადაც მან შეურაცხყოფა მიაყენა თანამესაკენს.

სასამართლოს აზრით, თუმცა არ არსებობდა ამის მანიშნებელი სიგნალი, ვინაიდან მამაკაცს ჰქონდა გონებრივი აშლილობა, ხელისუფლებას უნდა სცოდნოდა, რომ არსებობდა რეალური საფრთხე და რომ მას შეეძლო ჩაედინა თვითმკვლელობა ციხეში ყოფნისას. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო კონვენციის მე-2 მუხლის დაცვა არსებით ნაწილში.²⁷

საქმე ტრუბნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (*Trubnikov v. Russia*) ეხებოდა მოსარჩელის შვილის თვითმკვლელობას პენიტენციურ დაწესებულებაში.²⁸ სასჯელის მოხდის პერიოდში მოსარჩელის შვილი რამდენჯერმე მოათავსეს კარცერში ალკოჰოლის მიღების გამო. ერთ-ერთი ასეთი დისციპლინური სასჯელის დროს მან მიიყენა თვითდაზიანება, ხოლო მეორე შემთხვევაში, ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა. ამის გამო 1995 წელს იგი მოათავსეს ფსიქიატრიული ზედამხედველობის ქვეშ. 1998 წელს მოსარჩელის შვილი ხელახლა მოათავსეს კარცერში ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ყოფნის გამო. მოთავსებიდან დაახლოებით ერთ საათში იგი აღმოაჩინეს ჩამოხრჩობილი ქუროთუკის სახელოთი.

ამ საქმის გარემოებების შესწავლის შემდეგ ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ იმისათვის, რათა წარმოიშვას პოზიტიური ვალდებულება პატიმრის მიმართ, რომელსაც აქვს მიდრეკილება თვითმკვლელობისაკენ, უნდა დადგინდეს, რომ ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა მის მიმართ რეალური და მყისიერი საფრთხის არსებობის შესახებ. მართალია, მოსარჩელის შვილს ჰქონდა მიდრეკილება თვითდაზიანებისაკენ კარცერში მოთავსების საპასუხოდ და ერთხელ თვითმკვლელობის მცდელობაც კი, მაგრამ ციხის სამედიცინო ჩანაწერები მიუთითებდა, რომ მას არ ჰქონდა მწვავე ფსიქიატრიული სიმპტომები. უფრო მეტიც, მის ფსიქიატრს არასოდეს გამოუთქვამს აზრი, რომ არსებობდა თვითმკვლელობის ალბათობა.

რაც შეეხება იმას, სახელმწიფოს უნდა სცოდნოდა თუ არა მისი სიცოცხლისათვის საფრთხის შესახებ, სასამართლომ აღნიშნა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში, როდესაც იგი იმყოფებოდა ფსიქიატრიული ზედამხედველობის ქვეშ, მოსარჩელის შვილს არ გამოუვლენია რაიმე საშიში სიმპტომი, როგორიცაა მიდრეკილება თვითმკვლელობისაკენ. პირიქით, სამედიცინო ისტორია მიუთითებდა, რომ მისი გონებრივი და ემოციური მდგომარეობა, ზოგადად, დასტაბილურდა პირველადი ინტენსიური მკურნალობის შედეგად 1995 წელს და მას შემდეგ არ გაუარესებულა. მეტიც, აღინიშნებოდა მისი მდგომარეობის გარკვეული გაუმჯობესებაც კი. აქედან გამომდინარე, ამ პერიოდიდან მოყოლებული, არ შეინიშნებოდა მისი მდგომარეობის გაუარესება, რის შედეგადაც მისი მდგომარეობა შეფასდა

27 84-ე პუნქტი; ასევე იხ. კეტრები საფრანგეთის წინააღმდეგ (*Ketreb v. France*), 19 ივლისი, 2012 წელი; ისენცი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Isenc v. France*), 4 თებერვალი, 2016 წელი. შეად.: სელალი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Sellal v. France*), 8 ოქტომბერი, 2015 წელი.

28 5 ივლისი, 2005 წელი.

როგორც სტაბილური. ამის გათვალისწინებით, სასამართლომ გაიზიარა პოზიცია, რომ რთული იქნებოდა მდგომარეობის სწრაფი და ძირეული გაუარესების განჭვრეტა, რომელიც გამოიწვევდა მოსარჩელის შვილის თვითმკვლელობას.²⁹

აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ ვერ დაასკვნა, რომ ხელისუფლებამ იცოდა მყისიერი საფრთხის არსებობის შესახებ მისი სიცოცხლისათვის, ან მას შეეძლო ეს გონივრულად განეჭვრიტა, მისი გონებრივი და ემოციური მდგომარეობის დასტაბილურების გათვალისწინებით. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა: ამ გარემოებებში ხელისუფლებას არ შეეძლო, გონივრულად განეჭვრიტა, რომ მოსარჩელის შვილი ჩამოიხრჩობდა თავს.³⁰

სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის შვილის ისტორიამ აჩვენა, რომ მისი ალკოჰოლური თრობის შეთავსება დისციპლინურ სასჯელთან შეიცავდა საფრთხეს მისი ჯანმრთელობისათვის. სასამართლომ უარყოფითად შეაფასა ის ფაქტი, რომ მოსარჩელის შვილს ხელი მიუწვდებოდა ალკოჰოლზე თვითმკვლელობის წინა დღეს. მიუხედავად ამისა, სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რათა მთელი პასუხისმგებლობა მისი გარდაცვალებისათვის დაეკისროს სახელმწიფოს. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა რუსეთის მიერ კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულების დარღვევა არსებით ნაწილში.³¹

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა დადგინდა საქმეზე – *რენოლდი საფრანგეთის წინააღმდეგ (Renolde v. France)*.³² ამ საქმეში მოსარჩელის ძმა, რომელიც წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა, განიცდიდა ფსიქიკურ აშლილობას. პენიტენციურ დაწესებულებაში მან სცადა თვითმკვლელობა, რის გამოც მას დაუნიშნეს მედიკამენტი, რომელიც უნდა მიეღო კვირაში ორჯერ, თუმცა ციხის ადმინისტრაციას არ გაუტარებია ღონისძიებები, რათა დარწმუნებულიყო, რომ იგი იღებდა ამ მედიკამენტს. ამასთანავე, თვითმკვლელობის პირველი მცდელობის შემდეგ იგი არ გადაიყვანეს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში და არ მოათავსეს მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ. ნაცვლად ამისა, თვითმკვლელობის მცდელობის შემდეგ მის მიმართ გამოყენებულ იქნა მაქსიმალური (45 დღე) დისციპლინური სასჯელი (სამართლო საკანში მოთავსება), რამაც მოახდინა მისი იზოლირება და გაზარდა თვითმკვლელობის საფრთხე, რაც, საბოლოოდ, მოსარჩელის ძმამ აღასრულა.

ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელისუფლებამ ვერ შეასრულა მოსარჩელის ძმის მიმართ სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულება.

29 75-ე პუნქტი.

30 76-ე პუნქტი; ასევე იხ. *მიტიჩი სერბეთის წინააღმდეგ (Mitic v. Serbia)*, 22 იანვარი, 2013 წელი.

31 77-ე-79-ე პუნქტები; რუსეთის პასუხისმგებლობა დადგინდა კონვენციის მე-2 მუხლის საპროცესო ნაწილის დარღვევისათვის.

32 16 ოქტომბერი, 2008 წელი.

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების თვალსაზრისით, ასევე საინტერესოა საქმე *იასინსკა პოლონეთის წინააღმდეგ (Jasinska v. Poland)*, რომელშიც მოსარჩელე ასაჩივრებდა თავისი შვილიშვილის გარდაცვალებას პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც იხდიდა სასჯელს ქურდობისათვის.³³ მოსარჩელის შვილიშვილს ბავშვობიდან ჰქონდა ფსიქიკური პრობლემები და, ექიმის დანიშნულებით, იღებდა ფსიქოტროპულ აბებს, მათ შორის პენიტენციურ დაწესებულებაში. 2004 წელს კრუნჩხვისა და კანკალის გამო მოსარჩელის შვილიშვილი სასწრაფო დახმარების მანქანით გადაიყვანეს საავადმყოფოში. მან აღიარა, რომ მიიღო ფსიქოტროპული აბები, რომლებიც გამოუწერა ციხის ფსიქიატრმა. მომდევნო დღეს მოსარჩელის შვილი გარდაიცვალა. გაკვეთამ დაადასტურა, რომ გარდაცვალების ძირითადი მიზეზი იყო მოწამვლა დიდი რაოდენობის სამკურნალო ნივთიერებით. გამოძიებამ დაადასტურა, რომ ამ რაოდენობით წამალი მის ხელთ შეიძლება აღმოჩენილიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ყოველ ჯერზე დამალავდა მას ენის ქვეშ, როდესაც მედდა დაარიგებდა წამალს.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ციხის ადმინისტრაციამ იცოდა მოსარჩელის შვილიშვილის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, როგორც ეს იყო მითითებული 2002 წელს მომზადებულ დასკვნაში, რომ მას ადრე ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა. სასამართლომ მიუთითა, რომ ხელისუფლებას არ წარმოუდგენია დამაჯერებელი ახსნა-განმარტება იმისა, როგორ დარჩა მისი ყურადღების მიღმა სამკურნალო ნივთიერების სასიკვდილო რაოდენობის შეგროვების ფაქტი. სასამართლომ აღნიშნა სისტემის აშკარა ხარვეზი, რომელმაც შესაძლებლობა მისცა პატიმარს, დაეგროვებინა სამკურნალო აბების სასიკვდილო დოზა ისე, რომ წამლის მიღებაზე პასუხისმგებელმა სამედიცინო პერსონალმა არაფერი იცოდა ამაზე, რასაც მოჰყვა თვითმკვლელობა.³⁴ სასამართლომ მიუთითა, რომ ხელისუფლების პასუხისმგებლობა არ შემოიფარგლება სამკურნალო ნივთიერების დანიშვნით, არამედ მოიცავს იმის უზრუნველყოფას, რომ მას მიიღებენ როგორც საჭიროა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება გონებრივი აშლილობის მქონე პატიმრებს. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ დაარღვია ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი.³⁵

საქმე *კოსელავი თურქეთის წინააღმდეგ (Coselav v. Turkey)* ეხებოდა მოსარჩელეთა (ცოლ-ქმარი) შვილს, რომელმაც თავი ჩამოიხრჩო საკნის გისოსზე ლოგინის ზენრით.³⁶ მოსარჩელეთა შვილს მანამდე ორჯერ ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა. პირველად, 2003 წლის დეკემბერში ეს მცდელობა მოხდა ყარსის ციხის არასრულწლოვანთა ნაწილის ეზოში. ამის გამო მის წინააღმდეგ აღიძრა დისციპლინური სამართალწარმოება, თუმცა მისთვის არ შეუფარდებიათ დისციპლი-

33 1 ივნისი, 2010 წელი.

34 75-ე პუნქტი.

35 79-ე პუნქტი.

36 9 ოქტომბერი, 2012 წელი.

ნური სასჯელი; მეორედ, 2004 წლის იანვარში მოსარჩელეთა შვილი შეეცადა თავის მოკვლას დიდი რაოდენობით წამლის მიღებით. მას აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება საავადმყოფოში, რის შემდეგაც გადაიყვანეს ერზრუმის ციხეში, ჯერ არასრულწლოვანთა ფლიგელში, ხოლო მოგვიანებით სრულწლოვანი პატიმრების ფლიგელში. 2004 წლის თებერვლიდან დეკემბრამდე მოსარჩელეთა შვილმა გააგზავნა 22 წერილი ერზრუმის ციხის ადმინისტრაციის მისამართით, რომლებშიც ითხოვდა ციხის უფროსთან შეხვედრას მისი პირადი პრობლემების განსახილველად. იგი აცხადებდა, რომ ამ ფლიგელში ვერ შეენყო იქ მყოფ პატიმრებს. ერთხელ, 2004 წლის დეკემბერში, ციხის უფროსის მოადგილესთან შეხვედრის შემდეგ, როდესაც მას უარი უთხრეს არასრულწლოვანთა ფლიგელში გადაყვანაზე, მას ჰქონდა ციხის გუშაგზე თავდასხმის მცდელობა საპარსის პირით, ასევე მან გატეხა ნიჟარა თავის საკანში და ცეცხლი წაუკიდა თავის მატრასს.³⁷

თვითმკვლელობის დღეს მან რამდენჯერმე დაარტყა თავი საკნის კედელს, რის გამოც მოსარჩელეთა შვილი გადაიყვანეს სამედიცინო განყოფილებაში. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემდეგ იგი დააბრუნეს თავის საკანში, სადაც მან თავი მოიკლა.³⁸

მოსარჩელები ამტკიცებდნენ, რომ თურქეთის ხელისუფლებას ეკისრებოდა პასუხისმგებლობა მათი შვილის გარდაცვალებისა და ამ ფაქტის არასათანადო გამოძიებისათვის.

ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ხელისუფლებას ჰქონდა არაერთი მტკიცებულება იმისა, რომ მოსარჩელეთა შვილი იყო თვითმკვლელობის საფრთხის წინაშე (თვითმკვლელობის ორი შემთხვევა, თვითდაზიანება და სხვა შემთხვევები). მისი ფსიქოლოგიური პრობლემების არსებობა არცერთ ეტაპზე არ იყო სადავო. პატიმრებმა და ციხის ადმინისტრაციამ იცოდნენ მისი ფსიქოლოგიური პრობლემების შესახებ. სასამართლოს აზრით, მიუხედავად ამ საფრთხის არსებობისა, ხელისუფლებამ არ გაატარა აუცილებელი პრევენციული ღონისძიებები თვითმკვლელობის თავიდან ასაცილებლად. სასამართლოს აზრით, გაკვირვებას იწვევს, რომ მოსარჩელეთა შვილის გარდაცვალების დღეს, როდესაც მისი ფსიქიკური მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე და კრიტიკული იყო (მან რამდენჯერმე საკნის კედელს დაარტყა თავი), იგი დააბრუნეს საკუთარ საკანში და დატოვეს ზედამხედველობის გარეშე. სასამართლოს პოზიციით, კრიტიკულ მომენტში მოსარჩელეთა შვილს სჭირდებოდა დახმარება მძიმე ფსიქოლოგიური პრობლემების მოგვარებაში და არა დისციპლინური სასჯელი ან გულგრილობა.

აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ თურქეთის ხელისუფლება არა მხოლოდ პასუხისმგებელი იყო მოსარჩელეთა შვილის მდგომარეობის გაუარესებაზე ზრდასრულ პატიმრებთან მისი მოთავსებით, არამედ მან

37 მე-13 პუნქტი.

38 მე-14-მე-15 პუნქტები.

ვერ შეძლო, მოსარჩელეთა შვილისათვის უზრუნველყო სამედიცინო ან სპეციალისტის დახმარება, რამაც გამოიწვია კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.

საქმე *შუმკოვა რუსეთის წინააღმდეგ (Shumkova v. Russia)* ეხებოდა მოსარჩელის შვილის თვითმკვლელობას პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც იგი იხდიდა სასჯელს მკვლელობისა და ცრუ ჩვენების მიცემისათვის.³⁹ მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ ციხის ადმინისტრაცია პასუხისმგებელი იყო მისი შვილის გარდაცვალებაზე, რადგან მან იცოდა, რომ მისი შვილი განიცდიდა ფსიქიკურ აშლილობას და ჰქონდა მიდრეკილება თვითდაზიანებისაკენ. მიუხედავად ამისა, მოსარჩელის მტკიცებით, ციხის ადმინისტრაციას არ გაუტარებია შესაბამისი ღონისძიებები თვითმკვლელობის თავიდან ასაცილებლად, მათ შორის არ აღმოუჩენია სათანადო სამედიცინო დახმარება, როდესაც მისმა შვილმა საპარსის პირით გადაიჭრა ვენები; ასევე მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ გამოძიება არ იყო ეფექტიანი.

უპირველეს ყოვლისა, ევროპულმა სასამართლომ განიხილა, იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა ხელისუფლებას, რომ მოსარჩელის შვილი ქმნიდა თვითმკვლელობის რეალურ და მყისიერ საფრთხეს, და თუ ასე იყო, რა გააკეთა ხელისუფლებამ ასეთი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელისუფლება საეჭვოდ არ ხდოდა, რომ მოსარჩელის შვილს ჰქონდა ფსიქიკური პრობლემები.

ევროპულმა სასამართლომ ასევე გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ თვითმკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე მოსარჩელის შვილმა მიიყენა თვითდაზიანება, კერძოდ, დაისერა მაჯა. მიუხედავად ამ ფაქტისა, მას ხელი მიუწვდებოდა საპარსის პირზე, რომლითაც მოგვიანებით გადაიჭრა ვენები. იმის გათვალისწინებით, რომ რამდენიმე დღით ადრე მოსარჩელის შვილმა მიიყენა თვითდაზიანება, სასამართლოს აზრით, ციხის ადმინისტრაციას მეტი სიფრთხილე უნდა გამოეჩინა და უზრუნველყო, რომ საპარსის პირი აღარ ჰქონოდა მას.⁴⁰

ევროპულმა სასამართლომ ასევე იმსჯელა მოსარჩელის შვილისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, როდესაც ციხის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს, მოსარჩელის შვილმა გადაიჭრა ვენები და სისხლიდან იცლებოდა, მათ შესთავაზეს პირველადი დახმარების აღმოჩენა, რაზეც მან ზეპირსიტყვიერად უარი განაცხადა. სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან ციხის თანამშრომლებმა იცოდნენ, მოსარჩელის შვილს ჰქონდა ფსიქიკური აშლილობა, მისი უარისათვის არ უნდა მიექციათ ყურადღება, მით უფრო, რომ, მისი დაზიანების გათვალისწინებით, იგი ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას ციხის თანამშრომლებს.⁴¹ შესაბამისად, მოსარჩელის შვილის დაზიანებისა და სისხლის დაკარგვის ხარისხის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა

39 14 თებერვალი, 2012 წელი.

40 95-ე პუნქტი.

41 მე-100 პუნქტი.

პოზიცია, რომ პირველად დახმარებაზე ზეპირსიტყვიერმა უარმა შეიძლება გაამართლოს ციხის თანამშრომლების უმოქმედობა და იმის ცქერა, როგორ იცლებოდა იგი სისხლისაგან და კვდებოდა.⁴²

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ხელისუფლებამ ვერ შეასრულა სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება მოსარჩელის შვილის მიმართ. აქედან გამომდინარე, დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი.⁴³

საქმის – *რეინოლდსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Reynolds v. the United Kingdom)* – მიხედვით, მოსარჩელის შვილმა, რომელიც იყო დაავადებული შიზოფრენიით, ჩაიდინა თვითმკვლელობა მას შემდეგ, რაც მისი მდგომარეობა შეფასდა როგორც თვითმკვლელობის დაბალი საფრთხის მატარებელი.⁴⁴ იგი მოათავსეს ფსიქიატრიული საავადმყოფოს მე-6 სართულზე, სადაც მან გაამტვრია ფანჯარა და გადმოხტა, რის შედეგადაც გარდაიცვალა.⁴⁵ ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს ჰქონდა ვალდებულება, გადაედგა გონივრული ნაბიჯები, რათა დაეცვა მოსარჩელის შვილი თვითმკვლელობის რეალური და მყისიერი საფრთხისაგან, რაც არ მომხდარა.⁴⁶

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თვითმკვლელობის საქმეებთან დაკავშირებით ყურადღება გაამახვილა იმ ნაბიჯებზე, რომლებიც სახელმწიფომ უნდა გადადგას თავისუფლება აღკვეთილი პირების თვითმკვლელობისაგან დასაცავად. ამ ნაბიჯებს შორისაა პატიმრის ზედამხედველობა, ექიმის მიერ პატიმრის რეგულარული მონახულება, ფსიქიატრის მიერ პატიმრის შეფასება და მკურნალობა, პატიმრის უზრუნველყოფა მედიკამენტებით, პატიმრისათვის განგაშის მექანიზმის ხელმისაწვდომობა, ალკოჰოლური სასმელებისა და ნარკოტიკების აკრძალვა და სხვ.⁴⁷

საქმე *ჯენტი ბელგიის წინააღმდეგ (Jeanty v. Belgium)* ეხებოდა წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირის თვითმკვლელობის მცდელობას.⁴⁸ კერძოდ, მოსარჩელე (ფილიპ ჯენტი) 2011 წლის 26 ივნისს დააკავეს და მოათავსეს პოლიციის განყოფილებაში საკუთარი ცოლის შეურაცხყოფისა და მის მიმართ გამოყენებული ფიზიკური ძალადობისათვის. პოლიციაში დაკითხვის დროს მან განაცხადა, რომ ჰქონდა ფსიქოლოგიური აშლილობა და მოითხოვა საკუთარი თავის იზოლირება, რადგან განზრახული ჰქონდა თვითმკვლელობა. მომდევნო დღეს მოსამართლემ

42 101-ე პუნქტი.

43 104-ე-105-ე პუნქტები.

44 13 მარტი, 2012 წელი.

45 მე-10-მე-12 პუნქტები.

46 61-ე პუნქტი.

47 P.H. van Kempen, Positive Obligations to Ensure the Human Rights of Prisoners: Safety, Healthcare, Conjugal Visits and the Possibility of Founding a Family Under the ICCPR, the ECHR, the ACHR, and the AfChHPR, in: Peter J.P. Tak & Manon Jendly (eds.), Prison Policy and Prisoner' Rights. The Protection of Prisoners' Fundamental Rights in International and Domestic Law, 2008, 28.

48 31 მარტი, 2020 წელი.

მოათავსა იგი წინასწარ პატიმრობაში და ციხის ადმინისტრაციას შეატყობინა, რომ ფილიპ ჯენტის ჰქონდა მიდრეკილება თვითმკვლელობისაკენ. ციხეში მოთავსების შემდეგ მას სამჯერ ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა. ციხის ადმინისტრაციამ საკნიდან გაიტანა საფრთხის შემცველი ნივთები. იგი მოათავსეს დაცულ საკანში, ხოლო ციხის ექიმმა მისცა დამამშვიდებელი. მოსარჩელე რამდენიმე დღის განმავლობაში იმყოფებოდა სპეციალური ზედამხედველობის ქვეშ. 2011 წლის 12 აგვისტოს მოსარჩელე თავდებით გაათავისუფლეს. 2011 წლის 21 ოქტომბრიდან 2 დეკემბრამდე მოსარჩელე ხელახლა მოათავსეს იმავე ციხეში თავდების პირობების დარღვევის გამო. მან რამდენჯერმე მოითხოვა სხვა საკანში გადაყვანა თანამესაკნეების გამო. ციხის ადმინისტრაციის უარს მოსარჩელემ მუქარით უპასუხა, რომ ჩაიდენდა თვითმკვლელობას, რისთვისაც იგი მოათავსეს იზოლირებულ საკანში სპეციალური ზედამხედველობის ქვეშ. მორიგი შემთხვევების დროს გუშაგმა აღმოაჩინა, რომ მოსარჩელე ჩადიოდა თვითმკვლელობას და შეაჩერა იგი. ექიმის ბრძანებით, ციხის თანამშრომლებმა ფილიპ ჯენტის დაახურეს ჩაფხუტი და დაადეს ხელბორკილები, რათა დაეცვათ კედელზე თავის განზრახ მირტყმისა და თვითდაზიანებისაგან. ამ მდგომარეობაში იგი იმყოფებოდა მომდევნო დღემდე. ორი დღის შემდეგ კი გამოიყვანეს იზოლირებული საკნიდან და დაკითხა ციხის დირექტორმა, რომელმაც გასცა ბრძანება მისი დისციპლინური სასჯელით ოზოლირებულ საკანში მოთავსების შესახებ სამი დღის განმავლობაში. დირექტორის აზრით, პატიმარი ასეთი მოქმედებით ცდილობდა, ზემოქმედება მოეხდინა ციხის ადმინისტრაციაზე, რათა შეეცვალა საკანი. მოსარჩელე თავდებით განთავისუფლდა 2011 წლის 2 დეკემბერს.

გარდა კონვენციის მე-3 მუხლისა, რომლის დარღვევასაც მოსარჩელე ამტკიცებდა, იგი ასევე აცხადებდა, რომ დაერღვა კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული უფლება. კერძოდ, მისი მტკიცებით, ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო შესაფერისი ღონისძიებების გატარება, რათა თავიდან აეცილებინა თვითმკვლელობის მცდელობის სისრულეში მოყვანა.

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, თვითმკვლელობა არ მომხდარა, მაგრამ ეს არ გამოორიცხავს კონვენციის მე-2 მუხლის გამოყენებას მოცემული ვითარების მიმართ. შესაბამისად, თვითმკვლელობის მცდელობის საქმეზე ვრცელდება კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები. სასამართლოს პოზიციით, პატიმრობის დროს მოსარჩელეს ჰქონდა თვითმკვლელობის რამდენიმე მცდელობა და ციხის ადმინისტრაციის ჩარევის გამო ეს მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა.

რაც შეეხება საკითხს, გაატარა თუ არა ხელისუფლებამ საჭირო ღონისძიებები მოსარჩელის სიცოცხლის დასაცავად, სასამართლომ მიიჩნია, რომ, მთლიანობაში, ხელისუფლებამ გააკეთა ყველაფერი, რაც გონივრული იყო მოსარჩელის სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნის თავიდან ასაცილებლად. მეტიც, ამ ღონისძიებებმა რეალურად მოახდინა მოსარჩელის თვითმკვლელობის თავიდან აცილე-

ბა. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს აზრით, არ დარღვეულა კონვენციის მე-2 მუხლი.⁴⁹

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არ დადგინდა არც საქმეზე – *უჩარი თურქეთის წინააღმდეგ (Ucar v. Turkey)*, რომელშიც მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მისი შვილი არაიდენტიფიცირებულმა პირებმა მოიტაცეს 1999 წლის 5 ოქტომბერს, რის შემდეგაც იგი გადასცეს პოლიციას. მოპასუხე სახელმწიფო უარყოფდა მოსარჩელის შვილის მოტაცებას და ამტკიცებდა, რომ იგი დააკავეს 1999 წლის 2 ნოემბერს საექვო ქცევისა და გაყალბებული პირადობის საბუთის ტარებისათვის.⁵⁰ სახელმწიფოს ინფორმაციით, 1999 წლის 24 ნოემბერს მოსარჩელის შვილი აღმოაჩინეს ორიარუსიან საწოლზე ქამრით ჩამოხრჩობილი. დაუყოვნებლივ ჩატარდა გამოძიება, რომელმაც დაადგინა, რომ მოსარჩელის შვილმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ამის საწინააღმდეგოდ, მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მისი შვილი მოკლეს სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ან სხვა პატიმრებმა.

ევროპული სასამართლოს აზრით, არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები, რომ მას, გონივრული ეჭვის მიღმა, გაეკეთებინა დასკვნა, რომ მოსარჩელის შვილი მოკლა სახელმწიფოს წარმომადგენელმა ან სხვა პატიმარმა, როგორც ამას ამტკიცებდა მოსარჩელე.⁵¹ ამასთანავე, სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფოს მხრიდან არ დასტურდებოდა პატიმრის სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობა. სასამართლომ მოიშველია ორი სამედიცინო დასკვნა, რომლის საფუძველზე დაადგინა: არ არსებობდა მტკიცებულებები, რომელიც მიუთითებდა, რომ ციხის ადმინისტრაციამ იცოდა, რომ მოსარჩელის შვილი შეუქმნიდა საფრთხეს საკუთარ სიცოცხლეს და რომ იგი საჭიროებდა მკაცრ ზედამხედველობას. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-2 მუხლი.⁵²

მართალია, ევროპული სასამართლო ფართოდ იყენებს საქმეზე – *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom)* – დადგენილ კრიტერიუმებს, მაგრამ სასამართლომ კიდევ უფრო გააფართოვა სახელმწიფოს ვალდებულების ფარგლები და დაადგინა, რომ სახელმწიფომ ასევე უნდა დაიცვას თავისუფლებალკვეთილი პირები „განჭვრეტადი საფრთხისაგან“.⁵³ კერძოდ, საქმეზე – *კელერი რუსეთის წინააღმდეგ (Keller v. Russia)*, რომელშიც მსხვერპლი პოლიციაში ყოფნისას ფანჯრიდან გადახტა, სასამართლომ აღნიშნა: მაშინაც კი, როდესაც დადგენილი არ არის, რომ ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა საფრთხის არსებობის შესახებ, „არსებობს აუცილებელი საბაზისო პრევენციული

49 82-ე პუნქტი.

50 11 აპრილი, 2006 წელი.

51 81-ე-82-ე პუნქტები.

52 87-ე-89-ე პუნქტები.

53 W. Schabas, *The European Convention on Human Rights: A Commentary*, 2015, 133-134.

ლონისძიებები, რომლებიც პოლიციისა და პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებმა უნდა გაატარონ ყველა შემთხვევაში, რომ მოახდინონ ნებისმიერი პოტენციური საფრთხის შემცირება, რათა დაიცვან დაკავებული პირის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა“. ⁵⁴ შესაბამისად, პატიმრობაში მყოფი პირის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვის ვალდებულება მოიცავს ვალდებულებას, დაიცვას თავისუფლებაალკვეთილი პირის სიცოცხლე „განჭვრეტადი საფრთხისაგან“.⁵⁵

საქმე *ერემიასოვა და პეხოვა ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ (Eremiasova and Pechova v. the Czech Republic)* ეხებოდა ძარცვისათვის დაკავებული პირის (ვ.პ.-ს) პოლიციის განყოფილების შენობის ფანჯრიდან გადახტომას, რომლის შედეგად იგი გარდაიცვალა.⁵⁶ მოსარჩელები (გარდაცვლილის პარტნიორი და დედა) ამტკიცებდნენ, რომ ვ.პ. პოლიციელებმა გადაადგეს ფანჯრიდან და რომ არ ჩატარებულა საქმის ეფექტიანი გამოძიება.

პოლიციის ინფორმაციით, საქმის გარემოებები შემდეგი იყო: ორმა პოლიციელმა ვ.პ. მიაცილა საპირფარეშომდე. უკანა გზაზე ვ.პ.-მ, რომელსაც ხელბორკილები არ ედო, დაარტყა ერთ-ერთ პოლიციელს, დაიხსნა მისგან თავი და დახურული ფანჯრიდან თავით გადახტა პოლიციის ეზოში. ვ.პ. გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც მომდევნო დილით გარდაიცვალა.

გამოძიების დაწყებიდან რამდენიმე თვეში შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, შეენწყვიტა საქმე, რადგან, მისი აზრით, არ არსებობდა დაწამაულის ნიშნები.

ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს პოზიციის გაზიარების შემთხვევაშიც კი, რომლის თანახმადაც ვ.პ.-მ თავი მოიკლა გაქცევის მცდელობისას, სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას დაკავებულ პირთა ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, მოიცავს გონივრული ღონისძიებების გატარების საჭიროებას, რაც უზრუნველყოფს საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენებისაგან დაცვას.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მიზეზი, რატომაც პოლიციელებმა ვ.პ. ჩაიყვანეს პირველ სართულზე მდებარე საპირფარეშოში (ნაცვლად იმისა, რომ მას მეორე სართულზე მდებარე საპირფარეშოთი ესარგებლა) იყო ის, რომ პირველ სართულზე მდებარე საპირფარეშოს ჰქონდა გისოსები. მიუხედავად იმისა, პოლიციელები, სავარაუდოდ, აცნობიერებდნენ საფრთხეს, რომ ვ.პ.-ს შეიძლება ჰქონოდა გაქცევის მცდელობა, უკანა გზაზე თანხლებისას ვ.პ.-ს არ ეკეთა ხელბორკილები, ერთ-ერთ პოლიციელს მისთვის მსუბუქად ეკიდა ხელი და ვ.პ.-მ შეძლო გადახტომა პირველსა და მეორე სართულს შორის მდებარე ფანჯრიდან, რომელსაც არ ჰქონდა გისოსი.

54 17 ოქტომბერი, 2013 წელი. 82-ე პუნქტი.

55 ასევე იხ. *ლიკოვა რუსეთის წინააღმდეგ (Lykova v. Russia)*, 22 დეკემბერი, 2015 წელი, 129-ე პუნქტი.

56 16 თებერვალი, 2012 წელი.

ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა: მართალია, სახელმწიფოსათვის ისეთი ვალდებულების დაკისრება, რომ პოლიციის ყველა განყოფილების ფანჯარაზე იყოს გისოსი, მეტისმეტი იქნებოდა, პოლიციელებს მაინც მეტი ყურადღება უნდა გამოეჩინათ, რათა მინიმუმამდე შეემცირებინათ ვ.პ.-ს მიერ ფანჯრიდან გადახტომის საფრთხე. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.⁵⁷

საქმე *P.H. სლოვაკეთის წინააღმდეგ (P.H. v. Slovakia)* ეხებოდა 16 წლის გოგონას დაკავებას პოლიციის მიერ სავაჭრო ცენტრში ქურდობის გამო.⁵⁸ პოლიციის განყოფილებაში მოსარჩელის მიყვანის შემდეგ იგი გადმოხტა პოლიციის შენობის მეორე სართულზე მდებარე საპირფარეშოს ფანჯრიდან.

ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ მხარეები სადავოდ არ ხდიდნენ, მოსარჩელისათვის ზიანი განპირობებული იყო მისი მეორე სართულიდან გადმოხტომით, თუმცა ეს სახელმწიფოს არ ათავისუფლებდა პასუხისმგებლობისაგან. სასამართლოს აზრით, მიუხედავად იმისა, არ არსებობდა საფრთხის რაიმე ნიშანი, რომ მოსარჩელეს შეიძლება ჰქონოდა მცდელობა, მიმალულიყო ფანჯრიდან გადახტომის გზით, სახელმწიფო ვალდებული იყო, გაეტარებინა გარკვეული პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნებოდა რაიმე პოტენციური საფრთხის მინიმუმამდე შემცირებისაკენ.⁵⁹ როგორც ეს დადგენილი იყო ეროვნულ დონეზე, ოფიცერმა, რომელიც მოსარჩელეს თან ახლდა საპირფარეშოში, ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება, კერძოდ, მოსარჩელეს შეაქცია ზურგი. ოფიცერს უნდა უზრუნველყო, რომ ფანჯარა ყოფილიყო ჩაკეტილი, ან მას უნდა ეპოვნა მდებარეობითი სქესის ოფიცერი მოსარჩელის ზედამხედველობისათვის. სასამართლოს აზრით, ეს უმოქმედობა ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას მოსარჩელის ფიზიკური კეთილდღეობა.⁶⁰ აქედან გამომდინარე, სასამართლოს აზრით, სახელმწიფო არის პასუხისმგებელი მოსარჩელის დაზიანებებზე. ამის გამო სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი არსებით ნაწილში.⁶¹

საქმის – *მიზიგაროვა სლოვაკეთის წინააღმდეგ (Mizigarova v. Slovakia)* – მიხედვით, მოსარჩელის მეუღლე გარდაიცვალა პენიტენციურ დაწესებულებაში გასროლილი ტყვიით. მოსარჩელე მხარე ამტკიცებდა, რომ იარაღი ისროლა პოლიციელმა, რომელიც ეჭვმიტანილს კითხავდა, ხოლო სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ ეს იყო თვითმკვლელობა.⁶² მიუხედავად იმისა, რომელი იყო გარდაცვალებ-

57 118-ე პუნქტი. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში.

58 8 სექტემბერი, 2022 წელი.

59 112-ე-113-ე პუნქტები.

60 114-ე პუნქტი.

61 115-ე პუნქტი. ამ საქმეზე სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის დარღვევა საპროცესო ნაწილში. იხ. 109-ე პუნქტი; ასევე იხ. *ფანზიევა რუსეთის წინააღმდეგ (Fanziyeva v. Russia)*, 18 ივნისი, 2015 წელი, 56-ე-მე-60 პუნქტები.

62 14 დეკემბერი, 2010 წელი.

ბის სწორი ვერსია, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა მე-2 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულება. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ არის აუცილებელი, არსებობდეს კონკრეტულ (იდენტიფიცირებულ) პირთან დაკავშირებული საფრთხე. სასამართლოს აზრით, სახელმწიფომ ყველა შემთხვევაში უნდა გაატაროს საბაზისო პრევენციული ღონისძიებები იმისათვის, რათა თავისუფლებალკვეთილი პირების სიცოცხლისათვის პოტენციური საფრთხეც კი მინიმუმამდე შეამციროს. ამიტომ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა თავის პრაქტიკაში, რომ საბაზისო პრევენციული ღონისძიებების გაუტარებლობა სახელმწიფოს მიერ იწვევს მის პასუხისმგებლობას კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე.⁶³

ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *ტანრიბილირი თურქეთის წინააღმდეგ (Tanribilir v. Turkey)* – მიუთითა, რომ ფიზიკური თავისუფლების ნებისმიერმა აღკვეთამ შეიძლება, თავისი ბუნებით, გამოიწვიოს ფსიქოლოგიური აშლილობა პატიმრებს შორის და, შესაბამისად, გაზარდოს თვითმკვლელობის საფრთხე. ასეთი საფრთხის წინააღმდეგ სახელმწიფომ უნდა გაატაროს პრევენციული ღონისძიებები, როგორებიცაა ბასრი ნივთების, ქაშაყებისა და ზონარების ამოღება.⁶⁴ მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლების აღკვეთამ შეიძლება შექმნას თვითმკვლელობის საფრთხე, ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *იანგერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Younger v. the United Kingdom)* – მიუთითა, რომ, მართალია, თვითმკვლელობის საფრთხე უფრო მაღალია პატიმრებს შორის, ვიდრე ზოგადად მოსახლეობაში, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ციხის ადმინისტრაციამ ყველა პატიმარი უნდა მიიჩნიოს თვითმკვლელობის პოტენციური საფრთხის შემცველად.⁶⁵ როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, ყველა პატიმრის განხილვა თვითმკვლელობის საფრთხის შემცველად არა მხოლოდ არათანაზომიერი ტვირთი იქნება ხელისუფლებისათვის, არამედ ასევე ჩაითვლება პოტენციურად უსარგებლო და არათანაზომიერ შეზღუდვად ცალკეული პატიმრის თავისუფლების მიმართ.⁶⁶

საქმე *S.F. შვეიცარიის წინააღმდეგ (S.F. v. Switzerland)* ეხებოდა მოსარჩელის შვილის (D.F.), რომელიც ალკოჰოლისა და ანტიდეპრესანტების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, მიზეზით 2014 წელს მომხდარ საგზაო შემთხვევას.⁶⁷ პოლიციის ოფიცრებმა (R.B.-მ და A.S.-მ), რომლებიც მივიდნენ შემთხვევის ადგილას, შეასრულეს ამ ტიპის ავტოავარიისათვის დადგენილი სტანდარტული პროცედურა. შემთხვევის ადგილას ასევე მივიდა მოსარჩელე, რომელსაც შვილმა (D.F.) დაუ-

63 L.-A. Sicilianos, Preventing Violations of the Right to Life: Positive Obligations Under Article 2 of the ECHR, *Cyprus Human Rights Law Review*, vol. 3, 2014, 119-120.

64 16 ნოემბერი, 2000 წელი, 74-ე პუნქტი.

65 გადაწყვეტილება, 7 იანვარი, 2003 წელი.

66 S. Kyrkos, Suicide in the Military as a Breach of the Rights to Life, Under the Provisions of Article 2 of the European Convention on Human Rights and Fundamental Freedoms, <http://ssrn.com/abstract=2836637>, p. 6-7.

67 30 ივნისი, 2020 წელი.

რეკა. მოსარჩელის შვილი საუბრობდა თვითმკვლელობაზე. დადგენილი პროცედურის მიხედვით, პოლიციის ოფიცრებმა D.F. წაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც მისთვის უნდა ჩატარებინათ სისხლისა და შარდის ანალიზი. მოსარჩელის შვილმა კიდევ ახსენა თვითმკვლელობა. მოგვიანებით პოლიციის ოფიცრები დაუკავშირდნენ საგზაო პოლიციის განყოფილებას და შეატყობინეს, რომ ისინი უკვე იმყოფებიან გზაში და რომ ადგილზე საჭირო იქნება ექიმის დახმარება. D.F., რომელსაც ახლდა მოსარჩელე, მიიყვანეს პოლიციის განყოფილებაში და მოათავსეს ცალკე საკანში, ზედამხედველობის გარეშე. 40 წუთის მონაკვეთში, რომლის განმავლობაშიც D.F. იმყოფებოდა საკანში, მან ჩაიდინა თვითმკვლელობა, საკუთარი ჯინსის შარვლით სავენტილაციო ბადეზე ჩამოკიდებით.

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ, პირველ რიგში, განიხილა, იცოდა თუ არა ხელისუფლებამ თვითმკვლელობის საფრთხისა და D.F.-ს განსაკუთრებული მოწყვლადობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ შემთხვევის ადგილას პოლიციის ოფიცრმა A.S.-მ განიხილა მოსარჩელესთან, რომ D.F. საუბრობდა თვითმკვლელობაზე და საჭირო იყო შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა; ასევე საგზაო პოლიციის განყოფილებაში პოლიციის ოფიცერი C.R. იყო ინფორმირებული თვითმკვლელობის საფრთხის შესახებ ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე D.F.-ს მიიყვანდნენ პოლიციის განყოფილებაში. პოლიციასთან პირველივე შეხებისას D.F.-მ გამოავლინა უცნაური ქცევა, რომელიც მიუთითებდა მის ემოციურ დამოკიდებულებაზე საკუთარ დედასთან, რაც გამოიხატა იმით, რომ D.F.-მ შექმნილი სიტუაცია მიიჩნია საფრთხის შემცველად. ევროპულმა სასამართლომ ასევე მიუთითა: დასკვნაში ავტოფსიის შესახებ საექსპერტო მედიცინის ინსტიტუტმა (IRMZ) აღნიშნა, რომ D.F.-ს იზოლაცია სამართო საკანში, მისი „მიმდინარე“ თვითმკვლელობის იდეები, თვითმკვლელობის წარსული მცდელობები და „ალკოჰოლის პრობლემა“ ჩაითვალა საფრთხის შემცველ ფაქტორებად პატიმრობაში თვითმკვლელობის ჩადენის მიმართ და რომ ამ საქმეში მინიმუმ ორი ეს ფაქტორი იყო სახეზე.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფომ იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ D.F.-ს შეეძლო თვითმკვლელობის ჩადენა და, აქედან გამომდინარე, არსებობდა რეალური და მყისიერი საფრთხე მისი სიცოცხლისათვის. ამას გარდა, ხელისუფლებას ხელთ ჰქონდა საკმარისი მტკიცებულება D.F.-ს განსაკუთრებული მოწყვლადობის შესახებ. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებას უნდა გაეცნობიერებინა D.F.-სათვის მკაცრი ზედამხედველობის განევის აბსოლუტური აუცილებლობა.

რაც შეეხება ღონისძიებებს, რომლებიც სახელმწიფომ გაატარა თვითმკვლელობის საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საგზაო პოლიციის განყოფილებაში პოლიციის ოფიცრებმა განახორციელეს უსაფრთხოების სტანდარტული პროცედურა, რაც მოიცავს ფეხსაცმლის თასმების, ქამრისა და ძეწკვის ამოღებას, რითიც პირს ერთმე-

ვა თავის ჩამოხრჩობის ან სხვაგვარი თვითდაზიანების მიყენების შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, პოლიციის ხუთი ოფიცერი იმყოფებოდა საგზაო პოლიციის განყოფილებაში და D.F. შეიძლება გაეჩერებინათ საოფისე სივრცეში, მოსარჩელის თანდასწრებით.

საბოლოოდ, ევროპული სასამართლოს აზრით, იმ ფაქტმა, რომ პოლიციამ D.F. მარტოდ დატოვა საკანში, ზედამხედველობის გარეშე, დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლება. სასამართლოს პოზიციით, ხელისუფლებას შეეძლო, გონივრული და შედარებით მცირე ძალისხმევით თავიდან აეცილებინა D.F.-სათვის თვითმკვლელობის საფრთხე, რაც მათთვის ცნობილი იყო, ან უნდა ყოფილიყო ცნობილი. ხელისუფლების პასუხისმგებლობა გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ის მოეპყრო D.F.-ს, როგორც ადამიანს, რომელსაც ჰქონდა მის წინაშე წარმოქმნილი სტრესისა და წნეხის გამკლავების უნარი და სახელმწიფომ ვერ შეძლო მისი რთული მდგომარეობის საკმარისად გათვალისწინება.⁶⁸ მიუხედავად იმისა, პოლიციის ოფიცრები მოქმედებდნენ თუ არა ასეთი სიტუაციის მარეგულირებელი წესების მიხედვით, ვერ მოხდა D.F.-ს განსაკუთრებული მდგომარეობის მხედველობაში მიღება, რამაც გამოიწვია სახელმწიფოს პასუხისმგებლობა კონვენციის საფუძველზე. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.⁶⁹

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მოკლე მიმოხილვიდან გამომდინარეობს, რომ თავისუფლებააღკვეთილი პირების სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულების შესასრულებლად სახელმწიფომ უნდა გადადგას რიგი ნაბიჯებისა, რომლებიც უზრუნველყოფს ღონისძიების გატარებას არა მხოლოდ იდენტიფიცირებული პატიმრების მიმართ, რომელთა სიცოცხლე საფრთხეშია, არამედ ისეთი საბაზისო პრევენციული ღონისძიებების გატარებას, რომლებიც მინიმუმამდე შეამცირებს საფრთხეს პატიმრების სიცოცხლისათვის.

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც სახელმწიფოთა პრაქტიკაში წამოიჭრა პატიმრებთან მიმართებით, არის შემდეგი: ვალდებულია თუ არა სახელმწიფო, უზრუნველყოს იმ პატიმრის იძულებითი კვება, რომელიც შიმშილობს და, შესაბამისად, უარს აცხადებს საკვების მიღებაზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს პირის გარდაცვალება?⁷⁰

საქმე *ჰოროზი თურქეთის წინააღმდეგ (Horoz v. Turkey)* ეხებოდა მოსარჩელის შვილის წინასწარ პატიმრობას, რომელიც დაკავებული იყო სახელმწიფოს

68 98-ე პუნქტი.

69 99-ე პუნქტი. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში. იხ. 140-ე პუნქტი.

70 S. Trechsel, *Spotlight on Article 2 ECHR, The Right to Life*, in: *Development and Developing International Law and European Law: Essays in Honour of Konrad Ginther on the Occasion of his 65th Birthday*, W. Benedek, H. Isak and R. Kicker (eds.), 1999, 676-677; J. McBride, *Protecting Life: A Positive Obligation to Help*, *Bulletin des Droits de l'Homme*, N9, 2000, 63; W. Schabas, *The European Convention on Human Rights: A Commentary*, 2015, 132-133.

კონსტიტუციური წესრიგის ხელყოფისა და სხვადასხვა ტერორისტული აქტის ჩადენის ბრალდებით.⁷¹ მოსარჩელის შვილმა გადაწყვიტა შიმშილობის გამოცხადება და იღებდა მხოლოდ შაქრიან წყალსა და ვიტამინებს. რამდენჯერმე მოხდა მისი ჰოსპიტალიზაცია მას შემდეგ, რაც მან დაკარგა გონება. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ინსტიტუტმა გასცა რეკომენდაცია, რომ მოსარჩელის შვილი ექვსი თვით განთავისუფლებულიყო პატიმრობიდან, რადგან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეუთავსებელი იყო პატიმრობასთან. მოსარჩელის შვილის ადვოკატმა მოითხოვა მისი განთავისუფლება, რაზეც ეროვნული უშიშროების სასამართლომ უარი განაცხადა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საფუძველზე. კოდექსი ითვალისწინებდა მხოლოდ მსჯავრდებული პირების, და არა წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების, განთავისუფლებას საპატიმროდან, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. ეროვნული უშიშროების სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის შვილის მკურნალობა შეიძლება განხორციელდეს ციხის სამოქალაქო საავადმყოფოს ფლიგელში. რამდენიმე დღეში მოსარჩელის შვილი გარდაიცვალა ციხის სამოქალაქო საავადმყოფოს ფლიგელში.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელის შვილის გარდაცვალება აშკარად იყო შიმშილობის შედეგი. სასამართლოს აზრით, მართალია, სასურველი იყო თავისუფლებალკვეთილი პირის განთავისუფლება, როგორც ეს რეკომენდებული იყო სასამართლო-სამედიცინო ინსტიტუტის ანგარიშით, არ არსებობს ეროვნული სასამართლოს შეფასების კრიტიკის საფუძველი მასში მოყვანილი ინფორმაციის მიმართ. ევროპული სასამართლოს აზრით, ასევე არ არსებობდა უკანონოების რაიმე ნიშანი ან რაიმე სხვა ელემენტი, რაც ეჭვის ქვეშ დააყენებდა გაკეთებულ დასკვნას. იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა სასურველი მოსარჩელის შვილის დატოვება პენიტენციურ დაწესებულებაში, ევროპული სასამართლოს პოზიციით, ის ვერ ჩაანაცვლებს ეროვნული სასამართლოების შეფასებას თავისი შეფასებით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც, როგორც ამ საქმეში იყო, ხელისუფლებამ საკმარისად შეასრულა თავისი ვალდებულება, დაეცვა შესაბამისი პირის ფიზიკური ხელშეუხებლობა, კერძოდ სათანადო სამედიცინო მკურნალობის აღმინისტრირებით. და ბოლოს, არ არსებობდა მტკიცებულება, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში მას არ ჰქონდა გარკვეული მკურნალობის შესაძლებლობა, რაც მას ექნებოდა განთავისუფლების შემთხვევაში. სასამართლოს აზრით, შეუძლებელი იყო მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენა მის განთავისუფლებაზე უარსა და მის გარდაცვალებას შორის. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის შვილის წინასწარი პატიმრობიდან განთავისუფლებაზე უარს არ დაურღვევია ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი.⁷²

71 31 მარტი, 2009 წელი.

72 31-ე პუნქტი. შიმშილობის დროს პატიმრის იძულებით კვებაზე იხ. *ნევმერჟიტსკი უკრაინის წინააღმდეგ (Nevmerzhitsky v. Ukraine)*, 5 აპრილი, 2005 წელი; *რაპაზი შვეიცარიის წინააღმდეგ (Rappaz v. Switzerland)*, გადაწყვეტილება, 26 მარტი, 2013 წელი.

3. თავისუფლებააღკვეთილი პირების სიცოცხლის დაცვა საქართველოში

3.1. სხვა თავისუფლებააღკვეთილი პირისაგან თავისუფლებააღკვეთილი პირის სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში

ა) კანონმდებლობა

პატიმრის სიცოცხლის (და ჯანმრთელობის) დაცვას, სხვა პატიმრებისაგან მომდინარე საფრთხის შემთხვევაში, აწესრიგებს საქართველოს რამდენიმე ნორმატიული აქტი. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XIX და XX თავები, რომლებიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სიცოცხლისა და ადამიანის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის, ვრცელდება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაზე.

რაც შეეხება უშუალოდ პენიტენციური სამსახურის ვალდებულებას, უზრუნველყოს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა, აღსანიშნავია, რომ პენიტენციური კოდექსის 62-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სხვისი (ისევე როგორც საკუთარი თავისა და ქონების) დაზიანების თავიდან ასაცილებლად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გამოიყენონ შემდეგი უსაფრთხოების ღონისძიებები: ა) სპეციალური საშუალებების გამოყენება; ბ) სხვა ბრალდებულთაგან/მსჯავრდებულთაგან მისი განცალკევება; გ) დროებით სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანა; დ) არაუმეტეს 24 საათით სამართლო საკანში მოთავსება; ე) დროებითი საგუშაგოს ან დამატებითი საგუშაგოს მონაცვლა; ვ) დეესკალაციის ოთახში გადაყვანა.⁷³ პენიტენციური კოდექსი განსაზღვრავს, რომ უსაფრთხოების ღონისძიების განხორციელება წყდება დაუყოვნებლივ, იმ საფრთხის აღმოფხვრისთანავე, რომლის აღსაკვეთადაც ეს ღონისძიება გამოიყენებოდა.⁷⁴

კოდექსის მიხედვით, უსაფრთხოების ღონისძიების განხორციელების შემდეგ შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელობა სამედიცინო პერსონალთან ერთად, დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო შემოწმებას, რისთვისაც დგება შესაბამისი აქტი.⁷⁵

პენიტენციური კოდექსის 63-ე მუხლი ადგენს როგორც სპეციალურ საშუალებებს, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ, ისე ამ საშუალებების გამოყენების წესს. კერძოდ, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გამოიყენონ შემდეგი სპეციალური საშუალებები: ა) ხელ-

73 15 დეკემბერი, 2023 წელი. კოდექსის 62-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.

74 კოდექსის 62-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

75 კოდექსის 62-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

ბორკილი; ბ) დამაწყნარებელი პერანგი; გ) დამაწყნარებელი სკამი; დ) დამაწყნარებელი საწოლი; ე) ხელკეტი; ვ) ცრემლსადენი გაზი; ზ) წინაკის გაზი; თ) არალეტალური იარაღი; ი) აკუსტიკური საშუალება; კ) ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა და სხვ.⁷⁶ ამასთანავე, კოდექსი დეტალურად განსაზღვრავს, რომელი ღონისძიება შეიძლება გატარდეს კონკრეტულ შემთხვევაში.⁷⁷ მაგალითად, განსაზღვრულია, რომ ხელბორკილი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ, რომელიც, მათ შორის, საფრთხეს უქმნის სხვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.⁷⁸

სპეციალური საშუალებების გამოყენებისას კოდექსი ითვალისწინებს მთელ რიგ წესებს, რომლებიც მიმართულია თანაზომიერებისა და გონივრულობის პრინციპების დაცვისა და მიყენებული ზიანის შემცირებისაკენ. კერძოდ, კოდექსი ადგენს, რომ სპეციალური საშუალებები გამოიყენება უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც სხვა საშუალებების გამოყენება არაეფექტიანია. სპეციალური საშუალებების გამოყენება შექმნილი საფრთხის თანაზომიერი უნდა იყოს და კანონიერი მიზნის მისაღწევად უფრო ნაკლები ზიანი უნდა მიაყენოს იმ პირს, რომლის მიმართაც შესაბამისი ღონისძიება ტარდება.⁷⁹

კოდექსი ასევე ადგენს, რომ სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლება აქვს სამსახურის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელსაც გავლილი აქვს სათანადო მომზადება.⁸⁰ ასევე დადგენილია, რომ სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლების მქონე პირი ვალდებულია, სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს შესაბამისი პირი და მისცეს გონივრული ვადა მისი კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად, გარდა საგამონაკლისო შემთხვევისა.⁸¹

კოდექსი ასევე განსაზღვრავს შესაბამისი პირების პასუხისმგებლობას. კერძოდ, ის ადგენს, რომ სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ გადანეყვტილებისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება ამ გადანეყვტილების მიმღებ პირს, ხოლო სპეციალური საშუალების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოყენებისათვის – სპეციალური საშუალების გამომყენებელ პირს.⁸²

ასევე კოდექსის მიხედვით, სპეციალური საშუალების (გარდა ხელბორკილისა) გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებათ შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დირექტორს და ექიმს ან ექთანს. სპეციალური საშუალების გამოყენების შემდეგ, პირველი შესაძლებლობისთანავე, ხორციელდება ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო შემოწმება.⁸³

76 კოდექსის 63-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.

77 კოდექსის 63-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

78 კოდექსის 63-ე მუხლის მე-2(ა) ნაწილი.

79 კოდექსის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

80 კოდექსის 63-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

81 კოდექსის 63-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

82 კოდექსის 63-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

83 კოდექსის 63-ე მუხლის მე-7 ნაწილი.

სპეციალური საშუალების გამოყენების შესახებ დგება ოქმი, რომელშიც აღიწინებება გამოყენებული საშუალება, მისი გამოყენების დასაბუთება და სხვა მონაცემები.⁸⁴

კოდექსი ასევე ითვალისწინებს, რომ სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლების მქონე პირი წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ, როგორც წესი, არ იყენებს სპეციალურ საშუალებებს, გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სპეციალური საშუალებისა.⁸⁵ ასევე სპეციალური საშუალებების გამოყენებისას შეძლებისდაგვარად უნდა იქნეს გათვალისწინებული შესაბამისი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა და შეზღუდული შესაძლებლობა.⁸⁶

პენიტენციური კოდექსი ითვალისწინებს სხვა ღონისძიებების გატარებას, რომელთა მიზანია პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა. კერძოდ, დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას, მათ შორის, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ ძალადობის თავიდან ასაცილებლად შეიძლება განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი.⁸⁷ კოდექსი ადგენს ბრალდებულის/მსჯავრდებულის ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა ან/და აუდიო-, ვიდეოჩანერის განხორციელების შესახებ გაფრთხილების წესს,⁸⁸ კრძალავს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის განხორციელებას საერთო სარგებლობის საშხაპეში, საერთო სარგებლობის საპირფარეოსა და ხანგრძლივი პაემნისთვის განკუთვნილ ოთახში.⁸⁹

პატიმრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას ისახავს მიზნად პენიტენციური დაწესებულებების დებულებები, რომლებიც ადგენენ, რომ თუ ბრალდებული/მსჯავრდებული საფრთხეს უქმნის სხვის (ან საკუთარ) სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, სამედიცინო პერსონალის რეკომენდაციითა და დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, იგი შეიძლება განთავსდეს დაწესებულების სათანადოდ აღჭურვილ დეესკალაციის ოთახში სამედიცინო პერსონალის უწყვეტი ხელმისაწვდომობისა და დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის 24-საათიანი ვიზუალური საშუალებებით მეთვალყურეობის პირობებში.⁹⁰

84 კოდექსის 63-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

85 კოდექსის 63-ე მუხლის მე-16 ნაწილი.

86 კოდექსის 63-ე მუხლის მე-17 ნაწილი.

87 კოდექსის 58-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.

88 კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები.

89 კოდექსის 58-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

90 მაგ., საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N928 „N1 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 8 სექტემბერი, 2023 წელი, 25-ე მუხლი, იხ.: [\[https://matsne.gov.ge/ka/document/view/5911462?publication=1\]](https://matsne.gov.ge/ka/document/view/5911462?publication=1); ასევე იხ. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N119 „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N2 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 27 აგვისტო, 2015 წელი, მე-17 მუხლი. ასევე იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“, N2/8/1637, 27

დეესკალაციის ოთახში გადაყვანილი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მდგომარეობა გადაყვანიდან არაუგვიანეს 24 საათის ვადაში შეფასდება მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ. მულტიდისციპლინურ ჯგუფში შემავალი სამედიცინო პერსონალის რეკომენდაციის საფუძველზე, ამავე ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, არაუგვიანეს მომდევნო 24 საათის ვადაში, ბრალდებული/მსჯავრდებული, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით შეიძლება შეფასდეს შესაბამისი დარგის სპეციალისტის მიერ. დაწესებულების დირექტორი მულტიდისციპლინური ჯგუფის დასკვნისა და შესაბამისი დარგის სპეციალისტის რეკომენდაციის საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ამ დოკუმენტაციის მისთვის გადაცემიდან არაუგვიანეს მომდევნო 24 საათის განმავლობაში წყვეტს ბრალდებულის/მსჯავრდებულის საკანში/შიდა კლასიფიკაციის საკანში დაბრუნების საკითხს, ხოლო თუ დასკვნა/რეკომენდაცია ითვალისწინებს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში ან სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გადაყვანას, შესაბამის გადაწყვეტილებას, დაწესებულების დირექტორის მიმართვის საფუძველზე, ამავე ვადაში იღებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი.⁹¹

პენიტენციური დაწესებულებების დებულებები ასევე ითვალისწინებს სხვა გარანტიებს, მათ შორის, ბრალდებული/მსჯავრდებული დეესკალაციის ოთახში შეიძლება განთავსდეს იმ საფრთხის აღმოფხვრამდე, რამაც მისი დეესკალაციის ოთახში მოთავსება განაპირობა, მაგრამ არაუმეტეს 72 საათისა.⁹² დებულებები ასევე ადგენენ, რომ დაუშვებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში დასჯის მიზნით გადაყვანა.⁹³

პენიტენციურ დაწესებულებებში სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას, პატიმართა შორის ძალადობის თავიდან აცილების ჩათვლით, ასევე ემსახურება „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 8 მაისის №395 ბრძანება, რომლის მიზანია მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასება და პერიოდული გადაფასება.⁹⁴

დეკემბერი, 2024 წელი, იხ.: [<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/6374272?publication=0>].

91 მაგ., საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N928 „N1 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 8 სექტემბერი, 2023 წელი, 25-ე მუხლის მე-8 პუნქტი, იხ.: [<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5911462?publication=1>].

92 მაგ., საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N928 „N1 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 8 სექტემბერი, 2023 წელი, 25-ე მუხლის მუხლის მე-2-მე-4 პუნქტები, იხ.: [<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5911462?publication=1>].

93 იქვე, მე-10 პუნქტი.

94 იხ. [<https://matsne.gov.ge/document/view/4556924?publication=0>].

ამავე ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლი ითვალისწინებს მსჯავრდებულისთვის საშიშროების რისკის სახის განსაზღვრის შესაბამის კრიტერიუმებს, კერძოდ, მსჯავრდებულის საშიშროების რისკის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დაწესებულების, გარემომცხოვრებთა, საზოგადოების, სახელმწიფოს ან/და სამართალდამცავი ორგანოების უსაფრთხოებისათვის მსჯავრდებულისგან მომდინარე საშიშროება, რომელთა გათვალისწინებით, მიიღება გადაწყვეტილება, თუ რომელი საშიშროების რისკის სახე უნდა განესაზღვროს მსჯავრდებულს.⁹⁵ იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესის თანახმად, განსაზღვრულია საშიშროების რისკის ოთხი სახე: დაბალი, საშუალო, მომეტებული და მაღალი რისკის მქონე მსჯავრდებულები.⁹⁶

95 ეს კრიტერიუმებია: ა) მსჯავრდებულის პიროვნული თვისებები; ბ) ჩადენილი დანაშაულის კატეგორია და დანაშაულის ჩადენის მოტივი; გ) დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი; დ) დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა; ე) მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი იმგვარი ქმედება, რომელიც ინვეს/გამოიწვევს დაპირისპირებას მსჯავრდებულთა მასასთან და საფრთხეს უქმნის/შეუქმნის მსჯავრდებულის/სხვა მსჯავრდებულების სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან პენიტენციური სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას; ვ) დაწესებულების წარმომადგენლებთან და სხვა მსჯავრდებულებთან დამოკიდებულება, მათზე უარყოფითი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა; ზ) დაწესებულების დებულებითა და დღის განრიგით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება; თ) ალკოჰოლის, აზარტული თამაშების, ნარკოტიკული, ახალი ფსიქოაქტიური და ფსიქოტროპული ნივთიერებების მიმართ დამოკიდებულება; ი) მსჯავრდებულის მიერ წარსულში, ასევე დაწესებულებაში დანაშაულის ჩადენის ფაქტები; კ) დარჩენილი სასჯელის ხანგრძლივობა; ლ) დაწესებულებიდან გაქცევის ან გაქცევის მცდელობის ფაქტები; მ) წარსულში დაწესებულებაში სასჯელის მოხდის შემთხვევები; ნ) მსჯავრდებულის ასაკი; ო) ქურდულ სამყაროსთან/ტერორიზმთან დამოკიდებულება; პ) დაწესებულებაში არსებულ სარეაბილიტაციო/რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართულობა; ჟ) ისეთი თვითდაზიანების მიყენების/მცდელობის ფაქტები, რომლებითაც საფრთხე ექმნება ან შეიძლება შეექმნას დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას; რ) ნახალისების/დისციპლინური სახდელის/დისციპლინური პატიმრობის გამოყენების ფაქტი.

96 წესის მე-5 მუხლი. კერძოდ: ა) საშიშროების დაბალი რისკის მქონე არის მსჯავრდებული, რომლისგან მომდინარე საფრთხე დაწესებულებისთვის ან გარემომცხოვრებთათვის, აგრეთვე საზოგადოებისათვის, სახელმწიფოს ან/და სამართალდამცავი ორგანოებისათვის, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, არის დაბალი (მინიმალური). დაბალი რისკის მქონე მსჯავრდებული თავსდება დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

ბ) საშიშროების საშუალო რისკის მქონე არის მსჯავრდებული, რომლისგან მომდინარე საფრთხე დაწესებულებისთვის ან გარემომცხოვრებთათვის, აგრეთვე საზოგადოებისათვის, სახელმწიფოს ან/და სამართალდამცავი ორგანოებისათვის, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, არის საშუალო. საშუალო რისკის მქონე მსჯავრდებული თავსდება ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

გ) საშიშროების მომეტებული რისკის მქონე არის მსჯავრდებული, რომლისგან მომდინარე საფრთხე დაწესებულებისთვის ან გარემომცხოვრებთათვის, აგრეთვე საზოგადოებისათვის, სახელმწიფოს ან/და სამართალდამცავი ორგანოებისათვის, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, არის მომეტებული. მომეტებული რისკის მქონე მსჯავრდებული თავსდება დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

გარდა ზემოაღნიშნული მექანიზმებისა, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს დამატებითი ღონისძიებების გატარებას იმ ბრალდებულის/მსჯავრდებულის სიცოცხლის/ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, რომლის მიმართ უკვე მოხდა სიცოცხლის მოსპობის მცდელობა სხვა პატიმრის (პატიმრების) მხრიდან. კერძოდ, პენიტენციური დაწესებულების დირექტორს უფლება აქვს, პენიტენციური დაწესებულების დებულების შესაბამისად, მიიღოს გადაწყვეტილება ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხვა ბრალდებულებისაგან/მსჯავრდებულებისაგან განცალკევებით მოთავსების თაობაზე.⁹⁷

თუ უსაფრთხოების ღონისძიებებმა შესაბამისი შედეგები არ გამოიღო, პენიტენციური დაწესებულების დირექტორი სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის წინაშე შუამდგომლობს ბრალდებულის/მსჯავრდებულის ან ბრალდებულის/მსჯავრდებულის უსაფრთხოებისათვის საშიში პირების სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში დადგენილი წესით გადაყვანის თაობაზე. აგრეთვე შეიძლება დადგეს მსჯავრდებულისთვის საშიშროების რისკის გადაფასების საკითხიც და მსჯავრდებული განთავსდეს რისკის შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში.⁹⁸

პატიმართა შორის ძალადობის პრევენციის მიზნით პენიტენციურ დაწესებულებებში ხდება ბრალდებულთა⁹⁹ და მსჯავრდებულთა¹⁰⁰ თავსებადობის საკითხის შესწავლა, რის შემდეგაც ხდება პატიმრის შესაბამის საკანში განთავსება. ასევე დაწესებულების განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის ნაწილში განთავსებული მსჯავრდებულის ერთადგილიან ან ორადგილიან საკანში განცალკევებით მოთავსების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მსჯავრდებულთა თავსებადობის საკითხის შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით, რა დროსაც მხედველობაში მიიღება მსჯავრდებულის სხვა მსჯავრდებულთან ერთად განთავსებით მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის შესაძლო საფრთხის შექმნა.¹⁰¹ ამასთანა-

დ) საშიშროების მაღალი რისკის მქონე არის მსჯავრდებული, რომლისგან მომდინარე საფრთხე დაწესებულებისთვის ან გარემომყოფთათვის, აგრეთვე საზოგადოებისათვის, სახელმწიფოსა ან/და სამართალდამცავი ორგანოებისათვის, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, არის მაღალი. მაღალი რისკის მქონე მსჯავრდებული თავსდება განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

97 მაგ., საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N928 „N1 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 8 სექტემბერი, 2023 წელი, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი; ასევე იხ. 23-ე მუხლის მე-5 პუნქტი, იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/5911462?publication=1].

98 მაგ., საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N928 „N1 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 8 სექტემბერი, 2023 წელი, 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი. იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/5911462?publication=1].

99 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N928 „N1 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 8 სექტემბერი, 2023 წელი, მე-13 მუხლის მე-15 პუნქტი, იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/5911462?publication=1].

100 იქვე, მე-14 მუხლის მე-14 პუნქტი.

101 იქვე, მე-14 მუხლის 29-ე პუნქტი.

ვე, „პენიტენციური კოდექსის“ 46-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ერთსა და იმავე სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულებს ცალ-ცალკე ათავსებენ, რაც არა მხოლოდ საგამოძიებო ინტერესებს, არამედ ბრალდებულებს შორის ძალადობის პრევენციასაც უზრუნველყოფს.

რაც შეეხება იმ მსჯავრდებულების განცალკევებით მოთავსებას, რომლებსაც ანუხებით ფსიქიკური დაავადება, არიან მიდრეკილი ალკოჰოლიზმისა და ნარკოტიკებისადმი, წარსულში ჩადენილი აქვთ ძალადობრივი დანაშაული, აღსანიშნავია შემდეგი: პენიტენციური კოდექსის 56-ე მუხლის მიხედვით, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განცალკევებით თავსდება პირთა რამდენიმე კატეგორია, მათ შორის ის პირები, რომელთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მათი წარსული სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, შეიძლება საფრთხე შეექმნას და განსაკუთრებით საშიში პირები, რომელთა პიროვნული თვისებები, კრიმინალური ავტორიტეტი, დანაშაულის ჩადენის მოტივი, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებასა და გარშემომყოფთ.¹⁰²

თავისუფლებააღკვეთილი პირის მიერ სხვა თავისუფლებააღკვეთილი პირის სიცოცხლის მოსპობისაგან დაცვის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება. უპირველეს ყოვლისა, ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom)* – დადგენილი კრიტერიუმები გაავრცელა თავისუფლებააღკვეთილი პირების სიცოცხლის უფლების დაცვაზე. აქედან გამომდინარე, როდესაც პატიმრის სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე სხვა პატიმრისაგან, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სხვა პატიმრის მხრიდან თავისუფლებააღკვეთილი პირის სიცოცხლის მოსპობის საფრთხის თავიდან აცილება, თუ სახელმწიფომ იცოდა ან უნდა სცოდნოდა ასეთი საფრთხის შესახებ.

თავის პრაქტიკაში ევროპულმა სასამართლომ ასევე იმსჯელა სახელმწიფოს ვალდებულებაზე, რომ ფსიქიკურად დაავადებული პატიმარი განცალკევებით მოათავსოს სხვა პატიმრებისაგან, რომელთა სიცოცხლეს მან შეიძლება შეუქმნას საფრთხე და ამისათვის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სათანადო მექანიზმის შექმნა.¹⁰³

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პატიმრების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა და პრევენციული ნაბიჯების გადადგმა სხვა პატიმრების თავდასხმის თავიდან ასაცილებლად. ევროპულმა სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახ-

102 1-ელი ნაწილის „ე“ და „ფ“ ქვეპუნქტები.

103 *პოლი და ოდრი ედვარდსები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom)*, 14 მარტი, 2002 წელი, 55-ე პუნქტი.

ვილა იმაზე, რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, გაატაროს ღონისძიებები პატიმრის სიცოცხლის დასაცავად განმეორებითი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად.¹⁰⁴

პატიმრების მიმართ სხვა პატიმრებისაგან სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის ანალიზი იძლევა რამდენიმე დასკვნის გაკეთების საშუალებას: უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა საკმარისად დეტალურად აწესრიგებს ბრალდებულის/მსჯავრდებულის სიცოცხლის დაცვას სხვა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მხრიდან მომდინარე საფრთხეების მიმართ. თავისუფლება აღკვეთილი პირების სიცოცხლის (და ჯანმრთელობის) დაცვას მიზნად ისახავს არა მხოლოდ ზოგადი კანონმდებლობა (სისხლის სამართლის კოდექსი), არამედ უშუალოდ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების მარეგულირებელი ნორმატიული აქტები, უპირველეს ყოვლისა კი, საქართველოს პენიტენციური კოდექსი. კოდექსი, სხვა მრავალ საკითხთან ერთად, ადგენს, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სხვისი დაზიანების თავიდან ასაცილებლად შეიძლება გამოიყენონ სხვადასხვა უსაფრთხოების ღონისძიება. კოდექსი განსაზღვრავს როგორც სპეციალურ საშუალებებს (მაგ.: ხელბორკილები, ხელკეტი და სხვ.), რომლებიც შეიძლება გამოიყენონ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ, ისე მათი გამოყენების წესს, ისევე როგორც ითვალისწინებს მთელ რიგს წესებისას, რომლებიც მიმართულია თანაზომიერებისა და გონივრულობის პრინციპების დაცვისა და მიყენებული ზიანის შემცირებისაკენ. კოდექსი ასევე ადგენს, რომ სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლება აქვს სამსახურის შესაბამისი უფლებამოსილ პირს, რომელსაც გავლილი აქვს სათანადო მომზადება და რომ სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლების მქონე პირი ვალდებულია, სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს შესაბამისი პირი და მისცეს გონივრული ვადა მისი კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად, ისევე როგორც მისი გამოყენების შემთხვევაში, დაასაბუთოს ასეთი საჭიროება.

მნიშვნელოვანია, რომ კოდექსი განსაზღვრავს როგორც იმ პირთა პასუხისმგებლობას, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ, ისე იმ პირთა პასუხისმგებლობას, რომლებიც ვალდებულნი არიან, გამოიყენონ სპეციალური საშუალება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ბრალდებულის/მსჯავრდებულის სიცოცხლის (და ჯანმრთელობის) დასაცავად ღონისძიებების გატარებას, კერძოდ, დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, ბრალდებულის/მსჯავრდებულის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებიდან გამომდინა-

104 ჩესნულევიჩუსი ლიტვის წინააღმდეგ (*Česnulevičius v. Lithuania*), 10 იანვარი, 2012 წელი.

რე, შეიძლება განხორციელდეს მეთვალყურეობა და კონტროლი ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით.

საქართველოს კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს, სათანადო წესითა და სამედიცინო პერსონალის რეკომენდაციით და დაწესებულების უფლებამოსილი მოსამსახურის პატაკის საფუძველზე გამოცემული დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის განთავსებას სათანადოდ აღჭურვილ დეესკალაციის ოთახში, სადაც მას უწყვეტად ხელი მიუწვდება სამედიცინო დახმარებაზე და მასზე ხორციელდება 24-საათიანი ვიზუალური მეთვალყურეობა.

საქართველოს კანონმდებლობა ასევე ადგენს მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასებისა და პერიოდული გადაფასების მექანიზმს.

ამას გარდა, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს დამატებითი ღონისძიებების გატარებას იმ ბრალდებულის/მსჯავრდებულის სიცოცხლის/ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, რომლის მიმართ უკვე მოხდა სიცოცხლის მოსპობის მცდელობა სხვა პატიმრის (პატიმრების) მხრიდან, რისთვისაც კანონმდებლობა განსაზღვრავს ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხვა ბრალდებულებისაგან/მსჯავრდებულებისაგან განცალკევებით მოთავსების თაობაზე, ისევე როგორც ბრალდებულის/მსჯავრდებულის უსაფრთხოებისათვის საშიში პირების სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში დადგენილი წესით გადაყვანის თაობაზე.

აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობა საკმარისად დეტალურად აწესრიგებს იმ თავისუფლებააღკვეთილი პირების განცალკევებით მოთავსების წესს, რომლებიც განსაკუთრებულ საფრთხეს ქმნიან სხვა პატიმრებისათვის. საქართველოს კანონმდებლობა ასევე აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ მოთხოვნებს, მათ შორის ფსიქიკური დაავადების მქონე პატიმრის სხვა პატიმრებისაგან განცალკევებით მოთავსების შესახებ და პატიმრების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისა და პრევენციული ნაბიჯების გადადგმის შესახებ სხვა პატიმრების თავდასხმის თავიდან ასაცილებლად, სხვა პატიმრების მხრიდან ძალადობის თავიდან აცილების მექანიზმის ჩათვლით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სხვა პატიმრებისაგან მომდინარე საფრთხის შემთხვევაში პატიმრების სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს.

ბ) პრაქტიკა

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სახელმწიფოს ეკისრება პატიმრების სიცოცხლის დაცვის ვალდებულება სხვა პატიმრებისაგან მომდინარე საფრთხის შემთხვევაში.

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში საქართველოს პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა გაუმჯობესებულია.¹⁰⁵ მიუხედავად ამისა, მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციით, პრაქტიკაში ხდება ადამიანის უფლებათა დარღვევების ცალკეული შემთხვევები. კერძოდ, ბოლო წლებში მოხდა შემთხვევა, როდესაც თავისუფლება აღკვეთილმა პირმა მოუსპო სიცოცხლე სხვა თავისუფლება აღკვეთილ პირს. კერძოდ, 2021 წლის ივლისში პატიმრებს: ი.ჩ.-სა და შ.ა.-ს შორის N17 პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფით ნიადაგზე მოხდა სიტყვიერი შელაპარაკება, რომელიც გადაიზარდა ფიზიკურ დაპირისპირებაში. ამ დაპირისპირების შედეგად პატიმარი შ.ა გარდაიცვალა. იმავე დღეს დაიწყო გამოძიება სსკ-ის 108-ე მუხლის (განზრახ მკვლელობა) საფუძველზე.¹⁰⁶

საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშიდან ასევე ირკვევა ერთ-ერთი საქმის გარემოებები, რომლებიც ეხება პატიმრის მიერ თანამესაკნის მკვლელობის მცდელობას.¹⁰⁷ კერძოდ, სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, 2021 წლის 4 მარტს პატიმარმა მარილით სავსე ბოთლისა და ბასრი იარაღის გამოყენებით მძინარე მდგომარეობაში მყოფ თანამესაკნე პატიმარს მრავლობითი დაზიანება მიაყენა თავის, კისრის, სახისა და ყურის არეში. ფიზიკური ძალადობა ჩადენილ იქნა ვიდემოთეგალყურების სისტემით აღჭურვილ საკანში. ანგარიშის მიხედვით, დაწესებულების თანამშრომლებმა არ მოახდინეს დროული რეაგირება ძალადობის ფაქტზე. ამავე ანგარიშის მიხედვით, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელობას ჰქონდა ინფორმაცია შემთხვევის მონაწილე პატიმრებს შორის მანამდე არსებული

105 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2014 წლის 12 ნოემბერს დადებითად შეფასდა საქართველოს მთავრობის მიერ გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით პენიტენციური ჯანდაცვის სფეროში გატარებული რეფორმები და მინისტრთა კომიტეტის მიერ საბოლოო რეზოლუციის მიღებით დახურულად გამოცხადდა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა ნაწილი („ლავაძე საქართველოს წინააღმდეგ“, „პოლოსიანი საქართველოს წინააღმდეგ“, „მინდაძე საქართველოს წინააღმდეგ“, „ჯელაძე საქართველოს წინააღმდეგ“, „ილდანი საქართველოს წინააღმდეგ“), რომლებიც შეეხებოდა პენიტენციურ სისტემაში 2006-2011 წლებში ჰეპატიტი და ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმართა მკურნალობის პროცესში გამოვლენილ ნაკლოვანებებს, რაც საქართველოში სისტემურ პრობლემად მიიჩნეოდა. იხ. [https://hudoc.exec.coe.int/eng#%7B%22execidentifier%22:[%22001-148546%22]]]; გავრცელებული ინფორმაციით, „ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს 2012 წლის შემდეგ საქართველოს პენიტენციური სისტემიდან გაგზავნილი არც ერთი საქმე არ მიუღია წარმოებაში“, 18 ნოემბერი, 2024 წელი, იხ.: [https://justice.gov.ge/?m=articles&lang=1&id=H2nRZJYIsQ].

106 „სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრებს შორის ჩხუბის დროს მომხდარი მკვლელობის ფაქტი გახსნა“, 22 მაისი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/718215-specialurma-sagamoziebo-samsaxurma-penitenciurdacesebulebashi-patimrebs-shoris-chxubis-dros-momxdari-mkvllobis-pakti-gaxsna].

107 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, 27, იხ.: [https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf].

დაძაბული ურთიერთობების შესახებ. კერძოდ, ნ.ქ.-ს მკვლელობის მცდელობამდე მის მიმართ იყო სიტყვიერი შეურაცხყოფისა და აგრესიის ფაქტები, რაშიც ასევე მონაწილეობდა ვ.ა., მეტიც, დაწესებულების ხელმძღვანელობას ჰქონდა ერთ-ერთი პატიმრის მიმართვა, სადაც იგი ითხოვდა, რომ ნ. ქ. და ვ. ა., პოტენციური კონფლიქტის თავიდან არიდების მიზნით, ცალ-ცალკე საკნებში განეთავსებინათ.

ამ საქმის მიმართ სახალხო დამცველის აპარატს წარმოეშვა კითხვები, დაადგინა თუ არა გამოძიებამ, რა პრევენციული ღონისძიებები იყო გატარებული დაწესებულების მხრიდან ვ.ა.-სა და ნ.ქ.-ს ერთად განთავსებამდე, შესწავლილი და გამორიცხული იყო თუ არა უსაფრთხოების რისკები, შესწავლილი და შეფასებული იყო თუ არა დაწესებულების ხელმძღვანელების ქმედებები (ქმედებით ან შესაძლო უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის თვალსაზრისით).¹⁰⁸

ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, შეიძლება დაისვას კითხვა: შეიძლება თუ არა სიცოცხლის მოსპობის (სიცოცხლის მოსპობის მცდელობის) თავიდან აცილება? ამისათვის უნდა დადგინდეს, იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა სახელმწიფოს (ციხის ადმინისტრაციას), რომ ერთ-ერთი პატიმრისაგან მომდინარეობდა საფრთხე მეორე პატიმრის სიცოცხლისათვის. თუ გამოძიებამ დაადგინა, რომ ასეთი საფრთხის შესახებ სახელმწიფოსათვის ცნობილი იყო, მაგ., მანამდე მომხდარი კონფლიქტის გამო, რომელიც არ დასრულდა მკვლელობით, მაშინ სახელმწიფოს უნდა გაეტარებინა ღონისძიებები გარდაცვლილი პატიმრის ან სხვა პატიმრების დასაცავად მოძალადე პატიმრისაგან.

სახელმწიფოს ასევე ეკისრება ვალდებულება, რომ გაატაროს ზოგადი პრევენციული ღონისძიებები იმ პატიმრების მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ საფრთხეს სხვა პატიმრებისათვის. მაგალითად, თუ პატიმრის ფსიქიკური მდგომარეობის გამო იგი ქმნის საფრთხეს სხვა პატიმრებისათვის და სახელმწიფომ იცის ან უნდა იცოდეს პატიმრის ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ, მან უნდა გაატაროს ღონისძიებები ამ პატიმრისაგან მომდინარე საფრთხის თავიდან ასაცილებლად. თუ სახელმწიფომ იცოდა ასეთი საფრთხის შესახებ და არ გაატარა სხვა პატიმრის (პატიმრების) სიცოცხლის დაცვისაკენ მიმართული ღონისძიებები, უნდა დადგეს იმ პირთა (მაგ., ციხის ადმინისტრაციის შესაბამის თანამშრომელთა) პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებსაც უნდა გაეტარებინათ ღონისძიებები პატიმრის (პატიმრების) სიცოცხლის დასაცავად.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ სახელმწიფომ გადადგას პრევენციული ნაბიჯები, რომლებიც მიმართული იქნება თავისუფლებააღკვეთილი პირის სიცოცხლის მოსპობის თავიდან აცილებისაკენ.

108 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, 27-28, იხ.: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf>.

3.2. თვითმკვლელობისაგან თავისუფლება აღკვეთილი პირის სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში

ა) კანონმდებლობა

თავისუფლება აღკვეთილი პირის სიცოცხლის დაცვას თვითმკვლელობისაგან აწესრიგებს საქართველოს რამდენიმე ნორმატიული აქტი, მათ შორის საქართველოს პენიტენციური კოდექსი. პენიტენციური კოდექსის 62-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება პენიტენციური სამსახურის მიერ უსაფრთხოების ღონისძიებების გატარების შესახებ, ვრცელდება არა მხოლოდ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სხვა ბრალდებულის/მსჯავრდებულის, არამედ საკუთარი თავის დაზიანების თავიდან აცილებაზეც. ამ მუხლით დადგენილი უსაფრთხოების ღონისძიებები, სხვა ღონისძიებებთან ერთად, მოიცავს სპეციალური საშუალებების გამოყენებას, დროებითი საგუშაგოს მოწყობასა და დეესკალაციის ოთახში მოთავსებას.¹⁰⁹ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის დაზიანების თავიდან ასაცილებლად პენიტენციური კოდექსით დაშვებულია მისი მოთავსება სამართლო საკანში არაუმეტეს 24 საათისა.¹¹⁰ ეს ღონისძიებები წყდება დაუყოვნებლივ, იმ საფრთხის აღმოფხვრისთანავე, რომლის აღსაკვეთადაც ისინი გამოიყენებოდა.¹¹¹

პენიტენციური კოდექსის 63-ე მუხლი ადგენს სპეციალური საშუალებების გამოყენების წესს არა მხოლოდ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სხვა პირის, არამედ საკუთარი თავის დაზიანების შემთხვევაში. კოდექსის ამ მუხლის მიხედვით, საკუთარი თავის დაზიანების შემთხვევაში, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გამოიყენონ სხვადასხვა სპეციალური საშუალება, მათ შორის: ა) ხელბორკილი; ბ) დამაწყნარებელი პერანგი; გ) დამაწყნარებელი სკამი; დ) დამაწყნარებელი სანოლი; ე) ხელკეტი.¹¹² ამასთანავე, კოდექსი დეტალურად განსაზღვრავს, რომელი ღონისძიება შეიძლება გატარდეს კონკრეტულ შემთხვევაში.¹¹³ კოდექსის მიხედვით, ხელბორკილი შეიძლება გამოიყენონ, მათ შორის, იმ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ, რომელიც თავისი ქმედებით საფრთხეს უქმნის საკუთარ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.¹¹⁴ დამაწყნარებელი პერანგი, დამაწყნარებელი სკამი ან/და დამაწყნარებელი სანოლი შეიძლება გამოიყენონ, მათ შორის, იმ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ, რომელიც აზიანებს ან ცდილობს დააზიანოს საკუთარი თავი, ხოლო ასეთი სპეციალური საშუალებები უნდა გამოიყენონ ექიმის მეთვალყურეობით.¹¹⁵ რაც შეეხება ხელკეტს, ის შეიძლება

109 15 დეკემბერი, 2023 წელი. კოდექსის 62-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.

110 კოდექსის 62-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

111 15 დეკემბერი, 2023 წელი. კოდექსის 62-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

112 კოდექსის 63-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.

113 კოდექსის 63-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

114 კოდექსის 63-ე მუხლის მე-2(ა) ნაწილი.

115 კოდექსის 63-ე მუხლის მე-2(ბ) ნაწილი.

გამოიყენონ, მათ შორის, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის დაზიანების თავიდან ასაცილებლად.¹¹⁶

კოდექსის დებულება, რომელიც ეხება სპეციალური საშუალებების გამოყენების პროპორციულობას და გონივრულობას, ვრცელდება ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის დაზიანების შემთხვევებზეც.¹¹⁷

კოდექსი ასევე განსაზღვრავს, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის დაზიანების შემთხვევაში სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლება აქვს სამსახურის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელსაც გავლილი აქვს სათანადო მომზადება¹¹⁸ და ეს პირი ვალდებულია, სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს შესაბამისი პირი და მისცეს გონივრული ვადა მისი კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა.¹¹⁹ კოდექსი ასევე ითვალისწინებს, რომ სპეციალური საშუალებების (გარდა ხელბორკილისა) გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებათ შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დირექტორს და ექიმს ან ექთანს. სპეციალური საშუალებების გამოყენების შემდეგ, პირველი შესაძლებლობისთანავე, ხორციელდება ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო შემოწმება.¹²⁰ ასევე განსაზღვრულია, რომ სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ დგება ოქმი, რომელშიც აღინიშნება გამოყენებული საშუალება, მისი გამოყენების დასაბუთება და სხვა მონაცემები.¹²¹

ბრალდებულის/მსჯავრდებულის სიცოცხლის (და ჯანმრთელობის) დაცვისაკენ არის მიმართული პენიტენციური კოდექსის 58-ე მუხლი, რომლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას ბრალდებულის/მსჯავრდებულის თვითმკვლელობის ან თვითდაზიანების თავიდან ასაცილებლად შეიძლება განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი. კოდექსის ეს მუხლი ასევე განსაზღვრავს ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებების მეთვალყურეობისა და კონტროლის წესს, კერძოდ, ადგენს, რომ პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია, გააფრთხილოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის მის მიმართ ელექტრონული საშუალებების მეთვალყურეობისა ან/და აუდიო-, ვიდეოჩანერის განხორციელების შესახებ,¹²² რომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა საშუალებების გამოყენება არაეფექტიანია,¹²³ განსაზღვრავს ადგილებს, სადაც დაუშვებელია მეთვალყურეობის განხორციელება

116 კოდექსის 63-ე მუხლის მე-2(გ) ნაწილი.

117 კოდექსის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

118 კოდექსის 63-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

119 კოდექსის 63-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

120 კოდექსის 63-ე მუხლის მე-7 ნაწილი.

121 კოდექსის 63-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

122 კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

123 კოდექსის 58-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

(საერთო სარგებლობის საშუალებაში, საერთო სარგებლობის საპირფარეშოში, ხანგრძლივი პაემნებისთვის განკუთვნილ ოთახში). ამასთანავე, კოდექსი ადგენს, რომ საერთო სარგებლობის საპირფარეშოში ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალების მეთვალყურეობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ბრალდებულის/მსჯავრდებულის თვითმკვლელობისა და თვითდაზიანების თავიდან ასაცილებლად.¹²⁴

კოდექსი ასევე განსაზღვრავს, რომ პენიტენციური დაწესებულების დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას ელექტრონული საშუალების მეთვალყურეობის შეწყვეტის შესახებ იმ საფრთხის აღმოფხვრისთანავე, რომელთა გამოც ის დაწესდა.¹²⁵

როგორც აღინიშნა, პენიტენციური კოდექსით გათვალისწინებულ უსაფრთხოების ღონისძიებებს შორის არის დროებითი საგუშაგოს მოწყობა. ამიტომ, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება პენიტენციურ დაწესებულებაში გაიხსნას დამატებითი საგუშაგოც, რათა ბრალდებულზე/მსჯავრდებულზე განხორციელდეს ზედამხედველობა და კონტროლი როგორც ვიზუალურად, ისე ვიზუალურ-ელექტრონული მეთვალყურეობის საშუალებებით.

ბრალდებულის/მსჯავრდებულის თვითმკვლელობისა და თვითდაზიანებისაგან დაცვას ასევე ისახავს მიზნად პენიტენციური დაწესებულებების დებულებები. ისინი ადგენს, რომ, თუ ბრალდებულ/მსჯავრდებულს, მათ შორის, საფრთხეს უქმნის საკუთარ სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, სამედიცინო პერსონალის რეკომენდაციითა და დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, იგი შეიძლება განთავსდეს დაწესებულების სათანადოდ აღჭურვილ დეესკალაციის ოთახში სამედიცინო პერსონალის უწყვეტი ხელმისაწვდომობისა და დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის 24-საათიანი ვიზუალური საშუალებებით მეთვალყურეობის პირობებში.¹²⁶

პენიტენციური დაწესებულებების დებულებები, რომლებიც აწესრიგებს ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სხვა ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაზიანების თავიდან აცილებას, ასევე ვრცელდება თვითმკვლელობისა და თვითდაზიანებისაგან მათი დაცვის წესზე. კერძოდ, დეესკალაციის ოთახში გადაყვანილი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მდგომარეობა გადაყვანიდან არაუგვიანეს 24 საათის ვადაში შეფასდება მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ, თუმცა ბრალდებულ/მსჯავრდებულს, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით შეიძლება შეფასდეს შესაბამისი დარგის სპეციალისტის მიერ. ამის შემდეგ მომდევნო 24 საათში წყდე-

124 კოდექსის 58-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

125 კოდექსის 58-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

126 მაგ., საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N928 „N1 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 8 სექტემბერი, 2023 წელი, 25-ე მუხლი, იხ.: [\[https://matsne.gov.ge/ka/document/view/5911462?publication=1\]](https://matsne.gov.ge/ka/document/view/5911462?publication=1); ასევე იხ. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N119 „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N2 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 27 აგვისტო, 2015 წელი, მე-17 მუხლი.

ბა მისი საკანში დაბრუნების, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო და-
წესებულებაში ან სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გადაყვანის საკითხი.¹²⁷

პენიტენციური დაწესებულებების დებულებები ასევე ადგენს, რომ ბრალ-
დებულთა/მსჯავრდებულთა დეესკალაციის ოთახში შეიძლება განთავსდეს იმ საფ-
რთხის აღმოფხვრამდე, რამაც მისი დეესკალაციის ოთახში მოთავსება განაპირო-
ბა, მაგრამ არაუმეტეს 72 საათისა.¹²⁸

გარდა ამისა, საქართველოში მოქმედებს საბაზისო დაცვითი ღონისძიებების
გატარების მარეგულირებელ ჩარჩო, რომელიც მიზნად ისახავს ბრალდებულ-
თა/მსჯავრდებულთა სიცოცხლისათვის პოტენციური საფრთხის შემცირებას. ეს
ნორმატიული აქტები, რომლებიც მოიცავს სიცოცხლისათვის პოტენციური საფ-
რთხის შემცველ სხვადასხვა სიტუაციას, აწესრიგებს სახელმწიფოს მიერ ზოგა-
დი პრევენციული ღონისძიებების გატარებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული
ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიერ თვითმკვლელობა ან თვითდაზიანება. ამ
აქტებს შორის აღსანიშნავია რამდენიმე.

პენიტენციური დაწესებულების გარეთ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა
ესკორტირების რეჟიმს განსაზღვრავს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და
პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №149 ბრძანებით დამტკიცე-
ბული წესი „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას ბადრაგირე-
ბის შესახებ“¹²⁹ და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის
2014 წლის 10 აპრილის №55 ბრძანებით დამტკიცებული წესი „სამოქალაქო სექ-
ტორის საავადმყოფოში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო და-
წესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში
ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის შესახებ.“¹³⁰

„ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას ბადრაგირების წე-
სი“ დეტალურად ადგენს შესაბამის პროცედურებს, მათ შორის უსაფრთხოების
ღონისძიებების გატარების შესახებ. წესის მე-4² მუხლი (ბრალდებულის/მსჯავ-
რდებულის გაყვანა/გადაყვანისას საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებაში
მონაწილეობის მისაღებად) განსაზღვრავს, რომ პენიტენციური დეპარტამენტის
დირექტორს უფლება აქვს, არ დააკმაყოფილოს გაყვანა/გადაყვანის მოთხოვნა,
თუ ბრალდებულის/მსჯავრდებულის გაყვანა/გადაყვანა, მისი სუიციდის რისკის
ღონის გათვალისწინებით, არ არის მიზანშეწონილი და საფრთხეს უქმნის მის ჯან-
მრთელობას ან/და სიცოცხლეს.

127 მაგ., საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N928 „N1 პენიტენციური დაწესე-
ბულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 8 სექტემბერი, 2023 წელი, 25-ე მუხლის
მე-8 პუნქტი, იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/5911462?publication=1].

128 მაგ., საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N928 „N1 პენიტენციური დაწესე-
ბულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 8 სექტემბერი, 2023 წელი, 25-ე მუხლის მუხლის
მე-2-მე-4 პუნქტები, იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/5911462?publication=1].

129 იხ. [https://matsne.gov.ge/ka/document/view/2994635?publication=11].

130 იხ. [https://matsne.gov.ge/ka/document/view/2311700?publication=10].

ნესით ასევე დადგენილია, რომ საბადრაგო ჯგუფის წევრები ვალდებული არიან, არ დატოვონ მუდმივი ვიზუალური მეთვალყურეობის გარეშე ბრალდებულ/მსჯავრდებული, რომლის გაყვანა/გადაყვანა ან დაცვა ევალებათ ყოფნის სხვა ადგილებში, ისევე როგორც ევალებათ შეაფასონ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ მოსალოდნელი გაქცევის რისკები და მოახდინონ შესაბამისი რეაგირება.¹³¹ ნესით ასევე დადგენილია საპირფარეოში გაყვანის ნესი. საპირფარეოში ბრალდებულის/მსჯავრდებულის გაყვანის წინ მონმდება საპირფარეო. საპირფარეოსაკენ მსვლელობისას და უკან დაბრუნებისას წინ მიდის საბადრაგო ჯგუფის წევრი, ხოლო შემდეგ ბრალდებულ/მსჯავრდებული, უკან – ჯგუფის უფროსი ან მის მიერ განსაზღვრული საბადრაგო ჯგუფის წევრი.¹³²

პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ზედამხედველობა და კონტროლი ხორციელდება „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების ნესის“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის №35 ბრძანებით დამტკიცებული ნესის შესაბამისად პენიტენციური დაწესებულების დერეფნებში, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამუშაო-სამეურნეო ადგილებში, ეზოებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, აგრეთვე დაწესებულების გარე პერიმეტრზე, ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი, როგორც ნესი, ხორციელდება მუდმივად.¹³³

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ზედამხედველობა და კონტროლი ასევე ხორციელდება პენიტენციური დაწესებულების დებულების და „პენიტენციურ დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის ორგანიზების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 1 აგვისტოს №200 ბრძანებით დამტკიცებული ნესის შესაბამისად.¹³⁴ ინსტრუქციის მიხედვით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, შეიძლება შეიქმნას დროებითი საგუშაგო.¹³⁵

ინსტრუქცია განსაზღვრავს, რომ თვითმკვლელობის/თვითდაზიანების ან თვითმკვლელობის/თვითდაზიანების მცდელობის შემთხვევაში სამორიგეო ცვლის შემადგენლობაში მყოფი მოსამსახურე დაუყოვნებლივ ატყობინებს კორპუსის ოფიცერსა და სამორიგეო ცვლის ხელმძღვანელს.¹³⁶

131 ნესის 74-ე მუხლის „ა“ და „ზ“ პუნქტები.

132 ნესის 78-ე მუხლი.

133 მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი. იხ.: [\[https://matsne.gov.ge/document/view/2823755?publication=6\]](https://matsne.gov.ge/document/view/2823755?publication=6).

134 იხ. [\[https://matsne.gov.ge/ka/document/view/1979236?publication=5\]](https://matsne.gov.ge/ka/document/view/1979236?publication=5).

135 ინსტრუქციის მე-9 მუხლის 1-ელი პუნქტი.

136 ინსტრუქციის 44-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

ინსტრუქცია ასევე ადგენს, რომ ასეთ სიტუაციაში მოსამსახურე საკნის/საერთო საცხოვრებლის კარების სარკმლიდან მოუწოდებს და აძლევს მითითებს საკანში/საერთო საცხოვრებელში მყოფ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს, არ დაუშვან თვითმკვლელობა/თვითდაზიანება და თვითმკვლელობის/თვითდაზიანების მცდელობა ან დახმარება აღმოუჩინონ დაზარალებულს. ეს მოსამსახურე დანაყოფში მყოფ დანესებულების სხვა მოსამსახურეებთან ერთად ატარებს ღონისძიებებს დაზარალებულის გადასარჩენად.¹³⁷

ასევე „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სუიციდის პრევენციის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 11 თებერვლის N13 ბრძანებით გათვალისწინებული მულტიდისციპლინური გუნდის გადანაცვლებით განსაზღვრული პერიოდულობით ამონმუშენ სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართული იმ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მდგომარეობას, რომლის მიმართ არ ხორციელდება ელექტრონული საშუალების მეთვალყურეობა და კონტროლი.¹³⁸

პოტენციური საფრთხისაგან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სიცოცხლის დაცვისაკენ არის მიმართული ისეთი ნორმატიული რეგულაციის არსებობა, რომელიც პენიტენციურ დაწესებულებებში კრძალავს სიცოცხლისათვის საშიშ ნივთებს. პენიტენციური დაწესებულებების დებულებებით, პენიტენციურ დაწესებულებაში იკრძალება ისეთი ნივთების ქონა, როგორებიცაა: ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის ყველა სახეობა, დანები, სხვა ბასრი და მჩხვლეტავი საგნები, მათ შორის, კუსტარულად დამზადებული ან/და დაშლილი ან/და გადაკეთებული ერთჯერადი სამართებელი, ასევე ნაჯახები, ჩაქუჩები და სხვა ინსტრუმენტები.¹³⁹

კანონმდებლობით დადგენილი აკრძალვის აღსასრულებლად, ასეთი ნივთებისა და საგნების აღმოჩენის მიზნით, პენიტენციურ დაწესებულებებში ტარდება საკნების და საერთო საცხოვრებლის როგორც გეგმური, ისე არაგეგმური დათვალიერება.¹⁴⁰

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა თვითმკვლელობის თავიდან აცილებას ემსახურება იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სუიციდის პრევენციის პროგრამა“, რომლის მიზანია პენიტენციურ დაწესებულებებში სუიციდისკენ მიდრეკილ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გა-

137 ინსტრუქციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

138 ინსტრუქციის 44(3)-ე მუხლი.

139 მაგ., იხ. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N112 „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N14 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 27 აგვისტო, 2015 წელი, დანართი 1, მე-2, მე-11 და მე-12 პუნქტები.

140 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 1 აგვისტოს №200 ბრძანებით დამტკიცებული წესი „პენიტენციურ დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის ორგანიზების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, 93-ე მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტები.

მოვლენა, მათთვის ჰოლისტურ პრინციპებზე დაფუძნებული დახმარების მიწოდების ხელშეწყობა, სუიციდით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირება.¹⁴¹

პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულის პირველად მოხვედრის შემთხვევაში, სპეციალური აღრიცხვის განყოფილების მოსამსახურე ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ აცნობოს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სუიციდის პრევენციის პროგრამის“ საფუძველზე, პენიტენციურ დაწესებულებებში დანიშნულ ადგილობრივ კოორდინატორს, რომელმაც არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, უნდა უზრუნველყოს ფსიქოლოგის შეხვედრა ბრალდებულთა სუიციდის რისკის მიმოხილვითი შეფასების მიზნით.¹⁴² კოორდინატორები ორგანიზებას უწევენ რიგგარეშე შეკრებას, რომელზეც სუიციდის პრევენციის გუნდის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე განისაზღვრება ბრალდებულის/მსჯავრდებულის სუიციდის რისკის დონე და მზადდება რეკომენდაცია მისი განთავსების თაობაზე.¹⁴³

პენიტენციურ დაწესებულებაში შექმნილი სუიციდის პრევენციის გუნდის მომსახურება მოიცავს პროგრამაში ჩართული კონკრეტული ბრალდებულის/მსჯავრდებულის სუიციდის რისკის შეფასებას, ინდივიდუალური დახმარების გეგმის შემუშავებასა და აღნიშნული გეგმის განხორციელებას.¹⁴⁴

საქართველოში ასევე მოქმედებს პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების განვეის სტანდარტები.¹⁴⁵ სტანდარტების მიხედვით, ბრალდებული/მსჯავრდებული პენიტენციურ დაწესებულებაში მიღებისას გადის სავალდებულო პირველად სამედიცინო შემოწმებას, რომლის დროსაც ხდება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მონაცემების აღწერა და ობიექტური დოკუმენტირება, მათ შორის: ფსიქიკური დახმარების აუცილებლობის განსაზღვრა და სუიციდის რისკის პირველადი შეფასება.¹⁴⁶

დოკუმენტით ასევე განისაზღვრება ფსიქიკური ჯანმრთელობისა და სუიციდის პრევენციის სტანდარტი, რომლის მიხედვით ხდება არა მხოლოდ ფსიქიკური

141 26 ოქტომბერი, 2020 წელი, ბრძანება N643, იხ.: [<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5022964?publication=0>].

142 მაგ., საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N928 „N1 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 8 სექტემბერი, 2023 წელი, მე-13 მუხლის მე-9-მე-10 პუნქტები, იხ.: [<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5911462?publication=1>]; ასევე საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N537 „N10 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 13 მაისი, 2020 წელი, მე-12¹ მუხლის მე-9-მე-10 პუნქტები, იხ.: [<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4869733?publication=9>].

143 იქვე, მე-8(2) პუნქტი.

144 იქვე, მე-9(2) პუნქტი.

145 იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N381 „პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების განვეის სტანდარტების, სპეციალური საჭიროებების მქონე პირისათვის სამედიცინო მომსახურების განვეის დამატებითი სტანდარტების, პრევენციული მომსახურების პაკეტისა და სამედიცინო მომსახურებისათვის აუცილებელი საბაზისო მედიკამენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“, 15 თებერვალი, 2019 წელი, იხ.: [<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4482407?publication=5>].

146 იქვე, მე-5 მუხლის 1-ელი და მე-2(გ) პუნქტები.

ჯანმრთელობისა და ფსიქიატრიული მომსახურების საჭიროებების იდენტიფიცირება (პირველადი სამედიცინო შემოწმებისას), არამედ ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის რუტინული პრევენციული მონიტორინგი.¹⁴⁷

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა თვითმკვლელობისა და თვითდაზიანების თავიდან აცილებისაკენ მიმართული ერთ-ერთი ღონისძიება სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის შექმნაა, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რისკგუფების გამოვლენა თვითდაზიანების თვალსაზრისით, ასევე კრიზისული სიტუაციების მართვაში მხარდაჭერა, მოწყვლადი ჯგუფების გამოვლენა, მათთვის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნით ზრუნვის სტანდარტების შექმნა და მათი განხორციელების კოორდინაცია.¹⁴⁸

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა თვითმკვლელობის მცდელობასთან დაკავშირებული საკითხია სამედიცინო მკურნალობის ნებაყოფლობა. ეს საკითხი წესრიგდება „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით, რომლის მიხედვით, სამედიცინო მომსახურების განევის აუცილებელი პირობაა პაციენტის თანხმობა, ხოლო ამავე კანონის 23-ე მუხლის მიხედვით, ქმედუნარიან და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარიან პაციენტს უფლება აქვს, მკურნალობის ნებისმიერ ეტაპზე უარი განაცხადოს სამედიცინო მომსახურებაზე, აგრეთვე შეწყვიტოს უკვე დაწყებული სამედიცინო მომსახურება. სამედიცინო მომსახურებაზე უარის თქმის ან მისი შეწყვეტის მოსალოდნელი შედეგების შესახებ პაციენტი ამომწურავად უნდა იყოს ინფორმირებული. აკრძალულია ქმედუნარიანი და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარიანი პაციენტის ნების წინააღმდეგ სამედიცინო მომსახურების განხორციელება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

„პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის წესი მოქმედებს პენიტენციურ სისტემაში განთავსებული ბრალდებულების/მსჯავრდებულების მიმართ სამედიცინო მომსახურების აღმოჩენის ეტაპზეც და იმ შემთხვევაში, თუ პაციენტი (ბრალდებული/მსჯავრდებული) უარს აცხადებს სამედიცინო ჩარევაზე, ექიმი ვალდებულია, განუმარტოს ჯანმრთელობის მოსალოდნელი შედეგების შესახებ, თუმცა, პაციენტის უარის შემთხვევაში, ვერ იქნება განეული შესაბამისი სამედიცინო დახმარება.

საქართველოს კანონმდებლობა ასევე ადგენს ბრალდებულის/მსჯავრდებულისათვის სამედიცინო მედიკამენტის გაცემის და ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ მედიკამენტის მიღების წესს. კერძოდ, პენიტენციური დაწესებულებების დებულებების მიხედვით, მედიკამენტის გაცემა ხდება ექიმის დანიშნულებით. რაც შეეხება მედიკამენტის მიღებას, დებულებების მიხედვით, ბრალდებულის/

147 იქვე, მე-12 მუხლი.

148 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N418 „სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“, 10 ივნისი, 2019 წელი, მე-8 მუხლის „მ“ პუნქტი, იხ. [<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4584836?publication=1>].

მსჯავრდებულის მიერ ფსიქოტროპული მედიკამენტის პერორალური მიღება ხორციელდება უსაფრთხოების განყოფილების მოსამსახურის თანდასწრებით, სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე.¹⁴⁹

საქართველოს კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს ნორმატიულ ჩარჩოს, რომელიც მიმართულია პენიტენციურ დაწესებულებებში უბედური შემთხვევების თავიდან აცილებისაკენ. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობა ადგენს პენიტენციურ დაწესებულებებში უსაფრთხოების სტანდარტებს, რომლებიც მიზნად ისახავს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სიცოცხლის დაცვას ისეთი უბედური შემთხვევებისაგან, როგორებიცაა ხანძარი ან სტიქიური უბედურება. „პენიტენციურ დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის ორგანიზების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 1 აგვისტოს №200 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში ადგილობრივი პირობების, თავისებურებების და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, შემუშავებულ უნდა იქნეს დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული „ხანძრის დროს დაწესებულების სამოქმედო გეგმა-ნახაზი და სტიქიური უბედურების დროს დაწესებულების სამოქმედო გეგმა-ნახაზი“.¹⁵⁰

როგორც აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი აკისრებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვას არა მხოლოდ თავისუფლება აღკვეთილი პირის სიცოცხლე სხვა პატიმრების მოსპობისაგან, არამედ თავად თავისუფლება აღკვეთილი პირი თვითმკვლელობისაგან. ევროპულმა სასამართლომ დააკისრა სახელმწიფოს ისეთი ღონისძიებების გატარების ვალდებულება, რომლებიც მინიმუმამდე შეამცირებს თავისუფლება აღკვეთილი პირის თვითმკვლელობის საფრთხეს. უსაფრთხოების ზოგად ღონისძიებებთან ერთად, სახელმწიფომ უნდა გაატაროს ინდივიდუალური ღონისძიებები და, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეაფასოს სიცოცხლის დაცვისათვის გასატარებელი ღონისძიებების თანაზომიერება. აქაც, როგორც ეს იყო ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიერ სხვა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაში, ევროპულმა სასამართლომ გამოიყენა საქმეზე – *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom)* – სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დადგენის კრიტერიუმები, რომლებიც გაავრცელა თავისუფლება აღკვეთილ პირთა თვითმკვლელობის საქმეებზე.¹⁵¹ თავისუფლება აღკვეთილი პირე-

149 მაგ., საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N928 „N1 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 8 სექტემბერი, 2023 წელი, 59(9)-ე მუხლი, იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/5911462?publication=1]; საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N537, „N10 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 13 მაისი, 2020 წელი, 52(9)-ე მუხლი, იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/4869733?publication=9].

150 156-ე მუხლი.

151 90-ე პუნქტი.

ბის თვითმკვლელობის საკითხზე შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მნიშვნელოვანი საქმე, კერძოდ: საქმეზე – *კენანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Keenan v. the United Kingdom)*,¹⁵² რომელიც ეხებოდა ფსიქიკური აშლილობის მქონე და თვითდაზიანებისაკენ მიდრეკილ პატიმარს, – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პატიმრის მოთავსებით სპეციალურ საკანში, სათანადო ზედამხედველობის პირობებში, სახელმწიფომ შეასრულა თავისი ვალდებულება პატიმრის თვითმკვლელობის საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

საქმეზე – *კოსელავი თურქეთის წინააღმდეგ (Coselav v. Turkey)*,¹⁵³ რომელიც ეხებოდა პატიმრის თვითმკვლელობას, რასაც წინ უსწრებდა თვითმკვლელობის ორი მცდელობა და თვითდაზიანება, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ იცოდა პატიმრის მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ, თვითმკვლელობის დღეს, როდესაც პატიმრის ფსიქიკური მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე იყო, სამედიცინო განყოფილებაში დახმარების აღმოჩენის შემდეგ (მან რამდენჯერმე საკნის კედელს დაარტყა თავი), იგი დააბრუნეს საკუთარ საკანში და დატოვეს ზედამხედველობის გარეშე, რასაც მოჰყვა თვითმკვლელობა.

საქმეზე – *რეინოლდსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Reynolds v. the United Kingdom)*,¹⁵⁴ რომელიც ეხებოდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსებული, შიზოფრენიით დაავადებული პატიმრის სასიკვდილო გადმოხტომას შენობის მე-6 სართულიდან, – ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ნაბიჯებზე, რომლებიც სახელმწიფომ უნდა გადადგას თავისუფლებალკვეთილი პირის თვითმკვლელობისაგან დასაცავად. ამ ნაბიჯებს შორისაა: პატიმარზე ზედამხედველობა, ექიმის მიერ პატიმრის რეგულარული მონახულება, ფსიქიატრის მიერ პატიმრის შეფასება და მკურნალობა, პატიმრის უზრუნველყოფა მედიკამენტებით, პატიმრისათვის განგაშის მექანიზმის ხელმისაწვდომობა, მისთვის ალკოჰოლური სასმელებისა და ნარკოტიკების აკრძალვა.¹⁵⁵

საქმე *დე დონდერი და დე კლიპელი ბელგიის წინააღმდეგ (De Donder and De Clippel v. Belgium)* ეხებოდა ფსიქიკური აშლილობის მქონე პატიმარს, რომელიც ჯერ მოათავსეს ციხეში სხვა პატიმრებთან ერთად (ნაცვლად ციხის ფსიქიატრიულ განყოფილებაში მოთავსებისა), სადაც მას მოუვიდა კონფლიქტი სხვა პატიმართან, ხოლო მოგვიანებით იგი მოათავსეს სამართო საკანში. მძიმე ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, იგი ვერ აცნობიერებდა სამართო საკანში მისი მოთავსების მიზეზებს და იყო უკიდურესად შეშინებული. სამართო საკანში მო-

152 3 აპრილი, 2001 წელი.

153 9 ოქტომბერი, 2012 წელი.

154 13 მარტი, 2012 წელი.

155 P.H. van Kempen, Positive Obligations to Ensure the Human Rights of Prisoners: Safety, Healthcare, Conjugal Visits and the Possibility of Founding a Family Under the ICCPR, the ECHR, the ACHR, and the AfChHPR, in: Peter J.P. Tak & Manon Jendly (eds.), Prison Policy and Prisoner' Rights. The Protection of Prisoners' Fundamental Rights in International and Domestic Law, 2008, 28.

თავსებიდან რამდენიმე დღეში პატიმარმა ჩაიდინა თვითმკვლელობა, რის გამოც დადგინდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.

საქმეზე – *ჯენტის ბელგიის წინააღმდეგ (Jeanty v. Belgium)*,¹⁵⁶ რომელშიც პატიმარი თავად აცხადებდა, რომ განზრახული ჰქონდა თვითმკვლელობა და ითხოვდა საკუთარი თავის იზოლირებას, – ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფომ გაატარა პრევენციული ღონისძიებები პატიმრის სიცოცხლის დასაცავად. კერძოდ, ციხის ადმინისტრაციამ საენიდან გაიტანა საფრთხის შემცველი ნივთები, პატიმარი მოათავსეს დაცულ საკანში, ექიმმა მას მისცა დამამშვიდებელი, რამდენიმე დღის განმავლობაში იგი იმყოფებოდა სპეციალური ზედამხედველობის ქვეშ, მოგვიანებით კი პატიმარი მოათავსეს იზოლირებულ საკანში, ხოლო როდესაც ციხის გუშაგმა აღმოაჩინა, რომ პატიმარი ჩადიოდა თვითმკვლელობას, შეაჩერა იგი. ამის შემდეგ მას დაახურეს ჩაფხუტი და დაადეს ხელბორკილები, რათა თავიდან აეცილებინათ თვითდაზიანება. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ამ ღონისძიებებმა რეალურად მოახდინა მოსარჩელის თვითმკვლელობის თავიდან აცილება, რის გამოც მიიჩნია, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-2 მუხლი.¹⁵⁷

ზემოაღნიშნულ ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ კანონმდებლობა, ძირითადად, აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს ამ საქმეებში ჩამოყალიბებულ სტანდარტებს, მათ შორის ადგენს სუიციდის პრევენციის მექანიზმს, რომლის ფარგლებში ნებისმიერი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ ხდება სუიციდის რისკის შეფასება, ინდივიდუალური დახმარების გეგმის შემუშავება-განხორციელება და რომლის მიზანია არა მხოლოდ თვითმკვლელობისაკენ მიდრეკილ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა იდენტიფიცირება, არამედ სათანადო ღონისძიებების გატარება ასეთი პირების მიმართ. საქართველოს კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს სუიციდის პროგრამაში ჩართული პირების მდგომარეობის პერიოდულ შემოწმებას.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ბრალდებულის/მსჯავრდებულის თვითმკვლელობის პრევენციის მიზნით სპეციალური საშუალებების გამოყენებას (მათ შორის: ხელბორკილი; დამანყნარებელი პერანგი; დამანყნარებელი სკამი; დამანყნარებელი სანოლი), დროებითი საგუშაგოს მოწყობას, დეესკალაციის ოთახში პირის მოთავსებას. კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს, რომ დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას ბრალდებულის/მსჯავრდებულის თვითმკვლელობის ან თვითდაზიანების თავიდან ასაცილებლად შეიძლება განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის დაზიანების ასაცილებლად, პენიტენციური კოდექსით დაშვებულია მი-

156 31 მარტი, 2020 წელი.

157 82-ე პუნქტი.

სი მოთავსება სამართლო საკანში არაუმეტეს 24 საათისა.¹⁵⁸ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთავსება სამართლო საკანში თვითმკვლელობის მცდელობისათვის, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და თვითმკვლელობის მცდელობის განმეორების საფრთხის გათვალისწინებით, აუცილებელია აიკრძალოს კანონმდებლობით. ნაცვლად ამისა, აუცილებელია, რომ ასეთი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთავსონ დეესკალაციის ოთახში ან/და მოხდეს მისი ვიზუალურ-ელექტრონული მეთვალყურეობა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ დაადგინა თავისუფლებააღკვეთილი პირის მიერ სამედიცინო მედიკამენტის მიღების წესი. კერძოდ, საქმეზე – *რენოლდი საფრანგეთის წინააღმდეგ (Renolde v. France)*,¹⁵⁹ რომელიც ეხებოდა ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციმრის თვითმკვლელობას, – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: სახელმწიფო არ დარწმუნდა, რომ პაციმარი, რომელმაც მანამდე სცადა თვითმკვლელობა, ნამდვილად იღებდა დანიშნულ მედიკამენტებს. ასევე მან არ უზრუნველყო პაციმრის მოთავსება ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ, არამედ მის მიმართ გამოიყენა დისციპლინური სასჯელი მაქსიმალური ვადით, რამაც გაზარდა თვითმკვლელობის საფრთხე, რაც, საბოლოოდ, მან აღასრულა.

საქმეზე – *იასინსკა პოლონეთის წინააღმდეგ (Jasinska v. Poland)*, რომელიც ეხებოდა პაციმრის გარდაცვალებას პენიტენციურ დაწესებულებაში დიდი რაოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერებების ერთიანად მიღების შედეგად,¹⁶⁰ – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელისუფლების პასუხისმგებლობა არ შემოიფარგლება სამკურნალო ნივთიერების დანიშვნით, არამედ ვრცელდება იმის უზრუნველყოფაზეც, რომ ამ ნივთიერებას მიიღებენ წესისამებრ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება გონებრივი აშლილობის მქონე პაციმრებს.

საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტს და ადგენს ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სამედიცინო მედიკამენტის მიღების წესს. კერძოდ, პენიტენციური დაწესებულებების დებულებების მიხედვით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ ფსიქოტროპული მედიკამენტის პერორალური მიღება ხორციელდება უსაფრთხოების განყოფილების მოსამსახურის თანდასწრებით, სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე.¹⁶¹

ევროპულმა სასამართლომ ასევე განსაზღვრა სტანდარტი პაციმრისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ნებაყოფლობითობის მიმართ. საქმეზე – *შუმ-*

158 კოდექსის 62-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

159 16 ოქტომბერი, 2008 წელი.

160 1 ივნისი, 2010 წელი.

161 მაგ., საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N928 „N1 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 8 სექტემბერი, 2023 წელი, 59(9)-ე მუხლი, იხ.: [<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5911462?publication=1>]; საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N537, „N10 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 13 მაისი, 2020 წელი, 52(9)-ე მუხლი, იხ.: [<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4869733?publication=9>].

კოვა რუსეთის წინააღმდეგ (*Shumkova v. Russia*),¹⁶² რომელიც ეხებოდა ფსიქიკური აშლილობის მქონე და თვითდაზიანებისაკენ მიდრეკილი პაციმრის თვითმკვლელობას პენიტენციურ დაწესებულებაში, – ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა მოსარჩელის შვილისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე. ვინაიდან ციხის თანამშრომლებმა იცოდნენ, რომ მოსარჩელის შვილს ჰქონდა ფსიქიკური აშლილობა, ევროპული სასამართლოს აზრით, სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე (პაციმარმა გადაიჭრა ვენები და იცლებოდა სისხლისაგან) მისი ზეპირსიტყვიერი უარისათვის არ უნდა მიექციათ ყურადღება, მით უფრო, მისი დაზიანების გათვალისწინებით, პაციმარი ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას ციხის თანამშრომლებს. ევროპული სასამართლოს აზრით, პირველად დახმარებაზე ზეპირსიტყვიერმა უარმა არ შეიძლება გაამართლოს ციხის თანამშრომლების უმოქმედობა და იმის ცქერა, როგორ იცლებოდა იგი სისხლისაგან და კვდებოდა.¹⁶³

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამედიცინო მკურნალობის/დახმარების ნებაყოფლობითობა წესრიგდება „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით, რომლის მიხედვით, სამედიცინო მომსახურების განევის აუცილებელი პირობაა პაციენტის თანხმობა, ხოლო ამავე კანონის 23-ე მუხლის მიხედვით, ქმედუნარიან და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარიან პაციენტს უფლება აქვს, მკურნალობის ნებისმიერ ეტაპზე უარი განაცხადოს სამედიცინო მომსახურებაზე. მართალია, საქართველოს კანონმდებლობით, აკრძალულია ქმედუნარიანი და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარიანი პაციენტის ნების წინააღმდეგ სამედიცინო მომსახურების განხორციელება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა, არც პენიტენციურ კოდექსში და არც სხვა ნორმატიულ აქტში, რომელიც აწესრიგებს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამედიცინო მკურნალობას/დახმარებას, არ არის მოწესრიგებული სიტუაცია, როდესაც ასეთი პირს უნდა აღმოეჩინოს სამედიცინო დახმარება, როგორც ეს განსაზღვრულია ევროპული სასამართლოს პოზიციით.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ ნათელი მოჰფინა სახელმწიფოს მთელ რიგს ვალდებულებებისას ე.წ. „განჭვრეტადი საფრთხის“ მიმართ და დააკისრა მას ვალდებულება, გაატაროს ზოგადი პრევენციული ღონისძიებები. საქმეზე – *კელერი რუსეთი წინააღმდეგ (Keller v. Russia)*, რომლის მიხედვით, მსხვერპლი პოლიციაში ყოფნისას ფანჯრიდან გადახტა, – სასამართლომ დაადგინა, რომ არსებობს აუცილებელი საბაზისო პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც პოლიციისა და პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებმა უნდა გაატარონ ყველა შემთხვევაში, რათა მოახდინონ ნებისმიერი პოტენციური საფრთხის შემცირება.¹⁶⁴

162 14 თებერვალი, 2012 წელი.

163 101-ე პუნქტი.

164 17 ოქტომბერი, 2013 წელი. 82-ე პუნქტი; ასევე იხ. *ერემიასოვა და პეხოვა ჩეხეთის რეს-პუბლიკის წინააღმდეგ (Eremiasova and Pechova v. the Czech Republic)*, 16 თებერვალი, 2012 წელი.

მსგავსად, საქმეზე – *P.H. სლოვაკეთის წინააღმდეგ (P.H. v. Slovakia)*,¹⁶⁵ რომელიც ეხებოდა თავისუფლებაალკვეთილი 16 წლის გოგონას მიერ შენობის მეორე სართულზე მდებარე საპირფარეშოს ფანჯრიდან გადახტომას, – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს უნდა გაეთარებინა გარკვეული პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნებოდა პოტენციური საფრთხის მინიმუმამდე შემცირებისაკენ, კერძოდ, ოფიცერმა, რომელიც გოგონას თან ახლდა საპირფარეშოში, ვერ განახორციელა სათანადო ზედამხედველობა მასზე. კერძოდ, ოფიცერს უნდა უზრუნველყო, რომ საპირფარეშოს ფანჯარა ყოფილიყო ჩაკეტილი ან მას უნდა ეპოვნა მდებარეობითი სქესის ოფიცერი, პატიმრის ზედამხედველობისათვის.

საქართველოს კანონმდებლობა სათანადოდ აწესრიგებს თავისუფლებაალკვეთილი პირის სიცოცხლის დაცვის ზოგადი პრევენციული ღონისძიებების გატარებას. კერძოდ, პენიტენციური დაწესებულების გარეთ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ესკორტირების რეჟიმს განსაზღვრავს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №149 ბრძანებით დამტკიცებული წესი „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას ბადრაგირების შესახებ“¹⁶⁶ და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის №55 ბრძანებით დამტკიცებული წესი „სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის შესახებ“.¹⁶⁷ წესი ადგენს, რომ საბადრაგო ჯგუფის წევრები ვალდებული არიან, არ დატოვონ მუდმივი ვიზუალური მეთვალყურეობის გარეშე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა, რომლის გაყვანა/გადაყვანა ან დაცვა ევალებათ ყოფნის სხვა ადგილებში, ისევე როგორც ევალებათ, შეაფასონ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ მოსალოდნელი გაქცევის რისკები და მოახდინონ შესაბამისი რეაგირება.¹⁶⁸ წესით ასევე დადგენილია საპირფარეშოში გაყვანის პროცედურა.

ამას გარდა, პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე ხდება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ზედამხედველობა და კონტროლი ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით, კერძოდ, პენიტენციური დაწესებულების დერეფნებში, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამუშაო-სამეურნეო ადგილებში, ეზოებში და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, აგრეთვე დაწესებულების გარე პერიმეტრზე.¹⁶⁹

ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ასევე ითვალისწინებს სტანდარტს სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი ნივთების ამოღების საჭიროების შესახებ. საქმეზე – *ტანრიბილირი თურქეთის წინააღმდეგ (Tanribilir v. Turkey)* – ევროპულ-

165 8 სექტემბერი, 2022 წელი.

166 იხ. [https://matsne.gov.ge/ka/document/view/2994635?publication=11].

167 იხ. [https://matsne.gov.ge/ka/document/view/2311700?publication=10].

168 წესის 74-ე მუხლის „ა“ და „ზ“ პუნქტები.

169 მე-3მუხლისმე-2წაწილი.იხ.: [https://matsne.gov.ge/document/view/2823755?publication=6].

მა სასამართლომ აღნიშნა, რომ ფიზიკური თავისუფლების ნებისმიერმა აღკვეთამ შეიძლება, თავისი ბუნებით, გამოიწვიოს ფსიქოლოგიური აშლილობა პატიმრებს შორის, თვითმკვლელობის საფრთხის ჩათვლით, რის გამოც სახელმწიფომ უნდა გაატაროს პრევენციული ღონისძიებები, როგორებიცაა ბასრი ნივთების და სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი ნივთების ამოღება.¹⁷⁰

საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ სტანდარტს. პენიტენციური დაწესებულებების დებულებებით იკრძალება ისეთი ნივთების ქონა, როგორებიცაა: ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის ყველა სახეობა, დანები, სხვა ბასრი და მჩხვლეტავი საგნები, მათ შორის, კუსტარულად დამზადებული ან/და დაშლილი, ან/და გადაკეთებული ერთჯერადი სამართებელი, ასევე ნაჯახები, ჩაქუჩები და სხვა ინსტრუმენტები.¹⁷¹ კანონმდებლობით ასევე დადგენილია, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში ტარდება საკნების და საერთო საცხოვრებლის როგორც გეგმური, ისე არაგეგმური დათვალიერება.¹⁷²

რაც შეეხება სამედიცინო დახმარების აღმოჩენას იმ პატიმრისათვის, რომელიც უარს აცხადებს ასეთ დახმარებაზე, ევროპულმა სასამართლომ თავისი პრაქტიკით დაადგინა, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ასეთი სამედიცინო დახმარება, თუ საფრთხე ექმნება პატიმრის სიცოცხლეს. კერძოდ, საქმე *შუმკოვა რუსეთის წინააღმდეგ (Shumkova v. Russia)* ეხებოდა მოსარჩელის ფსიქიკური აშლილობის მქონე შვილის თვითმკვლელობას პენიტენციურ დაწესებულებაში.¹⁷³ კერძოდ, პატიმარმა გადაიჭრა ვენები და იცლებოდა სისხლისაგან, როდესაც ციხის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს იგი. ევროპულ სასამართლომ უნდა შეეფასებინა, ეკისრებოდა თუ არა სახელმწიფოს ვალდებულება, აღმოეჩინა პატიმრისათვის სამედიცინო დახმარება, მიუხედავად იმისა, რომ იგი უარს აცხადებდა ასეთ დახმარებაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან ციხის თანამშრომლებმა იცოდნენ, მოსარჩელის შვილს ჰქონდა ფსიქიკური აშლილობა, მისი უარისათვის არ უნდა მიექციათ ყურადღება, მით უფრო, მისი დაზიანების გათვალისწინებით, იგი ვერ გაუნეცდა წინააღმდეგობას ციხის თანამშრომლებს. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ პირველად დახმარებაზე ზეპირსიტყვიერმა უარმა არ შეიძლება გაამართლოს ციხის თანამშრომლების უმოქმედობა, რასაც შედეგად მოჰყვა პატიმრის გარდაცვალება.¹⁷⁴

170 16 ნოემბერი, 2000 წელი, 74-ე პუნქტი.

171 მაგ., იხ. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ბრძანება N112 „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N14 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 27 აგვისტო, 2015 წელი, დანართი 1, მე-2, მე-11 და მე-12 პუნქტები.

172 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 1 აგვისტოს №200 ბრძანებით დამტკიცებული წესი „პენიტენციურ დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის ორგანიზების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, 93-ე მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტები.

173 14 თებერვალი, 2012 წელი.

174 101-ე პუნქტი.

საქართველოს კანონმდებლობით, კერძოდ, საექიმო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის 44-ე მუხლით, „ექიმი ვალდებულია, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ პირს სამედიცინო დახმარება გაუწიოს მხოლოდ მისი ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ, გარდა გადაუდებელი და სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობისა, როცა თანხმობის მიღება ამ პირის მძიმე მდგომარეობის გამო შეუძლებელია.“

კანონის ეს დებულება ითვალისწინებს, რომ სამედიცინო დახმარება გაენევა პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ პირს მხოლოდ მისი ინფორმირებული თანხმობით, თუმცა ადგენს გამონაკლისს, რომლის მიხედვით ასეთ პირს უნდა აღმოეჩინოს სამედიცინო დახმარება გადაუდებელი და სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში, როდესაც თანხმობის მიღება ამ პირის მძიმე მდგომარეობის გამო შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ პირს სამედიცინო დახმარება უნდა აღმოეჩინოს ყველა შემთხვევაში, როდესაც მისი მდგომარეობა არის გადაუდებელი და სიცოცხლისათვის საშიში, მიუხედავად ამ პირის თანხმობისა. აქედან გამომდინარე, კანონის ეს დებულება შეესაბამება ევროპული კონვენციის პრაქტიკას.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ თვითმკვლელობისაგან თავისუფლებააღკვეთილი პირების სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობა, ძირითადად, შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებს. ამასთანავე, საქართველოს პენიტენციური კოდექსით დაშვებულია ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთავსება სამართოო საკანში, საკუთარი თავის დაზიანების თავიდან ასაცილებლად. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთავსება სამართოო საკანში მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და თვითდაზიანების ან თვითმკვლელობის მცდელობის განმეორების საფრთხის გათვალისწინებით, აუცილებელია აიკრძალოს კანონმდებლობით.

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამედიცინო მკურნალობის/დახმარების ნებაყოფლობასთან მიმართებით, ამ პირთათვის სამედიცინო დახმარების მარეგულირებელი კანონმდებლობით უნდა მოწესრიგდეს სიტუაცია, როდესაც ასეთი პირს, მისი ნების სანინალმდეგოდ, უნდა აღმოეჩინოს სამედიცინო დახმარება მისი სიცოცხლის გადასარჩენად, როგორც ეს განსაზღვრულია ევროპული სასამართლოს პრაქტიკით.

ბ) პრაქტიკა

სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს თავისუფლებააღკვეთილი პირის სიცოცხლის დაცვა თვითმკვლელობისაგან. თავისუფლებააღკვეთილი პირის სიცოცხლის დაცვის ვალდებულება მოიცავს სახელმწიფოს მიერ არა მხოლოდ ინდივიდუალური ღონისძიებების გატარებას თვითმკვლელობის საფრთხის თანაზომიერების მიხედვით, არამედ, ასევე, უსაფრთხოების ზოგადი ღონისძიებების გატარებას, თავისუფლებააღკვეთილი პირის თვითმკვლელობის თავიდან ასაცილებლად.

მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ბოლო წლებში საქართველოში მოხდა თავისუფლებააღკვეთილი პირის მიერ თვითმკვლელობის რამდენიმე შემთხვევა. მაგალითად: 2023 წლის აგვისტოში N10 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულმა პატიმარმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, სააბაზანოში შეტანილი ზონრის გამოყენებით;¹⁷⁵ 2022 წლის ივლისში პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულმა პატიმარმა თვითმკვლელობა ჩაიდინა;¹⁷⁶ 2020 წლის ივლისში, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულმა ბრალდებულმა, რომელიც, ფსიქოემოციური მდგომარეობის გამო, 24-საათიანი ვიდეომონიტორინგის ქვეშ იმყოფებოდა, თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე სააბაზანო ოთახში ყოფნისას, სადაც არ იყო განთავსებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერები და იგი დატოვეს უმეთვალყურედ.¹⁷⁷

ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, უნდა დაისვას კითხვა, იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა სახელმწიფოს (ციხის ადმინისტრაციას) პატიმრის მიერ თვითმკვლელობის ჩადენის საფრთხის შესახებ. თუ სახელმწიფომ იცოდა ასეთი საფრთხის შესახებ, უნდა დადგინდეს, რა გონივრული ღონისძიებები გაატარა სახელმწიფომ თავისუფლებააღკვეთილი პირის თვითმკვლელობის თავიდან ასაცილებლად. ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, თავისუფლებააღკვეთილი პირის თვითმკვლელობისაგან დასაცავად გასატარებელ ღონისძიებებს შორის შეიძლება იყოს: თავისუფლებააღკვეთილი პირის ზედამხედველობა, ფსიქიატრის მიერ ამ პირის რეგულარული მონახულება, მისი ფსიქოემოციური მდგომარეობის შეფასება და მკურნალობა, პატიმრის უზრუნველყოფა მედიკამენტებით და ზედამხედველობა მათ მიღებაზე, პატიმრისათვის განგაშის მექანიზმის ხელმისაწვდომობა, ალკოჰოლური სასმელებისა და ნარკოტიკების აკრძალვა.

175 „ციხეში პატიმარი გარდაიცვალა – ბადრაგს გულგრილობაში ადანაშაულებენ“, 10 ოქტომბერი, 2023 წ., იხ.: [https://netgazeti.ge/news/691376/].

176 „სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა პატიმრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო“, 11 ივლისი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/718942-specialurma-sagamoziebo-samsaxurma-patimris-gardacvalebastan-dakavshirebit-gamozieba-daicqo]; საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი, 36, იხ.: [https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf].

177 „სუიციდი ციხეში – ბრალდებულის სააბაზანოში უყურადღებოდ დატოვების გამო ბრალი პენიტენციური სამსახურის თანამშრომელს წარედგინა“, 11 მაისი, 2021 წ., იხ.: [https://rustavi2.ge/ka/news/198691]. ასევე საყურადღებოა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმე *თედლიაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Tedliashvili and Others v. Georgia)*, რომელიც ეხება პატიმრის თვითდაზიანებას, რასაც თვითმკვლელობა მოჰყვა. ამ საქმეზე სახელმწიფომ აღიარა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში, რის შედეგადაც სასამართლომ ამორიცხა სარჩელი განსახილველ საქმეთა სიიდან. 24 ნოემბერი, 2015. ასევე „პროკურატურამ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N6 დაწესებულების ყოფილი დირექტორი და უსაფრთხოების განყოფილების ყოფილი უფროსი პასუხისმგებელი მისცა“, 1 ივლისი, 2021 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/663683-prokuraturam-sasjelagsrulebis-departamentis-n6-dacesebulebis-qopili-direktori-da-usaprtxeobis-ganqopilebis-qopili-uprosi-pasuxisgebashi-misca].

როგორც ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ ცხადყო, სახელმწიფოს ასევე ეკისრება უსაფრთხოების ზოგადი ღონისძიებების გატარების ვალდებულება თავისუფლებაალკვეთილი პირის თვითმკვლელობის თავიდან ასაცილებლად. საქართველოს პრაქტიკაში იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო უსაფრთხოების ზოგადი გამაფრთხილებელი ღონისძიებების გატარება, თავისუფლებაალკვეთილი პირის თვითმკვლელობისაგან დასაცავად. მაგალითად, 2022 წლის აგვისტოში თვითმკვლელობის შედეგად გარდაიცვალა თავისუფლებაალკვეთილი პირი, რომელიც ბადრაგის თანმხლებით იმყოფებოდა „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“. თავისუფლებაალკვეთილი პირი მიეპარა პენიტენციური სამსახურის ესკორტის ოფიცერს, რომელიც წინდახედულობის ნორმის დაუცველად გადაადგილდებოდა სამსახურებრივ-საშტატო იარაღით, და მას საქამრეში არსებული სპეციალური ბუდიდან ამოაცალა იარაღი, საიდანაც სამი გასროლა განახორციელა, მათ შორის, ერთ-ერთი გასროლით თავის არეში მიიყენა ჭრილობა. ჭრილობის შედეგად თავისუფლებაალკვეთილი პირი გარდაიცვალა.¹⁷⁸

2022 წლის აპრილში დაკავებული ახალგაზრდა კაცი გადმოხტა ჭიათურის პოლიციის განყოფილების მეორე სართულიდან. გამოძიება დაიწყო საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საჩხერე-ჭიათურის მეოთხე სახაზო განყოფილების ადმინისტრაციული შენობიდან ბრალდებულის სახით დაკავებული პირის გადმოხტომის ფაქტზე, რამაც მისი დაზიანება გამოიწვია.¹⁷⁹

4. დასკვნა

საქართველოში თავისუფლებაალკვეთილი პირების სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ, სხვა პატიმრებისაგან მომდინარე საფრთხის შემთხვევაში, პატიმრების სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა აკმაყოფილებს ევროპული კონვენციის მოთხოვნებს. რაც შეეხება სხვა პატიმრებისაგან მომდინარე საფრთხისაგან პატიმრის სიცოცხლის დაცვის პრაქტიკას, არსებული მდგომარეობის შესწავლის შედეგად გამოვლინდა ევროპული სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების სირთულეები.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ სახელმწიფომ გადადგას პრევენციული ნაბიჯები, რომლებიც მიმართული იქნება, სხვა პატიმრებისაგან მომდინარე

178 „პატიმარი გურამ სვანიძე, რომელიც თავში მიყენებული ჭრილობით საავადმყოფოში მკურნალობდა, გარდაიცვალა“, 25 აგვისტო, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/723878-patimari-guram-svanize-romelic-tavshi-miqenebuli-chrilobit-saavadmqoposhi-mkurnalobda-gardaicvala].

179 „პოლიციის შენობიდან ახალგაზრდა კაცი „გადმოხტა“ – რა მოხდა ჭიათურაში“, 15 აპრილი, 2022 წ., იხ.: [https://netgazeti.ge/law/605782/?msclid=6781e7a9bd5511eca156e75d34878b10].

რე საფრთხის შემთხვევაში, პატიმრის სიცოცხლის მოსპობის თავიდან აცილები-საკენ.

რაც შეეხება თვითმკვლელობისაგან პატიმრის სიცოცხლის დაცვის მარეგუ-ლირებელ საკანონმდებლო (ნორმატიულ) აქტებს, მათი ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ისინი, ძირითადად, შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებს. ამასთანავე, საქართველოს პენიტენციური კოდექსით დაშვებულია ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთავსება სამართოო საკანში, საკუთარი თავის დაზიანების თავიდან ასაცილებლად. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთავსება სამართოო საკანში მისი ფსიქოლოგიური მდგომარე-ობისა და თავითდაზიანების ან თვითმკვლელობის მცდელობის განმეორების საფ-რთხის გათვალისწინებით, აუცილებელია აიკრძალოს კანონმდებლობით.

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამედიცინო მკურნალობის/დახმარების ნებაყოფლობასთან მიმართებით ამ პირთათვის სამედიცინო დახმარების მარეგუ-ლირებელ კანონმდებლობით უნდა მოწესრიგდეს სიტუაცია, როდესაც ასეთ პირს, მისი ნების საწინააღმდეგოდ, უნდა აღმოეჩინოს სამედიცინო დახმარება მისი სი-ცოცხლის გადასარჩენად, როგორც ეს განსაზღვრულია ევროპული სასამართლოს პრაქტიკით.

რაც შეეხება თვითმკვლელობისაგან პატიმრის სიცოცხლის დაცვის პრაქტი-კას, გავრცელებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, გამოვლინდა რო-გორც ევროპული კონვენციის სტანდარტების, ისე კანონმდებლობის მოთხოვ-ნების პრაქტიკაში შეუსრულებლობის შემთხვევები, კერძოდ, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო პრევენციული ღონისძიებების გატარება თვითმკვლელობისაგან პატიმრის სიცოცხლის დასაცავად.

ვინაიდან ნაშრომში წარმოჩნდა, რომ თვითმკვლელობისაგან პატიმართა სი-ცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა, მთლიანობაში, შეესაბამე-ბა ევროპული კონვენციის მოთხოვნებს, აუცილებელია, რომ გატარდეს პრაქტი-კული ღონისძიებები ამ მოთხოვნების ზედმიწევნით შესრულების უზრუნველსა-ყოფად. პატიმართა სიცოცხლის ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად გასატა-რებელ ღონისძიებებს შორის არის პენიტენციურ სისტემაში მოქმედი სუიციდის პრევენციის პროგრამის შემდგომი გაუმჯობესება, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სუიციდისაკენ მიდრეკილ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გა-მოვლენისა და სუიციდით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირების თვალსაზ-რისით. კერძოდ, პატიმართა თვითმკვლელობის თავიდან აცილებას ხელს შეუწყ-ობს სუიციდის პრევენციის პროგრამის ეფექტიანობის ზრდა, რაც გულისხმობს სუიციდის რისკის მიმოხილვითი შეფასებისას ქულების მინიჭების სქემის დახვე-წას, რათა თავიდან იქნეს აცილებული იმ პირებისათვის დაბალი რისკის განსაზღ-ვრა, რომლებიც სინამდვილეში არიან საშუალო და მაღალი რისკის მატარებელნი.

სახის ამომცნობი ტექნოლოგიები, როგორც შესაძლო საფრთხე ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების მიმართ

ნატალია ანესაშვილი

1. შესავალი

თანამედროვე მსოფლიო მოიცავს ციფრულმა რევოლუციამ¹, რომლის გავლენაც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე ვრცელდება. ამ რევოლუციის სისწრაფემ თითქმის შეუძლებელი გახადა ციფრული ტექნოლოგიების საფრთხის საერთაშორისო დონეზე განსაზღვრა, თავიდან აცილება და მისი მონესრიგება.

ციფრული განვითარების შემდეგ სახის ამომცნობის ტექნოლოგია (FRT) ბიომეტრიული ამომცნობის ფართო სფეროში ერთ-ერთ ყველაზე გარდამტეხ, თუმცა საკამათო მოვლენად იქცა. FRT-ის სწრაფი განვითარება განპირობებულია კომპიუტერული ხედვის, ღრმა სწავლების ალგორითმების და მაღალი გარჩევადობის გამოსახულების მოწყობილობების განვითარებით, რაც შესაძლებელს ხდის როგორც რეალურ დროში, ისე სხვადასხვა გარემოში მის გამოყენებას. სმარტფონების განბლოკვიდან დაწყებული, სასაზღვრო უსაფრთხოების გაძლიერებით დამთავრებული, FRT-ის გამოყენება ბოლო ათწლეულის განმავლობაში გაიზარდა, რაც განპირობებულია როგორც კომერციული მოთხოვნით, ისე სახელმწიფო დონის ინტერესით უფრო ეფექტიანი იდენტიფიკაციის სისტემების მიმართ.²

მიუხედავად ამისა, FRT-ის დანერგვა მხოლოდ ტექნოლოგიური პროგრესის საკითხი არაა. ის ასევე წარმოაჩენს გამოყენების პოტენციურ ორმაგ სახეს, რომელიც ერთდროულად გვთავაზობს მნიშვნელოვან სარგებელს და, ასევე, აჩენს უამრავ კითხვას ადამიანის უფლებების საკითხთან დაკავშირებით. ეს „ორმაგი ბუნება“ მნიშვნელოვანია თანამედროვე საზოგადოებაში ტექნოლოგიის როლის შესწავლისთვის: ერთი მხრივ, FRT-ს შეუძლია, ემსახუროს ლეგიტიმურ და სოციალურად ღირებულ მიზნებს, გააძლიეროს უსაფრთხოება, გაამარტივოს პირადობის დადასტურება და გააუმჯობესოს საჯარო მომსახურების მინოდება; მეორე მხრივ, ის ქმნის კონფიდენციალურობის დარღვევის, თვალთვალის გადაჭარბებისა და დისკრიმინაციის მნიშვნელოვან რისკებს, თუ იგი გამოყენებული იქნება მკაცრი დაცვის ზომების გარეშე.

FRT-ის სასარგებლო გამოყენება საჯარო და კერძო სექტორებში მრავალგვარია და კარგად არის აღბეჭდილი. სამართალდამცავ ორგანოებში FRT ეხმარება დანაშაულში ეჭვმიტანილების იდენტიფიცირებას, დაკარგული პირების პოვნასა

1 See G. Balbi and B. McClellan-Broussard, *The Digital Revolution: A Short History of an Ideology*, Oxford, 2023, 11-37.

2 World Economic Forum, *Framework for Action: Facial Recognition*, Geneva, 2020, 4.

და სასაზღვრო გადასასვლელებზე მოგზაურთა ვინაობის დადასტურებას. FRT-ს სიჩქარე და სიზუსტე დიდი ოდენობით მონაცემთა დამუშავებისას ზრდის ეფექტურობას და ამცირებს ხელით იდენტიფიკაციაზე დამოკიდებულებას, რაც ხშირად უფრო ნელია და შეცდომის მეტ ალბათობასაც უშვებს. კომერციულ კონტექსტში, FRT საფუძვლად უდევს საბანკო და ონლაინ ტრანსაქციების მექანიზმებს, ხელს უწყობს მომხმარებელს, ჰქონდეს პერსონიზებული გამოცდილება და ეხმარება თაღლითობის თავიდან აცილებას.

მიუხედავად ამისა, ის მახასიათებლები, რომლებიც FRT-ს მიმზიდველს ხდის, არასწორად გამოყენების შემთხვევაში, მას აქცევს მეთვალყურეობისა და კონტროლის საშიშ ინსტრუმენტად. პირების ფარულად, რეალურ დროში და დიდ გეოგრაფიულ არეალში იდენტიფიცირება და თვალყურის დევნება უპრეცედენტო მონიტორინგის შესაძლებლობებს აძლევს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო აქტორებს. ასეთმა შესაძლებლობამ შეიძლება დაარღვიოს ანონიმურობა, რაც ხელს უშლის ისეთი ძირითადი უფლებების განხორციელებას, როგორებიცაა: პირადი ცხოვრების, გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება.³ მაგალითად, ისეთ ქვეყნებში, სადაც კონფიდენციალურობის დაცვაზე ზრუნვა სულაც არაა პრიორიტეტი, FRT გამოყენებულია პოლიტიკური პროტესტების მონიტორინგისთვის ან დისკრიმინაციული საპოლიციო პრაქტიკის აღსასრულებლად.⁴ მსოფლიო ეკონო-

3 UN High Commissioner for Human Rights, The right to privacy in the digital age: Report of the United Nations High Commissioner for Human Rights (A/HRC/48/31), Geneva, 13 September 2021, Introduction.

4 მაგალითისთვის იხ. Human Rights Watch, China: Police 'Big Data' Systems Violate Privacy, Target Dissent, New York, 19 November 2017, <https://www.hrw.org/news/2017/11/19/china-police-big-data-systems-violate-privacy-target-dissent> (08.08.2025). Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, Assessment of Human Rights Concerns in the Xinjiang Uyghur Autonomous Region, People's Republic of China, <https://www.ohchr.org/sites/default/files/documents/countries/2022-08-31/22-08-31-final-assessment.pdf> (10.08.2025). სინძიანის უიღურთა ავტონომიურ რეგიონში ჩინეთმა შექმნა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ინტრუზიული ბიომეტრიული მეთვალყურეობის სისტემა. 12-65 წლის ასაკის მაცხოვრებლებს მოეთხოვებოდათ ბიომეტრიული მონაცემების – მათ შორის: სახის სურათების, თვალის ფერადი გარსის სკანირების, დნმ-ის, თითის ანაბეჭდებისა და ხმის ნიმუშების – წარდგენა „ჯანმრთელობის შემოწმების“ პროგრამების ფარგლებში. ეს მონაცემები კვებავს ინტეგრირებული ერთობლივი ოპერაციების პლატფორმას, რომელიც აერთიანებს სახისა და ინფრანთელი ამოცნობის მქონე ვიდეოსათვალთვლო კამერებიდან მიღებულ მონაცემებს, საკონტროლო პუნქტებს, Wi-Fi-ისა და მობილური თვალთვალის აპარატებს, რათა „საეჭვო“ პირები დაკითხვის ან დაკავების მიზნით მონიშნოს. სახის ამოცნობა ყოველდღიურ ცხოვრებაშია ინტეგრირებული, მათ შორის მეჩეთის შესასვლელებში, სუპერმარკეტებსა და სატრანზიტო კვანძებში. კამერებს შეუძლიათ პოლიციის ინფორმირება, როდესაც პირები ტოვებენ დანიშნულ „უსაფრთხო ზონებს“, რაც მუდმივი მონიტორინგის საშუალებას იძლევა. სინძიანს, როგორც ამბობენ, 40 000-ზე მეტი კამერა აქვს ინტეგრირებული „სანდოობის“ შეფასების სისტემასთან, მას მხარს უჭერს „ქსელის სტილის სოციალური მენეჯმენტი“, რომელიც აერთიანებს ტექნოლოგიას სამეზობლო ინფორმაციებთან. დროშით მონიშნული პირები ხშირად იგზავნებიან ხელახალი განათლების ბანაკებში, სადაც, შეფასებების თანახმად, 2017 წლიდან ორ მილიონამდე უიღური დააკავეს, რომლებიც ინდოქტრინაციის, იძულებითი შრომისა და კულტურული შევიწროების მსხვერპლნი არიან.

მიკური ფორუმის მიერ შემუშავებულ 2020 წლის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ „ბოლო წლებში სახის ამოცნობის ტექნოლოგიასთან დაკავშირებით საზოგადოების შემოფოთება გაიზარდა, რასაც სხვადასხვა დავამ ჩაუყარა საფუძველი. ზოგიერთი საცალო ვაჭრობის კომპანია ამ ტექნოლოგიას შეტყობინების ან თანხმობის გარეშე იყენებდა. სულ უფრო მეტი სკოლა იყენებს მას მოსწავლეების მონიტორინგისთვის. ბიომეტრიული მონაცემების დარღვევის შემთხვევები რეგულარულად ფიქსირდება და პერსონალური მონაცემები გამოიყენება სახის ამოცნობის სისტემების შესაქმნელად მომხმარებლებისთვის, ნებართვის გარეშე“.⁵

წინამდებარე ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სახის ამომცნობი ტექნოლოგიების გამოყენებაზე და განხილულია საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოები, საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკა და მათი შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან. ნაშრომის ძირითადი მიზანია, შეფასდეს, რამდენად შეესაბამება სახის ამომცნობი ტექნოლოგიების გამოყენება პირადი ცხოვრების დაცვის უფლების სტანდარტებს და რამდენად იცავს ამ სტანდარტებს საქართველო.

2. სახის ამოცნობის ტექნოლოგიები

2.1. ბიომეტრიული ამოცნობის ტექნოლოგია

ბიომეტრიული ამოცნობის ტექნოლოგია არის სისტემა, რომელიც აიდენტიფიცირებს ან ადასტურებს ინდივიდების ვინაობას უნიკალური ფიზიოლოგიური ან ქცევითი მახასიათებლების საფუძველზე.⁶ ეს მახასიათებლები შეიძლება მოიცავდეს: თითის ანაბეჭდებს, თვალის ფერადი გარსის ნიმუშებს, ხმის ანაბეჭდებს, სიარულის მანერას, სახის ნაკვთებს და სხვ. ბიომეტრიული ამოცნობის ძირითადი პრინციპი ისაა, რომ გარკვეული ადამიანური თვისებები უნიკალურია ინდივიდისთვის და საკმარისად სტაბილურია დროთა განმავლობაში, რათა საიმედო იდენტიფიკატორებად გადაიქცეს. ბიომეტრიული სისტემები, როგორც წესი, ფუნქციონირებს ორი ძირითადი რეჟიმით: იდენტიფიკაცია, სადაც სისტემა განსაზღვრავს ინდივიდის ვინაობას დიდ მონაცემთა ბაზიდან და ვერიფიკაცია, სადაც სისტემა ადასტურებს ინდივიდის მიერ გამოცხადებულ ვინაობას. ბიომეტრიული ტექნოლოგიების განვითარება მნიშვნელოვნად დაჩქარდა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, რაც განპირობებულია გამოთვლითი სიმძლავრის, მანქანური სწავლების ალგორითმებისა და მაღალი გარჩევადობის გამოსახულების მოწყობილობების ხელმისაწვდომობის მიღწევებით. ეს ტექნოლოგიები ფართოდ არის ინტეგრირებული სხვადასხვა სექტორში, მათ შორის: სამართალდამცავ ორგანოებში, სასაზღვრო კონტროლში, ფინანსურ მომსახურებასა და სამომხმარებლო ელექტრონიკაში,

⁵ იქვე, ციტ. 2.

⁶ Council of Europe, Convention for the Protection of Individuals with regard to the Processing of Personal Data, Explanatory Report, para. 58, <https://bit.ly/3kF2S6l> (08.08.2025).

ისეთი მიზნებისთვის, როგორებიცაა: ვინაობის დადასტურება, თაღლითობის პრევენცია და უსაფრთხოების გაძლიერება.⁷

2.2. სახის ამომცნობის ტექნოლოგია

სახის ამომცნობის ტექნოლოგია (შემდგომში – FRT) არის ბიომეტრიული ამომცნობის ერთ-ერთი სახე, რომელიც ფოკუსირებულია პირთა ავტომატურ იდენტიფიცირებაზე ან დადასტურებაზე (ვერიფიკაციაზე) მათი სახის ნაკვეთების გამოყენებით. ტექნოლოგია აანალიზებს სახის სპეციფიკურ მახასიათებლებს, როგორებიცაა: თვალებს შორის მანძილი, ყვრიმალეების ფორმა, ტუჩების კონტური და თვალის ბუდეების სიღრმე, და ამ ინფორმაციას უნიკალურ ციფრულ შაბლონად გარდაქმნის. FRT სისტემები სხვადასხვა რეჟიმში მუშაობენ, მათ შორის: ერთი ერთზე ვერიფიკაციასა (გადაღებული სურათის შედარება კონკრეტულ შენახულ შაბლონთან) და ერთი მრავალზე იდენტიფიკაციაზე (გადაღებული სურათის შედარება სურათების მონაცემთა ბაზასთან).⁸ სახის ავტომატური ამომცნობის საწყისები უკავშირდება 1960-იან წლებს, როდესაც მკვლევრებმა შეიმუშავეს ნახევრად ავტომატიზებული სისტემები. ისინი ჯერ კიდევ საჭიროებდნენ ადამიანის დახმარებას სახის დეტალების აღსანიშნავად, ვიდრე ამას კომპიუტერში შეიტანდნენ.⁹ ეს სფერო მნიშვნელოვნად განვითარდა მე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნის დასაწყისში მანქანური სწავლებისა და, უფრო ბოლო დროს, ღრმა სწავლების ტექნიკის დანერგვით, რამაც შესაძლებელი გახადა სახის ამომცნობა თითქმის რეალურ დროში მაღალი სიზუსტით. იდეალურ პირობებში მათი სიზუსტე 99%-ს აღწევს.¹⁰ მიუხედავად ამისა, არაშესაბამისი გარემოს ან დაბალი ხარისხის, ან მოძრავი ფოტოს შემთხვევაში შეცდომის შანსი 20%-ს აჭარბებს.¹¹

სახის ამომცნობის გამოყენება გაფართოვდა როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში: სამართალდამცავი ორგანოები მას ეჭვმიტანილის იდენტიფიცირებისთვის, დაკარგული პირების ძებნისა და სასაზღვრო უსაფრთხოების ოპერაციებისთვის იყენებენ; სოციალური მედიის პლატფორმები FRT-ს ფოტოების ავტომატური მონიშვნისთვის იყენებენ, სმარტფონების მწარმოებლები – ბიომეტრიული განბლოკვის მეთოდად, საცალო მოვაჭრეები – დანაკარგების პრევენციისა და მომხმარებელთა ბაზრის ანალიტიკისთვის, ხოლო ფინანსური ინსტიტუტები – ონლაინ ბანკინგისა და გადახდების უსაფრთხო და უტყუარი გადამოწმებისათვის.

7 Jain A., Ross A., Prabhakar S., An Introduction to Biometric Recognition, IEEE Transactions on Circuits and Systems for Video Technology, Vol.14, 2004, 4–5, <[bit.ly/3JcFQSP](https://doi.org/10.1109/34.1207817)> (08.08.2025).

8 Y. Taigman, M. Yang, M. Ranzato & L. Wolf, DeepFace: Closing the Gap to Human-Level Performance in Face Verification, Columbus, 2014, <https://bit.ly/4fy8cTz> (08.08.2025).

9 NEC, A Brief History of Facial Recognition, New Zealand, 2022, <https://www.nec.co.nz/market-leadership/publications-media/a-brief-history-of-facial-recognition/> (08.08.2025).

10 Institute of Standards and Technology, NISTIR 8271 Draft Supplement, 21 February 2024, 43, https://pages.nist.gov/frvt/reports/1N/frvt_1N_report.pdf (08.08.2025).

11 იქვე, 10.

სახის ამოცნობის სისტემათა გამოყენების მასშტაბების გაფართოებამ მნიშვნელოვანი დებატები გამოიწვია კონფიდენციალურობის დარღვევის, მონაცემთა დაცვისა და პოტენციური ბოროტად გამოყენების შესახებ; აგრეთვე, FRT-ის შესაძლებლობამ, ფარულად იმოქმედოს საზოგადოებრივ სივრცეებში ინდივიდის ცოდნის ან თანხმობის გარეშე. ამგვარი რისკები გაერთიანებულ ორგანიზაციასაც არ დაუტოვებია უწყურადღებოდ. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის განცხადებით: „დისტანციური ბიომეტრიული ამოცნობა დაკავშირებულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში მძიმე ჩარევასთან. პირის ბიომეტრიული ინფორმაცია წარმოადგენს მისი პიროვნების ერთ-ერთ მთავარ ატრიბუტს, რადგან ის წარმოაჩენს უნიკალურ მახასიათებლებს, რომლებიც მას სხვა პირებისგან განასხვავებს. გარდა ამისა, დისტანციური ბიომეტრიული ამოცნობა მკვეთრად ზრდის სახელმწიფო ორგანოების შესაძლებლობას, სისტემატურად ამოიცნონ და თვალყური ადევნონ პირებს საზოგადოებრივ სივრცეებში, რაც ძირს უთხრის ადამიანების შესაძლებლობას, იცხოვრონ თავიანთი ცხოვრებით დაკვირვების გარეშე და იწვევს პირდაპირ უარყოფით გავლენას გამოსატყვის თავისუფლების, მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების უფლებების, ასევე გადაადგილების თავისუფლების განხორციელებაზე“.¹²

საერთო ჯამში, ბიომეტრიული და სახის ამოცნობის ტექნოლოგიები უსაფრთხოების, ეფექტიანობისა და მოხერხებულობის სახით მნიშვნელოვან სარგებელს სთავაზობს საზოგადოებას, თუმცა მათი ასეთი მზარდი სისწრაფით დაწერგვა მნიშვნელოვან სამართლებრივ გამოწვევებს წარმოშობს. ეს გამოწვევები განსაკუთრებით აქტუალურია მაშინ, როდესაც ტექნოლოგია შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადამიანის უფლებათა ისეთი საერთაშორისო ნორმების, მათ შორის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების საწინააღმდეგოდ, რომლებიც ასახულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლში და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლში. ადეკვატური ზედამხედველობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ზომების გარეშე, ამ ტექნოლოგიების შესაძლო ორმაგი ბუნება, რომელიც შეიძლება ემსახურებოდეს როგორც სასარგებლო, ისე ადამიანის უფლებათა არამართლზომიერი შეზღუდვის მიზნებს, მას დავის საგნად აქცევს.

3. პირადი ცხოვრების უფლება

3.1. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლი განამტკიცებს პირად ცხოვრების უფლებაში თვითნებური ან უკანონო ჩარევისაგან დაცვას. კერძოდ, ამ მუხლის მიხედვით:

¹² იხ. ციტ. 3 (A/HRC/48/31), para. 27.

„1. არავინ უნდა დაექვემდებაროს მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებლის შეუვალობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების თვითნებურ ან უკანონო ჩარევას ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფას.

2. თითოეულ ადამიანს უფლება აქვს, იყოს კანონით დაცული ასეთი ჩარევი-საგან ან ხელყოფისაგან.“

ადამიანის უფლებათა კომიტეტის (CCPR) მე-16 ზოგადი კომენტარის თა-ნახმად, ტერმინი „თვითნებური ჩარევა“ „ასევე შეიძლება გავრცელდეს კანონით გათვალისწინებულ ჩარევაზე. თვითნებობის კონცეფციის შემოღება გამიზნულია იმის გარანტირებისათვის, რომ კანონით გათვალისწინებული ჩარევაც კი შეესა-ბამებოდეს პაქტის დებულებებს, მიზნებსა და ამოცანებს და ნებისმიერ შემთხვე-ვაში იყოს გონივრული კონკრეტულ გარემოებებში.“¹³ სხვა სიტყვებით, მაშინაც კი, როდესაც კანონი იძლევა თვალთვალის ან მონაცემთა შეგროვების უფლებას, ისინი მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს პაქტის მიზნებს და მორგებული იყოს ლე-გიტიმურ საჭიროებებზე. ამავე მუხლის სტანდარტის დასაცავად აუცილებელია, რომ თვალთვალი და მონაცემთა შეგროვება არ უნდა გამოიყენებოდეს როგორც შევიწროების ან დაშინების გზად, უნდა ნარჩუნდებოდეს ინდივიდის ღირსება და ავტონომია. ამრიგად, პაქტის მონაწილე სახელმწიფოს ვალდებულებაა, დაიც-ვას პირთა უფლებები აუცილებლობის, პროპორციულობისა და გამჭვირვალობის პრინციპებზე დაფუძნებული კანონმდებლობით, რომელსაც აუცილებლად ექნება ეფექტიანი ზედამხედველობისა და კონტროლის მექანიზმები.

3.2. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) მიხედვით:

„1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმონერას.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩა-რევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანო-ნის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილ-დღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებ-ლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“

მიუხედავად ერთი შეხედვით ამომწურავი ფორმულირებისა, ეს უფლება ბევ-რად უფრო ფართომასშტაბიანია და მოიცავს პირად იდენტობას, ავტონომიას, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მთლიანობას და პერსონალური მონაცემების დაც-

13 General Comment No. 16 on Article 17 (Right to Privacy), UN Human Rights Committee, 8 April 1988, para. 4.

ვას.¹⁴ სახის ამომცნობი ტექნოლოგია (FRT), როგორც აღინიშნა, თავისი ბუნებით, გულისხმობს ბიომეტრიული მონაცემების სისტემატურ შეგროვებას, შენახვას და დამუშავებას. ეს მონაცემები შედგება უნიკალური იდენტიფიკატორებისგან, რომლებიც დაკავშირებულია ინდივიდის ფიზიკურ მახასიათებლებთან. ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ აღიარა, რომ ბიომეტრიული მონაცემები ექცევა მე-8 მუხლის ფარგლებში.¹⁵ FRT-ის ინტრუზიული ბუნებაა, რომ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასობრივი თვალთვალისათვის, რაც შესაძლებელს ხდის იდენტიფიცირებას და თვალყურის დევნებას თანხმობის გარეშე, ხშირად საჯარო სივრცეებში, რითაც ეს რეჟიმი ექცევა მე-8 მუხლის დაცვის ქვეშ.

სასამართლოს პრაქტიკა ხაზს უსვამს, რომ საჯარო სივრცეებში მეთვალყურეობაც კი შეიძლება ერეოდეს პირად ცხოვრებაში, თუ შეგროვებული მონაცემები სისტემატურად ჩაინერება და შეინახება.¹⁶ FRT-ის კონტექსტში ეს პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ტექნოლოგიას შეუძლია, ფარულად და ფართომასშტაბიანად იმოქმედოს, შექმნას ჩანაწერები, რომლებიც საშუალებას აძლევს სახელმწიფო ორგანოებს ან კერძო პირებს, რეტროსპექტიულად აღადგინონ ინდივიდის მოძრაობა, ქცევები და ასოციაციები.

ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში ნებისმიერი ჩარევა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ტესტს: ა) ჩარევა უნდა ხდებოდეს კანონის შესაბამისად; ბ) უნდა ემსახუროდეს ლეგიტიმურ მიზანს (ეროვნული უსაფრთხოება, დანაშაულის პრევენცია, სხვათა უფლებების დაცვა და ა.შ.) და გ) აუცილებელი იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში. FRT-ის „კანონთან შესაბამისობისათვის“ საჭიროა მკაფიო, ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი სამართლებრივი ჩარჩოები, რომლებიც არეგულირებენ მათ განლაგებას, გამოყენებას, შენახვის ხანგრძლივობას, მონაცემთა გაზიარებას და ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის მექანიზმებს.¹⁷

„ფუნქციის ცვლილების“ რისკი კი წარმოიშობა მაშინ, როდესაც ერთი მიზნით შეგროვებული მონაცემები გამოიყენება სულ სხვა მიზნით, ადეკვატური დაცვის გარეშე. ეს ყველაფერი კი განსაკუთრებით ბიომეტრიულ სისტემებთან მიმართებით ხდება საფრთხილო. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა საქმეში *ს. და მარპერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (S. and Marper v. the United Kingdom)*, სადაც ბიომეტრიული მონაცემების განუსაზღვრელი ვადით შენახვა არაპროპორციულად მიიჩნიეს. ამიტომაც, FRT სისტემები უნდა ინტეგრირდნენ მიზნის მკაცრი შეზღუდვის პრინციპების სრული დაცვით.

14 *ს. და მარპერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (S. and Marper v. the United Kingdom)*, 2008 წლის 4 დეკემბერი, 66-ე პუნქტი.

15 *გორანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Gaughran v. United Kingdom)*, 2020 წლის 13 თებერვალი, მე-11 პუნქტი.

16 *პერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Perry v. the United Kingdom)*, 2003 წლის 17 ივლისი, 38-ე პუნქტი.

17 *როტარუ რუმინეთის წინააღმდეგ (Rotaru v. Romania)*, 2000 წლის 4 მაისი.

კერძო სუბიექტების მიერ FRT-ის გამოყენების კონტექსტში (მაგ.: საცალო ვაჭრობაში, სპორტულ ობიექტებში ან სოციალური მედიის პლატფორმებზე), მე-8 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას არაპირდაპირ, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების მეშვეობით, რათა დაიცვას პირები მათ პირად ცხოვრებაში გაუმართლებელი ჩარევისაგან, რადგან სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, უზრუნველყონ სამართლებრივი საშუალებები არასახელმწიფო აქტორების მიერ კონფიდენციალურობის დარღვევის წინააღმდეგ.¹⁸

საბოლოოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით, სახის ამომცნობი ტექნოლოგიების დანერგვა უნდა იყოს კანონით მკაცრად შეზღუდული,¹⁹ აუცილებლობისა და პროპორციულობის ტესტების დაცვით და თან ახლდეს ქმედითი საკონტროლო და დაცვის მექანიზმები. ასეთის არსებობის გარეშე FRT-ს აქვს რისკი, გახდეს განურჩეველი თვალთვალის ფორმა, რომელიც შეუთავსებელია დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებებთან.

3.3. სხვა საერთაშორისო დოკუმენტები

სახის ამომცნობის ტექნოლოგიების განვითარების შედეგად წარმოშობილი პრობლემების მოგვარების მიზნით, რომელიც მეტწილად ადამიანის უფლებათა დარღვევაში გამოიხატება, სულ უფრო მეტი საერთაშორისო სახელმძღვანელო მითითება გაჩნდა, რომლებიც ხაზს უსვამენ მათი გამოყენებისას კონფიდენციალურობას, პროპორციულობას, დისკრიმინაციის აკრძალვასა და ანგარიშვალდებულებას. მიუხედავად იმისა, რომ FRT-ს კონკრეტულად არ არეგულირებს არცერთი სახელმძღვანელო მრავალმხრივი ხელშეკრულება, გაეროს ორგანოების, სპეციალიზებული სააგენტოების და რეგიონული ადამიანის უფლებათა ინსტიტუტების მიერ გამოცემული რბილი სამართლის ინსტრუმენტები (ე.წ. *soft law*) და ექსპერტების ანგარიშები მნიშვნელოვან ნორმატიულ სახელმძღვანელოს ადგენს. ეს ინსტრუმენტები ერთობლივად მიზნად ისახავს სახელმწიფო პრაქტიკისა და კორპორატიული ქცევის ჩამოყალიბებას ისე, რომ ისინი შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს.

გაეროს რეგიონთაშორისი დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევითი ინსტიტუტის (UNICRI) სახის ამომცნობის პასუხისმგებლიანი შეზღუდვების პოლიტიკის ჩარჩო²⁰ გვაძლევს დამატებით პერსპექტივას, რადგან მასში უფრო მეტად FRT-ის გამოყენების პრაქტიკულ მაგალითებს და მითითებებს ვხვდებით. მასში თავმოყრილია 9 სახელმძღვანელო პრინციპი FRT-ის გამოყენებისთვის. ეს პრინციპებია:

18 კ. უ. ფინეთის წინააღმდეგ (*K. U. v. Finland*), 2009 წლის 2 მარტი, 42-ე-44-ე პუნქტები.

19 C. o. E., *Unboxing Artificial Intelligence: 10 Steps to Protect Human Rights*, Strasbourg, 14 May, 2019, 13.

20 World Economic Forum, in collaboration with INTERPOL, UNICRI, and the Netherlands Police, *A Policy Framework for Responsible Limits on Facial Recognition: Use Case: Law Enforcement Investigations* (White Paper, Geneva, October 2021 (revised November 2022)).

1. ადამიანისა და ფუნდამენტური უფლებების პატივისცემა²¹

ეს პრინციპი დოკუმენტის ეთიკური საფუძველია და ხაზს უსვამს, რომ FRT გამოიყენონ მხოლოდ კანონიერი მიზნებისათვის და ამ შემთხვევაშიც კი მხოლოდ საგამოძიებო არგუმენტად და არა დანაშაულის ან ვინაობის საბოლოო მტკიცებულებად. ადამიანის ძირითადი უფლებები ცალსახად არის ჩამოთვლილი და განმტკიცებული, მათ შორის: ღირსება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა, გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება, დაუცველი ჯგუფების უფლებები, როგორებიცაა: ბავშვები, ხანდაზმულები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მკვიდრი მოსახლეობა, უმცირესობები, მიგრანტები და დაკავებული პირები.

დოკუმენტი ხაზს უსვამს, რომ ადამიანის უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს კანონიერი, აუცილებელი და პროპორციული, უარყოფს FRT-ის თვითნებურ ან ზედმეტად ფართო გამოყენებას. ეს გადამწყვეტია ადამიანის უფლებების დასაცავად, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური საფრთხე სამართალდამცავებისაგან მომდინარეობს.

გარდა ამისა, ტექსტი მოუწოდებს ეფექტიან ზედამხედველობას, როგორც ადამიანის უფლებათა სპეციალური კომისიების, ისე აღმასრულებელი უფლებამოსილების მქონე დამოუკიდებელი ორგანოების მეშვეობით. არსებობს რეკომენდაცია, შეიქმნას ან დაინიშნოს დამოუკიდებელი ეთიკური ზედამხედველობის კომიტეტები, რომლებიც რეგულარულად გადახედავენ, თუ როგორ იყენებენ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები FRT-ს, რაც ანგარიშვალდებულების მნიშვნელოვან ფენას დაამატებს.

და ბოლოს, პრინციპი ადასტურებს ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის უფლებას, რაც ნიშნავს, რომ FRT-ით დაზარალებულ პირებს უნდა ჰქონდეთ წვდომა მიუკერძოებელ ტრიბუნალზე, რათა გაასაჩივრონ მისი არამიზნობრივად გამოყენება ან მისგან დამდგარი ზიანი.

2. აუცილებელი და პროპორციული გამოყენება²²

ეს პრინციპი ეხება FRT-ის გამოყენების გამართლებას და ფარგლებს. ის აძლიერებს მოთხოვნას, რომ FRT-ის გამოყენება უნდა იყოს პროპორციული პოლიციის ლეგიტიმური მიზნების მიმართ და უნდა შეირჩეს მხოლოდ ალტერნატიული ინსტრუმენტების განხილვისა და უარყოფის შემდეგ სათანადო დოკუმენტაციით.

FRT უნდა იქნეს გამოყენებული: მხოლოდ კონკრეტული საგამოძიებო მიზნისთვის; დანაშაულების განსაზღვრული კლასებისთვის, როგორც ეს დადგენილია ეროვნული კანონმდებლობით ან საერთაშორისო სამართლით; დროის, არეალისა და მიზნის მკაცრი შეზღუდვებით, განსაკუთრებით საჯარო ან ნახევრად საჯარო სივრცეებიდან სურათების მოპოვებისას.

21 იქვე, 20.

22 იქვე, 21.

დოკუმენტი მკაცრ პირობებს აწესებს რეალურ დროში FRT-ზე, რაც მოითხოვს დამოუკიდებელი ორგანოს წინასწარ ავტორიზაციას. გადაუდებელ შემთხვევებში, როდესაც რეალურ დროში FRT გამოიყენება წინასწარი დამტკიცების გარეშე, დასაბუთებული ანგარიში უნდა წარედგინოს 24 საათის განმავლობაში. ეს უზრუნველყოფს რეალურ დროში FRT-ის გამოყენებას ზომიერად და პასუხისმგებლობით. მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტი კრძალავს FRT-ის გამოყენებას იმ მიზნებისთვის, როგორებიცაა ასაკის, სქესის, რელიგიის, ემოციის ან პოლიტიკური ორიენტაციის დადგენა.

3. ადამიანური ზედამხედველობა და ანგარიშვალდებულება²³

ამ პრინციპის მიხედვით, FRT-ის შედეგები არასდროს არ უნდა განიხილებოდეს როგორც საბოლოო გადაწყვეტილებები ადამიანური ინტერპრეტაციის გარეშე. პრინციპი მოიცავს დებულებას, რომ FRT-ის მიერ დაზარალებული პირები (მაგ.: დაკავებულები, დაკითხულნი ან დასახელებულები) უნდა იყვნენ ინფორმირებულნი FRT-ის მონაწილეობის შესახებ, თუ ეს არ ართულებს გამოძიებას. ეს გამჭვირვალობა პატივს სცემს სათანადო პროცესს და იცავს სამოქალაქო თავისუფლებებს. გარდა ამისა, დაზარალებული პირებისთვის სამართლებრივი დაცვის მექანიზმების ხელმისაწვდომობა გაძლიერებულია.

4. სისტემის მუშაობის ოპტიმიზაცია²⁴

ეს პრინციპი ფოკუსირებულია FRT სისტემების ტექნიკურ მდგრადობაზე. ის მოითხოვს: მომწოდებლის მიერ ისეთი სტანდარტების დაცვას, როგორებიცაა: ISO, CEN, და ტესტირებას ისეთი ინსტიტუტების მიერ, როგორებიცაა: NIST, სტანდარტიზებული და გამჭვირვალე შესყიდვების პროცესი, ფართომასშტაბიანი, დამოუკიდებელი ტესტირება, მათ შორის როგორც ლაბორატორიულ, ისე რეალურ პირობებში.

ტესტირებისას უნდა გაითვალისწინონ განლაგების რეალური კონტექსტი, მათ შორის: განათება, გამოსახულების ხარისხი და ოპერატორის ქცევა. ეს პრინციპი ხელს უწყობს სამართალდამცავ ორგანოებსა და მომწოდებლებს შორის უწყვეტ უკუკავშირს შეცდომების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და სისტემების განახლების მიზნით. რეგულარული განახლებები არა მხოლოდ რეკომენდებულია, ისინი მოსალოდნელია.

5. შეცდომებისა და მიკერძოების შემცირება²⁵

ეს სექცია ასახავს მიკერძოების/შეცდომების შემცირების ორ ფენას: *ex ante* (წინასწარ, განთავსებამდე) და *ex post* (განთავსების შემდეგ).

23 იქვე.

24 იქვე, 22.

25 იქვე.

Ex ante: მომწოდებლებმა უნდა აჩვენონ, რომ მათი სისტემები მინიმუმამდე ამცირებენ დემოგრაფიულ მიკერძოებას და კარგად მუშაობენ სხვადასხვა პოპულაციაში. ეს დამოუკიდებლად უნდა გადამოწმდეს და საჯაროდ გაცხადდეს.

Ex post: სააგენტოებმა მუდმივად უნდა აკონტროლონ, აუდიტი ჩაატარონ და შეამოწმონ სისტემა მიმდინარე რისკებისა და შეცდომების გამოსავლენად. რეგულარული აუდიტები, როგორც შიდა, ისე მესამე მხარის, ნახალისებულია და მათი დასკვნები საჯარო უნდა იყოს.

6. სურათებისა და მონაცემთა ბაზების ლეგიტიმურობა²⁶

ეს პრინციპი უზრუნველყოფს, რომ ყველა სახის სურათი და ბიომეტრიული მონაცემი შეგროვდეს და დამუშავდეს კანონიერად, შემდეგი საკითხების გათვალისწინებით: მიზნის შეზღუდვა, შენახვის პერიოდები, ნაშლის მკაფიო პოლიტიკა, წვდომის მკაცრი კონტროლი, ფლობის გამჭვირვალე ჯაჭვი. ის კრძალავს უკანონოდ შეგროვებული სურათების, მაგალითად, ინტერნეტიდან ამოღებული მონაცემების, გამოყენებას, რაც აძლიერებს კანონიერებას და ეთიკურ მთლიანობას.

ის ასევე მოითხოვს სურათების ტიპების ლოგიკურ გამიჯვნას (მაგ.: ეჭვმიტანილები და მსხვერპლები) პროტოკოლებით, თუ როდის უნდა წაიშალოს სურათები, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათი საგამოძიებო მოქმედებების საჭიროებით იგი აღარ საბუთდება.

7. სურათებისა და მეტამონაცემების მთლიანობა²⁷

ეს პრინციპი ხაზს უსვამს, რომ სურათის ხარისხი და მთლიანობა უმნიშვნელოვანესია სახის ზუსტი ამოცნობისთვის. სააგენტოებმა უნდა განსაზღვრონ: ხარისხის სტანდარტები სურათებისთვის, სასამართლო განახლების პროცედურები, რომლებიც შეესაბამება მკაცრ სტანდარტებს. არასამედიცინო განახლებები (მაგ., პოზის კორექცია) დაშვებულია მხოლოდ ძიების ფაზებში, არა საბოლოო იდენტიფიცირებისათვის.

ექსპერტები ასევე უნდა იყვნენ განვრთნილნი **deepfake** ტექნოლოგიის, მორფების და სხვა ციფრული მანიპულაციების აღმოსაჩენად, რაც სერიოზული რისკებია არასწორი იდენტიფიკაციისთვის.

8. კვალიფიციური ადამიანური ინტერფეისი და გადაწყვეტილების მიღება²⁸

ამ პრინციპის მთავარი აზრი არის ის, რომ **FRT** მხოლოდ იმდენად საიმედოა, რამდენადაც მისი ოპერატორები. ის მოითხოვს, რომ მხოლოდ განვრთნილ პირებს შეეძლოთ **FRT** სისტემების მართვა და რომ გადამზადება უნდა იყოს უწყვეტი და მიმდინარე კვლევებზე დაფუძნებული.

26 იქვე, 23.

27 იქვე, 24.

28 იქვე, 25.

ტრენინგი უნდა მოიცავდეს: ბიომეტრიის მარეგულირებელ კანონებსა და პოლიტიკას, FRT შესაძლებლობებისა და შეზღუდვების ტექნიკურ გაგებას, ადამიანურ და ალგორითმულ მიკერძოებას, მსგავსი გარეგნობის პირებისგან (მაგ., ტყუპები) მომდინარე რისკებს, გამოსახულების მანიპულირების შესახებ ცნობიერებას, მონაცემთა მართვისა და იდენტიობის დადასტურების საუკეთესო პრაქტიკას.

9. გამჭვირვალობა²⁹

ეს საბოლოო პრინციპი ხელს უწყობს გამჭვირვალობას და საზოგადოების ნდობას, ამტკიცებს, რომ FRT-ის გამოყენების შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს საჯარო, თუ გამჟღავნება არ შეაფერხებს აქტიურ გამოძიებას.

დოკუმენტი რეკომენდაციას უწევს დეტალური ინფორმაციის გამოქვეყნებას შემდეგ საკითხებზე: FRT-ის გამოყენების მიზანი, შერჩეული მომწოდებლები და პროგრამული ვერსიები, სურათების დამუშავების პროცედურები, წვდომის უფლებები და პასუხისმგებელი ერთეულები, ზედამხედველობის მექანიზმები და აუდიტის შედეგები, საჯარო საჩივრების პროცედურები და ჩანაწერები.

საბოლოოდ, გაეროს ადამიანის უფლებათა მექანიზმების, გაეროს სპეციალიზებული სააგენტოებისა და რეგიონული სასამართლო ორგანოების რეკომენდაციების სინთეზირებით ცხადი ხდება, რომ არსებობს მყარი, თუმცა ფრაგმენტული, საერთაშორისო ნორმატიული ჩარჩო, რომელსაც საქართველოსა და სხვა სახელმწიფოებს შეუძლიათ, დაეყრდნონ. მიუხედავად იმისა, რომ ეს რეკომენდაციები არ არის სავალდებულო, ისინი ასახავენ ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული ვალდებულებების ავტორიტეტულ განმარტებას და პრაქტიკულ მოდელებს სახის ამოცნობის ტექნოლოგიების დანერგვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა FRT-ის მე-8 მუხლთან მიმართებით

საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რაც იძლევა ანალიზის საფუძველს, რა პირობებში დგება მე-8 მუხლის დარღვევა FRT-ის გამოყენებისას.

ა) გლუხინი რუსეთის წინააღმდეგ (*Glukhin v Russia*)³⁰

საქმის გარემოებები შემდეგია: მოსარჩელე ნიკოლაი სერგეევინი გლუხინი რუსეთის მოქალაქეა, რომელიც დაიბადა 1985 წელს და ცხოვრობს მოსკოვში.

2019 წლის 23 აგვისტოს ბატონი გლუხინი მოსკოვის მეტროთი მგზავრობდა მუყაოს ფიგურით. ხელში ეჭირა ბანერი წარწერით: „მშვიდობიანი პროტესტისთვის ხუთ წლამდე პატიმრობა მემუქრება...“. ინტერნეტის რუტინული მონიტო-

29 იქვე, 26.

30 გლუხინი რუსეთის წინააღმდეგ (*Glukhin v. Russia*), 2023 წლის 4 ივლისი.

რინგის დროს პოლიციამ აღმოაჩინა ბატონი გლუხინის დემონსტრაციის ფოტოები და ვიდეო, რომელიც ატვირთული იყო სოციალურ ქსელში. ბატონი გლუხინის თქმით, მათ გამოიყენეს სახის ამოცნობის ტექნოლოგია სოციალური ქსელის ეკრანის ანაბეჭდებიდან მისი იდენტიფიცირებისთვის, შეაგროვეს ვიდეოჩანაწერები მოსკოვის იმ მეტროპოლიტენის სადგურებში დამონტაჟებული დახურული სექმის ვიდეომეთვალყურეობის კამერებიდან, რომლებშიც ის 2019 წლის 23 აგვისტოს გადაადგილდებოდა და რამდენიმე დღის შემდეგ გამოიყენეს სახის ამოცნობის ტექნოლოგია მისი მეტროთი მგზავრობისას ადგილსამყოფელის დასადგენად და დასაკავებლად. ბატონი გლუხინი შემდგომში ადმინისტრაციული წესით სამართალდამრღვევად ცნეს. მას 20 000 რუსული რუბლის (დაახლოებით 283 ევროს) ოდენობის ჯარიმა დაეკისრა. სოციალური მედიის საიტის ეკრანის ანაბეჭდები და ვიდეოკამერებიდან აღებული ვიდეოჩანაწერები მის წინააღმდეგ მტკიცებულებად იქნა გამოყენებული. 2017-იდან 2022 წლამდე მოსკოვში, მათ შორის მოსკოვის მეტროში, 220 000-ზე მეტი ვიდეომეთვალყურეობის კამერა დამონტაჟდა ტრანსპორტის უსაფრთხოების შესახებ დადგენილების (2017 წლის 5 აპრილის 410 დადგენილება) ძალაში შესვლის შემდეგ. ყველა მათგანი აღჭურვილია სახის ამოცნობის ტექნოლოგიით.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-8 და მე-10 მუხლების დარღვევა. მე-8 მუხლთან მიმართებით სასამართლომ აღნიშნა, რომ ბატონ გლუხინს გაუჭირდა თავისი ბრალდების დამტკიცება, რომ მის საქმეში სახის ამოცნობის ტექნოლოგია გამოიყენეს. რუსეთის კანონმდებლობა, ზოგადად, არ ავალდებულებს პოლიციას, შეადგინოს ჩანაწერი ამგვარი ტექნოლოგიის გამოყენების შესახებ, ან აცნობოს შესაბამისი პირის შესახებ. მიუხედავად ამისა, არ არსებობდა სხვა ახსნა იმისა, თუ როგორ ამოიცნო პოლიციამ იგი ასე სწრაფად პროტესტის შემდეგ. მთავრობას ასევე არ უარუყვია სახის ამოცნობის ტექნოლოგიის გამოყენება და არც განუმარტავს, თუ როგორ მოახდინეს ბატონი გლუხინის იდენტიფიცირება. სასამართლომ ასევე გაითვალისწინა საჯარო ინფორმაცია რუსეთში საპროტესტო აქციებში მონაწილეთა იდენტიფიცირებისთვის სახის ამოცნობის ტექნოლოგიის გამოყენების მრავალრიცხოვან საქმეებთან დაკავშირებით. შესაბამისად, მან დაადგინა, რომ ბატონი გლუხინის პერსონალური მონაცემების დამუშავება მის წინააღმდეგ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წარმოებისას, მათ შორის სახის ამოცნობის ტექნოლოგიის გამოყენება მისი იდენტიფიცირებისა და შემდგომში „ადგილმდებარეობის დასადგენად და დაკავებისთვის“ არღვევდა მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას.

მეორე მხრივ, სასამართლომ აღნიშნა სახის ამოცნობის ტექნოლოგიის გამოყენებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ფარგლებისა და გამოყენების მარეგულირებელი დეტალური წესების არარსებობა შიდა კანონმდებლობაში, ასევე ბოროტად გამოყენებისა და თვითნებობის რისკისგან ძლიერი დაცვის მექანიზმების არარსებობა.

განაცხადის თანახმად, ბატონი გლუხინის უფლებებში ჩარევის მიზანი ლეგიტიმური იყო – დანაშაულის თავიდან აცილება. ამასთანავე, სასამართლომ დაადგინა, რომ ბატონი გლუხინის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებები განსაკუთრებით შემზღუდველი იყო მშვიდობიანი პროტესტის ფონზე, რომელიც არ იწვევდა საფრთხეს საზოგადოების ან ტრანსპორტის უსაფრთხოებისთვის. მოსარჩელის ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება სახის ამოცნობის ტექნოლოგიის გამოყენებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფარგლებში, პირველ რიგში, მისი იდენტიფიცირება ინტერნეტში გამოქვეყნებული ფოტოებიდან და ვიდეოდან და, მეორეც, მისი ადგილმდებარეობის დადგენა და დაკავება მოსკოვის მეტროთი მგზავრობისას, შესაბამისად, არ შეესაბამებოდა „აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას“ და არ შეიძლება ჩაითვალოს „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

ბ) *Big Brothers Watch* და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Big Brother Watch and Others v. the United Kingdom*)³¹

საქმე ეხებოდა გაერთიანებული სამეფოს საიდუმლო თვალთვალის რეჟიმის თავსებადობას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლებთან, როგორც ეს 2017 წლის 7 ნოემბრის მდგომარეობით მოქმედებდა და არეგულირებდა:

- I) შინაარსისა და მასთან დაკავშირებული საკომუნიკაციო მონაცემების მასობრივ ჩაწერას;
- II) უცხოური სადაზვერვო სამსახურებიდან დაზვერვის მონაცემების მიღებას;
- III) CSP-ებისგან საკომუნიკაციო მონაცემების მოპოვებას.

მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველი ჩანაწერები, რასაც მოჰყვა კომუნიკაციების ნაწილების დაუყოვნებლივი გაუქმება, არ იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჩარევა, ფიზიკური პირების მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებების ჩარევის ხარისხი გაიზარდა მასობრივი ჩაწერის პროცესის პროგრესირებასთან ერთად.

რაც შეეხება მასობრივი ჩაწერის საქმეებზე გამოყენებულ შესაბამის პრინციპებს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოიშველია წინა პრეცედენტული სამართალი მიზანმიმართული ჩაწერის რეჟიმების შესახებ, რათა დაედგინა, რომ, თუმცა სახელმწიფოებს აქვთ თავისუფალი შეფასების ფარგლები იმის გადასაწყვეტად, რა ტიპის ჩაწერის რეჟიმია აუცილებელი ეროვნული უსაფრთხოებისა და სხვა არსებითი ეროვნული ინტერესების სერიოზული გარე საფრთხეებისგან დასაცავად, ასეთი სისტემის ფუნქციონირებისას შეფასების ზღვარი უნდა ყოფილიყო უფრო ვიწრო და უნდა არსებობდეს რიგი დაცვის ზომებისა. მან

31 *Big Brothers Watch* და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Big Brother Watch and Others v. the United Kingdom*), დიდი პალატა, 2021 წლის 25 მაისი.

მიიჩნია, რომ მიზანმიმართული ჩანერის რეჟიმების კონტექსტში განსაზღვრული დაცვის ზომები უნდა იყოს ადაპტირებული მასობრივი ჩანერის რეჟიმის სპეციფიკური მახასიათებლების და, კერძოდ, ფიზიკური პირების მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებების ხელყოფის მზარდი ხარისხის ასახვის მიზნით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ უცხო სახელმწიფოებისთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ჩანერილი მასალის გადაცემისას ასეთი გადაცემა უნდა შემოიფარგლოს კონვენციის შესაბამისად შეგროვებული მონაცემებით და თან ახლდეს დამატებითი დაცვის ზომები. ეროვნულმა კანონმდებლობამ ნათლად უნდა განსაზღვროს გადაცემის გარემოებები და გადამცემმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ მიმღებ სახელმწიფოს ჰქონდეს დაცვის ზომები უფლების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად, მონაცემების უსაფრთხოდ შესანახავად და შემდგომი გამჟღავნების შეზღუდვის მიზნით. საჭიროა უფრო ძლიერი დაცვის ზომები მაღალი კონფიდენციალურობის მქონე მასალისთვის, როგორიცაა ჟურნალისტური წყაროები, ხოლო უცხოური დაზვერვის პარტნიორებისთვის გადაცემა დამოუკიდებლად უნდა კონტროლდებოდეს.

დაკავშირებული კომუნიკაციების მონაცემების მასობრივი ჩანერისთვის სასამართლომ აღნიშნა, რომ ასეთ მონაცემებს შეუძლიათ, გამოავლინონ ინტიმური პირადი დეტალები. ამიტომ იგივე დაცვის ზომები, რომლებიც გამოიყენება კონტენტის ჩანერისთვის, ასევე უნდა გავრცელდეს ამ მონაცემებზე, თუმცა სამართლებრივი დებულებები არ უნდა იყოს იდენტური.

ამ პრინციპების გამოყენებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დიდი ბრიტანეთის სათვალთვალო რეჟიმი არ ითვალისწინებდა საკმარისად „ყოვლისმომცველი“ დაცვის ზომებს.

5. საქართველოს კანონმდებლობა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი³² (შემდგომში – „კანონი“) საქართველომ 2023 წელს მიიღო. მან ჩამოაყალიბა ჩარჩო პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისათვის საქართველოში, რაც უფრო მეტად აახლოებს ეროვნულ სტანდარტებს ისეთ საერთაშორისო ნორმებთან, როგორიცაა ევროკავშირის მიერ შემუშავებული ზოგად მონაცემთა დაცვის რეგულაცია (GDPR).³³ კანონი აწესრიგებს პერსონალურ მონაცემთა შეგროვებას, შენახვას, გამოყენებასა და გავრცელებას როგორც საჯარო, ისე კერძო პირების მიერ, რათა გარანტირებული იყოს მათი დამუშავება კანონიერების, სამართლიანობის, გამჭვირვალობის, გამოყე-

32 საქართველოს პარლამენტის კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ (2023 წ.), 3144-XIმს-Xმპ, <https://matsne.gov.ge/document/view/5827307?publication=5> (10.08.2025).

33 Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data and on the free movement of such data, and repealing Directive 95/46/EC.

ნების მიზნის შეზღუდვისა და კონფიდენციალურობის პრინციპების დაცვა. მან არაერთი სიახლე შემოიტანა, ან/და განავრცო დაცვის მექანიზმები,³⁴ მათ შორის, დააზუსტა ვიდეოკამერის საშუალებით ჩანანერის განხორციელების წესი საჯარო და კერძო სივრცეში. კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, ვიდეომონიტორინგის განხორციელების დასაშვებობის კრიტერიუმები არის შემდეგი: იგი დასაშვებია მხოლოდ მკაცრად განსაზღვრული მიზნებისთვის (უსაფრთხოება, საკუთრების დაცვა, ბავშვების დაცვა და სხვ.); დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, წერილობით შეადგინოს მონიტორინგის მიზნები, ხანგრძლივობა, შენახვის წესები და ა.შ.; დასაქმებულის ვიდეოთვალთვალი შესაძლებელია მხოლოდ უკიდურესად აუცილებელ შემთხვევაში; აკრძალულია მონიტორინგი ისეთი ადგილებში, სადაც არსებობს პირადი ცხოვრების გონივრული მოლოდინი (მაგ.: სველი წერტილები, გასახდელები); საჭიროა თვალსაჩინო გამაფრთხილებელი ნიშანი და ზოგ შემთხვევაში – წერილობითი გაფრთხილება, ხოლო საცხოვრებელ სახლებში ვიდეომონიტორინგი დასაშვებია მესაკუთრეთა ნახევარზე მეტის თანხმობით და გარკვეული შეზღუდვებით. მიუხედავად მისასალმებელი სიახლეებისა, მუხლში არაფერია ნახსენები ვიდეომეთვალყურეობისას სახის ამომცნობი სისტემის გამოყენებაზე. მეტიც, ტერმინი სახის ამომცნობი სისტემა მხოლოდ ერთხელ, მე-3 მუხლის დ) ქვეპუნქტშია ნახსენები, ისიც ტერმინ „ბიომეტრიული მონაცემის“ განმარტების მიზნით. თვით ბიომეტრიულ მონაცემებს მე-9 მუხლი ეხება. ამ მუხლის მიხედვით:

„1. ბიომეტრიულ მონაცემთა დამუშავება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია საქმიანობის განხორციელების, უსაფრთხოების, საკუთრების დაცვისა და საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების მიზნებისთვის და ამ მიზნების სხვა საშუალებით მიღწევა შეუძლებელია ან დაკავშირებულია არაპროპორციულად დიდ ძალისხმევასთან, აგრეთვე კანონით დადგენილი წესით პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის, სახელმწიფო საზღვრის გადამკვეთი პირის იდენტიფიკაციის, უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის, საერთაშორისო დაცვის განხორციელების, დანაშაულის თავიდან აცილების, დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, მართლმსაჯულების განხორციელების, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის, არასრულწლოვანთა რეფერირების პროცესის კოორდინაციის, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ან კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

34 ვრცლად იხ.: „8 სიახლე, რასაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ახალი კანონი ითვალისწინებს“, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, გამოქვეყნებულია 5 ივლისს, 2023, <https://transparency.ge/ge/blog/8-siaxle-rasac-personaluri-monacemta-dacvis-shesaxe-b-axali-kanoni-itvaliscinebs> (10.08.2025).

2. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, ამ კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად, მონაცემთა დამუშავებამდე წერილობით განსაზღვროს ბიომეტრიულ მონაცემთა დამუშავების მიზანი და მოცულობა, ამ მონაცემთა შენახვის ვადა, მათი შენახვისა და განადგურების წესი და პირობები, აგრეთვე მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები.“

მიუხედავად იმისა, ამ მუხლში კარგადაა გადმოცემული ძირითადი პრინციპები, შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ იგი არასაკმარის სამართლებრივ ჩარჩოს და მექანიზმს ქმნის ბიომეტრიულ მონაცემთა დასაცავად. ამ კანონის გააზრებისათვის საინტერესოა ვენეციის კომისიის დასკვნა,³⁵ რომელიც 2023 წლის დეკემბერში მომზადდა. დასკვნის მიხედვით, საქართველოს საბაზისო არქიტექტურა იმედისმომცემია FRT-ის მართვისათვის, რადგან ის გამოყოფს გამოძიებას მონაცემთა დაცვის ზედამხედველობისგან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს (შემდგომში – „სამსახური“) ანიჭებს ფარული საგამოძიებო ღონისძიებების ზედამხედველობის უფლებამოსილებას და პერსონალური მონაცემების დაცვას ფუნდამენტური უფლებების ფუნქციად აქცევს. დასკვნა ადასტურებს, რომ სამსახურის მანდატი ოფიციალურად ვრცელდება „მონაცემთა დამუშავების კანონიერების მონიტორინგზე საქართველოში“, რაც ლოგიკურად უნდა მოიცავდეს საჯარო ხელისუფლების მიერ მართულ ბიომეტრიულ და სახის ამოცნობის სისტემებსაც. თეორიულად, საქართველოს ჰყავს შესაბამისი ორგანო, რათა შეამოწმოს მაღალი რისკის შემცველი სათვალთვალო ტექნოლოგიები, მათ შორის FRT. მიუხედავად ამისა, ვენეციის კომისია სტრუქტურულ სისუსტეებსაც ეხება, რომლებიც, მათი გამოუსწორებლობის შემთხვევაში, შეამცირებს სამსახურის შესაძლებლობას, FRT გამოიყენონ საერთაშორისო პრინციპების დაცვით, კერძოდ ეს პრინციპებია: კანონიერება და განჭვრეტადობა, აუცილებლობა და პროპორციულობა, დამოუკიდებელი ზედამხედველობა, გამჭვირვალობა და ეფექტიანი საშუალება. პირველი, დამოუკიდებლობა და ინსტიტუციური დიზაინის შესახებ მოსაზრება განმეორებით აფრთხილებს, რომ სამსახურის ის ავტონომია საკმარისად ძლიერი არ არის, დანიშნის წესების, იმუნიტეტის ზღვრების, საბიუჯეტო ბერკეტების და უფროსი პერსონალის დაცვის ხარვეზების გათვალისწინებით. იგი რეკომენდაციას უწევს დამოუკიდებლობის საკანონმდებლო ფორმულირების გაფართოებას („სრული დამოუკიდებლობა“ და გარე გავლენისგან თავისუფლება), ფუნქციური იმუნიტეტის ხელმძღვანელის მიღმა ძირითად თანამშრომლებზე (ინსპექტორებზე) გაფართოებას, ხელმძღვანელის დაპატიმრების ან დაკავების საპარლამენტო ზღურბლების ამალგებას და სამსახურისთვის საკუთარი ხმის მიცემის უზრუნველყოფას ბიუჯეტის შემუშავებაში.

35 Council of Europe, Venice Commission. (2023, December 15–16). Opinion on the Law on the Special Investigation Service and on the provisions of the Law on Personal Data Protection concerning the Personal Data Protection Service (CDL-AD(2023)044). Adopted at the 137th Plenary Session, Venice.

მეორეც, ეფექტიანი უფლებამოსილებები და წვდომა, განსაკუთრებით ფარული ღონისძიებების შემთხვევაში, უნდა შეესაბამებოდეს ბიომეტრიული ტექნოლოგიების რეალურ რისკებს. მოსაზრება ხაზს უსვამს, რომ ფარული საგამოძიებო ინსტრუმენტები „უკიდურესად ინტრუზიულია“, რაც გავლენას ახდენს არამხოლოდ პირად ცხოვრებაზე, არამედ გამოხატვის, გაერთიანების და სხვა უფლებებზეც. ასევე, დასკვნის მიხედვით, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და სანქციონების შესაძლებლობა კვლავ არასაკმარისად არის განსაზღვრული.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ, ვენეციის კომისიის დასკვნის მიხედვით, საქართველომ ჩამოაყალიბა სახის ამოცნობის საერთაშორისო პრინციპების შესაბამისად რეგულირებისთვის საჭირო საკანონმდებლო ჩარჩოს დიდი ნაწილი, თუმცა კანონმდებლობა საჭიროებს შემდგომ დახვეწას. საკანონმდებლო ორგანომ უნდა (i) განამტკიცოს სამსახურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობა და პერსონალის იმუნიტეტი; (ii) ცალსახად მიაწოდოს მას უფლებამოსილება, აუდიტი გაუწიოს სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებულ ყველა დამუშავებას; (iii) მოახდინოს საჩივრების განხილვისა და სანქციონების უფლებამოსილებების კოდიფიცირება; (iv) მოახდინოს სპეციალური ანგარიშების ავტორიზაცია გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად; და (v) მოახდინოს დანიშვნებისა და ბიუჯეტების რეფორმირება პოლიტიკური ზენოლის შესამცირებლად. ამ რეკომენდაციების განხორციელება საქართველოს დაახლოებს სახის ამოცნობისა და სხვა ბიომეტრიული მეთვალყურეობის ტექნოლოგიების მართვის საუკეთესო პრაქტიკასთან და აამოქმედებს კანონიერების, აუცილებლობის, პროპორციულობის, დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობის პრინციპებს, რასაც საერთაშორისო სტანდარტებიც მოითხოვს.

საინტერესოა კანონის შედარება საერთაშორისო სამართალში ჩამოყალიბებულ პრინციპებთან.

1. სამართლებრივი საფუძველი და განჭვრეტადობა

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი მოითხოვს, რომ თვალთვალი, მათ შორის სახის ამოცნობის გამოყენება, ეფუძნებოდეს კანონს, რომელიც არის ნათელი, ზუსტი და განჭვრეტადი. პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი ბიომეტრიულ მონაცემებს ეხება, რომლის მიხედვითაც მათი დამუშავება მხოლოდ მაშინაა დაშვებული, თუ ეს აუცილებელია გარკვევით ჩამოთვლილი მიზნებისთვის, როგორებიცაა: უსაფრთხოება, დანაშაულის პრევენცია, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემა, სასაზღვრო კონტროლი და კიბერ/ინფორმაციული უსაფრთხოება, და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მიზნები ვერ მიიღწევა ნაკლებად შემზღუდველი საშუალებებით. მაკონტროლებელმა ორგანოებმა წერილობით უნდა განსაზღვრონ ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების მიზანი, ფარგლები, შენახვის ხანგრძლივობა, განადგურების მექანიზმები და დაცვის ზომები. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქმნის სტრუქტურირებულ სამართლებრივ საფუძველს, ჩარჩოს კვლავ აკლია სახის ამოცნობის

ტექნოლოგიების საჯარო სივრცეებში განლაგების შესახებ კონკრეტული დებულებები და შეზღუდვები. ცხადია, რომ, რაც უფრო მეტად ფართო და ბუნდოვანია კანონი, მით უფრო მეტი გზა არსებობს მისგან თავის არიდებისა.

2. ლეგიტიმური მიზანი, აუცილებლობა და პროპორციულობა

საერთაშორისო სტანდარტები (გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტისა და UNICRI-ის მიერ შემუშავებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით) მოითხოვს, რომ ნებისმიერი FRT-ის განლაგება უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს, იყოს აუცილებელი და ამ მიზნის პროპორციული. საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს აუცილებლობის ტესტებს კანონის მე-9 მუხლში, რომლის თანახმადაც, ბიომეტრიული დამუშავება უნდა იყოს აუცილებელი და არ უნდა იყოს მიღწევადი ნაკლებად შემზღუდველი საშუალებებით. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპებისგან განსხვავებით, საქართველოს კანონმდებლობა არ ავალდებულებს ადამიანის უფლებებზე ზემოქმედების შეფასებას, პროპორციულობის შეფასების კრიტერიუმებს ან დამოუკიდებელ მიმოხილვას. ეს იმგვარი ხარვეზი თუ დანაკლისია, რომელიც ასუსტებს აუცილებლობისა და პროპორციულობის ნორმების რეალურად პრაქტიკაში გარდაქმნას.

3. გამჭვირვალობა

საერთაშორისო სტანდარტები ხაზს უსვამს გამჭვირვალე პრაქტიკის აუცილებლობას, მათ შორის: საჯარო შეტყობინებას, განლაგების სიცხადეს და დამოუკიდებელ აუდიტს, განსაკუთრებით მასობრივი FRT სისტემებისთვის. საქართველოს კანონმდებლობა ავალდებულებს ვიდეოთვალთვალის ნიშნების განთავსებას საზოგადოებრივ სივრცეებსა და შენობებში იმ წინაპირობით, რომ თვალსაჩინო ნიშანი აცნობებს მონაცემთა სუბიექტს, თუმცა FRT-ის, განსაკუთრებით სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოყენების, გამჭვირვალობა შეზღუდულია. FRT-ის მასშტაბის, ალგორითმების ან განლაგების სტრატეგიის შესახებ დეტალური გამჟღავნება არ არის საჭირო და არც რეგულირებული. მხოლოდ სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკაში, რომელიც ამავე სახელწოდებითაა განთავსებული მათსავე ვებგვერდზე ([napr.gov.ge](https://www.napr.gov.ge)), ნახსენებია სახის გამოსახულების რეგულირება, რომლის მიხედვითაც „სახის გამოსახულება მუშავდება ხელმოწერის დამოწმებაზე უფლებამოსილი სააგენტოს თანამშრომლის თანდასწრებით, კომუნიკაციის დისტანციური ელექტრონული საშუალების გამოყენებით დადებულ გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმების მოთხოვნის შემთხვევაში, პირთა ვინაობის დისტანციური იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით ვერიფიკაციის მიზნით“.³⁶ სხვა შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობა ბუნ-

36 სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკა, ხელმისაწვდომია: სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე: <https://www.napr.gov.ge/ka/single-page/processing-of-personal-data> (10.08.2025).

დოვანია და არ არსებობს საჯარო სივრცეებში ვიდეოთვალთვალის მიღმა რაიმე ინფორმაციული ნიშნის განთავსების ვალდებულება, რომელიც, მაგალითად, მიუთითებდა, რომ პარალელურად მიმდინარეობს სახის ამოცნობა.

4. ზედამხედველობა და წინასწარი ავტორიზაცია

საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს დამოუკიდებელ და წინასწარ ზედამხედველობას, როგორებიცაა სასამართლო ან მარეგულირებელი ორგანოების თანხმობა FRT-ის გამოყენებისთვის. საქართველოს კანონი ქმნის ჩარჩოს – პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, რომელსაც აქვს ფართო უფლებამოსილებები, მათ შორის აუდიტის, ინსპექტირებისა და ანგარიშგებისა. მიუხედავად ამისა, არ არსებობს FRT-ის გამოყენებისთვის წინასწარი სასამართლო ავტორიზაციის მკაფიო მოთხოვნა კანონში. იგი მხოლოდ მოთხოვნილია ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით.³⁷ განლაგებამდე ინსპექტირების მოთხოვნა სავალდებულო არ არის, რაც პრაქტიკაში ზედამხედველობის ეფექტიანობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

5. ეფექტიანი დაცვის საშუალებები და კომპენსაცია

საერთაშორისო ჩარჩოები მოითხოვენ მონაცემთა სუბიექტებისთვის ეფექტიანი საშუალებების არსებობას. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს მრავალ უფლებას (წვდომა, შესწორება, წაშლა, შეწყვეტა, დაბლოკვა, ავტომატიზებული გადანაცვლების მიღების გარანტიები, კანონის მე-3 თავი მთლიანად სუბიექტის უფლებებს ეხება) და ანიჭებს უფლებამოსილებას, მიმართონ პერსონალური დაცვის სამსახურს ან სასამართლოებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ უფლების განსახორციელებლად მყარი სამართლებრივი საფუძველი არსებობს, რეალურად ამ ინფორმაციაზე წვდომა და რეაგირება ნაკლებად გამჭვირვალეა. კარგი იქნება, თუ მეტად ფართოდ გაკონტროლდება, კონკრეტულად, FRT-ის კონტექსტში მეთვალყურეობის განხორციელების წინაპირობები, რათა უკეთესად შეიძლებოდეს მათზე კონტროლის განხორციელება.

6. სიზუსტე, მიუკერძოებლობა და ტექნიკური დაცვის ზომები

გლობალური სტანდარტები ხაზს უსვამს ტექნიკური დაცვის ზომებს, როგორებიცაა მიუკერძოებლობის კონტროლი და სიზუსტის სტანდარტები. საქართველოს კანონმდებლობა ბიომეტრიული მონაცემების შესახებ მოითხოვს, რომ მაკონტროლებელმა ორგანოებმა დეტალურად გაანერონ შენახვისა და დაცვის მექანიზმები. ამასთანავე, იგი არ მოიცავს ანგარიშგების რაიმე მექანიზმს ალგორითმული ტესტირების, მიკერძოების შემცირების ან შესრულების შესახებ, რაც არის მნიშ-

37 საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 143¹-ე-143¹⁰-ე მუხლები.

ენელოვანი დაცვის ზომები FRT-ისაგან დისკრიმინაციული ან არაზუსტი შედეგებისგან პირთა უფლებების დასაცავად.

7. შენახვა და მონაცემთა მინიმიზაცია

საერთაშორისო ნორმები, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, მოითხოვს, რომ მონაცემები არ შეინახონ საჭიროზე დიდხანს. საქართველოს კანონი მაკონტროლებელ ორგანოებს ავალდებულებს, წერილობით მიუთითონ შენახვის ხანგრძლივობა და განადგურების პროცედურები. მიუხედავად ამისა, კერძოდ, FRT სისტემებისთვის კანონი არ განსაზღვრავს შენახვის მაქსიმალურ ვადას ან ავტომატური წაშლის პროტოკოლს, რაც შემდგომში შეიძლება გახდეს კანონის გამოყენებისას არასათანადო პრაქტიკის ჩამოყალიბების საფუძველი.

8. მომწოდებელთა და საზღვრის მიღმა ანგარიშვალდებულება

გლობალური სახელმძღვანელო პრინციპები მოითხოვს კორპორაციულ პასუხისმგებლობას და მონაცემთა ნაკადებზე კონტროლს. საქართველოს კანონი აწესრიგებს მონაცემთა გადაცემას და დამმუშავებლის ვალდებულებებს, რაც საკმაოდ ფართოდაა მოწესრიგებული კანონის მე-5 თავში (37-ე-38-ე მუხლები), მაგრამ აქაც კონკრეტულად არაფერი ეხება FRT-ტექნოლოგიების შესყიდვას, მომწოდებლის სათანადო შემოწმებას ან უფლებების დარღვევაში ჩართული პირებისგან მოპოვების აკრძალვას.

საქართველოს 2023 წლის პერსონალური მონაცემების დაცვის კანონი ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების კარგ საფუძველს ქმნის. ის საერთაშორისო ნორმებს შეესაბამება სამართლებრივი სიცხადის, წერილობითი მიზნის შეზღუდვისა და დაცვის მექანიზმების მოთხოვნით, შენახვის დაცვის მექანიზმების დამატებით, მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და მარეგულირებელი აღსრულების მექანიზმების დადგენით. მიუხედავად ამისა, მინიმალურია მცდელობა, მოწესრიგდეს FRT მმართველობის უფრო მკაცრი მოთხოვნების გათვალისწინებით, მათ შორის გამჭვირვალობის, წინასწარი ზედამხედველობის, ტექნიკური სიზუსტის, შენახვის ლიმიტებისა და მომწოდებლის ანგარიშვალდებულების გზით. მნიშვნელოვანი ხარვეზები კვლავ რჩება, კანონი სრულად არ პასუხობს სახის ამოცნობის ტექნოლოგიის მიერ წარმოქმნილ მზარდ და სპეციფიკურ გამოწვევებს, განსაკუთრებით სამართალდამცავ ორგანოებში ან საზოგადოებრივ სივრცეში მეთვალყურეობის კონტექსტში.

ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად საქართველომ შეიძლება განიხილოს FRT-ის სპეციფიკური კანონმდებლობის მიღება უფრო მკაფიო განმარტებებითა და მოცულობით. აშშ-ის ზოგიერთ შტატში, მაგალითად ილინოისში, არსებობს სპეციალური კანონი – **Biometric Information Privacy Act (BIPA)**, რომელიც კონკრეტულად ბიომეტრიული მონაცემების გამოყენებას ეხება.³⁸ კანონის მიღების შემ-

38 740 ILCS 14 / Biometric Information Privacy Act.

თხვევაში, მაგალითად, ის კრძალავს ბიომეტრიული მონაცემების შეგროვებასა და გამოყენებას წერილობითი ნებართვის გარეშე; ბიომეტრიული ინფორმაციის მგრძნობიარე ხასიათიდან გამომდინარე, ის კრძალავს ბიომეტრიული მონაცემების გაყიდვას. ბიომეტრიული მონაცემების ხანგრძლივი შენახვა ზრდის ჰაკერული ან შემთხვევითი გავრცელების საფრთხეს, ამიტომ ბიზნესები ვალდებული გახდებიან, წაშალონ ინფორმაცია მათთან ბოლო ურთიერთქმედებიდან ერთი წლის შემდეგ ან მოთხოვნის შემთხვევაში. პირებს ექნებათ უფლება, გაარკვიონ, რომელ კომპანიებს აქვთ მათი ბიომეტრიული მონაცემები და კონკრეტულად რა მონაცემებია ესენი.³⁹

ასევე მნიშვნელოვანია, საჯარო სივრცეში FRT-ის არსებობის შემთხვევაში, გამაფრთხილებელი ნიშნების დამონტაჟება და, იმავდროულად, ამგვარი განლაგებით ადამიანის უფლებებზე ზემოქმედების შეფასების სავალდებულობა გახდეს აუცილებელი.

ბიომეტრიული მონაცემების გარშემო აუცილებელია გამჭვირვალე და ცხადი ვალდებულებების არსებობა, მაგალითად FRT-სისტემების საჯარო რეესტრები და აუდიტები. რეკომენდებულია წინასწარი სასამართლო ნებართვის საჭიროება იმგვარი გამოყენებისთვის, რომელიც ზღუდავს ადამიანის უფლებებს. ასევე ბიომეტრიული ინფორმაციის შესახებ კანონს შეუძლია, დაანესოს ტექნიკური სტანდარტები, რომლებიც დაავალდებულებს მისი გამოყენებული ორგანოს სიზუსტისა და მიკერძოების ტესტირებას. ასევე საჭიროა განსაზღვრული შენახვის ვადები და ავტომატური წაშლის პროტოკოლის არსებობა. კანონმა უნდა განსაზღვროს პროვაიდერის მიერ ზედამხედველობის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული სანქციები და ასევე ის ზუსტი ნაბიჯები, რაც სუბიექტმა შეიძლება გადადგას მისი ბიომეტრიული ინფორმაციის არასწორად გამოყენების შემთხვევაში დარღვეული უფლებების აღსადგენად. რეკომენდებულია, ცალკე ორგანოდ ან პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ქვეშ არსებობდეს სამსახური, რომელიც მონიტორინგს გაუწევს ბიომეტრიული ინფორმაციის მოპოვებას, შენახვას, გავრცელებასა და კონტროლს.

6. დასკვნა

სახის ამოცნობის ტექნოლოგიის სწრაფი ევოლუცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა კონფიდენციალურობისა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროსათვის. ერთი მხრივ, უდავოა, რომ FRT სარგებლის მომტანია და ხელს უწყობს: საზოგადოებრივი უსაფრთხოების გაძლიერებას, საზღვრის ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფას, სისხლის სამართლის გამოძიებებში დახმარებას და

39 ACLU of Georgia. (2025). Georgia Needs the Biometric Information Protection Act, from ACLU of Georgia website, <https://www.acluga.org/campaigns-initiatives/georgia-needs-biometric-information-protection-act/> (14.08.2025).

ყოველდღიური ტრანსაქციების მოხერხებულობის გაუმჯობესებას; მეორე მხრივ, ის რისკს უქმნის ადამიანის უფლებებს, მათ შორის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, გამოხატვის თავისუფლების, შეკრების თავისუფლებისა და თვითნებური ჩარევისგან დაცვის უფლებებს.

FRT-ის ორმაგი ბუნება სწორედ ისაა, რაც მის ეფექტიან რეგულირებას ართულებს. როგორც სინძიანის შემთხვევა ნათლად აჩვენებს, როდესაც FRT ინტეგრირებულია ფართო და გაუმჭირვალე თვალთვალის არქიტექტურაში, მას შეუძლია, გახდეს სისტემატური რეპრესიების ინსტრუმენტი, რაც სახელმწიფო აქტორებს საშუალებას აძლევს, აკონტროლონ და დევნონ მთელი მოსახლეობა. ასეთი მაგალითები ხაზს უსვამს ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველმყოფი მყარი სამართლებრივი ჩარჩოების აუცილებლობას.

საერთაშორისო საზოგადოებამ დაიწყო ამ რისკებზე რეაგირება. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ხაზი გაუსვა აუცილებლობას, პროპორციულობას, კანონიერებასა და გამჭვირვალობას, როგორც შეუცვლელ დაცვის მექანიზმებს. UNICRI-ის პოლიტიკის ჩარჩომ დაამატა რისკების დეტალური კატეგორიზაცია, რომელიც აფრთხილებს FRT-ის გამოყენების შესახებ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, მეთვალყურეობისა და მონაცემთა შენახვის შესახებ თავისი პრეცედენტული პრაქტიკით ხაზი გაუსვა „სრულყოფილი“ დაცვის მექანიზმების მნიშვნელობას, დამოუკიდებელ ზედამხედველობას და მგრძნობიარე მასალების გაძლიერებულ დაცვას. ერთობლივად, ეს პრინციპები აყალიბებს FRT მმართველობის თანმიმდევრულ ხედვას: ისეთს, რომელიც პატივს სცემს უფლებებს, გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას.

პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ საქართველოს 2023 წლის კანონის მიღება მნიშვნელოვანი ნაბიჯია ეროვნული სტანდარტების ამ საერთაშორისო ნორმებთან პარმონიზაციისკენ. ბიომეტრიული მონაცემების პერსონალური მონაცემების სპეციალურ კატეგორიად ცალსახად აღიარებით და დამუშავების უფრო მკაცრი პირობების დაწესებით საქართველომ შექმნა მნიშვნელოვანი სამართლებრივი საფუძველი. წერილობითი მიზნის სპეციფიკაციის მოთხოვნა, პროპორციულობის ტესტები და პერსონალური მონაცემების დაცვის სამსახურის ზედამხედველობის როლი – ეს ყველაფერი ეფექტიანი რეგულირების საფუძველია.

მიუხედავად ამისა, როგორც ვენეციის კომისიის 2023 წლის დასკვნაშია აღნიშნული, მნიშვნელოვანი ხარვეზები კვლავ რჩება. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის მიმართ. FRT-ის განლაგებაზე მორგებული მკაფიო სამართლებრივი დებულებების არარსებობა და არასაკმარისი პროცედურული დაცვის საშუალებები ასუსტებს ამ კანონის ეფექტიანობას. გამჭვირვალობისაკენ მიმართული ღონისძიებები არსებობს ზოგადი ვიდეომეთვალყურეობისთვის, მაგრამ ისინი არ ვრცელდება FRT-ის განლაგების, ალგორითმული მუშაობის ან შეცდომების მაჩვენებლების საჯარო გამჟღავნებაზე. ტექნიკური დაცვის საშუალებები, როგორები-

ცაა: სავალდებულო სიზუსტის ტესტირება, მიუკერძოებლობის აუდიტი და შენახვის ვადები, არ არსებობს, რაც ტოვებს თავისუფალ სივრცეს დისკრიმინაციული ან ზედმეტად ფართო გამოყენებისათვის.

ამჟამინდელი სახით საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოს შეუძლია FRT-ის გარკვეული ასპექტების ირიბად რეგულირება მონაცემთა დაცვის უფრო ფართო დებულებების მეშვეობით, მაგრამ სახელმწიფო ჯერ კიდევ არ უზრუნველყოფს სახის ამომცნობი სისტემებით გამოწვეულ კომპლექსური რისკების დასაკმაყოფილებლად საჭირო ყოვლისმომცველ, ტექნოლოგიურად სპეციფიკურ კანონმდებლობას. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად საჭიროა საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმები:

- ა) FRT-ის შესახებ სპეციალური კანონის შემოღება, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს დასაშვებ გამოყენებას, ადგენს მკაცრ აუცილებლობისა და პროპორციულობის ტესტებს და ადგენს კონკრეტულ ზედამხედველობისა და გამჭვირვალობის ვალდებულებებს;
- ბ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის დამოუკიდებლობის, უფლებამოსილებებისა და რესურსების გაძლიერება, რათა შეამოწმოს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის FRT-ის განლაგება, მათ შორის სამართალდამცავ ორგანოებსა და ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით;
- გ) ადამიანის უფლებებზე ზემოქმედების შეფასების სავალდებულოდ დაწესება განლაგებამდე, FRT სისტემების რეესტრების უზრუნველყოფა და სიზუსტის, მიკერძოებისა და შესაბამისობის ანგარიშების რეგულარული გამოქვეყნების მოთხოვნა;
- დ) FRT-ის მეშვეობით შეგროვებული ბიომეტრიული მონაცემების მკაცრი შენახვის პერიოდებისა და ავტომატური წაშლის მექანიზმების დაწესება;
- ე) მომწოდებლის სათანადო შემოწმებისა და შესყიდვების შეზღუდვების დანერგვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული უფლებების დარღვევის რისკების მქონე სისტემების იმპორტი ან შიდა განვითარება.

ეს რეფორმები არა მხოლოდ გააძლიერებს საერთაშორისო ვალდებულებების დაცვას, არამედ საქართველოს დაახლოებს მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკასთან. ამით საქართველოს შეუძლია საკუთარი თავის წარმოჩენა, როგორც რეგიონული ლიდერისა ადამიანის უფლებების პატივისცემის შემცველი ტექნოლოგიების მმართველობის სფეროში, რაც აჩვენებს, რომ ინოვაცია და ადამიანის უფლებების დაცვა არა ურთიერთგამომრიცხავი, არამედ ურთიერთშემავსებელია. სათვალთვალო ტექნოლოგიები განაგრძობენ განვითარებას – სამართლებრივი ვაკუუმი ქმნის ბოროტად გამოყენების საფრთხეს. გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმით საქართველოს შეუძლია უზრუნველყოს, რომ სახის ამომცნობის ტექნოლოგია გახდეს ინსტრუმენტი, რომელიც, ნაცვლად შერყევისა, მხარს დაუჭერს დემოკრატიულ ღირებულებებს.

მენტალური ჯანმრთელობის უფლების ძიებაში: სამართლებრივი გამოწვევები და პერსპექტივები

ანანო ნიაური

1. შესავალი

თანამედროვე საზოგადოებაში მენტალური ჯანმრთელობა უმნიშვნელოვანეს გამოწვევად იქცა. 2021 წლის მონაცემებით, ევროკავშირის მასშტაბით სიკვდილიანობის საერთო მაჩვენებლის 3,6% გამოწვეული იყო მენტალური და ქცევითი აშლილობებით.¹ თვალსაჩინოა მენტალური ჯანმრთელობის გამოწვევების შედეგები ინდივიდსა და საზოგადოებაზე, რაც უფრო მძიმე ფორმით შეიძლება გამოვლინდეს სათანადო მიდგომის შემუშავების გარეშე. მენტალური ჯანმრთელობა თანამედროვე გაგებით სცდება ავადობის არქონის მდგომარეობას, – ის მოიცავს ადამიანის კეთილდღეობის ფართო სურათს: ყოფით ცხოვრებაში ადაპტირების, ფუნქციონირების, თვითგამოვლენისა და სოციალური კავშირის აგების შესაძლებლობას, საკუთარ თავსა და გარესამყაროსთან ჰარმონიულ შეწყობას. მენტალური ჯანმრთელობის უზრუნველყოფა კი გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან პრევენციული და მხარდამჭერი ღონისძიებების სისტემის შემუშავებას, რაც უზრუნველყოფს ჯანმრთელობის უფლებისა და ადამიანის სხვა ძირითადი უფლებების განხორციელებას.

საზოგადოების ზოგადი კეთილდღეობის აღქმა წარმოდგენილია ემოციური კეთილდღეობის გარეშე. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ჯანმრთელობის პოლიტიკის კვლევაში – „მენტალური ჯანმრთელობის სისტემის ახალი სტანდარტი“ – აღნიშნულია, რომ „კარგი მენტალური ჯანმრთელობა აუცილებელია, რათა ადამიანებმა იცხოვრონ ჯანმრთელი და პროდუქტიული ცხოვრებით. ეს ძლიერი ეკონომიკის ქვაკუთხედი. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ნევრ ქვეყნებში ხუთიდან ერთი ადამიანი ცხოვრობს მენტალური ჯანმრთელობის გამოწვევით, ხოლო ყოველი მეორე გამოცდის ამას სოცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც. მენტალური ავადობის ეკონომიკური ხარჯი, მათ შორის, მენტალური ჯანმრთელობის სისტემაში ინვესტირება, დასაქმებისა და პროდუქტიულობის შემცირება მთლიანი შიდა პროდუქტის 4%-ს აღემატება.“² ამ გამოწვევების გათვალისწინებით, მენტალური ჯანმრთელობა აღქმული უნდა იყოს არა მხოლოდ სამედიცინო, არამედ სამართლებრივი და სოციალური მნიშვნელობის მქონე მოვლენად.

1 Eurostat, Mental Health and Related Issues Statistics, Data extracted in July 2024.

2 A New Benchmark for Mental Health, OECD Health Policy Studies, Tracking the Social and Economic Costs of Mental Ill-Health, 2021, 13.

ომები, სტიქიური უბედურებები, პანდემიის შემდგომი მდგომარეობა, შრომის ბაზრის არასტაბილურობა, ტექნოლოგიური ინტოქსიკაცია და სხვა ადგილობრივი თუ გლობალური ბარიერები ადამიანების ემოციურ კეთილდღეობას მუდმივი და სწრაფად ცვალებადი გამოწვევების წინაშე აყენებს. მათგან ზოგი უშუალოდ ამ საუკუნის წარმონაქმნია. არ არსებობს დაძლევის მყარად ჩამოყალიბებული გამოცდილება, რის გამოც, სახელმწიფოებისთვის განსაკუთრებით რთულია სამართლებრივი და სოციალური გამოსავლების ძიება. „სამართლის ფილოსოფიაში“ ჰეგელი მიუთითებდა, რომ „უფლება და ეთიკური პრინციპი, სამართლიანი და ეთიკური ცხოვრების რეალური სამყარო აღქმადი ხდება აზროვნებით და მისივე საშუალებით იღებს განსაზღვრულ ზოგად და რაციონალურ ფორმას, სწორედ ეს გააზრებული უფლება პოულობს გამოხატულებას კანონში“.³ სამართალი, როგორც ცოცხალი მეცნიერება, მოწოდებულია, ვითარდებოდეს საზოგადოების ცვალებად გამოწვევებთან ერთად, დაიცვას ადამიანის უფლებები და თავისუფლებები ისე, როგორც „აქ და ამჟამად“ არის საჭირო. თუ სამართალი დაშორდება ამ მოწოდებას, დაკარგავს თავის როლს საზოგადოების წინაშე. საქართველოსა და მთელ მსოფლიოში, მენტალური ჯანმრთელობის მნიშვნელობის ზრდასთან ერთად, უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება საკითხი – პასუხობს თუ არა ქართული სამართალი იმ სირთულეებს, რომლებიც მენტალური ჯანმრთელობის უფლების განხორციელებისას წარმოიშობა.

ნაშრომის მიზანია, გამოიკვლიოს მენტალური ჯანმრთელობის უფლების საფუძვლები, გაანალიზოს მისი ადგილი და როლი სამართლებრივ ღირებულებათა სისტემაში; ასევე, შეისწავლოს სხვა უფლებების ინტერპრეტაციის ფარგლები მენტალური ჯანმრთელობის კონტექსტში და ის სირთულეები, რომლებიც, რეგულაციის არარსებობის გათვალისწინებით, თან ახლავს მენტალური ჯანმრთელობის უფლების განხორციელებას.

2. მენტალური ჯანმრთელობის უფლების არსი და გენეზისი

მენტალური ჯანმრთელობის უფლების არსის გასაგებად მნიშვნელოვანია თავდაპირველად თავად მენტალური ჯანმრთელობის ცნების გააზრება. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის განმარტებით, მენტალური ჯანმრთელობა არის „მენტალური კეთილდღეობის მდგომარეობა, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანებს, გაუმკლავდნენ ცხოვრებისეულ სტრესს, განახორციელონ საკუთარი შესაძლებლობები, ისწავლონ და იმუშაონ კარგად და ნვლილი შეიტანონ საზოგადოებაში. ეს არის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შემადგენელი ელემენტი, რომელიც საფუძველს უყრის ჩვენს ინდივიდუალურ და კოლექტიურ შესაძლებლობებს, გადაწყვეტილების მიღების, ურთიერთობების აგებისა და სამყაროს მშენებლობაში წვლილის შეტანის სახით. მენტალური ჯანმრთელობა ადამიანის ძირითადი უფ-

3 G.W.F. Hegel, *Philosophy of Right*, Kitchener, 2001, 15.

ლება. ის აუცილებელია პირადი, საზოგადოებრივი და სოცოეკონომიკური გაძლიერებისთვის“.⁴

საზოგადოების მოთხოვნილებები ისევე ცვალებადია, სამყაროს ცვალებად გამოწვევებთან ერთად, როგორც მოლოდინები თავად ამ საზოგადოების მიმართ. საკითხი, თუ რას მოიაზრებს ადამიანი საკუთარი კეთილდღეობის, უფლების დაცულობისა და განხორციელების აუცილებელ ელემენტებად, იცვლება დროის, იმჟამინდელი გამოწვევებისა და სოციალური განვითარების დონის შესაბამისად. ამგვარად, სამართალი უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ „წიგნებსა და მოქმედებაში“, არამედ ასევე ადამიანთა გონებაში. კაცობრიობის განვითარების გარკვეულ ეტაპებზე დღეს უკვე საერთაშორისოდ აღიარებული უფლებები, როგორებიცაა: სიცოცხლის უფლება, წამების აკრძალვა, მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა, აღიარებული არ იყო. დღეს შეიძლება მსჯელობა მენტალურ ჯანმრთელობაზე, როგორც ადამიანის ძირითადი უფლებების განუყოფელ ნაწილზე, რაც მიანიშნებს, რომ ადამიანის მოთხოვნილებები საკუთარი კეთილდღეობის მიმართ დიდი ხანია, გასცდა მხოლოდ ფიზიკურ არსებობას და გადარჩენას, ხოლო თანამედროვე ცხოვრების წესი ადამიანების ფსიქოლოგიურ მდგომარეობას მანამდე უცნობი გამოწვევების წინაშე აყენებს.

მენტალური ჯანმრთელობის უფლების განხილვა შესაძლებელია სხვა უფლებებთან ერთობლიობაში და მათგან გამომდინარე, თუმცა ეს სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს მისი გაგებისა და განხორციელების ყველა ასპექტს. ფორმალურსამართლებრივი გაგებით, სადავო არ არის, რომ სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის ადამიანის ყველა ძირითადი უფლების განხორციელება დისკრიმინაციის გარეშე. სხვა საკითხია, რამდენად პასუხობს ადამიანის უფლებების თანამედროვე გაგება ადამიანის ფსიქიკის წინაშე წარმოშობილ მრავალფეროვან გამოწვევებს, რომლებიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ფსიქიკურ აშლილობასთან დაკავშირებული სხვადასხვა დიაგნოზით, და როგორ უნდა მოხდეს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის განხორციელება მენტალური ჯანმრთელობის უფლების გათვალისწინებით.

მენტალური ჯანმრთელობის უფლების ევოლუციის პროცესში გარდამტეხი საფეხური იყო 1946 წელს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის წესდებით ჯანმრთელობის ცნებაში მენტალური ჯანმრთელობის კომპონენტის პირდაპირ გათვალისწინება. ამ დოკუმენტით, ჯანმრთელობის ცნება განისაზღვრა როგორც სრული ფიზიკური, მენტალური და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობა და არა მხოლოდ დაავადების არარსებობა.⁵

1948 წელს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით განისაზღვრა, რომ „ყველას აქვს უფლება, ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, საცხოვრებლის, სამედიცინო და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათ-

4 Mental Health Action Plan for the WHO South-East Asia Region 2023-2030, 20.

5 მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის წესდება, პრეამბულა.

ვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად“.⁶

რამდენიმე წლის შემდეგ, 1966 წელს, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით მოხდა ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის უმაღლესი სტანდარტის, როგორც თითოეული ადამიანის უფლების, აღიარება.

პაქტის მე-2 მუხლი კი აწესებს სახელმწიფოების ვალდებულებას აღიარებული უფლებების განსახორციელებლად ქმედითი ნაბიჯების გადადგმაზე, კერძოდ: „სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას როგორც ინდივიდუალურად, ასევე საერთაშორისო დახმარებისა და თანამშრომლობის გზით არსებული რესურსების მაქსიმალური შესაძლო გამოყენებით გადადგან ნაბიჯები პაქტით აღიარებული უფლებების სრული რეალიზაციისთვის“. უფლებების სრული განხორციელებისთვის ნაბიჯები უნდა გადაიდგას ყველა შესაძლო საშუალებით, მათ შორის, საკანონმდებლო და სოციალური ღონისძიებების გატარებით. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მოხსენებაში – „ინვესტირება მენტალურ ჯანმრთელობაში“ – გამოთქმულია მოსაზრება, რომ „სამედიცინო, ფსიქოლოგიური და მათთან დაკავშირებული ცოდნის ყველა ადამიანზე გავრცელება აუცილებელია ჯანმრთელობის მისაღწევად ამ სიტყვის სრული გაგებით. [...] ხელისუფლებები პასუხისმგებელი არიან საკუთარი ხალხის ჯანმრთელობაზე, რისი მიღწევაც შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების გატარებით“.⁷

ამ ათასწლეულის დასაწყისში მენტალური ჯანმრთელობის სფეროს განვითარებამ ახალი მიმართულება შეიძინა. მსჯელობა დაიწყო ფსიქიკური ჯანმრთელობის დაწესებულებებში ადამიანის უფლებების დარღვევების ფაქტებსა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის საჭიროებაზე. გამოიკვეთა ადამიანის თანასწორობის, ღირსებისა და ნების ავტონომიის უზრუნველყოფის აუცილებლობა. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 2006 წელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების კონვენციის შემუშავებამ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 25-ე მუხლი ეხება ჯანმრთელობის უფლებას. ის მიუთითებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტზე დისკრიმინაციის გარეშე. განათლების უფლების შესახებ კონვენციის 24-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი კი მოიცავს პიროვნულობის განვითარების უფლებას საკუთარი ნიჭით და შემოქმედებითობით, მენტალური და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებას სრული პოტენციალის გამოვლინებით. იმავე აზრს ატარებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებლის ანგარიშები, განსაკუთრე-

6 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 25-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.

7 World Health Organization, Investing in Mental Health, 2003, 7.

ბით, 2017 წლიდან, რომელიც შემდგომში იქნება განხილული. აღსანიშნავია 2020 წლის ანგარიში, რომელშიც აღნიშნულია, რომ „არ არსებობს ჯანმრთელობა მენტალური ჯანმრთელობის გარეშე“.⁸ კარგი მენტალური ჯანმრთელობა კი გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე მენტალური დარღვევის არარსებობა.

ამ განმარტებიდან გამომდინარე, მენტალური ჯანმრთელობის უფლება გულისხმობს: ა) წვდომას ხარისხიან და ავთენტიკურ მომსახურებაზე მენტალური ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად; ბ) თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის უფლებას.

მენტალური ჯანმრთელობა და კეთილდღეობა არ არის განყენებული საკითხები. შეუძლებელია მენტალური ჯანმრთელობის განხორციელებაზე მსჯელობა გარემოფაქტორების მხედველობაში მიღების გარეშე. როგორც სპეციალური მომსახურებელი აღნიშნავს: „მენტალურ ჯანმრთელობაზე გავლენას ახდენს როგორც ინდივიდუალური ფაქტორები (გენეტიკა, კოგნიტური ფაქტორები), ისე გარე ფაქტორები (რესურსები და სტრესორები მის სოციალურ გარემოში), ინდივიდუალურ დონეზე მენტალური ჯანმრთელობის რისკები განისაზღვრება ტვინის სტრუქტურისა და ფუნქციის საშუალებით, რომელზეც, თავის მხრივ, სოციალური ფაქტორები ახდენს გავლენას“.⁹

მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული უფლებების განხორციელებისას მნიშვნელოვანია სტიგმატიზაციისა და დისკრიმინაციის გამორიცხვა. იმავედროულად, მენტალური ჯანმრთელობის უფლების განხორციელება გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ დისკრიმინაციისგან და სტიგმატიზაციისგან დაცვა. ევროპის სოციალური ქარტიის მე-11 მუხლი (ჯანმრთელობის დაცვის უფლება) გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან ვალდებულებას, უშუალოდ, სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, გაატაროს ღონისძიებები ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად; ასევე, საკონსულტაციო და საგანმანათლებლო საშუალებების უზრუნველყოფას ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ჯანდაცვის საკითხებში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დადგენის მიზნით.¹⁰

ჯანმრთელობის უფლების დარღვევა შეიძლება მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან უმოქმედობით, კერძოდ, იმ ღონისძიებების გაუტარებლობით, რომლებიც გამომდინარეობს მისი ვალდებულებიდან: „უმოქმედობით გამომწვეული უფლების დარღვევა მოიცავს შესაბამისი ნაბიჯების გადაუდგმელობას ყველა ადამიანისათვის მენტალური და ფიზიკური ჯანმრთელობის უფლების სრული მოცულობით

8 Report of the Special Rapporteur on the right of everyone to the enjoyment of the highest attainable standard of physical and mental health, Human Rights Council, “Promotion and protection of all human rights, civil, political, economic, social and cultural rights, including the right to development”, A/HRC/44/48, Forty-fourth session 15 June–3 July 2020, 1-ელი პუნქტი.

9 Report by the Director-General EB156/8, Mental health and social connection, World Health Organization, 15 January, 2025, მე-5 პუნქტი.

10 ევროპის სოციალური ქარტია, მე-11 მუხლის მე-2 ნაწილი.

განსახორციელებლად, ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული პოლიტიკის არარსებობას ან შესაბამისი კანონის აღსრულების უუნარობას¹¹.

კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ პირდაპირ არ ასახელებს მენტალურ ჯანმრთელობას, თუმცა, 24-ე ზოგადი კომენტარის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები წარადგენენ ანგარიშს ამა თუ იმ ქვეყანაში ქალების ჯანმრთელობაზე მოქმედი ყველაზე კრიტიკული საკითხების შესახებ, მათ შორის, ფსიქოსოციალური ფაქტორების შესახებ, რომლებიც სხვადასხვაგვარია ქალებსა და მამაკაცებს შორის და მოიცავს დეპრესიას, მათ შორის, მშობიარობის შემდგომ დეპრესიას, ისევე როგორც სხვა ფსიქოლოგიურ მდგომარეობებს.¹²

ჯანმრთელობის უფლების ქრილში მენტალური ჯანმრთელობა მოიაზრება მის განუყოფელ ნაწილად, ან ინტერპრეტირდება სხვა უფლებების საშუალებით, მათ შორის იმ შემთხვევებშიც, როდესაც პირდაპირ არ არის მითითებული. მენტალური ჯანმრთელობის უფლების განხორციელება შეიძლება სხვა უფლებების განმარტებით, თუმცა არა სრულყოფილად. შეიძლება თუ არა, განმარტებამ სრულიად დაფაროს ის სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც შეიქმნებოდა პირდაპირი რეგულირების პირობებში.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მენტალური ჯანმრთელობა მოიაზრება ადამიანის ძირითად უფლებად, მისი მონესრიგების მიმართ კი არსებობს სამგვარი მიდგომა: ა) მენტალური ჯანმრთელობის უფლებაზე პირდაპირი მითითება (პირდაპირი მონესრიგება);¹³ ბ) ამ უფლების ჯანმრთელობის უფლების ქრილში განხილვა;¹⁴ ამ უფლების რეალიზება სხვა უფლებების ინტერპრეტაციის გზით.¹⁵

ასევე მნიშვნელოვანია, თუ რა არის სახელმწიფოს მიმართ არსებული მოლოდინი მენტალური ჯანმრთელობის უფლების სრულფასოვანი განხორციელების მიმართ, რაც ნაშრომის შემდეგ ნაწილში იქნება მიმოხილული.

3. მენტალური ჯანმრთელობის უფლების აღიარებიდან განხორციელებამდე: სახელმწიფოს როლი და ვალდებულებები

მენტალური ჯანმრთელობის თანამედროვე გაგება არ გულისხმობს მხოლოდ მენტალური ავადობის პირობებში ადამიანის უფლებების დაცვას. ეს მოიცავს ურთიერთობების ფართო სპექტრს სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის, ისევე როგორც ურთიერთობებს ინდივიდსა და მესამე პირებს შორის (იქნება ეს ფიზიკური თუ იურიდიული პირი, მათ შორის სერვისის მიმწოდებელი).

11 CESCR General Comment No. 14: The Right to the Highest Attainable Standard of Health (Art. 12) 11.08. 2000, E/C.12/2000/4, 49-ე პუნქტი.

12 Constitution of World Health Organization, 1.

13 მაგალითად, ESCR, WHO-ს წესდება.

14 მაგალითად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია; საქართველოს კონსტიტუცია.

15 მაგალითად, ECHR.

მენტალური ჯანმრთელობის უფლების განხორციელებაში სახელმწიფოს როლზე მსჯელობისას განსახილველია: როგორ უზრუნველყოფს ან უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ პირის მენტალური ჯანმრთელობისა და ემოციური კეთილდღეობის მხარდაჭერა; რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ შემცირდეს პირის უფლებების დაცვის სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებისას ამავე ან სხვა პირის მენტალური ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების რისკი; როგორია დაკავებული ან დაპატიმრებული პირის, ძალადობის მსხვერპლის, არასრულწლოვანი დაზარალებულის, არასრულწლოვანი მონმის, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სისტემა და იძლევა თუ არა ის მენტალური ჯანმრთელობის უფლების სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობას მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის გაგებით. სამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, მათ შორის, ჯანმრთელობის უფლება სხვა უფლებების განხორციელების საფუძველია. სოციალური და ეკონომიკური სტატუსის მინიმალური დონე, ჯანმრთელობის სათანადო პირობების ჩათვლით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების განხორციელების წინაპირობაა. სახელმწიფოს ვალდებულების გარეშე, დააკმაყოფილოს ჯანმრთელობის ძირითადი საჭიროებები, მათ შორის, მენტალური ჯანმრთელობა, სხვა უფლებები აზრს კარგავს, ხოლო ის ადამიანები, რომელთაც აქვთ მენტალური ჯანმრთელობის გამოწვევები, უფრო დაუცველნი ხდებიან ეკონომიკური და სოციალური მარგინალიზაციის მიმართ“¹⁶.

სახელმწიფოს როლი პირის მენტალური ჯანმრთელობის უზრუნველყოფაში, ზოგადად, გულისხმობს ჯანმრთელობის ხარისხიან სერვისზე წვდომას, სერვისის მიღებისას და მისი დასრულების შემდეგ ადამიანის უფლებების დაუბრკოლებლად განხორციელებას, დისკრიმინაციისა და სტიგმატიზაციისაგან დაცვას, ასევე ნეგატიურ ვალდებულებას, თავი შეიკავოს არამართლზომიერი ჩარევისგან.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მენტალური ჯანმრთელობის სამოქმედო გეგმის მთავარ მიზნად დასახელდა „მენტალური კეთილდღეობის მხარდაჭერა, მენტალური აშლილობების პრევენცია, მზრუნველობის, განკურნების პროცესის გაძლიერება, ადამიანის უფლებების ხელშეწყობა და ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებში სიკვდილიანობის, ავადობისა და შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება.“¹⁷ გეგმა გამოყოფს ექვს საკვანძო მიდგომას: 1. ჯანმრთელობის დაცვის სისტემის უნივერსალურობას – ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების მიღების შესაძლებლობას ყველასათვის, დისკრიმინაციის გარეშე; 2. ადამიანის უფლებების დაცვას – მენტალური ჯანმრთელობის სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებებს, მათ შორის, გაერთიანებული ერების კონვენციას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ; 3. მტკიცე-

16 C. A. Arena Ventura, *International Law, Mental Health and Human Rights*, São Paulo, June 2014, 9.

17 Comprehensive Mental Health Action Plan 2013-2030, World Health Organization, 2021, 21-ე პუნქტი.

ბულებზე დაფუძნებულ პრაქტიკას, რაც გულისხმობს მეურნალობის, პრევენციისა და ხელშეწყობის სისტემის წარმართვას სამეცნიერო მტკიცებულებებსა და საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით, კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით; 4. ცხოვრების ციკლის მხედველობაში მიღებას – გულისხმობს ჯანმრთელობისა და სოციალური საჭიროებების გათვალისწინებას ცხოვრების ყველა ეტაპზე, ბავშვობიდან ხანდაზმულობის ჩათვლით; 5. მრავალსექტორულ მიდგომას – გულისხმობს ყოვლისმომცველ და კოორდინებულ პასუხს ადამიანების მენტალურ გამოწვევებზე; 6. ფსიქოსოციალური საჭიროებისა და ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების გაძლიერებას ადვოკატირების, მონიტორინგის, სერვისისა და კანონმდებლობის გაუმჯობესების გზით.

მენტალური ჯანმრთელობის საერთაშორისო პარადიგმაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაეროს სპეციალური მომხსენებლების 2017 და 2019 და 2020 წლების ანგარიშები. ანგარიშები გამოკვეთს მენტალური ჯანმრთელობის გამომწვევების მქონე პირების ჯანმრთელობის უფლების დასაცავად ფსიქოსოციალური მხარდაჭერის როლს.

გაეროს სპეციალური მომხსენებლის 2017 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ჯანმრთელობის უფლებასთან შეუთავსებელია ფსიქოტროპული მედიკამენტების გამოწერა არა აუცილებლობიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, არამედ ეფექტიანი ფსიქოსოციალური ინტერვენციის ხელმისაწვდომობის არარსებობის გამო. მაგალითად, მსუბუქი და საშუალო სიმძიმის დეპრესიის შემთხვევაში მეთვალყურეობა (*watchful waiting*), ფსიქოსოციალური მხარდაჭერა და ფსიქოთერაპია უნდა იყოს მეურნალობის წამყვანი მეთოდოლოგია“.¹⁸ ეს საკითხი აქტუალური რჩება 2019 წლის ანგარიშშიც, სადაც ხაზგასმულია სოციალური დეტერმინანტების მიმართ ღონისძიებების გატარების აუცილებლობა მენტალური ჯანმრთელობის მხარდაჭერის პროცესში და ეს საკითხი კვლავ პრობლემურადაა დასახელებული.

გაეროს სპეციალური მომხსენებლის 2019 წლის ანგარიშში მითითებულია, რომ „ისევ გამოწვევად რჩება მენტალური ჯანმრთელობის ხელშეწყობა სოციალური დეტერმინანტების მიმართ ღონისძიებების გატარების გზით და, მიუხედავად იმისა, რომ ეს განსაზღვრული იყო მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის 2013-2020 ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმით, პრაქტიკულ ქმედებად არ ქცეულა. კვლავ დომინირებს ბიომედიცინის ნარატივის გაძლიერება, რაც ვერ პასუხობს ცუდი მენტალური ჯანმრთელობის განმაპირობებელ დეტერმინანტებს და არ ითვალისწინებს მეურნალობის ალტერნატიულ ფორმებს: ფსიქოთერაპიასა და ფსიქოსოციალურ ინტერვენციას“.¹⁹

18 Report of the Special Rapporteur on the right of everyone to the enjoyment of the highest attainable standard of physical and mental health, A/HRC/35/21, United Nations General Assembly, Human Rights Council, 6-23 June 2017, 79-ე პუნქტი.

19 United Nations Human Rights Council, Right of everyone to the enjoyment of the highest attainable standard of physical and mental health, A/HRC/41/34, 12 April 2019, მე-6 პუნქტი.

მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ მენტალური ჯანმრთელობის შესახებ კანონმდებლობა უნდა გასცდეს ბიომედიცინის ტრადიციულ პარადიგმას. ამის სანაცვლოდ, საჭიროა უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების დამკვიდრება და ადამიანსა და საზოგადოებაზე ცენტრირებული სერვისების განვითარება, ცნობიერების ამაღლება და სტიგმის წინააღმდეგ ბრძოლა. 2017 წლის ანგარიშში გაეროს სპეციალური მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მენტალური ჯანმრთელობის უფლების თვალსაზრისით სახელმწიფოს ვალდებულებები მოიცავს „ეროვნული სტრატეგიის შემუშავებას იმგვარი სამოქმედო გეგმით, რომელიც ანაცვლებს იძულებით მკურნალობას ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომით, მენტალური ჯანმრთელობის სერვისებზე თანასწორი წვდომით და საზოგადოებაში სერვისების სამართლიანი გადანაწილებით“.²⁰

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის პუბლიკაციაში „მენტალური ჯანმრთელობა, ადამიანის უფლებები და კანონმდებლობა“ აღნიშნულია, რომ „ადამიანის უფლებების საერთაშორისო ჩარჩო სახელმწიფოებისგან მოითხოვს, მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების საკანონმდებლო რეგულირებისას დამკვიდრონ უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა. მენტალური ჯანმრთელობა არის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი ადამიანის უფლებების თვალსაზრისით და აუცილებელია ჯანმრთელობის უფლების განსახორციელებლად“.²¹

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ნაწილია, სხვა საკითხებთან ერთად, თანასწორობა და დისკრიმინაციისგან დაცვის უზრუნველყოფა, ინფორმირებული თანხმობის როლის ზრდის ნაცვლად იძულებითი ჩარევისა და პიროვნების ღირსების ცენტრალურ საკითხად მოაზრება. ეს ყოველივე ასევე მნიშვნელოვანია მენტალური ჯანმრთელობის სერვისების ინტეგრაციისას პირველადი ჯანდაცვის სისტემაში.

პირველადი ჯანდაცვის სისტემაში მენტალური ჯანმრთელობის სერვისების ინტეგრაციისას სისტემური გაძლიერებისთვის საჭირო მოქმედებად მოიაზრება მენტალური ჯანმრთელობის საკითხების მომწესრიგებელი კანონმდებლობის განახლება, ადამიანის უფლებების საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, მაღალი ხარისხის გაიდლაინებისა და სტანდარტების შემუშავება და სპეციალისტების გადამზადება; უფლებებსა და ხარისხზე ზედამხედველი ეროვნული ორგანოს არსებობა.²²

20 Report of the Special Rapporteur on the right of everyone to the enjoyment of the highest attainable standard of physical and mental health, A/HRC/35/21, 6-23 June 2017, 37-ე პუნქტი.

21 Mental Health, Human Rights and Legislation, Guidance and Practice, World Health Organization, 2023, 19.

22 Integrating mental health in primary health care: part 1. The context for integration of mental health services in primary health care. WHO Regional Office for the Eastern Mediterranean, Cairo, 2023, 19.

აღსანიშნავია სამართლებრივი მონესრიგების პროცესში, ფორმალურსამართლებრივი რეგულირების გარდა, ქმედითი მექანიზმების შემუშავება ყველა იმ პრინციპისა და ღირებულების პრაქტიკაში გადმოსატანად, რომელთაც ატარებს მენტალური ჯანმრთელობის დაცვის სისტემის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა. ამ კუთხით სპეციალისტების გადამზადება და უფლებებსა და ხარისხზე საზედამხედველო ორგანოს არსებობა თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც სერვისის მიმღები პირებისათვის, ისე ამ სფეროს სპეციალისტების უფლებების დასაცავად.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით განსაზღვრულია მენტალური აშლილობის მკურნალობის ზოგადი პრინციპები: „როდესაც პირი მოთავსებულია დაწესებულებაში ფსიქიკური აშლილობის სამკურნალოდ, მისი ქცევა უფრო რთული ხდება. მკურნალობის გეგმა შეიძლება მოიცავდეს ქცევის მართვას, რომელიც მისი ფსიქიკური აშლილობის შედეგია. შესაბამისად, მკურნალობის გეგმა უნდა მოიცავდეს ფართო სპექტრის თერაპიულ და რეაბილიტაციურ საქმიანობას, მათ შორის, საჭიროებისამებრ, ფარმაკოთერაპიას, შრომით (ოკუპაციურ) თერაპიას, ჯგუფურ ფსიქოთერაპიას, ინდივიდუალურ ფსიქოთერაპიას, რეაბილიტაციურ საქმიანობას, ხელოვნებისა და დრამის თერაპიას, მუსიკას და სპორტს“.²³

ნაშრომის ამ ნაწილში ძირითადი ადგილი ეთმობა სახელმწიფოს როლს და ვალდებულებებს მენტალური ჯანმრთელობის უფლების განხორციელების პროცესში. არანაკლებ მნიშვნელოვანია და ცალკე აღნიშვნას იმსახურებს სახელმწიფოს ვალდებულება ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისგან საზოგადოების დანარჩენი წევრების სიცოცხლის უფლების დასაცავად. ნაშრომში – „სიცოცხლის უფლების დაცვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველო“ – პროფესორი კონსტანტინე კორკელია მიუთითებს: „მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ საზოგადოების წევრების სიცოცხლისათვის იმ საფრთხის აცილების საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც მომდინარეობს ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისაგან. პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: რა ღონისძიებები უნდა გაატაროს სახელმწიფომ ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისგან საზოგადოების დანარჩენი წევრების სიცოცხლის უფლების დასაცავად“.²⁴

სახელმწიფოს როლი და პასუხისმგებლობა არ შემოიფარგლება მხოლოდ საკანონმდებლო რეგულირებით. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სექტორთა შორის თანამშრომლობის შესაძლებლობას მენტალური ჯანმრთელობის უზრუნველყოფისთვის არა მხოლოდ პრობლემის წარმოშობის და იდენტიფიცირების ეტაპზე,

23 Council of Europe, Committee of Ministers, Recommendation NO (REC 2004) 10 Concerning the Protection of the Human Rights and Dignity of Persons With Mental Disorder and its Explanatory Memorandum, 22.09.2004 Art. 12, 91-ე პუნქტი.

24 კ. კორკელია, სიცოცხლის უფლების დაცვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველო, თბილისი, 2025, 312.

არამედ გაცილებით ადრე, რისკის შესამცირებლად და პრევენციისათვის. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მენტალური ჯანმრთელობის პოლიტიკისა და სერვისის სახელმძღვანელო დოკუმენტების თანახმად, „არასამთავრობო ორგანიზაციები ხშირად ასრულებენ მნიშვნელოვან როლს მენტალური ჯანმრთელობის მხარდაჭერაში, პრევენციასა და მკურნალობაში. ისინი შეიძლება იქცნენ მნიშვნელოვან რესურსად კომპეტენციისა და გამოცდილების კუთხით საჯარო სექტორში დასაქმებულ პირთა გადამზადებისათვის; ასევე სერვისის დაგეგმვის შესახებ გამოცდილების გაზიარებისა და სერვისის მიწოდების კონკრეტულ საკითხებზე კოორდინაციის სახით (როგორიცაა, მაგალითად, ფსიქოტრავმასთან დაკავშირებული სერვისები). იმავდროულად, ისინი უნდა იყვნენ რეგულირებული იმ სერვისის შესაბამისად, რომელსაც ეწევიან“.²⁵

მენტალური ჯანმრთელობის უფლების განუყოფელი ნაწილია მენტალური ჯანმრთელობის სფეროში დასაქმებული პირების უფლებები. შეუძლებელია უფლების ხარისხიანი განხორციელება იმ პირების უფლებრივი მდგომარეობის უზრუნველყოფის გარეშე, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ გამოწვევის მქონე პირებსა და მათ ოჯახებთან და ხიდის როლს ასრულებენ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისთვის. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მენტალური ჯანმრთელობის პოლიტიკის სახელმძღვანელო დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „მენტალური ჯანმრთელობის სფეროში დასაქმებულთა შრომითი პირობები და უფლებები უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოში არსებულ შრომით კანონმდებლობას. მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მათი უფლებების დაცვის საკითხი“.²⁶

ყველა ზემოთ განხილული უფლება ასევე ვრცელდება არასრულწლოვნებზე დამატებით იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფოს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასთან არასრულწლოვნების მიმართ. აუცილებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესის მხედველობაში მიღება. ბავშვის უფლებათა კონვენციის 39-ე მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოებს, გაატარონ სათანადო ღონისძიებები უგულვებელყოფის, ექსპლუატაციის, ბოროტად გამოყენების, წამების, სასტიკი, არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობის, სასჯელის ან შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლი ბავშვის ფსიქოლოგიური და ფიზიკური გაჯანსაღებისა და სოციალური რეინტეგრაციისთვის. ხსენებული მუხლი პირდაპირ არ ასახელებს მენტალური ჯანმრთელობის უფლებას, თუმცა არაპირდაპირ იცავს მას და აღიარებს ფსიქოლოგიურ გაჯანსაღებას ფიზიკური ჯანმრთელობის თანაბარმნიშვნელოვნად. კონვენციის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი კი ავალდებულებს სახელმწიფოებს, საერთაშორისო თანამშრომლობის სულისკვეთებით, ხელი შეუწყონ ინფორმაციის გავრცელებას შეზღუდული უნარების მქონე ბავშვების პროფილაქტიკური ჯანდაცვის, ფსიქოლოგიური, სამედიცინო

25 World Health Organization, Human Resources and Training in Mental Health, 2005, 64.

26 იქვე, 65.

და ფუნქციური მკურნალობის, მათ შორის, სათანადო რეაბილიტაციის, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული მეთოდების შესახებ.²⁷

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ვალდებულებაა, განსაზღვროს მენტალური ჯანმრთელობის უფლების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები და შეიმუშაოს სამართლებრივი მექანიზმები, განსაკუთრებით: ა) მენტალური ჯანმრთელობის მდგომარეობის ნიშნით დისკრიმინაციის გამოსარიცხავად; ბ) მენტალური ჯანმრთელობის სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად (იგულისხმება როგორც ფიზიკური, ისე ფინანსური ხელმისაწვდომობა); გ) სერვისის მისაღებად უზრუნველსაყოფად (სერვისის განევის ფორმა არ უნდა ლახავდეს ადამიანის ღირსებას და სხვა ძირითად უფლებებს); დ) სერვისის ხარისხის უზრუნველსაყოფად (მეცნიერებასა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული და პროფესიული ზედამხედველობის (სუპერვიზიის) თანხლებით განეული მომსახურება; ე) სახელმწიფოს ეფექტიანი კონტროლის ქვეშ მყოფი პირებისთვის საჭირო დიაგნოსტიკის ან მკურნალობის უზრუნველსაყოფად.

4. მენტალური ჯანმრთელობის დაცვის სამართლებრივი სტანდარტი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების მიხედვით

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებულ უფლებებს შორის არ არის მენტალური ჯანმრთელობის უფლება, ისევე როგორც, ზოგადად, ჯანმრთელობის უფლება. ამ კუთხით, სამართლებრივი კვლევის საგანი შეიძლება გახდეს, ექცევა თუ არა მენტალური ჯანმრთელობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცულ სფეროში. ამისთვის საჭიროა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს ევროპულ კონვენციას, როგორც „ცოცხალ დოკუმენტს“, რომელიც უნდა განიმარტოს ამჟამინდელი რეალობის გათვალისწინებით.²⁸ უფლებაზე პირდაპირი მითითების არარსებობა არ ზღუდავს სასამართლოს, შეაფასოს ის სხვა უფლებების განმარტების გზით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ დაამკვიდრა მიდგომა, რომლის მიხედვითაც ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცულად მიჩნევისათვის საკმარისი არ არის ამ უფლებების ფორმალური განხორციელება, სახელმწიფოები მხედველობაში უნდა იღებდნენ პირის უფლებებს, მათ შორის, ზოგიერთ შემთხვევაში, პირის სუბიექტურ მახასიათებლებთან

27 Committee on the Elimination of Discrimination against Women, General Recommendation N24, 20th session 1999, Art.12(1)C.

28 ტაირერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Tyrer v. United Kingdom*), 1978 წლის 25 აპრილი, 31-ე პუნქტი (ეს მიდგომა ასახულია არაერთხელ შემდეგ გადაწყვეტილებებშიც, იხ., მაგალითად, ზოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ *Soering v. UK* (1989)).

ერთობლიობაში, როგორიცაა, მაგალითად, მენტალური ჯანმრთელობის თავისებურებები. „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ შეიცავს პირდაპირ დათქმას მენტალური ჯანმრთელობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ, თუმცა სასამართლოს პრაქტიკის ანალიზიდან დგინდება, რომ პირთა ჯგუფზე მითითება არ არის საჭირო მათი უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სათანადოდ დასაცავად.“²⁹

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებებში ჯანმრთელობის, მათ შორის მენტალური ჯანმრთელობის, დარღვევა განიმარტება სხვა უფლებებთან ერთობლიობაში და მოიაზრება კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევად. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის თემატურ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ: „უფრო და უფრო რთული ხდება ზუსტი და ნათელი საზღვრების დანესება კონვენციით გარანტირებულ ფუნდამენტურ უფლებებსა და სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს შორის. სასამართლო არაორაზროვნად მოწოდებულია, განიხილოს საქმეები სოციოეკონომიკური განზომილებით, მათ შორის, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები, როდესაც საქმე ეხება კონვენციით გარანტირებულ ფუნდამენტურ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს. ჯანმრთელობის საკითხი სასამართლოს წინაშე არაერთი სხვადასხვა ფორმით წარმოშობილა.“³⁰

ევროპული სასამართლოს მოხსენების თანახმად, „კონვენციით გარანტირებულ უფლებებთან მიმართებით სახელმწიფოს ვალდებულებები ატარებს როგორც ნეგატიურ, ისე პოზიტიურ ხასიათს. ნეგატიური ვალდებულება ჯანმრთელობასთან მიმართებით გულისხმობს, რომ სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს ინდივიდის ჯანმრთელობაში ჩარევისგან, თუ ეს არ არის გამართლებული კონვენციიდან გამომდინარე. პოზიტიური ვალდებულება კი გულისხმობს სახელმწიფოს უშუალო მოქმედებას ინდივიდის ჯანმრთელობის დასაცავად. პოზიტიური ვალდებულების ფარგლები კი დამოკიდებულია ინდივიდუალურ შემთხვევაზე.“³¹

მენტალური ჯანმრთელობის უფლების დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიცოცხლის უფლება (მე-2 მუხლი), წამების აკრძალვა (მე-3 მუხლი), თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (მე-5 მუხლი), პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება (მე-8 მუხლი).

საკვანძო მნიშვნელობა აქვს ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის მე-8 მუხლის განმარტებას. ის პირადი ცხოვრების ცნებას აფართოებს და მასთან გა-

29 ო. მთივლიშვილი, ევროპის საბჭოს სტანდარტები მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობაზე, კ. კორკელია (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა: ევროპული გამოცდილება და ეროვნული გამოწვევები, თბილისი, 2023, 217.

30 Thematic Report, Health Related Issues in the Case-Law of the European Court of Human Rights, 2015, 4.

31 იქვე, 5.

ნიხილავს ადამიანის ფიზიკური, მორალური და ფსიქოლოგიური მთლიანობის დაცვის უფლებას; აგრეთვე, ინდივიდის უფლებას, ჰქონდეს პირადი ავტონომია, უარი თქვას მკურნალობაზე, ან მოითხოვოს მკურნალობის კონკრეტული ფორმა. სახელმძღვანელოში – „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით“ – მითითებულია შემდეგი: „მე-8 მუხლში გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობის განმარტება, კონვენციის სხვა დებულებების მნიშვნელობის მსგავსად, „ავტონომიურია“. ევროპული სასამართლო არ იზღუდება ტერმინების რაიმე განმარტებით ეროვნული ორგანოების მიერ. ევროპული სასამართლო თავს არიდებს წესების დადგენას დაცული უფლებების მნიშვნელობის განმარტებასთან დაკავშირებით. არცერთ შემთხვევაში სასამართლოს არ უცდია, ამომწურავად განესაზღვრა, რა შეადგენს პირად ან ოჯახურ ცხოვრებას, საცხოვრებელს ან მიმოწერას“.³²

საქმეზე – *ბენსაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Bensaid v. the United Kingdom)* – სასამართლომ მიუთითა, რომ მენტალური ჯანმრთელობა უნდა განიხილებოდეს პირადი ცხოვრების არსებით ნაწილად, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული „მორალური მთლიანობის“ საკითხთან. კონვენციის მე-8 მუხლი იცავს იდენტობისა და პიროვნების განვითარების უფლებას, ასევე ინდივიდის უფლებას, დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობები სხვა ადამიანებთან გარესამყაროში. მენტალური სტაბილურობის შენარჩუნება ამ კონტექსტში არის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებით სარგებლობის განუყოფელი წინაპირობა.³³ საქმეზე – *ხანი გერმანიის წინააღმდეგ (Khan v. Germany)* – სასამართლო დაეყრდნო ბენსაიდის გადაწყვეტილების განმარტებას და მიუთითა, რომ მკურნალობა, რომელიც თავისი სიმძიმით არ იწვევს მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევას, შეიძლება იწვევდეს მე-8 მუხლის დარღვევას, თუ იგი უარყოფით შედეგებს იწვევს ფიზიკური და მორალური მთლიანობის მიმართ. მენტალური ჯანმრთელობა უნდა ჩაითვალოს პირადი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილად, რომელიც დაკავშირებულია მორალურ მთლიანობასთან. პირადი ცხოვრების უფლების ეფექტიანი განხორციელების შეუცვლელი წინაპირობაა მენტალური სტაბილურობა.³⁴ ფსიქიკური პრობლემების მქონე პირის მიმართ საჭირო სამედიცინო ჩარევის უგულებელყოფამ შეიძლება გამოიწვიოს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. ამის შეფასებისას სასამართლო მხედველობაში იღებს, აღწევს თუ არა მოქმედება ან უმოქმედობა სისასტიკის მინიმალურ დონეს: „მოქმედებამ უნდა მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ დონეს, რათა კონვენციის მე-3 მუხლი დარღვეულად ჩაითვალოს. მიაღწია თუ არა მოპყრობამ ან სასჯელმა სისასტიკის მინიმალურ დონეს,

32 კ. კორკელია, ი. ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2004, 176.

33 ბენსაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, *Bensaid v. The United Kingdom*, 2001 წლის 6 თებერვალი, 47-ე პუნქტი.

34 ხანი გერმანიის წინააღმდეგ (*Khan v. Germany*), 2015 წლის 23 აპრილი, 35-ე პუნქტი.

დამოკიდებულია საქმის სხვადასხვა გარემოებაზე, როგორიცაა: მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და ფსიქიკური შედეგები, ზოგიერთ შემთხვევაში კი მსხვერპლის სქესი, წლოვანება და ჯანმრთელობის მდგომარეობა“.³⁵

დაკავებული და დაპატიმრებული პირების მენტალური ჯანმრთელობის მიმართ სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა საქმეზე – *რუმანი ბელგიის წინააღმდეგ (Rooman v. Belgium)*. საქმე ეხებოდა დაკავებული პირისათვის საჭირო ფსიქიატრიული მკურნალობის ვალდებულების შეუსრულებლობას. კერძოდ, მას შეეფარდა პატიმრობა და მოთავსდა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, სადაც პერსონალს არ შეეძლო მასთან კომუნიკაცია მის მშობლიურ ენაზე (გერმანულად), რომელიც, იმავდროულად, ბელგიის ერთ-ერთი ოფიციალური ენაა. საექსპერტო ფსიქიატრიული დასკვნის მიხედვით, რუმანს ესაჭიროებოდა ფსიქოფარმაკოლოგიური და ფსიქოთერაპიული მკურნალობის ერთობლივი გამოყენება. მას არ ჩატარებია ფსიქოთერაპიული მკურნალობა, არ შემდგარა და არ განხორციელებულა ინდივიდუალური მოვლის გეგმა, არ დანიშნულა განმცხადებლისათვის ისეთი მედიკამენტები, რომლებიც მოამზადებდა მას ფსიქოთერაპიის დასაწყებად და არ გასწევია ფსიქოსაგანმანათლებლო დახმარება. სასამართლომ აღნიშნა, რომ სოციალურ მუშაკსა და ექთანთან ურთიერთობა არ შეიძლება ჩაითვალოს მკურნალობის ალტერნატივად. ამ პირების მიერ შესრულებულ როლს, მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, არ აქვს ფსიქოთერაპიული მკურნალობის დატვირთვა.³⁶

ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა მე-3 მუხლისა და მე-5 მუხლის დარღვევა. სასამართლომ განმარტა, რომ იმის განსასაზღვრავად, შეესაბამება თუ არა დაავადებული პირის დაკავება კონვენციის მე-3 მუხლს, ის ითვალისწინებს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობას და მისი დაკავების ფორმის გავლენას მის ჯანმრთელობაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები უფრო მონყვლადები არიან, ვიდრე სხვა დაკავებულები. საპატიმრო დაწესებულების პირობები მათ ჯანმრთელობას უფრო დიდი რისკის ქვეშ აყენებს, ზრდის არასრულფასოვნების განცდის ალბათობას და არაორაზროვნად არის სტრესისა და შფოთვის წყარო.³⁷

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, კონვენციით გათვალისწინებული უფლებების ჩარჩოს ავრცელებს მენტალური ჯანმრთელობის დაცვაზე და დარღვევად განიხილავს როგორც უშუალო ქმედებას, რომელიც აზიანებს პირის ფიზიკურ და მენტალურ მთლიანობას და სიჯანსაღეს, ისე უმოქმედობას სათანადო სამედიცინო ჩარევის განუხორ-

35 კ. კორკელია, ი. ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2004, 134.

36 *რუმანი ბელგიის წინააღმდეგ (Rooman v. Belgium)*, დიდი პალატა, 2019 წლის 31 იანვარი, 156-ე პუნქტი.

37 იქვე, 145-ე პუნქტი.

ციელებლობის სახით (როდესაც პირი იმყოფება სახელმწიფოს ეფექტიანი კონტროლის ქვეშ).

აქედან გამომდინარე, მენტალური ჯანმრთელობა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ფიზიკური ჯანმრთელობა. პირადი ცხოვრება მოიცავს პირის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მთლიანობას და ექცევა ევროპული კონვენციით დაცულ სფეროში.

5. მენტალური ჯანმრთელობის უფლების განხორციელების შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმები: რეგულირების გამოცდილება საქართველოში

საქართველოში მენტალური ჯანმრთელობის სამართლის მთავარი გამოწვევაა პირდაპირი რეგულაციის არარსებობა და არაპირდაპირი დაცვა. ქვეყანაში არ არსებობს ყოვლისმომცველი სპეციალური კანონმდებლობა, რომელიც აწესრიგებს და ამომწურავად პასუხობს მენტალური ჯანმრთელობის გამოწვევების მქონე პირთა სამართლებრივ მდგომარეობას და უფლებრივ გამოწვევებს, სერვისის გაწევისა და მიღების თავისებურებებს, სპეციალისტისა და პაციენტის/კლიენტის უფლებებსა და ვალდებულებებს, ეთიკის სტანდარტებს.

სპეციალური კანონის არარსებობის პირობებში მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა ექცევა სამართლებრივი მართლწესრიგის სფეროში მხოლოდ ზოგადად: სახელმეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებები, პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულება, სერვისის მიწოდებასთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებები, დანაშაულისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში პასუხისმგებლობა.

საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლით, მოქალაქის უფლება ხელმისაწვდომ და ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე უზრუნველყოფილია კანონით. სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დანესებულებას და ფარმაცევტული საშუალებების მიმოქცევას. საქართველოს კონსტიტუციის ჩანაწერი ჯანმრთელობის დაცვის უფლების შესახებ პირდაპირ არ მიუთითებს მენტალურ ჯანმრთელობაზე, თუმცა ჯანმრთელობის ცნება მოიცავს როგორც ფიზიკურ, ისე მენტალურ განზომილებებს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე.

კონსტიტუციის ჩანაწერიდან გამომდინარე, სახელმწიფო ადამიანების ჯანმრთელობასთან დაკავშირებით იღებს შემდეგ ვალდებულებებს:

- ა) ზრუნვის ვალდებულება გულისხმობს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, გადადგას ნაბიჯები ინდივიდის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

უზრუნველსაყოფად, შექმნას ისეთი სისტემა, რომელიც მოქალაქეს მისცემს სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებისა და ჯანმრთელობის გამოწვევებზე რეაგირების საშუალებას;

- ბ) ჯანმრთელობის მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა – ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მომსახურება უნდა იყოს ხელმისაწვდომი როგორც ფიზიკურად, ისე მატერიალურად. მუხლის ჩანაწერი ფორმულირებულია იმგვარად, რომ სახელმწიფო უშუალო პასუხისმგებლობას იღებს ჯანმრთელობის მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიმართ.
- გ) ხარისხის კონტროლი. სახელმწიფო უშუალოდ მონაწილეობს ჯანმრთელობის ხარისხთან სერვისზე. სახელმწიფოს კონტროლს ექვემდებარება ყველა დაწესებულება, რომელიც საქმიანობს ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კონსტიტუციურ დონეზე უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ვალდებულება, იზრუნოს ჯანმრთელობის დაცვის უფლების განხორციელებაზე აქტიური მოქმედებით – ზედამხედველობა გაუწიოს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების ხარისხსა და ხელმისაწვდომობას.

ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართულებით ამჟამად მოქმედებს 2006 წელს მიღებული კანონი „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“. ამ კანონის მიღებამ ძალადაკარგულად გამოაცხადა მანამდე მოქმედი კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“.

ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ მოქმედი კანონი მიუთითებს, რომ „ფსიქიკური ჯანმრთელობა არის ადამიანის ჯანმრთელობის ფუნდამენტური ნაწილი და საზოგადოების აუცილებელი პირობა, ხოლო ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა უფლებების დაცვა სახელმწიფოს მოვალეობაა.“³⁸ მიუხედავად იმისა, რომ კანონი აღიარებს ფსიქიკურ ჯანმრთელობას ადამიანის ჯანმრთელობის ფუნდამენტურ ნაწილად, მისი მოქმედების სფერო შემოიფარგლება უშუალოდ ფსიქიატრიული დახმარების სამართლებრივი და ორგანიზაციული საფუძვლების განსაზღვრით, ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთათვის შესაბამისი დახმარების ხელმისაწვდომობითა და უწყვეტობით, რაც მნიშვნელოვანი, მაგრამ არასაკმარისი წინაპირობაა მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული უფლებების სრულად უზრუნველყოფისთვის. კანონის რეგულირების მიღმა რჩება მენტალური ჯანმრთელობის ის გამოწვევები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ფსიქიკური აშლილობის სხვადასხვა დიაგნოზთან. პრობლემურია პაციენტის ცნების გავრცელებაც არასამედიცინო პროფესიებსა და მომსახურებებზე, რომლებიც დაკავშირებულია მენტალური ჯანმრთელობის უზრუნველყოფასთან.

პაციენტის უფლებების შესახებ კანონის მიზანია მოქალაქის უფლებების დაცვა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, აგრეთვე მისი პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა.³⁹ ამავე კანონის მიხედვით, პაციენტი

38 საქართველოს კანონი ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ, პრეამბულა.

39 საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, 1-ელი მუხლი.

არის ნებისმიერი პირი, რომელიც სარგებლობს, საჭიროებს ან აპირებს ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მომსახურებით, განურჩევლად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა.⁴⁰ იმავდროულად, კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, ისევე როგორც კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ არ შეიცავს „ჯანმრთელობის დაცვის სისტემის“ განმარტებას. კანონმდებლობის სისტემური განმარტებით კი, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ჯანმრთელობის დაცვის სისტემა საქართველოში მოიაზრებს უშუალოდ სამედიცინო მომსახურების განწევასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. სამედიცინო მომსახურება კი არის „დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროფილაქტიკის ან სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნით სამედიცინო მომსახურების გაწვევის მიერ პაციენტისათვის ჩატარებული ნებისმიერი მანიპულაცია და პროცედურა.“⁴¹ სამედიცინო საქმიანობა (სამედიცინო მომსახურება) ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის გაგებით არის „საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია დაავადებათა პროფილაქტიკასთან, დიაგნოსტიკასთან, მკურნალობასთან, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებასთან, გაუმჯობესებასა და აღდგენასთან (ფსიქიკურ, სოციალურ, სამედიცინო და ფიზიკურ რეაბილიტაციასთან)[..]“.⁴² აღნიშნული ჩანაწერის თანახმად, ფსიქიკური და სოციალური რეაბილიტაციის კომპონენტი მოიაზრება სამედიცინო საქმიანობად. „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ელი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია: „ფსიქიატრიული დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთათვის და მათი უფლებების, თავისუფლებებისა და ღირსების დაცვა; ფსიქიატრიის დარგის მუშაკთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრა“. ამდენად, კანონის რეგულირების მიზანი შემოიფარგლება მხოლოდ ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებსა და ფსიქიატრიის დარგის მუშაკებთან დაკავშირებული საკითხებით. კანონის თანახმად, ფსიქიატრიის დარგის მუშაკად მოიაზრება ექიმი, ფსიქოლოგი, ექთანი, მომვლელი, სოციალური მუშაკი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელსაც სპეციალური მომზადებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული კვალიფიკაციის საფუძველზე უფლება აქვს, დახმარება გაუწიოს ფსიქიკური აშლილობის მქონე პირს.⁴³ პაციენტი, ამ კანონის გაგებით, არის ის პირი, რომელსაც აქვს ფსიქიკური აშლილობა და სარგებლობს ფსიქიატრიული დახმარებით.⁴⁴ ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა მხოლოდ ნაწილობრივ მოიცავს მენტალური ჯანმრთელობის იმ გაგებას, რომელსაც ავითარებს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (იხილეთ ნაშრომის მე-2 ნაწილი). კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობა არ არეგულირებს იმ პირთათვის მომსახურების განწევას, რომლებსაც:

40 იქვე, მე-4 (დ) მუხლი.

41 იქვე, მე-4 (თ) მუხლი.

42 საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, მე-3(ჩ') მუხლი.

43 იქვე, მე-4 (ე) მუხლი.

44 იქვე მე-4 (ზ) მუხლი.

ა) არ აქვთ ფსიქიკური აშლილობა, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზით მიმართავენ მენტალური ჯანმრთელობის სფეროს წარმომადგენლებს (ფსიქოთერაპევტებს, ფსიქოკონსულტანტებს, კლინიკურ ფსიქოლოგებს), ან ბ) აქვთ ფსიქიკური აშლილობა და ფსიქიატრიულ მკურნალობასთან ერთად ან მის გარეშე იღებენ მომსახურებას სხვა სპეციალისტებისგან.

საქართველოს კანონმდებლობა არ მოიცავს მენტალური ჯანმრთელობის დარგების ფსიქოთერაპიის, ფსიქოლოგიის (კლინიკური ფსიქოლოგიის, ფსიქოკონსულტირების) რეგულირებას, ამ დარგის სპეციალისტების საგანმანათლებლო სტანდარტს, ლიცენზირების წესს, სერვისის განევისა და მიღებისას წარმოშობილ სპეციალურ ურთიერთობებს, პასუხისმგებლობას ეთიკის ნორმების დარღვევისთვის. სახელმწიფო რეგულირებასა და სერტიფიცირებას ექვემდებარება ფსიქიატრია და ნევროლოგია. ამ სპეციალისტების საქმიანობა, ვინაიდან არ მოიაზრება სამედიცინო საქმიანობად, პირდაპირ არ ექცევა „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის“ მოქმედების სფეროში. შესაბამისად, პრობლემურია აღნიშნული სერვისის მიღების პროცესში ადამიანის უფლებების დაცვაზე ზედამხედველობის საკითხი, სერვისის ხარისხის გადამოწმებადობა და კონტროლი.⁴⁵ ამ ნაწილში საქართველოს კანონმდებლობა სრულყოფილად ვერ პასუხობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტს მესამე პირების მოქმედებებით მიყენებული ზიანისგან დაცვის მიმართულებით. „ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის უმაღლესი შესაძლო სტანდარტით სარგებლობის უფლების შესახებ“ გაეროს სპეციალური მომხსენებლის 2017 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ: „სახელმწიფოებს აქვთ მესამე პირების, მათ შორის კერძო სექტორის მხრიდან დაზიანებისაგან დაცვის ვალდებულება. ისინი უნდა დარწმუნდნენ, რომ მესამე პირები, კერძო აქტორები უზრუნველყოფენ მენტალური ჯანმრთელობის უფლების განხორციელებას საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობების სრული გაცნობიერებით“.⁴⁶

მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პროფესიები (ფსიქოთერაპია, ფსიქოკონსულტირება, კლინიკური ფსიქოლოგია) არ ექვემდებარება ლიცენზირებას. შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლი სპეციალისტის მაღალი კლინიკური და ეთიკური საქმიანობის, პაციენტის/კლიენტის უფლებების დაცვის, სერვისის ხარისხის მიმართ არ ხდება. პრობლემურია სერვისის მიღების პროცესში ადამიანის უფლებების დაცვისა და დაცვაზე ზედამხედველობის საკითხიც, კერძოდ, რა შეიძლება ჩაითვალოს ზიანად მენტალური ჯანმრთელობის სერვისის მიწოდე-

45 ბუნებრივია, ეს არ გამორიცხავს პირის უფლებას, მიმართოს სასამართლოს ან შესაბამის ორგანოებს ნებისმიერი საფუძვლით, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნებთან, სავარაუდო დანაშაულთან ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან.

46 Report of the Special Rapporteur on the right of everyone to the enjoyment of the highest attainable standard of physical and mental health, A/HRC/35/21, 6-23 June 2017, A/HRC/35/21, 41-ე პუნქტი.

ბისას, რა არის შეფასების ინსტრუმენტები, რა შეიძლება იყოს მიჩნეული არასათანადო მომსახურებად და კონკრეტულად რა კრიტერიუმებით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ არასათანადო (არაკვალიფიციური ან არაეთიკური) მომსახურებით მიყენებული ზიანის (ფსიქოლოგიური ზიანი) შეფასებისას. წარსულში საქართველოში ფსიქოთერაპია განსაზღვრული იყო დამოუკიდებელ საექიმო სპეციალობად.⁴⁷ დღეის მდგომარეობით,⁴⁸ ის საექიმო სპეციალობად განსაზღვრული აღარ არის. რაც შეეხება ფსიქოლოგიას, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით, ფსიქოლოგიას მინიჭებული აქვს კოდი 0313. ის მიეკუთვნება სოციალური მეცნიერებების, ჟურნალისტიკისა და ინფორმაციის ფართო სფეროს, ვინაირ სფეროა სოციალური და ქცევითი მეცნიერებები.⁴⁹ ამ შემთხვევაშიც, არც ეს დარგი ექვემდებარება სპეციალურ სერტიფიცირებას ან ლიცენზირებას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლი განსაზღვრავს პირთა წრეს, რომელიც არ არის ვალდებული, იყოს მოწმე. ამ პირებს შორის არიან ისინიც, რომლებსაც პროფესიული საქმიანობის გამო კანონი ათავისუფლებს მოწმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულებისგან, გარკვეულ შემთხვევებში, ადვოკატს, სასულიერო პირს, მედიაციის მონაწილეს, ჟურნალისტს და სხვ. სასამართლოს უფლება აქვს, მოწმის მოვალეობის შესრულებისგან გაათავისუფლოს სამედიცინო მუშაკი, თუკი მას პროფესიულად ევალება საექიმო (სამედიცინო) საიდუმლოების დაცვა. არ არსებობს ცალსახა პასუხი, მოიაზრებიან თუ არა ამ ცნების ქვეშ მენტალური ჯანმრთელობის სფეროს ის წარმომადგენლები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სამედიცინო პროფესიებს. შესაბამისად, ეს სპეციალისტები კანონით მინიჭებული გამონაკლისის გარეთ რჩებიან, რამაც შეიძლება ერთგვარი დილემა წარმოშვას პროფესიული ეთიკის დაცვასა და ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისას.

საქართველოს 2022-2030 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგია ეყრდნობა Expertise France-ს მიერ ჩატარებული კვლევის⁵⁰ მონაცემებს და მიუ-

47 „საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუხსის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 18 აპრილის N136/ნ ბრძანება.

48 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 თებერვლის N01-7/ნ ბრძანება „საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუხსის განსაზღვრის შესახებ“.

49 სწავლის სფეროების კლასიფიკატორი: 0313.2.1 – სოციალური ფსიქოლოგია, 0313.2.2 – გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია, 0313.2.3 – კლინიკური ნეიროფსიქოლოგია, 0313.2.4 – კლინიკური ფსიქოლოგია, 0313.2.5 – განათლების ფსიქოლოგია, 0313.2.6 – შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, 0313.2.7 – ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგია, 0313.2.8 – ფსიქოდიავნოსტიკა და კონსულტირება.

50 კვლევა ჩატარდა 2019 წლის ოქტომბრიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით პერიოდში საქართველოში და მიზნად ისახავდა მოსახლეობის ფსიქიკური ჯანმრთელობის საჭიროებების შესწავლას.

თითებს, რომ საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში, სხვა საკითხებთან ერთად, პრობლემურია ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემაში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული გამოწვევები, მათ შორის: ადამიანური რესურსების სიმცირე, ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემის ადმინისტრირების, რეგულირების, მართვისა და კონტროლის ნაკლებობა.⁵¹ სტრატეგიის თანახმად, ამჟამად სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებს 22 ფსიქოთერაპევტი და 6 ბავშვთა ფსიქოთერაპევტი⁵² (როგორც ზემოთ აღინიშნა, ტერმინ „ფსიქოთერაპევტს“ საქართველოს განათლების სისტემა ამჟამად არ იცნობს). სტრატეგია ასევე მიუთითებს კლინიკური ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების რეგულირების არარსებობაზე ჯანდაცვის სექტორის მიერ. დოკუმენტში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა ამჟამად არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას. დასახულია მიზნები იდენტიფიცირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა სრულად არ მოიცავს მენტალური ჯანმრთელობის თანამედროვე გაგებას. კანონმდებლობა არ არეგულირებს ურთიერთობების მთელ რიგს, რომლებიც დაკავშირებულია მენტალური ჯანმრთელობის უზრუნველყოფასთან. კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობა არ არეგულირებს მენტალური ჯანმრთელობის სამართალს სამედიცინო საქმიანობის მიღმა, რაც სახავს საკანონმდებლო რეგულირების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვისა და სამართლებრივი კვლევის გაგრძელების საჭიროებას ამ მიმართულებით.

6. დასკვნა

მენტალური ჯანმრთელობის უფლების გააზრება არსებითად მნიშვნელოვანია მენტალური ჯანმრთელობის სამართლის განვითარებისთვის. მენტალური ჯანმრთელობა ადამიანის ჯანმრთელობის განუყოფელი ნაწილია და მოიცავს საზოგადოებაში ინდივიდის ღირსეულ და ჰარმონიულ თანაცხოვრებას. ამდენად, ინდივიდისა და საზოგადოების კეთილდღეობის სრულფასოვნად უზრუნველყოფა მენტალური კეთილდღეობის გარეშე წარმოუდგენელია. უკანასკნელ წლებში მენტალური ჯანმრთელობის სამართალი განვითარების ახალ საფეხურზე გადავიდა, რაც ყველაზე ნიშანდობლივი ეტაპია მისი არსებობის განმავლობაში. მენტალური ჯანმრთელობის ცნების გაფართოებამ და მენტალური ჯანმრთელობის სისტემის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომაზე გადანაცვებამ სამართლებრივი კვლევების განვითარების საჭიროება შექმნა.

51 საქართველოს მთავრობის 2022 წლის 18 იანვრის დადგენილება N23, „საქართველოს 2022-2030 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგია“, 18.

52 იქვე, 24.

ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში მენტალური ჯანმრთელობის უფლება პირდაპირ არ არის მოხსენიებული. მიუხედავად პირდაპირი ჩანაწერის არარსებობისა, ევროპული სასამართლო არაერთი გადაწყვეტილებით მსჯელობს ჩარევის მართლზომიერებაზე სხვა უფლებების განმარტების გზით. მენტალური ჯანმრთელობის უფლების რეგულირება მოიცავს არა მხოლოდ ასეთი უფლების ფორმალურ აღიარებას, არამედ იმ საკანონმდებლო საფუძვლების შემუშავებას, რომლებიც აუცილებელია მისი სრულფასოვანი განხორციელებისთვის, ასევე, ხელყოფაზე რეაგირების მოქნილი მექანიზმის ჩამოყალიბებას. სახელმწიფოს ეფექტიანი კონტროლის ქვეშ მყოფი პირებისთვის სათანადო მკურნალობის გაწევის ვალდებულება, საჭიროების შემთხვევაში, ასევე მოიცავს ფსიქიატრიულ და ფსიქოთერაპიულ ჩარევას.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ შემუშავებული სტანდარტებით, სახელმწიფოს ვალდებულია, განსაზღვროს მენტალური ჯანმრთელობის უფლების სამართლებრივი საფუძვლები და შეიმუშაოს განხორციელების სამართლებრივი მექანიზმები, განსაკუთრებით: ა) მენტალური ჯანმრთელობის მდგომარეობის ნიშნით დისკრიმინაციის გამოსარიცხად; ბ) მენტალური ჯანმრთელობის სერვისების ხელმისაწვდომი და მისაღები ფორმის უზრუნველსაყოფად; გ) მომსახურების ხარისხის უზრუნველსაყოფად; დ) სახელმწიფოს ეფექტიანი კონტროლის ქვეშ მყოფი პირებისთვის საჭირო დიაგნოსტიკის ან მკურნალობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს კანონმდებლობა ამომწურავად არ მოიცავს მენტალური ჯანმრთელობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მოქმედი კანონმდებლობა აწესრიგებს ფსიქიატრიული დახმარების თავისებურებებს. რეგულირების მიღმა რჩება მენტალური ჯანმრთელობის ის გამოწვევები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ფსიქიკური აშლილობის სხვადასხვა დიაგნოზთან. კანონი არ განსაზღვრავს ფსიქოთერაპიის საგანმანათლებლო და პროფესიულ ჩარჩოს, ასევე ფსიქოთერაპიის, ფსიქოკონსულტირების, კლინიკური ფსიქოლოგიის სერტიფიცირების (ლიცენზირების) წესს. პრობლემურია მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მომსახურების მიღების პროცესში ადამიანის უფლებების დაცვისა და დაცვაზე ზედამხედველობის საკითხიც. არ არსებობს სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი სერვისის ხარისხის მიმართ, რაც სახავს საკანონმდებლო რეგულირების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვისა და სამართლებრივი კვლევის გაგრძელების საჭიროებას ამ მიმართულებით.

ავტორთა შესახებ

სანდრო ალაფიშვილი – კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი; სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი.

ნატალია ანესაშვილი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამის მე-4 კურსის სტუდენტი.

მარიამ ბალავაძე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი; საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მრჩეველი.

ნატი გელოვანი – იურისტი არასამთავრობო და საჯარო სექტორში მუშაობის 9-წლიანი გამოცდილებით; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებული; აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი.

ალექსანდრე გრძელიძე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამის მე-3 კურსის სტუდენტი; საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის მდივანი.

ლმა გულუაშვილი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამის მე-4 კურსის სტუდენტი; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის დეპარტამენტის სტაჟიორი.

მაკა კარტოზია – აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი; შავი ზღვის უნივერსიტეტის პროფესორი; საქართველოს უნივერსიტეტის მონვეული ლექტორი; იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი (თსუ); სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტი.

კონსტანტინე კორკელია – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი; საერთაშორისო საჯარო სამართლის მაგისტრი (ლეიფენი, ნიდერლანდი); იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი (თსუ); იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი (თსუ); გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის წევრი.

ზურაბ ლებანიძე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამის მე-4 კურსის სტუდენტი.

ანა ნაცვლიშვილი – ესექსის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი; საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი; საქართველოს წლის უფლებადამცველი (2017); სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი (2017); საქართველოს პარლამენტის წევრი (2020-2024).

ანანო ნიაური – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი; ფსიქოთერაპიის ქართული ფედერაცია „დენდრონის“ (NUO) იურიდიული მრჩეველი; ფსიქოთერაპიის ევროპული ასოციაცია „EAP ეთიკის“ კომიტეტის თანათავმჯდომარე; ინტეგრირებული ფსიქოთერაპიის ევროპული ასოციაცია „EAIP ეთიკის“ ოფიცერი.

თამარ ონიანი – ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი (ოქსფორდის უნივერსიტეტი); სამართლის დოქტორანტი (თსუ); საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (*Summa Cum Laude*; GIPA); სამართლის ბაკალავრი (*Cum Laude*, თსუ); ადამიანის უფლებების პროგრამის დირექტორი (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია); მონვეული ლექტორი (GIPA, კავკასიის უნივერსიტეტი).

მარიამ ონიანი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული (წარჩინებით).

ირაკლი პაპავა – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრი; საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი.

ირაკლი სამხარაძე – საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი; როტერდამის ერასმუსის უნივერსიტეტის მაგისტრი (2014); თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი (2020).

ანა ფირცხალაშვილი – საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი; ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის მაგისტრი; პოტსდამის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის დოქტორი.

გოგა ხატიაშვილი – სამართლის მაგისტრი (თსუ); სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დოქტორანტი; ადამიანის უფლებათა ექსპერტი; გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ეროვნული კონსულტანტი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეგიდით წინა წლებში გამოცემული სტატიათა კრებულები:

- ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე (2006 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები (2007 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები (2009 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები (2010 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო (2011 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები (2012 წელი);
- ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა (2013 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში (2014 წელი);
- ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე (2015 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმები (2016 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში (2017 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა (2018 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოს ვალდებულებები (2019 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოს დემოკრატიული ტრანსფორმაცია (2020 წელი).
- ადამიანის უფლებათა დაცვა, პანდემია და სამართლის უზენაესობა (2021 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვა და კოვიდ-19-ის პანდემია (2021 წელი);
- ადამიანის უფლებათა დაცვა: საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილება (2022 წელი);
- ადამიანის უფლება დაცვა: ევროპული გამოცდილება და ეროვნული გამოწვევები (2023);
- ადამიანის უფლებათა დაცვა: საერთაშორისო და ეროვნული ინსტიტუტები (2024).

სტატიათა კრებულის ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია თსუ-ის იური-დიული ფაკულტეტის ვებგვერდზე.